პაატა გუგუშვილის ეკონომიკის
ინსტიტუტის

სამეცნიერო
შრომების კრებული
I

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
გამომცემლობა

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული

I

მთავარი რედაქტორი

რამაზ აბესაძე

სარედაქციო კოლეგია

ნ. არევაძე, გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურდული, ლ. დათუნაშვილი, არჩ. თეთრაული, ლ. თოთლაძე, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, ა. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ი. ნათელაური, გ. პაპავა, ვლ. პაპავა, რ. სარჩიმელია, თ. ჩხეიძე, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, რ. ჯავახიშვილი

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი 2008

UDC (uak) 061.62: 33(479.22)(045)

p - 121

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება აქტუალურ სამეცნიერო და ქვეყნის ეკონომიკის საჭირბოროტო პრობლემებს.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

© პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

2008

ISSN 1987 – 6904

COLLECTION OF SCIENTIFIC WORKS

OF

PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

I

Editor-in-chief

Ramaz Abesadze

Editorial Board

N. Arevadze, G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, T. Chkheidze, L. Datunashvili, R. Javakhishvili, E. Kakulia, N. Khaduri, M. Khuskivadze, A. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, I. Natelauri, G. Papava, V. Papava, R. Sarchimelia, A. Tetrauli, L. Totladze

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics

TBILISI 2008

UDC (uak) 061.62: 33(479.22)(045)

p - 121

The collection of scientific works of P. Gugushvili Institute of Economics includes the works of Institute researchers and scientists-economists of Georgia dedicated to actual scientific problems and the problems vital for country economy.

The collection is intended for a wide range of readers and will assist not only professionals but those concerned with issues of economy.

© ***Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics***

2008

ISSN 1987 - 6904

Strixkodi 9771987690

წინასიტყვაობა

ჩვენს ინსტიტუტს როგორც პერიოდული, ისე თემატური სამეცნიერო კრებულების გამოცემის დიდი ტრადიციები აქვს. ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის პერიოდული გამოცემა დაიწყო აკადემიკოს პაატა გუგუშვილის რედაქტორობით და გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით: "ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები" (1946-1967), "ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომები "(1968-1976), "ეკონომიკა" (1969-1976). 2000-2004 წლებში კი პროფესორ გიორგი წერეთლის რედაქციით გამოდიოდა თემატური სამეცნიერო შრომების კრებული "საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში". თემატური კრებულებიდან აღსანიშნავია: "სუვერენული საქართველოს ეკონომიკის განვითარების კონცეფცია" (მეცნ. ხელმძ. აკად. ა. გუნია), "საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია" (მეცნ. ხელმძ. აკად. ვლ. პაპავა).

მიგვაჩნია, რომ ამჟამად ინსტიტუტში უნდა აღდგეს პერიოდული სამეცნიერო კრებულის გამოცემის ტრადიცია, ასევე, უნდა შენარჩუნდეს თემატური სამეცნიერო კრებულების გამოცემის პრაქტიკაც.

კრებულის სახელწოდება – "პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული", სრულიადაც არ ნიშნავს, რომ აქ მხოლოდ ინსტიტუტის თანამშრომელთა შრომები უნდა დაიბეჭდოს. პირიქით, წინამდებარე კრებული უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის მეცნიერ-ეკონომისტთა და, საერთოდ, ეკონომისტთა აზრის გამოთქმის ადგილი. ამასთან, კრებულში გამოქვეყნდება ნებისმიერი პოზიციის, მოსაზრების, წინადადებისა და რეკომენდაციების შემცველი ნაშრომები, რომლებიც ეხება

აქტუალურ სამეცნიერო ან ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო ეკონომიკურ პრობლემებს; არ დაიბეჭდება მხოლოდ აშკარად პოლიტიკური შეფერილობის სტატიები.

კრებულში შესული ყველა ნაშრომი, ბუნებრივია, ერთნაირი დონის ვერ იქნება. ზოგიერთი ნაშრომი, განსაკუთრებით ახალგაზრდა მეცნიერების, შესაძლებელია, ვერ პასუხობდეს მისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას. მაგრამ, მიგვაჩნია, რომ მათი გამოუქვეყნებლობა შეზღუდავს საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობას და ხელს შეუშლის ახალგაზრდების მეცნიერულ ზრდას. ამასთან, რასაკვირველია, კრებულში დაბალი მეცნიერული ღირებულების ნაშრომები არ დაიბეჭდება. ასევე, საგულისხმოა, რომ ავტორების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, შესაძლებელია, რედკოლეგია არ ეთანხმებოდეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არაერთი სამეცნიერო კრებული გამოიცემა და ჩვენ ინსტიტუტსაც მდიდარი გამოცდილება აქვს ამ მიმართულებით, წინამდებარე პერიოდული კრებულის გამოცემა ახალ სიტყვას იტყვის ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში. ამდენად, თავს უფლებას მივცემ, საქართველოს ეკონომიკურ საზოგადოებას მივულოცო "პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის" პერიოდული გამოცემების დაწყება, ხოლო კრებულის რედაქციას წარმატებები ვუსურვო.

ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც მჭიდროდ თანამშრომლობდა ან მომავალში ითანამშრომლებს რედაქციასთან როგორც მაღალმეცნიერული ნაშრომების გამოქვეყნებით, ისე კრებულის სრულყოფის მიმართულებით გამოთქმული წინადადებებით.

რამაზ აბესაძე

რამაზ აბესაძე

მდგრადი ეკონომიკური განვითარება – XXI საუკუნის გლობალური გამოწვევა

ტერმინი **"მდგრადი ეკონომიკური განვითარება"** პირველად გამოყენებული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისიის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი გ. ბრუნტლანდი. 1987 წელს გავრცელდა აღნიშნული კომისიის მოხსენება – "ჩვენი საერთო მომავალი", რომელშიც შემოთავაზებული იყო **მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგია.** მისი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ **უნდა გაგრძელებულიყო ეკონომიკის უწყვეტი განვითარება ახლანდელი თაობის მოთხოვნათა დაკმაყოფილების გასაუმჯობესებლად, ოღონდ მომავალი თაობების არსებობისათვის ზიანის მიყენების გარეშე**[1]. მაშასადამე, მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია მოიცავს სამ ძირითად მომენტს:

1. მოსახლეობის, განსაკუთრებით მსოფლიოს უღარიბესი ნაწილის, მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გაუმჯობესებას;

2. პროგრესული ტექნოლოგიების შექმნასა და რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, რომელიც შესაძლებელს გახდის, არ დაირღვეს დედამიწაზე მიმდინარე ბუნებრივი პროცესები.

3. ყველა იმ პრობლემის გადაჭრას, რომელიც დაკავშირებულია საერთოდ ეკონომიკურ განვითარებასთან, ანუ ეკონომიკის ახალ, უფრო

---

[1] ეს და სხვა ფაქტობრივი მასალა, რომლებზედაც მითითება არ არის, მოპოვებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით.

სრულყოფილ მდგომარეობაში გადასვლასთან და არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდასთან.

მდგრადი განვითარების მოთხოვნათა განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებასა და ბუნებას შორის ნივთიერებათა და ენერგიის რაციონალური გაცვლის შედეგად. ეს კი მიიღწევა მაშინ, თუ ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დაემყარება ბუნების თვითაღდგენისა და აღწარმოების მკაცრ ღონისძიებებს. მაშასადამე, დღის წესრიგში დგას საზოგადოებისა და ბუნების თანაარსებობისა და თანაგანვითარების, ანუ **კოევოლუციის** ამოცანა. ჩვენი პლანეტის **ბიოსფერო** უნდა გადავიდეს ახალ თვისებრიობაში – **ნეოსფეროში, მოაზროვნე გარსში,** სადაც ადამიანები შეძლებენ მაქსიმალურად შეამცირონ არა მხოლოდ თავიანთი, არამედ ბუნების დამანგრეველი ძალების მიერ ბიოსფეროსადმი მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების შედეგები [1, გვ. 52].

მსოფლიოში, ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინებით, შეიძლება გამოიყოს ეკონომიკის განვითარების სამი ეტაპი. პირველი, როდესაც აღნიშნულ პრობლემებს ყურადღება თითქმის არ ექცეოდა; მეორე, როდესაც ყურადღება ექცეოდა, მაგრამ პრაქტიკულად ამ მიმართებით არაფერი კეთდებოდა და, მესამე – მდგრადი ეკონომიკური განვითარების ეტაპი, რომელიც დღესაც გრძელდება და განვითარებული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება.

მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლა გულისხმობს ისეთი გლობალური პრობლემების გადაჭრას, რომლებიც დაკავშირებულია: **მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობასთან; ეკონომიკურ ზრდასთან; არაგანახლებადი რესურსების ალტერნატიული რესურსებით ჩანაცვლებასთან; განახლებადი რესურსების კვლავწარმოების პირობების შენარჩუნებასთან; გარემოს დაბინძურების შემცირებასთან.**

ეკონომიკურ განვითარებაზე **მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის** გავლენის შესახებ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ამ საკითხზე თავიანთ აზრს უძველესი დროიდან გამოთქვამდნენ სახელმწიფო მოღვაწეები და ფილოსოფოსები. ისინი მიუთითებდნენ როგორც მოსახლეობის ზრდის დადებით მხარეებზე, ასევე ჭარბი მოსახლეობის შედეგად წარმოშობილ სიძნელეებზე.

ამ საკითხებზე ყურადღება ძირითადად XIX საუკუნის დასაწყისიდან მახვილდება. ყველასათვის კარგადაა ცნობილი ჭარბმოსახლეობის საკითხზე თომას მალთუსის შეხედულებები. მოსახლეობის ზრდის მოწინააღმდეგეთა აზრით, სწორედ ჭარბმოსახლეობის შედეგად წარმოიშობა ისეთი გლობალური ხასიათის პრობლემები, როგორიცაა: **სიღარიბე, გარემოს დაბინძურება, არააღდგენადი რესურსების სწრაფად ამოწურვა, აღდგენადი რესურსების გაჩანაგება, ეკონომიკური განვითარების შენელება და ა. შ.** ბუნებრივია, მოსახლეობის ზრდის მოწინააღმდეგენი აყენებენ საკითხს მოსახლეობის რიცხოვნობის რეგულირების შესახებ.

მოსახლეობის ზრდის მომხრეთა რაოდენობაც არ არის მცირე. მერკანტილიზმის ევროპული სკოლის წარმომადგენლები XVII - XVIII საუკუნეებში თვლიდნენ, რომ მოსახლეობის ზრდა იყო დადებითი მოვლენა. დღესაც კი მეცნიერთა ნაწილს მოსახლეობის ზრდა პოზიტიურ მოვლენად მიაჩნია [მაგ. 20].

მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის პრობლემებს განსაკუთრებული ყურადღება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაეთმო, რადგან ზრდის ტემპები არნახულ სიდიდეს აღწევს. 1972 წელს გარემოს დაცვის პრობლემებისადმი მიძღვნილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებულ სტოკჰოლმის კონფერენციაზე მიღებულ დეკლარაციაში გამოთქმულია შეშფოთება იმის შესახებ, რომ მოსახლეობის ზრდა წარმოშობს პრობლემებს გარემოს დაცვის უზრუნველყოფის სფეროში და რომ აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება. მოსახლეობის ზრდის პრობლემებს მიეძღვნა აგრეთვე ბუქარესტისა (1974) და მეხიკოს (1984) საერთაშორისო კონფერენციები, საიდანაც გაისმა მოწოდება იმის შესახებ, რომ იმ ქვეყნებმა, სადაც უკვე იგრძნობა უთანაბრობა მოსახლეობის რიცხოვნობასა და ბუნებრივ რესურსებს შორის, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები დარღვეული წონასწორობის აღსადგენად. იგივე სულისკვეთებით იყო გამსჭვალული რიო-დე-ჟანეიროს 1992 და კაიროს 1994 წლების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციებიც.

შემდგომაც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ფორუმებზე, არაერთხელ მიეთითა მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის სტაბილიზაციის დიდ მნიშვნელობაზე მდგრადი ეკონომიკური განვითარების მისაღწევად.

კაცობრიობის ორმილიონი წლის არსებობის მანძილზე უდიდესი პერიოდის განმავლობაში დედამიწის მოსახლეობა ძლიერ მცირე იყო. 12000 წლის წინ იგი მხოლოდ 5 მილიონ კაცს შეადგენდა, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში კი მხოლოდ 250 მილიონს [18, გ. 169].

XX საუკუნე დედამიწაზე მოსახლეობის უპრეცედენტო ზრდის საუკუნე იყო, როდესაც მოსახლეობის რიცხოვნობა 1,6 მილიარდიდან 6,1 მილიარდამდე გაიზარდა. ამასთან, თუ პირველი მილიარდით მატებას (1 მილიარდიდან 2 მილიარდამდე) 123 წელი (1804-1927) დასჭირდა, ბოლო მილიარდით მატება მხოლოდ 12 წელიწადში (1987-1999) მოხდა. 2000-2007 წლებში მოსახლეობის რიცხოვნობამ 500 მილიონით მოიმატა და დაახლოებით 6,6 მილიარდი შეადგინა.

მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდასთან ერთად პრობლემებს წარმოშობს ასევე მისი დედამიწაზე მეტად არათანაბარი განაწილება ტერიტორიების მიხედვით (70 პროცენტზე მეტი მხოლოდ 15 სახელმწიფოზე მოდის), აგრეთვე დიდი განსხვავება მოსახლეობის ზრდის ტემპებს შორის განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. თუ განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის კლება შეინიშნება, განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის ტემპები ჯერ კიდევ მაღალია, მიუხედავად იმისა, რომ არაერთ ქვეყანაში (ჩინეთი, ინდოეთი, სინგაპური, ტაივანი და ა.შ.) გატარდა ზომები შობადობის შესამცირებლად.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის რიცხოვნობასა და მისგან გამოწვეული წარმოების მოცულობის ზრდასთან შედარებით გარემოზე უფრო დიდ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ახალი ტექნოლოგიების ათვისება. მათი გამოყენების შედეგად მიიღება ბუნებაში არარსებული ნივთიერებები და მათი დაგროვება მავნე გავლენას ახდენს როგორც ლითო-, ისე ჰიდრო- და ატმოსფეროზე, ისინი არღვევენ დედამიწის ოზონურ შრეს და ა.შ.

მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა ყველაზე მეტად დაკავშირებულია რესურსების, უპირველეს ყოვლისა, სასურსათო პრობლემასთან. დღეისათვის მსოფლიოში მილიონობით ადამიანი შიმშილობს, მილიონობით კი სიღარიბის დონის მიღმა იმყოფება.

სიღარიბის პრობლემა მდგრადი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. რაც არ უნდა უმჯობესდებოდეს გარკვეულ ქვეყნებში ადამიანთა მატერიალური მდგომარეობა, თუ სი-

ღარიბის დონე მატულობს, მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკურ განვითარებაზე საუბარიც კი ზედმეტია.

ეკონომიკური ზრდის ტემპები მსოფლიოში გაცილებით მაღალია, ვიდრე მოსახლეობის ზრდის ტემპები, მაგრამ, ჯერ ერთი, წარმოებული პროდუქციის განაწილება ისევ უთანაბრო რჩება მდიდრების სასარგებლოდ და, მეორეც, ატმოსფეროში გამოტყორცნილი მავნე ნივთიერებების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს გლობალური კატასტროფების საშიშროებას (**გლობალური დათბობა, კლიმატის ცვლილება, ოზონური ხვრელების წარმოქმნა, მჟავას წვიმები და სხვ.**).

ქვეყანა რომ მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზას დაადგეს, აუცილებელია, მას გააჩნდეს მდგრადი ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების მყარი მექანიზმი.

მდგრადი ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების არსი იმაში გამოიხატება, რომ მთავრობამ, საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით, ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური განვითარების პროცესთა ოპტიმიზაციასა და დაჩქარებას ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით. ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების თავისებურება ისაა, რომ რეგულირების ძირითადი აქცენტი გადატანილია ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფაზე. რასაკვირველია, ეკონომიკური განვითარების პროცესთა სახელმწიფო რგულირება არ უნდა წარმოვიდგინოთ ეკონომიკური განვითარების ძირითად მამოძრავებელ ფაქტორად. ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ადამიანთა უსაზღვრო მისწრაფებაა თავიანთ მოთხოვნილებათა სულ უფრო მაღალ დონეზე დაკმაყოფილებისაკენ, რაც ხორციელდება ამა თუ იმ ეკონომიკური სისტემის ჩარჩოებში. სახელმწიფო რეგულირება კი ამის მხოლოდ ერთ-ერთი ხელშემწყობი, თუმცა მნიშვნელოვანი, ფაქტორია. ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მთავარი მიზანი არა მხოლოდ საბაზრო ძალების მოქმედების ეკონომიკური განვითარების პროცესის დაჩქარებაა, არამედ ისიც, რომ თავიდან ავიცილოთ ეკონომიკური საქმიანობისაგან ბუნებისადმი (და, რასაკვირველია, აქედან გამომდინარე, თვით ადამიანთა საზოგადოებისადმი) მიყენებული ნეგატიური შედეგები. მოგებას გამოდევნებული ცალკეული ადამიანებისა და ფირმებისათვის ნაკლებად აღქმადია ის ფაქტი, რომ მათმა საქმიანობამ კაცობრიობა, შესაძლებელია, კატასტროფამდე მიიყვანოს, რომ არაფერი ვთქვათ ლოკა-

ლური ხასიათის დარღვევებზე. კარგა ხანია მსოფლიოში მომავალი მოსალოდნელი კატასტროფების შემაშფოთებელი კონტურები გამოიკვეთა.

ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური განვითარების მსვლელობას, შეავსოს ის ნაკლოვანებები, რაც საბაზრო მექანიზმს გააჩნია ამ მიმართულებით. ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის სახე და შინაარსი დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე, არსებულ ეკონომიკურ მოდელზე, ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიასა და ტაქტიკაზე.

ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის შემუშავების დროს, უწინარეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს თუ რა ელემენტებისაგან შედგება იგი. ჩვენი აზრით, ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს: **ეკონომიკური განვითარების სამართლებრივ ბაზას; ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდებსა და ინსტრუმენტებს; ეკონომიკური განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების ინდიკატორთა სისტემას; ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების ინფრასტრუქტურას; ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებათა სისტემას; ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების კონტროლის სისტემას და სხვ.**

სამართლებრივი ბაზა უდიდეს როლს თამაშობს ეკონომიკური განვითარების, უპირველეს ყოვლისა, ინსტიტუციების ფორმირებისა და სრულყოფის საქმეში. რამდენადაც სრულყოფილია სამართლებრივი ბაზა, იმდენად სრულყოფილი ინსტიტუციები ყალიბდება ეკონომიკაში. ინსტიტუციების მნიშვნელობა კი ეკონომიკის ფუნქციონირებისთვის განუსაზღვრელია, განსაკუთრებით ერთი ეკონომიკური წყობიდან მეორეზე გადასვლის დროს, როდესაც თითქმის მთლიანად ინგრევა ძველი და საჭიროა ახალი სრულყოფილი ინსტიტუტების ფორმირება რაც შეიძლება მაქსიმალურად მოკლე დროში, რათა ხელი არ შეეშალოს გარდაქმნების განხორციელებას. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესები სხვადასხვა ქვეყანაში. იმ ქვეყნებმა, რომლებმაც შეძლეს ძირეული და სწრაფი ცვლილებები მოეხდინათ ინსტიტუციებში, სწრაფადვე დაამთავრეს გარდაქმნის პროცესი და ჩამოაყალიბეს საკმაოდ განვითარებული შერეული ეკონომიკა (პოლონეთი, ლატვია, ლიტვა, ჩეხეთი, რუმინეთი, კვიპროსი, ესტონეთი, სლოვენია და

სხვ.), ხოლო ის ქვეყნები (მათ შორისაა საქართველოც), რომლებმაც ვერ განახორციელეს სრულყოფილი ინსტიტუციური ცვლილებები, ჯერ კიდევ ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით ხასიათდებიან.

რეგულირების ფორმების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების შერჩევა დამოკიდებულია ეკონომიკის განვითარების დონესა და იმ ღონისძიებათა ხასიათზე, რომელთა განხორციელებაც არის დაგეგმილი რეგულირების დროს. ძირითადად ერთმანეთისაგან შეიძლება განვასხვავოთ ადმინისტრაციული და ეკონომიკური ხასიათის მეთოდები.

ადმინისტრაციული სახის მეთოდები გულისხმობს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელიც ეფუძნება აკრძალვებს, ნებართვებს, ძალდატანებებს ანუ იძულების მეთოდებს. მაგალითად, ლიცენზირება, ლიმიტირება, ანტიმონოპოლიური შეზღუდვები, რეგისტრირება, ბუნებისდაცვითი ხასიათის აკრძალვები და სხვ.

რეგულირების ინსტრუმენტების მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს ეკონომიკური განვითარების ღონისძიებებს. ისინი შესაძლებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. მაგ., ეკონომიკური, საკანონმდებლო, პირდაპირი, არაპირდაპირი, სელექციური, რაოდენობრივი, თვისებრივი, ადმინისტრაციული და სხვა სახის ინსტრუმენტები.

რეგულირების ინსტრუმენტების დაყოფა, რა თქმა უნდა, გამართლებულია, მაგრამ მას მაინც პირობითი ხასიათი აქვს, ვინაიდან ნებისმიერი ინსტრუმენტი, რომელიც ეკონომიკის სფეროში მოქმედებს, თავისი შედეგით ეკონომიკურია. თუმცა, შესაძლებელია, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ **საკანონმდებლო-ადმინისტრაციული, ეკონომიკური და ორგანიზაციული ხასიათის ინსტრუმენტები.**

საკანონმდებლო-ადმინისტრაციული ხასიათის ინსტრუმენტებია: კანონები, ნორმატიული აქტები, დადგენილებები, ლიცენზიები, კვოტები, ლიმიტები, ანტიმონოპოლიური შეზღუდვები, რეგისტრირება, ბუნებისდაცვითი ხასიათის აკრძალვები და სხვ.

ეკონომიკურ ინსტრუმენტებს შეიძლება მივაკუთვნოთ ფულად-საკრედიტო, ფისკალური და მონეტარული ბერკეტები, ასევე მასტიმულირებელი თუ საჯარიმო გადასახდელები და სხვ.

ორგანიზაციული „ხასიათის ინსტრუმენტებს კი მიეკუთვნება სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ამა თუ იმ სფეროს რეორგანიზაციის თუ ინსტიტუციური მოწყობის შესახებ.

ეკონომიკური განვითარების დონის დადგენა, შემდეგ კი შესაბამის დონისძიებათა სისტემის შემუშავება შეუძლებელია **ეკონომიკური განვითარების ინდიკატორთა (მაჩვენებელთა)** მოპოვებისა და გაანალიზების გარეშე. მაგრამ, ეკონომიკური განვითარების რაოდენობრივი გაზომვა მეტად რთულია, ვინაიდან თვისებრივი ცვლილებების გამოხატვა ციფრებით ზოგჯერ შეუძლებელია. ამდენად, ეკონომიკურ განვითარებაზე მსჯელობა ერთი რომელიმე კატეგორიის მაჩვენებლებით შეუძლებელია. აქ უნდა გამოიყოს **ეკონომიკური, სოციალური და თვისებრივი ცვლილებების გამომხატველი** მაჩვენებლები.

ეკონომიკურ მაჩვენებლებს შეიძლება მივაკუთვნოთ: ა) მთლიანი შიდა პროდუქტი, გაანგარიშებული ერთ სულ მოსახლეზე. ბ) შემოსავალი ღარიბი ფენის ერთ სულზე საშუალოდ. გ) ჯინის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენად ახლოს ან შორსაა შემოსავლების უთანაბრობის დონე იდეალურისაგან (სრული გათანაბრებისაგან).

ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ასევე შესაძლებელია გამოვიყენოთ ეროვნული შემოსავალი, წმინდა ეროვნული პროდუქტი, მთლიანი შიდა პროდუქტი, ექსპორტის მოცულობა, ინვესტიციების მოცულობა ინოვაციებზე, განათლებაზე, მეცნიერულ კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებზე და სხვ.

სოციალური მაჩვენებლებიდან შეიძლება გამოვყოთ: ა) ადამიანის განვითარების ინდექსი (Human Development Index); **ბ) საშუალო და უმაღლესი განათლების მოცვის ხარისხი; გ) გაზეთების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე; დ) დასაქმების დონე სპეციალობის მიხედვით; ე) ელექტროენერგიისა და სხვათა მოხმარება ერთ სულზე; ვ) ადამიანთა საშუალო რაოდენობა ერთ ოთახზე; ზ) ცხოველური ცხიმის მოხმარება ერთ სულზე დღეში; თ) სიცოცხლის ხანგრძლივობა; ი) შობადობის საერთო კოეფიციენტი; კ) დემოკრატიული ინსტიტუტების სიმყარე და სხვ.**

თვისებრივი ცვლილებების გამომხატველ მაჩვენებლებად შეიძლება მივიჩნიოთ: ა) საკუთრების ფორმების ცვლილება. ბ) ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. გ) საწარმოთა რესტრუქტურიზაცია. დ) საწარმოთა პრივატიზება; ე) საწარმოთა რეკონსტრუქცია-გადაიარაღება. ვ) ინსტიტუციური ცვლილებები. ზ) ინოვაციებზე გაწეული ინვესტიციების ხვედრითი წილი ინვესტიციების საერთო მოცულობაში. თ) განათლებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პრო-

დუქტში. ი) მეცნიერების განვითარებაზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში. კ) განათლების დონე. ლ) პროგრესული სტრუქტურული ცვლილებები და სხვ.

ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების ინფრასტრუქტურა მოიცავს რეგულირების სახელმწიფო ორგანოებს და რგოლებს, ასევე დამოუკიდებელ მარეგულირებელ კომისიებს.

ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებათა სისტემა უნდა აერთიანებდეს ისეთ სახელმწიფო პროგრამებს, როგორიცაა: **ეკონომიკის უსაფრთხო განვითარების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების, ინოვაციების სახელმწიფო სტიმულირების, განათლების ეკონომიკური უზრუნველყოფის, დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესების, მცირე ბიზნესის განვითარების, სოფლის მეურნეობის განვითარების, საერთაშორისო ურთიერთობათა გაღრმავების, ენერგეტიკის განვითარების, ადამიანისეული კაპიტალის სრულყოფისა და რაციონალური გამოყენების, რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვისა და სხვა პროგრამებს.**

ეკონომიკური განვითარების ეფექტიანი სახელმწიფო რეგულირების პროცესი აუცილებლად მოითხოვს გამართული **კონტროლის სისტემის** არსებობას. იგი უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ დარღვევებისა და ხარვეზების გამოვლენას, არამედ მათი აღმოფხვრის გზების განსაზღვრასაც.

საქართველოს ეკონომიკამ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში დიდი ცვლილებები განიცადა. ეს ცვლილებები გამოწვეული იყო არა მისი ევოლუციური განვითარების, არამედ მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური გარდაქმნის – პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შედეგად. უნდა ვაღიაროთ, საქართველოში პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია მეტად მტკივნეულად დაიწყო და ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან გარდაქმნები თითქმის ყველაზე ხანგრძლივი სწორედ ჩვენთან აღმოჩნდა. რომ მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორის გავლენის გამო დღეისათვის, ჯერჯერობით, საუბარი გვიხდება არა იმდენად მდგრადი ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე, რამდენადაც კრიზისული სიტუაციების თავიდან აცილებაზე. ამის გამოხატულებაა ის, რომ დღეისათვის სახეზეა: **საბაზრო ინსტიტუციების განვითარების დაბალი დონე; ეკონომიკის არაპროგრესული სტრუქტურა; ქვეყნის დაბალი კონკურენტუნარიანობა სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური**

საქმიანობისადმი არასათანადო დამოკიდებულების გამო როგორც სახელმწიფოს, ისე ბიზნესის მხრიდან; დემოგრაფიული კრიზისი. ამის დასტურია ისიც, რომ **მშპ-ის მოცულობა წლების განმავლობაში 1990 წლის მაჩვენებელს ძლიერ ჩამორჩება (1994 წელს – 72,5, 1999 წელს – 63,2, 2007 წელს – 59,4 პროცენტით).**[2]

დღეისათვის მდგომარეობა გაართულა რუსეთ-საქართველოს ომმა და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა. ბუნებრივია, ორივე ეს უაღრესად მასშტაბური მოვლენა დიდ გავლენას მოახდენდა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაზე. საქართველოს ეკონომიკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ორივე დარტყმას ძირითადად გაუძლო, იგი არ გადაიზარდა ფართომასშტაბიან ეკონომიკურ კრიზისში. თუმცა, გავლენის შედეგები მაინც სახეზეა.

მეცნიერ-მკვლევართა გარკვეული ნაწილის აზრით, ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია. **ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამჟამად საქართველოში სისტემური ეკონომიკური კრიზისი არ არის. დღეისათვის, ომისა და გლობალური საფინანსო კრიზისის გამო, ძირითადად ჩამოყალიბდა საკრედიტო-საინვესტიციო კრიზისი, თუმცა მისი დაძლევა საერთაშორისო დახმარებების (რომელიც თითქმის 4,5 მილიარდი აშშ დოლარის ტოლია) მეშვეობით (თუ ეს დახმარებები გონივრულად იქნება გამოყენებული) მოკლე დროშია შესაძლებელი [2, გვ. 6].**

საქართველოში, მდგრადი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, განსკუთრებით მნიშვნელოვანია **დემოგრაფიული** და **ეკოლოგიური** მდგომარეობა. დემოგრაფიული ვითარება მსოფლიოს განვითარებად სახელმწიფოებთან შედარებით საპირისპიროა. ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, მოსახლეობის რიცხოვნობის არა თუ ზრდა, არამედ შემცირება შეინიშნება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობა შესაძლებელია 2050 წლისათვის 2 მილიონამდე შემცირდეს, რაც ქვეყნისათვის კატასტროფა იქნება. დემოგრაფიულ სიტუაციას ართულებს ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი შრომით ემიგრაციაში იმყოფება.

---

[2] საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მასალები და [8, გვ. 19].

ეკოლოგიური თვალსაზრისითაც საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ იგი არაერთ საერთაშორისო კონვენციასა და ხელშეკრულებასაა მიერთებული, მნიშვნელოვანი სამუშაო არ ტარდება. ის მემკვიდრეობა, რომელიც ქვეყანამ ამ სფეროში მიიღო, ძირითადად კვლავ გრძელდება. წარსულში მთავარი ყურადღება ხომ სიმძლავრეთა ზრდას და არა მის ეკოლოგიურ მხარეს ექცეოდა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია მყარი საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბება. ბიზნესი უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფოს არაეკონომიკური ხასიათის ჩარევებისაგან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკის რეალური სფეროს განვითარებას, უცხოური დახმარებების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ სექტორში უნდა წარიმართოს.

მხოლოდ განვითარებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება მოგვცემს საშუალებას, განვახორციელოთ მდგრადი ეკონომიკური განვითარების მოთხოვნები, გადავჭრათ საზოგადოებისა და ბუნების თანაარსებობისა და თანაგანვითარების ამიცანა. ეს კი შეუძლებელი იქნება არსებული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების საფუძველზე საკუთარი მძლავრი სამეცნიერო-ტექნოლოგიური ბაზის შექმნისა და ფუნქციონირების გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ.** ეკონომიკური განვითარება. თბ., "მერიდიანი", 2006.
2. **აბესაძე რ.** პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ეტაპები. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბ., "პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2008.
3. **ბალცეროვიჩი ლ.** თავისუფლება და განვითარება. თბ., 2004.
4. **მექვაბიშვილი ე.** გლობალური ფინანსური კრიზისის საქართველოს ეკონომიკაზე ზემოქმედების ზოგიერთი ასპექტი. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბ., "პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა", 2008.
5. **პაპავა გ.** საბაზრო ეკონომიკის გამოჯანსაღების და ნორმალიზა-

ციისათვის საქართველოში. თბ., “ფინანსები”, 2000.

6. **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., “პდპ”, 2002.

7. **პაპავა ვ.** ომის შემდგომი საქართველოს ძირითადი ეკონომიკური პრობლემები. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. თბ., “პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2008.

8. საქართველოს ეკონომიკა: ომის შემდგომი პერიოდი და პერსპექტივები. ჟ. “ბიზნესი და კანონმდებლობა”, № 18, გვ. 19, 2008.

9. **ჩიკვაიძე თ.** საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამა XXI საუკუნისათვის: არსი, შინაარსის ძირითადი პრობლემები. წიგნში: “საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში”, ტ. 1, თბ., 1996.

10. **ჩიკვაიძე თ.** საქართველოს ახალი პარადიგმა: მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგია XXI საუკუნისათვის. კრებულში: “საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში”, ტ. 2, თბ., 1997.

11. **ჩიქავა ლ.** ინოვაციური ეკონომიკა. თბ., “სიახლე”, 2006.

12. **წერეთელი გ. აბესაძე რ.** ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისა და გამოყენების პრობლემები საქართველოში. ჟ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის “მაცნე”. ეკონომიკის სერია. № 3-4, 2004.

13. **Несторенко А.** Современное состояние и основные проблемы институциально-эволюционной теории. «Вопросы экономики», №3, 1997.

14. **Нуреев Р.** Экономика развития: моделы становления рыночной экономики. М., «ИНФРА-М», 2001.

15. **Сухарев О.** Институциональная теория. М., «Экономика», 2007.

16. **Сенгачов В.** Экономическая безопасность. М., «Фин-статинформ», 2002.

17. **Филипенко А.** Экономическое развитие. М., «Экономика», 2001.

18. **Микаэлъ П. Тодаро.** Экономическое развитие. М., «ЮНИТИ», 1997.

19. **Cohen, J.** How Meny People Can the Earth Support? New York, W.W. Norton, 1995.

20. **Simon J.** The Ultimate Resource 2. Princeton, New Jersey: Princeton university Press, 1996.

Abesadze Ramaz

SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT GLOBAL CHALLENGE OF XXI CENTERY

SUMMARY

The term “sustainable economic development” first was used by International Commission of Environment and Development or UNO, led by G. Bruntland, prime-minister of Norway. In 1987 the report of the above mentioned Commission “our mutual future” was spread where the strategy of sustainable economic development was offered. The idea was to continue the uninterrupted development of economy as to improve the satisfaction of demands of present generation, but without doing harm to the existence of future generation. Thus of the concept of sustainable economic development includes three principle moments:

1. the improvement of satisfaction of population demands, especially of the purest part of the world;
2. the creation of advanced technologies and realization of state policy of rational nature use and environmental protection, which will make it possible not to harm natural processes on the earth;
3. the solution of all problems connected with economic development generally, i.e. with the transition to new more perfect state of economy and not only with economic growth.

While working out the state regulation mechanism of economic development, first, it should be defined what are its elements. To our mind the macroeconomic regulation mechanism should include the following elements: legal base of economic development; methods and instruments of macroeconomic regulation; the system of indicators of macroeconomic regulation of economic development; the infrastructure of state regulation of economic development; the system of measures of state regulation of economic development; the system of control of state regulation of economic development etc.

ვლადიმერ პაპავა

“ჰაბი”-ს ცნება და მისი გამოყენება ცენტრალური კავკასიის ქვეყნებისათვის

თანამედროვე მსოფლიოში ვაჭრობის, ბაზრების, საფინანსო სისტემისა და მთელი ბიზნესის გლობალიზაციის პროცესმა (მაგალითად,

[1, 2, Ch. 3-5, 3-6]) დღის წესრიგში სივრცისა და ეკონომიკის სივრცითი ორგანიზაციის პრინციპულად ახალი გააზრების საკითხი (მაგალითად, [7, Ch. 6]) დააყენა.

უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის პროცესის გაღრმავების მიუხედავად, ეკონომიკური განვითარება გეოგრაფიულად უნიფიცირებული მაინც არ გახდა [8, p. 133]; უფრო მეტიც, გეოგრაფიული ფაქტორი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ამა თუ იმ ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობაში [9, p. 6].

ტრადიციულ მიდგომებთან ერთად, რეგიონული ეკონომიკის თეორია და სივრცის გამოყენების ეკონომიკური თეორია მრავალი თანამედროვე შეხედულებითა და თეორიული ნამუშევრით შეივსო (მაგალითად, [10-14]).

ეკონომიკური განვითარების რეგიონული პრობლემების კვლევის სამეცნიერო აპარატი ფართოდ იყენებს "ჰაბის" ცნებას.

ტერმინი ჰაბი (hub) ყველაზე ხშირად გამოიყენება კომპიუტერებისა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართ; კერძოდ, ჰაბში იგულისხმება ერთგვარი ბლოკი, რომელიც ერთიან ტექნიკურ სისტემაში აერთიანებს მის დანარჩენ ნაწილებს და ამით უზრუნველყოფს მთელი სისტემის მუშაობას. ტერმინ ჰაბის ამ მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეკონომისტები მას იყენებენ ერთგვარი ტერიტორიული სისტემის საკვანძო ნაწილის აღსანიშნავად, რომელიც უზრუნველყოფს ამ უკანასკნელის ფუნქციონირებას (მაგალითად, [15]). უფრო განზოგადებული მიდგომის მცდელობის თანახმად, ცნება ჰაბი გაიაზრება, როგორც მართვის ორგანიზაციის ყველაზე სრულყოფილი პრინციპი [16].

ეკონომიკურ და გეოგრაფიულ ლიტერატურაში ჰაბის ცნების ფართოდ გავრცელების მიუხედავად, მისი ზუსტი განსაზღვრება არ არსებობს: ხშირად მას აიგივებენ კვანძთან ("node") (მაგალითად, [17-18]), ან კვანძთან ("junction") (მაგალითად, [11, pp. 129-131]), ანდა სულაც სატრანსპორტო კვანძთან ("transport junction") (მაგალითად, [15, cc. 2-3]).

შემდგომი მსჯელობის სიცხადისათვის ვეცდებით, გავმიჯნოთ "ჰაბი" ("hub") და "კვანძი" ("node", "junction").

კვანძში ("node" და "junction"), როგორც წესი, იგულისხმება უშუალო კონტაქტის არეალში განლაგებული ობიექტების ისეთი ტერიტორიული შეხამება, რომელიც სწორედ მოცემული ლანდშაფტის განვი-

თარებას განსაზღვრავს [19, cc. 55-56]. “კვანძის” (“node”) ცნება გულისხმობს მუდმივ ურთიერთქმედებას ფირმებთან, ოჯახურ მეურნეობებთან და ა.შ., და, რაც ასევე საყურადღებოა, კვანძის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი “ურთიერთობით” სხვა კვანძებთან [17].

უფრო კონკრეტულად, “სამრეწველო კვანძი” (“industrial node”) არის სამრეწველო საწარმოების (ერთი ან რამდენიმე დასახლებული პუნქტის) შეხამება სამრეწველო და სოციალური ინფრასტრუქტურის საერთო ობიექტებთან, რომლებიც, ამავე დროს, განლაგებულია კომპაქტურ ტერიტორიაზე [14, c. 27]. სხვა მიდგომის თანახმად, მოცემული განსაზღვრება შეესაბამება “ეკონომიკური კვანძის” (“economic knot”) ცნებას, ხოლო “სამრეწველო კვანძი” – ეს მხოლოდ სამრეწველო საწარმოთა ბლოკია, რომლებსაც ერთმანეთთან საწარმოო კავშირი აქვთ; ამავე დროს გამოიყენება “ინტეგრალური კვანძის” (“integrated node”) ცნება, რომელიც, “ეკონომიკური კვანძის” შემადგენლობასთან ერთად, შეიცავს მელიორანტულ ელემენტებს (ანუ საშუალებებს, რომლებიც აუმჯობესებს ეკოლოგიურ ვითარებას) [19, cc. 96, 220].

ფართოდ გამოიყენება აგრეთვე ტერმინი “სატრანსპორტო კვანძი”, როგორც სატრანსპორტო კომუნიკაციების გადაკვეთა, როგორც წესი, შეხამებული წარმოებისა და მოსახლეობის კონცენტრაციასთან [14, c. 27]. “სატრანსპორტო კვანძის” უფრო მარტივი განსაზღვრებიდან გამომდინარე, ეს ისეთი პუნქტია, სადაც ერთდება სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთმოქმედი სატრანსპორტო საშუალებების სულ ცოტა ორი ხაზი მაინც [19, c. 215].

კვანძის მოცემული ეკონომიკური განმარტებებისაგან განსხვავებით, ცნება “ჰაბი” გულისხმობს როგორც რაღაც ტერიტორიაზე გარკვეული ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური ფუნქციების კონცენტრაციას, ისე ამ ტერიტორიის ფარგლებში და ფარგლებს გარეთ მდებარე ეკონომიკურ ობიექტებს შორის კავშირის არხების სავალდებულო არსებობას. ამგვარად, ჰაბის ცნება ჩამოყალიბდა, როგორც “სატრანსპორტო კვანძის” (“transportation hub”) განზოგადებული ცნება (მაგალითად, [20]). შემთხვევითი არ არის, რომ ჰაბის ამ თავისებურების აღნიშვნისას, სამეცნიერო თვალსაზრისით, ხშირად იყენებენ ტერმინს “ჰაბი-ღერძი” (“hub-and-spoke”) (მაგალითად, [10, pp. 296-297; 15]).

უფრო ფართო განმარტების თანახმად, ჰაბი – ეს არის სატრანსპორტო კვანძის (“transport junction”), საფინანსო ცენტრის, სამეცნიერო კვლევის ცენტრის, მადალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოების ცენტრისა და საგანმანათლებლო ცენტრის კომბინაცია [15].

სამეცნიერო ლიტერატურაში ჰაბად განიხილება სხვადასხვა ტერიტორიული წარმონაქმნები, მათ შორის ცალკეული სახელმწიფოები (მაგალითად, [21-23]. უფრო მეტიც, ჰაბი შეიძლება იყოს სახელმწიფოთა შედარებით დიდი გაერთიანება, ხოლო მისი ღერძები (“spoke”) – როგორც ცალკეული სახელმწიფოები, ისე მათი ნაკლებად მსხვილი გაერთიანებები; ამის ყველაზე მკაფიო მაგალითებია ევროკავშირი, რომელიც ჰაბის სახით გვევლინება, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც ბოლო დრომდე არ შედიოდნენ ევროკავშირში და გვევლინებოდნენ როგორც ღერძი (იგულისხმება ცალკეული ქვეყნები) ან ბლოკ-ღერძები (“block-spoke”) (იგულისხმება ქვეყნების გაერთიანება) (მაგალითად, [24-27].

ჰაბის ზემოხსენებული მახასიათებლების თავისებურებებიდან გამომდინარე, შეიძლება დავაყენოთ საკითხი იმის შესახებ, თუ მისი როგორი ნაირსახეობანია პერსპექტიული ცენტრალური კავკასიისათვის, რომელიც აერთიანებს სამ სახელმწიფოს – აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს [28].

აზერბაიჯანმა პრაქტიკულად უკვე დაიმკვიდრა ძირითადი რეგიონული სატრანსპორტო ჰაბის იმიჯი (მაგალითად, [29]) და სერიოზულად აცხადებს პრეტენზიას, გახდეს ჰაბი საბანკო საქმიანობაშიც და ბიზნეს-სერვისშიც, მსუბუქ მრეწველობაშიც, სასაწყობე მეურნეობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც [30]. ამავე დროს, ბაქოს ახალ აეროპორტსაც აქვს პრეტენზია, იყოს მთელი კასპიის რეგიონის სატრანსპორტო ჰაბი [30]. არცთუ უსაფუძვლოდ, მიჩნეულია, რომ ბაქოს შეუძლია ამ რეგიონში ცენტრალური ჰაბის ფუნქცია შეასრულოს და ახალი დუბაი გახდეს [31].

საქართველო დაინტერესებულია, რომ კასპიის ნავთობისა და გაზის (და არა მხოლოდ) დასავლეთში ტრანსპორტირება მისი ტერიტორიის გავლით მოხდეს, რაც, იმავდროულად, აზერბაიჯანის ეკონომიკურ ინტერესსაც წარმოადგენს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ეს მარშრუტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს და სხვადასხვაგვარი ტვირთი (არა

მხოლოდ ნავთობი და გაზი) აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და პირიქით მისი ტერიტორიის გავლით იმოძრავებს. კასპიის ნავთობისა და გაზის საქართველოს გავლით თურქეთში ტრანსპორტირება გააფართოებს ამ უკანასკნელის, როგორც ენერგეტიკული რესურსების სატრანსპორტო ჰაბის როლს [32]. ამ აზრს ისიც განამტკიცებს, რომ "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენი კასპიის რეგიონს ევროპის ენერგეტიკული რესურსების ახალი სატრანსპორტო ჰაბის ფუნქციას ანიჭებს [33].

ამავე დროს, საქართველოს მდებარეობამ კავკასიის გავლით ევროპის აზიასთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის გასწვრივ, ამ ქვეყანას ე.წ. "სატრანზიტო ჰაბის" ფუნქცია დაუმკვიდრა [34].

აქ ერთი რამ უნდა დავძინოთ. ცენტრალური კავკასიის ან მთელი რეგიონის ცალკეული ქვეყნის სატრანსპორტო ჰაბთან დაკავშირებით აქ მოყვანილ ლიტერატურაში, ბევრ შემთხვევაში, სამწუხაროდ, "ჰაბი" უფრო მოდის გამო იხმარება და, ჩვენი მოსაზრებით, ბევრად უფრო გამართლებული იქნებოდა ტერმინი "სატრანსპორტო კვანძის" გამოყენება.

სომხეთის, როგორც სატრანსპორტო ჰაბის, ამოქმედების შესაძლებლობანი ბევრად არის დამოკიდებული მთიან ყარაბაღსა და აფხაზეთში კონფლიქტების მშვიდობიან გადაჭრასთან: პირველი ხელს შეუწყობს აზერბაიჯანი-სომხეთი-თურქეთის მარშრუტის გამოყენებას, ხოლო მეორე – რუსეთი-საქართველო-სომხეთი-ირანის სატრანსპორტო ღერძის ჩამოყალიბებას. ზემოხსენებული კონფლიქტების გარდა, ამ პროექტების რეალიზაციის გზაზე სხვა დაბრკოლებებიცაა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ირანიდან მომდინარე მზარდი საფრთხე, რომელიც მეტად სათუოს ხდის ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკურ (და არა მხოლოდ) ურთიერთობაში ამ ქვეყნის უფრო ინტენსიური ჩაბმის მიზანშეწონილობას.

ჰაბის განზოგადებული განმარტებიდან გამომდინარე და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის გათვალისწინებით, საქართველოს ცენტრალურ კავკასიაში "რეგიონული ჰაბის" ფუნქციის შესრულება უწევს: კავკასიის ამ რეგიონში ნებისმიერი პოლიტიკური, ეკოლოგიური, კულტურული, სამეცნიერო და ა.შ. ურთიერთობა და შეხვედრები, რეგიონის სამივე ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობის შემთხვევაში, პრინციპულად, მხოლოდ საქართველოშია შესაძლებელი.

ცენტრალურ კავკასიაში სრულფასოვანი ეკონომიკური ჰაბის შექმნამდე ჯერ კიდევ შორს ვართ, მაგრამ კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრის და რეგიონის მთელი პოტენციური შესაძლებლობების სწორად გამოყენების შემთხვევაში, აგრეთვე იმ პირობით, თუ უცხოური ინვესტიციები სატრანსპორტო-ენერგეტიკული ჰაბის კონტურების განვითარებისათვის იქნება მოზიდული, ყველა საფუძველი იქნება იმის მტკიცებისათვის, რომ ცენტრალური კავკასია თანდათან შეიძლება "ჰაბიღერძის" დატოტვილ სისტემად გადაიქცეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Beck, Ulrich.** What Is Globalization? Cambridge, Polity Press, 2003, Ch. 7.
2. **Held, David, David Goldblatt, Anthony McGrew, and Jonathan Perraton.** Global Transformations. Politics, Economics and Culture. Cambridge, Polity Press, 1999.
3. **Hirst, Paul Q., and Grahame F. Thompson.** Globalization in Question: The International Economy and the Possibilities of Governance. Cambridge, Polity Press, 1999.
4. **Stiglitz, Joseph E.** Globalization and its Discontents. New York, W.W.Norton & Company, 2002.
5. **Горбачев М. С.** и др. Грани глобализации: Трудные вопросы современного развития. Москва, Альпина Паблишер, 2003.
6. **Долгов С. И.** Глобализация экономики: новое слово или новое явление. Москва, «Экономика», 1998.
7. **Castells, Manuel.** The Information Age. Economy, Society and Culture. Oxford, Blackwell Publishers, 1996.
8. **Scott, Allen J.** Regions and World Economy. The Comings Shape of Global Production, Competition, and Political Order. New York. Oxford University Press, 2000.
9. **Enright, Michael J.** The Globalization of Competition and the Localization of Competitive Advantage: Policies toward Regional Clustering. Workshop on the Globalization of Multinational Enterprise Activity and Economic Development, May 15-16, 1998, University of Strathclyde, Glasgow, 1998, online at

http://www.google.com/search?hl=en&lr=&q=Enright+M.+The+Geographic+Scope+of+Competitive+Advantage.+In+Stuck+in+the+Region%3F++Changing+Scales+of+Regional+Identity.+&btnG=Search.

10. **Armstrong, Harvey, and Jim Taylor.** Regional Economics and Policy. Oxford, Blackwell Publishers, 2001.

11. **Fujita, Masahisa, Paul Krugman, and Anthony J. Venables.** The Spatial Economy. Cities, Regions, and International Trade. Cambridge, The MIT Press, 2001.

12. **Krugman, Paul.** Geography and Trade. Cambridge, The MIT Press, 1993.

13. **Krugman, Paul.** Development, Geography, and Economic Theory. Cambridge, The MIT Press, 1997.

14. **Гранберг А. Г.** Основы региональной экономики. Москва, ГУ ВШЭ, 2004.

15. **Сергеев В.** Проблемы глобализации, 2001, на сайте http://www.igrunov.ru/cat/vchk-cat-bibl/round_tab/vchk-cat-bibl-roundtab-sergeev_habs.html.

16. **Viskovic, Elvis.** Pyramids, Labour and The Hub Theory. Members for Democracy Archive, 2004, online at http://www.ufcw.net/articles/docs/2004-08-27_hub_theory.html.

17. **Felsenstein, Daniel, Eike W.** Schamp, and Arie Shachar. Emerging Nodes in the Global Economy: An Introduction. In: Emerging Nodes in the Global Economy: Frankfurt and Tel Aviv Compared. Ed. by Daniel Felsenstein, Eike W. Schamp, and Arie Shachar. The GeoJournal Library, Vol. 72. Dordrecht, Kluwer Academic Publishers, 2002.

18. **Schamp, Eike W., Ursula Rachor-Hagelueken, and Alexander Grimm.** The Frankfurt Metropolitan Region as a Market Hub. In: Emerging Nodes in the Global Economy: Frankfurt and Tel Aviv Compared. Ed. by Daniel Felsenstein, Eike W. Schamp, and Arie Shachar. The GeoJournal Library, Vol. 72. Dordrecht, Kluwer Academic Publishers. Schamp, Rachor-Hagelueken, Grimm, 2002.

19. **Алаев Э. Б.** Социально-экономическая география: понятийно-терминологический словарь. Москва, «Мысль», 1983.

20. **Herzog, Adrian.** An Introduction to Matrix Theory for Passenger Trains. UPRA, 2000, online at http://www.unitedrail.org/pubs/reorganize/matrix.htm.

21. Lee, Kang-Kook. Korea, Northeast Asian Economic Hub Country? A Critical Study of the New Government Strategy. Ritsumeikan International Affairs, Vol. 2, 2004, online at http://www.ritsumei.ac.jp/acd/re/k-rsc/ras/pdf/Internatioinal_Affairs/vol2/001-26_Lee.pdf.

22. Philips, Stanley. Lithuania: Trade Hub of the Baltics – Includes Related Articles on Free Economic Zones and Free Trade Agreements in Lithuania. *Find Articles*, April, 1999, online at http://www.findarticles.com/p/articles/mi_m3723/is_4_11/ai_54657019.

23. **Philips, Stanley.** Lithuania: Trade Hub of the Baltics. FASonline, October 14, 2004, online at http://www.fas.usda.gov/info/agexporter/1999/articles/lithuani.html.

24. **Adam, Antonis, Theodora S. Kosma, and Jimmy McHugh.** Trade liberalization Strategies: What Could South Eastern Europe Learn from CEFTA and BFTA, 2003, online at http://www.etsg.org/ETSG2003/papers/adam.pdf.

25. **Benedictis, Luca de, Roberta de Santis, and Claudio Vicarelli.** Hub-and-Spoke or Else? Free Trade Agreements in the 'Enlarged' European Union. The European Journal of Comparative Economics, Vol. 2, No. 2, 2005.

26. **Enders, Alice, and Ronald J. Wonnacott.** The Liberalization of East-West European Trade: Hubs, Spokes and Further Complications. The World Economy, Vol. 19, No. 3, 1996.

27. **Wonnacott, Ronald J.** Trade and Investment in a Hub-and-Spoke System vs. a Free Trade Area. The World Economy, Vol. 19, No. 3, 1996.

28. **ისმაილოვი ელდარ, პაპავა ვლადიმერ.** ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. თბილისი, "დიოგენე", 2007.

29. **Derr, Kenneth T.** Commitment in the Caspian – A Chevron Perspective on Energy and Economic Development. Chevron Corporation, Speech to the Asia Society, October 20, 1998, online at http://agitprop.org.au/stopnato/19990524oil03.php.

30. **Escudero, Stanley.** Hub for the 21st Century. Azerbaijan's Future Role in the Caspian Basin. Azerbaijan International, No. 10.2, 2002, online at http://www.azer.com/aiweb/categories/magazine/ai102_folder/102_articles/102_caspian_hub_escudero.html.

31. **Escudero, Stanley.** Visions of Baku. Future Hub of the Caspian. Azerbaijan International, No. 9.3, 2001, online at http://www.azer.com/aiweb/categories/magazine/93_folder/93_articles/93_stanley_escudero.html.

32. **Boucher, Richard.** Opening of Caspian Basin Pipeline. United States Welcomes Opening of Caspian Basin Pipeline. International Information Programs, USINFO.STATE.GOV, Europe and Eurasia, May 25, 2005, online at http://usinfo.state.gov/eur/Archive/2005/May/25-468295.html.

33. **Yevgrashina, Lada.** BP Starts Work on Baku-Geyhan Oil Pipeline. The Turkish Times, October 1, No. 308, 2002, online at http://www.theturkishtimes.com/archive/02/10_01/f_ceyhan.html.

34. **Ivakhnenko, Igor.** Southern Hospitality: Caspian Exporters Encourage Infrastructure Developments in Georgia. Publications RE, 2005, online at http://www.rusenergy.com/eng/export.htm.

Papava Vladimer

THE CONCEPT "HUB" AND ITS APPLICATION TO THE CENTRAL CAUCASUS

SUMMARY

Research of the regional problems of economic development makes wide use of the concept "hub."

Despite the widespread use in the economic and geographic literature of the term "hub," it unfortunately does not have a precise definition. It is frequently identified with the term "node" or "junction," or even with "transport junction." For the sake of clarity, in the paper I try to draw a line between the concepts of "hub" and "node, junction."

Node and junction imply a territorial combination of facilities located, as a rule, in an area of direct contact, which defines the development of the particular landscape. The term "node" presumes constant interaction with companies, households, and so on, and most important, the significance of a node is defined by its interrelations with other nodes.

In contrast to these economic interpretations of "node," the concept "hub" implies both the concentration of certain interrelated economic functions in a certain territory, and the mandatory presence of channels of interaction among the economic entities within or beyond this territory. According to a wider interpretation of hub, it is a combination of transport junction, financial center, center of scientific studies, center for producing high-tech products and, educational center.

Based on the special features of the above-listed characteristics of hub, we can ask which of its versions best applies to the Central Caucasus.

Azerbaijan has essentially already secured its image of the main regional transportation hub, and is making serious claims to becoming a hub in banking activity, business services, the light industry, warehouse storage, and agriculture. At the same

time, Baku's new airport is also claiming to be a transportation hub for the entire Caspian region. It is justifiably considered that Baku could carry out the function of a central hub in this region and become the next Dubai.

Georgia's geographical location along the transportation corridor connecting Europe with Asia via the Caucasus has endowed this country with the function of a so-called transit hub.

The possibility of activating Armenia as a transportation hub largely depends on the peaceful settlement of the conflicts in Nagorny Karabakh and Abkhazia: the first will facilitate operation of the Azerbaijan-Armenia-Turkey route, and the second, formation of the Russia-Georgia-Armenia-Iran transportation axis.

Based on the generalized definition of hub and taking into account the conflict between Armenia and Azerbaijan, Georgia has to fulfill the function of "regional hub" in the Central Caucasus: any political, environmental, cultural, scientific, and other relations and meetings in this region of the Caucasus, providing all three countries of the region participate, are essentially only possible in Georgia.

The formation of a full-fledged economic hub in the Central Caucasus is still a long way off, but if the conflicts are resolved and all of the region's potential opportunities are used correctly, and if foreign investments are targeted toward developing the contours of a transportation-energy hub, there is every reason to believe that the Central Caucasus can gradually become an extensive "hub-and-spoke" system.

Георгий Папава

РОЛЬ ГЕНЕТИЧЕСКИХ МУЛЬТИОПЕРАТОРОВ В ФОРМИРОВАНИИ ЭКОНОМИК НА ПРИМЕРЕ ПРОМЫШЛЕННОЙ ФИРМЫ

Экономическая функция предпринимательства и менеджмента фирмы должна осуществляться на основе выявления целостного механизма естественного формирования отдачи детерминированных экономических характеристик (технико-экономических и маркет характеристик) производственно-маркетинговой трансформации экономических ресурсов в экономические блага и производственно-маркетинговой трансформации экономических издержек в прибыль фирмы в данный период времени, выступающий как ресурс срока. Вышеназванный механизм обнаруживается путем познания качеств экономических реалий. Тем самым выявляется безупречный метод детерминированного экономического мультианализа, который позволяет изучить количества качественно определённых экономических реалий становления уровня отдачи экономического периоданта* данной фирмы.

Современная теория экономического анализа вообще, представленная, в частности, в публикациях 1997 и 2004 годов, изданных в России [1], [2] содержит, вместо этого, различные методологические подходы и математические приёмы разных авторов, лишь искусственно, формально вписавшиеся в сего-

---

* Экономический периодант – период времени как срокообразующий ресурс, являющийся носителем отдачи экономических реалий, т.е. период времени, фиксирующий своими “рамками” результаты экономических реалий как события формирования экономической отдачи.

дняшнюю рыночную среду. В них игнорируется необходимость обнаружения естественной последовательности формирования целостной системы т.н. факторов-сомножителей (экономических мультиоператоров) и отдается предпочтение таким математическим манипуляциям в экономике, которыми пренебрегается отражение организованности экономики фирмы посредством целостной аналитико-оценочной системы показателей технико-экономических и маркет характеристик. Тем самым искусственно облегчается разрешение проблемы, что указывает на наличие экономического паралогизма[**].

Заявление авторов вышеупомянутых публикаций о том, что “метод цепных подстановок, как и индексный, имеет недостатки, о которых следует знать при его применении. Во-первых, результаты расчётов зависят от последовательности замены факторов” [1, с. 121; 2, с. 223], будучи носителем паралогизма, подтверждает, что из их поля зрения ускользнула необходимость применения генетического подхода в исследовании внутреннего механизма становления экономической реалии. Между тем, в его основе лежит генетическое строение кибернетической природы: операнд, операция, оператор и образ[***]. Следует также заметить, что зависимость результатов расчётов от последовательности замены факторов является не недостатком, а основой учёта степени организованности данной системы.

Рассматривая интегральний метод, доктор экономических наук, известный учёный-аналитик А. Д. Шеремет отмечает, что “этот метод объективен, поскольку исключает какие-либо предложения о роли факторов до проведения анализа” и что “при интегральном методе соблюдается положение о независимости факторов”. [1, с. 133; 2, с. 236]. Это означает, что в системе мультипликационного анализа интегральный метод, исключая какую-либо роль факторов-сомножителей и считая их независимыми друг от друга, опирается на суммати-

---

[**] Экономический паралогизм – (от греческого) непреднамеренная ошибка, допускаемая из-за неспособности учесть всю полноту логики естественного становления реалий смешанной рыночной экономики, которая приводит к ошибочным умозаключениям, а значит, и к ложным правленческим решениям.

[***] “Величина, над которой совершается операция, вызывающая переход в новое состояние, носит название операнда. Новое значение переменной, новое состояние, возникшее в результате воздействия оператора на операнд, именуется образом” [3, с. 53].

ное образование, представляющее собой неупорядоченную сумму, механический набор своих составляющих, а не на целостную систему, сформированную органическим взаимодействием своих составляющих.

Подобный подход становится причиной возникновения экономических паралогизмов.

Во-первых, упомянутый интегральный метод исключает системный подход, согласно которому каждый ингредиент, обладая коренным имманентным свойством, имеет и имманентное интегративное свойство, соответствующее той роли, носителем которой он является в формировании данной системы.

Во-вторых, как могут т.н. факторы-сомножители (экономические мультиоператоры), будучи дробеобразными, существовать независимо друг от друга, в то время как материальная реалия, находящаяся в знаменателе одного дробеобразного сомножителя (экономического мультиоператора) фигурирует в числителе другого?

Для наглядности приведём следующий пример:

$$\bar{q} \times \bar{t} \times \bar{T} \times N_p = Q,$$

где: $\bar{q} = \dfrac{Q}{\Sigma t}$ – средняя выработка продукции одним человеко-часом рабочего (Q – общий объём выпуска продукции; Σt – количество человеко-часов работы рабочих);

$\bar{t} = \dfrac{\Sigma t}{\Sigma T}$ – продолжительность работы в часах в среднем за один рабочий день (ΣT – количество человеко-дней работы рабочих);

$\bar{T} = \dfrac{\Sigma T}{N_p}$ – продолжительность работы в днях в среднем на одного рабочего (N_p – численность рабочих);

$N_p = \dfrac{N_p}{I}$ – численность рабочих на данной фирме (I – одна фирма);

$Q = \dfrac{Q}{I}$ – выработка общей продукции одной фирмой.

Следовательно: $\frac{Q}{\Sigma t} \times \frac{\Sigma t}{\Sigma T} \times \frac{\Sigma T}{N_p} \times \frac{N_p}{I} = \frac{Q}{I}$, т.е. здесь наглядно видна взаимосвязь т.н. факторов-сомножителей (экономических мультиоператоров), а именно, материальная реалия, находящаяся в знаменателе одного дробеобразного т.н. фактора-сомножителя (экономического мультиоператора) фигурирует в числителе другого.

На классификацию так называемых факторов-сомножителей (мультиоператоров) в образовании мультисистемы не должна распространяться классификация конечных экономических результатов производственно-маркетинговой трансформации экономических ресурсов в экономические блага и производственно-маркетинговой трансформации экономических издержек в прибыль с точки зрения их оценки по качественным и количественным признакам. Поскольку экономические результаты являются носителями оценочных свойств с точки зрения их роли в экономике вообще, а так называемые факторы-сомножители (мультиоператоры) – носителями свойств их участия (ролей) в формировании данной экономической системы, выходящей на конечный экономический результат. Целью мультиоператоров (другие авторы называют их факторами-сомножителями) является определение роли каждого из них в системе формирования экономических итоговых величин (конечных экономических результатов), т.е. величин, фиксирующих выходы экономической системы как качественных или как количественных показателей.

Роль показателя конечного экономического результата существенно отличается от роли показателя т.н. фактора-сомножителя (мультиоператора). Задача показателя конечного экономического результата – представить данную характеристику в измеренном виде и облегчить тем самым понимание её состояния и развития. Задача же показателей т.н. факторов-сомножителей (мультиоператоров) – определить степень участия каждого из них в генетически упорядоченной системе становления показателя конечного результата данной экономической системы.

Согласно системной методологии научного познания одна и та же реалия в разных случаях может выступать и в роли конечного результата и в роли мультиоператора. Так как эта реалия, будучи носителем одного и того же коренного имманентного свойства, в разных системах выполняет отличные друг от друга функции (роли), приобретая различные интегративные свойства.

Роль мультиоператора исключает свойство коммутативности. Мультиоператор является ингредиентом генетического построения “триад” (операнда, мультиоператора, образа) экономических реалий, где он осуществляет мультипликационную операцию воздействия на операнд, в результате которой формируется образ. Конечный результат как таковой не является носителем подобной природы, однако он может представать в качестве самостоятельной экономической реалии, которая фигурирует как выход цепочки “триад” экономических реалий данной мультисистемы.

Таким образом, если мы хотим достичь научной точности мышления, предупреждающей возможность образования паралогизмов, нельзя отождествлять понятия показателя конечного результата и показателя мультиоператора.

Генетическая последовательность мультиоператоров в системе становления конечного результата формирования экономики фирмы любой отрасли производства в данный период времени, который предстаёт как срокообразующий ресурс, и без количественного анализа в каждом конкретном случае качественно характеризуется мультипликационной связью между операндом и оператором. Тем самым они ступенчато формируют выход данной системы, в которой образ предыдущей ступени выступает в роли операнда последующей ступени. Подобная цепеобразная взаимосвязь качественно характеризует такую систему как генетическую.

В отличие от плановой экономики, в условиях смешанной рыночной экономики[****] познание качеств экономических реалий, на которое опираются правленческие решения, как правило, доминирует над познанием их количеств.

Периоданто-генетический подход[*****] способен обеспечить любую производственную отрасль экономики типовой системой экономических мульти-

---

[****] Смешанная рыночная экономика – экономическая система, образовавшаяся в результате смешения государственных юридических и юридико-экономических правленческих мер и естественного рыночного механизма взаимоотношений.

[*****] Периоданто-генетический подход – совокупность способов и приёмов рассмотрения воздействий одних экономических реалий на другие, в результате чего в данный период времени, являющийся срокообразующим ресурсом, т.е. в данном периоданте, генетически образуются качественно новые экономические реалии.

операторов, обнаруживая соответствующие экономические характеристики и их показатели, которые выступают в роли операнда, мультиоператора и образа в данной экономической системе определённой производственной отрасли. Тем самым он устраняет необходимость построения различных аналитико-оценочных систем показателей каждый раз перед проведением по усмотрению экономиста-аналитика (-исследователя) экономического анализа данного объекта.

В этом случае вместо суммативного образования показателей т.н. факторов-сомножителей мы будем иметь целостную систему показателей мультиоператоров, которая исключает природу коммутативности. Адекватная оценка реальной экономической действительности требует обнаружения системной закономерности, характеризующей естественное поведение данной реально существующей экономической системы. Без этого наши суждения окажутся лишенными объективного основания, что вызовет опасность появления экономического паралогизма.

Следует подчеркнуть, что речь здесь идет не о классификации как экзогенных (внешних) и эндогенных (внутренних) факторов, а об ингредиентах целостной мультипликационной системы, именуемых мультиоператорами. Исходя из этого, необходимо обнаружить естественную последовательность расположения экономических мультиоператоров в формировании конечного результата данной экономики. Эту необходимость из-за трудностей выявления данной реальной экономической действительности принято обходить стороной. Столкнувшись с этими трудностями, ленивый интеллект, чтобы облегчить себе задачу, начал широко использовать такие чисто математические методы, которые игнорируют вышеупомянутую естественную последовательность экономических мультиоператоров, вуалируя тем самым данную реальную действительность. Подобные формальные математические расчёты приводят, таким образом, к мнимому разрешению данной проблемы.

Нами обнаружен подход, который исключает отступления от реальной экономической действительности, о которых было сказано выше. С его помощью можно выявить естественную последовательность расположения экономических мультиоператоров. А именно, применяя системную методологию научного познания, мы выявили генетическую последовательность экономических мультиоператоров в естественном процессе формирования экономической отдачи периода времени как срокообразующего ресурса. Тем самым ещё раз подтвердилось положение о том, что метод экономического анализа не должен быть

навязан экономическому событию извне. Наоборот, сначала следует умозрительно вникнуть в самую суть данного экономического события и досконально описать механизм его естественного формирования. Это должно привести к открытию надлежащего (адекватного реальной экономической действительности) метода экономического анализа и тем самым - к использованию объективных, безупречных с точки зрения точности порядка расчётов, надёжно обеспечивающих принятие правильных правленческих решений.

Отсюда также следует, что не метод экономического анализа должен быть заменён, частично либо полностью, чисто математическими методами, а экономически направленной модели должна быть придана математическая форма для осуществления дальнейших количественных расчётов. Здесь сугубо математическая направленность порождает экономический паралогизм.

Подобные пробелы характерны для упоминавшихся уже публикаций теории экономического анализа, изданных в России в 1997 и 2004 годах. В этих работах использовано множество математических подходов, в которых не учитывается необходимость исключения свойства коммутативности т. н. факторов-сомножителей (экономических мультиоператоров). Их авторы, осуществляя чисто математические манипуляции, игнорируют требования естественного формирования системы мультиоператоров экономической отдачи, предъявляемые к эффективному методу экономического анализа. А именно: данные экономические мультиоператоры должны быть сопряжены друг с другом через их естественную генетическую последовательность, что исключает их коммутативность. Для подхода, существующего в настоящее время, важно также, чтобы сумма влияний изменений величин т.н. факторов-сомножителей (экономических мультиоператоров) балансировалась с изменением итоговой величины конечного результата их совместного действия. Подходы, используемые авторами названных публикаций, не учитывают того факта, что в реальной действительности в данный период времени, который выступает как срокообразующий ресурс, существующее строение события формирования экономической отдачи должно быть зафиксировано генетической последовательностью, которая исключает обратимость данного процесса. Иными словами, структура математических вычислений здесь резко отличается от реальной структуры формирования экономического события, которое подвергается анализу. Таким образом, неточность применяемого метода экономического анализа, будучи носителем паралогизма, приведёт к принятию ошибочных правленческих экономических решений.

ИСПОЛЬЗОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. **Баканов М.Н., Шеремет А. Д.** Теория экономического анализа. Москва, Финансы и статистика, 1997.
2. **Баканов М. Н., Мельник М. В., Шеремет А. Д.** Теория экономического анализа. Москва. Финансы и статистика, 2004.
3. **Крайзмер Л. П.** Кибернетика. Москва. Экономика, 1977.
4. **Папава Г. В.** Периодантный метод экономического анализа (на примере промышленной фирмы). Тбилиси. Финансы, 2001 (на грузинском языке).

Papava Giorgi

THE ROLE OF GENETIC MULTIOPERATORS IN THE FORMATION OF ECONOMICS ON THE EXAMPLE OF INDUSTRIAL FIRM

SUMMARY

The suggested periodant-genetic approach can dismember and measure every economic multioperator in the genetic formation of economic periodant return of an industrial firm. It makes also possible to measure and manage the effect of organizability of a firm economic system. Hence, a rate of taking and realizing the entrepreneurial and managerial decisions in a given time period acting as a term-forming resource is normalized by the arranged finctioning of an industial firm economy, excluding any fussiness and "rush work". The periodant-genetic approach improves the instruments of management of an industial firm economy and contributes to the streng-

thening of the economic functions of entrepreneurship and firm management. In this case the orientation of entrepreneurs (owners and administrators of the economy of a firm) and managers (leaders of the executive collective of a firm) to take irreproachable economic decisions on the bases of objective evaluation of a given economic situation acquires a special significance. Here the scientifically grounded method of analysis of the final results of an industial firm economy (namely, the final results of the production-marketing transformation of economic resources into a merchandise and economic costs into a profit) should act a decisive role.

რამაზ აბესაძე
ვახტანგ ბურდული

ინოვაციური განვითარების გზები გლობალიზაციის პირობებში

თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში შეუძლებელია ქვეყნის დინამიკური ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა წარმოებისადმი ინოვაციური მხარდაჭერის გარეშე.

ამასთან, წარმოების ინოვაციური მხარდაჭერა საბჭოური სისტემის არსებობის უკანასკნელ ათწლეულში გამუდმებით უარესდებოდა (ზოგიერთი დარგის, ძირითადად, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის, გამონაკლისით), რამაც გამოიწვია საწარმოო და სამომხმარებლო ტექნო-

ლოგიების უმეტესობის მოძველება (განსაკუთრებით მასობრივი მოხმარების საქონლისა და მომსახურების სფეროში). ამავე დროს, განვითარებულ და ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში გამუდმებით ვითარდებოდა ტექნოლოგიები, უფრო სრულყოფილი ხდებოდა არსებული ინოვაციური სისტემები და მათი უზრუნველყოფის მექანიზმები, იქმნებოდა ახლები.

ჩვენი ეკონომიკის ამჟამინდელი რეალური მდგომარეობა ობიექტურად ასახავს ინოვაციური საქმიანობის უკიდურესად დაბალ ეფექტიანობას საბჭოური ეკონომიკის ბოლო პერიოდში. 80-იანი წლების ბოლოსათვის მკვეთრად დაქვეითდა სამამულო პროდუქციის ტექნიკური დონე, აგრეთვე, სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების შექმნისა და გამოყენების ისეთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი, როგორიცაა გამოგონება: იმ შემუშავებების დონე, რომელიც მსოფლიო დონეზე მაღალია, შემცირდა 2,2-ჯერ, რომელიც კი შეესაბამება ამ დონეს – 1,5-ჯერ; იმ შემუშავებების ხვედრითი წილი, რომლებიც მოიცავს გამოგონებებს, არ აღემატება 40%, უკანასკნელების საერთო ოდენობა შემცირდა 1,8-ჯერ, მათი გამოყენების წილი კი – 1,3-ჯერ [9, გვ. 48].

საბჭოთა სისტემის დარღვევის შემდეგ, მოძველებული ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოების უმეტესობა (ზოგჯერ კი საკმაოდ კონკურენტუნარიანი საწარმოებისაც, მაგალითად, სამშენებლო მასალების მრეწველობაში) გაჩერდა რიგი მიზეზის გამო: მოძველებულ პროდუქციაზე მოთხოვნის უქონლობა, პოსტსაბჭოურ სივრცეში ტექნოლოგიური კავშირების რღვევა, ენერგომომარაგების უკმარისობა და სხვ. [14; 16]. ინოვაციების შემუშავების არსებული ეკონომიკური მექანიზმი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად შესუსტდა. ამ სფეროში დაკავებული ბევრი ძლიერი სპეციალისტი სამუშაოდ საზღვარგარეთ გაემგზავრა ან შეცვალა საქმიანობის სფერო. ბოლო პერიოდში ინოვაციური საქმიანობის განვითარებისათვის გარკვეული ზომები ხორციელდება, მაგრამ მას ჯერ არ აქვს სისტემური ხასიათი. იმ დარგებშიც კი, სადაც შეიძლებოდა ადგილობრივი წარმოების საკმაოდ სრულყოფილი ნაკეთობების გამოყენება (მაგალითად, მშენებლობაში) და ბევრი მასალა, რომლის წარმოება შესაძლებელი იქნებოდა საქართველოში, საზღვარგარეთიდან შემოდის. ამ პირობებში ძნელია ვიმსჯელოთ სამრეწველო ექსპორტზე, სასურსათო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზოგიერთი საქონლისა და, აგრეთვე, ზოგიერთი სანედლეულო დარგის გარდა. თუმცა, ბოლო ხანებში დაიწყო ინოვაციური საქმიანობისა და ინოვაციური ცენტრების

შექმნისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, გაიხსნა რამდენიმე თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქარხანა (მაგალითად, მეტალოპლასტიკის ნაკეთობების შემქმნელი ქარხანა, რომლის პროდუქცია დანიშნულია არა მარტო შიდა ბაზრის უზრუნველყოფის, არამედ ექსპორტისათვისაც), მოდერნიზირებულია რამდენიმე მოქმედი ქარხანა, ქ. ქუთაისში უკვე გათვალისწინებულია ტექნოპარკის ჩამოყალიბება და ა.შ.

მხოლოდ ტექნოლოგიების ინოვაციური განახლებისა და ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და გამოყენების საფუძველზე შეიძლება ისეთი დინამიკური კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდას, დააკმაყოფილებს შიდა მოთხოვნის მნიშვნელოვან ნაწილს პროდუქციის პროფილურ სახეებზე, გააუმჯობესებს საექსპორტო-საიმპორტო ბალანსს და უზრუნველყოფს მოსახლეობის მაქსიმალურ დასაქმებას.

აქედან ჩანს, რომ ქვეყანაში საჭიროა თანამედროვე ინოვაციური სისტემის შექმნა (რომელიც ორიენტირებული იქნება "მაღალი დონის" (high level) და "წამყვანი" (leading edge) ტექნოლოგიების გამოყენებაზე ან შემუშავებასა და გამოყენებაზე) განვითარებული და ახალი ინდუსტრიული ქვეყნების გამოცდილების გამოყენების საფუძველზე, გეოეკონომიკური თავისებურებების, სხვა ქვეყნებთან კოოპერაციის შესაძლებლობების, ეროვნული ტრადიციებისა და მენტალიტეტის (როგორც ეს ხორციელდება ყოველ ახალ ინდუსტრიულ ქვეყანაში) გათვალისწინებით. ამასთან, საჭიროა იმ უპირატესობების გამოყენება, რომლებსაც გვაძლევს ნეოლიბერალური გლობალიზაცია და, ამის საფუძველზე, ინოვაციური საქმიანობის სტრუქტურებისა და ფუნქციონირების მექანიზმის ჩამოყალიბების რეგულირების ეფექტიანი სისტემის შექმნის უზრუნველყოფა.

ამჟამად ინოვაციური საქმიანობა (სხვანაირად – სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებები) განვითარებულ და ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში ხორციელდება:

– მსხვილ კორპორაციებში;

– სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში (ლაბორატორიები, ინსტიტუტები, ფონდები);

– საუნივერსიტეტო ლაბორატორიებში;

– ვენჩურული კაპიტალის მეშვეობით;

– ტექნოპოლისებში, ტექნოპარკებში, ინოვაციურ ცენტრებში, ინოვაციების ინკუბატორებში და ა.შ.;

– ინოვაციური საქმიანობის საერთაშორისო კოოპერაციის საფუძველზე, უფრო ხშირად, განვითარებული ქვეყნების ტრანსეროვნული კორპორაციების და ვენჩურული კაპიტალის მეშვეობით, მათი წილობრივი მონაწილეობით უცხოური ქვეყნების სხვადასხვა სახის ინოვაციურ ცენტრებში; ტექნოლოგიებით და ლიცენზიებით ვაჭრობის მეშვეობით, საერთაშორისო დონეზე ფრანჩაიზინგური სისტემის გამოყენებით და ა.შ.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ასევე, ინოვაციის უზრუნველყოფის ეკონომიკურ მდგენელს. იგი მდგომარეობს შესაბამისი სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი ან სხვა ინსტიტუტებით ინოვაციური საქმიანობისა და მათი შედეგების ტექნოლოგიებში ხორცშესხმის პროგრამების შედგენაში, ინოვაციური საქმიანობის რეგულირებისა და სტიმულირების ეკონომიკური მექანიზმის შემუშავებაში.

ინოვაციური საქმიანობის დაფინანსებაში მონაწილეობენ სახელმწიფო, კორპორაციები, ვენჩურული კაპიტალი, სახელმწიფოსა და კორპორაციების მიერ ამ საქმიანობის დაფინანსებისათვის სპეციალურად შექმნილი ფონდები, ბანკები.

ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება განვითარებულ და ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში სხვადასხვა საგადასახადო შეღავათებით ხორციელდება კორპორაციებისათვის, ტექნოპოლისებისათვის და ა.შ., სახელმწიფო ან შერეული (სახელმწიფო და კერძო) სახსრებით, რიგი საუზრუნველყოფო სტრუქტურების შექმნით (ტექნოპოლისებისათვის, ინოვაციების შექმნისა და დანერგვის სხვა სტრუქტურებისათვის, ახლად შექმნილი საქონლის შინაურ ბაზრებზე წაწევისა და ექსპორტის ხელშეწყობის ორგანიზაციებისათვის), სახელმწიფოს მიერ დაფინანსების სპეციალური ფონდების ორგანიზებით ან მათში წილობრივი მონაწილეობით, შეღავათიანი დაკრედიტებით, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნით ინოვაციების დანერგვისათვის.

განვითარებულ ქვეყნებში სტრუქტურულ-ინოვაციური პროცესების სახელმწიფო რეგულირებას ახორციელებენ სპეციალური უწყებები, რომელთა სახელწოდება დროთა განმავლობაში გადაისინჯება, ფუნქციები კი – ფართოვდება. იაპონიაში, მაგალითად, არსებობს მეცნიერებისა და ტექნიკის საბჭო და ამავე სახელწოდების სააგენტო. ბოლო ხანს განვი-

თარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს ორგანოების როლი ეროვნული და რეგიონული დონის ინოვაციური სისტემების რეგულირებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ეკონომიკური გლობალიზაციით წამოყენებული პირობების შესაბამისად. ასე, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში შექმნილია ტექნოლოგიური სტრატეგიის საბჭო და ინოვაციების მხარდაჭერის ცენტრი, საფრანგეთში კი – ეროვნული სამეცნიერო სააგენტო და სამრეწველო ინოვაციების ეროვნული სააგენტო [9, გვ. 21 და სხვ.].

განვითარებულ ქვეყნებში დიდ ყურადღებას ანიჭებენ ინოვაციური საქმიანობის სამართლებრივ და საპროგრამო-ეკონომიკურ უზრუნველყოფას.

აშშ-ში ამ სფეროში ნორმატიული ბაზისის საფუძველია 1976 წლის "კანონი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ეროვნული პოლიტიკის, ორგანიზაციისა და პრიორიტეტების შესახებ". ამავე ქვეყანაში, ინოვაციური პოლიტიკის უფრო ეფექტიანი რეგულირების მიზნით, 1981 წელს მიღებულია "კანონი ეკონომიკური გაჯანსაღების შესახებ", რომელშიც გათვალისწინებულია: სპეციალური წესები და შეღავათები, კომპანიების ხარჯების სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებების წასახალისებლად; სარისკო (ვენჩურული) კაპიტალის ფორმირება იმ სამეცნიერო-საწარმოო პროცესების დასაფინანსებლად, რომლებსაც ახორციელებენ მცირე ფირმები, სამეცნიერო-კვლევითი პარტნიორობის შექმნა. შვეიცარიაში 1983 წლის ოქტომბრიდან არსებობს "კანონი მეცნიერული კვლევების განვითარების შესახებ"; საფრანგეთში 1985 წლის №85-1376 კანონის შესაბამისად, სამეცნიერო კვლევები და ტექნოლოგიური განვითარება აღიარებულია ეროვნულ პრიორიტეტებად [9, გვ. 52, 53 და სხვ.].

ბოლო პერიოდში აშშ-ში ინოვაციური საქმიანობის მოსაწესრიგებლად შემუშავებულია სპეციალური პროგრამა SBIR-i, რომელიც ახალი ინოვაციური პოლიტიკის დასაწყისია. მსგავსი პროგრამები მუშავდება ასევე, ზოგიერთ ახალ ინდუსტრიულ ქვეყანაში. მაგალითად, თურქეთის მთავრობა მისდევს იმ აზრს, რომ ევროპულ სტრუქტურებსა და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციის დომინირებად ფაქტორად გახდება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ეფექტიანი განვითარება. ამის შესაბამისად განსაზღვრულია პერსპექტიული მიზნები: 2023 წლისათვის მსოფლიოს ტექნოლოგიურად ყველაზე განვითარებული ქვეყნების ჯგუფში შესვლა; შემუშავებული იყო პერსპექტიული საპრო-

გრამო საბუთი (Vision 2023 – Science and Technology Strategies), რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების და სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციების მასშტაბურ რეორგანიზაციას. განსაზღვრულია გამოკვლევების პრიორიტეტული სფეროები – საინფორმაციო ტექნოლოგიები, საპროგრამო უზრუნველყოფა, საკომპიუტერო ტექნიკა, ენერგეტიკა, ავტომატიზაცია, ბიოტექნოლოგია, ქიმია და მედიცინა, განსაკუთრებული როლი ენიჭება აეროკოსმოსური დარგის განვითარებას [10, გვ. 102; 6].

უკანასკნელ ორ ათწლეულში მსოფლიოში დაიწყეს ორი ტიპის მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების გამოყოფა: "მაღალი დონის" (high level) ტექნოლოგიები და წარმოებები "წამყვანი" (leading edge) ან, სხვანაირი ტერმინოლოგიით, „საკვანძო" (ან კრიტიკული) ტექნოლოგიები. ეკონომიკური გამოკვლევების გერმანული ინსტიტუტი (DIW) საკვანძო ტექნოლოგიებად თვლის ისეთ ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებისას სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ხარჯების წილი აღემატება გამოშვებული პროდუქციის ღირებულების 8,5%-ს [11, გვ. 14-15] (ინტერნეტ-ტექნოლოგიები, რომლებიც ახდენენ კომუნიკაციების თანამედროვე საშუალებებისა და ინფორმაციული სისტემების პროგრამების უზრუნველყოფას; ბიოტექნოლოგიები, ფარმაცევტიკა და სხვ.; ბოლო პერიოდში მათ დაემატა ნანოტექნოლოგიები, რომელთა შემუშავებაზე სახსრების წილი სწრაფად იზრდება). მაღალი დონის ტექნოლოგიებს კი მიეკუთვნება ისეთები, რომელთა გამოყენებისას სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო ხარჯების წილი შეადგენს გამოშვებული პროდუქციის ღირებულების 3,5–8,5%. მაღალი დონის ტექნოლოგიების რიცხვში შედის მასობრივი მომხმარებლისათვის გამოშვებული პროდუქციის 41 სახეობა (ავტომობილების მშენებლობის, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური და ქიმიური მრეწველობის და სხვ.). ამასთანავე, მეცნიერებატევადი პროდუქციის პრობლემების განხილვისას რიგი წამყვანი საზღვარგარეთული კვლევითი ცენტრი (მაგალითად, აშშ-ის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) მათ ნომეკლატურას განსაზღვრავს თავისუფლად, სპეციალური კრიტერიუმების გამოყოფის გარეშე [11, გვ. 15].

შიდა და საგარეო ბაზრებზე ტექნოლოგიები ვრცელდება სალიცენზიო ფორმით, ტექნიკური დოკუმენტაციის, ტექნიკისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების გადაცემით, უფლებების გადაცემით სამრეწვე-

ლო საკუთრების გამოყენებაზე (მაგალითად, ფრანჩაიზინგის წესით), საინვესტიციო საინოვაციო-ინჟინერინგული ხელშეწყობით, ამასთან, ვენჩურული კაპიტალი, უპირატესად, მცირე და საშუალო ფირმებს ემსახურება.

საერთაშორისო ბაზრებზე, ახალი და არსებითად მოდიფიცირებული საქონლის შექმნის მიზნით, ხორციელდება ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი შემუშავებები; ამ პროცესში, სპეციალიზებული ორგანიზაციების გარდა, მონაწილეობენ ტრანსეროვნული კორპორაციები, მაგალითად, აუტსორტინგის სახით [14, გვ. 56; 4, გვ. 159], ინოვაციურ საქმიანობაში ადგილობრივ საწარმოებთან კოოპერიზებით. მნიშვნელოვნად მცირდება საქონლის საარსებო ციკლი, რაც ხელს უწყობს ინოვაციების შემუშავების სტიმულირებას; სრულიად მსოფლიო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ინოვაციური პროცესის დაჩქარების უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნიკური კოოპერაცია წინასწარ განსაზღვრავს პროგრესს ტრანსეროვნულ, რეგიონულ, ეროვნულ და ლოკალურ დონეებზე მეცნიერულ-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებისა და წარმოებისა და გასაღების მართვის დროს [8, გვ. 54].

კორპორაციების კონკურენცია სულ უფრო მეტად ინაცვლებს მიმოქცევის სფეროდან მათი საწარმოო საქმიანობისა და მეცნიერულ-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებების (ინოვაციურ) სფეროში, ამასთან ერთად, ძლიერდება საქონლის არასაფასო კონკურენციის მნიშვნელობა საფასოსთან შედარებით; წარმოების ძირითადი ფაქტორებიდან (კაპიტალი, ბუნებრივი რესურსები, სამუშაო ძალა, ტექნოლოგიები) პირველ პლანზე თანამედროვე მსოფლიოში (გლობალიზაციის პირობებში) გამოვიდა ტექნოლოგიები, რასაც ადასტურებს მეცნიერებისა და მეურნეების უმეტესობა [8, გვ. 17; 13, გვ. 66]. ამასთან, რიგ მეცნიერს საწარმოო ფაქტორების რიცხვში შეაქვს ცოდნის განმასახიერებელი "ადამიანური ფაქტორი", რომელსაც, ტექნოლოგიებთან ერთად, მთავარ ფაქტორად თვლის [2, გვ. 60–61; 13, გვ. 66]. გლობალიზაციის პირობებში, ტრადიციული საგარეო ვაჭრობისაგან განსხვავებით, საერთაშორისო სამეცნიერო-საწარმოო კოოპერაცია ატარებს მყარ (მტკიცე) პოლიტიკას: ეწევა პროექტების ჭრილში პარტნიორების ერთიანი ინვესტიციების მნიშვნელოვან ეკონომიას; აჩქარებს კოოპერირებული ნაკეთობების შექმნასა და წარმოებას; აფართოვებს პროდუქციის დივერსი-

ფიკაციას; აჩქარებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და ინოვაციური საქმიანობის ტემპებს; აერთიანებს პარტნიორებს ეკონომიკური, ტექნოლოგიური და მეცნიერული ინტერესების, ეკონომიკური ურთიერთსარგებლიანობისა და მაღალი ეკონომიკური დინამიკის მიღწევის საფუძველზე [8, გვ. 56,57].

მაშასადამე, ყველა განვითარებულ და ახალ ინდუსტრიულ ქვეყანაში არსებობს ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის სისტემები, რომელთა სხვადასხვა მხარე მრავალი მეცნიერის გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენს [1; 3; 5; 7; 10; 11; 12] და ა.შ.

აშშ-ის ინოვაციური სისტემა, რომელიც წლების განმავლობაში მუდმივად განიცდის სრულყოფას, მსოფლიოში ყველაზე ეფექტიანია. ამას ადასტურებს: ახალი ტექნოლოგიების შემუშავების მკვეთრად გამოსახული ტენდენცია წარმოებაში მათი დანერგვის მკაფიო მექანიზმით; ინოვაციებზე უზარმაზარი ხარჯები (სახელმწიფო და კერძო, რომლებიც სტიმულირდება სხვადასხვა მექანიზმით). ასე, მაგალითად, ექსპერტების შეფასებით, აშშ-ის წილზე მოდის იმ სახსრების დაახლოებით ნახევარი, რომლებსაც გამოყოფენ განვითარებული ქვეყნები მეცნიერებასა და ტექნიკაზე [11, გვ. 100]. ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის ყველა სტადიაზე ძალიან დიდია სახელმწიფოს როლი, შექმნილია მსხვილი კორპორაციების წახალისების სისტემა ინოვაციების შემუშავების დაფინანსებისა და დანერგვისათვის; 60-იანი წლებიდან დაიწყო ახალი კვლევითი ცენტრებისა და ტექნოპარკების შექმნა (მაგალითად, Silikon Valley, Boston Route 128, Meriland, Colorado); კარგადაა აწყობილი ვენჩურული კაპიტალის მონაწილეობის სისტემა ინოვაციების დაფინანსებასა და დანერგვაში (ძირითადად საშუალო და მცირე საწარმოებში); დამყარებულია კომპანიებს და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების მჭიდრო სისტემა, მაგალითად, საუნივერსიტეტო ლაბორატორიებთან. ფუნდამენტური გამოკვლევების სფეროში კი განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ფედერალურ კვლევით ცენტრებს და ეროვნულ ლაბორატორიებს [9, გვ. 52], რომლებიც ასევე მჭიდროდ არიან დაკავშირებულები კომპანიებთან. სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ჩარჩოებში გათვალისწინებულია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმები. ასე, მაგალითად, ამერიკელი მკვლევრები ღებულობენ უფრო ბევრ პატენტს, ვიდრე მთელი მსოფლიოს დანარჩენი მეცნიერები ერთად. აშშ-ში ხდება არა მარტო ახალი ტექნოლოგიების

შემუშავება, არამედ მათი ინტენსიური გამოყენება. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, აშშ-ში ყოველწლიურად ინერგება უფრო მეტი ინოვაცია, ვიდრე დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში ერთად; ამის გარდა, საგარეო ეკონომიკური შემოსავლების 28%-ს წარმოადგენს ტექნოლოგიების საფასური [11, გვ. 100].

ევროპულ ქვეყნებში მოწინავე ტექნოლოგიების განვითარების პროცესს ახალი ბიძგი მიეცა 70-იანი წლების ენერგეტიკული კრიზისის შემდეგ, თუმცა ამ პერიოდამდეც ინოვაციურ პროცესს დიდი ყურადღება ექცეოდა. უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო გამოკვლევების უფრო ეფექტიანი გამოყენების მიზნით უნივერსიტეტების ფარგლებში შექმნილი იყო შესაბამისი სტრუქტურები. შემდეგ, ევროპის ქვეყნებში დაიწყო მოწინავე ტექნოლოგიების ცენტრების შექმნა, რომელთა ძირითადი მიზანი იყო საუნივერსიტეტო ლაბორატორიების მეცნიერულ-ტექნიკური შემუშავებების წარმოებაში დანერგვის დაჩქარება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების კომერციონალიზაციის გარდა, ევროპაში ინოვაციური სტრუქტურები რეგიონული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. მათ მცირე და საშუალო ქალაქებს დახმარება უნდა გაუწიონ წარმოების რესტრუქტურიზაციის დროს [11, გვ. 101].

სხვა ქვეყნებშიც ასევე დიდი ყურადღება ექცევა ინოვაციური ცენტრების რეგიონულ განლაგებას. ასეთი ცენტრების რეგიონებში განლაგებით, ჯერ ერთი, იზრდება ინოვაციური საქმიანობის ეფექტიანობა მთლიანად ქვეყანაში, ადგილობრივი სპეციალისტების ამ პროცესში გამოყენების შედეგად; მეორე, ასეთი სტრატეგია შესაძლებელს ხდის საწარმოო და ინოვაციური ძალების უფრო თანაბარზომიერ განლაგებას (განთავსებას), რეგიონების ეკონომიკური განვითარების შედარებით გათანაბრებასა და მოსახლეობის მაქსიმალური დასაქმების უზრუნველყოფას.

ასე, მაგალითად, იაპონიაში ტექნოპოლისების შექმნა გამოიწვია როგორც მსოფლიო ასპარეზის ერთ-ერთი ცენტრის საერთო, ასევე ქვეყნის რეგიონული განვითარების სპეციფიკურმა პრობლემებმა [12]. იაპონიაში ტექნოპოლისების იდეა წამოყენებული იყო 1980 წელს. “XXI საუკუნის” ქალაქებმა, როგორც, მაგალითად, Tsukuba Science City, უნდა შეაერთონ ახალი ტექნოლოგიები და რეგიონების მდიდარი კულტურული ტრადიციები, ინოვაციური განვითარების პროგრამის ჩარჩოებში შეიქმნა დაახლოებით 250 “high tech” ასოციაცია, დაიწყო ახალი ავტო-

მაგისტრალების, აეროპორტების, სამრეწველო პარკების, ახალი მეცნიერულ-ტექნოლოგიური კლასტერების მშენებლობა [10, გვ. 101].

2001 წელს აშშ-ის წილმა მეცნიერებატევადი პროდუქციით ვაჭრობაში შეადგინა 19,4%, გერმანიის – 14,4%, იაპონიის – 12,4%. რიგ ევროპულ, აზიურ და ლათინოამერიკულ ქვეყანებში, ინოვაციური პროცესის განვითარებისა და მისთვის დიდი ყურადღების მიქცევის შედეგად, ბოლო წლებში მეცნიერებატევადი პროდუქციით მსოფლიო ვაჭრობაში ლიდერი ქვეყნების წილის შემცირება დაიწყო (განსაკუთრებით ეს შესამჩნევია იაპონიის, გერმანიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მაგალითზე). ამავე დროს, ხდება მეცნიერებატევადი პროდუქციის შექმნის გაფართოება ისეთი ქვეყნების ბაზრებზე, როგორიცაა სამხრეთი კორეა, ფინეთი, შვედეთი და ნიდერლანდები [11, გვ. 15 – გამოცემიდან: Handelsblatt, 2004, November, S.6]. ასევე მეცნიერებატევადი პროდუქციით მსოფლიო ვაჭრობის მოცულობაში იზრდება ისეთი ქვეყნების წილი, როგორიცაა ჩინეთი, მალაიზია, ტაილანდი და სხვ.

ბოლო წლებში, მეცნიერებატევადი პროდუქციის ექსპორტის თანდათანობითი მატებით, ახალი ინდუსტრიული ქვეყნების რიგში სწრაფად შედის ჩვენი მეზობელი ქვეყანა – თურქეთი. 2005 წელს ამ ქვეყანაში მეცნიერებატევადი პროდუქციის რეალიზაციისათვის გამოყოფილია 300 მლნ. დოლარზე მეტი თანხა, ვიდრე 2004 წელს. შესაძლებელია საუნივერსიტეტო ლაბორატორიების დამატებითი საბიუჯეტო მხარდაჭერა 80 მლნ. დოლარის ფარგლებში. მთლიანობაში, გამოკვლევების საბიუჯეტო დაფინანსებამ შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქციის 1%, როდესაც 2004 წელს ამ მიზნით დაიხარჯა მთლიანი შიდა პროდუქციის 0,6%. მიუხედავად კარგი დინამიკისა, ეს მაჩვენებელი ჯერ კიდევ დაბალია განვითარებული ქვეყნების დონესთან შედარებით. ასე, მაგალითად, აშშ-ში საბიუჯეტო დანახარჯები მეცნიერებაზე შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის 3,8, გერმანიაში კი – 3,5%-ს [10, გვ. 103].

თურქეთში, ინოვაციური საქმიანობის განვითარებისათვის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საექსპორტო-სამრეწველო ზონების შექმნას. პირველი ასეთი ზონა შექმნილი იყო ქ. მერსინის მახლობლად, მასში მონაწილეობის უფლება მიიღო 200-ზე მეტმა კომპანიამ (მათ შორის 15% უცხოური კომპანიების მონაწილეობით). მნიშვნელოვანი ზომის ზონები შექმნილია ასევე ანტალიის, ადანის და იზმირის მახლობლად [10, გვ. 101-102 – საიტიდან 15]. ინოვაციურ ზონებს თურქეთში ეწოდება “ტექნო-

პარკები”, გამოიყენება ასევე ტერმინები “ტექნოლოგიების ინკუბატორი”, “მოწინავე ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი”; ამასთან, ყველასათვის დამახასიათებელია ურთიერთკავშირები უნივერსიტეტებთან და სამეცნირო-კვლევით ინსტიტუტებთან [10, გვ.102]. ზემოთ აღნიშნული პროგრამული დოკუმენტის – “Vision 2023 Science and Technology Strategies” – შესაბამისად შექმნილია, ფართოვდება ან ჩამოყალიბების პროცესშია სხვადასხვა რეგიონში ტექნოლოგიური განვითარების კიდევ 16 ზონა [10, გვ. 102-103]. თურქეთის გამოცდილების გამოკვლევა, როგორც მოსაზღვრე ქვეყნისა, რომელთანაც ინოვაციურ სფეროშიც შეიძლება საქმიანი კონტაქტების დამყარება, მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის.

საქართველოში, განვითარებული და ახალი ინდუსტრიული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, საჭიროა ღონისძიებების ისეთი კომპლესის შემუშავება და რეალიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ინოვაციური ცენტრების ორგანიზებას და ფუნქციონირებას, ინოვაციური შემუშავებების კომპანიებში დანერგვას, ასევე, ინოვაციური საქმიანობის გაწევას ქვეყნის მსხვილ კორპორაციებში, მჭიდრო ურთიერთკავშირში სამეცნიერო-კვლევით და ინოვაციურ ცენტრებთან.

განვითარებული ქვეყნების მაგალითის გათვალისწინებით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შეიქმნას სამთავრობო ორგანო, მაგალითად, “ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის ხელშეწყობის ეროვნული სააგენტო”, რომელიც შეიმუშავებს ინოვაციებს, დანერგავს მათ, ხელს შეუწყობს იმპორტის, მეცნიერებატევადი პროდუქციის რეალიზაციასა და მისი ექსპორტის კოორდინაციას.

საჭიროა ინოვაციური საქმიანობისა და მისი შედეგების რეალიზაციის პროგრამის შემუშავება ინოვაციური და ტექნოლოგიების დანერგვის ცენტრების მიზანშეწონილი დაშორიშორების გათვალისწინებით, რეგიონების დინამიკური განვითარების, კერძოდ, მათში მოსახლეობის მაქსიმალური დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით.

პროგრამაში უნდა იყოს ჩამოყალიბებული, დასახული და არგუმენტირებულად დასაბუთებული (სადაც საჭიროა და შესაძლებელი, წლების მიხედვით) შემდეგი პოზიციები:

– ეროვნული პრიორიტეტები ინოვაციების სახეობების განვითარებაში;

– ეროვნული პრიორიტეტები ქვეყანაში შემუშავებული და იმპორტირებული ინოვაციების დანერგვაში;

– ქვეყნის მეცნიერულ-ტექნიკური და ინოვაციური პოტენციალის შესაძლებლობები და მათი განვითარების გზები;

– შესაბამისი ცენტრების ადგილმდებარეობისა და მათი ორგანიზაციის გზების განსაზღვრა;

– მოქმედი მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების გამოყენება (მაგალითად, თურქეთში სამეცნიერო-კვლევითი "მარმარა-ცენტრი" ქ. გებზეში აერთიანებს ცხრა პროფილურ ინსტიტუტს; სტამბულის ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილია უმსხვილესი ტექნოლოგიური პარკი, ძირითადი ინვესტორები, რომელშიც არიან აშშ და ევროგაერთიანების ქვეყნები [10, გვ. 102, 103]) და ახლების შექმნა;

– ინოვაციური ცენტრების განვითარების გზები;

– ინოვაციურ ცენტრებსა და სამრეწველო (სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და ა.შ.) კომპანიებსა და სხვა ობიექტებს (სუბიექტებს) შორის ურთიერთკავშირებისა და ურთიერთობების ეკონომიკური მექანიზმი;

– მსხვილ კომპანიებში ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის სტიმულირების მექანიზმი;

– ინოვაციურ საქმიანობაში საერთაშორისო კოოპერაციისა და ვაჭრობის წახალისების მექანიზმი;

– წინადადებები ინოვაციური საქმიანობის უზრუნველყოფისა და ინტელექტუალური საქმიანობის საკანონმდებლო მოწესრიგებისა და დაცვის შესახებ.

– როგორც ეს ხდება განვითარებულ ქვეყნებში, პროგრამის შემუშავების, შემდეგ კი მისი რეალიზაციის სრულყოფის, პერმანენტული ანალიტიკური დაკვირვებისა და მისი ეფექტიანობის ზრდის გზების შემუშავებისათვის უნდა მოიზიდოს ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და საუნივერსიტეტო ლაბორატორიები.

რაც შეეხება ინოვაციური სტრუქტურების ტიპებს, აქ საჭიროა ხელსაყრელ (შესაფერ) ადგილებში, როგორც ცენტრში, ასევე სხვა რეგიონებში, ტექნოპარკების, ტექნოლოგიების ინკუბატორების, ექსპორტულ-სამრეწველო ზონების შექმნის შესაძლებლობების გამოძებნა [3, გვ. 177-185] როგორც უკვე არსებული ორგანიზაციების, ასევე ახალი

საჭირო (ტექნოლოგიების პროფილის შესაბამისად) ორგანიზაციების შექმნით, რომლებმაც მჭიდრო კავშირში უნდა ითანამშრომლონ შესაბამის ცენტრებთან.

ინოვაციური ცენტრების პროფილის (პრიორიტეტების) შემუშავების დროს, საჭიროა გლობალიზაციის პირობებში ინოვაციური ტენდენციების გათვალისწინება მათი აღქმით (ათვისებით) ეროვნული ტრადიციების და, ასევე, არჩევის დროს რესურსდამზოგი (მასალა- და ენერგოდამზოგი)*, საწარმოო და სამომხმარებლო ტექნოლოგიებისათვის უპირატესობის მიცემის საფუძველზე. უკანასკნელი უკიდურესად მნიშვნელოვანია და ამ გარემოებას სულ უფრო მეტი ყურადღება მიენიჭება სითბური ეფექტის შედეგად გლობალური დათბობის პირობებში [1, გვ. 181-184, 195, 198], კერძოდ, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან [1, გვ. 31, 209].

საბიუჯეტო სახსრების განაწილება (ხარჯვა) ინოვაციურ საქმიანობაზე, მიზანშეწონილია, სპეციალური ცენტრალური და რეგიონული ფონდების მეშვეობით ხდებოდეს, რომელშიც ასევე შეიძლება კერძო კორპორაციული და ვენჩურული კაპიტალის მოზიდვა. მაგრამ ვენჩურული ბიზნესი, რომელსაც მისდევენ მდიდარი გამოცდილების მქონე მეწარმეები, უპირატესობას ანიჭებს დამოუკიდებელ მოქმედებას.

ინოვაციური საქმიანობის განვითარებისათვის მიზანშეწონილია უცხოური კაპიტალის მოზიდვაც, როგორც ინოვაციურ ცენტრებში უშუალო მონაწილეობისათვის (ამისათვის შესაბამისი საინვესტიციო გარემოს შექმნის საფუძველზე), ასევე ინოვაციების "პირდაპირი" ან "ირიბი" აუტსორტინგის გზით.

ინოვაციების "პირდაპირი" აუტსორტინგის ქვეშ ვგულისხმობთ უშუალოდ განვითარებული ქვეყნების ან მათი კომპანიების სახსრებით ქვეყანა-რეციპიენტში ინოვაციური საქმიანობის ცენტრების შექმნას (ამჟამად ბევრი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი სამუშაოდ საზღვარგარეთ გადის, რის გამოც ქვეყანა მნიშვნელოვან პოტენციურ შემოსავალს კარგავს). ასეთი პრაქტიკა ფართოდ გამოიყენება ინდოეთში უც-

---

* რაც, მაგალითად, ნანოტექნოლოგიების და ზოგიერთი სხვა თანამედროვე ტექნოლოგიის ძირითადი თვისებაა.

ხოური კაპიტალის ხარჯზე (ან მონაწილეობით). ინოვაციური ცენტრების შექმნა სწრაფად მატულობს ჩეხეთში, უნგრეთსა და ზოგიერთ სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში.

ინოვაციების "ირიბი" აუტსორტინგის ქვეშ ვგულისხმობთ ქვეყანაში ტრანსეროვნული კორპორაციების ისეთი საწარმოების მოზიდვას, რომლებიც კოოპერაციაში შედიან არა მარტო იმ ადგილობრივ საწარმოებთან, რომლებიც მათთვის კვანძებს, დეტალებს, კომპონენტებს აწარმოებენ, არამედ ინოვაციურ ცეტრებთან, ორგანიზაციებსა და საწარმოებთან, მათ შორის ინჟინერინგულ ფირმებთან.

ინოვაციურ საქმიანობაში საერთაშორისო კოოპერაცია მიზანშეწონილია აშშ-ის და სხვა განვითარებული ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებსა და ფირმებთან. კოოპერაცია მიზანშეწონილია ასევე მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით თურქეთთან, რომელიც, როგორც ითქვა, სწრაფად შედის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების რიგებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თურქეთის გამოცდილების აღქმა და მისი შესაძლებელი მხარდაჭერა საქართველოში ინოვაციური საექსპორტო-სამრეწველო ზონების შექმნაში. საჭიროა ასევე ვიფიქროთ მეზობელ ქვეყნებთან ინოვაციის სფეროში დივერსიფიკაციის პოლიტიკაზე.

მიზანშეწონილია სპეციალური ბანკებისა და ინოვაციური საქმიანობის მხარდამჭერი ფონდების შექმნა ან სახელმწიფოს მხრიდან სპეციალური შეღავათების მინიჭება იმ ბანკებისათვის, რომლებიც აფინანსებენ ინოვაციურ საქმიანობასა და წარმოებაში მისი შედეგების დანერგვას შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთებით.

სახელმწიფომ არა მარტო წილობრივი მონაწილეობა უნდა მიიღოს ინოვაციური საქმიანობის დაფინანსებაში (შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინოვაციური შემუშავებების დაფინანსება), არამედ უნდა მოახდინოს ინოვაციური საქმიანობისა და საწარმოების (რომლებიც ნერგავენ ინოვაციებს და მათ დამოუკიდებლად შეიმუშავებენ) სტიმულირება შეღავათებისა და სუბსიდიების მინიჭებით, ამისათვის სპეციალურად შემუშავებული მექანიზმების საფუძველზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ.** ეკონომიკური განვითარების ენერგოეკოლოგიური ფაქტორი და ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების მაკროეკონომიკური მექანიზმი საქართველოში. თბილისი, მეცნიერება, 2004.

2. **აბესაძე რ.** ეკონომიკური განვითარების ფაქტორები. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში: "საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში". თბილისი, მეცნიერება, 2004.

3. **ბურდული ვ.** სოციალური და ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია რეგიონულ და ლოკალურ დონეზე. თბილისი, მერიდიანი, 2006.

4. **Бурдули В., Датунашвили Л.** Глобализация и использование ее возможностей в экономическом развитии Грузии. – სოციალური ეკონომიკა, №5, 2007.

5. **Бурдули В., Церетели Г.** Финансовая система Грузии и проблемы развития и структурной организации производства. – Известия АН Грузии. Серия экономическая, №4, 1998.

6. **Долгов І. О., Хрупа В. І.** В широкому спектрі напрямів. – Політика і государство, №8, 2005.

7. **Жуков С.** Роль государства в сотворении южнокорейского чуда. – Росс. эк. журнал, №5, 1993.

8. **Кормнов Ю.** О международной научно-производственной кооперации. – Экономист, №8, 2004.

9. **Лынник М., Еременко В.** К созданию системы правового регулирования инноваций. – Росс. эк. журнал, №2, 1993.

10. **Никитина М.** Модели инновационного развития на примере республики Турция. – МэиМО, №3, 2006.

11. **Семенова Е**. Возможности инновационного типа развития. – Экономист, №3, 2006.

12. **Тацуко Ш.** Стратегия – технополисы. – М.: 1999.

13. **Юданов Ю.** Европейские корпорации в условиях глобализации. – МЭиМО, №11, 2001.

14. **Burduli V.** The Role of Globalization in Reviving the Economy of Countries in Transition. – The Caucasus & Globalization. CA&CC Press, SWEDEN, Vol. 1 (3), 2007.

15. **http://www. die. gov. tr** – თურქეთის რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის საიტი.

16. **Papava V.** Necroeconomics. Universe, Inc. New York Lincoln Shanghai, 2006.

Abesadze Ramaz
Burduli Vakhtang

THE WAYS OF INNOVATIVE DEVELOPMENT IN CONDITIONS OF GLOBALIZATION

SUMMARY

In the article the ways of innovative activity development and introduction of new own and foreign technological open-cast in production are considered.

It is emphasized that last decades of existence of soviet system the technological level of production in its space was falling more and more behind from technological level of developed countries. Owing to a number of reasons and transforming period it was not easy to ensure valuable innovative activities though in last years was beginning to develop indispensable for its functioning infrastructure and was created a few high-technological enterprises. Meanwhile, in the contemporary world of globalization it is impossible to ensure dynamical economic development in country and its

regions without the organization of its effective supporting innovative activity both on the government bodies' and private capital as well.

In this context in the article the experience of developed and new industrial countries in sphere of innovative activities and introduction of its results in the production is investigated, in particular: the experience of creation of diverse centres of innovation and mechanisms of introduction of innovation in production; the experience of innovative activity in large-scale corporations; the experience of participation of venture capital in working out of innovation for their following introduction in the middle and small companies; the systems of international co-operation in innovative activity; the mechanisms of governmental stimulation of innovative activity and introduction of its results in the production; the legal guaranteeing of innovative activity.

On the basis of experience of developed and new industrial countries, in particular, sweeping investigation of Turkey's expedience the system of supporting of innovative activity and introduction of its results in the production is investigated. This system includes: the creation of special government body for co-ordination of innovative activity; the working out of special program of innovative activity and introduction of its results in the production. The program must envisage: the national priorities of development and introduction of varieties of innovative activities; the creation of centres of innovation with taking into account their expedient dispersal with the purpose of regions' dynamical development; the mechanism of governmental stimulation of innovative activity and introduction of its results in production; the ways of international co-operation in innovative activity and introduction of its results in production (the participation of foreign capital in centres of innovation; the import of new technologies by the employers of our countries; the attracting in the country of modern enterprises of transnational corporations); etc. In the article the term of "direct" (the participation in centers of innovation of foreign organizations and companies) and "indirect" (the co-operation of disposing in the country of enterprises in sphere of innovation) outsorting in innovative activity was proposed, etc.

ალფრედ კურატაშვილი

საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის თეორიული საფუძვლები პოსტსაბჭოურ პერიოდში

საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის თეორიული პრობლემების კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ამ ურთიერთობების პრინციპულად ახალ თეორიულ ბაზისს საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის ფილოსოფიურ-სამართლებრივი საფუძვლები წარმოადგენს, რომელთა ეფექტიანი გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია ეკონომიკური სისტემის განვითარება.

ფილოსოფიური, პოლიტიკური, სამართლებრივი და ეკონომიკური აზრის განვითარების მთელი ისტორია ისევე, როგორც საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ფუნქციონირებისა და განვითარების პრობლემებზე მეცნიერთა, პოლიტიკოსთა და ა.შ. თანამედროვე შეხედულებები და მიდგომები ემყარებოდა და ემყარება, როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ, საშუალებათა ფილოსოფიას.

აქვე უნდა გამახვილდეს ყურადღება იმაზე, რომ, ჩვენი ღრმა რწმენით, აღნიშნული შეხედულებები და მიდგომები, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, აშკარა შეცდომაა როგორც მეთოდოლოგიური, ისე თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ შეხედულებებსა და მიდგომებს, რომლებიც რეალურად არსე-

ბობს, სათანადო მეცნიერული ანალიზი სჭირდება, ჩვენ შევეცადეთ ამის გაკეთებას.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად მიგვაჩნია, ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ საშუალებათა ფილოსოფიაში ვგულისხმობთ მეცნიერულად ჩამოყალიბებულ იმ ფილოსოფიურ შეხედულებათა სისტემას, რომელიც, მიზნის ფილოსოფიის და სოციალური მიზნის ფილოსოფიისაგან განსხვავებით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების არსის კრიტერიუმად მიიჩნევს არა მიზანს, არა სოციალურ მიზანს და მის რეალიზაციას, არამედ საშუალებებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მიზნის ფილოსოფია წარმოადგენს პრინციპულად ახალ მეცნიერულ მიმართულებას, რომელიც რადიკალურად განსხვავდება საუკუნეების მანძილზე მთელ ცივილიზებულ სამყაროში დამკვიდრებული მიდგომისაგან, რომელიც საშუალებებს ემყარება.

ამრიგად, საშუალებათა ფილოსოფიის თანახმად, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი (საზოგადოებრივ-პოლიტიკური) სისტემების განსხვავების კრიტერიუმი არის საშუალებები, მაშინ, როდესაც მიზნის ფილოსოფიის თანახმად, მიზანი, ჩვენი აზრით, არის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების განსხვავებისა და ამ სისტემების კლასიფიკაციის ერთადერთი სწორი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი.

ამასთან, ჭეშმარიტად ადამიანური მიზნის ფილოსოფია საშუალებათა ფილოსოფიასთან შედარებით გზას უჩვენებს თეორიას და პრაქტიკას როგორც მეცნიერულ კვლევაში, ისე ეკონომიკური სისტემისა და მთლიანად საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის სწორი მიმართულებით მართვაში.

საშუალებათა ფილოსოფიის პრაქტიკული გამოვლინებაა ფაქტები, როდესაც საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სისტემებს ერთმანეთისაგან განასხვავებენ საშუალებებით, კერძოდ, ტექნიკით, სახელმწიფოს ინდუსტრიული განვითარების დონით, საკუთრების ფორმებით, მართვის მეთოდებით და ა. შ.; ხოლო მიზნის ფილოსოფიის პრაქტიკული გამოვლინება საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების ერთმანეთისაგან განსხვავებაა არა საშუალებების, არამედ მიზნის საფუძველზე.

მიზნის ფილოსოფიის გამოვლინებას წარმოადგენს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების განსხვავება იმ მიზნის საფუ-

ძველზე, რომელსაც ესა თუ ის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემა ემსახურება: ემსახურება ის სოციალურ მიზანს – ხალხის ინტერესების რეალიზაციას, თუ – ეკონომიკურ მიზანს – ფულს, მოგებას, კაპიტალს?!

ამასთან, ეკონომიკური მიზნის ფილოსოფია, ფაქტობრივად, საშუალებათა ეკონომიკური თვითმიზნის ფილოსოფიაა, რაც, საბოლოო ჯამში, ისევ საშუალებათა ფილოსოფიის გამოვლინების გარკვეულ სახესხვაობაზე დაიყვანება.

რაც შეეხება სოციალური მიზნის ფილოსოფიას, ის ფილოსოფიურ შეხედულებათა სისტემაა, რომელიც, ისევე, როგორც მიზნის ფილოსოფია, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი წყობილების არსის კრიტერიუმად მიიჩნევს არა საშუალებებს, არამედ მიზანს, რომელსაც ესა თუ ის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემა ემსახურება [2].

ამასთანავე, სოციალური მიზნის ფილოსოფია მიზნის ფილოსოფიისაგან იმით განსხვავდება, რომ თუ მიზნის ფილოსოფია წარმოადგენს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემების განსხვავების კრიტერიუმს და მათი კლასიფიკაციის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს და, თუ მიზნის ფილოსოფიას საერთოდ, ფაქტობრივად, მიეკუთვნება როგორც სოციალური მიზნის ფილოსოფია, ისე ეკონომიკური მიზნის ფილოსოფია, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, საშუალებათა ფილოსოფიის პრაქტიკული გამოვლინების გარკვეულ სახესხვაობას წარმოადგენს, სოციალური მიზნის ფილოსოფია, ამავე დროს, არის პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება, რომელიც ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიზნის ფილოსოფიას წარმოადგენს და რომელიც ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველია.

ამრიგად, ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და სახელმწიფოში, ანუ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სისტემაში, რომელიც ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს როგორც მეცნიერულ კვლევაში, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში, სოციალური მიზნის ფილოსოფიაზე დაყრდნობით, უნდა ამოვდიოდეთ სოციალური მიზნიდან და ამ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ფუნქციონირების შედეგების შეფასება, შესაბამისად, უნდა ხდებოდეს სოცი-

ალური მიზნის რეალიზაციის – ხალხის ინტერესების რეალიზაციის – დონის შესაბამისად.

მაშასადამე, სოციალური მიზნის ფილოსოფია – ეს არის ფილოსოფიური სისტემა, რომელიც წარმოადგენს ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების მიზნობრივი მიმართულების თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს.

აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებაში და სახელმწიფოში მიზნის ფილოსოფია – ეს არის ფაქტობრივად სოციალური მიზნის ფილოსოფია, ხოლო იმ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ სისტემაში, სადაც მიზანი ეკონომიკურია – ფული, მოგება, კაპიტალი, იქ მიზნის ფილოსოფია ეკონომიკური მიზნის ფილოსოფიას წარმოადგენს, რაც, ფაქტობრივად, საშუალებათა ფილოსოფიის გამოვლინების აშკარა მაგალითია.

ამასთან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოებში, საზოგადოებასა და სახელმწიფოში მაღალი მოგების მიღების გარეშე წარმოუდგენელია სოციალური მიზნის რეალიზაცია, ანუ იმ მიზნის, რომელიც დამახასიათებელია (დამახასიათებელი უნდა იყოს) ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის. მაგრამ მოგება – მოგების მიღება – ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებასა და სახელმწიფოში, სოციალურ-ეკონომიკური კანონების თეორიის თანახმად [4], უნდა განიხილებოდეს მხოლოდ როგორც სოციალური მიზნის რეალიზაციის აუცილებელი პირობა და არა, როგორც ეკონომიკურ საშუალებათა თვითმიზანი.

ამრიგად, სრულიად ბუნებრივია, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიზნის მიღწევის საშუალებებს, რადგან მიზნის მიღწევა სათანადო საშუალებების გარეშე შეუძლებელია. მაგრამ ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების პრობლემების კვლევისას, აგრეთვე, ამ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის პროცესში, უნდა ამოვდიოდეთ არა ეკონომიკური საშუალებებიდან, როგორც თვითმიზნიდან, არამედ – სოციალური მიზნიდან და უნდა ვეფუძნებოდეთ ამ მიზანს, ამასთან, მისი რეალიზაციის რეალური და პოტენციური საშუალებების გათვალისწინებით.

მაშასადამე, საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის ფილოსოფიურ საფუძველს და მთლიანად ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოე-

ბრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის მშენებლობისა და ფუნქციონირების ამოსავალ და განმსაზღვრელ მეცნიერულ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს არა დამკვიდრებული ფილოსოფია, რომელსაც ჩვენ საშუალებათა ფილოსოფიას ვუწოდებთ, არამედ სოციალური მიზნის ფილოსოფია, რომელიც ასახულია XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან ჩემ მიერ გამოქვეყნებულ თითქმის ყველა სამეცნიერო ნაშრომში და რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს როგორც მეცნიერულ კვლევას, ისე საზოგადოების ფუნქციონირებას – საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვას.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს აქ იმ გარემოებას, რომ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის მიზნობრივი მიმართულება და ამ სისტემის მიზნის რეალიზაციის დონე ერთდროულად არის აგრეთვე მიზნის რეალიზაციის საშუალებათა განვითარების დონის მაჩვენებელიც, რადგან შესაბამისი რეალური და პოტენციური საშუალებების გარეშე მიზნის რეალიზაცია შეუძლებელია.

მაგრამ ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების პირობებში, რომლისთვისაც დამახასიათებელი უნდა იყოს სოციალური მიზნის რეალიზაცია და არა საშუალებათა თვითმიზანი, უნდა ამოვდიოდეთ მეცნიერულად დასაბუთებული სოციალური მიზნიდან და, ბუნებრივია, უნდა ვითვალისწინებდეთ მისი რეალიზაციის საშუალებებს.

ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს შექმნისა და ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის და, შესაბამისად, ხალხის ინტერესების რეალიზაციისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებასა და სახელმწიფოში კანონის უზენაესობის პრობლემაზე თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში ტრადიციული და დამკვიდრებული შეხედულებების კრიტიკულ ანალიზს, რომელიც თანამედროვე მეცნიერებასა და პოლიტიკაში ფაქტობრივად გადაწყვეტილად ითვლება, რომლის სამართლიანობა თითქოსდა ეჭვს არ ექვემდებარება.

სინამდვილეში კი, ჩვენი ღრმა რწმენით, როგორც მეცნიერულ კვლევაში, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში, ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორიიდან გამომდინარე, აუცილებელია, ვხელმძღვანელობდეთ არა კანონის უზენაესობით, არა საშუალებათა უზენაესობით, არამედ მიზნის უზენაესობით – სოციალური მიზნის უზენაესობით, ადამიანის ინტერესების უზენაესობით, რაც წარმოადგენს

პრინციპულად ახალ მეცნიერულ მიმართულებას ფილოსოფიურ, იურიდიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებებში, რომელიც გამომდინარეობს მიზნის ფილოსოფიიდან და სოციალური მიზნის ფილოსოფიიდან (და არა ფილოსოფიიდან, რომელსაც ჩვენ საშუალებათა ფილოსოფიას ვუწოდებთ), აგრეთვე, რომელიც გამომდინარეობს სოციალურ-ეკონომიკური კანონების თეორიიდან, სოციალურ-ეკონომიკური მართვის თეორიიდან და ა. შ.

ამრიგად, კანონის უზენაესობა, როგორც ცნობილია, საყოველთაოდ აღიარებულია თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში.

მაგრამ კანონის უზენაესობა, არცთუ იშვიათად, სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნის ხალხის ინტერესების რეალიზაციის საქმეში, ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ინტერესების დაცვაში, ხოლო ზოგჯერ ხალხის ეკონომიკურ გენოციდს და დამონებას იწვევს.

თუმცა ზემოაღნიშნული სულაც არ ნიშნავს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვაში კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების გამოყენების აუცილებლობის უარყოფას.

ზემოაღნიშნული არ ნიშნავს, აგრეთვე, უკანონობის წინააღმდეგ უმკაცრესი ბრძოლის აუცილებლობის უარყოფას.

მაშასადამე, მსჯელობა აქ მხოლოდ იმაზე მიდის, თუ ვის ან რას უნდა ეკუთვნოდეს უზენაესობა საზოგადოებასა და სახელმწიფოში (!?), რასაც პრინციპული მეცნიერულ-თეორიული, პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, და რაც უშუალოდ არის დაკავშირებული ყოველი ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის პრობლემასთან.

კანონის უზენაესობის პრობლემა, კანონშემოქმედებისა და კანონების გამოყენების პრობლემა საზოგადოებასა და სახელმწიფოში განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობს ბაზრის, ფულის, მოგების, კაპიტალის ბატონობის პირობებში, როდესაც ყიდვა-გაყიდვას ექვემდებარება ყველა და ყველაფერი.

ასეთ პირობებში, ზოგიერთი ყოფილი და ამჟამინდელი სახელმწიფო მოხელე, ან სხვა პირები, რომლებიც ხალხის ძარცვის ხარჯზე გამდიდრდნენ, ზოგჯერ მაღალ სახელმწიფო თანამდებობებს აღწევენ ხელისუფლებაში, რომლებიც მათ შეიძლება, ერთი მხრივ, იმისათვის გამოიყენონ, რომ თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა ჩადენილი დანა-

შაულებებისათვის და, მეორე მხრივ, – ნაძარცვი სახსრების უკანონოდ „დაკანონების“ ან ხალხის შემდგომი ძარცვისათვის.

ამიტომ, ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია [3], ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური თეორიაა, რომელიც საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს და განსაზღვრავს ადამიანის ადგილს ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებასა და სახელმწიფოში.

ადამიანის ინტერესების დაცვის, აგრეთვე, საბაზრო ურთიერთობებისა და მთლიანად საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად მეცნიერულ მიმართულებას და აუცილებელ ინტელექტუალურ საფუძველს წარმოადგენს აგრეთვე თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია [1].

თანამდებობის პირთა უფლებებთან დაბალანსებული იურიდიული პასუხისმგებლობის პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების, აგრეთვე, სამართლებრივი მექანიზმების შექმნა სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებისა და საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

ადამიანის პიროვნული პოტენციალის რეალიზაცია, მიმართული თვით ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციაზე, ობიექტური აუცილებლობით მოითხოვს მისი პრაქტიკული განხორციელების შესაბამისი თეორიულ-სამართლებრივი საფუძვლების შექმნას.

ამასთან დაკავშირებით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოებრივი მოწყობის ფილოსოფიურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლების გახსნას.

მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ არა საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის ორგანიზაციის ფორმას, არამედ სახელმწიფოებრივი მოწყობის შინაგან მიზნობრივ მიმართულებას – მიზანს, რომელსაც ის ემსახურება.

თუ სახელმწიფო, მიუხედავად მისი მართვის ორგანიზაციის ფორმისა, ემსახურება ყოველი ადამიანის ინტერესების რეალიზაციას და, მაშასადამე, თუ სახელმწიფო ქმნის ადამიანის პიროვნული პოტენციალის გახსნისა და რეალიზაციის პოლიტიკურ, სამართლებრივ, ორგანი-

ზაციულ და სოციალურ-ეკონომიკურ საფუძვლებს და მექანიზმებს, მაშინ ასეთი სახელმწიფო ჭეშმარიტად ადამიანური სახელმწიფოა.

კერძოდ, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების თეორიისა და ჭეშმარიტად ადამიანური სახელმწიფოს თეორიის შესაბამისად, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობისა და ფუნქციონირების საქმეში ყველა გზა, ფორმა და მეთოდი გამართლებულია, თუ ისინი ემსახურებიან სოციალურ მიზანს – ადამიანის ინტერესებს (საზოგადოების ყველა წევრის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს), და, ამავე დროს, თუ ისინი გამორიცხავენ ანტისოციალურ, ანტიჰუმანურ, ანტიზნეობრივ მოვლენებს [4; 5].

ამასთან ერთად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ სოციალური მიზნის რეალიზაცია ავტომატურად – თავისთავად – არ ხდება. ის შეიძლება ცხოვრებაში განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლებისა და მექანიზმების შექმნის მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს სოციალური მიზნის რეალიზაციას და, აგრეთვე, ის შეიძლება განხორციელდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის შესაბამისი ორგანიზაციის მეშვეობით.

ადამიანის – საზოგადოების ყველა წევრის – ინტერესების დაცვის აუცილებელ, თუმცა არასაკმარის, პირობას ადამიანის პიროვნული პოტენციალის რეალიზაციისა და, ამავე დროს, მთლიანად საზოგადოების ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირება.

მაგრამ, სამწუხაროდ, მოქმედ სამართლებრივ თეორიასა და პრაქტიკაში არ არსებობს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა მათი მოღვაწეობის შედეგებზე, რომელიც დაბალანსებული იქნებოდა მათ უფლებებთან.

ამასთან ერთად, ნებისმიერი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირება, თუ ის ნამდვილად ხალხის ინტერესების რეალიზაციაზეა გამიზნული, როგორც უკვე აღინიშნა, ობიექტური აუცილებლობით მოითხოვს შესაბამისი თეორიულ-სამართლებრივი საფუძვლებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის – თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების შექმნას, რომელიც დაფუძნებული იქნება თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიაზე.

აღნიშნული თეორიის შესაბამისად, თუ გარკვეული თანამდებობის პირების „მოღვაწეობის“ შედეგად ფაქტობრივად გაიძარცვა, მაგალითად, სახელმწიფოს ხუთმილიონიანი ან ათმილიონიანი მოსახლეობა, მაშინ ეს თანამდებობის პირები უნდა დაისაჯონ – მათ პასუხი უნდა აგონ არა მხოლოდ დაკავებული პოსტებიდან წასვლით, არამედ როგორც მძარცველებმა, რომლებმაც გაძარცვეს, მოცემულ შემთხვევაში, ხუთი ან ათი მილიონი ადამიანი.

ამრიგად, თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხიმგებლობის ბალანსირების სოციალურ-სამართლებრივი და პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია ადამიანის ინტერესების დაცვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი მეცნიერული საფუძველია.

საბაზრო ურთიერთობებისა და მთლიანად საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების ზოგადთეორიული ასპექტების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიაზე, რადგანაც საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას აღნიშნული თეორიის პრაქტიკული გამოყენება წარმოადგენს.

ამასთანავე, თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიის პრაქტიკული რეალიზაციისათვის აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა.

ზემოაღნიშნული თეორიის მოთხოვნები უნდა აისახოს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოთა კონსტიტუციებში, რათა გადაილახოს წინააღმდეგობა, მაგალითად, პარლამენტის წევრთა უფლებებსა (მიიღონ კანონები და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები) და მათი პასუხისმგებლობის მექანიზმის არარსებობას შორის ანტიკონსტიტუციური ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების მიღებაზე, რაც იწვევს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას, ხოლო ზოგჯერ – როგორც ცალკეული ადამიანების, ისე თითქმის მთელი ხალხის ძარცვასაც კი.

რაც შეეხება აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისინიც სრულად უნდა აგებდნენ პასუხს თავისი მოღვაწეობის შედეგებზე, რომლებიც დაბალანსებული უნდა იყოს მათ უფლებებსა და მოვალეობებთან.

კერძოდ, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები პასუხს უნდა აგებდნენ – ისინი ავტომატურად უნდა თავისუფლდებოდნენ დაკავებული თანამდებობებიდან მათ მიერ ანტიკონსტიტუციური ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ან მათში ანტიკონსტიტუციური ნაწილების პროექტების წარდგენისათვის, რადგან თუ სახელმწიფოებრივი თანამდებობის პირები ვერ ერკვევიან ამ აქტების კონსტიტუციურობის საკითხებში, მაშინ მათ არაფერი ესაქმებათ სახელმწიფო ხელისუფლებაში.

ასეთივე, ხოლო ზოგჯერ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც კი უნდა დაეკისროთ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს მათ მიერ ანტიკონსტიტუციური ნორმატიული აქტების ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების როგორც მიღებისათვის და მიღების მხარდაჭერისათვის, ისე აღსრულებისათვის ან აღსრულების მხარდაჭერისათვის, ე. ი. მათი ბრმად აღსრულებისათვის, ყოველი ადამიანის და მთლიანად ხალხის უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების დაცვის მიმართ შედეგების გაუთვალისწინებლად.

სამართლიანობისა და ხალხის ინტერესების უზენაესობის დამკვიდრებაში განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს სასამართლო ხელისუფლებამ, რომელსაც ასევე უნდა ეკისრებოდეს პასუხისმგებლობა მის მიერ თავისი უფლებების გამოყენებაზე – პასუხს უნდა აგებდეს თავისი მოღვაწეობის შედეგებზე, რაც დაბალანსებული უნდა იყოს მის უფლებებსა და მოვალეობებთან.

აუცილებლად მიგვაჩნია აგრეთვე ყურადღების გამახვილება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პრობლემაზე – ე.წ. „მეოთხე ხელისუფლების“ პრობლემაზე („მეოთხე ხელისუფლების“ ბრჭყალებში, რადგან, სინამდვილეში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არ წარმოადგენს ხელისუფლებას, თუმცა ზოგჯერ აქტიურ გავლენას ახდენს ხელისუფლებაზე), რომელსაც, ისევე, როგორც საზოგადოების ნებისმიერ წევრს, უნდა ჰქონდეს და აქვს უფლებები სიტყვის თავისუფლებაზე, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებაზე და ა. შ.

მაგრამ თუ „მეოთხე ხელისუფლების“ თავისუფლება ზღუდავს სხვა პირთა კანონიერ ან საერთოდ ჭეშმარიტად ადამიანურ უფლებებსა და თავისუფლებებს, თუ ის ლახავს სხვა მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, შეურაცხყოფას აყენებს ან თუნდაც არაკორექტულად და უსამართლოდ ეხება ადამიანს, რომელიც არ არის დამნაშავე არც

სხვა ადამიანების, არც საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, და თუ ამით ის არღვევს კონსტიტუციურ მოთხოვნას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ, მაშინ ასეთ „ხელისუფლებას“ თავის მოქმედებებზე უნდა ეკისრებოდეს სრული იურიდიული პასუხისმგებლობა.

თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორიიდან გამომდინარე, ჩვენი ღრმა რწმენით, ყველა ამჟამინდელ და ყოფილ თანამდებობის პირს, რომლებიც მონაწილეობდნენ ანტიკონსტიტუციური კანონების და სხვა ანტიკონსტიტუციური ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ან მათი ანტიკონსტიტუციური ნაწილების მიღებასა და აღსრულებაში, რომლებიც (ე. ი. აღნიშნული სამართლებრივი აქტები) ლახავს ადამიანის უფლებებს, თავისუფლებებს და ინტერესებს, უნდა აეკრძალოთ მომავალში თანამდებობების დაკავება სახელმწიფო ხელისუფლებაში, რაც სათანადოდ იქნება ასახული სახელმწიფოს კონსტიტუციაში (სახელმწიფოთა კონსტიტუციებში) და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებში.

ამრიგად, ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირების თეორია საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის, სოციალური სამართლიანობისა და ხალხის ინტერესების უზენაესობის რეალიზაციის აუცილებელი პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძველია.

აღნიშნული მეცნიერული თეორია, ამავე დროს, პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულებაა, რომელიც საზოგადოების, სახელმწიფოსა და მთლიანად კაცობრიობის ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელ პოლიტიკურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **კურატაშვილი ალფრედ**. თანამდებობის პირთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირება – საზოგადოების ეფექტიანი ფუნქციონირების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი, „მეცნიერება“, 1997.
2. **კურატაშვილი ალფრედ**. მიზნის ფილოსოფია – საშუალებათა ფილოსოფიის ალტერნატივა (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი, „მეცნიერება“, 1997.

3. კურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების დიქტატურის თეორია. ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი მეცნიერული მიმართულება (მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე). თბილისი, „მეცნიერება“, 1997.

4. Кураташвили Альфред А. Объективные основы преимуществ социализма. Теория социально-экономических законов. Тбилиси, “Сабчота Сакартвело”, 1982.

5. Кураташвили Альфред А. Философско-политэкономические миниатюры. Материалы республиканской научной конференции: “Актуальные проблемы… теории” (15-16 мая 1980 г.). Тбилиси, “Мецниереба”, 1980, с. 93.

Kuratashvili Alfred

THEORETICAL PRINCIPLES OF PERFECTION OF MARKET RELATIONS IN THE POST-SOVIET PERIOD

SUMMARY

The scientific work critically considers both available in the history of the mankind and modern views and approaches of scientists, politicians and so on, which were based and are based on the philosophy called by the author the philosophy of the means.

As an alternative of the philosophy of the means the author offers fundamentally new scientific trends created by him in the beginning of the 70-ties of XX century – the philosophy of the goal, as the theoretical-methodological basis of distinction of the social-state systems and as the basis of classification of these systems and the philosophy of the social goal, which represents an initial scientific basis of formation and functioning of the true human society and state and which should be put into the basis of orientation of development of the mankind and social-economic progress.

The scientific work gives the critical analysis of the traditional and established views in the modern civilized world about the problem of the supremacy of the law in the society and the state and proposes the theory of the supremacy of interests of people created earlier by the author.

The scientific work considers the theory of the balance of rights and responsibility of officials created by the author – as the fundamentally new scientific trend and as the necessary intellectual basis of protection of interests of a person and the social-economic progress.

თემურ შენგელია

კონვერგენტული სინთეზი და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში

განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ძირითადი მიზანია მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია. ქვეყანა მიმართავს დია ეკონომიკურ პოლიტიკას, ითვალისწინებს იმ გამოცდილებას, რომელიც 60-იანი წლებიდან დაუგროვდა „აზიურ ვეფხვებს": ტაილანდს, სინგაპურს, ჰონკონგს, რომელთა ეკონომიკური წარმატების საწინდარია ინვესტიციური აქტივობის ზრდა და მიმზიდველი ბიზნესგარემოს შექმნა.

ცნობილი ფილოსოფოსი, მერაბ მამარდაშვილი ქართველთა თაურფენომენალურ საწყისს ჩვენივე ისტორიული დაჩაგრულობით ხსნიდა, ის წერდა: „ჩვენთვის იმდენი ზიანი არ მოუტანია არც მუსლიმანურ სამყაროს, არც მონღოლსა და არაბებს, რაც გვავნო ჩვენმა ერთმორწმუნე, ნათესაურმა კავშირმა რუსულ ეკლესიასა და კულტურასთან" [2]. 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ გენიალური მეცნიერის აზრების ჭეშმარიტება. ამით არის ნაკარნახევი ის, რომ საქართველოს რეალური მომავალი გვესახება მის ინტეგრაციაში ევროპასთან, თანამშრომლობაში ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებთან.

კონვერგენციის თეორიის ძირითადი პოსტულატებიდან გამომდინარე, არც ერთი ღარიბი ქვეყანა არ იქნება მუდმივად სიღარიბეში, ის შეძლებს კონვერგენციას, გათანაბრებას ძლიერ ქვეყნებთან, თუ მასში ტარდება ძლიერი ინსტიტუციური რეფორმები. საქართველოსთვის ასეთი ინსტიტუციური ცვლილებები ორიენტირებული უნდა იყოს ევროპულ ეკონომიკურ სისტემასთან ჰარმონიზაციაზე. ცხადია ისიც, რომ ყველა წარმატებული კონვერგენცია არა უბრალოდ საბაზრო ეკონომიკის, არამედ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხდება. ამდენად, მნიშვნელოვანია იმ რეალობის გათვალისწინება, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს ეკონომიკური ტრანსფორმაციის ეტაპზე ინსტიტუციური

რეფორმების დარგში, რაც საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარების საწინდარი უნდა გახდეს.

2005 წელს დაწყებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა საქართველოს მსოფლიო მასშტაბით დაუმკვიდრა ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი ქვეყნის იმიჯი. იმის ძირითადი მიზეზები, რომ საქართველოში ბიზნესი ესოდენ სწრაფი ტემპით ვითარდება, არის შემდეგი: მასში ჩატარებული ეკონომიკური რეფორმები სისტემურ ხასიათს ატარებს, რის გამოც ის ამ დარგში იმკვიდრებს ლიდერის ადგილს; სტრატეგიული გეოგრაფიული ადგილმდებარეობა ქვეყანას აძლევს ამ მეტად მნიშვნელოვანი რესურსის ათვისებისა და გამოყენების შესაძლებლობას; სტაბილიზაცია განიცადა მაკროეკონომიკურმა გარემომ; შეიქმნა ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმი; ჩატარდა ეფექტიანი საგადასახდო რეფორმა; გამარტივდა ლიცენზირებისა და ნებართვების პროცედურა; ჩატარდა აგრესიული პრივატიზაციული პოლიტიკა; ჩამოყალიბდა კორუფციისაგან თავისუფალი გარემო; ბიზნესში ამოქმედდა კანონიერების მექანიზმები.

მსოფლიო ბანკის 2008 წლის მონაცემებით, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით საქართველომ მსოფლიოს ქვეყნებს შორის 118-ე ადგილიდან მე-18 ადგილზე გადმოინაცვლა, ამავე ორგანიზაციის ექსპერტების შეფასებით, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ ჩაუტარებია 2005-2008 წლებში რეფორმები ესოდენ თანმიმდევრულად და სწრაფად, როგორც ეს შეძლო საქართველომ. მსოფლიო ბანკის და EBRD-ის ერთობლივ გამოკვლევაში – „ბიზნესის გარემო და წარმოება“ ასახულია, რომ საქართველოში 2004-2005 წლებში მოხდა კორუფციის ყველაზე მასშტაბური შემცირება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით საქართველო 161 ქვეყნის ამ მაჩვენებელში აღმოჩნდა 21-ე ადგილზე, ევროპის 41 ქვეყნიდან კი – მე-20 ადგილზე. როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, ბიზნესის, სავაჭრო, ფისკალური, მთავრობისაგან დამოუკიდებლობის, მონეტარული, საინვესტიციო, ფინანსური, სამუშაოს თავისუფლების ინდექსები მერყეობს 99-დან 60-მდე. სულ ეკონომიკური თავისუფლების 10 ინდექსიდან 7-ის მიხედვით, საქართველო ინარჩუნებს მაღალ მაჩვენებლებს.

საქართველო განლაგებულია ევროპისა და აზიის გასაყარზე. თავისი სატრანსპორტო მაგისტრალებით ქვეყანა არის ის ხიდი, რომელიც აკავშირებს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს რეგიონებს. ესენია: ევროპა 495 მილიონიანი მოსახლეობით, შავი ზღვის აუზის ქვეყნები 243 მი-

ლიონიანი მოსახლეობით, თურქეთი – 73 მილიონი, კავკასიის რეგიონი – 16 მილიონი. ამ ქვეყნებს შორის მასზე გადის ყველაზე მოკლე გზა დასავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის ნავთობის, გაზის და სხვა ტვირთების გადასაზიდად. საქართველოს ნავთობისა და გაზის მაგისტრალური მილსადენები, კარგად განვითარებული სარკინიგზო სისტემა, შავი ზღვის პორტები და საჰაერო საერთაშორისო აეროპორტები მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაკავშირების საქმეში. ბოლო წლებში ქვეყანაში მნიშვნელოვნად განვითარდა მაგისტრალური მილსადენების სისტემა. ინგლისურმა კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმმა“ და მისმა პარტნიორებმა საქართველოს 3 ნავთობსადენის და გაზსადენის რეაბილიტაცია-მშენებლობაში დააბანდეს 5 მილიონი დოლარი. 2005 წელს დასრულდა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ მილსადენის მშენებლობა, რომელზეც დაიხარჯა 4 მილიარდი დოლარი. მას შეუძლია დღეში გადაქაჩოს 10 მილიონ ბარელამდე ნავთობი. ეს არის ერთ-ერთი ლიდერი ნავთობსადენი მსოფლიოში, რომელმაც ქვეყანას უკვე 2006 წელს მისცა 7,8 მილიონის მოგება. 2007 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 25 მილიონამდე, ხოლო მომავალში 50 მილიონამდე გაიზრდება. სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენი, რომელიც 2006 წელს გაიხსნა, გაზის ტრანზიტს ახდენს შაჰ-დენიზის საბადოებიდან კასპიის ზღვამდე, საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის გავლით. ეს მილსადენი წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ერთ-ერთ წყაროს, რომელიც ბუნებრივი გაზით რუსეთისაგან დამოუკიდებელი მომარაგების შესაძლებლობას იძლევა. საქართველოს ხვედრითი წილი ამ წყაროთი გაზმომარაგებაში 800 მილიონ კუბურ მეტრამდე გაიზარდა. ევროაზიურ სატრანზიტო დერეფანში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს რკინიგზა, რომელიც კერძო მენეჯმენტში იმყოფება. ის დამაკავშირებელი მაგისტრალია აზიასა და ევროპას შორის. მარტო 2006 წელს საქართველოს რკინიგზამ გადაიყვანა 3,9 მილიონი მგზავრი და გადაზიდა 22,6 მილიონი ტვირთი. ამჟამად ის წარმოადგენს სომხეთის, აზერბაიჯანის და რუსეთის დამაკავშირებელ კვანძს. საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის მთავრობების შეთანხმებით შენდება ბაქო-ყარსი-თბილისის რკინიგზის მაგისტრალი, რომელიც ექსპლუატაციაში შევა 2010-2012 წლებში. მისი ტვირთბრუნვა შეადგენს 15 ათას ტონას წელიწადში. TRACECA-ს (Transportation coridor –

Europe, Caucasus and Asia) პროექტში ფოთის და ბათუმის პორტებს გადამჭრელი როლი ეკუთვნით.

მსოფლიოს პორტების ყველაზე მსხვილი მენეჯერები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ ფოთის, როგორც თავისუფალი ეკონომიკური ზონის, მენეჯმენტის უფლების მოსაპოვებლად. ფოთი და მისი შემოგარენი (დაახლოებით 400 ჰა ფართობი) მისაღწევი უნდა გახდეს მსოფლიოს ბიზნესისათვის, რომლისთვისაც ჯერჯერობით არ არის ათვისებული საქართველოს ისეთი შეფარდებითი უპირატესობა სხვა ქვეყნებთან შედარებით, როგორიცაა მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა და გამარტივებული სავაჭრო რეჟიმი.

მდგრადმა მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელსაც ახორციელებს ხელისუფლება, ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია გამოიწვია. ქვეყანა ვითარდება ძლიერი ეკონომიკური ზრდის მიმართულებით, რაზეც მეტყველებს დიაგრამა, (GDP) დინამიკა 2000-2007 წლებში.



წყარო: ეკონომიკური განვითრების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები. თბ., 2008.

ქვეყანაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სავაჭრო პოლიტიკის პროგრესული განვითარების თვალსაზრისით. ეს აისახა შემდეგში: დაწესდა დაბალი საიმპორტო ტარიფები. ისინი გაუქმდა საქონლის 90 პროცენტზე. 16 ტარიფიდან, გატარებული რეფორმის შედეგად დარჩა მხოლოდ 3; გაუქმდა იმპორტ-ექსპორტის კვოტები; დღგ ადგილოგრივ და იმპორტულ საქონელზე არის გათანაბრებული; ასევეა სააქციზო გადა-

სახადი; შეიზღუდა საექსპორტო და საიმპორტო ლიცენზიების რაოდენობა. 2006 წელს ისინი 14-დან 8-მდე შემცირდა.

საქართველოში მიღწეულია ხელსაყრელი სავაჭრო რეჟიმები, რომლებიც მას მსოფლიო ბაზარზე მიმზიდველს ხდის. ეს იმაში აისახა, რომ: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შემავალ ქვეყნებთან ერთად შემუშავდა ტარიფების ერთიანი სისტემა, რომელიც დაბალია მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით; უპირატესი ვაჭრობის რეჟიმი დაწესდა აშშ-თან, კანადასთან, შვეიცარიასთან, იაპონიასთან.

2005 წელს საქართველომ აამოქმედა ახალი საგადასახდო კოდექსი, რომელშიც მნიშვნელოვნად შემცირდა საგადასახადო განაკვეთები. საგადასახადო სისტემაში მოხდა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებები: 2007 წელს გადასახადების რაოდენობა შემცირდა 7-მდე – 5 არის სახელმწიფო და 2 ადგილობრივი. სახელმწიფო გადასახდებია: საშემოსავლო, აქციზი, დღგ, საბაჟო, მოგების. ადგილობრივ გადასახადებს განსაზღვრავს მმართველობის ადგილობრივი ორგანოები; 2008 წელს 20%-იანი სოციალური გადასახადი, რომელსაც იხდიდა ბიზნესი და საშემოსავლო გადასახადი 12%-ის ოდენობით, გაერთიანდა ერთიან 25%-იან საშემოსავლო გადასახადში; 2008 წლის პირველი იანვრიდან კორპორაციული მოგების გადასახადი შემცირდა 20-დან 15%-მდე, დივიდენდები გათავისუფლდა ამ გადასახადისაგან; 18%-იანი დღგ არის აუცილებელი იმ მეწარმეებისათვის, რომელთა წლიური ბრუნვა აჭარბებს 100 ათას ლარს; ექსპორტი, საერთაშორისო გადაზიდვები, ტურიზმი და სხვა მომსახურება ექვემდებარება ნულოვან დღგ-ს.

ქვეყანა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის აგრესიულ პოლიტიკას ატარებს იმისათვის, რომ მოიზიდოს კერძო კაპიტალი, გაიზარდოს ინვესტიციები, დააჩქაროს ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდა. ამის შედეგად, მან მხოლოდ 2008 წლის 7 თვეში მიიღო 286, 2 მლნ. დოლარი პრივატიზაციიდან.

ყველაზე დინამიკურად ქვეყანაში ვითარდება საბანკო სექტორი. 1994-1997 წლებში დასრულდა სახელმწიფო ბანკების პრივატიზაცია, რის შედეგადაც შეიქმნა კერძო ბანკები. დღეს ამ სექტორის 100% არის განკერძოებული. 2007 წელს დეპოზიტების რაოდენობა საბანკო სექტორში იზრდება 25-35%-ით. აქტივების საშუალო ბრუნვა შეადგენს 3-5%-ს. საქართველო არის ერთ-ერთი იმ ქვეყნებიდან, რომელმაც კაპიტალის საანგარიშო ოპერაციებისა და ვალუტის რეჟიმების ლიბერალი-

ზაცია მოახდინა. სავალუტო ოპერაციებზე საქართველოს და უცხოეთის მოქალაქეების პირობები თანაბარია. საქართველოს მოქალაქეებს გააჩნიათ შესაძლებლობა, გახსნან ანგარიშები საზღვარგარეთის ბანკებში.

როგორც უცხოელი, ასევე საქართველოს მოქალაქეები თანაბარი პირობებით ახდენენ ინვესტირებას ქართულ ბანკებში. საქართველოს ბანკებში განხორციელდა შემდეგი მსხვილი ინვესტიციები: 2006 წლის ნოემბერში საქართველოს ბანკი CIS ქვეყნებიდან საქართველოდან მეორე ბანკი გახდა ლონდონის ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე. მან წარმატებით განათავსა თავისი წილი გლობალური სადეპოზიტო შემოსავლების ფორმით; 2006 წლის მარტში „სოსიეტე ჟენერალე“ ჯგუფმა მიიღო ბანკი „რესპუბლიკა“-ს საკონტროლო პაკეტი; 2006 წლის ოქტომბერში ყაზახეთის ბანკმა „ტურან ალენმა“ შეისყიდა „სინქროუდ“ ბანკის დიდი ხვედრითი წილი; 2005 წლის იანვარში რუსეთის “VTB“ ბანკმა შეისყიდა გაერთიანებული ქართული ბანკის აქციების 51%; შეიქმნა საბერძნეთის, გერმანიის, თურქეთის მსხვილი ბანკების ფილიალები საქართველოს ტერიტორიაზე.

2003 წლის ნოემბრის ცნობილ მოვლენებამდე საქართველოს სახელისუფლებო შტოებისათვის სიმპტომატური მოვლენა იყო კორუფცია. საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მიღწევა იყო სისტემური კორუფციის დაძლევა. შეიზღუდა ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი. საზოგადოებრივ და კერძო სექტორებში ამ თვალსაზრისით მიმდინარე პროცესები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ამაზე მეტყველებს ის, რომ: 2006 წლის მოხსენებაში – „ანტიკორუფციული გარდაქმნა“ – მსოფლიო ბანკი მიესალმება საქართველოში მიმდინარე ანტიკორუფციულ პროცესებს; მსოფლიო ბანკი და EBRD თავის მოხსენებაში აღნიშნავენ, რომ ფირმების დონეზე კორუფცია დაეცა 60-დან 15%-მდე. 2002-2005 წლების მონაცემებით, იმ ფირმების რაოდენობა, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით იხდის ქრთამს, შემცირდა 44-დან 11%-მდე; ათასწლეულის ცვლილებების მილენიუმის პროგრამით 2007 წლის კორპორაციების უფლებამოსილების ინდიკატორები მეტყველებს იმაზე, რომ ეს ქვეყანა აკმაყოფილებს კორუფციის კონტროლის მაჩვენებლებს. საქართველოს მისი ჯგუფის ქვეყნებში ამ თვალსაზრისით მაღალი ქულები აქვს; საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევით გამო-

კითხული მოსახლეობის 95% ადასტურებს, რომ მათ 2007 წელს არ გადაუხდიათ ქრთამი.

საქართველოში პრაქტიკულად არ არის შეზღუდვები საზღვარგარეთის მოქალაქეების მიმართ, კომპანიების შეძენის თვალსაზრისით. საგადასახადო კოდექსით უცხოელი მოქალაქეებისათვის ბიზნესის რეგისტრაციის პროცესი არის მარტივი, იაფი და ეფექტური. მისი ხანგრძლივობა არ აჭარბებს 3 დღეს. რეგისტრირებული ბიზნესის რაოდენობა 2007 წელს გაიზარდა 30,6%-ით 2006 წელთან შედარებით. კომპანიების რეგისტრაციის პროცედურების გამარტივებამ დადებითი ზეგავლენა იქონია კერძო ბიზნესის ზრდაზე.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, კვლავინდებურად არადამაკმაყოფილებელია მდგომარეობა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების თვალსაზრისით, ეს აისახება დაბალ შემოსავლებში, მერყევ ინფლაციასა და უმუშევრობაში, რაც მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას. პროცესი გააღრმავა რუსეთის აგრესიამ სუვერენული ქვეყნის მიმართ, რომლის ძირითადი მიზეზები ქვეყნის დამოუკიდებელი ენერგეტიკული პროექტების სწრაფ ეკონომიკურ ზრდაში უნდა ვეძებოთ.

კონვერგენციის თეორიიდან გამომდინარე, ინსტიტუციური რეფორმები და მათი შედეგები დროში ერთმანეთს არ ემთხვევა, რადგანაც რეფორმების შედეგები ორიენტირებულია გრძელვადიან პერსპექტივაზე, აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელისუფლების გააზრებული, თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა და დონორი ქვეყნების მიერ საქართველო-რუსეთის ომის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით გამოყოფილი დახმარება, შეიძლება საწინდარი გახდეს საქართველოს შემდგომი განვითარებისა თუ ეკონომიკური წინსვლისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **შენგელია თ.** ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები. ახალი საქართველო. თბ., 2008.

2. ჭელიძე მ. ქართული ეროვნული გონი ფილოსოფიურ-ისტორიული ასპექტით, თსუ-ს გამომცემლობა, 2002, გვ. 293.

3. მართმადიდებლური ღვთისმეტყველების სრული ენციკლოპედიური ლექსიკონი, ტ. 1.

4. Deu G. Analisis for Strategic Marketing Decisions. St. Paul: publications, 2006.

5. Manuel Velasquez. Organization all states manship and Dirty Politics. Organizational Dinamics. 2002.

Shengelia Temur

CONVERGENT SYNTHESIS AND THE POSSIBILITIES OF BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA

SUMMARY

Georgia's meteoric progress in improving its business climate has been well documented in a number of international indices.The World Bank hailed as unprecedented Georgia's commitment to reforms over the last three years, which saw the country rise from 112 th to 18th in the world in on the World Bank is Doing Business in 2008 survey.

Strategic Geographic location, Located at the crossroads of Europe and Central Asia, Georgia's three major oil and gas piplines, Black Sea ports, well-developed rail-

way systems, together with its airports are paying an increasingly important role in Linking East and West.

Consistent macroeconomic policies are producting strong economic growth, with GDP increases of close to 10% in 2005 and 2006, and forecasts of greater than 10% for 2007.

Georgia has low tariffs, streamlined border clearance procedures and preferential trade regimes with major partners, including the EU, CIS countries, Turkey and the U.S.

Fewer taxes, lower rates,including flat tax rates on personal income (12%0, and corporate profits (20%), make Georgia the most attractive tax regime in the region. Further cuts are planned.

The banking sector, which is completely private, is growing rapidly, as foreign investors enter the sector and Georgian banks tap international capital markets.

Берулава Георгий

ЭКОНОМЕТРИЧЕСКАЯ ОЦЕНКА ВЛИЯНИЯ ВНУТРЕННИХ И ВНЕШНИХ ФАКТОРОВ НА КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТЬ ФИРМЫ В СТРАНАХ ПЕРЕХОДНОЙ ЭКОНОМИКОЙ

Для разработки действенной политики, направленной на повышение конкурентоспособности отечественной экономики, необходимо, прежде всего, понять причины неэффективности процесса экономического реформирования в Грузии. В этих целях особого внимания заслуживает изучение опыта других стран с переходной экономикой в решении проблемы повышения конкурентоспособности индивидуальных фирм. Целью данной работы является изучение факторов, дающих наиболее действенный эффект конкурентоспособности фир-

мы. В частности, на основе имеющейся базы данных в работе была проведена эконометрическая оценка влияния внутренних и внешних детерминантов конкурентоспособности на эффективность деятельности индивидуальных компаний в странах с переходной экономикой. Полученные в ходе эконометрического анализа результаты, были использованы в разработке практических рекомендаций, как для индивидуальных фирм, так и для государственных органов и направленных на создание адекватных условий, необходимых для повышения конкурентосопосбности отечественных предприятий.

На современном этапе, в научной литературе существуют различные подходы к определению понятия “конкурентоспособность.” В некоторых источниках данное понятие используется как синоним отличительной компетенции и отражает, главным образом, относительное превосходство фирмы в имеющихся ресурсах и навыках [5]. Значительная часть работ в экономической литературе посвящена изучению конкурентоспособности в контексте международной торговли [20, 21]. Другой подход к определению данного понятия фокусируется на рыночно-позиционном превосходстве фирмы, в основе которой лежат либо предоставление превосходящей ценности для покупателей, или обеспечение относительно небольших издержек, способствующих достижению фирмой желаемых результатов деятельности. Этот подход был изначально сформирован Бэйном в рамках теории промышленной организации [3, 4] и впоследствии адаптирован к сфере стратегического менеджмента фирмы Майклом Портером [16, 18]. Исходя из целей данного исследования, именно это научное направление будет использовано нами в качестве теоретической базы для эмпирического исследования конкурентоспособности фирм в странах с переходной экономикой.

В экономической литературе выделяют две следующие группы факторов влияющих на конкурентоспособность предприятий: внутрифирменные факторы и факторы бизнес среды. К первой группе относят форму собственности, политику реструктуризации, инновационные и маркетинговые стратегии фирмы. Вторая группа факторов включает переменные внешней среды фирмы, непосредственно влияющие на результаты деятельности фирмы: интенсивность конкуренции и структура рынка, доступность капитала и финансовых ресурсов, нормы права, регулирование бизнес среды, уровень развития инфраструктуры. Целый ряд эмпирических исследований был посвящен изучению влияния вышеуказанных факторов на конкурентоспособность или результаты деятельности фирмы в странах с переходной экономикой.

В своем исследовании деятельности предприятий в странах с переходной экономикой Карлин и др. изучали влияние формы собственности, «мягких» бюджетных ограничений, бизнес среды и конкуренции на результаты деятельности фирм [26]. В ходе исследования было установлено, что конкуренция оказывает важный и немонотонный эффект на рост продаж и производительность труда, а также на инновационную и реструктуризационную политику фирмы. Новые фирмы в этом исследовании имели лучшие показатели деятельности, тогда как форма собственности среди “старых” компаний не играла особой роли. Авторами данного исследования, были выявлены отрицательный эффект «мягких» бюджетных ограничений и положительное влияние бизнес среды на реструктуризацию и результаты деятельности фирмы.

Конингс, исследуя влияние конкуренции на деятельность фирм в странах с переходной экономикой, установил, что долгосрочное конкурентное давление оказывает серьезное влияние на деятельность фирм в Венгрии и Словении, тогда как в Румынии более важное влияние на рост продаж оказывает краткосрочное конкурентное давление [11]. В Венгрии и Словении “старые” предприятия показывали худшие результаты деятельности в сравнение с новыми.

Ангелучи и др. на основе изучения данных репрезентативной выборки фирм пришли к выводу, что в Польше внутреннее конкурентное давление и давление со стороны импорта оказывают положительное влияние на результаты деятельности фирмы независимо от ее формы собственности [15]. В Болгарии и Румынии напротив импорт отрицательно влияет на деятельность местных фирм, тогда как более конкурентная рыночная структура ассоциируется с более высокой общей производительностью факторов. Результаты исследования свидетельствуют также о положительном влиянии приватизации на деятельность фирм и о преимуществе фирм с иностранным капиталом.

На основе панельных данных по украинским предприятиям за 1996-2000 гг. Андреева исследовала влияние типа собственности и конкурентной среды на работу предприятий [2]. Результаты анализа показали, что наибольший положительный эффект от приватизации достигается в компаниях, владельцами которых являются крупные внешние акционеры. В ходе эмпирического исследования также показано, что рыночная конкуренция не оказывает существенного влияния на результаты деятельности.

Какулия Н. на основе базы данных BEEPS Всемирного Банка, провела эконометрическую оценку влияния типа и концентрации собственности на реструктуризационную политику и результаты деятельности в странах с переходной

экономикой [1]. В ходе исследования было установлено, что новые предприятия и те предприятия, на которых собственность сконцентрирована в руках иностранных владельцев, имеют лучшие результаты деятельности. Инновационные стратегии, реструктуризация и бизнес среда, также оказывают положительное влияние на деятельность фирм.

Резюмируя, анализ результатов эмпирических исследований позволяет констатировать, что наиболее релевантными факторами для изучения конкурентоспособности предприятий в странах с переходной экономикой являются: структура рынка, инновационные и реструктуризационные стратегии фирмы, тип собственности.

Одни из наиболее действенных направлений завоевания конкурентного преимущества на рынке в модели Портера является стратегия дифференцирования, позволяющая фирме возводить барьеры на входе в отрасль и получать высокие прибыли. Дифференцирование в свою очередь предполагает постоянные инвестиции в маркетинг и инновацию. Именно эти два элемента согласно Друкеру являются наиболее важными факторами успеха на рынке [7]. Роли инновационных стратегий в обеспечении конкурентоспособности фирмы посвящено также значительное число работ Шумпетера и других представителей Австрийской экономической школы [9, 10, 12, 13, 23, 24].

Основным моментом в системе Шумпетера является предположение о предпринимателе, который “выводит” рынок из состояния равновесия. Реализация инновационных идей на практике, скажем, выход на рынок с новым товаром или внедрение нового технологического процесса позволяет предпринимателю завоевывать конкурентное преимущество на рынке и достигать высоких результатов деятельности. Необходимо отметить, что инновация подразумевает довольно широкий спектр деятельности.

По мнению Шумпетера суть предпринимательского открытия состоит в: “…реформе или революции методов производства, за счёт нововведений, или попросту говоря, за счёт неиспользованных технологических возможностей производства новых товаров или производства старых товаров новым способом, открывая новые пути снабжения сырьём или новые точки реализации продукции”[24, с.132]. Таким образом, предпринимательское открытие является тем средством, при помощи которого фирма может завоевать конкурентное преимущество на рынке.

Таким образом, инновационные стратегии фирм, предусматривающие выпуск новых товаров, внедрение новых стандартов качества или реструктуриза-

цию организации фирмы оказывают положительное влияние на результаты деятельности фирмы. Об этом свидетельствуют и результаты эмпирических исследований, рассмотренных выше.

Другим немаловажным фактором способным повлиять на конкурентоспособность фирмы является структура рынка. Согласно выводам теории промышленной организации и модели Портера чем выше рыночная власть фирмы и ниже зависимость фирмы от поставщиков тем выше будут результаты ее деятельности. Однако влияние конкуренции на эффективность фирмы, как показывают результаты ряда исследований, носит немонотонный характер [25]. Отсутствие конкурентов, равно как и большое их число отрицательно сказывается на результатах деятельности фирмы.

В рассмотренных выше работах качество бизнес среды и форма собственности оказывали существенное влияние на деятельность фирм в странах с переходной экономикой. В частности, было показано, что новые предприятия показывали лучшие показатели деятельности, тогда как государственные предприятия добивались наихудших результатов. Все вышесказанное позволяет нам сформулировать следующий ряд гипотез:

H1: Инновационная стратегия оказывает положительное влияние на результаты деятельности фирмы.

H2: Организационная реструктуризация оказывает положительное влияние на результаты деятельности фирмы.

H3: Новые предприятия будут иметь более высокие результаты деятельности в сравнение с приватизированными и государственными предприятиями.

H4: Приватизированные предприятия будут иметь более высокие результаты деятельности в сравнение с государственными предприятиями.

H5: Чем выше качество бизнес среды, тем более высокими будут результаты деятельности фирмы.

H6: Чем выше рыночная власть фирмы, тем более высокими будут результаты ее деятельности.

H7: Чем ниже уровень зависимости фирмы от поставщиков, тем более высокими будут результаты ее деятельности.

H8: Влияние конкуренции на результаты деятельности фирмы имеет немонотонный характер.

Исходя из целей данного исследования, для проверки теоретических гипотез была выбрана база данных, сформированная на основе результатов третьего раунда исследования бизнес среды и деятельности предприятий (BEEPS). Дан-

ное исследование было осуществлено Всемирным Банком (WB) и Европейским банком реконструкции и развития (EBRD) в 2005 году и преследовало своей целью выявление воздействия государственной политики на развитие бизнеса в пост-социалистических странах. Эта база данных охватывает 9655 предприятий в 26 пост-социалистичеких странах и в Турции. Выборка исследования была подобрана таким образом, чтобы обеспечить ее репрезентативность для всей совокупности фирм по таким параметрам, как отраслевая принадлежность, размер, географическое расположение.

Опираясь на теоретические предпосылки теории промышленной организации и модели Портера, а также на результаты эмпирических исследований в этой области, и в целях данного исследования мы формулируем эконометрическую модель для оценки конкурентоспособности следующим образом:

$y_1 = \alpha_0 + \alpha_1 * innov + * \alpha_2 * restr + \alpha_3 * owner + \alpha_4 * comp + \alpha_5 * mp + \alpha_6 * sd + \alpha_7 * be + X * \alpha_8 + \varepsilon_1$ (1), где

y_1 - показатель конкурентоспособности фирмы – рост продаж за последние три года – является дискретной переменной и отражает качественный аспект результатов деятельности фирмы. Переменной присваивается значение 1, если за последние три года объем продаж вырос и 0 – в противном случае.

innov – индекс инновационной стратегии фирмы. Формируется при помощи факторного анализа на основе четырех бинарных переменных, отражающих факт осуществления фирмой одного из следующих мероприятий за последние три года: успешное внедрение нового товарного ассортимента; совершенствование существующего товарного ассортимента; приобретение лицензионного соглашения на новую продукцию; приобретение аккредитации нового стандарта качества (ISO 9000 и т.д.).

restr – показатель, отражающий организационную реструктуризацию на предприятии за последние три года. Включает следующие четыре бинарных переменных: фирма не претерпела никаких изменений за последние три года *(rest_0)*; в фирме произошло незначительное перераспределение ответственности и ресурсов между подразделениями *(restr_1)*; в фирме произошло значительное перераспределение ответственности и ресурсов между подразделениями *(restr_2)*; фирма в настоящее время имеет совершенно новую организационную структуру *(restr_3)*.

Первый показатель будет использоваться в качестве контрастной переменной, остальные будут включены в регрессионное уравнение.

owner – показатель типа собственности. В данном исследовании используются три следующие категории: приватизированное предприятие (*privat*); государственное предприятие (*state*); частное новое предприятие (*new*). Аналогично первая переменная является контрастной, остальные включаются в регрессионное уравнение.

Следующие три переменные характеризуют рыночную структуру: конкуренцию, а также власть фирм при переговорах с покупателями и поставщиками.

comp – показатель интенсивности конкуренции. Описывается следующими тремя бинарными переменными: отсутствие конкурентов (*no_competitors*); от 1 до 3 конкурентов (*up to 3_competitors*); более 3 конкурентов (*3 and more_competitors*). Вторая переменная используется нами в качестве контрастной.

mp – показатель рыночной власти фирмы в переговорах с покупателями. Четыре ответа на вопрос о возможном поведении покупателя, если фирма повысит цену на свой основной товарный ассортимент на 10%, формируют следующие бинарные переменные, отражающие рыночную власть фирмы: покупатели продолжат покупать товар фирмы в тех же объемах *(mp_1)*; покупатели продолжат покупать товар фирмы, но в несколько меньших объемах, чем раньше *(mp_2)*; покупатели продолжат покупать товар фирмы, но в значительно меньших объемах, чем раньше *(mp_3)*; большинство покупателей переключится на других поставщиков *(mp_4)*.

sd – показатель рыночной власти фирмы в переговорах с поставщиками. Четыре ответа на вопрос о возможном поведении фирмы, если поставщик повысит цену на свой основной товарный ассортимент на 10%, формируют следующие бинарные переменные, отражающие зависимость фирмы перед поставщиком: фирма продолжит покупать товар у поставщика в тех же объемах *(sd_1)*; фирма продолжит покупать товар у поставщика, но в несколько меньших объемах, чем раньше *(sd_2)*; фирма продолжит покупать товар у поставщика, но в значительно меньших объемах, чем раньше *(sd_3)*; фирма переключится на других поставщиков *(sd_4)*.

be – индекс эффективности бизнес среды. Данный индекс формируется посредством факторного анализа на основе следующих одиннадцати переменных, характеризующих уровень развития правовых институтов и доминирование норм права в обществе, уровень развития инфраструктуры, налоговое регулирование и доступность капитала: доступность капитала; стоимость капитала; телекоммуникации; электроэнергия; транспорт; налоговые ставки; налого-

вое администрирование; надежность судебной системы; коррупция; преступность; организованная преступность.

Каждая из вышеперечисленных переменных измеряется по четырехбальной шкале. Эта шкала позволяет оценить серьезность проблемы, которую создает каждая из переменных, в контексте обеспечения роста предприятий. Оценка 1 дается, если тот или иной фактор деловой среды не представляет никаких проблем для предприятий, оценка 2 – если проблемы незначительны, оценка 3 – если проблема умеренна, и оценка 4 – если проблема значительна.

X – набор контролируемых переменных, используемых для того чтобы не допустить фиктивную корреляцию между зависимой и независимыми переменными, возникающую вследствие их совместной корреляции с другой, отсутствующей в модели переменной. В нашей работе мы контролируем отрасль и размер фирмы. В частности: *industry* – бинарная переменная отражающая принадлежность фирмы к промышленной отрасли; *service* – бинарная переменная отражающая принадлежность фирмы к сфере услуг (используется для контраста); *small* – малые предприятия; *medium* – средние предприятия; *large* – крупные предприятия (используется для контраста).

Несмотря на определенное сходство с моделью, используемой в работе Карлин для оценки влияния конкуренции на результаты деятельности фирм, наша модель имеет ряд существенных отличий [26]. Во-первых, в настоящей работе используется дихотомическая зависимая переменная, что позволит с нашей точки зрения получить качественную оценку конкурентоспособности. Во-вторых, в нашу модель дополнительно включены такие независимые переменные, как организационная реструктуризация и зависимость от поставщиков. Обоснованием для включения первой переменной послужили результаты эмпирического исследования, представленные в работе Какулия, а также значимость этой переменной для эффективности фирм в странах с переходной экономикой [1]. Вторая переменная является одним из ключевых факторов структуры рынка в модели Портера и в теории промышленной организации, которые используются в данном исследовании в качестве основной теоретической базы. В-третьих, при построении индексов инновационной стратегии и бизнес климата, составляющие их переменные не вполне совпадают. В-четвертых, в силу имеющихся отличий в характере зависимой переменной, в данной работе используются несколько иные методы эконометрической оценки.

Поскольку в нашем исследовании зависимая переменная является дискретной, то наиболее подходящей моделью для тестирования теоретических ги-

потез является, пробит (probit) модель. Серьезной проблемой при оценке данной модели может стать возможная эндогенность переменной *инновационные стратегии* вследствие взаимной причинно-следственной связи между этой переменной и зависимой переменной. В данном случае мы не можем использовать традиционный двух-шаговый метод наименьших квадратов, поскольку зависимая переменная в нашей модели является дискретной [8]. В подобной ситуации, в качестве альтернативного пути можно рассматривать метод двух-шагового пробит анализа условно максимального правдоподобия (Two-Stage Conditional Maximum Likelihood Probit Analysis 2SCML), разработанного Риверсом и Вунгом [19]. Этот подход позволяет нам решить проблему эндогенности.

Результаты эконометрической оценки приведены в таблицах 1 и 2. Начнем с рассмотрения первого этапа этой процедуры. Этот этап включает МНК регрессию, в которых зависимой переменной является инновационная стратегия (*innov*), а в качестве независимых выступают все остальные экзогенные факторы. Переменной, исключенной из структурной модели и используемой для предсказания эндогенной переменной является давление со стороны рынка (*pressure*). В таблице 1 показаны результаты оценок для приведенной модели. Как видно из таблицы, показатель R-квадрат выше равен 0.160 а F-статистика значима на уровне $p < 0{,}01$. Как и ожидалось, инструментальная переменная оказывает положительное влияние соответственно на зависимую переменную. Это влияние статистически значимо на уровне $p < 0{,}01$. Результаты второго этапа 2SCML пробит модели представлены в таблице 2. Данная структурная модель используется для тестирования гипотез и наличия эндогенности.

Контроль на эндогенность является статистически значимым, поскольку коэффициент остатка, полученного на первом этапе этой процедуры θ, является значимым. Как и предполагалось, инновационная стратегия и организационная реструктуризация оказывают положительное влияние на рост продаж (на уровне значимости $p < 0.01$), подтверждая гипотезы H1 и H2. Мы не нашли подтверждение гипотезам H3 и H7, поскольку влияние новых предприятии и зависимости от поставщика на результаты деятельности не оказалось статистически значимым. В подтверждении гипотезы H6 влияние рыночной власти на рост продаж статистически значимо на уровне $p < 0.01$.

Как и предполагалось, государственные предприятия функционируют гораздо хуже приватизированных фирм, а влияние конкуренции на функционирование фирмы носит немонотонный характер (гипотезы H4 и H8 подтверждаются на уровне значимости $p < 0.01$). Качество бизнес среды оказывает существенное

положительное влияние на конкурентоспособность фирм (гипотеза H5 подтверждается на уровне значимости $p < 0.05$) [*].

Таблица 1. Результаты первого этапа оценки 2SCML пробит модели (приведенная форма)

Зависимая переменная: Инновационная стратегия (*innov*)		
	Наименование переменной	**Значение параметра**
Организационная реструктуризация		
restr_1	в фирме произошло незначительное перераспределение ответственности и ресурсов между подразделениями	.516***
restr_2	в фирме произошло значительное перераспределение ответственности и ресурсов между подразделениями	.627***
restr_3	фирма в настоящее время имеет совершенно новую организационную структуру	.599***
Тип собственности		
state	государственное предприятие	-.212***
new	частное новое предприятие	-.020
Интенсивность конкуренции		
no_competitors	отсутствие конкурентов	-.088
3and more_competitors	более 3 конкурентов	-.048*
Рыночная власть фирмы		
mp_1	покупатели продолжат покупать товар фирмы в тех же объемах	.215***
mp_2	покупатели продолжат покупать товар фирмы, но в несколько меньших объемах, чем раньше	.169***

[*] Для переменных бизнес среды используются обратные шкалы.

mp_3	покупатели продолжат покупать товар фирмы, но в значительно меньших объемах, чем раньше	.112***
Зависимость от поставщиков		
sd_4	фирма переключится на других поставщиков	-.001
sd_3	фирма продолжит покупать товар у поставщика, но в значительно меньших объемах, чем раньше	-.065
sd_2	фирма продолжит покупать товар у поставщика, но в несколько меньших объемах, чем раньше	-.037
be	Бизнес среда	0.238**
industry	Промышленность	.242***
small	Малое предприятие	-.457***
medium	Среднее предприятие	-.187***
pressure	Давление со стороны рынка	.098***
	Константа	-.002
R- квадрат		.160
Скорректированный R- квадрат		.157
F – статистика		68.45***
F – статистика (исключаемой переменной)		92.64***
Число наблюдений		6485

***- статистически значимо на уровне $p < 0,01$; **- статистически значимо на уровне $p < 0,05$; *- статистически значимо на уровне $p < 0,1$.

Таблица 2. Результаты второго этапа оценки 2SCML пробит модели (проб. анализ)

Зависимая переменная: Рост продаж (y_1)		
	Наименование переменной	**Значение параметра**
innov	Инновационная стратегия	.289***
Организационная реструктуризация		
restr_1	в фирме произошло незначительное перераспределение ответственности и ресурсов между подразделеиями	.692***
restr_2	в фирме произошло значитеьное перераспределе-	.863***

	ние ответственности и ресурсов между подразделениями	
restr_3	фирма в настоящее время имеет совершенно новую организационную структуру	.669***
Тип собственности		
state	государственное предприятие	-.375***
new	частное новое предприятие	.246
Интенсивность конкуренции		
no_competitors	отсутствие конкурентов	-.327***
3and more_competitors	более 3 конкурентов	-.089**
Рыночная власть фирмы		
mp_1	покупатели продолжат покупать товар фирмы в тех же объемах	.528***
mp_2	покупатели продолжат покупать товар фирмы, но в несколько меньших объемах, чем раньше	.392***
mp_3	покупатели продолжат покупать товар фирмы, но в значительно меньших объемах, чем раньше	.204***
Зависимость от поставщиков		
sd_4	фирма переключится на других поставщиков	-.082
sd_3	фирма продолжит покупать товар у поставщика, но в значительно меньших объемах, чем раньше	-.125
sd_2	фирма продолжит покупать товар у поставщика, но в несколько меньших объемах, чем раньше	-.134
be	Бизнес среда	-0.039**
industry	Промышленность	.129**
small	Малое предприятие	-.588***
medium	Среднее предприятие	-.228***
ε_2	Остаток	-.655***
	Константа	.192**
Псевдо - R- квадрат		.087
LR хи- квадрат		771.6***
Число наблюдений		6485

***- статистически значимо на уровне $p < 0,01$; **- статистически значимо на уровне $p < 0,05$; *- статистически значимо на уровне $p < 0,1$.

Что определяет конкурентоспособность фирм в странах с переходной экономикой? Почему одни фирмы или страны в целом являются более успешными, чем другие? Результаты проведенного нами исследования позволяют в некоторой степени дать ответы на поставленные вопросы. В работе был выявлен целый ряд внутрифирменных и внешних факторов, существенно влияющих на результаты деятельности предприятий.

Мы установили, что инновационные стратегии, предусматривающие в частности, выведение на рынок нового товарного ассортимента или усовершенствование уже существующего, внедрение общепринятых стандартов качества на предпритии оказывают серьезное влияние на конкурентоспособность фирмы. Не менее важным фактором, влияющим на результаты деятельности фирмы является организационная реструктуризация. Согласно результатам этого исследования, фирмы кардинально или существенно реструктуризовавшие организацию своей фирмы добивались более высоких результатов деятельности в сравнени с теми фирмами, в которых организационная струткура оставалась неизменной.

В рамках исследования было также установлено, что государственные предприятия фукционируют гораздо менее эффективно в сравнении с приватизированными. Рыночная власть, достигаемая за счет дифференциации и покупательской лояльности оказывает положительное влияние на рост продаж. В то же время монополия оказывет негативное влияние на конкурентоспособность фирмы. Серьезный эффект на конкурентоспособность фирм, оказывает бизнес среда, включающая нормы права, развитость инфраструктуры, доступность капитала и налоговое администрирование.

Опираясь на результаты, полученные в ходе этого исследования мы предлагаем рекомендации по повышению конкурентоспособности фирм. Эти рекомендации предназначены как для индивидуальных фирм, так и для государственных органов в целом. Для индивидуальных фирм в целях повышения их конкурентоспособности мы рекомендуем:

- активно претворять в жизнь инновационные стратегии, в том числе внедрять новые товары и услуги, технологии и стандарты качества;
- проводить эффективную политику организационной реструктуризации;
- направить усилия на завоевание покупательской лояльности и рыночной власти, за счет реализации стратегии дифференциации.

Для государственных органов в целях повышения экономических показателей в масштабах всей страны мы рекомендуем:

- проводить активную антимонопольную политику;
- направить усилия на улучшение бизнес климата, способного стимулировать рост фирм. В первую очередь это касается:
  - укрепления нормы права, борьбы с коррупцией, преступностью и повышение функционирования судебной системы;
  - повышения качества и надежности функционирования телекоммуникационной, транспортной и энергетической инфраструктуры;
  - обеспечения доступности и снижения стоимости финансовых ресурсов;
  - совершенствования системы налогового регулирования и администрирования;
- продолжить процесс приватизации государственных объектов.

Претворение в жизнь вышеуказанных мер позволит создать в нашей стране адекватные условия, необходимые для повышения конкурентоспособности отечественных фирм. Это в свою очередь является залогом успешности процесса экономического реформирования в Грузии.

ИСПОЛЬЗОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. **კაკულია ნ.** "პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ნეკროეკონომიკური შედეგები და მათი დაძლევის ძირითადი მიმართულებანი (საქართველოს მაგალითზე)", ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, 2006.
2. **Andreyeva Tatiana.** "The Company Performance in Ukraine: What Governs its Success", EERC, Working paper №. 03/01E, 2003.
3. **Bain J. S.** "Relation of profit rate of industry concentration: American manufacturing, 1936-1940". Quarterly Journal of Economics, 65, pp.293-324, 1951.
4. **Bain J. S.** Industrial Organization. 2-nd ed. New York: John Willey&Sons, 1968.
5. **Barney J.** „Firm resources and sustained competitive advantage". Journal of Management ,17 (1): 771-792, 1991.

6. **Conner Kathleen R.** "A Historical Comparison of Resource-Based Theory and Five Schools of Thought Within Industrial Organization Economics: Do We Have a New Theory of the Firm?" Journal of Management 17 (1): 121-154, 1991.

7. **Drucker P. F.** The Practice of Management, Harper, New York, 1954.

8. **Green H. William.** Econometric analysis. 2nd ed. Prentice-Hall, Inc. Englewood Cliffs, New Jersey, 1993.

9. **Hayek F. A.** "Economics and knowledge". Economica, 3, pp.33-54, 1937.

10. **Hayek F. A.** The meaning of competition. In Individualism and economic order, pp.92-106. Chicago; University of Chicago Press, 1948.

11. **Jozef Konings.** "Competition and Firm Performance in Transition Economies: Evidence from Firm Level Surveys in Slovenia, Hungary and Romania", CEPR, discussion paper №. 1770, 1997.

12. **Kirzner I. M.** Competition and entrepreneurship. Chicago: University of Chicago Press, 1973.

13. **Kirzner I. M.** Perception, Opportunity, and Profit. Chicago: University of Chicago Press, 1979.

14. **Lippman S.A. and Rumelt R. P.** „Uncertainty immitability: An analysis of interfirm differences in efficiency under competition", Bell Journal of Economics, 13: 418-453, 1982.

15. **Manuella Angelucci, Saul Estrin, Jozef Konings and Zbigniew Zólkiewski.** "The Effect of Ownership and Competitive Pressure on Firm Performance in Transition countries: Micro Evidence from Bulgaria, Romania and Poland", CEPR, discussion paper № 2895, 2001.

16. **Porter Michael.** Competitive strategy (New York, N.Y: Free Press), 1980.

17. **Porter Michael.** The contributions of industrial organization to strategic management, Academy of Management Review, Vol.6, no. 4, pp.609-620, 1981.

18. **Porter Michael.** Competitive advantage (New York, N.Y: Free Press), 1985.

19. **River D and Q. Vuong.** "Limited Information Estimators and Exogenity Tests for Simultaneous Probit Models," Journal of Econometrics, 39, 347-366, 1988.

20. Samuel Paul; Vasant L. Mote. "Competitiveness of Exports: A Micro-Level Approach**,"** The Economic Journal, Vol. 80, No. 320 (Dec.), pp. 895-909, 1970.

21. Jan Fagerberg "International Competitiveness**",** The Economic Journal, Vol. 98, No. 391 (Jun.), pp. 355-374, 1988.

22. Christine Oughton **"**Competitiveness Policy in the 1990s**",** The Economic Journal , Vol. 107, No. 444 (Sep.), pp. 1486-1503, 1997.

23. **Schumpeter J. A.** The Theory of Economic Development. Cambridge, MA: Harvard University Press, 1934.

24. **Schumpeter J. A.** Capitalism, Socialism and Democracy. New York: Harpers and Row. (p.132), 1942.

25. **Wendy Carlin, Mark E Schaffer and Paul Seabright.** "A Minimum Rivalry: Evidence from in Transition Economies on the importance of Competition for Innovation and Growth", William Davidson Institute, working paper №. 670, 2004.

26. **Wendy Carlin, Steven Fries, Mark E Schaffer and Paul Seabright**. "Competition and Enterprise Performance in Transition Economies: Evidence from a Cross-country Survey", CEPR, discussion paper № 2840, 2001.

Berulava Giorgi

THE ECONOMETRIC ANALYSIS OF THE IMPACT OF INTERNAL AND EXTERNAL FACTORS ON FIRM'S COMPETITIVENESS IN POST-SOVIET COUNTRIES

SUMMARY

The main goal of this study is to determine the factors that may have significant influence on firm's competitiveness. In particular the following research questions were studied:

- What determines firm's competitiveness in transition economies?
- What determines success of one firms or countries as compared to others?

On the basis BEEPS data base the econometric study of the impact of internal and external factors on firm's competitiveness in transition economies was conducted. The main findings of the study are: the innovation strategies, including new product line launch or enhancement of the existing one, establishment of the quality control system, have a significant impact on firm's competitiveness. Organizational restructuring substantially influences firm's performance as well.

It has been found that state enterprises are less efficient as compared to privatized ones. The market power gained through differentiation and customer loyalty has a positive impact on sale volumes. However the monopoly itself has a negative impact on firm's competitiveness. Business environment is the other factor that has effect on

firm's performance and which includes: rule of law; infrastructure development level; access to capital; and system of tax administration.

On the basis of this research the recommendations on the firm's competitiveness enhancement were elaborated both for government and businesses.

ლინა დათუნაშვილი

აგრარული სფეროს განვითარების რეგიონული თავისებურებები საქართველოში

საქართველოში აგრარული სფერო ჯერ კიდევ არ არის გამოსული კრიზისული მდგომარეობიდან, რაც, ძირითადად, განპირობებულია მეურნეობების დაქუცმაცებულობით, მისი ექსტენსიური და ნატურალური ხასიათით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმცირით და არსებულის გამოყენების დაბალი დონით. ასეთ პირობებში მაღალია ხელით შრომის ხვერდითი წილი, შეზღუდულია ფერმერთა ფინანსური დახმარება, შეინიშნება სოფლად მიკროსესხების უკმარისობა და სოფლის მეურნეობაში დაზღვევის სისტემის განუვითარებლობა.

ბოლო წლებში სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლები არასტაბილურია და შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზეც არის დამოკიდებული (მემცენარეობაში – გვალვა, სეტყვა, წვიმები, წყალდიდობა; მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში – ეპიდემიური დაავადებების გავრცელება). ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ქვეყანაში სოფლის მეურნეობის წილი მშპ-სთან მიმართებაში წლების განმავლობაში კლებულობს (1996 წ. – 34,1%; 2002 წ. – 22,4%; 2005 წ. – 16,7%), არადა, აგრარულ სფეროს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებაში. ეს ის სფეროა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სასურსათო პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება და ამ სფეროში მათი დიდი ნაწილის დასაქმება.

ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი ნიადაგურ-კლიმატური პირობები მნიშვნელოვან პოტენციურ რეზერვს ფლობს სოფლის მეურნეობის ტრადიცი-

ული დარგების: მევენახეობის, მეხილეობის, მეჩაიეობა-მეციტრუსეობის, მეაბრეშუმეობის და სხვათა ფართო და მაღალეფექტიანი განვითარებისათვის, რაც ჯერ კიდევ სრულიად არ არის გამოყენებული. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით დიდია ქვეყნის ცალკეული რეგიონის ორიენტაცია სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის უპირატესი განვითარების მიმართულებით, მაგალითად, დასავლეთ საქართველოს რეგიონებში ჩაისა და ციტრუსოვნების, მთელი საქართველოს მასშტაბით (გარდა მაღალმთიანი რაიონების) მევენახეობის, მეხილეობის და მეაბრეშუმეობის განვითარების შესაძლებლობები. სწორედ აღნიშნული დარგების ოპტიმალური განვითარების პოტენციური შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენება უნდა გახდეს აგრარული სფეროს აღორძინების საფუძველი.

მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და პრიორიტეტული დარგია, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში წარმატებული ბიზნესის მთავარ სფეროს წარმოადგენს. ქვეყანაში ვაზის 500-მდე აბორიგენული ჯიშია დაფიქსირებული. სოციალიზმის პერიოდში საქართველოში წარმოებული ყურძნის ყველა სახის პროდუქტის (ყურძნის წვენი, ღვინო, ბადაგი, სპირტი და სხვ.) ძირითად მომხმარებელს რუსეთის დიდი ბაზარი წარმოადგენდა. ბოლო წლებში რუსეთის მხრიდან პოლიტიკური მოტივით გამოცხადებულმა ეკონომიკურმა ბლოკადამ და მევენახეობის პროდუქციაში ემბარგომ ფრიად ნეგატიურად იმოქმედა ამ დარგის განვითარებაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, ქვეყანაში 1999–2005 წლებში ყურძნის წარმოება 30,3 ათასი ტონით გაიზარდა. ზრდის მეტ-ნაკლები დონე დაფიქსირდა მევენახეობის თითქმის ყველა რეგიონში (კახეთი, იმერეთი, შიდა ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი). აღნიშნულ პერიოდში, მართალია, ქვეყანაში ყურძნის წარმოება გაიზარდა, მაგრამ ყურძნის რეალიზაციისა და გადამუშავების საქმეში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები შეინიშნება. მაგალითად, 2006 წლის შემოდგომაზე, მთავრობის მითითებით, ქართველმა ბიზნესმენებმა ყურძნის გარკვეული რაოდენობა შეიძინეს და ამით უმნიშვნელო შედავათი მისცეს მევენახეებს, რომლებმაც ძლივს მოახერხეს ვენახის მოვლაზე გაწეული დანახარჯების ანაზღაურება. 2007 წლის შემოდგომაზე საქმე უფრო გართულდა. მაგ., კახეთში, რომელიც ქვეყანაში ყურძნის წარმოების ძირითადი რეგიონია, მცირე გამონაკლისის გარდა, არ ფუნქციონირებდა ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნები. 122

ღვინის ქარხნიდან 99 პრივატიზებულია. 10 ღვინის ქარხანა აწარმოებს და ყიდის ქართული ღვინოების 80%-ს, საიდანაც 60%-ს ორი კომპანია აწარმოებს [5].

2007 წელს კახეთში რთველი ნოემბრის დასაწყისამდე გაგრძელდა, მაშინ, როდესაც ეს პროცესი, ჩვეულებრივ, ოქტომბრის შუა რიცხვებამდე მთავრდება. ამ რეგიონის ზოგიერთ რაიონში ყურძენი ბოლო მომენტამდე არ იკრიფებოდა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, მევენახეების მიერ ვაზის გაჩეხვის შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი. ყოველივე ამის მიზეზი ყურძენზე საოცრად დაბალი ფასი (18 თეთრიდან – 30 თეთრამდე) იყო, რასაც სთავაზობდნენ მევენახეებს ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნების მესვეურები. ფერმერები, რომელთაც სარეალიზაციოდ ერთი რაიონიდან მეორეში უშედეგოდ გადაჰქონდათ ყურძენი, შეწუხებულები აცხადებდნენ, რომ მომავალში ისინი ვენახს ამოძირკვავენ და მის ნაცვლად საზამთროს დათესავენ, რომელსაც ამდენი ფიზიკური შრომა და მატერიალური ხარჯი არ სჭირდება და მოკლე პერიოდში გაცილებით მეტ მოგებას იძლევა.

ჩვენი აზრით, აუცილებელია, წლის დასაწყისში დაიდოს ხელშეკრულება ყურძნის მწარმოებელსა და სხვადასხვა შემსყიდველს შორის (მათ შორის ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნის დირექციასთან), რომ მევენახემ ნამდვილად იცოდეს, თუ რა ფასად გაიყიდება მის მიერ წარმოებული ყურძენი შემოდგომაზე. ყურძნის რეალიზაციის საქმეში სახელმწიფოს როლი უფრო უნდა გაიზარდოს. ქვეყნის მთავრობამ ისეთი ექსტრემალური სიტუაციის დროს, როგორიც 2007 წლის შემოდგომაზე შეიქმნა მევენახეობაში ყურძნის მაღალი მოსავლის გამო, უნდა გაიღოს სუბსიდია ან დაეხმაროს ფერმერს დაბალპროცენტიანი კრედიტის მიღებაში, რომელსაც იგი რამდენიმე წელიწადში დაფარავს.

ქვეყანაში წარმოებული ყურძნის მოსავლიანობასა და ხარისხზე გავლენას ახდენს: მევენახეთა მიმართ სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკა, არახელსაყრელი კლიმატური პირობები (გვალვა, ხშირი წვიმა), დაგვიანებით ჩატარებული რთველი, მაღალი ხარისხის და საუკეთესო ჯიშის ვაზის ნამყენი ნერგის წარმოების დაბალი დონე და სხვ.

საქართველოში, 1990-იან წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა ვენახის ფართობი და ყურძნის მოსავლიანობა, გაიზარდა მეჩხერიანობა, არასწორი ექსპლუატაციის გამო დაკნინდა და დაქვეითდა ვაზის სიცოცხლისუნარიანობა, თითქმის არ ხდება ვაზის განახლება,

შხამქიმიკატების სიძვირის გამო დაბალია მათი გამოყენების შესაძლებლობები ვაზის ვირუსული და სოკოვანი დაავადებების წინაღმდეგ ბრძოლისას.

მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომი განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია მთავრობის მხრიდან დარგისათვის ფინანსური დახმარების გადიდება (სუბსიდირება, დაბალპროცენტიანი კრედიტის გამოყოფა), გასაღების ბაზრის არეალის გაფართოება, ფალსიფიცირებული პროდუქციის წარმოების აღკვეთა (როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ), შხამქიმიკატებითა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით დარგის უზრუნველყოფა და, რაც მთავარია, ყურძენზე მეცნიერულად დასაბუთებული ფასები.

ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, მეხილეობა საქართველოში ოდითგანვე განვითარებულ დარგს წარმოადგენდა. ათეული წლების განმავლობაში მეხილეობა ძირითადად ექსტენსიური გზით ვითარდებოდა. 1995 წელს ხეხილის ფართობი ქვეყანაში 94,9 ათას ჰა-მდე შემცირდა და ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება. ანალოგიურ ვითარებას ჰქონდა ადგილი ხილის მთლიანი მოსავლის მხრივაც.

1999–2005 წლებში საქართველოში ხილის წარმოება 32,1 ათასი ტონით შემცირდა. მეტ-ნაკლები ოდენობით შემცირდა აჭარაში, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, კახეთის რეგიონებში. ხილის სტრუქტურაში მაღალია თესლოვანი ხილის ხვედრითი წილი, რომელიც, ძირითადად, ქვეყნის ოთხ რეგიონში (შიდა ქართლის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და გურიის რეგიონები) არის გავრცელებული.

კურკოვანი ხილი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში გვხვდება. მისი შემცირების ტენდენცია შეინიშნება თითქმის ყველა რეგიონში, გარდა შიდა ქართლისა. თესლოვანი და კურკოვანი ხილის წარმოების შემცირება, აღნიშნულ პერიოდში, სხვა მიზეზებთან ერთად, განპირობებულია ამ სახეობის ხეხილის ყვავილობის დასაწყისში, ადრე გაზაფხულზე, წაყინვებით.

კაკლოვანი ხილი გავრცელებულია ქვეყნის ოთხ რეგიონში: იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში.

ცალკე უნდა განვიხილოთ თხილის კულტურა, როგორც საექსპორტო საქონელი, რომელიც გავრცელებულია ძირითადად გურიის, იმერეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში. საქართველოში

თხილის წარმოება საკვლევ პერიოდში არ შეცვლილა და ტოლი იყო 16,4 ათასი ტონისა. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა თხილის ექსპორტი და იგი ერთ-ერთ ძირითად საექსპორტო პროდუქციად იქცა. თხილის ექსპორტმა 2000–2005 წლებში 22,3 მლნ. აშშ დოლარიდან 70,3 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია. ბოლო წლებში კახეთის რეგიონშიც დაიწყეს თხილის კულტურის გაშენება, ძირითადად, სასაქონლო პროდუქციის მიღების თვალსაზრისით, რაც, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო აამაღლებს თხილის საექსპორტო პოტენციალს.

საქართველო ცნობილია სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოებით. გასული საუკუნის 70 წლიან პერიოდში ჩვენი ქვეყანა წარმოადგენდა ამ სახის ხილის ერთ-ერთ ძირითად მწარმოებელს და მიმწოდებელს მოკავშირე რესპუბლიკებისათვის. ამ პერიოდში შრომის საერთო დანაწილებაში საქართველო სწორედ სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურებით იყო წარმოდგენილი. საკვლევ პერიოდში სუბტროპიკული ხილის წარმოება შემცირდა თითქმის ყველა რეგიონში (აჭარაში – 0,8 ათასი ტონით, იმერეთში – 2,2 ათასი ტონით, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 1,5 ათასი ტონით და გურიაში – 2,2 ათასი ტონით). აღნიშნული სახეობის ხილის წარმოების ზრდა შეინიშნება ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონში.

ჩვენი აზრით, ამ დარგის განვითარება, ძირითადად, უნდა განხორციელდეს სამხრეთული და სუბტროპიკული ხილის ნაყოფის ხარისხის ამაღლების მიმართულებით, რამდენადაც, საბაზრო ეკონომიკა დიდ მოთხოვნებს უყენებს საქონლის ხარისხს და იმას, თუ რამდენად კონკურენტუნარიანია ეს საქონელი ბაზარზე.

საქართველოში მეციტრუსეობა სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია. სასიამოვნო გემოს და არომატული თვისებების მქონე ნაყოფი ძვირფას საკვებს წარმოადგენს ადამიანებისათვის. გასულ საუკუნეში მეციტრუსეობა მადალრენტაბელურ დარგად ჩამოყალიბდა და დადებითად შეცვალა სუბტროპიკული რეგიონების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში მიმდინარე კატაკლიზმებმა, ეკონომიკურმა კრიზისმა და რიგმა ნეგატიურმა მოვლენებმა, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, მეციტრუსეობაც დიდად დააზარალა და დარგის მნიშვნელოვანი დაქვეითება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, 1999–2005 წლებში ციტრუსის წარმოება საქართველოში

66,4 ათასი ტონით გაიზარდა. ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა აჭარისა (54,7 ათასი ტონით) და გურიის (121 ათასი ტონით) რეგიონში, ხოლო ციტრუსოვან კულტურათა ნაყოფის (მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი) წარმოება შემცირდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (0,5 ათასი ტონით).

ციტრუსოვანთა ნაყოფი, ისევე, როგორც თხილი და ჩაი, საექსპორტო საქონელს წარმოადგენს. ციტრუსების ექსპორტმა 1995 წელს 6,8 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია. 2000 წელს მისი მოცულობა 2,3 მლნ. აშშ დოლარამდე შემცირდა, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, არასასურველი კლიმატური პირობებითაც იყო განპირობებული. 2005 წელს ციტრუსების ექსპორტი 5,9 მლნ. აშშ დოლარამდე გაიზარდა. ქვეყნის გარეთ რეალიზებული იყო 33,8 ათასი ტონა ციტრუსი. სოციალიზმის პერიოდში ციტრუსის ნაყოფი, ძირითადად, საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა, ხოლო მცირე ნაწილის რეალიზაცია ქვეყნის ბაზარზე ხდებოდა. დღეისათვის ციტრუსის ნაყოფის ექპორტის გადიდება ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის. მომავალში ციტრუსების ექსპორტის გადიდება მარტო ცალკეული ბიზნესმენის ძალისხმევაზე კი არ უნდა იყოს გათვლილი, არამედ სახელმწიფო დონეზე უნდა ხორციელდებოდეს მოლაპარაკებები სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ციტრუსების შესაძლო შესყიდვებზე, რაც ხელშეკრულების სახით უნდა გაფორმდეს წლის დასაწყისში და არა წლის ბოლოს (რასაც ხშირად აქვს ადგილი), როდესაც მალფუჭებადი ციტრუსის ნაყოფი უკვე მოკრეფილია.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ძირითად გზად ადგილობრივი ნედლეულის რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება უნდა მივიჩნიოთ. ამ ფონზე მეციტრუსეობის ოპტიმალური განვითარების პოტენციური შესაძლებლობების გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მეციტრუსეობის განვითარება ძირითადად ინტენსიური გზით უნდა განხორციელდეს. ციტრუსოვან კულტურათა მოვლა-მოყვანის სირთულიდან და წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებლობად მიგვაჩნია: დარგის ქიმიზაცია, ორგანული და მინერალური სასუქების ერთობლივი გამოყენება ნიადაგში შეტანის ოპტიმალური დოზების გათვალისწინებით, დარგის ტექნიკური დონის გაუმჯობესება, თანამედროვე საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირება და სხვა.

მეჩაიეობა სპეციფიკური დარგია. საქართველოში დარგის განვითარებისათვის კარგი ნიადაგობრივი, ბუნებრივი და კლიმატური პირობებია. საბჭოთა კავშირის დაშლამ და საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალმა პერიოდმა, ძველი ურთიერთობების მოშლამ, ბოლო 15 წლის განმავლობაში განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, დარგის შრომატევადობამ და მექანიზაციის საშუალებების თითქმის არარსებობამ მეჩაიეობის დაკნინება გამოიწვია.

ეს პროცესი კიდევ უფრო გაამწვავა ქვეყანაში ნაჩქარევად გატარებულმა მიწის რეფორმამ და მრავალწლიან ნარგავთა არასწორმა პრივატიზებამ, რამაც ჩაის პლანტაციების დაქუცმაცება გამოიწვია. აღნიშნული მიზეზების გამო, ბოლო წლებში თითქმის მიტოვებულ ჩაის პლანტაციებში ჩაის ბუჩქმა დაკარგა ფუნქციონირების უნარი, ვარჯი გადაიზარდა და დაიცოცხა, მცენარეს ხავსი მოედო, მოუვლელობით ნიადაგი გამოიფიტა, გაკორდდა და დეგრადაცია განიცადა. აღნიშნულის გამო, მკვეთრად შემცირდა ჩაის ფოთლის წარმოება, გადამუშავება და ექსპორტი. საქართველო ჩაის ექსპორტიორი ქვეყნიდან იმპორტიორ ქვეყნად იქცა. ჯერჯერობით ვერ ხერხდება ჩაის წარმოებაში არსებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევა. ქართველი მეცნიერების მიერ გამოყვანილი ჩაის მაღალმოსავლიანი ჯიშებით გაშენებული ჩაის პლანტაციების ფართობი 1990 წლისათვის 18 ათას ჰა-ს შეადგენდა, დღეს კი, მოუვლელობით და სხვა მიზეზების გამო, ჩაის ფართობები 10,5 ათასი ჰა-თი შემცირდა. 2005 წლისათვის ჩაის არაპერსპექტიული პლანტაციების მთლიანი ფართობი ქვეყანაში 15,6 ათას ჰა-ს შეადგენდა, მათ შორის, რეაბილიტაციას ექვემდებარებოდა 6975 ჰა, დანარჩენი ფართობი (8625 ჰა) ამოსაძირკვია. ჩაის ფართობის შემცირების შედეგად ქვეყანაში 1999–2005 წლებში ჩაის ფოთლის წარმოება 37,5 ათასი ტონით შემცირდა, მათ შორის, აჭარაში 5,5 ათასი ტონით; იმერეთის რეგიონში – 5,0 ათასი ტონით; სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში – 19,3 ათასი ტონით; ხოლო გურიის რეგიონში – 7,7 ათასი ტონით. რეაბილიტაციას დაქვემდებარებული ჩაის პლანტაციების ექსპლუატაციაში შესაყვანად დიდი კაპიტალდაბანდებების აუცილებლობამ (რაც ქვეყანას არ გააჩნია) დარგი, რომელიც 15 წლის წინ ქვეყანაში ეკონომიკურად, ფინანსურად და ტექნოლოგიურად ყველაზე მეტად იყო განვითარებული, განადგურების პირას მიიყვანა. ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, ჩაის წარმოე-

ბული პროდუქცია მდარე ხარისხისაა, რაც განაპირობებს ამ პროდუქციის დაბალ საექსპორტო ფასს.

მეჩაიეობა შემოსავლიანი დარგია, რის გამოც დასავლეთ საქართველოს მეჩაიეობის რეგიონებში, იგი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამაღლების ძირითად საშუალებას წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ იმ ნიადაგზე, სადაც ჩაი იყო გაშენებული, სოფლის მეურნეობის სხვა კულტურა ვერ ხარობს, მეჩაიეობის რეგიონებში ამ დარგს ალტერნატივა არ გააჩნია.

მეჩაიეობის დარგის რეაბილატაციისა და შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ რეალურად აამოქმედოს ეროვნული მეურნეობის დაცვისა და მხარდაჭერის ეკონომიკური და სამართლებრივი ბერკეტები.

ჩვენ ვეთანხმებით ზოგიერთი ავტორის შეხედულებას იმის შესახებ, რომ განსახელმწიფოებრიობა და პრივატიზება არ არის თვითმიზანი და არც მხოლოდ ცალმხრივი მოძრაობის პროცესი. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად, შეიძლება დაიშვას საპირისპირო ქმედებაც. დღეისათვის საქართველოში პრივატიზებული ჩაის პლანტაციებისა და ჩაის გადამამუშავებელი საწარმოების გარკვეული ნაწილის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა ეფექტური რომ გახდეს, დარგის განვითარება მარკეტინგული მოდელის ისეთ ძირითად პრინციპებს უნდა დაეყრდნოს, როგორიცაა: მომხმარებელთა მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება, ბაზრის სიტუაციებისა და საწარმოს რეალური შესაძლებლობების გათვალისწინება, გრძელვადიანი მომგებიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა და სხვ. [3].

მეჩაიეობის განვითარება ძირითადად უნდა წარიმართოს ჩაის ფოთლის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებით, რაც გაზრდის საერთაშორისო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობას.

აქტიური სამარკეტინგო პოლიტიკის გატარებით ახლო პერსპექტივაში შესაძლებელი უნდა გახდეს, პირველ რიგში, მაღალი ხარისხისა და საჭირო რაოდენობის პროდუქციით ქვეყნის მოსახლეობის შიდა მოთხოვნილების უზრუნველყოფა, ხოლო შემდეგ ტრადიციული საექსპორტო ბაზრების დაბრუნება.

დარგის რეაბილიტაციის მიზნით, ვფიქრობთ, უნდა განხორციელდეს ჩაის პლანტაციებში ნარგავების პასპორტიზაცია, შესწავლილი, გამოკვლეული და დადგენილი უნდა იყოს ნარგავების ასაკი, ჯიშური შემადგენლობა, მეჩხერიანობა, ნიადაგში საკვები ელემენტების მდგომარეობა, დაბალმოსავლიანი, მობერებული პლანტაციების ჯიშობრივი განახლება, ჩაის პერსპექტიულ პლანტაციებში აგროტექნიკური ღონისძიებების კომპლექსური ჩატარება და სხვა. ყველაფერ ამას ესაჭიროება ფინანსები, რისთვისაც საჭიროა, შეიქმნას დარგის საინვესტიციო ფონდი, რომლის შესავსებად, ადგილობრივ ინვესტორებთან ერთად, უცხოური ინვესტიციებიც აუცილებელი იქნება.

ახლო პერსპექტივაში დარგის განვითარება მეჩაიეთა მცირე კოოპერატიული საზოგადოებების შექმნით უნდა განხორციელდეს, რომლებიც მათ მიერ შექმნილ ნედლეულს საკუთარი მცირე წარმადობის საამქროებში გადაამუშავებენ.

მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი, ტრადიციული და უმნიშვნელოვანესი დარგია. აბრეშუმის ძაფისგან დამზადებული ქსოვილი გამოირჩევა ჰიგიენურობით, სილამაზით, სიფაქიზით, დიდი სიმტკიცითა და გამძლეობით.

სოფლის მეურნეობის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, აბრეშუმის პარკის დამზადება წარმოების მოკლე პერიოდით გამოირჩევა. იგი საუკეთესო პირობებს ქმნის სოფლად შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ოჯახური კოოპერირებისათვის. მეაბრეშუმეობა სოფლად მოსახლეობის დასაქმების, ოჯახური შინამეურნეობების დამატებითი შემოსავლის, სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკის განმტკიცების საშუალებას წარმოადგენს.

საქართველოში აბრეშუმის პარკის წარმოებამ განვითარების პიკს 1966-1968 წლებში მიაღწია, როდესაც დამზადდა 4,1 და 3,7 ათასი ტონა აბრეშუმის პარკი. აბრეშუმის პარკის აღნიშნული რაოდენობა სრულად აკმაყოფილებდა რესპუბლიკის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკების მოთხოვნას ნედლეულზე. ხარისხიანი აბრეშუმის პარკისაგან ამოხვეული ძაფით მზადდებოდა მაღალი ხარისხის ნატურალური ქსოვილები: აბრეშუმი, კრებდიშინი, კრეპჟორჟეტი, კრეპშიფონი და სხვა. შედარებით დაბალი ხარისხის ნედლეული გამოიყენებოდა თექის, ფარდაგების, გობელენისა და სხვათა დასამზადებლად.

1980-1990 წლებში აბრეშუმის პარკის წარმოება 1,7 ათასი ტონიდან 1,5 ათას ტონამდე შემცირდა, რაც აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის – თუთის ნარგავების მიკროპლაზმურმა დაავადებამ „წვრილფოთოლა ხუჭუჭიანობამ“ გამოიწვია, რომელიც პირველად 1964 წელს შენიშნეს დასავლეთ საქართველოს მეაბრეშუმეობის რაიონებში. წლების განმავლობაში დაავადებამ თითქმის გაანადგურა თუთის ჯიშიანი ნარგავები. გასული საუკუნის 90-იან წლებში დაავადება აღმოსავლეთ საქართველოს მეაბრეშუმეობის რაიონებშიც გავრცელდა და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა თუთის ჯიშიან ნარგავებს.

1990–1998 წლებში აბრეშუმის პარკის წარმოება ქვეყანაში მინიმუმამდე შემცირდა. სოციალისტური წყობის დაშლამ, მტკიცე ეკონომიკური კავშირების ნგრევამ, ქვეყანაში ეკონომიკის მწვავე კრიზისმა, არასწორად ჩატარებულმა პრივატიზაციამ, მწვავე ფინანსურმა სიძნელეებმა, სხვა ობიექტურმა და სუბიექტურმა მიზეზებმა განაპირობა რესპუბლიკაში წარმოებული აბრეშუმის პარკის ძირითადი მომხმარებლის – აბრეშუმის პარკის ძაფსახვევი და აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკების ფუნქციონირების შეწყვეტა. 2000 წლიდან საქართველოში აღარ წარმოებს გრენის და, შესაბამისად, აბრეშუმის პარკის დამზადება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში აბრეშუმის პარკის წარმოების ტრადიცია, დარგის თანამედროვე მდგომარეობა და მისი დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა გვიჩვენებს მეაბრეშუმეობაში დაგროვილი პრობლემების ლიკვიდაციისათვის კომპლექსური ღონისძიებების გატარების აუცილებლობას [1], რისთვისაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1. მეაბრეშუმეობაში ინვესტიციების ჩადება და მიზნობრივი კრედიტის გამოყოფა (აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, ბოლო 15 წლის განმავლობაში, მეაბრეშუმეობისათვის არ გამოყოფილა არც ჰუმანიტარული და არც ტექნიკური დახმარება და არც მიზნობრივი კრედიტი, რაც ასე საჭიროა დარგის გამოცოცხლებისათვის. ინვესტიციების დაბანდებით მეაბრეშუმეობის პროდუქცია რომ მსოფლიო სტანდარტების დონეზე გავიდეს, წარმოებული პროდუქციის ექსპორტით ქვეყანა დიდ შემოსავალს მიიღებს).
2. აბრეშუმის გრენის აბორიგენული ჯიშების სელექცია.
3. აბორიგენულ ჯიშებთან ერთად, გრენის მაღალპროდუქტიული ჯიშებისა და ჰიბრიდების იმპორტი.

4. ქვეყანაში საფეიქრო მრეწველობის გამოცოცხლება.
5. მეაბრეშუმეთა მატერიალური დაინტერესების გადიდება.
6. აბრეშუმის პარკის ხარისხის ამაღლება.
7. აბრეშუმსახვევი, აბრეშუმსაღები და აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკების ტექნიკური გადაიარაღება.
8. აბრეშუმის ჭიის საკვები ბაზის – მეთუთეობის აღდგენა და განვითარება.

მეაბრეშუმეობა ერთი მთლიანი ციკლია. აბრეშუმის მზა ქსოვილის მისაღებად აუცილებელია მაღალი ხარისხის აბრეშუმის ნართი, მის მისაღებად კი საჭიროა ხარისხიანი აბრეშუმის პარკი. აბრეშუმის პარკის წარმოება მჭიდროდ არის დაკავშირებული საგრენაჟო ქარხნების გამართულ საქმიანობასთან და, რაც მთავარია, აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებად აუცილებელი მყარი საკვები ბაზის – მეთუთეობის განვითარებასთან. ამიტომ მეაბრეშუმეობის რეაბილიტაცია უნდა განხორციელდეს ერთიან კომპლექსში, მისი შემადგენელი ყველა პროცესის თანმიმდევრობით [2].

გამოყენებული ლიტერატურა

1. **დათუნაშვილი ლ., ჩხეიძე თ., ასათიანი ზ.** მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციის გზები რეგიონულ ჭრილში. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებები რეგიონების აგროსამრეწველო სექტორში. სს გამომცემლობა „აჭარა". ბათუმი, 2007.

2. **დათუნაშვილი ლ.** საქართველოში მეაბრეშუმეობის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების ღონისძიებები. საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. III, თბილისი, „მეცნიერება“, 2003.

3. **დობორჯგინიძე ს.** ჩაის პროდუქციის წარმოების ზოგიერთი საკითხი საბაზრო სისტემის ფორმირების პირობებში. ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, №1, 2006.

4. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური კრებული 2006. თბილისი, 2007.

5. **CERMA**-ს მიერ საქართველოში მევენახეობის და მეღვინეობის სექტორის კვლევაში გამოყენებული მონაცემები, 2004.

Datunashvili Lina

REGIONAL PECULIARITIES OF AGRARIAN SPHERE DEVELOPMENT IN GEORGIA

SUMMARY

The article studies and analyses the current situation and the possibilities of efficient development of such traditional sectors of Georgian agriculture, as: viticulture, fruit growing, tea growing, citrus growing, silkworm breeding (sericulture), a potential reserve of which the country has and which is not yet completely used. From this point of view the attention is focused on the orientations and possibilities of various regions in the direction of preferential development of one or another sector in the country.

ვახტანგ ბურდული

საქართველოს რეგიონებში საერთო დანიშნულების მეწარმეობის განვითარების ტერიტორიული რეგულირების და საბაზრო

კოორდინაციის მექანიზმის სრულყოფის გზები

ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში, გლობალიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, მიმდინარეობს ეკონომიკის ლიბერალიზაციის, დეცენტრალიზაციისა და დეკონცენტრაციის პროცესი, რომელიც ეხება სახელმწიფო მართვის როგორც ცენტრალურ, ასევე ყველა ტერიტორიულ დონეს. თუ ზოგიერთ ქვეყანაში სახსრების მობილიზაციის სფეროში ძლიერდება ცენტრალიზაციის პროცესი (თუმცა მრავალ ქვეყანაში შეიმჩნევა საწინააღმდეგო პროცესი. მაგალითად, გერმანიაში, სადაც "მიწების" და თემების ხელისუფლების დონეებისადმი მიმაგრებულია მნიშვნელოვანი სახსრები), საბიუჯეტო სახსრების რეალიზაციის პროცესში მკვეთრად ვლინდება დეცენტრალიზაციისა და ტერიტორიული ხელისუფლების პასუხისმგებლობის ზრდის პროცესი.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემიდან საბაზრო სისტემაზე ტრანსფორმირებადი ეკონომიკის პირობებში, სხვა ღონისძიებებთან ერთად, მეტად აქტუალურია მეწარმეობის სხვადასხვა დონის ტერიტორიული მართვის მექანიზმის გარდაქმნა და მეწარმეობის საბაზრო კოორდინაციის მექანიზმის შექმნა და განვითარება. ეს პროცესი უფრო მნიშვნელოვანი ხდება მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში.

ამასთან, ტერიტორიულ დონეებზე არსებობს ორი ძირითადი მიმართულების გარდაქმნის აუცილებლობა: პირველი დაკავშირებულია ადგილობრივი კომუნალური, სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტასთან, მეორე – წარმოების სხვადასხვა დარგის საწარმოების (რომელთა ფუნქციონირება მოცემულ ტერიტორიაზე ხელსაყრელია) განთავსებისა და ფუნქციონირების ხელშეწყობასთან.

საქართველოს რეგიონებში (მხარეებში) საჭიროა მეწარმეობის საერთო სექტორების განვითარების ხელშემწყობი მექანიზმის ჩამოყალიბება, ისეთის, როგორიც არსებობს განვითარებულ ქვეყნებში (ამასთან, ასეთ მექანიზმს ყოველ განვითარებულ ქვეყანაში საკუთარი თავისებურებები გააჩნია), სადაც, გლობალიზაციის პირობებში, ეკონომიკური რეგულირების ლიბერალიზაციასთან ერთად, მიმდინარეობს რეგულირების თანდათანობითი დეცენტრალიზაციის პროცესი. ამასთან, ძლიერდება ცენტრის კონტროლი სახსრების დანიშნულებისამებრ ხარჯვის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონულ დონეზე სახელმწიფო (ბი-

�ократული) და საბაზრო კოორდინაციის მექანიზმები თითქმის ყოველ განვითარებულ ქვეყანაში არსებობს, ცალკეული გამონაკლისების გარდა, ყოველი განვითარებული ქვეყნის შესაბამისი მექანიზმი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან, ე.ი. ყველა განვითარებულ ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების ტერიტორიული რეგულირებისა და საბაზრო კოორდინაციის მექანიზმი სხვადასხვანაირია, რაც დამოკიდებულია ქვეყნის ზომებზე, ტრადიციებზე, სამართლის სისტემებზე და ა.შ. მექანიზმი ასევე იცვლება ეკონომიკის განვითარების დონის ზრდის შესაბამისად, პოლიტიკური სიტუაციისა და გარე ეკონომიკური ურთიერთობების შესაძლებლობების ცვლილებისა და სხვა გარემოებების გამო.

პოსტსაბჭოურ ქვეყნებში არა მარტო ასეთ მექანიზმშია საჭირო ცვლილებების განხორციელება, არამედ ისეთი ინსტიტუციური და საწარმოო სტრუქტურების ჩამოყალიბება, რომლებიც უზრუნველყოფს ტერიტორიებზე მეწარმეობის საერთო სექტორების განვითარების ხელშეწყობას და სტიმულირებას.

მექანიზმში აუცილებლად უნდა იყოს ჩადებული ნებისმიერი რეგიონის მოსახლეობის ინტერესების დაცვის ელემენტები (უმუშევრობის ყველაზე მინიმალურ, ანუ ბუნებრივ დონემდე შემცირება, კარგად ანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნა, პროფესიული გადამზადება და სხვ.), ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, პრობლემური რაიონებიდან (ან რაიონებიდან ჭარბი მოსახლეობით) მოსახლეობის გადაადგილება რეგიონებში ან სოფლიდან ქალაქებში – მიზიდულობის ცენტრებში, სადაც იქმნება კარგად ანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, ე.ი. ყალიბდება ახალი საწარმოები ან დაწესებულებები (წარმოების განლაგების ეკონომიკურ თეორიებში ითვლება, რომ ასეთი ადგილების მდებარეობა ხანდახან იცვლება), რაც ეკონომიკური დინამიზაციის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა.

მეწარმეობის საერთო სექტორის განვითარების ხელშეწყობის უზრუნველსაყოფი სისტემები იყოფა სახელმწიფო და საბაზრო ორგანიზაციებად (ე.ი. მეწარმეთა მიერ შექმნილ), აგრეთვე საფინანსო და არასაფინანსო სისტემებად. არსებობს ასევე სხვადასხვა სახის შერეული სისტემები – სახელმწიფოს (ტერიტორიების) ხელისუფლების სტრუქტურებისა და ბაზრის სუბიექტების ერთობლივი მონაწილეობით.

დიდი მნიშვნელობა აქვს მეწარმეობის განვითარების უზრუნველყოფის სახელმწიფო ბერკეტების ნუსხას (როგორც ცენტრალურ, ასევე ტერიტორიულ დონეებზე).

არის ბერკეტები, რომლებიც (მეწარმეობის საერთო სექტორების ან მეწარმეობის განვითარებისა და ფუნქციონირების დამხმარე საფინანსო და არასაფინანსო ხასიათის ორგანიზაციების, მეწარმეობის ცალკეული დარგების ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით) მუდმივად ან დროებით გამოიყენება რეგიონულ დონეზე ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზებული და სხვადასხვაგვარი ტრანსფერის სახით რეგიონებში გადაცემული, და, ასევე, რეგიონებში მობილიზებული სახსრების მეშვეობით. საფინანსო ბერკეტების წყაროები შეიძლება შეიქმნას ცენტრალური და ტერიტორიული ბიუჯეტების საინვესტიციო ნაწილიდან მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისათვის შექმნილი სპეციალური ფონდების მეშვეობით (ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად იაპონიაში, ამისათვის სახელმწიფო ბიუჯეტში სპეციალური მუხლები არსებობს [8, გვ. 144-145], ან, მაგალითად, შვედეთში – გადასახადების გადანაწილების შესაბამისი მექანიზმები [6]), სადაც შეიძლება აგრეთვე აკუმულირდეს მსხვილი კორპორაციების ან სხვა დაინტერესებული მეწარმეების მიერ გამოყოფილი სახსრები.

სახელმწიფო ან რეგიონული და მუნიციპალური შესყიდვები ასევე შედის საერთო დანიშნულების მეწარმეობის სექტორების წახალისების ზომებში.

საგადასახადო შეღავათები მეწარმეობის წახალისების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ტერიტორიულ დონეზე გამოიყენება ან ტერიტორიული გადასახადებიდან დროებითი გათავისუფლება (საგადასახადო არდადეგები), ან გადასახადების შემცირებული განაკვეთები.

ამასთან, დეპრესიული რეგიონების გამოცოცხლების მიზნით, გამოიყენება მასტიმულირებელი ბერკეტების უფრო არსებითი ნუსხა.

არსებობს ბერკეტები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ჩამორჩენილი რეგიონების მეწარმეობის განვითარებისათვის. ასეთ ბერკეტებს "გამათანაბრებელ ბერკეტებს" უწოდებენ. უმეტეს ქვეყნებში ეს ტრანსფერებით ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტიდან [7], მაგრამ ასევე არსებობს (მაგალითად, გერმანიაში) ერთი რეგიონიდან სხვა რეგიონებში საფინანსო რესურსების გადარიცხვის პრაქტიკაც. რა თქმა უნ-

და, ეს ტრანსფერები გადაეცემა მეწარმეობის განვითარებისათვის შექმნილი სხვადასხვა პროგრამის შესასრულებლად, რომელთა შესრულება მკაცრად კონტროლდება. მაგალითად, პრაქტიკის ანალიზმა დაადასტურა, რომ 60-იანი წლებიდან კანადაში უამრავი სახსრების გადაცემისას, რეგიონებში (პროვინციებში) რაიმე დადებითი შედეგები არ ჩნდებოდა, ანდა მიზერული იყო, რის გამოც, ასეთი პროგრამების რეალიზაციისათვის კანადაში სახსრები ამჟამად ყველაზე დაბალ ტერიტორიულ დონეებს (კომუნებში) გადაეცემა, სადაც ამ ქვეყნის პირობებში პროგრამების რეალიზაციაზე კონტროლის გაწევა უფრო შედეგიანია და ასეთი წესით რეალიზებულ პროგრამებს მნიშვნელოვანი დადებითი შედეგები მოაქვს [1, გვ. 22-27; 3, გვ. 96-98; 5, გვ. 123-126].

ამჟამად, ეკონომიკური ლიბერალიზაციის პირობებში, განვითარებულ ქვეყნებში გაჩნდა სხვა მექანიზმი: რეგიონების მთავრობების უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის გაფართოება და რეგიონებს შორის კონკურენციის განვითარება ინვესტიციების, სპეციალისტების, კვალიფიციური მუშა ძალისა და სხვათა (მაგალითად, თანამედროვე ტრადიციული დარგების ტექნოლოგიების ან “მაღალი” ტექნოლოგიების) მოსაზიდად, ხელსაყრელი საინვესტიციო და სოციალური უზრუნველყოფის გარემოს შექმნის საფუძველზე [3, გვ. 75,76; 5, გვ. 120]. ამიტომ, სხვადასხვა რეგიონის მეწარმეობის განვითარების პოლიტიკა, განხორციელებული პროგრამული მეთოდებით და ცენტრიდან ამ პროგრამების ტრანსფერებით უზრუნველყოფის მექანიზმები უფრო სუსტია, ვიდრე წინათ. ლიბერალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პირობებში ტრანსფერებს კონსოლიდური ბიუჯეტიდან გადასცემენ ადგილობრივ ხელისუფლებებს, რომელთა პასუხისმგებლობა იზრდება მათთვის გადაცემული უფლებამოსილებების შესაბამისად. ან ზოგიერთ უნიტარულ სახელმწიფოშიც (რომ არა ვთქვათ ფედერალურ სახელმწიფოებზე, სადაც ეს სავალდებულოა), ამ მიზნებისათვის ხორციელდება მოცემულ ტერიტორიაზე ძირითადი სახელმწიფო გადასახადებიდან დარიცხული ანარიცხების გამოყენება (იაპონია, დანია), მაგრამ, როგორც ითქვა, ამისათვის იაპონიაში არსებობს სახელმწიფო ბიუჯეტში სპეციალური ანგარიშების (38 ანგარიში) ბიუჯეტი, 9 საფინანსო კორპორაცია (მაგალითად, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების კორპორაცია), გრძელვადიანი დაფინანსების ბანკი [8, გვ. 144, 145]). მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში გათანაბრების პოლიტიკას ადგილი არ აქვს, რადგანაც იმ

რეგიონებში, სადაც მეწარმეობა სუსტად არის განვითარებული, ტერიტორიის ფარგლებში აკრეფილი ანარიცხები მცირეა. ამიტომ გათანაბრების პოლიტიკის რეალიზაციისათვის მაინც საჭიროა გადანაწილება ცენტრალური ან რეგიონთაშირისი ტრანსფერების მეშვეობით.

ბოლო პერიოდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა ის, რომ ანარიცხები ძირითადი გადასახადებიდან იკრიფება იმ რეგიონში, სადაც განლაგებულია საწარმო და არა კორპორაციის მმართველობა. იმ ქვეყნებში, სადაც უკვე ხორციელდება ასეთი პრაქტიკა (ვგულისხმობთ, რომ ის ასახულია ქვეყნის კანონმდებლობაში), გაცილებით უფრო ნაკლები სახსრების გადინებაა შესაძლებელი ოფშორულ ზონებში.

ზომიერი ინფლაცია უკვე დიდი ხანია რეალურ წარმოებაში ინვესტიციების წახალისების ერთ-ერთ მნიშველოვან ბერკეტად ითვლება. ამასთან, რადგან რეგიონებისათვის ჭარბი წარმოებით ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში არსებობს დამატებითი გადასახადების მეშვეობით ინვესტიციების (ახალი მშენებლობის) შეზღუდვის პრაქტიკა, ასეთი ინვესტიციები უფრო მეტად რეგიონებში ჩამორჩენილი საწარმოებისათვის ხორციელდება.

მაგრამ, როდესაც ინფლაციის ტემპები დიდია, ასეთი პრაქტიკა არ ივარგებს, რადგანაც შეიძლება, მშენებლობის პერიოდში სახსრების გაუფასურების გამო, ინვესტორს არ ეყოს თანხები მშენებლობის დასამთავრებლად და, ასევე, სწრაფი ინფლაციის პირობებში, ტერიტორიაც ვერ მიიღებს მოგებას თავისი რესურსების მიწოდებით და მიწის ნაკვეთის ინვესტორზე მიყიდვით ან იჯარით გადაცემით.

პოსტსაბჭოურ ქვეყნებში არსებული მდგომარეობა, წარმოების მკვეთრი დაცემის პირობებში, განსაკუთრებით პერიფერიებში, ცენტრის მხრიდან მოითხოვს დეპრესიული ან სუსტად განვითარებული რეგიონებისათვის, საკმაოდ საგრძნობი მოცულობით, რეგიონთაშორისი გამათანაბრებელი პოლიტიკის განხორციელებას და ამისათვის ტრანსფერების გამოყოფას. საქართველოს პირობებში ასეთი პრაქტიკა აამაღლებს ქვეყანაში ეკონომიკის დინამიზაციის პროცესს [2], განსაკუთრებით სხვა ქვეყნებთან მოსაზღვრე რეგიონებში (მაგალითად, თურქეთთან, სადაც ამჟამად სწრაფად ვითარდება ტექნოლოგიები, წარმოება და შეიქმნა რამდენიმე ტექნოპოლისი), სადაც უფრო ადვილია ტექნოლოგიებისა და საქონლის გაცვლა პირდაპირი კონტაქტების მეშვეობით. არაა შემთხვევითი, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ მიზნით ხელს უწყობს რკი-

ნიგზის ახალქალაქი-ყარსის აშენებას, რომელიც, აღნიშნული მოსაზრებების გარდა, ხელს შეუწყობს სარკინიგზო დაკავშირებას ზოგიერთ ევროპულ და სამხრეთ ქვეყანასთან.

დიდი მნიშველობა აქვს ასევე სახელმწიფო, შერეულ და კერძო ბერკეტებს, რომლებიც ხელს უწყობს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებას.

მსხვილ ქვეყნებში ასეთი სიახლეების წასახალისებლად სხვადასხვა ხერხი გამოიყენება, რომელიც ხელს უწყობს მეცნიერების განვითარებას, ახალი ტექნოლოგიების (მათ შორის ფართო დანიშნულების ნაკეთობების) შექმნას. ამისათვის ხორციელდება ვენჩურული კაპიტალის მოზიდვა, ტექნოპოლისებისა და ტექნოპარკების შექმნა. ამავდროულად, გამოიყენება შემცირებული გადასახადების ან გადასახადებისაგან გათავისუფლების პრაქტიკა. სახელმწიფო ხარჯებით განსაკუთრებით ტექნოპოლისებისათვის საჭირო საწარმოო ინფრასტრუქტურა შენდება, ხორციელდება ახალი მზა დამუშავებების (განსაკუთრებით სამხედრო და საიდუმლო სფეროებში) სახელმწიფო შესყიდვები.

მაგალითად, აშშ-ში არსებობს „სილიკონური ველი", სხვა ტექნოპოლისები, მსხვილი კორპორაციები, რომლებიც შიდაკორპორაციულ გამოკვლევებს ატარებენ (რასაც სახელმწიფო ახალისებს საგადასახადო შეღავათებით) ან აწესებენ ჰოლდინგებს, რომლებსაც რამდენიმე კორპორაცია ქმნის ერთობლივი დანახარჯების შესამცირებლად. დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო სამეცნიერო პროექტებს, რომლებიც დგება სპეციალური პროგრამების საფუძველზე დროებით შექმნილ ან მუდმივად არსებულ ლაბორატორიებში (ჩვენებურად "სამეცნიერო ინსტიტუტებში"), საიდუმლო პროექტები უმეტესად, ისევე, როგორც რუსეთში, დახურულ ქალაქებში ხორციელდება, მაგრამ ხშირად ჩვეულებრივ კერძო კორპორაციებში (რომლებიც შესაბამის პროექტებს სახელმწიფო შეკვეთით ან თავისი საბაზრო ინტერესებიდან გამომდინარე ასრულებენ).

დიდი მნიშველობა აქვს მეწარმეობის განვითარების საბაზრო კოორდინაციას, რომელშიც ვგულისხმობთ:

ა) მეწარმეთა გაერთიანებული ჯგუფების მიერ სხვადასხვა რეგიონულ და, თუ საჭიროა, ცენტრალურ მთავრობასთან სხვადასხვა ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც ორივე მხარეს მოუტანს სარგებელს იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ რეგიონუ-

ლი და ცენტრალური ხელისუფლებები მოსახლეობის ინტერესებს იცავენ;

ბ) მეწარმეთა მიერ კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში საშუალო ან ფიქსირებული ფასების დადგენა განსაზღვრულ საქონელსა და განსაზღვრულ ბაზრებზე (ერთი კვირის, ორი კვირისა და ა.შ. განმავლობაში), რაც მიღებულია მრავალი ქვეყნის პრაქტიკაში [4, გვ. 109];

გ) ურთიერთშეთანხმებები ცალკეულ მეწარმეებსა (კორპორაციებსა) და ცენტრალურ ან რეგიონულ ხელისუფლებას შორის, ერთი მხრივ, სახელმწიფო შეღავათებზე საექსპორტო პროდუქციის შემუშავებისა და უცხოურ ქვეყნებში რეალიზაციის მიზნით, მეორე მხრივ, მეწარმეების (კორპორაციების) მიერ შესაბამისი ვალდებულებების აღებაზე;

დ) მეწარმეთა ასოციაციების შექმნა ცალკეული დარგების მიხედვით, რომლებიც თავის დარგებში წყვეტენ საკითხებს კეთილსინდისიერი კონკურენციის, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, სამეცნიერო და სხვა დანიშნულების ერთობლივი (წილების მიხედვით) ჰოლდინგების შექმნის შესახებ. ყოველივე ეს გამოიწვევს დარგობრივი პროდუქციის თვისებების გაუმჯობესებას ან, განსაკუთრებით, პროდუქციის ექსპორტის შესაძლებლობების ზრდას და შეამცირებს საერთო დანახარჯებს ასეთ სამუშაოებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Бейтер Дж**. Местное экономическое развитие в Канаде. В сб. Стратегическое планирование экономического развития: 35 лет канадского опыта. СПб., Международный центр соц.-эк. исследований, «Леонтьевский центр», 2004.
2. **Бурдули В., Церетели Г.** Проблемы динамизации экономического развития Грузии. Известия АН Грузии. Серия экономическая, том 7, №3-4, 1999.
3. **Жихаревич Б., Жунда Н., Русецкая О.** Экономическая политика местных властей в реформируемой России. ВЭ, №7, 2006.
4. **Маневич В.** О закономерностях становления рынка. ВЭ, №3, 1993.
5. **Назаров В.** Перспективы реформирования Российской системы межбюджетных отношений (в свете зарубежного опыта. ВЭ, №9, 2006.

6. **Рогова О., Моисеева Л., Логвина А.** Налоговая политика Швеции: целевая направленность и механизм. – ВЭ, №12, 1991.

7. **Семеко Г. В.** Местные финансы стран Европейского сообщества. Финансы, №11, 1993.

8. **Сенчагов В. К.** О Японском опыте управления. ВЭ, №5, 1990.

Burduli Vakhtang

THE WAYS OF IMPROVEMENT OF TERRITORIAL REGULATION AND MARKET CO-ORDINATION MECHANISM OF BUSYNESS UNDERTAKINGS OF GENERAL CHARACTER IN GEORGIA'S REGIONS

SUMMARY

In the article the ways of construction of assistance mechanism of business undertakings of general importance (except for municipal, which requires special mechanism) in the regions of Georgia are considered. On the basis of generalization of the development countries experience by territorial regulation and market co-ordination of business undertakings the basis tendencies of its development are revealed decentralization of a number of government functions with synchronous strengthening of control on its realization; the assistance to diversification of territorial production; the assistance to development of institutional and industrial infrastructure, that is necessary for main production and other. In the artikle are determined and systematized the organizations of assistance to development of productions, instruments of stimulation and the ways of market co-ordonation in the regional level.

რევაზ ჯავახიშვილი

ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი პრობლემები ცენტრალურ კავკასიაში

ევრაზიის რეგიონთა შორის კავკასია თავისი განსაკუთრებული გეოსტრატეგიული მდებარეობით გამოირჩევა. იგი იმავდროულად ფლობს დიდძალ ბუნებრივ-სანედლეულო მარაგებსა და ადამიანთა რესურსებს. ამასთან, ცენტრალურ კავკასიას აქვს უნიკალური გეოპოლიტიკური მდგომარეობა – იგი რუსეთს აკავშირებს თურქეთთან, ირანთან და ახლო აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანასთან. საქართველო, აზერბაიჯანსა და სომხეთთან ერთად, ერთგვარი ღერძია ჩრდილოეთ-სამხრეთსა და აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის, სადაც ერთმანეთს მრავალი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ეჯახება.

ბოლო პერიოდში ცენტრალურ კავკასიაში გადამწყვეტ როლს რუსეთის იმპერია ასრულებდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც სრულებითაც არ განელებულა ცენტრალური კავკასიის ქვეყნებში რუსეთის ბატონობის ამბიცია. ამას იგი ახერხებდა თავისი შეიარაღებული ძალების – სამხედრო ბაზების არსებობითა და, რაც მთავარია, დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ სახელმწიფოებში ეთნიკური კონფლიქტების გაღვივებით. ეთნიკური კონფლიქტები, ანუ როგორც მას ხატოვნად უწოდებენ „შენელებული მოქმედების ნაღმები“, ჯერ კიდევ საბჭოური სისტემის დროს ჩაიდო. ისინი უმალ იწყებდნენ ამოქმედებას, როგორც კი ამ ქვეყნებში ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა იწყებოდა. ამის ნათელი მაგალითია მთიანი ყარაბაღი, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი და განსაკუთრებით საქართველოში მ/წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენები, რის შედეგად ათეულ ათასობით ადამიანი დაიღუპა და მოსახლეობის აბსოლუტურად დიდი ნაწილი ლტოლვილად და მიუსაფრად იქცა.

რუსეთი ყოველნაირად ცდილობს, თავისი გავლენა შეინარჩუნოს ცენტრალური კავკასიის ქვეყნებზე და არ დაუშვას მათი ჩრდილო-ატლანტიკური ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში – ნატოში გაწევრიანება. ამ პოლიტიკის განხორციელებაში მისი დასაყრდენია სომხეთი, რომელთანაც გაფორმებული აქვს ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულება. ჯერ კიდევ XXI საუკუნის დასაწყისში

სომხეთის სამხედრო ბაზებზე დისლოცირებული იყო 20 ათასზე მეტი რუსეთის სამხედრო მოსამსახურე. ამას მიემატა ბოლო პერიოდში საქართველოდან გასული რუსული ბაზები, რომელთა დიდი ნაწილი სომხეთის ტერიტორიაზე განთავსდა, რითაც კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა რუსეთ–სომხეთის სამხედრო კავშირი.

ასეთ პირობებში რეგიონის ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათ სოციალურ-ეკონომიკურ აღორძინებას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ევროსტრუქტურებში გაწევრიანების დაჩქარებას.

ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის აუცილებლობა შიდაპოლიტიკური, კერძოდ, გამწვავებული ეთნოკონფლიქტების მოგვარებასთან ერთად, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური პრობლემებითაცაა განპირობებული, რაც სრულყოფილად უნდა გააცნობიეროს და გაითვალისწინოს ქართულმა სახელმწიფომ. საქმე შეეხება კასპიის ზღვის აუზის ნავთობისა და გაზის მარაგების ათვისებასა და ევროპის ბაზრებზე მათ ტრანსპორტირებას. ნავთობისა და გაზის მარაგებით კასპიის რეგიონი ერთ-ერთი უმდიდრესია მსოფლიოში. მის წილად მოდის ნახშირწყალბადების მსოფლიო მარაგების 4 პროცენტი.

ოპტიმისტური საპროგნოზო მონაცემებით, უახლოესი 25 წლის განმავლობაში ნავთობსა და ბუნებრივ აირზე მსოფლიო მოთხოვნილების 25 პროცენტს კავკასიისა და მისი მიმდებარე რეგიონები დააკმაყოფილებენ [4]. ამასთან, ეჭვს გარეშეა, რომ კასპიის რეგიონის ნავთობისა და გაზის საექსპორტო მარაგის დიდი ნაწილი რეალიზდება ევროპის ბაზარზე. საქართველოსთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ეს ენერგომატარებლები რომელი მარშუტებით გაიტანება აზიიდან ევროპაში.

XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში, აზერბაიჯანისა და საქართველოს იმდროინდელი ხელმძღვანელობის ძალისხმევით, მიღწეულ იქნა შეთანხმება დასავლეთის მიმართულებით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ. ამ იდეას აქტიურად დაუჭირა მხარი დასავლეთმაც, რითაც მან პირდაპირ მიანიშნა რუსეთს (ირანსაც), რომ კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების პრობლემების გადაწყვეტაში მხარს უჭერს დასავლეთის მიმართულებას. საქართველოსა და აზერბაიჯანის პროდასავლური სტრატეგია არსებითად ნიშნავს რუსეთის როლის შეზღუდვას

კავკასიაში და ამ რეგიონის გეოპოლიტიკური მომავლის სხვა მიმართულებით წარმოსახვას.

გარდა აღნიშნულისა, 2003 წლის თებერვალში სანქცირებულ იქნა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიური გაზსადენის“ პროექტი. ამავე დროს, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ჩარჩო ხელშეკრულებას "ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის" მშენებლობის შესახებ, რომელიც კასპიისპირეთს თურქეთთან დააკავშირებს. ზემოაღნიშნული ნავთობ-გაზსადენები და სარკინიგზო მაგისტრალები უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია კასპიის ზღვის აუზის ენერგომატარებლების ევროპის ბაზარზე გატანისა და ევრაზიის დერეფნის – „დიდი აბრეშუმის გზის“ თვისებრივად ახალ ნიადაგზე ამოქმედების თვალსაზრისით. ეს მოვლენა უნდა განიხილოს, როგორც ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი პირობა, ასევე, პერსპექტივაში, მათი ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ჯერ ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისა და, სამომავლოდ, მათი ეკონომიკური ინტეგრაციის ფაქტორი. ეს კონცეფცია ეფუძნება იმას, რომ ევრაზიის დერეფანი წარმოადგენს ერთიან გეოპოლიტიკურ სივრცეს, რომელსაც სამომავლოდ ერთიან გეოეკონომიკურ სივრცედ გადაქცევის დიდი პერპექტივა აქვს. პერსპექტივაში ამ იდეის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას განსაზღვრავს როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნების ახალ ვითარებაში „დიდი აბრეშუმის გზის“ აღორძინებით დიდი დაინტერესება, რაც განპირობებულია მათ შორის ურთიერთსასარგებლო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებით, რაშიც გადამწყვეტ როლს ევრაზიის დერეფანი შეასრულებს.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით იზრდება საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, როლი და მნიშვნელობა. სატრანზიტო-სერვისული ფუნქციის განხორციელებით საქართველომ შეიძლება სერიოზულ წარმატებებს მიაღწიოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების გზაზე, თუმცა, ასეთ შეხედულებას ყველა არ იზიარებს. ზოგიერთი მკვლევარი (ი. მურადიანი) მიიჩნევს, რომ ამ ფუნქციის შეფასებისას ადგილი აქვს გარკვეულ გაზვიადებას. უფრო მეტიც, კავკასიური ქვეყნებისათვის მან შეიძლება თვითმყოფი ეროვნული ეკონომიკის, კულტურისა და ტრადიციების მსხვრევა გამოიწვიოს [6].

ცხადია, ასეთ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. მსოფლიოს არაერთი ქვეყანა (ხმელთაშუა ზღვის, არაბეთის ზღვის, აზია-წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნები) სატრანზიტო-სერვისულ ფუნქციებს წარმატებით იყენებს ეკონომიკური აღორძინებისათვის. რატომაა მიუღებელი თითქოსდა „არაორდინალური“ კავკასიური ერებისათვის თავიანთი გეოსტრატეგიული რესურსის გამოყენება. თუ ასეთ მოსაზრებას გავიზიარებთ, საქართველომ უარი უნდა თქვას არა მხოლოდ სატრანზიტო-სერვისული ფუნქციის შესრულებაზე, არამედ უნიკალური საკურორტო-ტურისტული და რეკრეაციული რესურსების გამოყენებაზე, რადგანაც ესეც სერვისული ფუნქციის განხორციელებასთანაა დაკავშირებული. აქ მთავარი ისაა, რომ საქართველომ თავისი ეკონომიკური განვითარება უნდა ააგოს არა მხოლოდ სატრანზიტო-სერვისული ფუნქციის განხორციელებაზე, არამედ, მასთან ერთად, თავისი უნიკალური ბუნებრივი და ეკონომიკური ფაქტორების მაქსიმალურ გამოყენებაზე.

ცენტრალური კავკასიის ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმირების საწყის ეტაპს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ინტეგრაცია სავაჭრო საქმიანობის სფეროში. ამ მიმართულებით საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ურთიერთობა გარკვეულ დონეზე ამჟამადაც არსებობს, რაზეც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს 1-ლი ცხრილის მონაცემები.

ცხრილი 1

ცენტრალური კავკასიის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები 2000–2006 წწ. [9]

ქვეყნები	ბრუნვა სულ	2000				ბრუნვა სულ	2006			
		დსთ-ს ქვეყნები		მსოფ. სხვა ქვეყნები			დსთ-ს ქვეყნები		მსოფ. სხვა ქვეყნები	
		მლნ. დოლ.	%	მლნ. დოლ.	%		მლნ. დოლ.	%	მლნ. დოლ.	%
ე ქ ს პ ო რ ტ ი										
აზერბაიჯანი	**1745**	235	13,5	1510	86,5	**6372**	930	14,6	5442	85,4
სომხეთი	**300**	73	24,3	227	75,7	**985**	212	21,5	723	78,5
საქართველო	**323**	129	40,1	194	59,9	**993**	395	39,8	598	60,2

ი მ პ ო რ ტ ი										
აზერბა-იჯანი	**1172**	375	32,0	797	72,0	**5265**	2098	39,8	3167	60,2
სომხეთი	**885**	174	19,7	711	80,3	**2192**	696	31,7	1496	68,3
საქართ-ველო	**709**	229	32,3	480	67,7	**3681**	1404	38,1	2277	61,9
ს ა ლ დ ო										
აზერბა-იჯანი	**573**	-140	-24,4	713	+124,4	**1107**	-1168	+105,5	2275	+205,5
სომხეთი	**-585**	-101	-17,3	-484	-82,7	**-1207**	-484	-40,1	-723	59,9
საქართ-ველო	**-385**	-100	-26,0	-286	-74,0	**-2688**	-1009	-37,5	-1679	62,5

ცენტრალურ კავკასიაში სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის გაფართოებით სამივე ქვეყანა, პირველ რიგში კი საქართველოა დაინტერესებული, რომელსაც დიდი ენერგოდეფიციტი გააჩნია. ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს საქართველო იღებს რუსეთიდან, რომელთანაც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა და საქმე დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტამდეც კი მივიდა. ასეთ პირობებში, ცხადია, საქართველომ უნდა იზრუნოს ენერგომატარებლებით უზრუნველყოფის ალტერნატიული წყაროების მოძიებაზე. საუკეთესო გამოსავალია ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება, რაც ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით, სამივე ქვეყნისათვის შექმნის ხელსაყრელ გარემოებაში საჭირო პროდუქციის (საქართველოსათვის, პირველ რიგში, ენერგომატარებლების) მიღების გარანტირებულ პირობებს.

ცენტრალურ კავკასიაში რეგიონული ბაზრის ფორმირების რეალურ შესაძლებლობას ქმნის აღნიშნული ქვეყნების საექსპორტო პოტენციალი, რომლის დიდი ნაწილი დღეისათვის რეგიონის გარეთ რეალიზდება. რეგიონული ბაზრის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს ქვეყნების მომიჯნავე ტერიტორიებზე (ლაგოდეხის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, გარდაბნის, მარნეულის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების მიმდებარე აზერბაიჯანისა და სომხეთის რაიონების ტერიტორიები) თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნამ და საზღვრისპირა ვაჭრობის ორგანიზაციის გაფართოებამ.

ცენტრალურ კავკასიაში ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში გადამწყვეტი როლი საქართველომ უნდა შეასრულოს. საწყის ეტაპზე ინ-

ტეგრაციული თანამშრომლობა უნდა დამყარდეს საქართველო-აზერბაიჯანსა და საქართველო-სომხეთს შორის. სომხეთ-აზერბაიჯანს შორის პირდაპირი ეკონომიკური კავშირების გამორიცხვის გამო, იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს მეშვეობით, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამის თაობაზე სათანადო შეთანხმება იქნება სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. პერსპექტივაში კი, თვით ამ ქვეყნების პროგრესულად მოაზროვნე ძალებისა და მსოფლიოს მაღალგანვითარებული დემოკრატიული ქვეყნების აქტიური ძალისხმევის შედეგად, სავსებით შესაძლებელია კავკასიაში ეთნოკონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება, ეროვნულ უმცირესობათა ავტონომიური უფლებების გაფართოებით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესების ფორმირება და მისი შემდგომი გაღრმავება. ეს კი ამ ქვეყნებს დიდად წაადგებათ მათი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.**
2. **ჩომახიძე დ.** საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი. თბილისი, 2006.
3. **Исмаилов Е., Папава В.** Центральный Кавказ от геополитики к геоэкономике. Швеция, 2006.
4. **Маисая В., Гогелиани Т.** Фактор энергетических ресурсов Кавказа в преддверии XXI века. – ж. "Центральная Азия и Кавказ", №3 (9), 2000.
5. **Моллазаде А**. Безопасность Южного Кавказа и региональное сотрудничество. – ж. "Центральная Азия и Кавказ", №3/4, 1996.
6. **Мурадян И**. Геоцивилизационный выбор Грузии. – ж. "Центральная Азия и Кавказ", №2 (8), 2000.
7. **Пути эффективной интеграции стран Южного Кавказа.** Баку-Ереван-Тбилиси, 2004.

8. **Севдомлиев Р.** Этнические конфликты и права человека на Кавказе. – ж. "Центтральная Азия и Кавказ", №1 (19), 2002.
9. **Содружествтво независимых государств в 2006 г.** М., 2007.
10. **Томберг И**. Энергетическая политика и энергетические проекты в Центральной Эвразии. – ж. "Центральная Азия и Кавказ", 6/54, 2007.
11. **Чомахидзе Д.** Грузия: Энергетическая политика. – ж. "Центральная Азия и Кавказ", 6 (54), 2007.

Javakhishvili Revaz

THE MAJOR PROPBLEMS OF ECONOMIC INTEGRATION IN CENTRAL CAUCASUS

SUMMARY

In Central Caucasus, that is the most important and difficult geopolitical area of the World, after the collapse of Soviet Union arose the real opportunity to make economic integration among the independent countries of the region. This integration will vitally support to solve ethnical conflicts in the region, in the new environment with the updating" Silk Road", through the shortest way free transportation of Caspian energy carriers will be possible in the European markets and expanding trade-economic relations between Eastern and Western countries as well. Formation of the Common Market in the Central Caucasus will develop appropriate conditions for the local usage of unique mineral resources, energy carriers and manufacturing goods' exporting potential. At this time the most part of these resources are realized outside the region. At the beginning it won't be possible to activate "integrating triangle" until Armenian-Azerbaijan conflict is not solved. Trade-economic relation between these countries should be managed by Georgia's participation. Formation of economic integration in the region and its further improvement will mainly support Central Cauca-

sus countries' social-economic development and help to sustain and improve their political and economic independence.

მურმან კვარაცხელია

ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების საკითხისათვის გლობალიზაციის პირობებში

მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეტაპზე საყოველთაო პრობლემაა ცალკეული ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის ბედი ცვალებად გლობალურ სივრცეში. ყოველ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს უფლება აქვს, იზრუნოს თავის მომავალზე, დასახოს საკუთარი სტრატეგიული პერსპექტივა, ამასთან, ჩამოაყალიბოს საკუთარი დოქტრინა და სტრატეგია.

გლობალიზაციის პირობებში ეროვნულმა ეკონომიკამ საჭირო ფუძემდებლური პრინციპები რომ შექმნას, საჭიროა რამდენიმე საგულისხმო მიმართულების გათვალისწინება. გლობალიზაცია, როგორც ყოვლისმომცველი პროცესი, ეკონომიკის სფეროში ეროვნული ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელი მიმართულება ხდება. მეტად სწრაფი ტემპით იკრებს ძალას პოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესიც. გლობალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ თამაშის თავისი წესები დააწესა და მისი კარნახი დაიწყო მსოფლიო განვითარების პროცესებზე. ამასთან,

ნათლად გამოიკვეთა ის გარემო, გეოეკონომიკური სივრცის წრე, რომელშიც მოუწევს ფუნქციონირება ეროვნულ ეკონომიკებს.

დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა სწორი და მისაღები სტრატეგია რომ შეიმუშაონ, აუცილებელია ეროვნული ეკონომიკის ტრანსფორმაციის იმ კანონზომიერებების გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენენ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაზე, მისი ეკონომიკური ურთიერთქმედების ფორმირებასა და მის ხასიათზე. აქ, უპირველეს ყოვლისა, მთავარია მსოფლიო ეკონომიკასთან ეროვნული ეკონომიკის კავშირურთიერთობების სხვადასხვა ნაირსახეობების ჩამოყალიბება.

როდესაც ეროვნული ეკონომიკა სცილდება თავისი ქვეყნის საზღვრებს, მსოფლიო სამეურნეო განვითარების ყოვლად მიუღებელ და უცხო მოდელებს აწყდება. აქ ის მეტად რთული დილემის წინაშე დგება – როგორ შეაღწიოს ახალ სისტემაში. ამ სისტემას კი გააჩნია აუცილებელი და სავალდებულო პარამეტრები. ეს პარამეტრებია: მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ერთიანობა და მთლიანობა; შრომის დანაწილების საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილის პოვნა (რომელიც ფაქტობრივად შევსებულია და საკმაოდ გაძნელებულია); შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ახლებურად გააზრება გლობალურ განზომილებაში; საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი სუბიექტებისა და ობიექტების გაჩენა; საქონლის შეცვლისა და მსოფლიო სამეურნეო კავშირების ორგანიზაციულ-ეკონომიკური სტრუქტურის ურთიერთქმედება და ურთიერთდამოკიდებულება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, რომ ეროვნულ მეურნეობათა ურთიერთდამოკიდებულების ზრდის კვალობაზე, ერებს შორის ეკონომიკური საზღვრები სულ უფრო მეტად წაიშლება. ესაა აშკარა მცდელობა, გარკვეული მოსაზრებით, ერთ ორბიტაში ჩაითრიონ ყველა ქვეყანა. ამისათვის ყველაზე სუსტ წერტილად პოსტსოციალისტური ქვეყნები გვევლინება. ამ მხრივ, საქართველოშიც იგრძნობა იმ უცხო და უნიადაგო კოსმოპოლიტური თეორიების მოძალება, რომლებიც აგებულია უცხოურ ეკონომიკურ იდეოლოგიაზე. ეს დასტურდება არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობით. მათი მიზანი ნათლადაა გამოკვეთილი. უკვე სახეზეა გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები. ეს ტენდენციები სამამულო მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა მატერიალური წარმოების დარგების ჩაკვლას ისახავს მიზნად, რომელიც

ქვეყნის ეკონომიკის ძვალკუნთოვან სისტემას წარმოადგენს. ამის საბოლოო მიზანი ისაა, რომ საქართველო გახდეს მხოლოდ და მხოლოდ ევრაზიული დერეფანი და სამომავლოდ კი – ტურისტული მომსახურების ლოკალური არეალი. ამისგან განსხვავებით, ჩვენი ქვეყნის თვითგადარჩენისა და დამკვიდრებისათვის გლობალიზაციის უკიდეგანო სივრცეში კანონზომიერად ჩართვა მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული ისტორიის წინაშე, თუ ქვეყანა მტკიცედ მოირგებს ეროვნული ეკონომიკური იდეოლოგიის სამოსელს. ისიც აშკარაა, რომ „ღია ეკონომიკა" უფრო ეფექტიანია „ჩაკეტილთან" შედარებით, მაგრამ ისიც ხომ ჭეშმარიტებაა, რომ ამა თუ იმ ეროვნული ქვეყნის ეკონომიკა არ არსებობს ეროვნული თვითგანსაზღვრულობის გარეშე, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში საზოგადოებრივი კვლავწარმოება ყოველთვის ხორციელდება, როგორც ეროვნული კვლავწარმოება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გლობალიზაცია სრულყოფილ დადებით მოვლენად არ შეიძლება ჩაითვალოს. იგი ათანაბრებს ყველას, კულტურულ და რელიგიურ თავისებურებებს ართმევს ქვეყნებს, ეროვნული თვითშეგნების დაკარგვით ემუქრება მათ, რაც ნაციონალიზმის გაღვივებას იწვევს, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, წარმოშობს ეთნიკურ კონფლიქტებს, რასაც შეიძლება მოჰყვეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევაც. ამის ნათელი მაგალითია საქართველო და მისი სეპარატისტული რეგიონები, რომელთა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა გარკვეულ ქიმერულ ილუზიებთან არის დაკავშირებული გარეშე ძალების აქტიური მხარდაჭერის გამო.

ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს ბევრი საზრუნავი გაუჩინა გლობალიზაციის პროცესმა. ისინი ცდილობენ და იბრძვიან თავიანთი ადგილის დამკვიდრებისათვის მსოფლიო გლობალურ სივრცეში და ამით ქმნიან წინაპირობებს კარდინალურად შეიცვალოს მსოფლიოს ადრინდელი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურები. მისი მთავარი შედეგია ახლად შექმნილ სახელმწიფოებს შორის კონკურენციის გაზრდა. ქვეყნების რაოდენობის გაზრდამ გამოიწვია ფაქტობრივი და პოტენციური კონკურენტების ზრდა, მისი შედეგი კი ცხადია, ფასების შემცირება და მოგების შეკვეცაა. ამასთან, მსოფლიო პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა საინვესტიციო პროცესებზეც უარყოფით გავლენას ახდენს.

გლობალიზაციის ეპოქამ ერთ მეტად დიდ ჭეშმარიტებასაც დაუსვა წერტილი: სახელმწიფოებისთვის ყველა სახეობის რესურსის სრულყოფილად არსებობის პირობებშიც კი, მათი ეკონომიკური პოტენციალი განსხვავებულია. ვრცელი ტერიტორიებისა და შრომითი და მატერიალური რესურსების ქონა სრულებითაც არ ნიშნავს ძლიერი ეკონომიკური პოტენციალის შექმნას. ამისი მაგალითი უამრავია მსოფლიო პრაქტიკაში.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გლობალიზაციის დაჩქარებულ ტემპს ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, რომლებიც მკაცრად განსაზღვრულ საზღვრებში იმყოფებიან, თანდათანობით გამოჰყავს ამ საზღვრებიდან. მათმა ეკონომიკურმა წინსვლამ დიდად შეუწყო ხელი აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური საზღვრების შეცვლას.

დღევანდელ პირობებში ორიენტაცია ძირითადად პოლიტიკურ სტაბილურობაზეა აღებული, რაც ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორიცაა. ამისი მაგალითია ევროკავშირი და ნატო, რომელთა გაფართოება მისკენ მიმავალი ქვეყნების უსაფრთხოების გარანტი ხდება. ამ შემთხვევაში ერთ-ერთ არსებით პრობლემად რჩება სუვერენული სახელმწიფოების შინაურ საქმეებში აშკარად ჩარევის მცდელობა, რაც, უწინარეს ყოვლისა, ამ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის შეცვლას ისახავს მიზნად. ასეთ პირობებში, ჩვენი აზრით, ჩვენი ქვეყნის მთელი ძალისხმევა უნდა მივმართოთ საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვის, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ.

საქართველოში მიმდინარე პროცესები გარკვეულწილად საფრთხეს უქმნის ქვეყნის სუვერენიტეტს, რაც ძირითადად გამოწვეულია როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი ფაქტორებით და მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესებითაც. ამდენად, ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოება, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, მეტად აქტუალურია და საჭიროებს სწორ გააზრებას როგორც ტაქტიკური, ასევე სტრატეგიული თვალსაზრისით.

ეროვნული ეკონომიკა სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების ერთ-ერთ მთავარ ატრიბუტად გვევლინება გლობალიზაციის პირობებში. მისი თანმიმდევრული და ნორმალური განვითარება თავისთავად მოითხოვს საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ფასეულობის – უსაფრთხოების

უზრუნველყოფას. თანამედროვე მსოფლიოში უსაფრთხოების პრობლემა იგივე აქტუალობას იძენს, როგორსაც თანამედროვეობის ისეთი მონაპოვრები, როგორიცაა დემოკრატია და ადამიანის უფლბების დაცვა. აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების დაცვა სახელმწიფოების კონსტიტუციური უფლებაც არის და მოვალეობაც.

გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების აუცილებლობა ნიშნავს, მოქმედი სამართლებრივი ნორმებისა და კანონების შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის სიცოცხლისუნარიანობისათვის აუცილებელი პირობების შექმნასა და უზრუნველყოფას.

მსოფლიო პრაქტიკაში უსაფრთხოების სამი დონე გამოიყოფა – საერთაშორისო, ეროვნული (ქვეყნის) და ინდივიდის.

უსაფრთხოების კატეგორიას განვითარების თავისი ევოლუციური გზა გააჩნია. ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში ამ იდეამ ჯერ კიდევ მე-17 საუკუნიდან დაიწყო დამკვიდრება. ამას თანდათანობით მთელი მსოფლიოს მასშტაბით მიეცა გავრცელების არეალი და დღეს ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკაში მას პრიორიტეტული ადგილი უკავია. დღევანდელი გლობალიზაციის დაჩქარებულ პროცესში ქვეყნების უდიდესი უმრავლესობა ღია საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს უჭერს მხარს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა არავითარ გარანტიას არ იძლევა ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროებში ეროვნულ სახელმწიფოებს შეიძლება უამრავი საფრთხე შეექმნათ. ეს საფრთხეები შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი მიზეზით. კერძოდ, გარე და შიდა, მოკლე და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, იყოს ღია და ფარული ხასიათის მატარებელი, ობიექტური და სუბიექტური, ექსტრემალური და ნორმალური ვითარებისათვის დამახასიათებელი.

აქედან გამომდინარე, ცხადია, ქვეყანამ დროულად უნდა განსაზღვროს ამ საფრთხეების წარმოშობის მიზეზები და ის სფეროები საიდანაც შეიძლება ის წამოვიდეს. ყოველივე ამის წინასწარი დადგენა და სათანადო ანალიზი სახელმწიფოს მისცემს შესაძლებლობებს, განახორციელოს პრევენციული ზომები მისი უფრო ღრმა და ტრაგიკული შედეგების აღმოსაფხვრელად.

უსაფრთხოების პრობლემა გლობალიზაციის პირობებში უშუალოდ ქვეყნის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებთან არის დაკავშირებული. ამდენად, იგი მრავალმხრივი პრობლემაა. მისი უზრუნველყოფისათვის მარტო სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების მზადყოფნა არ არის საკმარისი. აქ უნდა გამოიკვეთოს მოსახლეობის ძალისხმევაც და უნარი, შექმნან ეროვნული ინტერესების დაცვის, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების მექანიზმები.

ეროვნული უსაფრთხოების პრობლემას, მისი მრავალმხრივობიდან გამომდინარე, გააჩნია თავისი სპეციფიკური შეფასებები, ფაქტორები და კრიტერიუმები. ეროვნული უსაფრთხოება მოიცავს, პირველ რიგში, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო, ეკოლოგიურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, სულიერ და კულტურულ და სხვა სახის უსაფრთხოებებს. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ცენტრალური ადგილი უკავია ეკონომიკური უსაფრთხოების ასპექტს, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. იგი უშუალო კავშირში იმყოფება ქვეყნის დამოუკიდებლობასთან, რომლის უზრუნველყოფაში მთავარი მომენტი ეკონომიკური წესრიგის დაცვაა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვაძლევს საშუალებას, რომ დავასკვნათ შემდეგი: ნებისმიერი პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის, და, მათ შორის, საქართველოსთვისაც, საჭიროა ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება, სადაც კონკრეტულად უნდა განისაზღვროს უსაფრთხოების არსებითი მახასიათებლების, ანუ ინდიკატორების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ერთიანი სისტემა, რომელიც წინასწარ მიგვანიშნებს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. აღნიშნული სტრატეგია თავისთავად მოითხოვს გარკვეული ორიენტირების განსაზღვრას, რომელიც უცილობლივ უნდა გახდეს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველი, ხოლო ეს უკანასკნელი დასახული მიზნების მიღწევისა და რეალიზაციის საშუალება. საბოლოო ჯამში კი ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგია და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ურთიერთკავშირში უნდა იმყოფებოდეს.

ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების აუცილებლობა, პირველ ყოვლისა, უნდა აისახოს უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგიაში, რისთვისაც აუცილებელია არსებული ვითარების ობიექტური ანალიზის

ჩატარება. ეს მოითხოვს მიზნების ნათლად გამოკვეთას, რაც მისი რეალიზაციის უცილობელი გარანტიაც იქნება. ამ შემთხვევაში აუცილებელია სისტემური მიდგომა როგორც მთელი პროცესების ანალიზის დროს, ასევე მისი ცალკეული ეტაპების განხილვისას. ამ დროს იკვეთება მისი მთავარი მიზანიც, კერძოდ კი – ეკონომიკური წესრიგის აღდგენა და მისი თანდათანობით უზრუნველყოფა. ის უნდა განხორციელდეს ახალი მდგომარეობის საფუძველზე საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან მიმართებაში. ყოველივე ეს კი თავისუფალ პირობებს შექმნის საკუთარი თუ მოზიდული კაპიტალის ეკონომიკის ლეგალურ სექტორში ინვესტირებისათვის. უსაფრთხოების სტრატეგიის მიზანმიმართულმა რეალიზაციამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ისეთი დონე, რომელიც ნულამდე დაიყვანს შიდა და გარე საფრთხეების რისკის ფაქტორებს, ამასთან, შექმნის პირობებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობისა და ნორმალური განვითარებისათვის, სადაც დაცული იქნება მოსახლეობის მოქალაქეობრივი და სამართლებრივი უფლებები.

ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების სფეროში უდიდესი როლი ეკისრება სახელმწიფოს. პირველ რიგში, ეს იქნება მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი პერსპექტივა, მან ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადობის შემაფერხებელი ფაქტორების გამომჟღავნებასა და მის აღმოფხვრას. ამასთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანია ანტიკრიზისული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და სწორი მიმართულების განსაზღვრა, რომელიც აღმოფხვრის უარყოფითი ზემოქმედების სიმძიმეს.

უსაფრთხოების აუცილებლობის მომენტის გათვალისწინებისას მეტად მნიშვნელოვანია უსაფრთხოების სტრატეგიის სწორი ღონისძიებების გატარება. ამისათვის აუცილებელია, პირველ რიგში ჩატარდეს უსაფრთხოების გამომწვევი შიდა და გარე ფაქტორების სისტემური ანალიზი, რომელიც საფრთხის შემცველია როგორც ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებისათვის. ასევე მნიშვნელოვანია სწორად და დროულად განისაზღვროს ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნებისა და ქვეყნის ინტერესების დაცვის უზრუნველმყოფი ეკონომიკური პარამეტრები და კრიტერიუმები. ყოველივე ამის დროული და სრულყოფილი უზრუნველყოფისათვის აუცილებელია უსაფრთხოების მექანიზმის შემუშავება

სახელმწიფო-სამართლებრივი, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ინსტიტუტების მეშვეობით.

ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების აუცილებლობა გლობალიზაციის პირობებში შეუქცევადი პროცესია. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ყველა ქვეყანას და მათ შორის, რასაკვირველია, საქართველოსაც დღევანდელი შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით საშიშროება ემუქრება. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის მასშტაბით ერთიანი ეკონომიკური სივრცის მოშლა. ამას შეიძლება მოჰყვეს როგორც ეკონომიკის სტრუქტურული დეფორმაცია, ასევე მისი დაბალი კონკურენტუნარიანობა. ასეთი ტენდენციების გახანგრძლივებას სავსებით შესაძლებელია მოჰყვეს პოტენციური ინფლაციის მაღალი დონე (თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ იგი დღეს სახეზეა – ბოლო სამი თვის განმავლობაში ქვეყანაში ინფლაციის დონემ 13 პროცენტს გადააჭარბა). მეტად სერიოზულ საშიშროებად შეიძლება ქვეყანას მოევლინოს ეკონომიკის მონოპოლიზაციის მაღალი ხარისხი. ეს თავისთავად გამოიწვევს საშუალო ფენისაკენ მიმავალი მოსახლეობის ნაწილის კიდევ უფრო ჩამორჩენას ცხოვრების ნორმალური დონიდან.

ქვეყნის შიდა საშიშროებიდან, ჩვენი აზრით, აღსანიშნავია სახელმწიფოს საშინაო ვალის ზრდა. ამ მხრივ საქართველოში დღევანდელი მდგომარეობა არასასურველ ნიშნულზე დაბლაა. თუმცა ქვეყანაში შიდა საშიშროების ერთ-ერთ სერიოზულ კომპონენტად უნდა ჩაითვალოს ფაქტობრივი უმუშევრობის ზრდა და შრომის მოტივაციის შესუსტება. ეს სერიოზულად უწყობს ხელს ქვეყანაში დემოგრაფიული ბალანსის გაუარესებას. თუმცა, საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა დემოგრაფიული მიგრაციის თვალსაზრისით, საკმაო ორიგინალობით გამოირჩევა. ქვეყნიდან ადგილობრივი სამუშაო ძალის გადინებას საპირისპირო პროცესები მოჰყვა ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობის შემოდინების თვალსაზრისით. მათი უპირატესობა გამოიკვეთა ფინანსური კაპიტალის ფლობით, რაც საშუალებას აძლევთ დაეუფლონ საქართველოში არსებულ ყველაზე დეფიციტურ და ძვირადღირებულ კაპიტალს – მიწას და საქართველოს მოქალაქეები საკუთარ მიწა-წყალზე უცხო ტომელთა დაქირავებულ სამუშაო ძალად აქციონ. ეს ფაქტორი სერიოზულ შესწავლასა და გაანალიზებას მოითხოვს, რაც უსაფრთხოების სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს.

გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკისათვის არანაკლები მნიშვნელობისაა გარე საშიშროებების არსებობაც. მათ შორის ერთ-ერთი მთავარია ქვეყნის დამოკიდებულება სტრატეგიული დანიშნულების ისეთ რესურსებზე, როგორიცაა ენერგეტიკა და სურსათი. არადა ამაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს საგარეო ვალის ზრდა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მოშლის შედეგად ეკონომიკის ერთიანი მართვისა და ქვეყნის კიდევ უფრო დაშლის საშიშროება.

ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების ხარისხობრივი მაჩვენებლები განპირობებულია რაოდენობრივი ინდიკატორებითაც, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები მათი ზღვრული მნიშვნელობების დადგენით, რომელთა გადაჭარბება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ნებისმიერ საზოგადოებას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ნათელია, რომ გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკა არ არის სრულყოფილად დაცული იმ საფრთხეებისგან, რომელსაც შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს ქვეყანას. ამის აღმოსაფხვრელად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ღრმა და სისტემური ანალიზის გაკეთება ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე და სწორი სტრატეგიის შემუშავება სახელმწიფოებრივ დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **გოცირიძე რ., კანდელაკი ო.** გავლენიანი ჯგუფები და კორუფცია, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მუქარა. თბილისი, 2001.
2. **ოთინაშვილი რ.** ჩრდილოვანი ეკონომიკა. თბილისი, 2001.
3. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს „სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“-ს შრომები.
4. **ჭითანავა ნ.** გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, I-II-III ნაწილი. თბილისი, 1997, 1999, 2001.
5. **ჭითანავა ნ., თაკალანძე ლ.** სოციალური ეკონომიკა. ფორმირება და განვითარება. თბილისი, 2008.

Kvaratskhelia Murman

FOR THE QUESTION OF THE SECURITY OF NATIONAL ECONOMY IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION

SUMMARY

In the article are discussed the questions of the security of national economy in the conditions of globalization. When the country is under various risks these problems are important nowadays in the point of security. For prevention that the country has a number of perspectives especially in the directions of the economic security. It is obviously seen in striving for Nato and European Union. All these demand a deep and systemic analysis of the economic processes and working out the right strategies which will be the definite variant for sustainable and secure development of the country.

კლიმენტი აჩელაშვილი

ეკონომიკურ ზრდაში რეგიონების წვლილის განსაზღვრის მეთოდური სქემა

ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური რეგულირება საკმაოდ რთული პროცესია და მუდამ შედეგიანი არ არის. ამიტომ წარმოიქმნება ამ პრობლემის გადაწყვეტის ახალი მიმართულებების ძიების აუცილებლობა. კერძოდ, მათ შეიძლება მივაკუთვნოთ ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირება. ეკონომიკური ზრდა, საბოლოო ჯამში, განისაზღვრება ეროვნული ეკონომიკის ცალკეული ნაწილების – მისი რეგიონების განვითარების ეფექტიანობით [2]. ამასთან დაკავშირებით წარმოიქმნება ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირების მეთოდოლოგიური და მეთოდური საფუძვლების შემუშავების, ეკონომიკურ ზრდაში ცალკეული რეგიონების წვლილის გარკვევის, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაზე მიმართული რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის არსის ჩამოყალიბების, მექანიზმების ფორმირებისა და ამ პოლიტიკის რეალიზაციის ინსტრუმენტების დასაბუთების აუცილებლობა [1].

მოცემულ ნაშრომში განხილულია ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში ცალკეული რეგიონების წვლილის განსაზღვრის (რაც ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირების პროცესის ერთ-ერთი ძირითადი ეტაპია) მეთოდური სქემა. ამასთან, ეკონომიკური ზრდის შეფასებისათვის გამოყენებულია მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი და მისი ანალოგი – მთლიანი რეგიონული პროდუქტის მაჩვენებელი.

ეკონომიკურ ზრდაში რეგიონების წვლილის მეთოდური სქემის ფორმულირებული წარმოდგენისათვის შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნები:

i – რეგიონების ინდექსი ($i = 1, 2, \ldots, n$, n – რეგიონების რაოდენობა);

Y_1 – მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე წელს;

Y_0 – მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო წელს;

ΔY – მთლიანი შიდა პროდუქტის აბსოლუტური ნაზრდი;

y_1^i – მთლიანი რეგიონული პროდუქტის აბსოლუტური ნაზრდი i-ურ რეგიონში მიმდინარე წელს;

y_0^i – მთლიანი რეგიონული პროდუქტი i-ურ რეგიონში საბაზისო წელს;

Δy^i – მთლიანი რეგიონული პროდუქტის აბსოლუტური ნაზრდი i-ურ რეგიონში.

მაშინ განსახილველი თანაფარდობები ჩაიწერება შემდეგი სახით:

$\frac{Y_1}{Y_0}$ – მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი;

$\Delta Y = \Delta y^1 + \Delta y^2 + ... + \Delta y^n$ – მთლიანი შიდა პროდუქტის აბსოლუ-ტური ნაზრდის განაწილება რეგიონების მიხედვით;

$\eta = \frac{Y_1 - Y_0}{Y_0} = \frac{\Delta Y}{Y_0}$ – მთლიანი შიდა პროდუქტის ნაზრდის ტემპი, ან რაც იგივეა

$$\frac{\Delta Y}{Y_0} = \frac{\Delta y^1 + \Delta y^2 + ... + \Delta y^n}{Y_0} = \frac{\Delta y^1}{y_0^1} \cdot \frac{y_0^1}{Y_0} + \frac{\Delta y^2}{y_0^2} \cdot \frac{y_0^2}{Y_0} + ... + \frac{\Delta y^n}{y_0^n} \cdot \frac{y_0^n}{Y_0}.$$

აქ $\eta_i = \frac{\Delta y^i}{y_0^i}$ – მთლიანი რეგიონული პროდუქტის ნაზრდის ტემპია i-ურ რეგიონში; $\sigma_i = \frac{y_0^i}{Y_0}$ – i-ური რეგიონის ხვედრითი წილი მთლიანად ეროვნულ ეკონომიკაში; $\eta_i \sigma_i = \frac{\Delta y^i}{y_0^i} \cdot \frac{y_0^i}{Y_0}$ – მთლიანი შიდა პროდუქტის ნაზრდის ტემპი ეროვნულ დონეზე, რომელიც მოდის i-ურ რეგიონზე.

მოყვანილი თანაფარდობებიდან გამომდინარე, ეკონომიკურ ზრდა-ში რეგიონების წვლილის განსაზღვრის განზოგადებული სქემა, მთლი-ანი რეგიონული პროდუქტების ნაზრდების ტემპებისა და საბაზისო

წელს მთლიან შიდა პროდუქტში რეგიონების ხვედრითი წილის საფუძველზე შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

$$\eta = \sum_{i=1}^{n} \eta_i \cdot \sigma_i$$

თუკი ეროვნულ დონეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ნაზრდის ტემპს მივიჩნევთ 100%, მაშინ $\eta_i \sigma_i$ სიდიდეების შესაბამისად შეიძლება განისაზღვროს თითოეული რეგიონის წვლილი ეკონომიკურ ზრდაში.

ეკონომიკურ ზრდაში რეგიონების წვლილის განსაზღვრის შემოთავაზებულ მეთოდურ სქემას საფუძვლად უდევს ეკონომიკის ეროვნული და რეგიონული დონეების ურთიერთკავშირი. იგი რეგიონულ ჭრილში, ეროვნული ეკონომიკური განვითარებისა და ცალკეული რეგიონების ეკონომიკური განვითარების თავისებურებების ერთდროულად გათვალისწინების საშუალებას იძლევა. შემოთავაზებული სქემის გამოყენება შეიძლება ეკონომიკური ზრდის რეგიონული რეგულირების გამოყენებითი ამოცანების გადაწყვეტის დროს: სიტუაციურ ანალიზში, რეგიონული ეკონომიკური განვითარების პროგნოზირებაში, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთებაში, მისი შედეგების იმიტაციაში როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონულ დონეზე.

ეკონომიკურ ზრდაში, რეგიონების წვლილის განსაზღვრის შემოთავაზებული სქემის დახმარებით, ჩნდება შესაძლებლობა, უფრო დასაბუთებულად ჩამოყალიბდეს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ალტერნატიული ვარიანტები და შეფასდეს მათი ეფექტიანობა ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით და, აქედან გამომდინარე, შეირჩეს რეგიონული განვითარების ყველაზე ეფექტიანი მიმართულება. ის შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც “კარკასი” რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ვარიანტების ფორმირების დროს.

ეკონომიკურ ზრდაში რეგიონების წვლილის განსაზღვრის შემოთავაზებული მეთოდური სქემის აპრობაცია ჩატარდა საქართველოს მაგალითზე. მთლიანი რეგიონული პროდუქტების ზრდის ტემპები, კაპიტალისა და შრომის დანახარჯები საქართველოს რეგიონების მიხედვით,

2003 წელს, 2000 წელთან შედარებით (1996 წლის ფასებში), მოყვანილია პირველ ცხრილში.

ცხრილი 1

მთლიანი რეგიონული პროდუქტების, კაპიტალის დანახარჯებისა და შრომის დანახარჯების ზრდის ტემპები საქართველოს რეგიონების მიხედვით 2003 წელს, 2000 წელთან შედარებით

რეგიონი	**მთლიანი რეგიონული პროდუქტი, მლნ. ლარი**			**კაპიტალის დანახარჯები (ძირითადი წარმოებრივი კაპიტალი), მლნ. ლარი**			**შრომის დანახარჯები (მომუშავეთა რიცხოვნობა), ათასი კაცი**		
	2000	2003	**ზრდის ტემპი, %**	2000	2003	**ზრდის ტემპი, %**	2000	2003	**ზრდის ტემპი, %**
თბილისი	2344,9	3069,9	**130,9**	2012,3	2479,4	**123,2**	349,2	318,1	**91,1**
აჭარა	400,6	377,7	**94,3**	199,6	231,5	**116,0**	131,9	166,3	**125,1**
გურია	33,7	31,5	**93,5**	24,6	33,3	**135,4**	69,3	76,8	**110,8**
რაჭა-ლეჩხუმი,ქვემო სვანეთი	23,9	19,0	**79,5**	12,9	9,6	**74,4**	23,1	21,0	**90,9**
სამეგრელო, ზემო სვანეთი	258,3	258,7	**100,1**	182,4	189,1	**103,7**	225,4	199,2	**88,4**
იმერეთი	365,0	411,8	**112,8**	342,1	335,9	**98,2**	378,3	367,2	**97,1**
კახეთი	66,5	116,7	**175,5**	121,6	68,5	**56,3**	188,2	196,6	**104,5**

მცხეთა-მთიანეთი	80,5	98,7	**122,6**	48,7	60,6	**124,4**	46,5	52,9	**113,8**
სამცხე-ჯავახეთი	31,6	117,2	**370,9**	29,1	33,2	**114,1**	80,7	103,9	**128,7**
ქვემო ქართლი	557,4	583,1	**104,7**	483,6	441,1	**91,2**	223,5	209,7	**93,8**
შიდა ქართლი	183,0	298,1	**162,9**	127,5	126,8	**99,4**	192,8	175,8	**91,2**
მთლიანად ერთგვარული ეკონომიკა	**4345,4**	**5382,4**	**123,8**	**3584,4**	**4009,0**	**111,8**	**1908,9**	**1887,5**	**98,9**

როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, დროის განხილული პერიოდის განმავლობაში, ქვეყნის ყველა რეგიონიდან ყველაზე დინამიკურად ვითარდებოდა: თბილისის – 130,9%, კახეთის – 175,5%, მცხეთა-მთიანეთის – 122,6%, სამცხე-ჯავახეთის – 370,9%, შიდა ქართლის – 162,9%, იმერეთის – 112,8% რეგიონები. ზოგიერთ რეგიონში მთლიანი რეგიონული პროდუქტი წინანდელ დონეზე რჩებოდა (სამეგრელოს და ზემო სვანეთის), ხოლო სამ რეგიონში (აჭარის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო ქართლის) მთლიანი რეგიონული პროდუქტი შემცირდა კიდეც. რეგიონულ ეკონომიკურ განვითარებაში შექმნილი ტენდენციების შედეგად ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის ნაზრდის ტემპმა 23,8% შეადგინა.

კაპიტალის დანახარჯების რეგიონულ დინამიკაში არ იყო სტაბილური ტენდენციები: კაპიტალის მოცულობა არსებითად იცვლებოდა როგორც ქვეყნის რეგიონების მიხედვით, ასევე დროშიც. ამასთან, ქვეყანაში ძირითადი წარმოებრივი კაპიტალის ღირებულება მთლიანობაში, განხილული პერიოდის განმავლობაში გაიზარდა 11,8%-ით, ხოლო მოხმარებული კაპიტალის მოცულობა – 42,6%-ით. 2000–2003 წლების განმავლობაში მოსახლეობის რიცხოვნობის მონაცემების ანალიზი მოწმობს, რომ საერთო რიცხოვნობა შემცირდა 2,7%-ით, შრომისუნარიანის – 0,9%-ით, ხოლო მომუშავეთა – 4%-ით. ქვეყნის უმეტესი რეგიონების მიხედვით შეიმჩნევა ასეთივე ტენდენციები, თუმცა, ზოგიერთი

მათგანის მიხედვით მაჩვენებლების დინამიკა რამდენადმე განსხვავდება საშუალოსაგან.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, მთლიანი რეგიონული პროდუქ-ტების ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად განსხვავდება, ამასთან ერთად, საკმაოდ მნიშვნელოვნად ვარირებს ცალკეული რეგიონების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში. აქედან გამომდინარე, ასევე უნდა განსხვავდებოდეს რეგიონების წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში. მე-2 ცხრილში მოყვანილია ეკონომიკურ ზრდაში რეგიონების წვლილის გაანგარიშებები.

ცხრილი 2

საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში რეგიონების წვლილი 2000–2003 წლებისათვის

რეგიონი	**მთლიანი რეგიონული პროდუქტების ნაზრდის ტემ-პები, %** η_i	**რეგიონის ხვე-დრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში საბაზსო წელს, %** σ_i	**რეგიონების მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტის ნაზრდის ტემპის განაწილება, %** $\eta_i\ \sigma_i$	**რეგიონების წვლი-ლი მთლიანი შიდა პროდუქტის ნაზრდის ტემპში, %**
თბილისი	+30,9	54,0	**+16,7**	**+70,2**
აჭარა	-5,7	9,2	**-0,5**	**-2,1**
გურია	-6,5	0,8	**0**	**0**
რაჭა-ლეჩხ-უმი, ქვემო სვანეთი	-20,5	0,6	**-0,1**	**-0,4**
სამეგრელო, ზემო სვანეთი	+0,1	5,9	**0**	**0**
იმერეთი	+12,8	8,4	**+1,1**	**+4,6**
კახეთი	+75,5	1,5	**+1,1**	**+4,6**
მცხეთა-				

მთიანეთი	+22,6	1,9	**+0,4**	**+1,7**
სამცხე-ჯავახეთი	+270,9	0,7	**+1,9**	**+8,0**
ქვემო ქართლი	+4,7	12,8	**+0,6**	**+2,5**
შიდა ქართლი	+62,9	4,2	**+2,6**	**+10,9**
მთლიანობაში ეროვნული ეკონომიკა	**+23,8**	**100,0**	**+23,8**	**100,0**

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო ნაზრდის 23,8%-დან თბილისის რეგიონზე მოდის 16,7%; ექვს რეგიონზე (იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის) კი – 7,1%. ამასთან, სამეგრელოსა და გურიის რეგიონებმა არ მოგვცეს მთლიანი შიდა პროდუქტის ნაზრდი, ხოლო აჭარისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებმა მთლიანი შიდა პროდუქტის ნაზრდის ტემპი 0,6%-ით შეამცირეს.

აქედან გამომდინარეობს, რომ რეგიონების წვლილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ნაზრდის ტემპში შეადგენს: თბილისის – 70,2%, შიდა ქართლის – 10,9%, სამცხე-ჯავახეთის – 8%, იმერეთისა და კახეთის ერთნაირად – 4,6%, ქვემო ქართლის – 2,5%, მცხეთა-მთიანეთის – 1,7%. სამეგრელოსა და გურიის რეგიონების წვლილი ნაზრდის ტემპში ნულოვანია. ამასთან, ორი რეგიონის (აჭარისა და რაჭა-ლეჩხუმის) წვლილი ეკონომიკურ ზრდაში უარყოფითია.

თბილისის რეგიონის მნიშვნელოვანი წვლილი ეკონომიკურ ზრდაში აიხსნება, ერთი მხრივ, საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში მისი მაღალი ხვედრითი წილით. მეორე მხრივ, რეგიონულ ჭრილში ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მოდის თბილისის რეგიონის ეკონომიკაზე, მხოლოდ მცირე ნაწილი – ქვეყნის სხვა რეგიონებზე. უცხოური ინვესტიციების ასეთი განაწილება არარაციონალურია ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეების რეგიონთაშორისი გათანაბრების თვალსაზრისით. ის ასევე მოწმობს უცხოური ინვესტორების დაბალ აქტივობაზე, რაც აიხსნება რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის სისუსტით, პირველ რიგში, დაზღვევის, გირაოს, ინვესტიციების უსაფრთხოების გარანტიის, ინოვაციური პროექტების შესახებ შესაბამისი

საინფორმაციო უზრუნველყოფის საკითხებში. საჭიროა, აღინიშნოს ინვესტირების რისკის მაღალი ხარისხიც, რაც განპირობებულია პოლიტიკური არასტაბილურობით, ქვეყანაში კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მნიშვნელოვანი მასშტაბებით [3].

საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში რეგიონების წვლილის გაანგარიშებების შედეგების, როგორც დამხმარე ინსტრუმენტის, გამოყენება შეიძლება რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების დროს. ამ მიზნით აუცილებელია, შემუშავდეს ღონისძიებათა სისტემა, რომელმაც, ერთი მხრივ, უნდა ასახოს რეგიონების თავისებურებები და მათი წვლილი ეკონომიკურ ზრდაში, ხოლო, მეორე მხრივ, გაითვალისწინოს სახელმწიფოს შესაძლებლობა რეგიონული ეკონომიკური განვითარების კონკრეტული პრობლემების გადაჭრაში.

დასმული ამოცანების გადაწყვეტა ითვალისწინებს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისა და ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებისადმი ვარიანტულ მიდგომას. ეს ნიშნავს, რომ უნდა შემუშავდეს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ალტერნატიული ვარიანტები, შეფასდეს მათი ეფექტიანობა და დასაბუთდეს რეგიონული ეკონომიკური განვითარების ყველაზე ეფექტიანი მიმართულების არჩევა ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ყოველი ვარიანტი – ეს არის კონკრეტულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მიმართული იქნება კაპიტალისა და შრომის დანახარჯების გარკვეული დონის მიღწევაზე, რამაც უნდა მიგვიყვანოს მთლიანი რეგიონული პროდუქტების ზრდასთან და ამის შედეგად ეკონომიკურ ზრდამდე ეროვნულ დონეზე, ე.ი. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ვარიანტი წარმოადგენს, ერთი მხრივ, რეგიონების მიხედვით კაპიტალისა და შრომის დანახარჯების პროგნოზირებად დონეებს და, მეორე მხრივ, მათი შესაბამისი მთლიანი რეგიონული პროდუქტების მნიშვნელობებს. მთლიანი რეგიონული პროდუქტების შეჯამებით მივიღებთ მთლიან შიდა პროდუქტს. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ყოველი ვარიანტის მიხედვით ეკონომიკური ზრდის დონის განსაზღვრის შემდეგ აუცილებელია მის რეალიზაციასთან დაკავშირებული დანახარჯების დადგენა. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგებისა და მის გატარებაზე დანახარჯების შედარების გზით შეიძლება რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ვარიანტების ეფექტიანობის ინტეგრალური შეფასებების გაანგა-

რიშება. ეს შეფასებები საშუალებას იძლევა, განისაზღვროს რეგიონული ეკონომიკური განვითარების ყველაზე ეფექტიანი მიმართულება ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აჩელაშვილი მ.** ეკონომიკური ზრდის სფეროში რეგიონული პოლიტიკის ფორმირების შესახებ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. კონომიკა, № 3-4, 2004.
2. **Гранберг А. Г.** Основы региональной экономики. Москва, 2001.
3. **Папава В. Г., Месхия Я. Е.** Проблемы инновационно-инвестиционной политики в Грузии. Тбилиси, 2003.

Achelashvili Klimenti

THE METHODIC SCHEME OF DETERMINING OF THE REGIONS' CONTRIBUTION IN THE ECONOMIC GROWTH

SUMMARY

Macroeconomic regulation of economic growth is quite difficult process and often ineffective. One of the solutions of this general problem can be regulation of economic growth by taking into account regions' peculiarities. As a final point, economic growth is determined by effectiveness of regions' development. Accordingly, it is necessary to determine the contribution of regions in economic growth and relevant mechanism of formation of regional economic policy. In the article, there is presented the methodic scheme of determining of regions' contribution in economic growth based on the growth rate of gross regional products (GRP) and regions' share in the gross

domestic product (GDP) in the based year. The scheme takes into account regional structure of national economy and peculiarities of regions' economic development i.e. influence of regional (structural and productive) factors on the economic growth.

Presented methodic scheme of regions' contribution in economic growth will be considered as "frame" at the time of formation of alternative variants of regional economic policy. Using this method there is the possibility to create variants of policy and estimate their effectiveness on the side of economic growth and therefore, select the most effective direction of regional development.

Practical illustration of offered methodic scheme of determining of regions' contribution in economic growth is presented on the example of Georgia – the country of post-communist market transformation.

რამაზ აბესაძე
ეთერ კაკულია

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა ფუნქციონირების მიკროგარემოს გაუმჯობესების ღონისძიებათა სისტემა

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი მთავრობისა და საკანონმდებლო ორგანოების ყურადღების მიღმაა დარჩენილი. ქვეყანაში არ არის ჩამოყალიბებული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სახელმწიფო რეგულირების ერთიანი სისტემა (მექანიზმი).

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი – ეს არის ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მათ განვითარებას კონკურენტულ გარემოში. მისი მეშვეობით

მცირე და საშუალო ბიზნესს უნდა შეექმნას გარემო პირობები – ბაზარზე ნორმალური ფუნქციონირებისა და ქვეყნის ეკონომიკაში მათთვის განკუთვნილი აუცილებელი ადგილის დამკვიდრების.

მსოფლიო განვითარებული ქვეყნების სახელმწიფოები მოწოდებულნი არიან, მრავალმხრივი დახმარება აღმოუჩინონ უპირატესად მცირე ბიზნესს. ეს განპირობებულია იმით, რომ მისი განვითარების მინდობა საბაზრო ძალებისადმი საჭირო შედეგს არ მოგვცემს. იგი განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებს აგრეთვე იმიტომ, რომ აქ დაბალია პროდუქციის დივერსიფიკაციის დონე, ფლობს მცირე საწესდებო კაპიტალს და რესურსებს. დაბალია მენეჯმენტის დონე. მკვეთრად რეაგირებს საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებებზე და ა.შ.

ამდენად, მცირე და საშუალო ბიზნესის (განსაკუთრებით კი მცირე ბიზნესის) მხარდაჭერის გაძლიერება სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი უნდა იყოს, რისი განხორციელებაც მათი განვითარების სახელმწიფო რეგულირებითაა შესაძლებელი.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს: საკანონმდებლო და ნორმატიულ უზრუნველყოფას, რეგულირების ინდიკატორთა სისტემას, რეგულირების ღონისძიებათა სისტემას, რეგულირების მეთოდებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობას, მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდამჭერ ინფრასტრუქტურას; მცირე ბიზნესში სახელმწიფო მეწარმეობას; მცირე და საშუალო ბიზნესისადმი საერთაშორისო დახმარებების მიღების რეგულირებას, მცირე და საშუალო ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფას რისკის გათვალისწინებით; რეგულირების კონტროლს; რეგულირების ორგანოებს.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის ამოქმედება საქართველოში მოითხოვს, განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. მიზანშეწონილად ვთვლით, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, მიკროკლიმატის გაუმჯობესების, მათი საქმიანობის ლეგალიზაციის ამაღლების მიზნით, მიღებულ იქნეს კანონები:

„მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ“; „მცირე და საშუალო საწარმოთა ინოვაციური საქმიანობის შესახებ“; „მცირე და საშუალო ბიზნესის სახელშეკრულებო ურთიერთობათა რეგულირების შესახებ“;

„მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“. არსებულ „საგადასახადო კოდექსში“ გამოიყოს ცალკე კარი „მცირე ბიზნესის საწარმოთა გადასახადების შესახებ“.

2. უპირველეს ღონისძიებად, საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, გვესახება, სპეციალური სახელმწიფო ორგანოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო რეგულირების ერთიანი სისტემის (მექანიზმის) სტაბილურ და ნორმალურ ფუნქციონირებას. იგი უზრუნველყოფს ურთიერთობას მცირე და საშუალო ბიზნესსა და ინსტიტუციურ სტრუქტურებს შორის. ასეთ ორგანოს პირობითად ვუწოდებთ „მცირე ბიზნესის ადმინისტრაციას“. მისი შექმნა უნდა უზრუნველყოს საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა.

3. მცირე ბიზნესის სფეროში არსებული კაპიტალის სიმცირის და კრედიტებზე ხელმისაწვდომობის დარეგულირების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შეიქმნას საქართველოში „მცირე ბიზნესის ერთიანი ეროვნული ფონდი“. ფონდის ფორმირება და ფუნქციონირება განისაზღვროს კანონით: „მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“.

4. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, მათი მიკროკლიმატის გაუმჯობესება აუცილებლად ითხოვს სახელმწიფოებრივი ინფრასტრუქტურის, როგორც ერთიანი სისტემის, ჩამოყალიბებას, რომელმაც უნდა მოიცვას: მცირე ბიზნესის განვითარების ერთიანი ეროვნული ფონდი; მცირე ბიზნესის განვითარების ტექნოპარკი; მცირე ბიზნესის განვითარების ბიზნეს-ინკუბატორი; მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ლიზინგის კომპანია; მცირე და საშუალო ბიზნესის მარკეტინგის მომსახურების ცენტრი; მცირე და საშუალო ბიზნესის აუდიტორული მომსახურების კომპანია; კონსალტინგური მომსახურების კომპანია; მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი სასწავლო-საკონსულტაციო და საინფორმაციო ცენტრი.

აღნიშნული ინფრასტრუქტურის ყველა ორგანიზაცია თავდაპირველად იარსებებს სახელმწიფო დონეზე და უნდა დაფინანსდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე მიზანშეწონილია, სახსრები მოიზიდოს მსხვილი ბიზნესიდან და საერთაშორისო დახმარებებიდან.

საბაზრო ეკონომიკის, მისი ინფრასტრუქტურის და, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის და მისი ინფრასტრუქტურის კვალობაზე შესაძ-

ლებელია აღნიშნული რომელიმე ორგანიზაციის არსებობა სახელმწიფო დონეზე არ იყოს საჭირო და შეუერთდეს საბაზრო ინფრასტრუქტურას.

სახელმწიფო მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის ორგანიზება და კოორდინაცია უნდა უზრუნველყოს მცირე ბიზნესის განვითარების ადმინისტრაციამ.

5. საქართველოში დღეს მწვავედ დგას საკითხი მცირე და საშუალო ბიზნესის როგორც რაოდენობრივი ზრდის, ისე თვისებრივი დონის ამაღლების მიმართულებით. ამ მხრივ უნდა განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებანი, კერძოდ შემოღებულ იქნეს განსაკუთრებული საგადასახადო შეღავათები (შემცირებული პროცენტული განაკვეთები) იმ რეგიონების და დარგების მცირე და საშუალო საწარმოებზე, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის პრიორიტეტულს წარმოადგენენ.

რაც შეეხება მცირე ბიზნესის თვისებრივი დონის ამაღლებას, აქ უნდა მოხდეს მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიან და ინოვაციურ წარმოებაზე ორიენტირებული მცირე საწარმოთა წახალისება როგორც საგადასახადო შეღავათებით, ისე ნულოვანი საბაჟო ტარიფებით. ასეთივე ღონისძიება უნდა განხორციელდეს იმპორტჩანაცვლებად მცირე და საშუალო საწარმოებზე.

6. მცირე ბიზნესის ადმინისტრაციამ და მცირე ბიზნესის განვითარების ერთიანმა ეროვნულმა ფონდმა უნდა უზრუნველყოს თავდებითი შეღავათიანი კრედიტების გაცემა მცირე და საშუალო საწარმოებზე. სათავდებო მომსახურება არ უნდა აღემატებოდეს თავდებით გაცემული კრედიტის 0,5%-ს, ხოლო საწარმოებზე გაცემული კრედიტის საპროცენტო წლიური განაკვეთი 6-8%; კრედიტის გაცემის ხანგრძლივობა განისაზღვროს 10 წლის ვადით. განსაკუთრებით მცირე საწარმოებზე დაინერგოს კრედიტის გაცემის თავდებობის ინსტიტუტი.

მცირე და საშუალო ბიზნესის საჭირო კაპიტალით უზრუნველყოფის მიზნით, მცირე ბიზნესის განვითარების ადმინისტრაციასთან (მბა) შეიქმნას მცირე და საშუალო საწარმოების „კრედიტორთა კავშირი“.

7. ვენჩურული კაპიტალის და ფრანჩაიზინგის გავრცელებას საქართველოში ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფომ მსხვილ საწარმოებზე, დროის მოთხოვნის შესაბამისად, რაიმე წამახალისებელი ღონისძიებების განხორციელებით.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა და, ამდენად, ადგილობრივი გადასახადიდან (ქონების გადასახადიდან) მიწის ნაკვეთის გამოთავისუფლება არ არის გამართლებული. კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ყოველი კვადრატული სანტიმეტრი უნდა იბეგრებოდეს.

საშემოსავლო გადასახადიდან არ უნდა თავისუფლდებოდეს მეწარმე, თუნდაც მისი წლიური შემოსავალი 100 000 ლარს არ აღემატებოდეს.

ჩვენი თვალსაზრისით, სუბიექტი, რომელიც კერძო მეწარმეა, ბიზნესმენია, არ უნდა თავისუფლდებოდეს არანაირი გადასახადისაგან, შეიძლება გაეწიოს საგადასახადო შეღავათები.

შემოთავაზებულ ღონისძიებათა განხორციელება საფუძველს დაუდებს, შეუქცევადი გახდეს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დამკვიდრება-განვითარების პროცესი, გაუმჯობესდეს მისი დარგობრივი, ტერიტორიული და ხარისხობრივი სტრუქტურა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მშპ ზრდას, უმუშევრობის დონის შემცირებას, ქვეყანაში საშუალო ფენის ჩამოყალიბებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ., კაკულია ე.** მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების ზოგიერთი ასპექტები. ჟ. „ეკონომიკა“. №6, 2006.
2. **ნიდლი დ.** ბიზნესი კონტექსტში, ბიზნესი და მისი გარემო, შესავალი. თბ., 2003.
3. **Бизнес в 2005 году, устранение препятствий и пути развития.** Изд. «Весть Мир», 2005.
4. **Войтоловский М. В., Гормков Р. К.** Основы экономики и управления предпринимательством. М., 2005.
5. **Мазоль С.** Экономика малого бизнеса. Минск. «Книжный дом», 2004.

Abesadze Ramaz
Kakulia Eter

THE SYSTEM OF MEASURES TO IMPROVE MICROENVIRONMENT OF SMALL AND MIDDLE ENTERPRISES FUNCTIONING IN GEORGIA

SUMMARY

The work formulates the system of measures to improve microenvironment of small and middle business functioning. There is shown the necessity of existence of such institutional structures, as: single national fund of development of small and middle business, creditor's union, administration of small business development etc. Is proposed state infrastructure of small and middle business development, as a single system.

რამაზ აბესაძე
ეთერ კაკულია

მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების თავისებურებები და არსებული მდგომარეობა

საქართველოში

საქართველოში, საბჭოთა სისტემის საბაზრო რელსებზე გადასვლის პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის (მცირე და საშუალო საწარმოების) შექმნის პროცესი რიგი თავისებურებებით და ტენდენციებით ხასიათდება. თუ განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესის განვითარება მცირე საწარმოების შექმნით დაიწყო და, შემდგომ, მისგან წარმოიქმნა მსხვილი სტრუქტურები, ჩვენს სინამდვილეში მიმდინარეობს საბჭოთა პერიოდში არსებული მსხვილი მონოპოლიური, არაეფექტიანი სახელმწიფო საკუთრების, მსოფლიო სტანდარტებთან შეუსაბამო ტექნოლოგიების მქონე საწარმოების მცირე საწარმოებად რეორგანიზაციის და მათი კერძო საკუთრებზე გადაცემის მრავალმხრივი პროცესი.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან იყო მცდელობა კერძო საკუთრებაზე ეტაპობრივად, თანდათანობით, შემგუებლური პრინციპით გადასავლისა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ საწარმოებში ინერგებოდა სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპები, რის საფუძველზე მათ ეძლეოდა უფლება, გადასულიყვნენ თვითდაფინანსებასა და თვითრეგულირებაზე, რამაც მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ პირობებში შედეგი ვერ გამოიღო.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ, 90-იანი წლებიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან, პიროვნების ეკონომიკური თავისუფლების ამაღლების და კერძო სექტორის განვითრების მიზნით, დაიწყო განსახელმწიფოებრიობის და პრივატიზაციის პროცესი, განხორციელდა სახელმწიფო ქონების ვაუჩერიზაცია.

წარმოების დემონოპოლიზაციისა და პრივატიზაციის დაჩქარების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1992 წლის 17 მარტს მიიღო დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“. აღნიშნული დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროს სახელმწიფო კომიტეტს, დეპარტამენტსა და ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ, შეესწავლათ კონცერნების, ასოციაციების და გაერთიანებების ფუნქციონირების მიზანშეწონილობის საკითხი და მიეღოთ გადაწყვეტილებანი მათი დაშლის და წვრილ ერთეულებად წარმოქმნის ან გაუქმების თაობაზე.

ამ დადგენილებით, იმ საწარმოებს, რომლებიც არ იყვნენ იურიდიული პირი, უფლება მიეცათ, კოლექტივის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებულიყვნენ დამოუკიდებელ იურიდიულ პირად და ნებაყოფლობით გასულიყვნენ სხვადასხვა ტიპის გაერთიანებათა შემადგენლობიდან. მსხვილი საწარმოების ფილიალებს მცირე საწარმოებად ჩამოყალიბების უფლება მიეცათ. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, საქართველოში გაფართოებულიყო მცირე ეკონომიკის (მცირე და საშუალო ბიზნესის) მასშტაბები და სფერო.

მცირე ბიზნესის ფორმირებას განსაკუთრებულად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ განსახელმწიფოებრიობის და პრივატიზაციის პროცესი პირველად საბჭოური მცირე საწარმოებით დაიწყო. მხოლოდ 1993 წლის პრივატიზებული საწარმოების საერთო რაოდენობიდან მცირე საწარმო იყო 98,4%. სულ 1993-2000 წლებში პრივატიზებულ საწარმოთა საერთო რიცხვში მცირე საწარმოები 92,7%, ხოლო საშუალო და მსხვილი საწარმოები (სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნილი) კი – 7,3%-ს შეადგენდა. როგორც სტატისტიკური მასალებიდან ჩანს, მცირე საწარმოების პრივატიზაციის პროცესი დასრულდა 2001 წლისათვის [4, გვ. 150].

ეკონომიკურ ლიტერატურასა და სამეურნეო პრაქტიკაში დღეისათვის არ არსებობს ერთიანი შეხედულება მცირე და საშუალო საწარმოების განმსაზღვრელი კრიტერიუმების (მაჩვენებლების) და მათი სტატისტიკური სიდიდის შესახებ.

არსებობს კრიტერიუმები, რომელსაც ყველა ქვეყანაში აღიარებენ და იგი საერთაშორისო შედარებისას გამოიყენება. ეს არის მუშათა რიცხოვნობა, რეალიზებული პროდუქციის მოცულობა და საწარმოთა ინტენსივობა (ანუ ყოველ ათას მცხოვრებზე მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობა), მშპ-ში ხვედრითი წილი.

საქართველოში, თავდაპირველად, 1993-1999 წლებში, მცირე და საშუალო საწარმოებს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი განსაზღვრავდა დასაქმებულთა რაოდენობის და რეალიზებული პროდუქციის მიხედვით, დარგობრივ ჭრილში. 1999 წელს მიიღეს კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, რომელმაც მოახდინა მცირე საწარმოების სამართლებრივი რეგლამენტირება, ხოლო 2002 წელს აღნიშნულ კანონში შეიტანეს ცვლილებები და დღემდე მცირედ ითვლება საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20 კაცს და წლიური

ბრუნვა 500 ათას ლარს. ხოლო საშუალო საწარმოდ, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა უდრის 100 კაცს, რეალიზებული პროდუქციის მოცულობა 1500 ათას ლარს. მსხვილს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა რიცხოვნობა აღემატება 100 კაცს და წლიური ბრუნვის მოცულობა 1500 ათას ლარს. კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს პარლამენტმა გააუქმა 2006 წლის 24 ივნისს, ისე, რომ მისი შემცვლელი რაიმე ახალი კანონი არ მიუღიათ.

საქართველოში, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით და რეგიონულ ჭრილში, მცირე და საშუალო საწარმოების მახასიათებლების სტატისტიკური მასალების ანალიზის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დღეისათვის მცირედ ჩაითვალოს საწარმო, სადაც დასაქმებულთა სიდიდე განისაზღვრება არა უმეტეს 10 კაცით, საშუალო წლიური ბრუნვა არა უმეტეს 150 ათასი ლარით. საშუალო საწარმოდ კი – საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა მეტია 10-ზე და ნაკლები ან ტოლი 50 კაცის, ხოლო ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 500 ათას ლარს.

საერთოდ მიგვაჩნია, რომ მცირე და საშუალო საწარმოს მახასიათებელთა სტატისტიკური სიდიდის განსაზღვრისას, უნდა ამოვიდეთ ქვეყნის მასშტაბიდან და ეკონომიკის განვითარების დონიდან, ასევე დარგობრივი თავისებურებებიდან. კრიტერიუმად უნდა ავიღოთ დასაქმებულთა რაოდენობა და რეალიზებული პროდუქციის მოცულობა. ამასთან, დარგების მიხედვით უნდა გავიანგარიშოთ ერთ საწარმოზე ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმთა სიდიდეები. მცირე საწარმოს მივაკუთვნოთ ის, რომლის მაჩვენებელიც ნაკლები იქნება საშუალოზე, საშუალოს – რომლის მაჩვენებელიც ტოლი იქნება მიღებული საშუალო სიდიდის, ხოლო მსხვილ საწარმოს ის, რომლის მაჩვენებელიც მეტი იქნება საშუალოზე. მახასიათებელთა სტატისტიკური სიდიდის ცვლილება შეიძლება საშუალო სიდიდის ზრდის ტემპების შესაბამისად. მონაცემთა სტატისტიკური სიდიდის გადამოწმება უნდა ხდებოდეს 3-5 წელიწადში ერთხელ.

მცირე და საშუალო საწარმოთა ზომის სწორი განსაზღვრა და სამართლებრივი რეგულირება ხელს უწყობს მათი ნორმალური ფუნქციონირებისათვის სწორი სახელმწიფო პოლიტიკის და მხარდამჭერი ღონისძიებების გატარებას.

ქვეყნის ორიენტაციამ საბაზრო ეკონომიკაზე, თავისთავად მოითხოვა შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა. საკანონმდებლო ორგა-

ნოების მიერ დღეს მიღებული კანონების უმრავლესობა პირდაპირ ან ირიბად ეხება ბიზნესთან დაკავშირებულ რთულ და მრავალმხრივ ურთიერთობებს. ასეთს განეკუთვნება: საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის, საგადასახადო და საბაჟო კოდექსები; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი; კანონები: „ეროვნული ბანკის“ და „კომერციული ბანკის შესახებ“; კანონი „სახელმწიფო პრივატიზაციის შესახებ“; კანონები „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრების შესახებ“, „სასოფლო-სამეურნეო მიწების იჯარის შესახებ“, „მიწის რეგისტრაციის შესახებ“, „ფიზიკური პირების და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ და მრავალი სხვა.

ასევე საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული მრავალი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, პარლამენტის მიერ რატიფიცირებული მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება და კონვენცია, მათი ნორმები არეგულირებენ ბიზნესის ფუნქციონირებას.

საწარმოთა ფუნქციონირების ორგანიზებულ-სამართლებრივი ფორმების რეგლამენტირება ძირითადად დაფუძნებულია კანონზე „მეწარმეთა შესახებ“. იგი იძლევა საშუალებას, საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოთა შექმნის მსურველებს ნათლად წარუდგინოს სხვადასხვა საწარმოთა ფორმები, იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომელიც თითოეულ მათგანს ახასიათებს.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით, საქართველოში დაშვებულია საწარმოთა შემდეგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) ან კოოპერატივი [3, გვ. 3].

კანონის ერთ-ერთ უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ აქ არ არის ჩამოყალიბებული საწარმოთა ზომების მიხედვით რეგულირების მექანიზმი. გათვალისწინებული არ არის მცირე საწარმოების სპეციფიკური ბუნება.

ქვეყნის „საგადასახადო კოდექსი“, რომლის მეშვეობით რეგულირდება ქვეყანაში საგადასახადო სისტემა, ეკონომიკის თითოეული სუბ-

იექტის ურთიერთობა გადასახადებთან და ამით ბიუჯეტთან, ყურადღების მიღმა ტოვებს ეკონომიკის ისეთ სპეციფიკურ სუბიექტებს, როგორიცაა მცირე და საშუალო ბიზნესი (მცირე და საშუალო საწარმოები). ქვეყანაში მცირე საწარმოს არ აქვს კანონით დარეგულირებული საგადასახადო შეღავათები. მას შეუძლია, როგორც ყველა სუბიექტს, ისარგებლოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული შეღავათებით, რომელიც დადგენილია ზოგიერთი სახის ეკონომიკურ საქმიანობაზე.

საბაზრო სისტემაში გადასვლის შემდგომ, პრინციპულად შეიცვალა საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემა. საბანკო სისტემა მოიცავს ეროვნულ (ცენტრალურ) და კომერციულ ბანკებს.

საქართველოში 2006 წლისთვის ფუნქციონირებდა 17 კომერციული ბანკი და მათი 122 ფილიალი [5, გვ. 256]. საბანკო სისტემის ასეთი ქსელი არ არის ცუდი, მაგრამ მათი მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესზე და არც დამწყებ ბიზნესმენებზე შეღავათიანი დამოკიდებულება არ არის. 2005 წლის მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაზე წლიური საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან და გრძელვადიან სესხზე ერთი და იგივეა და შეადგენს 21%; ხოლო უცხოურ ვალუტაზე, შესაბამისად, 22 და 16%-ს უდრის [4, გვ. 256, 255]. როგორც ჩანს, ქვეყანაში ხელისუფლებამ არსებითი ყურადღება უნდა გაამახვილოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში ბანკების როლის ამაღლების საქმეზე.

მცირე და საშუალო ბიზნესის ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა-რეგულირება ეს იგივეა, რაც სახელმწიფოს მხრიდან ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება, ე.ი. მონოპოლიური საქმიანობის და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აკრძალვა, ანტიმონოპოლიური რეგულირების სისტემის შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია. ამ მიმართულებით დღეს საქართველოში, შეიძლება ითქვას, თითქმის არაფერი კეთდება. გაუქმებულია ქვეყანაში არსებული „სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური“. ამდენად, მცირე და საშუალო ბიზნესი კონკურენტული ბაზრის სივრცეში მთლიანად დაუცველია.

განვითარებული ქვეყნების მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ ქვეყანაში დაზღვევის ინსტიტუტს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, განსაკუთრებით ბიზნესის განვითარების სფეროში.

აღიარებულია ის, რომ ბიზნესი შეიცავს რისკებს, რომელთა გარკვეული ნაწილის დაზღვევა კანონით რეგულირდება. მცირე ბიზნესმა თავისი ფუნქციონირებისას უნდა უზრუნველყოს ყველა იმ რისკების

დაზღვევა, რომელიც კი მოსალოდნელია და რომლის დაზღვევა შესაძ-ლებელია. დღეს საქართველოში სადაზღვევო კომპანიები თავს არიდე-ბენ მცირე ბიზნესში არსებული რისკების დაზღვევას. ხშირ შემთხვევა-ში უნდა მოხდეს რისკების: საკუთრების, შემოსავლების დაკარგვის, პა-სუხისმგებლობის, წამყვანი სპეციალისტის დაკარგვის და ა.შ. დაზღვევა.

სახელმწიფოს მარეგულირებელი მექანიზმით მცირე და საშუალო ბიზნესს, ხელშეწყობის გვერდით, უნდა დაეკისროს მოვალეობები, რაც გამოიხატება ბუნების, გარემოს დაცვით. მეწარმისა და ბუნების ურთი-ერთობა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება საბაზრო ეკო-ნომიკის ქვეყნებში სამართლებრივად რეგულირდება.

ამ მხრივ აღსანიშნავია საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“. საქართველო მიერთებულია საერთაშორისო გარემოსდაცვით კონცეფციებთან გლობალური, რეგიონული და ორმხრივი ხელშეკრუ-ლებით.

კანონით, საქმიანობის სტრუქტურისათვის მიწის, წყლის, ტყის, ფლორის, ფაუნის, ნიადაგის და წიაღისეული რესურსებით სარგებლობა ფასიანია.

სუბიექტი (საწარმო) ვალდებულია, აანაზღაუროს გარემოსთვის მიყენებული ზიანი.

საქართველოში დღეს ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესში ინვესტიციების მოზიდვა, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება. ქვეყანა, სადაც ინვესტიციების დაცვის სრუ-ლყოფილი მექანიზმი არსებობს, ნებისმიერი ბიზნესის, მცირე, საშუა-ლო თუ მსხვილის განვითარებისათვის მყარი ნიადაგია შექმნილი.

2007 წელს, მსოფლიო ბანკის შეფასებით, საქართველომ სახელმ-წიფოში ბიზნესგარემოს (ანუ ინვესტიციური გარემოს) მახასიათებლების მიხედვით, მსოფლიოს 145 ქვეყანაში მე-18-ე ადგილი დაიკავა. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ მცირე ბიზნესისათვის ეს გარემო მი-უწვდომელია, უცხოელი ინვესტორები საქართველოში თავს იკავებენ მცირე ბიზნესში ინვესტიციებზე. ამდენად, აქ ინვესტიციები უნდა გა-ნახორციელონ სახელმწიფომ და ადგილობრივმა მსხვილმა ბიზნესმე-ნებმა.

ქვეყანაში ექსპორტ-იმპორტის დარეგულირებას დიდი როლის შე-სრულება შეუძლია ბიზნესის ჯანსაღი გარემოს ფორმირებაში. აღნიშ-ნულის რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან საბაჟო სისტემის მეშვეო-

ბით ხორციელდება. დღეისათვის მიღებული საბაჟო ტარიფების კანონი ზედმეტად ლიბერალურია. ჩვენი აზრით, ეს გამოიწვევს ქვეყნის შიდა ბაზრის შეზღუდვას, მაგრამ, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს უახლესი ტექნოლოგიების შემოტანას.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ორგანიზებული საწარმოო საქმიანობა რეგულირდება მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, ევროკავშირი, ევრაზიის ფონდი, ამერიკული „მსოფლიო კორპუსი“, ფონდი ღია საზოგადოება – საქართველოს და სხვა) თანადგომით და მხარდაჭერით. მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით და რეკომენდაციით ქვეყანაში შემოიღეს საწარმოთა რეგისტრაციის მარტივი ფორმა – „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მუშაობა. რის გამოც:

რეგისტრირებისათვის საჭირო დღეების რაოდენობა შემცირდა: ინდმეწარმეთათვის (6) – 1 დღემდე, ასოციაციებისა და ფირმებისათვის (20) – 5 დღემდე, ბიზნესისათვის (საწარმოებისათვის) (8) – 3 დღემდე.

მიუხედავად დადებითი მომენტებისა, არსებობს ნაკლოვანებები, რისი აღმოფხვრაც აუცილებელია ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, განსაკუთრებით მცირე ბიზნესისათვის. დაბალია ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა; საგარეო სექტორი არც ისე დამაკმაყოფილებლად გამოიყურება. მართალია, მატულობდა ექსპორტის მოცულობა, მაგრამ იმპორტის მოცულობა მასთან შედარებით გაცილებით სწრაფი ტემპით გაიზარდა, აღნიშნული ფაქტი მძიმედ მოქმედებს განსაკუთრებით მცირე ბიზნესის განვითარებაზე.

მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების არსებული მდგომარეობის გაცნობიდან ჩანს, რომ უშუალოდ მათ მიმართ სახელმწიფოს მხრიდან მარეგულირებელი ღონისძიებების გატარებას ჯერჯერობით არსებითი ყურადღება არ დათმობია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **გველესიანი რ.** მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა, თბ. 1999.

2. **მექვაბიშვილი ე.** სახელმწიფო და ეკონომიკა, თბ., 1996.

3. „სამეწარმეო კანონმდებლობის კრებული“, ჟ. „მეოხი“ №37-38-ის დამატება, თბ., 2006.

4. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2006.

5. **ჭითანავა ნ.** ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება, II ნაწილი, თბ., 1997.

6. **Горфинкел В., Швандар В.** Малый бизнес, организация, экономика, управления. М., «ЮНИТС», 2003.

Abesadze Ramaz
Kakulia Eter

PECULIARITIES OF STATE REGULATION OF SMALL AND MIDDLE BUSINESS AND CURRENT SITUATION IN GEORGIA

S U M M A R Y

The work formulates the peculiarities of state regulation of small and middle business in Georgia. There are shown positive and negative moments of measures realized by the state in the development of small and middle business in transition period to market economy. There is expressed an opinion concerning the definition of small and middle business sizes.

თენგიზ ქავთარაძე

მიწის პრივატიზაცია და მიწის ბაზრის განვითარება საქართველოში

აგროსამრეწველო კომპლექსს საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ახლო წარსულში აქ იწარმოებოდა მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქციის 23, მოსახლეობის სამომხმარებლო საქონლის 32% და თავმოყრილი იყო ძირითადი ფონდების 24 %.

საქართველოში დაწყებულმა აგრარულმა რეფორმამ დააჩქარა სოფლად საკუთრებისა და მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმების განსახელმწიფოებრიობის პროცესი, მოსახლეობისათვის დამატებითი საკარმიდამო, საბაღე და საბოსტნე ნაკვეთების გამოყოფა; ინტენსიური სავარგულების მთლიანი ფართობიდან 850 000 ჰა, ანუ 55% პრივატიზებულია, შეიძლება ითქვას, რომ მიწის რეფორმა რაოდენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ სწრაფად წარიმართა, თუმცა ეკონომიკური თვალსაზრისით შედეგები არადამაკმაყოფილებელია.

სოფლად რეფორმები განხორციელდა ზედაპირულად – ყოველგვარი ნორმატიული ბაზის მომზადების გარეშე, რის გამოც ქვეყანაში პოლიტიკური რეფორმების განვლილ პერიოდში წარმოება კატასტროფულად დაეცა (2004 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება 1980-1990 წლების საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით – 70 პროცენტით).

1993 წელს საპრივატიზაციოდ გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა მიწის ფართობი შეადგენდა 287,0 ათას ჰექტარს, 1994 წელს შესაბამისად – 396,1 ათასს, 1997 წელს კი – 930,0 ათას ჰექტარს. პრივატიზაციის პირველი ეტაპი დასრულებულად გამოცხადდა 1997 წლის 1 აპრილს; რაც შეეხება ნორმატიულ ბაზას, იგი დიდი დაგვიანებით, თითქმის პრივატიზაციის პირველი ეტაპის დასრულების ბოლოს შეიქმნა, მაგალითად, 1996 წლის 22 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", 1996 წლის 28 ივნისს – საქართველოს კანონი "სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შესახებ", 1997 წლის 7 აპრილს – "აგრარული პოლიტიკის კონცეფცია" და ა.შ.

პირველი ეტაპის დასრულებისათვის (1997 წლის 1 აპრილი) პრივატიზებული უნდა ყოფილიყო 930 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ფაქტობრივად აღმოჩნდა 844 ათასი ჰექტარი, ანუ 90,7 %.

ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ისინი, ვისაც კერძო საკუთრებაში უნდა მიეღოთ მიწის ნაკვეთები, დაიყვნენ სამ კატეგორიად. მოქალაქეებს, რომლებიც უშუალოდ ჩაერთვნენ ფერმერულ მეურნეობაში, უფლება ჰქონდათ, მიეღოთ კომლზე 1,25 ჰა მიწის ნაკვეთი; სოფელში მცხოვრებ პირებს, რომელნიც არ იყვნენ ჩართულნი ფერმერულ მეურნეობაში, ასევე განათლების, კულტურის, საჯარო, ჯანდაცვისა და ა.შ. სისტემებში მოღვაწეთ შეეძლოთ მიეღოთ 0,75, ხოლო ქალაქში მცხოვრებ პირებს – 0,25 ჰექტარი.

მიწის ნაჩქარევი რეფორმისა და პრივატიზაციის შედეგად საქართველოში მიწის დანაწევრება მოხდა. დაირღვა საყოველთაოდ აღიარებული ნაკვეთის დაუნაწევრობის, განუყოფლობის პრინციპი. 1,25 ჰა საკარმიდამო ნაკვეთი ძალზე მცირეა ფერმის ფუნქციონირების ტექნიკური და ეკონომიკური ეფექტიანობისათვის; საყურადღებოა, რომ აშშ-ში ერთ ფერმერულ მეურნეობაზე საშუალოდ 190 ჰა მიწის ფართობი მოდის, 90-იანი წლების დასაწყისისათვის საქართველოს თითო კოლმეურნეობაზე საშუალოდ 1800 ჰა მიწის ფართობი მოდიოდა.

მიწის რეფორმის დაწყებამდე უნდა ჩატარებულიყო მიწების სრული ინვენტარიზაცია. უნდა დაედგინათ საზღვრები ცალკეულ ნაკვეთებზე, უნდა შეედგინათ გეგმა-ნახაზი, კადასტრი – ნიადაგის ხარისხის, თვისების ლაბორატორიული გამოკვლევა და, ბოლოს, პასპორტიზაცია. მას მოითხოვდნენ მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის სპეციალისტე-

ბი, ამერიკელი კონგრესმენი, აგრარიკოსი კუპერ ევანსი, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები: ე.ვ. გილბერტი, ვ.ჯ. არნისონი, ქართველი სპეციალისტები: ლადო ჭანტურია, ოთარ სადარეიშვილი და მრავალი სხვა. სამუშაოები უნდა დაწყებულიყო 1996 წელს გარდაბნისა და მცხეთის რაიონებში. მაგრამ ეს არ მოხდა, სამაგიეროდ, სამუშაოების წარმოება დაიწყეს უკუღმა, პირდაპირ მიწის საკუთრებაში გადაცემის დამადასტურებელი პასპორტების დარიგებით, სადაც მოცემული არ არის საზღვრები, კადასტრის სხვა მონაცემები და ა.შ.

მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის წინ მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ გამოიყენა ე.წ. "იმატრიკულაციის წესი", რაც იმას ნიშნავს, რომ მიწა 10-20 წლის ვადით, გამოცდის მიზნით, პირობით გადაეცემა მეურნეს, რომელმაც ამ დროის მანძილზე უნდა დაამტკიცოს, რომ იგი კარგი მეურნეა. მხოლოდ ამის შემდეგ გადადის მიწა მის საკუთრებაში. საქართველოს კანონში "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" რომ გაეთვალისწინებინათ "იმატრიკულაციის წესი", ჩვენი სოფლის მეურნეობა დღეს უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

2005 წლის მდგომარეობით, საქართველოში საკუთრებაში გადაცემულია 930 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მათ შორის ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სავარგულია (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები) 617,7 ათასი ჰექტარი, ანუ მათი რაოდენობის 66,4 %, ხოლო იჯარით გაცემულია 305 ათასი ჰექტარი – სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სავარგული, მთელი ფართობის 29,9 %. 40 200-მა ფიზიკურმა პირმა იჯარით მიიღო 473,1 ჰა მიწა (საშუალოდ ერთმა ფიზიკურმა პირმა 11,2 ჰექტარი), ხოლო 4200-მა იურიდიულმა პირმა კი – 432 ათასი ჰექტარი მიწა (საშუალოდ ერთმა იურიდიულმა პირმა 103 ჰექტარი).

1996 წლის 28 ივნისს მიიღეს კანონი "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ", რომლითაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის მაქსიმალურ ვადად განისაზღვრა 49 წელი. ამავე კანონით დაწესდა, რომ 10 წელზე მეტი ვადით მიწები იჯარით უნდა გაცემულიყო საქართველოს მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო კომისიის (თავმჯდომარე – სახელმწიფო მინისტრი) ნებართვით, რაც, გარკვეულწილად, კონტროლს აწესებდა და გამჭვირვალეს ხდიდა ხანგრძლივი ვადით მიწების გაცემის პროცესს. მაგრამ,

სამწუხაროდ, აღნიშნული კანონი გაუქმდა 1997 წლის 25 ნოემბერს. ამის შემდეგ მთელი მიწების იჯარით გაცემის პროცესს წარმართავდა და წარმართავს ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და შესაბამის რაიონებში საამისოდ შექმნილი კომისიები, რომელთაც ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მიწები უნდა გაეცა წინასწარ გამოცხადებული კონკურსის წესით, მაგრამ აღნიშნული მიწების 80-90%-ის იჯარით გაცემა მოხდა არსებული წესების უხეში დარღვევით, ყოველგვარი საკონკურსო პირობების საჯაროობის მოშლით.

ამრიგად, საქართველოში ფუნქციონირებს ძირითადად კერძო, წვრილი ოჯახური, გლეხური და ფერმერული მეურნეობები, რომელთა საერთო რიცხვი მილიონზე მეტია, ხოლო მიწის ნაკვეთები 4 (ოთხ) მილიონზე მეტი, ფერმის საშუალო სიდიდე დაახლოებით 2,7 ჰა-ს ტოლია, მათ მიერ წარმოებული პროდუქციის წილი სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში 92-93% შეადგენს, კერძო სექტორის ხელში მოექცა სოფლის მეურნეობის წარმოება, მაგრამ შედეგი მაინც დაბალია. მცირე ზომის ოჯახური მეურნეობები კარჩაკეტილ ნატურალურ მეურნეობას ეწევიან (მათი მცირე მოცულობის გამო ნაკლებად გამოიყენება მექანიზაცია); ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის გამო ვერ ხერხდება დარგის ტექნიკური შეიარაღება, საწარმოო სიმძლავრეთა განახლება, ვერ ინერგება წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, აგრარული სექტორი მხოლოდ 38%-ით აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას საკუთარი წარმოების სურსათით, ბაზარზე 50%-მდეა იმპორტული კვების პროდუქტები, ხოლო ზღვრულ დასაშვებ ნორმად მიღებულია 25-30% [1].

მიწის ინტენსიურად გამოყენების დროს აუცილებელია, ვიფიქროთ არა მარტო იმაზე, თუ რა მიწებია პრივატიზებული და რამდენი გამოვიყენეთ სივრცობრივად, არამედ – როგორ გავზარდოთ მისი ნაყოფიერება, ამას კი მიწის ბაზრის ფორმირება შეგვაძლებინებს. იგი კონკრეტულ გარემოს შექმნის, ეკონომიკურ ინტერესს გააძლიერებს.

მიწის ბაზრის ფორმირება უნდა წარიმართოს თანმიმდევრულად და ეტაპობრივად, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების აუცილებელი დაცვით, საკანონმდებლო ბაზის შემდგომი გაფართოებისა და მიწის ბაზრის მოწყობისათვის შესაბამისი ინსტიტუციური გარდაქმნების კვალობაზე, ხოლო მიწის ბაზრის სახელმწიფოებრივმა რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს მსხვილი სასაქონლო წარმოების უპირატესი

განვითარების, მიწის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისა და მისი ნაყოფიერების შენარჩუნება-ზრდის პირობების შექმნა.

ამ საქმეს ემსახურება 2005 წლის 8 ივლისს გამოქვეყნებული საქართველოს კანონი "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ". კანონის მიზანია "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შედეგად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის ათვისება, მისი რაციონალური გამოყენება და მიწის ბაზრის განვითარებისათვის ხელის შეწყობა" [2].

რა პირობებზე იქნება დამოკიდებული მიწის ბაზრის განვითარება? კანონის გულმოდგინეთ გაცნობის შედეგად შთაბეჭდილება გვექმნება, რომ კანონის ავტორებისათვის მიწის ბაზრის ფორმირების ძირითადი წყარო მხოლოდ მიწის ყიდვა-გაყიდვაა. მიწის ბაზრის შექმნასთან დაკავშირებით კანონი, სამწუხაროდ, არ ითვალისწინებს ისეთი კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას, როგორიცაა: 1. აგრარული საკრედიტო პროგრამა (მიწის ბაზრის გაიგივება მხოლოდ მიწების ყიდვა-გაყიდვასთან (სპეკულაციასთან) უხეში შეცდომაა. მიწის ბაზრის ფორმირება იწყება მაშინ, როდესაც ქვეყანაში კომერციული ბანკების ქსელი განვითარდება იმ დონემდე, რომ ისინი შეძლებენ 20-25 წლის ვადით ფერმერულ მეურნეობებზე სესხის გაცემას) [4]; 2. სოფლის მეურნეობის განვითარება; 3. ფერმერული მეურნეობების მომარაგებითა და მარკეტინგული სამსახურით დახმარება; 4. მომსახურების გაფართოების დანერგვა; 5. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციასთან დაკავშირებული პოლიტიკა; 6. მიწის მართვა და მიწის კონსოლიდაცია.

ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში კულტურული სხვაობების არსებობის გამო, ამგვარი პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს რეგიონულ განსხვავებას.

კანონის მთავარი მიზანი მიწის სრულფასოვანი ეკონომიკური ფუნქციის დაბრუნებაა, მიწის ბაზრის განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს მიწის გამოყენებას საკრედიტო რესურსების უზრუნველსაყოფად. დღეს, ვისაც იჯარით აქვს აღებული მიწები, არ შეუძლიათ ამ ქონების გაქირავება, დაგირავება და ა.შ. ასე კი მიწის ბაზარი ვერ განვითარდება. სასოფლო-სამეურნეო მიწები პირობითად შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ – მიწა, რომელიც იჯარით არის გაცემული სახელმწიფოს მიერ

და ჯერ კიდევ იჯარით გაუცემელი მიწები. პირველ შემთხვევაში, აღნიშნული კანონის თანახმად, მიწის პრივატიზება განხორციელდება მოიჯარისათვის პირდაპირი მიყიდვის წესით. ამ შემთხვევაში მიწის გამოსასყიდი ფასი ტოლია ამავე მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო წლიური განაკვეთის ათმაგი ოდენობისა; იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარემ მიწის გამოსყიდვაზე უარი განაცხადა, მიწის ფართობი გასაყიდად გავა ღია აუქციონზე, სადაც მისი საწყისი ღირებულება ქონების გადასახადის საბაზისო წლიური განაკვეთის ორმაგი ღირებულება იქნება. იჯარით გაუცემელი მიწების პრივატიზება კი დახურული აუქციონის წესით განხორციელდება, სადაც პრიორიტეტი ამავე რაიონის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას მიენიჭება. დახურულ აუქციონზე მიწის საწყისი ფასი ქონების წლიური გადასახადის ორმაგ ოდენობას შეესაბამება [5].

განვითარებულ ქვეყნებში მიწაზე საიჯარო გადასახადი შეადგენს მიწის ფასის 2 პროცენტს. ჩვენში ამჟამად ერთი ჰა სახნავი მიწის ფასია 18 031 ლარი, მრავალწლიანი ნარგავებისა, შესაბამისად – 18 013 ლარი, სათიბის – 4 940 ლარი, საძოვრის – 3 453 ლარი. ასეთი ფასების პირობებში, ჩვენი გაანგარიშებით, 2%-ის ფარგლებში მარტო საიჯარო ქირის გადასახადი 1 ჰა სახნავის მიმართ იქნება 360 ლარი, მრავალწლიანი ნარგავების მიმართ შესაბამისად – 370 ლარი, სათიბზე – 98 ლარი, საძოვარზე – 69 ლარი. ამჟამად მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული კარგი ხარისხის ერთი ჰა მიწის საბაზისო განაკვეთი მარნეულში შეადგენს 57, ბოლნისსა და გარდაბანში – 52 ლარს და ა.შ. [3]. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, კანონის თანახმად, იჯარით გაცემული კარგი ხარისხის მიწების მოიჯარეებისათვის პირდაპირი წესით მიყიდვის შემთხვევაში, მიწის გამოსასყიდი ფასის იმავე მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო წლიური განაკვეთის ათმაგი (570, 520 ლარი) ოდენობის პირობებში მიახლოებითაც ვერ ანაზღაურებს დადგენილი მიწის ფასს. მარნეულსა და ბოლნისში მოიჯარეებზე მიყიდული ერთი ჰექტარი სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული კარგი ხარისხის მიწის (გადასახადის ათმაგი ოდენობის პირობებში) 570 ან 520 ლარად მიყიდვა, ჩუქება-განიავების ტოლფასია!

მოსალოდნელი არასახარბიელო მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით, მიწის ბაზრის ფორმირებაში მიწების ჩუქების ფასად ყიდვა-გაყიდვა კი არ უნდა მივიჩნიოთ გამოსავლად, არამედ, საჭიროა, სა-

თანადო ღონისძიებების გატარება მიწების ნაყოფიერებისა და მორწყვის ამაღლების თვალსაზრისით, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს მიწის ფასის ზრდას, მას უნდა მოჰყვეს გაზრდილი საიჯარო ქირით მიწების იჯარით გაცემა. ასეთი ღონისძიებების განხორციელებით, როგორც საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს, ხელისუფლება ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გაცილებით მეტ სტაბილურ შემოსავალს მიიღებდა ვიდრე მიწის ერთჯერადი გაყიდვის შედეგად. წვრილ გლეხურ მეურნეობებზე 3 ჰა მიწის ფართობის პირობებშიც მიწების გაყიდვის მცდელობა ამჟამად სოფლად ინვესტიციების ჩადების მცდელობის შემცირებას გამოიწვევს. კერძოდ, ფერმერები თავის რესურსებს მიწის შესასყიდად უფრო გამოიყენებენ, ვიდრე ინვესტიციების ჩასადებად. ამ საქმეში აჩქარება საჭირო არ არის.

საქართველოს კანონის – "საქართველოში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ" გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა და წინადადება:

1. კანონს არ აქვს პროექტის ეკონომიკური დასაბუთება. ძნელია დაეთანხმო კანონის ავტორების ვარაუდს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზებიდან (400 000 ჰა) სახელმწიფო ბიუჯეტი 80 მლნ. ლარს მიიღებს, მასზე მეტს თუ ნაკლებს.

2. კანონი ზოგჯერ წინააღმდეგობაში ვარდება მის მიზანთან. მაგალითად მე-14 მუხლის პირველი ნაწილის "ა" პუნქტში წერია იჯარით გაუცემელი მიწის ნაკვეთის პრივატიზებისას საკრებულოს ვალდებულებებზე:

"ა) საპრივატიზებო მიწების ფართობების შერჩევა და მათი ოპტიმალური ზომის ნაკვეთებად დაყოფა (არანაკლებ 3 ჰექტრიანი ნაკვეთი, აღნიშნული შეზღუდვა არ მოქმედებს, თუ ნაკვეთის ფართი 3 ჰექტარზე მცირეა)".

აღნიშნულ ფორმულირებაში არ ჩანს პრობლემების გადაჭრის მექანიზმი. ასე ხელაღებით მიწის საპრივატიზაციო ფართობების ოპტიმალურ ზომად 3 ჰექტრის წარმოდგენა სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. ასეთი მცირე ზომის მიწის ნაკვეთებზე ფერმერული მეურნეობების მოწყობა ეკონომიკურად არაეფექტიანია.

3. აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის მე-7 ნაწილში წერია "ამ კანონის ძალაში შესვლიდან პრივატიზებას დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები აღარ გაიცემა იჯა-

რით". გამოდის, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობაში უქმდება საიჯარო ურთიერთობები, მაშინ, როდესაც აშშ-ი იჯარით მუშავდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 43 %, ჰოლანდიაში შესაბამისად – 95 %, ისრაელში – 91 %.

ამ საქმეში მეტად საინტერესოა საფრანგეთის გამოცდილების შესწავლა საიჯარო ურთიერთობათა განვითარების საუკუნენახევრიანი ისტორიით, რამაც დასავლეთ ევროპაში სასოფლო-სამეურნეო იჯარის ყველაზე უფრო მოქნილი და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმი შექმნა. აღნიშნული გამოცდილების განზოგადებიდან გამომდინარე, საქართველოში ფერმერული იჯარა სოფლის მეურნეობაში ახალგაზრდობის ჩართვის კარგ საშუალებად მიგვაჩნია. იჯარა სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმის გარანტიას აძლევს მათ, ვისაც საწყისი კაპიტალი არ აქვთ.

მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მიწის კადასტრის გარდა, საჭიროა მიწის აგრარული კოდექსის შემოღება. მაგალითად, ფრანგულ აგრარულ კოდექსში, რომელიც 1337 მუხლს მოიცავს, მარტო სასოფლო-სამეურნეო იჯარას ეხება 168 მუხლი; აქედან საქონლის იჯარას – 32, მონახევრეობისას – 7, მონახევრეობის გადაქცევას ფერმერულ იჯარად – 5 მუხლი. ამის გარდა, კოდექსის მე-17 მუხლი, რომელიც აგრარული მეურნეობის სტრუქტურათა კონტროლს ეძღვნება, პირდაპირ ან ირიბად ეხება მოიჯარეებს; კოდექსს თან ერთვის 1958 წლის დეკრეტი სასოფლო-სამეურნეო იჯარის პარიტეტული სასამართლოების შესახებ, რომელიც 33 მუხლს მოიცავს.

მიწის რეფორმის ხასიათს ბევრად განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების და აქედან გამომდინარე სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებები. ამდენად, მიწის რეფორმა ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო საკითხია საბაზრო ეკონომიკის ფორმირების გზაზე. საკითხის შესწავლით ირკვევა, რომ ბევრი რაიონის მსგავსად, გორის რაიონის სოფლის მცხოვრებლები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების პრივატიზებას ამ ფორმით მხარს არ უჭერენ. ჯერ ერთი, რაიონი მცირემიწიანია და მიწის სარეზერვო ფონდი არ გააჩნია. მეორეც, კანონი უპირატესობას მოიჯარეებს ანიჭებს, ხოლო თუ ამ ადამიანების ვინაობით უფრო ღრმად დავინტერესდებით, აღმოჩნდება, რომ მთელი მიწის ფართობები ორი-სამი კაცის ხელშია, ვინც ადრე სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ პირებად ით-

ვლებოდა. მოგვიანებით, ამ ადამიანებმა შპს-ები შექმნეს და კორუფციული გარიგებების ხარჯზე მიწები იჯარით თავად აიღეს. ახლა გლეხები ითხოვენ, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზებისას უპირატესობა სოფლის მკვიდრ მოსახლეობას მიენიჭოს. აღნიშნული კანონი არ ითვალისწინებს ძველი საიჯარო ხელშეკრულებების გადახედვას. არის აზრი, რომ მიწის პრივატიზება სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას შეუწყობს ხელს; საინტერესოა, როგორ უნდა განვითარდეს სოფელი, როდესაც მიწის სარეზერვო ფონდი არ არსებობს, როდესაც სოფელში ახალი კომლი იქმნება, შესაბამისად მას ახალი მიწის ნაკვეთი სჭირდება. თუ ფიქრობენ, რომ ასობით ჰექტარი მიწის მესაკუთრე მოწყალებას გაიღებს და საკუთარი მიწის ფართობს დაა-ქუცმაცებს, ძალიან ცდებიან, როდესაც ჯერ კიდევ არ ვიცით როგორ მოხდება ჩვენი ქვეყნის სასაზღვრო ზოლში არსებული მიწების პრივა-ტიზება. სასაზღვრო ზოლი თუ გაიყიდება, კერძო მესაკუთრე ქვეყანას უკეთ როგორ დაიცავს?

ვიზიარებთ იმ აზრს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწა სოფელს იჯარით მივცეთ და სახელმწიფოსთან ის იყოს ანგარიშვალდებული. ამით სოფელს საკუთარი ფინანსები გაუჩნდება, რითაც თავად შეაკეთებს ხიდსაც, გზასაც და ბოგირსაც [5]. ამ საქმეში წაგვადგებოდა ისრაელის გამოცდილება. ქვეყანა, რომელსაც ნიადაგის მაგივრად ქვიშა აქვს, ყოველწლიურად ექსპორტზე მილიარდობით ტონა სოფლის მეურნეობის პროდუქციას უშვებს. მხოლოდ გორის რაიონში ყოველწლიურად 100 ატასი ტონა ხილი მოდის, მაგრამ იმის გამო, რომ ფაქტობრივად არ არის მოსავლის დიდი ნაწილის რეალიზაციისა და გადამუშავების შესაძლებლობა, მთელი წლის ნაშრომი იკარგება. ამიტომ სახელმწიფომ თავიდან კი არ უნდა მოიცილოს სასოფლო-სამეურნეო მიწები, არამედ სუბსიდირება უნდა მოახდინოს ამ სექტორში. აშშ-ის ვერც ერთი წლის ბიუჯეტს ვერ ნახავთ, სადაც ფერმერებისათვის მნიშვნელოვანი დახმარება არ იყოს გამოყოფილი და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, მსოფლიოს ყველა კუთხეში და ყველა დროში არსებობს ეკომიგრანტების პრობლემა. წელს ვნახეთ, რომ სტიქიამ არც ჩვენი ქვეყანა დაინდო. საინტერესოა, საჭიროების შემთხვევაში სად გამონახავს სახელმწიფო ეკომიგრანტებისათვის ახალ ტერიტორიებს, თუ მის მფლობელობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწებს მთლიანად შეელევა?!

ამრიგად, საადგილმამულო ურთიერთობათა რეგულირება და მათი შემდგომი სრულყოფის გზების ძიება დღეს უდიდეს მნიშვნელობას იძენს. ისინი მოიცავს მიწის ახალი კანონმდებლობის შემუშავებას, მიწის ინვენტარიზაციას და მიწის კადასტრის მონაცემების სრულყოფას, მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმებისათვის მიწაზე იურიდიული უფლების მინიჭებას, მიწის ბაზრის შექმნას, სოფლის მოსახლეობისათვის სოციალური განვითარების გარანტიების ჩამოყალიბებას და ა.შ ყოველივე ამის განხორციელება-გადაწყვეტის საფუძველია მიწაზე საკუთრების პლურალიზმის აღიარება, მიწის ბაზრის განვითარება და მიწაზე მოწყობილ საქონელმწარმოებლებს შორის კონკურენცია: თუ ასე არ მოხდა, მაშინ საადგილმამულო ურთიერთობების შესახებ ლაპარაკი შეუძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ლაჭყეპიანი ტ., მენთეშაშვილი ი., ფეიქრიშვილი მ., კაკულია ი.** აგრარული რეფორმა და სასურსათო უსაფრთხოება. აგრარული მეცნიერების პრობლემები, სამეცნიერო შრომების კრებული XXX. თბილისი, გვ. 183, 2005.
2. საქართველოს კანონი "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ", საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №42, გვ. 5, 2005.
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბილისი, გვ. 219, 2005.
4. **ქავთარაძე თ.** აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო, "მეცნიერება", თბილისი, გვ. 35, 2003.
5. **ტუხიაშვილი ე., კაციაშვილი თ.** სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზება ოქტომბრიდან დაიწყება, გაზ. "კვირის პალიტრა", 19-25 სექტემბერი, 2005.

Kavtaradze Tengiz

LAND PRIVATIZATION AND LAND MARKET DEVELOPMENT IN GEORGIA

SUMMARY

Agrarian reform begun in Georgia has hastened the process of privatization of various forms of property and economy in the country, the allotment of additional plots of land for personal use, gardening.

During intensive use of land it is necessary to think not only what lands are privatized and how much of them are used spatially, but how to increase their productivity. This will be able owing to land market formation.

What are the conditions for land market formation? When concentrating our attention upon the law on state agricultural land privatization we consider that for the authors of this law principle source of land market formation is only the buying and selling of land. Land market identification with buying and selling of land is gross error .

Land market formation is a result of carried out complex measures. It begins when the net of commercial banks in the country become able to grant loans to farmhouses for about 20-25 years.

ნანული არევაძე

საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების
განვითარების ძირითადი მიმართულებები

საერთაშორისო ეკონომიკურ-ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა ნებისმიერი ქვეყნის არსებობის აუცილებელი პირობაა. ეს აუცილებლობა ეკონომიკური მიზანშეწონილობით არის ნაკარნახევი და ძირითადად საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ცნობილ თეორიებს (აბსოლუტური უპირატესობის, შეფარდებითი უპირატესობის, წარმოების ფაქტორების თანაფარდობის შესახებ და სხვ.) ეფუძნება. დღეს ეკონომიკურად თვით ყველაზე განვითარებულ ქვეყანასაც კი არ შეუძლია თავისი საწარმოო თუ სამომხმარებლო მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება მარტოოდენ საკუთარი ბუნებრივი თუ საწარმოო შესაძლებლობებით. ამასთან, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, ერთი მხრივ, ეროვნული შემოსავლის ფორმირების მნიშვნელოვანი წყაროა, მეორე მხრივ, ეკონომიკის სტრუქტურისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების შესაძლებლობების რაციონალური გამოყენების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ქვეშ იგულისხმება ურთიერთობების განსაკუთრებული სფერო, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის მყარდება და მოიცავს: საგარეო ვაჭრობას, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობას, სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციას, ტექნოლოგიების საერთაშორისო გადაცემას და საერთაშორისო სავალუტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობებს. აქედან საქართველოსთვის ყველაზე დამახასიათებელი და მნიშვნელოვანია პირველი სამი მიმართულება.

საქართველოს ეკონომიკის განვითარება კრიზისამდელ პერიოდში მთლიანად ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთიანი სახალხო მეურნეობის ინტერესებს იყო დაქვემდებარებული, რამაც განაპირობა ეკონომიკის დეფორმირებული სტრუქტურა, ხოლო რამდენადაც წარმოება და საგარეო ვაჭრობა მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებულნი, შედეგად მივიღეთ საგარეო სავაჭრო ბრუნვის ასევე დეფორმირებული სტრუქტურა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო:

– უპირატესი სავაჭრო კავშირები ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან და განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციასთან (ყოფილ საბჭოთა კავშირზე მოდიოდა მთელი საქონელბრუნვის 85–88%, მათ შორის შემოზიდვის 78–88% და გაზიდვის 90–94%);

– გაზიდული პროდუქციის ძირითადად მონოკულტურული ხასიათი, რამდენადაც მის სტრუქტურაში უპირატესი ხვედრითი წილით მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქცია იყო წარმოდგენილი;

– შემოზიდული პროდუქციის ძირითადად სამომხმარებლო ხასიათი, რამდენადაც მის სტრუქტურაში ასევე უპირატესი ხვედრითი წილი მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციას ეკავა;

– ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის შედარებით დაბალი კონკურენტუნარიანობა;

– საქართველოს სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდო;

– ამავე დროს, სავაჭრო ბალანსის დიდი დეფიციტი საბჭოთა კავშირის გარეთ მდებარე ქვეყნებთან, როდესაც იმპორტი ამ ქვეყნებიდან ექსპორტს დაახლოებით 8,5-ჯერ აღემატებოდა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო, სრულიად ახალ სიტუაციაში აღმოჩნდა, რამდენადაც მან სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო, ნაწილობრივ დაკარგა ძველი ბაზრები. ამიტომ ამჟამად მისი საგარეო ვაჭრობისათვის დამახასიათებელია:

– იმპორტის ზრდასთან შედარებით ექსპორტის ზრდის ტემპების მნიშვნელოვანი ჩამორჩენა, კერძოდ, იმპორტის 5,2-ჯერ ზრდის პირობებში, 2000–2006 წლებში, ექსპორტის მხოლოდ 3,1-ჯერადი ზრდა (ზოგიერთი ავტორი იმპორტის 7-ჯერად ზრდასაც ასახელებს);

– მთლიან ექსპორტში დსთ-ს ფარგლებს გარეთ ქვეყნების ხვედრითი წილის ზრდა (1987 წლის 7%-დან 2006 წლის 60%-მდე);

– საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რაოდენობრივი ზრდა (1995 წლის 68 ქვეყნიდან 117-მდე ქვეყანაში 2007 წ.), მაგრამ ეს ზრდა ეხება საქართველოში თავისი პროდუქციის მხოლოდ გამსაღებელ ქვეყნებს;

– ახალი ბაზრების აქტიური ძიება, რუსეთის მიერ გამოცხადებული ცალმხრივი ემბარგოს გამო;

– სავაჭრო ბალანსის მკვეთრად უარყოფითი სალდო.

ამჟამად საქართველოსთვის ძირითად მიზნად იმ გზების მოძიება რჩება, რომელიც გააფართოებს ექსპორტს და სრულყოფს მის სტრუქტურას. ამისათვის კი აუცილებლად მიგვაჩნია ადგილობრივი კონკუ-

რენტუნარიანი წარმოების, განსაკუთრებით მეცნიერებატევადი დარგების განვითარება, რაშიც არსებითი წვლილი მეცნიერებამ უნდა შეიტანოს.

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტის აღმოფხვრისა და ქართული პროდუქციის გასაღების ახალი ბაზრების მოძიებისათვის საჭიროდ ვთვლით სახელმწიფოს მიერ რიგი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების გატარებას.

ახლა საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი მიმართულებები, საგარეო ვაჭრობასთან ერთად, სამუშაო ძალის მიგრაცია და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა გახდა.

სამუშაო ძალის მასიური გადაადგილება, დიდ მანძილზე და ხანგრძლივი დროით, კაცობრიობის წარსული და თანამედროვე ისტორიის უცილობელი ფაქტია.

ითვლება, რომ მიგრაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა გასულ საუკუნეში და ამ საუკუნის დასაწყისში, გამოწვეული იყო ადამიანების მისწრაფებით – თავი აერიდებინათ რელიგიური და სხვა სახის რეპრესიებისათვის სამშობლოში; თუმცა სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მოტივირებული იყო სურვილით, საზღვარგარეთ შრომაზე მაღალი გასამრჯელო მიეღოთ.

სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის მიზეზები შეიძლება იყოს როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური ხასიათის, მაგალითად, ბუნებრივი კატაკლიზმები, ომები, ქვეყნების დაშლა და გაერთიანება, ეკოლოგიური პრობლემები, პირადული ხასიათის პრობლემები და მრავალი სხვა, რომელთაც თითქმის ერთი და იგივე ეკონომიკური დანახარჯები აქვთ [3, გვ. 155-157].

კავკასიის რეგიონში მიგრაციის პირველი ტალღა საბჭოური სისტემის ნგრევის შემდეგ აგორდა, როცა ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მოძრაობას თავიანთი ისტორიული სამშობლოს მიმართულებით (ბერძნები, ებრაელები, სლავები). შემდეგ კი, მომდევნო მიგრაცია, ძირითადად, სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა განაპირობა, მაშინ, როცა, კავკასიის რეგიონში სამუშაო ძალის აღნიშნული კატეგორია შეიძლებოდა ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი გამხდარიყო, როგორც ეს მოხდა ბევრ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში.

2004–2006 წლებში საქართველოდან ემიგრაციაში წავიდა დაახლოებით 500 ათასი კაცი, მათ შორის რუსეთში ემიგრირებულია 39%, მაშინ, როცა, ამავე პერიოდში, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან რუსეთში ჩავიდა ემიგრირებულთა საერთო რაოდენობის 90,17 და 80,07%. უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანიდან მიგრანტთა საერთო რაოდენობა ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე ნაკლებია როგორც რაოდენობის, ისე საემიგრაციო ქვეყნების მიხედვით. საინტერესოა ისიც, რომ სომხებისა და აზერბაიჯანელებისათვის საემიგრაციო ქვეყნების სია ძალზე მოკლეა. საქართველოში სულ სხვა სურათია, აქ საემიგრაციო ქვეყნების რაოდენობა ბევრად მეტიცაა და განსხვავებულიც [4].

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა, რომელიც ამჟამად მსოფლიო მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი პირობა და თავისებურება გახდა. ახლა საქონლის გაზიდვაზე უპირატესია კაპიტალის გატანა და მან საქონლის გაზიდვას რამდენჯერმე გადააჭარბა. გლობალიზაციის პროცესის გაღრმავების კვალობაზე, კაპიტალის მოძრაობის ფორმები სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება, თუმცა, მათ შორის უპირატესია პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციები და მისი განაწილება ქვეყნებისა და დარგების მიხედვით, რომელიც თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკის სტრუქტურისა და მსოფლიო მეურნეობის სუბიექტებს შორის დამოკიდებულების ამსახველია. პირდაპირი ინვესტიციებით მოწინავეთა რიგებში მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები არიან და ისინი კაპიტალის უმსხვილეს ექსპორტიორებად გვევლინებიან. თუმცა შესამჩნევი ხდება განვითარებადი ქვეყნების ხვედრითი წილის ზრდაც (ყოფილი სოციალისტური ქვეყნების გარდა) [1, გვ. 172-178].

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი 2003 წელს იყო, როცა მან წინა წლის მიმართ 206% შეადგინა. 2006 წ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1,02 მილიარდ დოლარს გადააჭარბა [2, გვ. 34]. ჩვენი მოქალაქეების მიერ უცხოეთში აქტივების შეძენაზე გაწეული ხარჯები ჯერჯერობით საკმაოდ მოკრძალებულია. სავარაუდოა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ქვეყნის იმიჯისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების პირობებში, თანდათან გაიზრდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **კვარაცხელია დ.** კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ძირითადი ტენდენციები. ჟ. "სოციალური ეკონომიკა", №2, 2007.

2. **საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიში 2006.**

3. **Овчинников Г. П.** Международная экономика, 3-е издание, Санкт-Петербург, 2000.

4. **Caucasus Research Resource Centers.** http:// www.crrceeuters.org.

Arevadze Nanuli

MAIN TRENDS AND TENDENCIES OF FOREIGN-ECONOMIC REALETIONS OF GEORGIA

SUMMARY

The development of foreign- economic relations of Georgia mainly is connected with foreign trade, international migration of labor force and international turnover of capital, particularly direct and portfolio investments. The work studies the tendencies characteristic to them and are given some considerations to improve current situation.

ნანა ბიბილაშვილი

დასაქმების ძირითადი პრინციპები ეკონომიკის კეინსიანურ თეორიაში

დასაქმებისა და უმუშევრობის თანამედროვე პრობლემური საკითხების სრულყოფილად შესწავლა და სწორად გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული მათი კლასიკური წანამძღვრების ცოდნასა და გამოყენებაზე. დასაქმებისა და უმუშევრობის კონცეპტუალური საკითხების კლასიკური წანამძღვრები სხვადასხვა ეკონომიკურ თეორიაშია ასახული.

ამჟამად, დასაქმებისა და უმუშევრობის თეორიებს შორის პრაქტიკულად ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად და საყოველთაოდ აღიარებულად ითვლება **კეინსიანური თეორია**, რომელიც შეიმუშავა ჯ. კეინსმა. სწორედ ჯ. კეინსი – გამოჩენილი თეორეტიკოსი, ითვლება რეგულირებადი კაპიტალიზმისა და დასაქმების ეკონომიკური თეორიის შემქმნელად. მისი ძირითადი ნაშრომია 1936 წელს გამოცემული წიგნი სახელწოდებით "დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია", რომელმაც რევოლუციური გადატრიალება მოახდინა ეკონომიკის ანალიზში. ამ ნაშრომში, პირველ რიგში, დასმული და შესწავლილია დასაქმების პრობლემები. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ იგი ამ ნაშრომში ანალიზის საბოლოო მიზნად იმის დადგენას თვლიდა, თუ რით განისაზღვრება დასაქმების დონე. მით უფრო, რომ წიგნი დაიწერა მსოფლიოსათვის ყველაზე დამანგრეველ კრიზისულ წლებში, როცა უმუშევრობის მანამდე არარსებულმა დონემ და მასშტაბებმა მოიცვა მსოფლიოს მთავარი კაპიტალისტური ქვეყნები. ასე, მაგალითად, აშშ-ში იმ დროს (კერძოდ, 1933 წელს) უმუშევრობის სტატისტიკურად რეგისტრირებულმა დონემ 25%-ს მიაღწია. უმუშევრობის დონისა და მასშტაბების ამგვარი ცვლილებების ახსნა შეუძლებელი გახდა კლასიკური თეორიის დებულებებით, ამიტომ ჯ. კეინსმა თავიდანვე მიზნად დაისახა დასაქმებისა და უმუშევრობის მაშინდელი მდგომარეობის შეფასება.

ჯ. კეინსმა თავისი თეორიის შექმნა კლასიკოსების შეხედულებების კრიტიკით დაიწყო. მან თავისი დასკვნები და არგუმენტები კლასიკოსთა თეორიის დასკვნებსა და არგუმენტებს დაუპირისპირა. ამიტომ თავის ნაშრომში [6] საკმაოდ დიდი ყურადღება დაუთმო დასაქმების კლასიკური თეორიისა და მისი ტიპური წარმომადგენლის ა. პიგუს წიგნის [7] ანალიზსა და კრიტიკას.

კეინსი, კლასიკოსების აზრის საწინააღმდეგოდ, თვლიდა, რომ საბაზრო კაპიტალისტურ მეურნეობაში არ არსებობს სრული დასაქმების უზრუნველმყოფი მექანიზმი. იგი ამტკიცებდა, რომ უმუშევრობისა და ინფლაციის მიზეზები დაკავშირებულია არა გარე ფაქტორებთან, არამედ თვით ეკონომიკურ სისტემასთან, რომელიც არ წარმოადგენს და არც შეიძლება გახდეს თვითრეგულირებადი [6].

ცნობილია, რომ კეინსიანელები უარყოფდნენ დანაზოგებისა და ინვესტიციების რეგულირებას პროცენტის განაკვეთის მეშვეობით. ამის მთავარ მიზეზად ისინი იმას ასახელებენ, რომ დაზოგვისა და ინვესტირების პროცესთა სუბიექტები (ძირითადად იგულისხმება საოჯახო მეურნეობები და მეწარმეები) მიეკუთვნებიან ერთმანეთისაგან განსხვავებულ ჯგუფებს. დანაზოგები და მათი დონე, კეინსიანელების აზრით, დამოკიდებულია არა იმდენად პროცენტის ნორმაზე, რამდენადაც დაზოგვების აუცილებლობაზე. კეინსიანელები ამტკიცებენ, რომ დანაზოგები განკუთვნილია ისეთი მსხვილი ობიექტების შესაძენად, როგორიცაა: ბინა, სახლი, ავტომობილი, ან ავადმყოფობის, უმუშევრობის დროს გამოსაყენებელ საშუალებად, ან კიდევ სიბერეში მოსალოდნელი ფინანსური გაჭირვებების დასაძლევად. ამიტომ ამ დანაზოგებზე პროცენტის განაკვეთი, მათი აზრით, ვერ ახდენს და არც შეუძლია მოახდინოს არსებითი გავლენა.

კეინსიანელები დაუსაბუთებლად თვლიან, აგრეთვე, კლასკოსების დასკვნებს დანაზოგებისა და ინვესტიციების პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების შესახებ. ისინი მიიჩნევენ, რომ დანაზოგები ამცირებს მოხმარებას, ე.ი. ავიწროებს საქონლის ბაზარს. ამიტომ ამ დროს ნაკლებად არის მოსალოდნელი, მწარმოებლებმა გაზარდონ ინვესტიციები და გააფართოონ თავიანთი საწარმოო სიმძლავრეები. ინვესტიციებიც არ განისაზღვრება მხოლოდ პროცენტის განაკვეთით, რადგან მეწარმეებისათვის მნიშვნელოვანია არა პროცენტის განაკვეთი, არამედ წმინდა მოგება.

ამგვარად, კეინსიანელებს მიაჩნიათ, რომ დაზოგვისა და ინვესტირების მასშტაბები არ ქმნის წონასწორობას, ამიტომ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს წარმოების საერთო მოცულობისა და დასაქმების პროცესთა მნიშვნელოვან მერყეობას. ისინი, აგრეთვე, უარყოფენ ხელფასისა და ფასების ელასტიკურობას. ხელფასი ძნელად იცვლება, განსაკუთრებით შემცირების მიმართულებით. ხელფასი და ფასები რომ შემცირდეს კიდეც, საეჭვოა, მან გავლენა მოახდინოს უმუშევრობის შემცირებაზე. ხელფასის შემცირებას მივყავართ უფრო დაბალ შემოსავლებამდე, მსყიდველობითი უნარის შემცირებასთან და სამომხმარებლო ბაზრის შევიწროებასთან, რაც, ბუნებრივია, არ უწყობს ხელს წარმოების განვითარებას და დასაქმების პროცესთა სრულყოფას (ამის ჭეშმარიტება ნათლად ჩანს საქართველოს მაგალითზე, სადაც რეალური ხელფასის მკვეთრმა დაცემამ გამოიწვია სამომხმარებლო საქონლის ბაზრის არსებითი შემცირება).

ჯ. კეინსის თეორიის საფუძველს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ეფექტიანი მოთხოვნის პრინციპი. მისი აზრით, შრომის დანახარჯების მოცულობა **(L_s)**, რომელზეც მეწარმეები ადგენენ მოთხოვნას, დამოკიდებულია საზოგადოების მოხმარებისა **(D_1)** და ახალი ინვესტიციებისათვის **(D_2)** განკუთვნილ მოსალოდნელ ხარჯებზე. კეინსი მათ ერთობლიობას **(D_1+D_2)** ეფექტიანი მოთხოვნის სიდიდეს უწოდებს და თვლის, რომ დასაქმება არის ეფექტიანი მოთხოვნის ფუნქცია.

საბაზრო კაპიტალისტური აღწარმოების საკვანძო პრობლემას, მისი აზრით, წარმოადგენს ბაზრის ტევადობა, მისი გაფართოების შესაძლებლობა საქონლის მიწოდების გაზრდის შესაბამისად. ჯ. კეინსი, უარყოფდა რა კლასიკოსი ეკონომისტების შეხედულებებს, ხაზს უსვამდა და წინა პლანზე აყენებდა ეფექტიანი მოთხოვნის საერთო ზომის გადიდების აუცილებლობას. მისი აზრით, მხოლოდ ამ გზით შეიძლება წარმოების მოცულობისა და ერის კეთილდღეობის გაზრდა. ეფექტიანი მოთხოვნის უკმარისობა კი იწვევს წარმოებრივი სიმძლავრეების არასრულ დატვირთვას, წარმოების ზრდის დაბალ ტემპებს, კრიზისულ მოვლენებს და უმუშევრობას.

კეინსიანელების აზრით, სახელმწიფომ ზეგავლენა უნდა მოახდინოს მოთხოვნის საერთო სიდიდეზე. მოთხოვნის მოცულობის გაფართოებით მას შეუძლია ხელი შეუწყოს უმუშევრობის შემცირებას.

ჯ. კეინსი, ანალიზის შედეგად, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მის საზოგადოებას, ანუ საბაზრო კაპიტალისტურ მეურნეობას, არ გააჩნია ეკონომიკაში წონასწორობის ავტომატური აღდგენის მექანიზმი. ამიტომ, აუცილებელია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება (სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი მოთხოვნის საჭირო მოცულობის მიღწევა და შენარჩუნება).

ჯ. კეინსმა, პირველად ეკონომიკურ თეორიაში, დაასაბუთა საბაზრო კაპიტალისტური მეურნეობის რეგულირების აუცილებლობა, განსაზღვრა და შეიმუშავა მისი ძირითადი მიმართულებები და მექანიზმი, რომლებიც თავის დიდ მნიშვნელობას დღესაც ინარჩუნებს. ასე, მაგალითად, მისი რეკომენდაციები, რომლებიც გულისხმობდა, რომ მთავრობამ წარმოების სტიმულირებისა და უმუშევართა სამუშაო ადგილებზე დასაბრუნებლად უნდა გაზარდოს სახელმწიფო ხარჯები (თუნდაც ბიუჯეტის დეფიციტის გზით), თავის დროზე ყველას აკვირვებდა, მაგრამ ის, მოგვიანებით, წარმატებით გამოიყენა ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ფ. რუზველტმა თავისი ქვეყნის ღრმა კრიზისიდან გამოყვანის მიზნით, არა მარტო თეორიული ანალიზის, არამედ პრაქტიკული ქმედებების სფეროში.

კეინსიანელები ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პროცესში საკრედიტო-ფულად პოლიტიკას მეორეხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ ის მხოლოდ კავშირების რთული რგოლების გავლის შემდეგ ხორციელდება და არსებით გავლენას ვერ ახდენს ინვესტირების პროცესზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს ჯ. კეინსის მულტიპლიკატორის თეორიას, რომლიდანაც გამომდინარეობს შემდეგი საყურადღებო დასკვნა: როცა ინვესტიციები ზრდის დასაქმებას იმ დარგებში, საითკენაც ისინია მიმართული, იმავდროულად (მულტიპლიკაციის ძალით), ახდენს მასტიმულირებელ გავლენას სხვა დარგებზეც. ეს კი საერთო მთლიანი დასაქმების გადიდებას იწვევს რაღაც სიდიდით, რომელიც ბევრ კონკრეტულ პირობაზეა დამოკიდებული.

ჯ. კეინსის დასკვნებიდან დღევანდელი საქართველოსათვის, ჩვენი აზრით, მეტად საყურადღებოა მისი დებულება დასაქმების ხელფასზე დამოკიდებულების შესახებ. ცნობილია, რომ ის ამ მიმართულებით ორ საკითხს აყენებს: 1. იწვევს თუ არა ხელფასის ფულადი ფონდის შემცირება დასაქმების უშუალო გადიდებას? და 2. ახდენს თუ არა გავლე-

ნას ხელფასის ფულადი ფონდის შემცირება დასაქმების დონეზე ირიბი გზებით? კეინსი ორივე კითხვაზე პასუხობს უარყოფითად. უფრო მეტიც, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფაქტობრივი დასაქმების შენარჩუნება სრული დასაქმების ამსახველი სიდიდის მიმდებარე საზღვრებში, უფრო ადვილია მაშინ, როცა მომავალში მოსალოდნელია ხელფასის ზრდა, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა მოსალოდნელია მისი შემცირება [6].

ჯ. კეინსი, კლასიკური თეორიისგან განსხვავებით, გამოყოფდა უმუშევრობის სამ ძირითად ფორმას: ფრიქციულს, ნებაყოფლობითსა და იძულებითს.

ფრიქციულად იგი თვლიდა ისეთ უმუშევრობას, რომელიც წარმოადგენს ერთი საწარმოდან მეორეში გადასვლასთან დაკავშირებულ სამუშაოს დროებით დაკარგვის პროცესს.

ნებაყოფლობითი უმუშევრობა კი, მისი აზრით, უკავშირდება თვით მუშაკების მიერ სამუშაოს დაწუნების პროცესს დაბალი ანაზღაურების ან სხვა პირადი მიზეზების გამო.

იძულებითი უმუშევრობის ქვეშ კი გულისხმობს ისეთ ფორმას, როცა მუშაკთა (რომლებიც მზად არიან იმუშაონ არსებულ ფულად ანაზღაურებაზე) შრომის ერთობლივი მიწოდება აჭარბებს სამუშაო ძალაზე არსებულ მოთხოვნას.

როდესაც ჯ. კეინსი დასაქმების საკითხს მუშაკებისა და მეწარმეების ინტერესების საერთო პოზიციიდან იხილავდა, თვლიდა, რომ დასაქმების დონეს ადგენენ მეწარმეები, იმ მისწრაფების გავლენით, რომ მან მაქსიმუმამდე უნდა მიიყვანოს საკუთარი მოგების ახლანდელი და მომავალი მაჩვენებლები. რა თქმა უნდა, მეწარმეთა მოგების მაქსიმიზაციის და დასაქმების დონის ამაღლების პირობები არ არის თანმთხვევადი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯ. კეინსის მექანიზმი იმის საშუალებას იძლევა, რომ, ეფექტიანი მოთხოვნის გადიდების საფუძველზე, უმუშევრობის დონე ნორმალურ და მეწარმეთა მოგების მაქსიმიზაციისათვის მისაღებ დონეზე დაიყვანოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **კეინსი ჯ.** დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია. ქუთაისი, 1995.

2. **კემპბელ რ. მაკკონელი, სტენლი ლ. ბრიუ.** ეკონომიკსი. პრინციპები, პრობლემები, პოლიტიკა. ტ. 2, თბილისი, "საქპროფგამი", 1993.

3. **სამუელსონი პ. ა., ნორდჰაუსი ვ. დ.** ეკონომიკა, ტ. 4, თბილისი, 2000.

4. **სილაგაძე ა.** ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები. თბილისი, 2001.

5. **წერეთელი გ., ბიბილაშვილი ნ.** პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები (საქართველოს მაგალითზე). თბილისი, "მეცნიერება", 2004.

6. **Кейнс Дж. М.** Общая теория занятости, процента и денег. Москва, "Гелиос АРВ", 1999 (пер. с англ.).

7. **Пигу А.** Теория безработицы. Москва, 1994.

Bibilashvili Nana

MAIN PRINCIPLES OF EMPLOYMENT IN KEINESIAN THEORY OF ECONOMY

SUMMARY

Thorough study and correct solution of current problems of employment and unemployment greatly depend on the knowledge and use of their classical prerequisites. Classical prerequisites of conceptual issues of employment and unemployment ate reflected in various economic theories.

The article discusses practically the most significant and recognized among employment and unemployment theories - Keinesian theory, elaborated by J. Keines. Keines and its successors criticized the views of classics and considered, that there did not exist the mechanism providing full employment in capitalist economy; that unemployment and inflation causes were connected with economic system itself which did not represent and could not become self regulated.

თეა ლაზარაშვილი

ინფლაციური ტარგეტირება

მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე პრაქტიკაში აპრობირებულმა ანტიინფლაციურმა ღონისძიებებმა ყოველთვის ვერ გამოიღო სასურველი შედეგები, ამიტომ საჭირო გახდა ინფლაციასთან ბრძოლის ახალი ფორმებისა და მეთოდების გამოყენება. აქედან გამომდინარე, გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან მოყოლებული, მსოფლიოს მთელმა რიგმა ქვეყნებმა უარი თქვეს ტრადიციულ მონეტარულ პოლიტიკაზე, რომელიც ფულადი აგრეგატებისა და გაცვლითი კურსის მანევრირების მეთოდს ემყარებოდა და ორიენტირი აიღეს ინფლაციის რეგულირებაზე. ასეთ მიდგომას ეწოდა ინფლაციური ტარგეტირება, რომლის არსი ინფლაციის გარკვეულ მიზნობრივ მნიშვნელობაზე ორიენტირებაა მომავლისათვის.

„ტარგეტირების" ტერმინის ირგვლივ მრავალი დისკუსიაა გამართული, რომლებიც გამოწვეულია მისი ზუსტი განსაზღვრის არარსებობის გამო.

ინფლაციური ტარგეტირების, ისევე, როგორც მთლიანად ფულად-საკრედიტო პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, ჩამოაყალიბა ეკონომიკაში პირველმა ნობელის პრემიის ლაურეატმა იან ტინბერგენმა. მისი დამსახურებებიდან ერთ-ერთი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მოდელის ამოცანებისა და პრინციპების შემუშავებაა. იან ტინბერგენმა პირველად შემოიღო ცნება "ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზანი", რომლის ქვეშაც გულისხმობდა ფიქსირებულ რაოდენობრივ მაჩვენებელს, რომლის მიღწევასაც უნდა ესწრაფოდეს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ინსტრუმენტების ანდა ინსტრუმენტული ცვლადების მნიშვნელობის ამორჩევით. ტინბერგენის კონცეფციის თანახმად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ხასიათდება მიზნობრივი ცვლადების იერარქიით: საბოლოო მიზანი – შუალედური მიზანი – ტაქტიკური მიზანი – ცენტრალური ბანკის პოლიტიკის ინსტრუმენტები [2, გვ. 7].

უმეტესობა ქვეყნებში ეფექტური ფულად-საკრედიტო პრობლემის გადაჭრის გზები მოიძებნა ინფლაციურ ტარგეტირებაში. მისი დახმარებით ცენტრალურ ბანკებს შესაძლებლობა მიეცათ, წარმატებით შეემცირებინათ ინფლაცია და ინფლაციური მოლოდინი მოკლე პერიოდში, გაეზარდათ ეკონომიკური ზრდის ტემპი და აგრეთვე აემაღლებინათ ნდობა.

ტარგეტირების ქვეშ იგულისხმება ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენება მიზნობრივი ცვლადის რაოდენობრივი ორიენტირების მისაღწევად, რომლებიც შედის რეგულირების ორგანოს პასუხისმგებლობაში. იმის გამო, რომ ცენტრალურ ბანკს არ შეუძლია მიაღწიოს საბოლოო მიზანს პირდაპირ, იგი მოქმედებს არაპირდაპირ, შუალედური მიზნის ტარგეტირების გზით. საერთაშორისო პრაქტიკაში ყველაზე მეტად განვითარდა ტარგეტირების რამდენიმე ვარიანტი:

– ინფლაციის ტარგეტირება: ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შუალედური მიზანი ხშირ შემთხვევაში ემთხვევა საბოლოო მიზანს და მისი სახით გამოდის ინფლაციის პროგნოზი;

– სავალუტო კურსის ტარგეტირება: შუალედურ მიზნად გამოდის ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი;

– ფულადი ტარგეტირება: შუალედურ მიზანს წარმოადგენს ფულად-საკრედიტო აგრეგატები;

– ნომინალური შემოსავლის ტარგეტირება: შუალედურ მიზანს წარმოადგენს ნომინალური ეშპ-ის ზრდა [2, გვ. 10].

პირველ რიგში აუცილებელია აღვნიშნოთ, როგორ თანაფარდობაშია ერთმანეთთან ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მთლიანობაში და კერძოდ ტარგეტირების პოლიტიკა. იმისდა მიხედვით, თუ ტარგეტირება რომელი ცვლადით ხორციელდება, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შეიძლება ფუნქციონირებდეს ამა თუ იმ რეჟიმში.

ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტარიებში მთავარი ადგილი უკავია ოპერაციულ (ტაქტიკურ) მიზნებს. რადგან ცენტრალურ ბანკს გააჩნია მონოპოლიური უფლება ფულის ემისიაზე, მას შეუძლია არეგულიროს მოკლევადიანი პროცენტული განაკვეთები, ფულადი ბაზარი ანდა მისი კომპონენტები, როგორიცაა საბანკო რეზერვები, წმინდა და უცხოური აქტივები, შიდა კრედიტი.

ოპერაციული მიზნები აკავშირებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ცვლადების იერარქიის ორ უახლოეს დონეს: ერთი მხრივ, მას უერთებენ ინდიკატურ ცვლადებს ანდა შუალედურ მიზნებს (სავალუტო კურსი ანდა ფულადი აგრეგატები), ხოლო მეორე მხრივ – ცენტრალური ბანკის ინსტრუმენტებს (სარეზერვო მოთხოვნები, რეფინანსირების განაკვეთი). მოცემული ჯაჭვი სქემატურად გამოსახულია პირველ ნახაზზე.

ოპერაციული მიზნების ამორჩევა ხდება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეჟიმის მიხედვით (ინდიკატური ცვლადების ხასიათით ანდა შუალედური მიზნებით), ხოლო ოპერაციული მიზნები, თავის მხრივ, განსაზღვრავს ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტების გამოყენებას.

იმისდა მიხედვით, თუ რომელ მიზანზე შეაჩერა თავისი არჩევანი ხელისუფლებამ, განისაზღვრება აუცილებელი ინსტრუმენტების ნაკრები.





ნახაზი 1

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციისას ცენტრალურმა ბანკმა შეიძლება მიმართოს საბაზრო რეგულირებას ანდა გამოიყენოს ადმინისტრაციული ზომები. პირველ შემთხვევაში იგი ეყრდნობა ირიბ ინსტრუმენტებს, ხოლო მეორე შემთხვევაში – ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პირდაპირ ინსტრუმენტებს.

პირდაპირ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება საპროცენტო განაკვეთებზე კონტროლი, საკრედიტო ჭერი და პირდაპირი ანდა მიზნობრივი კრედიტები. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არაპირდაპირ ინსტრუმენტებს მიეკუთვნება მოკლევადიანი რეფინანსირების ოპერაციები, ინტერვენციები და სარეზერვო მოთხოვნები.

1980 წლის ბოლოდან მოყოლებული, დაახლოებით ათმა მრეწველობაგანვითარებულმა ქვეყანამ გადაწყვიტა გადასულიყო ინფლაციურ ტარგეტირებაზე. პირველი იყო ახალი ზელანდია, ფინეთი, შვეცია, ავსტრალია და ესპანეთი. 1999 წლიდან ინფლაციურ ტარგეტირებას იყენებს ევროპული ცენტრალური ბანკი.

ინფლაციური ტარგეტირების მიმდევარი ქვეყნების (ახალი ზელანდია, კანადა, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი, შვეცია, ავსტრალია, ესპანეთი, ისრაელი, ჩეხეთი, ნორვეგია და ა.შ.) უპირატესობა მაკროეკონომიკურ სფეროში ნათლად ჩანდა იმ ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებმაც აირჩიეს ფულადი ტარგეტირება. უპირატესობა, რომელიც გააჩნია

ინფლაციურ ტარგეტირებას, აიხსნება მისი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ტრანსმისიური მექანიზმის სპეციფიკურობით. ფულადი მიწოდების ტარგეტირებაში ამოქმედებულია ტრანსმისიის მხოლოდ სამი არხი: საბანკო დაკრედიტების, ფულადი და სავალუტო კურსის არხი. სამივე არხი მოწოდებულია საბანკო სისტემის რეზერვის მოცულობის რეგულირებისათვის, რაც საშუალებას იძლევა, ზემოქმედება მოვახდინოთ ფულად აგრეგატებზე. საბანკო დაკრედიტების არხის არსი ისაა, რომ ცენტრალური ბანკი, როდესაც ის ამცირებს რეზერვების მოცულობას, რომლებიც კომერციული ბანკების განკარგულებაშია, აიძულებს მათ, შეამცირონ კრედიტების მიწოდება. ფულადი არხი შემოთავაზებული იყო მონეტარიზმის მომხრის ა. მელტცერის მიერ 1995 წელს. მისი არსი მონეტარულია იმ გაგებით, რომ ამ დროს ხდება პირდაპირი ეფექტი, რომლითაც ფულის მიწოდება გავლენას ახდენს აქტივების ფასებზე. მონეტარისტულ არხში საპროცენტო განაკვეთი არ თამაშობს განსაკუთრებულ როლს, ცვლილების ფულად-საკრედიტო იმპულსი გადადის ფულადი ბაზის გზით [2, გვ. 16].

ინფლაციური ტარგეტირებისას ამოქმედებულია ტრანსმისიის სხვა არხები: საპროცენტო განაკვეთის პირდაპირი არხი, დაგროვებული ფინანსური აქტივების (კეთილდღეობის), ფინანსური აქსელერატორის, სავალუტო კურსის და ინფლაციური არხი.

ინფლაციური ტარგეტირება დაკავშირებულია ცენტრალური ბანკის საქმიანობასთან და მოიცავს: 1. ინფლაციის მოსალოდნელი დონის პროგნოზირებას; 2. ინფლაციის მიზნობრივი დონის შედარებას პროგნოზულ სიდიდესთან; 3. მათ შორის სხვაობის შემცირების მიზნით, მონეტარული პოლიტიკის გატარებას.

ინფლაციური ტარგეტირება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს: ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის რაოდენობრივი პარამეტრების საჯაროდ გამოცხადებას; ფასების სტაბილურობას, როგორც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიზანს; ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობას ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტარიების შერჩევაში და ხელისუფლების მხრიდან სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების ტარგეტირებისაგან უარის თქმას.

ინფლაციური ტარგეტირება მოიცავს ორ ფაზას: პირველი გულისხმობს ინფლაციის სასურველი დონის მიღწევას; ხოლო მეორე – მიღწეული დონის შენარჩუნებას. ინფლაციური ტარგეტირების დროს

ცენტრალურმა ბანკმა უნდა ახსნას ინფლაციის გეგმიური მაჩვენებლის დადგენის მიზანშეწონილობა, დაასაბუთოს მისი რაოდენობრივი პარამეტრები და გაანგარიშების მეთოდოლოგია, აგრეთვე, საგეგმო მაჩვენებელთა მიღწევის ხერხები.

ინფლაციური ტარგეტირება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ახალი მიმართულებაა და საჭიროებს მისი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფასა და განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **მანაგაძე ი.** ინფლაცია და ანტიინფლაციური პოლიტიკა. თბილისი, 2004.
2. **Моисеев С. Р.** Инфляционное таргетирование. – М., Маркет ДС, 2004 (Академическая серия).
3. **Моисеев С. Р.** Инфляция: современный взгляд на вечную проблему. М., ООО «Маркет ДС Корпорейшен», 2004 (Академическая серия).

Lazarashvili Tea

INFLATION TARGETING

SUMMARY

On modern stage of world economic globalization measures approved in practice do not always give desirable results. So, it became necessary to search and use new forms and methods of struggle against inflation. Thus, beginning from 90-ies of

last century a number of world countries abandoned the regulation of prices or inflation which was later called “inflation targeting”.

In international practice a number of versions of targeting have been widely spread: targeting of inflation, targeting of rate of exchange, money targeting, targeting of nominal income.

In our report we focus our attention on inflation targeting and expedience of its use in Georgia.

თინათინ ჩხეიძე
მამუკა ხუსკივაძე

გარემოს დაცვის ეკონომიკური მექანიზმის საკითხისათვის

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და პლანეტის მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან ერთად გაიზარდა საზოგადოების მოთხოვნა ბუნე-

ბრივ რესურსებზე. სამეურნეო საქმიანობაში ერთვება სულ უფრო მეტი და ახალი ბუნებრივი რესურსი. დღეისათვის საზოგადოებასა და ბუნებრივ გარემოს შორის მიმდინარე ასეთმა მასშტაბურმა ურთიერთქმედებამ განაპირობა ისეთი გლობალური, საერთო საკაცობრიო პრობლემა, როგორიც არის ეკოლოგიური პრობლემა. ეს პრობლემა დაკავშირებულია ადამიანის საცხოვრებელი გარემოს ხარისხის გაუარესებასთან, რაც გამოწვეულია ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის პროცესების სწრაფი განვითარებით. მრეწველობის განვითარებამ და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ გამოიწვია გარემოს ღრმა ცვლილებები. ბიოსფეროში ურთიერთკავშირის გამუდმებული რღვევა მიმდინარეობს. ამის მიზეზი ისაა, რომ გადახნულია ხმელეთის 10% -ზე მეტი, გაჩეხილია ტყეები, შენდება კაშხლები და არხები, ინტენსიურად გამოიყენება სასუქები და შხამქიმიკატები, ფართო მასშტაბით წარმოებს წიაღისეულის მოპოვება და გადამუშავება, ილევა ტრადიციული ენერგეტიკული და სანედლეულო რესურსი, ხდება დემოგრაფიული ზეწოლა ბუნებაზე, ეკოლოგიური ბალანსის დარღვევა და ა.შ.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განუხრელ ზრდასთან ერთად, იზრდება წარმოების შედეგად გამონაყოფი მყარი, თხევადი და გაზისებური ნარჩენების რაოდენობა როგორც წყალსა და ჰაერში, ისე ნიადაგში. ნარჩენების მოსპობა ისეთივე რთული საქმეა, როგორც თვით წარმოების განვითარება. ნარჩენების რაოდენობა იზრდება გამოყენებული რესურსების რაოდენობის შესაბამისად და ის ნარჩენები, რომელსაც ვერ გადაამუშავებს ბუნება, გროვდება და აბინძურებს გარემოს.

ადამიანის სამეურნეო საქმიანობით დაბინძურებულ გარემოს თან მოსდევს უარყოფითი გენეტიკური შედეგი (ბიოსფეროს თვითრეგულირების მოშლა, ცალკეულ ცხოველთა და მცენარეთა სახეობების მოსპობა და სხვ.), თვით ადამიანის გენეტიკური გადაგვარების საშიშროებაც კი.

ეკონომიკის ზრდა-განვითარება მოითხოვს ადეკვატური რაოდენობის ბუნებრივი რესურსების წარმოებაში ჩართვას, რაც, თავის მხრივ, იწვევს ბუნებრივი რესურსების გამოლევას. ეკოლოგიის თანამედროვე სიტუაციის შესწავლა ცხადყოფს, რომ ასე გაგრძელება, ანუ ბუნებაზე სტიქიური ზემოქმედება არ შეიძლება. ასეთ მოქმედებას შეუძლია არა მხოლოდ უდაბნო გადააქციოს ოაზისად, არამედ ყოფილი ოაზისი გადა-

აქციოს უდაბნოდ, რაც ემუქრება ყოველი ცოცხალი ორგანიზმის დედამიწაზე არსებობას.

ბუნებრივი რესურსების გამოლევის და გარემოს დაბინძურების საშიშროებამ განაპირობა საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთქმედების ახალი ფორმის – ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობის მოთხოვნა.

ბუნების დაცვისა და ბუნებათსარგებლობის რეგულირების პრინციპების რეალიზაციას ახდენენ სახელმწიფოს საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თვით მოქალაქეები.

სახელმწიფო დონეზე შემუშავებულ ბუნებისდაცვით ღონისძიებათა შორის ძირითადია ბუნებრივი რესურსების დაცვის ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც მიმართულია ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოს დაცვის სტიმულირებისაკენ. გარემოს დაცვის ეკონომიკური მექანიზმი შეიცავს შვიდ ძირითად მიმართულებას, ესენია:

1. ბუნებრივი რესურსის აღრიცხვა და სოციალურ-ეკონომიკური შეფასება.

ბუნებრივი რესურსების აღრიცხვასა და სოციალურ-ეკონომიკურ შეფასებას აწარმოებს სახელმწიფო სტატისტიკური და საფინანსო ორგანოები, რომლებიც განაზოგადებენ მონაცემებს ბუნებათსარგებლობისა და ბუნებათმოსარგებლეთა შესახებ და განსაზღვრავენ ბუნებისდაცვით ღონისძიებებს.

ბუნებათსარგებლობის ობიექტებზე, მის მდგომარეობაზე, წარმოების სპეციფიკაზე დაკვირვებას, ანუ მონიტორინგს აწარმოებს როგორც სახელმწიფო, ისე რეგიონული და მუნიციპალური სამსახურები. დგება ბუნებრივი რესურსების – მიწის, წყლის, ტყის, წიაღისეულის, ცხოველთა სამყაროს, საგანგებოდ დაცული ობიექტების (ნაკრძალების და ა. შ.) კადასტრები, სადაც აღინიშნება ობიექტის მდგომარეობა (ხარისხი).

ბუნებრივი რესურსების სოციალურ-ეკონომიკური შეფასება კეთდება იმ მიზნით, რომ ვიცოდეთ ადამიანის ხელსაყრელი საცხოვრებელი გარემოს ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფის დონე.

2. ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის გადასახადის დაწესება.

ბუნებრივი რესურსის მოხმარებისთვის გადასახადი დიფერენცირებულია სარგებლობის ხასიათის მიხედვით. ასე, მაგალითად, გადასახადი ბუნებრივი რესურსის ჩვეულებრივად სარგებლობის უფლებისათვის, გადასახადი ლიმიტის ზევით და არარაციონალური მოხმარებისათვის, საფასური ბუნებრივი რესურსის აღწარმოებისა და გარემოს დაბინძურებისაგან დასაცავად.

გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადიც დიფერენცირებულია: გადასახადი ნორმატივის ფარგლებში გადანაყარისათვის, გადასახადი ნორმატივის ზემოთ გადაყრისათვის და ნარჩენების განთავსებისათვის.

სხვადასხვა რეგიონში, კონკრეტული ობიექტის კონკრეტულ გადასახადს აწესებს ადგილობრივი ორგანოები საერთო ნორმატიული აქტების გათვალისწინების საფუძველზე.

3. ბუნებისდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვა და დაფინანსება.

ბუნებრივი რესურსების დაცვის ღონისძიებების დაგეგმვა წარმოებს სახეების, მართვის დონეებისა და დროის ფაქტორის გათვალისწინებით.

ა) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზები მართვის სხვადასხვა დონის მიხედვით (სახელმწიფო, რეგიონული, მუნიციპალური);

ბ) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია – 1, 3, 5 წლისათვის;

გ) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამები – 1, 3, 5 წლისათვის.

მაგალითად, მდგრადი განვითარების კონცეფცია ითვალისწინებს: ეკოლოგიური სტაბილიზაციის უზრუნველყოფას, ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებას, ეკონომიკის ეკოლოგიზაციას, ამ პროცესების რეგულირებისათვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნას, ყურადღებას ადამიანის საცხოვრებელი გარემოს ხარისხზე, გეგმით გათვალისწინებული ეკოლოგიური ხასიათის ღონისძიებების ფინანსურ უზრუნველყოფას და სხვა.

4. ბუნებათსარგებლობის ლიცენზირება და ლიმიტირება.

ლიცენზირება – ეს არის სამეურნეო საქმიანობის კონტროლი, ეკოლოგიურად დასაბუთებული სისტემა, რომელიც რეალიზდება გაცემული ნებართვის, ლიცენზიის საფუძველზე. ლიცენზიაში უნდა იყოს მითითებული ვის მიერ არის გაცემული ლიცენზია, ვინ არის ლიცენ-

ზიის მიმღები, რა სახის საქმიანობისათვის მიიღო ლიცენზია, ლიცენ-ზიის მოქმედების დრო, საქმიანობის განხორციელების წესები (მოქმე-დების წესები და ნორმები), ეკოლოგიური უსაფრთხოების ღონისძიებათა უზრუნველყოფის დამატებითი პირობები, ლიცენზიის გაცემის თარიღი და ნომერი.

5. ეკოლოგიური დაზღვევა.

დაზღვევის პროცესი არის დაგროვებით-ანაზღაურებადი. მისი მი-ზანია, დააზღვიოს დაზღვეულის პასუხისმგებლობა მესამე პირის მიერ მიყენებულ ზარალზე.

დაზღვევა შეიძლება იყოს სავალდებულო, კანონმდებლობით გათ-ვალისწინებული და ნებაყოფლობითი.

6. რაციონალური ბუნებათსარგებლობის სტიმულირების ღონ-ისძიებები.

რაციონალურ ბუნებათსარგებლობის სტიმულირებას მიეკუთვნება:

ა) იმ გადასახადებისა და შეღავათების დადგენა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, რომლებიც ეკოლოგიური ნორმების ფარგ-ლებში ახორციელებენ უნარჩენო სამეურნეო საქმიანობას მეორადი ბუ-ნებრივი რესურსების გამოყენებით;

ბ) ფულადი სახსრების, მათ შორის ეკოლოგიური ფონდების გადა-სახადებისაგან მთლიანად გათავისუფლება, რომლებიც გარემოს დაც-ვისკენაა მიმართული;

გ) სუბსიდიების გამოყოფა გარემოს გაჯანსაღებისათვის;

დ) ბუნებისდაცვითი ღონისძიებების შეღავათიანი დაკრედიტება;

ე) კვოტების მიცემა ბუნებისდაცვითი პროდუქციის საზღვარგარეთ გასაყიდად;

ვ) მორალური სტიმულირება.

7. ეკონომიკურ-ეკოლოგიური კონტროლი ბუნებისდაცვით საქმიანობაზე.

სამეურნეო ობიექტებზე ეკონომიკურ-ეკოლოგიური კონტროლის ფორმები შეიძლება იყოს ინფორმაციული, გამაფრთხილებელი, დამსჯე-ლი. კონტროლის მეთოდები შეიძლება იყოს: დაკვირვება, შემოწმება, დარღვევის შეჩერება, შეწყვეტა, შეზღუდვა, დაჯარიმება, კონფისკაცია და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ჩხეიძე თ., დათუნაშვილი ლ., ქველაძე ქ.** მიწის რესურსების ოპტიმალური გამოყენების საკითხები საქართველოში. ჟ. "სოციალური ეკონომიკა", №6, 2006.
2. **Поздняков В. Я.** Экономика природопользования. М., 2003.
3. **Хачатуров Т. С.** Экономические проблемы экологии. Сб. "Общество и природная среда", 1980.

Chkheidze Tinatin
Khuskivadze Mamuka

ON THE ISSUE OF ECONOMIC MECHANISM OF ENVIRONMENT PROTECTION

SUMMARY

The article deals with a current uneasy ecological situation. It is noted that the danger of nature resource exhaustion, the pollution of environment has stipulated a new form of society and nature relation — nature use and environmental protection. Among measures worked out on state level economic measure of natural resource protection is the most important, oriented at rational use of natural resources and stimulation of environmental protection.

Economic mechanism of environmental protection includes seven main directions discussed in the article.

იზა ნათელაური

საქართველოში რევერსულ-პარადოქსული მიკროეკონომიკური გარემოს მიზეზშედეგობრივი კავშირი უმუშევრობას, ფასების ზრდასა და სავალუტო კურსის ცვლილების ტენდენციასთან

მიკროეკონომიკურ გარემოში იგულისხმება ეკონომიკური სუბიექტების (შინამეურნეობების, ფირმებისა და რესურსების მფლობელების) ჰარმონიზებული ინტერესები ფასების მეშვეობით. ეკონომიკური სუბიექტების ინტერესების ჰარმონიზაციის ხარისხს განსაზღვრავს შინამეურნეობების, ფირმებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მიზნები და ქმედებები. შინამეურნეობების (ფიზიკური პირების) მიზანია მაქსიმალური სარგებელის მიღება, ფირმების – მაქსიმალური მოგების მიღება მინიმალური დანახარჯებით, სახელმწიფოსი – აღმავალი საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ჩამოთვლილ სუბიექტთაგან თითოეული შეზღუდულია თავის ქმედებებში. შინამეურნეობების სარგებელი დამოკიდებულია მათ შემოსავლებზე, ფირმების მოგება – რესურსებისა და მათ მიერ წარმოებული საქონლის (ან მომსახურების) ფასზე.

თანამედროვე საქართველოში, გარდამავალი ეკონომიკის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, მიკროეკონომიკური გარემო რევერსული და პარადოქსულია.*

მიგვაჩნია, რომ რევერსებისა და პარადოქსების გამომწვევი მიზეზები დაკავშირებულია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემების დაუსრულებელ რეფორმებთან, არა-

---

* რევერსი – (ლათ. reversus – უკანა, შებრუნებული) – (ეკონომიკური) ვალდებულება, რაც რისიმე გარანტიას იძლევა. პარადოქსი – (ბერძნ. paradoxos – არაჩვეულებრივი, მოულოდნელი, უცნაური) – აზრი, რომელიც მკვეთრად განსხვავდება საყოველთაოდ აღიარებულისაგან, ეწინააღმდეგება საღ აზრს (ზოგჯერ მხოლოდ ერთი შეხედვით).

სრულფასოვან საკანონმდებლო ბაზასთან, უმუშევრობის მაღალ დონესთან, მუდმივად მზარდ ფასებთან, დაძაბულ სოციალურ ფონთან და სხვა. განსაკუთრებული განსჯის საგანია სახელმწიფოს ფუნქციაც ეკონომიკაში. იგი, საპრივატიზაციო ობიექტების გასხვისების პროცესის გაჭიანურების გამო, დიდი რაოდენობის აქტივების მფლობელი და ბუნებრივი რესურსების მეპატრონეა; ბაზარზე გამოდის, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტი და წარმოადგენს დანარჩენი სუბიექტების სერიოზულ კონკურენტს ფასების მეშვეობით. სახელმწიფოს არ შეუძლია ერთდროულად იყოს ბაზრის მონაწილე სუბიექტიც, სრულფასოვანი მარეგულირებელიც და ობიექტური მაკონტროლებელიც.

საქართველოში მიკროეკონომიკური გარემოს თავისებურებების ანალიზი დავიწყოთ შინამეურნეობების ფულადი შემოსავლებით. ჩვენთან შინამეურნეობების ფულადი შემოსავლების წყაროებია: ხელფასები, თვითდასაქმება, შემოსავალი სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, შემოსავალი ქონებიდან, პენსიები, სტიპენდიები და დახმარებები, ფულადი გზავნილები, ფულის სესხება ან დანაზოგების გამოყენება, ან ქონების გაყიდვა [1 გვ. 41]. მთლიან ფულად შემოსავლებში ხელფასების წილი მხოლოდ მესამედია, ნაცვლად საყოველთაოდ აღიარებული, ნორმალური სიტუაციის შესაბამისი 80-90%-ისა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ განსაკუთრებული რესურსის, შრომის, ფასი თანამედროვე საქართველოში დიფერენციაციის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. უმეტესობისათვის იგი საარსებო მინიმუმზე გაცილებით ნაკლებია და შეადგენს 100-200 ლარს. შრომისუნარიანი მოსახლეობის მცირე ნაწილისთვის იგი მერყეობს 1000-2000 ლარის საზღვრებში. არსებობენ იშვიათი გამონაკლისებიც, ბანკების პრეზიდენტები, მაღალი რანგის იურისტები და სხვ., რომელთა ხელფასი საერთაშორისო სტანდარტებს უახლოვდება. ნებისმიერი ეკონომიკური მაჩვენებლისთვის, მ.შ. ხელფასისთვისაც, დიფერენციაციის მაღალი დონე ხელოვნურად ზრდის საშუალო მაჩვენებელს, რის გამოც ეს უკანასკნელი ნაკლებ ფასეული ხდება. გარდა ამისა, ხელფასების ზრდა, რეალურ სექტორში ფასების ზრდის პირდაპირპროპორციულია. ამიტომ მას ეკონომიკური საქმიანობის დანარჩენი პირობების შეუცვლელად არავითარი აზრი არ აქვს. ხელისუფლება ვალდებულია, გაატაროს ღონისძიებები, რათა ხელი შეუწყოს ხელფასების წილის გაზრდას ფულად შემოსავლებში. ფულად შემოსავლებში ხელფასების ხვედრითი წილის გაზრდა მიღწევადია უმუ-

შევრობის შემცირებით, ხელფასების გაზრდით და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პოლიტიზაციის ხარისხის შემცირებით.

შინამეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ფულადი შემოსავლების ძირითადი წყაროა გზავნილები უცხოეთიდან. ფულად გზავნილებს უცხოეთიდან შინამეურნეობები უმეტესად პირველადი მოხმარების საქონლისა და მომსახურების შეძენაზე ხარჯავენ, შემდეგ მოდის უძრავი ქონების შეძენა და, ბოლოს, ანაბრები. ეს ინფორმაცია კარგად არის ცნობილი სრული კონკურენციის ბაზრის პრომოუშენებისთვის, შუამავლებისა და აგენტებისთვის. ისინი აქტიურად მოქმედებენ ფულიანი, უყაირათო მყიდველების ხარჯზე მაქსიმალური გამორჩენის მისაღებად (მყიდველთა უყაირათობის მიზეზი მათი არაშრომითი შემოსავლებია). ამასთან, უყაირათო ფულიან მყიდველებს, მართალია იმაზე მეტი აქვთ ვიდრე მათ პირად მოხმარებას სჭირდება, მაგრამ არც იმდენი, რომ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელონ. ყოველივე აქედან გამომდინარე, ბაზრის აგენტების ქმედებები და მომხმარებელთა ქცევა ასტიმულირებს სამომხმარებლო ბაზარზე ფასების მომატებას.

საქართველოს ეკონომიკურ რეალობაში, ეკონომიკური სუბიექტების მეორე ჯგუფიდან ჯეროვან ყურადღებას მოითხოვენ ბუნებრივი, ანუ სახელმწიფო-ორგანიზებული მონოპოლიები და კარტელები (შეთანხმებები, სიტყვასიტყვით კი შეთქმულებები ერთი დარგის მეწარმეებს შორის წარმოებასა და ფასებზე). უმეტესობა ქვეყნებში კარტელები აკრძალულია კანონით. კანონდამრღვევები ისჯებიან უზარმაზარი ჯარიმებით. ასე უნდა იყოს ჩვენს ქვეყანაშიც. კარტელებით სამომხმარებლო ბაზრის კონტროლი დაუშვებელია. მსგავსი შეთანხმებების (შეთქმულებების) მცდელობაც კი წარმოუდგენელია არსებული სოციალური სიტუაციის ფონზე.

საქართველოში, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ ქვეყანაში, მიკროეკონომიკური გარემოს სპეციფიკა დამოკიდებულია ფასებზე – საქონლისა და მომსახურების, შრომის და ფულის ფასზე.

რაც შეეხება ფულის ბაზარს და ლარის კურსის ცვლილების ტენდენციას, 1994-1998 წლები გამოირჩევა ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის დიდი რაოდენობით და დეპოზიტების, მ. შ. ლარებში დაბალი – 14,5% -ის ტოლი მაჩვენებლით. ეს ტენდენცია შენარჩუნდა 2000-2003 წლებშიც. 1996-2003 წლებში დეპოზიტების ესოდენ დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს შემოსავლების დაბალ დონეზე (ხელფასები 40-50 ლარი,

პენსიები 11 ლარი, მათი „გაყინვა", და ა. შ.), საბანკო სისტემისადმი უნდობლობასა და ინფლაციურ მოლოდინზე. 2003 წლის შემდგომ პერიოდში მაღალშემოსავლიანთა რიცხვმაც მოიმატა და ბანკებისადმი ნდობის ფაქტორიც შეიცვალა.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2000 წლიდან მოყოლებული, ლარის დევალვაციის ხარისხი იწყებს შემცირებას. პროცესი გრძელდება 2003 წლამდე. 2004 წლიდან ლარის კურსი იწყებს გამყარებას.

ამასთან, წლიდან წლამდე იზრდება სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, მშპ-ს დეფლიატორი და ინფლაცია. სიტუაცია პარადოქსულია, რადგან წმინდა ექსპორტის, ფასების საერთო დონისა და ინფლაციის მზარდი მაჩვენებლები ეროვნული ვალუტის დევალვაციაზე მიუთითებს, სახეზე კი მისი რევალვაცია გვაქვს.

ის ფაქტი, რომ 2003-2007 წლებში კომერციული ბანკების მიერ გაცემული შიდა კრედიტები მზარდია და M2 ფულის, მთლიან საერთაშორისო რეზერვებთან შეფარდების კოეფიციენტი სტაბილური, ქვეყნის საფინანსო ბაზრის განვითარებაზე მიუთითებს.

ლარის კურსის ცვლილების ტენდენციაზე, სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდ გავლენას ახდენს ა) ჩვენი ქვეყნის პარტნიორული თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, თურქეთი). რუსეთის ფაქტორი ყველასთვის ცნობილია, მას შეუძლია სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე და ბ) საქართველოს ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა. 2004-2007 წლებში სერიოზული ცვლილებები განხორციელდა საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროში, სახელმწიფო ბიუჯეტი დეფიციტურიდან პროფიციტური გახდა.

ამრიგად, თანამედროვე საქართველოში მიკროეკონომიკურ გარემოზე გავლენას ახდენს ის, რომ უმუშევრობის მაღალი დონის, მინიმალურ და მაქსიმალურ ხელფასებს შორის დიდი სხვაობის, შინამეურნეობების ფულად შემოსავლებში ხელფასების დაბალი ხვედრითი წილის, სამომხმარებლო ფასების მუდმივი ზრდის, აღურიცხავი ფულის მზარდი მასის, დეფიციტური საგარეო-სავაჭრო ბალანსის არსებობის ფონზე შენარჩუნებულია პოლიტიკური სისტემის პრიორიტეტი ეკონომიკურთან შედარებით. ეკონომიკა, მათ შორის ფირმების დონეზეც პოლიტიზებულია, გარდა ამისა, სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია გაო-

რებულია. იგი მხოლოდ ხელისუფლების ფუნქციებით (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) არ შემოიფარგლება. ის, ჯერ კიდევ, აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილისა და ბუნებრივი რესურსების მფლობელი და ყველაზე გავლენიანი ეკონომიკური სუბიექტია; შიდა და საგარეო ბაზრებზე გამოდის, როგორც დამოუკიდებელი მონაწილე; შინამეურნეობებსა და ფირმებთან შედარებით გაცილებით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფასწარმოქმნის პროცესზე, განსაკუთრებით ფულის, შრომის, სამომხმარებლო საქონლისა და სახელმწიფო-ორგანიზებული (ბუნებრივი) მონოპოლიების ბაზრებზე.

სახელმწიფო თავისი მარეგულირებელი ფუნქციის სრულფასოვან შესრულებას შეძლებს მას შემდეგ, რაც დასრულდება პრივატიზაციის პროცესი და სახელმწიფო აღარ იქნება დამოუკიდებელი საბაზრო სუბიექტი, რომელსაც სურს, მინიმალური დანახარჯებით მიიღოს მაქსიმალური მოგება, როცა იგი, ნებსით თუ უნებლიეთ, კონკურენციას უწევს სხვა სუბიექტებს არათანაბარ პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. თბილისი, 2008.
2. **Гребенников П. И., Леуский А. И., Тарасевич Л. С.** Микроэкономика. Санкт-Петербург, 1996.
3. **Мизес Л.** Человеческая деятельность. Челябинск, СОЦИУМ, 1996.

Iza Natelauri

CAUSE-RESULT CONNECTION WITH UNEMPLOYMENT, PRICE SURGE AND VOLATILE CURRENCY RATES TENDENCIES OF REVERSIBLE-PARADOXAL MICROECONOMIC ENVIRONMENT IN GEORGIA

SUMMARY

Microeconomic environment of modern Georgia is reversible and paradoxal. Accordingly behaviors of economic subjects are specific and quality of harmonization of their interests is connected with the prices boost, unemployment and growing inflation.

როლანდ სარჩიმელია

პროდუქციის წარმოების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი რესურსების დეფიციტისა და რისკის გათვალისწინებით

ეკონომიკურ მოვლენას და მისი სიღრმისეული შესწავლა-ანალიზის მიზნით წარმართულ მათემატიკურ მოდელირებას რიგ განუსაზღვრელობასთან დაკავშირებით მუდმივი უკმარისობის გრძნობა ახლავს, რაც განსაკუთრებულია რესურსებისა და პროდუქციის ქრონიკული დეფიციტის შემთხვევებში, როდესაც რისკით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება მათ მოხმარება-წარმოებაზე. ხოლო იმისათვის, რომ არ დაირღვეს „აზროვნების გამჭვირვალე ხასიათი“ საჭირო ხდება მოდელირებადი ობიექტის რეალობის გათვალისწინება შინაარსის დაზუსტება-კორექტირებით.

წინამდებარე სტატიის მსჯელობის საგანია წარმოების ოპტიმალური დაგეგმვის წრფივი მოდელი, რომელშიც პროდუქციის დეფიციტის და სხვა შეზღუდვების დამატება ცვლის ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანის ამოხსნის თვისებრივ მხარეს, მაგრამ მოდელის გამჭვირვალობა მაინც ძალაში რჩება, რაც კვლევის შემდგომი წარმატებით ჩატარების შესაძლებლობას იძლევა. ამასთან დაკავშირებით განხილულია რესურსებისა და პროდუქციის დეფიციტის შემთხვევები წარმოების ოპტიმალური დაგეგმვის ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელში, რომლის შესაბამის მათემატიკურ ამოცანას ამონახსნი არ გააჩნია, მაგრამ მისი რეგულირება შესაძლებელია შეზღუდვების მოდიფიკაციით, ამოცანის მიახლოებითი ამოხსნით და ა.შ.

განვიხილოთ პოსტსაბჭოთა საქართველოს დეფიციტური ეკონომიკა, როდესაც პროდუქციის წარმოება ზარალიანი ხდება რესურსების დეფიციტის, მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითი უნარიანობისა და ქვეყნის შიგნით არსებული რესურსების არარაციონალური გამოყენების გამო.

წარმოების პროცესების ოპტიმიზაციისათვის გადაწყვეტილების მისაღებად შესაძლო ვარიანტების ბოლომდე შეუფასებლობა და მოთხოვნა-წარმოება-მიწოდება-მოხმარების ერთდროული რეგულირების შეუძლებლობა დეფიციტური ეკონომიკის შემთხვევაში ინტერესს იწვევს წინააღმდეგობრივი ბუნების განუსაზღვრელობით, რაც, ძირითადად, წარმოების მომგებიანობის ალბათურ ხასიათს და მასთან დაკავშირებულ რისკზე წასვლას ეხება.

რესურსებისა და პროდუქციის დეფიციტის პრობლემასთან დაკავშირებულ წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი მოდელი გაგრძელებაა იმ შედეგის, რომელიც მიღებულია სხვა ნაშრომში [1]. ამჯერად წინა პლანზეა წამოწეული განუსაზღვრელობაზე დაყრდნობილ და სტოქასტიკურობით განპირობებულ რისკზე წასვლა, რესურსების დეფიციტის მიზეზით წარმოების დაგეგმვის არათავსებადი ამოცანის თავსებადად გადაქცევის მცდელობის წარმატებით ჩატარების შედეგად.

წარმოების ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანების საწყისები რისკის პირობებში განხილულია ო. ლანგეს ნაშრომში [2], რომელიც ყურადღებას იპყრობს როგორც ამოცანის დასმით, ასევე ამოხსნისადმი ზოგადი მიდგომით და წინააღმდეგობრიობის გააზრებით. ასეთივე ინტერესს იწვევს ვ. პოლტარევიჩის მონოგრაფია [3], რომელშიც მოცემულია დეფიციტის ეკონომიკისათვის კლასიკური ხასიათის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების თეორია, თუმცა ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელებში რეგულირების საკითხის დასმას ვერც აქ ვხვდებით. ამასთან დაკავშირებით „გამოსავლის მიგნების“ რამდენიმე მცდელობა მოცემულია ნაშრომებში [1; 4], საიდანაც გამომდინარე, წარმოვადგენთ შემდეგი სახის ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელს:

$$0 < \underline{x_j} \le x_j \le \overline{x_j},\ j = \overline{1,n};\ y_i \ge 0, i = \overline{1,m}, \qquad (1)$$

$$x_j = \begin{cases} \underline{x}_j ; x_j \\ \\ p_j ; 1 - p_j , \end{cases} \quad 0 \le p_j \le 1, \; j = \overline{1,n}, \qquad (2)$$

$$\sum_{j=1}^{n} a_{ij} x_j = b_i + y_i \le b_i + \overline{y_i} \quad , \; i = \overline{1,m}, \qquad (3)$$

$$c(x) \equiv \sum_{j=1}^{n} c_j x_j - \sum_{i=1}^{m} (b_i \underline{\lambda}_i + y_i \overline{\lambda}_i) \to \max, \qquad (4)$$

$$\varphi(x) \equiv \sum_{j=1}^{n} (\overline{c_j} - c_j)(\overline{x_j} - x_j) \to \min \qquad (5)$$

სადაც დაშვებულია, რომ

$$c(\underline{x}) > 0, c(\underline{x}) < 0, \quad \overline{c}_j > c_j, \quad j = \overline{1,n} \quad 0 < \underline{\lambda_i} < \overline{\lambda_i} \quad i = \overline{1,m} \qquad (6)$$

$x = (x_1, x_2, ..., x_n)$; ხოლო x_j აღნიშნავს j–ურ პროდუქციას, y_i კი i-ური რესურსების მოცულობას. P_j ალბათობაა იმისა, რომ x_j-ზე მინიმალური მოთხოვნაა, ხოლო მაქსიმალური მოთხოვნა ალბათობით $1 - \underline{p_j}$ არის $\overline{x_j}$ ტოლი, n-პროდუქციის, ხოლო m – რესურსების საერთო რიცხვია. $\overline{y_i}$ -ით დაფიქსირებულია i-ური რესურსით შეზღუდულობა $(y_i \le \overline{y_i})$

c_j არის j-ური პროდუქციის ფასი, $\overline{c_j}$ -ით აღნიშნულია მისი ფასი იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პროდუქციის შეძენა ხდება ქვეყნის გარეთ (სპეკულაციურ ფასებში), იგულისხმება $c_j < \overline{c_j}, i = \overline{1,n}$, $\underline{\lambda}_i$ წარმოადგენს i-ური რესურსების ფასს, როდესაც იგი ქვეყნის შიგნით არსებობს რეზერვის სახით, მოცულობით b_i. ხოლო $\overline{\lambda_i}$ არის ამავე რე-

სურსის სპეკულაციური ფასი, როდესაც მისი შემოტანა წარმოებს უცხოეთიდან, როგორც დეფიციტს $(\underline{\lambda_i} < \overline{\lambda_i}, i = \overline{1,m})$.

a_{ij} არის i-ური რესურსების მოცულობა, რომელიც სჭირდება j-ური პროდუქციის ერთეულის წარმოებას.

(1)-(5) მოდელში, რომელიც წარმოდგენილია ორი მიზნის ფუნქციით, ერთი მხრივ, ასახულია x პროდუქციის წარმოებით მიღებული მოგების მაქსიმუმი (4) და, მეორე მხრივ, ის ხარჯი, რომელიც გაწეული იქნება $\overline{x}$-ით, მაქსიმალური მოთხოვნის დაკმაყოფილებით და გამოწვეული $\overline{x} - x$ პროდუქციის დეფიციტით, რომლის შესყიდვის სპეკულაციური ფასებია: $\overline{c_j} - c_j, j = \overline{1,n}$ და მისგან გამოწვეული ხარჯი გამოსახულია (5)-ით.

c(x) და $\varphi(x)$-ს შორის x-ის ფიქსირებული მნიშვნელობით დამოკიდებულება განსაზღვრავს იმას, თუ როგორ იცვლება მოგება იმ დანახარჯების მიმართ, რომელიც გამოწვეულია x პროდუქციის დეფიციტის დაფარვით (ამასთან, პროდუქციის ფასებს შორის განსხვავებით ქვეყნის გარეთ ადგილობრივ ფასებთან) (5)-ის შემოტანა (1) და (2)-ის დაცვით წარმოების ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანის ახალი მოდიფიკაციით განხილვის საფუძველს შეადგენს, როდესაც აუცილებელი ხდება ვექტორული ოპტიმიზაციის ამოცანებით სარგებლობა, რომლის თანახმად (1)-(5) მოდელს წარმოვადგენთ (4) და (5) დამოკიდებულების ანალიზის საფუძველზე, საიდანაც შესაძლებელი ხდება გამოვლინდეს სხვადასხვა კომპრომისული ამონახსნები გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით, მათ შორის გამოვყოფთ პარეტოს ოპტიმუმსაც.

(3)-ის გამოყენებით, ხოლო (4)-დან y= (y_1,y_2,. . .,y_m)-ის გამორიცხვით მივიღებთ, რომ

$$c(x) \equiv \sum_{j=1}^{n} \Delta_j x_j + \sum_{i=1}^{m} b_i (\overline{\lambda_i} - \underline{\lambda_i}) \to \max \qquad (7)$$

სადაც $\Delta_j = c_j - \sum_{i=1}^{m} a_{ij} \overline{\lambda_i}, \; j = \overline{1,n}$

(7)-დან ნათლად ჩანს, რომ თუკი ყველა $\Delta_j \geq 0,\ j=\overline{1,n}$, მაშინ $C(x) \geq 0$, რაც (1)-(5)-დან წარმოების ზარალიანობის შემთხვევას გამორიცხავს.

(1)-(6) მოდელი ყურადღებას იპყრობს თავისი არაორდინალობით, რაც განსაკუთრებით ეხება (1) და (2)-ის ერთდროული დაცვისას მათ ურთიერთგამომრიცხავ პირობებს. სინამდვილეში, (2) აზუსტებს (1)-ს (თუ რამდენად ალბათურია პროდუქციაზე მინიმალური და მაქსიმალური ვარიანტის მოთხოვნები), რასაც (2)-ის შესაბამისი $Ex_j,\ j=\overline{1,n}$ მათემატიკური ლოდინიც გამოხატავს. გარდა ამისა, მიზნის ფუნქციები (1), (2), (3) პირობის დაცვით ცალ-ცალკე შეიძლება იქნეს განხილული, თუმცა მათი ერთმანეთთან დამოკიდებულების ანალიზი უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს, რაც ნიშნავს, კვლევა გაგრძელდეს წარმოების ეფექტიანობის ვარიანტების გამოსავლენად და მათ შესაფასებლად რისკის პირობებში.

გარდა ზემოთ წარმოდგენილისა (1)-(6)-დან გამოიყოფა რამდენიმე ამოცანა: წრფივი დაპროგრამების (1), (3), (4) ამოცანა უცნობებით $x=(x_1,x_2,...,x_n)$ და $y=(y_1,y_2,...,y_m)$ (2), (3), (4) პირობებით, რომლებშიც ოპტიმიზაცია y-ის მიხედვით ჩატარდება ფიქსირებული $Ex_j,\ j=\overline{1,n}$-ის მათემატიკური ლოდინი. შედეგად მიღებული C(Ex) განსაზღვრავს წარმოების მომგებიანობას, ხოლო $\varphi(Ex)$-ის სიდიდე აფასებს იმ ზარალს, რომელიც გამოწვეულია იმის გამო, რომ პროდუქციაზე მაქსიმალური მოთხოვნა არ კმაყოფილდება და მის დაფარვაში მონაწილეობას იღებს იმპორტი.

შესაძლებელია ისიც, რომ (1)-(6) იდეალურ ამოცანასთან საუკეთესო მიახლოებით გაანალიზდეს, რაც გულისხმობს ცალკეული მიზნის ფუნქციით ამოცანების ამოხსნას და მათი საშუალებით ფორმირებული იდეალური შემთხვევისაგან მინიმალური გადახრის პოვნას, რომელიც ჩატარდება უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით.

როდესაც მოცემული არაა ალბათობები, მათ დასადგენად შესაძლებელია ვისარგებლოთ აპრიორული დაშვებით, მაგალითად, $p_j = \underline{x}_j / \overline{x}_j,\ j=\overline{1,n}$, თუმცა სხვა გზითაც შეიძლება p_j-ს განსაზღვრა, როგორიცაა „ოქროს კვეთის“ გამოყენება.

როგორც ცნობილია [5, გვ. 37], ბიზნესის მართვისა და კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების ანალიზისათვის სასარგებლოა ოქროს კვეთის ტექნოლოგიის გამოყენება, სადაც ჩართულია ოპტიმალური თანაფარდობა. ასე, მაგალითად, ოქროს კვეთის პროპორციით მიზანშეწონილია შემოსავლისა და რესურსების განაწილება [5, გვ. 39]. ანალოგიის თვალსაზრისით ვცდით (1)-სათვის ოქროს კვეთის შემდეგი პროპორციით გამოყენებას:

$$\frac{\overline{x_j} - \underline{x_j}}{\eta_j - \underline{x_j}} = \frac{\eta_j - \underline{x_j}}{\overline{x_j} - \eta_j},\ j = \overline{1,n}$$

სადაც $\underline{x_j} < \eta_j < \overline{x_j},\ j = \overline{1,n}$, აქედან მიიღება (2) განაწილების კანონის კონკრეტული შემთხვევები:

$$x_j^- = \begin{cases} \underline{x}_j;\ \overline{x}_j \\ 0,618;\ 0,382 \end{cases} \quad \text{ან} \quad x_j^+ = \begin{cases} \underline{x}_j;\ \overline{x}_j \\ 0,382;\ 0,618 \end{cases}$$

სადაც $\alpha \approx 0{,}382$ არის ოქროს კვეთის მიახლოებითი მნიშვნელობა $\alpha = 0{,}5(\sqrt{5} - 1)$ იმისდამიხედვით, რომელი განაწილების კანონს მიენიჭება უპირატესობა, შესაბამისად მიიღება, რომ $\eta_j = Ex_j,\ j = \overline{1,n}$

ვთქვათ $\eta_j^- = Ex_l^-$, მაშინ

$$\eta_j^- = 0{,}5(\overline{x}_j + \underline{x}_j) - (\overline{x}_j - \underline{x}_j)0{,}118$$

ხოლო, როდესაც დიდი ალბათობითი მოთხოვნის მაქსიმალური მნიშვნელობა მოსალოდნელია, მაშინ

$$\eta_j^+ = 0{,}5(\overline{x}_j + \underline{x}_j) + (\overline{x}_j - \underline{x}_j)0{,}118$$

ცხადია, რომ

$$\underline{x}_j < \eta_j^- < 0{,}5(\overline{x}_j + \underline{x}_j) < \eta_j^+ < \overline{x}_j$$

(1)-(6)-ის ანალიზი საშუალებას იძლევა, ერთმანეთს დავუკავშიროთ (1), (3)-ის x ამონახსნთა G სიმრავლე და $R = (\varphi(x), G(x))$ სიმრავლე (როცა x∈ G), როგორც ერთნაირი რაოდენობის კიდურა წერტილების მქონე ამოზნექილი მრავალკუთხედები. გამოვიყენებთ თეორემას წარმოდგენის შესახებ [6 გვ. 9-12], R სიმრავლეზე გამოვყოფთ (2)-ის მიხედვით წარმოდგენილ Ex-ის მნიშვნელობას და მასთან დაკავშირებულ პარეტოს ოპტიმუმთან უახლოეს წერტილსაც, რომელიც იქნება (1)-(5) ამოცანის ამოხსნა და, ამასთანავე, R-ის კიდურა წერტილი.

ასეთ პირობებში შესაძლებლობა გვეძლევა, (2)-ის მიხედვით საჭიროებისამებრ წარმოვადგინოთ რისკისა და მასთან დაკავშირებული ელასტიკურობის კოეფიციენტები.

(6)-ის თანახმად და ამასთან დაშვება $c(\underline{x}) > 0$ ნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებობს იმის პირობები, რაც განაპირობებს $\underline{x}$ პროდუქციის გამოშვების მომგებიანობას, ხოლო $c(\overline{x}) < 0$ გამოხატავს მაქსიმალური რაოდენობით პროდუქციის გამოშვების ზარალიანობას. სადაც $\overline{x} - x$ პროდუქციის დეფიციტია, რომელიც საჭიროებისამებრ, (2) პირობის თანახმად, შეივსება იმპორტით.

შევნიშნავთ, რომ (2)-ის ნაცვლად შეიძლება შემოვიყვანოთ პირობა

$$\left| x_j - (\underline{x}_j p_j + \overline{x}_j) \right| \le \varepsilon,\ j = \overline{1, n} \quad , \qquad \varepsilon \to \min$$

და იგი დავუკავშიროთ c(x)-ის მიხედვით წარმოების მომგებიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **სარჩიმელია რ.** წარმოების ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანა რესურსთა დეფიციტურობის რეგულირების სქემაში. ჟ. "მაცნე", ეკონომიკის სერია, ტ. 3, №3,4. თბილისი, 1995.

2. **Ланге О.** Оптимальные решения. Москва, "Прогресс", 1967.

3. **Полтерович В. М.** Экономическое равновесие и хозяйственный механизм. Москва. Наука, 1990.

4. **სარჩიმელია რ., დიასამიძე მ.** წარმოება-მიწოდების ამოცანა რესურსების დეფიციტების პირობებში რისკის გათვალისწინებით. სამეცნიერო შრომების კრებული: "საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში". ტ. IV, თბილისი, "მეცნიერება", 2004.

5. **ფრანგიშვილი ი.** ოქროს კვეთის პროპორცია ბუნებაში, საზოგადოებაში, ეკონომიკაში, ბიზნესის მართვაში, ჟ. "კომენტარი", №3, 2004.

6. **სარჩიმელია რ., წუწუნავა თ.** ოპტიმალურობის პირობები მათემატიკური პროგრამირების ამოცანებში (ლექციები ციკლიდან "ოპერაციათა გამოკვლევის მათემატიკური მეთოდები"). თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1988.

Sarchimelia Roland

ECONOMIC - MATHEMATICAL MODEL OF PRODUCTION WITH REGARD RESOURCE DEFICIT AND RISK

S U M M A R Y

Methodological base of the article is the discussion of the problem of optimum planning of production with “transparency” characteristic to linear modeling in the cases of resource deficit and expecting deficit of production, when minimum and max-

imum demand on production is represented by probabilistic character and hence the possibility of production is estimated by risk.

In the given work, there is underlined the estimation of damage caused by buying at high speculative prices unsatisfactory part of production demand in the country and connected with the indices of production profit at risk

The analysis of economic-mathematical model of production planning by two purpose functions given in the article is done by means of graphoanalytical method the use of which unables us to imagine clearly some ways of decision of two purpose task (problem) including Pareto optimum which in the given case represents the estimation of damage per profit gained as a result of production at risk, which is loused high speculative praice in the conditions of resource and production deficit discharge.

There are studied arms accompanying the exposure of unsatisfactorily estimated versions for production optimization and hence contradictory nature of production planning and regulation according to the demand on production, for the retinal decision of which the problem of optimal planning of production is discussed in the conditions of risk.

Heven modification of two purpose economic-mathematical model of production planning makes it easy to expose the expecting deficit of inenad resources and connected with optimal versions of getting profit from production at risk.

ნაზირა კაკულია

ინსტიტუციური პრობლემები და ნეკროეკონომიკა

მდგრადი ეკონომიკური ზრდის აღდგენა საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის მიღწევის გარეშე შეუძლებელია მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ნორმალური უზრუნველყოფა, ჯანდაცვისა და განათლების ინვესტირება და სიღარიბის პრობლემის

დაძლევა. ამ ამოცანის შესასრულებლად რეფორმების ფოკუსირება, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანი საბაზრო მექანიზმის შექმნაზე.

თანამედროვე ეტაპზე ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის შექმნის სტრატეგიის უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს საბაზრო ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეკონომიკური ზრდის ფაქტორების ყველაზე ეფექტიან კომბინაციას, რაც წაახალისებს ინვესტიციების მოზიდვას წარმოების სფეროში.

ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესში მოთხოვნილება ძლიერ სახელმწიფოზე, გამომდინარეობს, აგრეთვე, საზოგადოებაში საჭირო ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელების აუცილებლობიდან, რომელთა ჩატარება შეუძლებელია სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე. სწორედ ადეკვატური საბაზრო ინსტიტუტების ფორმირება წარმოადგენს ერთ-ერთი ინსტიტუციური პრობლემის – რესტრუქტურიზაციის პროცესის სრულყოფის ერთადერთ გზას, რაც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს.

რესტრუქტურიზაციის პროცესის სტიმულირების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე საბაზრო ტიპის საწარმოთა ჩამოყალიბება, რომელიც მოგებაზე იქნება ორიენტირებული და თავისი პოზიცია ექნება ბაზარზე. რესტრუქტურიზაციის პროცესის არასწორი ჩატარება კი, ჩვენი აზრით, ნეკრო- საწარმოების არსებობის საფუძველია, მისი სიცოცხლის გახანგრძლივების ბუნებრივი საშუალებაა.

იმ პრობლემათა შორის, რომელთა შესწავლა და გადაჭრა აუცილებელია თანამედროვე ეტაპზე ნეკროეკონომიკის, როგორც ტრანსფორმაციის პერიოდისათვის დამახასიათებელი მოვლენის, წარმოშობის მიზეზებისა და მისი შემდგომი აღმოფხვრის გზების საშუალება, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია რესტრუქტურიზაციის პროცესის სტიმულირება, რომელიც საშუალებას მოგვცემს, უმოკლეს ვადაში დავძლიოთ ნეკროეკონომიკური პრობლემები. კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება მხოლოდ საწარმოთა რესტრუქტურიზაციის საშუალებით არის შესაძლებელი. ამიტომაც, რესტრუქტურიზაციის პროცესის სტიმულირება გადამწყვეტ როლს თამაშობს კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის საქმეში.

რესტრუქტურიზაციის პროცესის შემაფერხებელ ფაქტორებში შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:

- კრედიტორული დავალიანების დიდი ზომა, რაც საკმაოდ აღემატებოდა საწარმოთა გადახდისუნარიანობას;
- კერძო მესაკუთრეთა ინტერესების უზრუნველმყოფი მექანიზმების არარსებობა, რომელიც მენეჯერთა გაუკონტროლებელ მოქმედებებს აღმოფხვრიდა;
- შიდა რესტრუქტურიზაციის მიმდინარეობის საკმაოდ ნელი ტემპები.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გატარებული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ასპექტს რესტრუქტურიზაციის პროცესის დაჩქარება წარმოადგენს.

პოსტკომუნისტური ქვეყნების ერთ-ერთი ძირეული პრობლემა (საქართველოს ჩათვლით) ის არის, რომ რეფორმების საწყის ეტაპზე ბოლომდე არ იყო შემუშავებული ახალი ტიპის საწარმოების ფორმირების პროგრამები, რომელიც გარდამავალი პერიოდის სპეციფიკას გაითვალისწინებდა. არსებული საწარმოები არ არის არც საბაზრო და არც ძველი წყობის ტიპის საწარმოები. ამ პერიოდის საწარმოთა უმრავლესობა ორიენტირებულია გადარჩენასა და არასტაბილურ სიტუაციაში თავისი საქმიანობის მაქსიმალურად გახანგრძლივებაზე.

საწარმოები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მხოლოდ გადარჩენაზე, თავისი მოქმედებით, რა თქმა უნდა, განსხვავდებიან საბაზრო ტიპის საწარმოთა მოქმედებისაგან. რეფორმების მიმდინარეობის პროცესში ეს ფაქტორი ნაკლებად იქნა გათვალისწინებული, ასეთ ხარვეზებს ნაკლები ყურადღება ეთმობოდა, რამაც განაპირობა ნეკროსაწარმოების სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივება არსებული ტრანსფორმაციის პირობებში.

ერთ-ერთი განმასხვავებელი ფაქტორი, რომელშიც მოქმედი საწარმოები აღმოჩნდნენ, იყო მუდმივად ცვალებადი, ენდოგენური გარემო პირობები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებობს სტაბილური გარემო, ტრანსფორმაციის პერიოდი კი ხასიათდება არასტაბილური, მუდმივად ცვალებადი, არაორდინალური პირობებით.

თუ მაგალითისთვის ავიღებთ საგეგმო პერიოდს (რაც საფუძვლად უდევს დღევანდელი ტრანსფორმაციის პერიოდს და, ბუნებრივია, უფრო ართულებს და აძნელებს თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესს), აქ დამოკიდებულება გაკოტრების მიმართ

პარტნიორი საწარმოს მხრიდან საშიშროებას არ წარმოადგენდა. სახელმწიფო შესაბამისი ბერკეტებით მოქმედებდა, რათა გაკოტრების ფაქტი (თუნდაც წარმოებული პროდუქცია არ ყოფილიყო მოთხოვნაზე ორიენტირებადი) არ დაფიქსირებულიყო და, შესაბამისად, ასეთი პოზიცია არ იძლეოდა შიშის საბაბს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი, როგორც ვიცით, საწარმოები კოტრდება და იქმნება ახალი, მაგრამ ამას მასიური ხასიათი არ აქვს. რაც შეეხება გარდამავალ პერიოდს, აქ დარგის სტრუქტურა მუდმივად იცვლება. საწარმოთა სწრაფვა გადარჩენისადმი სულ უფრო ინტენსიურ ხასიათს ღებულობს. პრივატიზაციამ, რა თქმა უნდა, შესაძლებლობა მისცა საწარმოთა ხელმძღვანელობას, გადაწყვეტილება მიეღო დამოუკიდებლად, მაგრამ ამან რიგ საწარმოებში დაბნეულება გამოიწვია ახალი მეპატრონეების მხრიდან, რომელთა უმეტესობა "წითელი დირექტორები" იყვნენ, მათ კი რეალობის აღქმის შესაძლებლობა, სათანადო საბაზრო განათლება, გამოცდილება, პრობლემების გადაჭრისადმი ახლებური ხედვა, ნაკლებად ჰქონდათ. ახალ პირობებში ისინი ეძებდნენ არა ახალ შესაძლებლობებს, ახალ ბაზრებს, არამედ მათთვის კარგად ნაცნობი კავშირების განახლებისაკენ მიისწრაფოდნენ.

ერთ-ერთ ფაქტორად ასევე შეიძლება დავასახელოთ რეფორმების წინსვლისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება, რომელიც გამოიხატებოდა საწარმოების ადაპტაციური მოდელების შემუშავების ნელ ტემპში. ყოფილმა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფმა საწარმოებმა დაკარგეს ძველი გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობა, ახალი, თანამედროვე, საბაზრო სტრუქტურების შესაბამისი გამოცდილება კი არ გააჩნდათ. ამას ხელს უწყობდა სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღების პროცედურების დაგვიანებაც და, ამიტომაც, ისინი არ ჩქარობდნენ ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებას.

საწარმოს სტრატეგიის შემუშავება და მისი რეალიზაცია მაინც დაიყვანება მიკროდონეზე, რომელიც მოითხოვს ისეთი სისტემის აგებას, რომელიც უზრუნველყოფს ძირითადი მიზნის გამოკვეთას და მისი მიღწევის ძიების შემუშავებას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია გარე ფაქტორები, რომლებიც მოიცავს საწარმოს ურთიერთობას სხვადასხვა აგენტებს, კონკურენტებსა და პარტნიორებთან. საწარმოს მოქმედების მოდელის ჩამოყალიბების მიზნით სულ უფრო მნიშვნელოვანი

როლი ენიჭება გარემო პირობებში არსებული პრობლემების დროულ აღმოჩენასა და მონიტორინგს.

საწარმოები იძულებულნი არიან, იმუშაონ მაღალ სარისკო სიტუაციებში, სადაც, ფაქტობრივად, არ არის შესწავლილი საწარმოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი გარემო პირობები, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება: მომხმარებელთა ქცევები, კონკურენტების პოზიცია, კომერციული და საბაზრო ინფორმაციული ბაზის არსებობა, კვალიფიციური კონსულტაციების მიღების სრულყოფილი სისტემა. მთლიანობაში, საწარმოს ეგზოგენური გარემო მეტწილად შემდეგი ნიშან-თვისებებით ხასიათდება არამყარი ეკონომიკის პირობებში: ურთიერთდამოკიდებულ ფაქტორთა სირთულე, მოძრაობის ტრაექტორიის განუსაზღვრელობა, რისკის მაღალი ხარისხი. გარემოს მოძრაობის ხარისხი კი ის სიჩქარეა, რომლითაც ხდება ცვლილებები საწარმოს გარემოცვაში, ხოლო გარემო პირობების განუსაზღვრელობა წარმოადგენს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის ფუნქციას, რომელსაც ფლობს საწარმო რაიმე კონკრეტული ფაქტორის მიმართ. თუ გვაქვს მცირედი ინფორმაცია ან თუ ეჭვი გვეპარება მის სისწორეში, ასეთი გარემო მეტად განუსაზღვრელი ხდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ საქართველოში რესტრუქტურიზაციის წარმატებული გატარების ხელისშემშლელი შიდა და გარე ფაქტორები, რომელთა გაუმჯობესებაც თავად მეწარმეთა ნებასა და ძალისხმევაზეა დამოკიდებული.

მეწარმეების ზეგავლენისაგან დამოუკიდებელი, ანუ, ზოგადად, ქვეყანაში არსებულ შიდა ფაქტორებს შორის შეიძლება დავასახელოთ მოქმედ საწარმოთა და პოტენციურ მეწარმეთა შორის არსებული შიდა პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის მათ წარმატებით მოქმედებას ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში. ეს შიდა ხასიათის პრობლემები, უპირველეს ყოვლისა, შეეხება თავად მეწარმეთა მზადყოფნას, განავითარონ სათანადო უნარ-ჩვევები საკუთარი უნარის, ცოდნის მიღების სურვილისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლებაში. ადგილობრივი მეწარმეები არა მარტო განიცდიან ბიზნესისათვის აუცილებელი უნარის, ცოდნისა თუ ინფორმირებულობის მწვავე ნაკლებობას, არამედ, რაც უფრო საგანგაშოა, მათი უდიდესი ნაწილი ვერც კი აღიქვამს სათანადოდ ამ ფაქტორების მნიშვნელობას და მას მეორეხარისხოვან პრობლემათა რიგში აყენებს.

თანამედროვე ტიპის მეწარმეთა განათლების დეფიციტი ბიზნესის დაგეგმვისა და მართვის საკითხებში ერთ-ერთ აქტუალურ და მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად რჩება. ეს პრობლემა, თავის მხრივ, დაკავშირებულია პოტენციურ და მოქმედ მეწარმეთა შორის შესაბამისი ინფორმირებულობის დეფიციტში. მეწარმეებმა ხშირად არც კი იციან იმ ორგანიზაციათა არსებობის შესახებ, რომლებიც მოწოდებულნი არიან, დახმარება გაუწიონ ბიზნესის წარმართვაში. აქ იგულისხმება როგორც ბიზნეს-საკონსულტაციო, ასევე სესხებისა და გრანტების გამცემი ინსტიტუტები და სხვადასხვა სახის საერთაშორისო პროგრამები და განვითარების პროექტები, რომლებიც დღესდღეობით მოქმედებს საქართველოს მრავალ რეგიონში. ადგილობრივ მეწარმეთა შორის არსებული ინფორმაციული დეფიციტის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს მათი გაუთვითცნობიერებლობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა თანამედროვე ტექნოლოგიები, ნოუ-ჰაუ, მანქანა-დანადგარები, ნედლეული და მასალები და ა.შ., აგრეთვე, წარმოებული პროდუქციის მიზნობრივი ბაზარი და მისი სპეციფიკური მოთხოვნები.

ასევე, მნიშვნელოვანია იმ გარე ფაქტორების ჩამოყალიბება, რომელთა ზემოქმედება, ჩვენი აზრით, მკვეთრად უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოში რესტრუქტურიზაციის პროცესის დღევანდელ მდგომარეობაზე და, შესაბამისად, მისი მომავალი განვითარების პერსპექტივებზეც. გარე ფაქტორთა შორის აღსანიშნავია საგადასახადო სისტემა, რაც ვლინდება საგადასახადო პროცედურებისა და წესების ბუნდოვნებაში, ხშირ შემთხვევაში ის გაუგებარია მეწარმისათვის, ბოჭავს მას და ხელს უშლის თავისი საქმიანობის წარმართვაში. აღსანიშნავია ისიც, რომ თავად საგადასახადო კოდექსიც ძალზე ხშირად იცვლება, რაც დამატებით სირთულეებს უქმნის მეწარმეებს, ასევე პრობლემას წარმოადგენს საბანკო სექტორი, საიდანაც კრედიტების მიღება გარკვეულწილად გართულებულია დიდი ზომის გირაოს მოთხოვნის გამო. ეს გართულებები, უმეტესწილად აიხსნება მაღალი რისკ-ფაქტორის არსებობით და, აქედან გამომდინარე, ქვეყანაში დღესდღეობით, პრაქტიკულად, დაკრედიტების სისტემა არ არის სრულყოფილი. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოში დონორული დახმარება საკმაოდ არაეფექტიანი ხასიათისაა. ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში განხორციელდა და ამჟამადაც მიმდინარეობს არაერთი ტექნიკური თუ სხვა დახმარების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს

ეკონომიკაში არსებული პრობლემების დაძლევას და მის მდგრად განვითარებას. ამ პროექტებს, ძირითადად, რიგი უცხოური ორგანიზაციები ახორციელებენ სხვადასხვა დონორების დაფინანსებით. სამწუხაროდ, მინიმალურია ამგვარ პროექტებს შორის ურთიერთკოორდინაცია. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს სხვადასხვა პროექტების ფუნქციებისა და ქმედებების დუბლირებას, ხოლო პროექტის დამთავრების შემდეგ კი, მის ფარგლებში შექმნილი სტრუქტურები, არცთუ იშვიათად, უფუნქციოდ რჩებიან და არ ხდება მათი შემდგომი გამოყენება. ამის შედეგად კი ვიღებთ დონორების მიერ გამოყოფილი რესურსების არაეფექტიან მართვასა და ხარჯვას.

საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ მოქმედებს ისეთი ინსტიტუტები, რომელთაც ხელეწიფებათ ზემოხსენებული პრობლემების მოგვარება.

შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისა და შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია: ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს საინფორმაციო, საკონსულტაციო, საფინანსო და სადაზღვევო ინსტიტუტებს შორის ურთიერთშეთანხმებული სამოქმედო გეგმის განხორციელებას, უზრუნველყოფს იმ აუცილებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას, რომლებიც დააჩქარებენ რესტრუქტურიზაცია-პრივატიზაციის პროცესს.

რესტრუქტურიზაციის პროცესის წარმატებული განვითარებისათვის აუცილებელია, აქცენტი გაკეთდეს მძლავრ ინსტიტუციურ განვითარებაზე და ამ მიმართულებით უნდა შეიქმნას და ხელი შეეწყოს იმ ორგანიზაციების საქმიანობას და იმ სისტემების ჩამოყალიბებას, რომლებიც, თავის მხრივ, განავითარებენ საბაზრო სისტემაში ფუნქციონირებადი საწარმოებისათვის სრულყოფილ და თანამედროვე ბიზნესგარემოს. რესტრუქტურიზაცია აუცილებლად უნდა გახდეს ეკონომიკური ზრდის საფუძველი, მაგრამ ამისათვის აუცილებელია: იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრა, რომელიც პრივატიზაციის პროცესს უკავშირდება და ძირითადად არაეფექტიანი მესაკუთრის გადაცემაში გამოიხატება. მენეჯერებისა და მათი მფლობელების მხრიდან აუცილებელია რეალური ნაბიჯების გადადგმა რესტრუქტურიზაციისა და კონკურენტუნარიანობის მიღწევის საქმეში, რომელიც, ალბათ, ხელს შეუწყობს კერძო მესაკუთრეთა მძლავრი ფენის ჩამოყალიბებას, ფასიანი ქაღალდების ბაზრის

შექმნას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის შესაბამისი კლიმატის უზრუნველყოფას.

თვით სახელმწიფო ყოველმხრივ უნდა ასტიმულირებდეს საწარმოთა რესტრუქტურიზაციის პროცესს. ეს უნდა გახდეს სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუციური მოწყობის ფუნქცია საწარმოთა რეფორმების პროცესში, რაც ეკონომიკური ზრდის მიღწევის ერთადერთ საშუალებადაა მიჩნეული საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

ყოველივე ზემოჩამოთვლილიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფომ რესტრუქტურიზაციის პირობების ყოველმხრივი უზრუნველყოფა უნდა შეძლოს სწორი სტიმულირების პოლიტიკისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **კაკულია ნ.** ნეკროეკონომიკის ფორმირების მიზეზები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინტიტუტის შრომები. ტომი III, "მეცნიერება", 2003.
2. **კაკულია ნ.** სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის როლი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში. კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინტიტუტის შრომები. ტომი IV, "მეცნიერება", 2004.
3. **პაპავა ვ.** ეკონომიკური თეორია და ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია (უცხოური ლიტერატურის ანალიზი). ეკონომიკა, №1-3, 1999.
4. **პაპავა ვ.** ნეკროეკონომიკა. ჟ. მაკრო-მიკრო ეკონომიკა, №10, 2000.
5. **პაპავა ვ.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, 2002.
6. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. თბილისი, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი 2005.

7. **Dubrovskiy V., Ustenko O.** Business Climate in CIS Countries. CASE, Studia i Analizy, 307. Warsaw, 2005.

8. **Fries S., Lysenko T. and Polenac S.** The 2002 Business Environment and Enterprise Performance Survey: Results from a survey of 6100 firms. Memorandum, 2003.

9. **Papava V.** NECROECONOMICS. The political economy of post-communist capitalism. Universe, Inc. New York Lincoln Shanghai, 2005.

10. **Roland Gerard and Thierry Verdier** "Privatization in Eastern Europe: Irreversibility and Critical Mass Effects, "Journal of Public Economics", vol. 54, pp. 161-183, 1994.

11. **Tanzi V.** Economic Transformation and the Policies for Long-Term Growth. In: Macroeconomic Stabilization in Transition Economies. Ed. by M.I.Blejer, M.Škreb. Cambridge, Cambridge University Press**,** 1997.

Kakulia Nazira

NECROECONOMICS AND PROBLEMS OF INSTITUTIONALISM

SUMMARY

One of the main problems of post communist countries (including Georgia) is that on the initial stage of reforms those restructuring tasks able to foresee the specificity of definite period were not worked out thoroughly.

The working out and realization of enterprise strategy is reduced to micro-level, which requires the construction of a system providing the marking out the main aim and elaborating the possibilities of its achievement where the importance is attached to foreseeing external factors.

Correspondingly there are defined internal and external factors, hampering successful restructuring in Georgia, the improvement of which depends on the will and action of producers themselves.

There are shown some institutes able to create and carry out common state policy facilitating the execution of mutual consent plans of working of financial and insurance institutes, providing the creation and functioning of necessary institutes that

might speed-up the restructuring process and thus assisting in eradication of necro enterprises in Georgia.

დავით ვეკუა

სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მაკროეკონომიკური რეგულირება საქართველოში

საქართველოში სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს აქტიური ჩარევის გარეშე წარმოუდგენელია. თუმცა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ეკონომიკაში გაუაზრებელი ჩარევის შედეგად განხორციელებული სამთავრობო „ინტერვენცია“ სასარგებლო იქნება საზოგადოებისათვის. ასეთ შემთხვევაში, წარუმატებლობისაგან გამოწვეული სირთულეები არანაკლები იქნება, ვიდრე ის სირთულეები, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის თანხვედრია. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ზემოქმედების პროცესები და სახელმწიფო სტრუქტურები ქმნიდნენ ისეთ მოტივირებულ გარემოსა და ფონს, რომ სახელმწიფოს ჩარევა რეალურად უზრუნველყოფდეს საზოგადოების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამისათვის საჭიროა, სახელმწიფოს მაკროეკონომიკური რეგულირების რაოდენობრივი ფუნქციები შეიცვალოს ხარისხობრივი აქცენტებით.

რამდენიმე საუკუნის წინ საქართველოში მოსახლეობა ნაკლებად გრძნობდა სახელმწიფოსთან კავშირს. მათ შორის ურთიერთობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ მოსახლეობის ჯარში გაწვევით და მათგან სამთავრობო გადასახადების აკრეფით. სახელმწიფოს როლი მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარებაში უმნიშვნელო იყო, თუმცა საქართველოს უძველეს ხანაშიც კი მოიძებნება ისეთი ფაქტები, როდესაც სახელმწიფო გარკვეულწილად მონაწილეობდა სოციალური საკითხების მოწესრიგებაში. ძირითადად, ეს ეხებოდა ჯანდაცვას, ეპიდემიოლოგიური სიტუაციების განმუხტვას, საქალაქო განაშენიანებასა და საზოგადოებრივი კომუნიკაციური სისტემების მოწყობას. ამის მაგალითია გონიოს ციხე, სადაც ეპიდემიურმა სიტუაციამ ხელისუფლება აიძულა,

შეექმნა წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ისეთი სისტემები, რომლებიც თავისი მოხერხებულობითა და ოპტიმალური დაგეგმარებით დღესაც მნახველის გაოცებას იწვევს, რომ აღარაფერი ვთქვათ ვარძიისა და დავით გარეჯის კომპლექსებზე.

სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობისადმი სოციალური ვალდებულებების შესრულების ფაქტები გვხვდება ბევრ უძველეს ქართულ ისტორიულ ძეგლში, რომელთაგან გამოვყოფთ სახელმწიფო სამართლის ძეგლს "დასტურლამალს" (შედგენილია ვახტან VI მიერ, 1707–1709 წწ).

ამ დოკუმენტით ადგილობრივ მმართველობას ახორციელებდნენ მოურავები, მამასახლისები და სხვ., მათ შორის, ხევისთავები. ამ უკანასკნელთ ევალებოდათ საკუთრების უფლების დაცვა, ასევე დავრდომილთა და უბინაოთა მატერიალური დახმარება, რაც შეკრებილი გადასახადებიდან უნდა გაეღოთ. ეს ღონისძიება, ალბათ, მე-17 საუკუნეში არ წარმოშობილა და მისი სათავეები ადრინდელ ეპოქაში უნდა ვეძიოთ.

სახელმწიფოს ფუნქციები შემდეგ მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მისი პასუხისმგებლობა მოქალაქეთა სოციალურ მდგომარეობაზე შესაბამისად გაიზარდა. მოსახლეობას მიეცა უფლება, სახელმწიფოს ხარჯზე მიიღოს განათლება, ისარგებლოს სამედიცინო მომსახურებით, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა სოციალური გასაცემლებით. ამდენად, ბუნებრივია, ახალი თაობა თავის წინაპართან შედარებით, გაცილებით დაინტერესებულია სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებით.

სახელმწიფოს საქმიანობა და მისი შედეგები არასოდეს საჭიროებდა ისეთ ღრმა ანალიზს, როგორც ამჟამად. ასეთი დაინტერესება სახელმწიფოს საქმიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობას ქმნის. მაგრამ, თუ სახელმწიფოს არ შესწევს მის წინაშე მდგარ პრობლემებზე კონსტრუქციული რეაგირების უნარი, მისადმი უნდობლობა უფრო ღრმავდება. ეს ხდება იმის შესაბამისად, თუ რამდენად დიდია სხვაობა მის შესაძლებლობებსა და მოსახლეობის მხრიდან წამოყენებულ მოთხოვნებს შორის. ამ შემთხვევაში ხდება სახელმწიფოს შინაგანი მსხვრევა. მოსახლეობას აღარ გააჩნია სტაბილური არსებობის, კანონიერებისა და უშიშროების ყველაზე ელემენტარული პირობები. მოცემული კრიზისი გვაიძულებს, გავიხსენოთ თომას გობსის მოსაზრება, რომელიც 1651 წელს გამოითქვა ტრაქტატში "ლევიაფანი": წესრიგის დამცველი, ეფექტური სახელმწიფოს გარეშე ცხოვრება... განცალკევებული, ღარიბი, სა-

შიში, უხეში და ხანმოკლე იქნება. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს შეუძლია სოციალური პრობლემების დაძლევა, თუ მათ შეუსაბამებს საკუთარ შესაძლებლობებს და გაატარებს გონივრულ პოლიტიკას.

ქვეყნის სოციალურ პოლიტიკაში სახელმწიფოს როლისა და ფუნქციის შესახებ ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გამოთქვა თავისი მოსაზრებები ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა არტურ პიგუმ ნაშრომში "კეთილდღეობის ეკონომიკა". პიგუს მიერ ჩამოყალიბებულ შრომაში სახელმწიფოს ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობის თეორიული შეხედულებები დღესაც ძალზე აქტუალურია. მსოფლიოში სოციალურ-ეკონომიკური კრიზისების გამძაფრებასთან დაკავშირებით, დასავლეთის ეკონომიკურ მეცნიერებაში პიგუს მოსაზრებებს სულ უფრო მეტი მიმდევარი უჩნდება.

დღეს ეკონომიკაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სოციალური განვითარების სფერო, სოციალური იმპერატივები, როგორც განვითარების ყველაზე უფრო მთავარი ტენდენციები და ფაქტორები. მთავარია თანამედროვე პირობებში მიმდინარე საბაზრო ეკონომიკის სოციალიზაციის პროცესი.

სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მაკროეკონომიკური რეგულირების სწორად წარმართვისათვის აუცილებელია, მკაფიოდ გამოვკვეთოთ სახელმწიფოს როლი მიმდინარე გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში. სახელმწიფოს როლი და ფუნქციები უნდა გულისხმობდეს მისი, როგორც პარტნიორისა და დამხმარის მონაწილეობას ეკონომიკაში, და არა მხოლოდ, როგორც განმკარგულებელ-ხელმძღვანელის. კერძოდ, რადგან სახელმწიფო ქვეყნის ინსტიტუციური სივრცის კანონშემოქმედად გვევლინება, მის მიერ შექმნილმა სამართლებრივმა გარემომ, საზოგადოებაში არსებულ სპეციფიკურ ეროვნულ პრინციპებთან ერთად, უნდა შექმნას მოქალაქეთა სოციალური დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირების ის ნორმები, რომლებიც ადამიანებს მისცემს შესაძლებლობას, უზრუნველყონ საკუთარი მომავალი. იმის გამო, რომ სახელმწიფო ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესის ერთ-ერთი და ხშირად წამყვანი მონაწილეცაა, სახელმწიფო ორგანოებს ყოველდღიურად უხდებათ უამრავი სამეურნეო გადაწყვეტილების მიღება ინვესტირების, დაკრედიტების, მომსახურებისა და ა.შ. საკითხებზე. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობასა და მის პოტენციალზე. სოციალურ-ეკონომიკური პოტენ-

ციალის ოპტიმიზაცია სახელმწიფოს განვითარების დაჩქარების უმნიშვნელოვანესი საფუძველია. მისი გამოუყენებლობის შემთხვევაში კი ადგილი აქვს სტაგნაციას, სრულ ეკონომიკურ და სოციალურ დეზინტეგრაციას.

სახელმწიფოს მხრიდან სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მაკროეკონომიკური რეგულირების სტრატეგიის განსაზღვრისას აუცილებელია, გაანალიზდეს ქვეყანაში დემოგრაფიული პრობლემები და მიგრაციის ძირითადი ტენდენციები და მიზეზები.

სტაბილური მაკროეკონომიკური რეგულირების უზრუნველსაყოფად სახელმწიფომ განუწყვეტლივ უნდა ადევნოს თვალი სოციალური პრობლემების სიმწვავის ხარისხს, ვინაიდან საზოგადოებრივი აპათიით შეპყრობილი, სიღარიბის ზღვარზე მისული ადამიანისთვის კანონისადმი დაუმორჩილებლობა საკუთარი გაჭირვებისადმი ყურადღების მისაქცევი ერთადერთი გზაა. ეს კი, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება სოციალური დესტაბილიზაციის საბაბად იქცეს.

სოციალური პოლიტიკის მაკროეკონომიკური რეგულირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად უნდა იქცეს მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოება, რაც დაკავშირებულია სოციალურ დანახარჯებთან. ამიტომ, დღევანდელ ეტაპზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, მრავალი ინოვაციური პროცესის მიღწევის კვალობაზე, სოციალური დაზღვევის სტრატეგიის განვითარებისა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების (გარემო ბუნებისა და მისი კომპონენტების გაჭუჭყიანების შედეგად) გათვალისწინებას.

მაკროეკონომიკური რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა შრომითი ურთიერთობის მოწესრიგების საკითხი. სახელმწიფომ, იურიდიული ინსტიტუტების მეშვეობით უნდა შეასრულოს მედიატორის ფუნქცია, რაც გულისხმობს ისეთი შრომითი კანონმდებლობის შემუშავებასა და მიღებას, სადაც დამსაქმებელსა და პროფკავშირებს შორის პარიტეტული ურთიერთობა ჩამოყალიბდება. რაც შეეხება შრომის პირობებისა და ტექნიკური უსაფრთხოების საკითხებს, იგი საერთო სოციალური სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია და მის მიერვე, შესაბამისი სახელმწიფო საზედამხედველო ინსპექტირებით უნდა ხორციელდებოდეს.

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი პრეროგატივაა მოსახლეობის საცხოვრისი მინიმუმის განსაზღვრა და სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენებისთვის (ინვალიდები, მარტოხელა პენსიონერები, დევნილები და სხვ.) სოციალური გაცემულობების ამ მინიმუმთან დაახლოება.

მაკროეკონომიკური რეგულირების ქვაკუთხედი უნდა გახდეს დასაქმების პრობლების გადაწყვეტა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდის პირობებში. ამ კუთხით ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა სამუშაო ძალის ეფექტიანი გამოყენება.

ქვეყნის სოციალური პოლიტიკის ეკონომიკური მოტივაცია უნდა დაეფუძნოს სადაზღვევო იდეოლოგიას, რასაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით სათანადო ყურადღება არ ექცევა. ამ პრობლემის დაძლევა შესაძლებელია სადაზღვევო მექანიზმების ამოქმედებით, რომლებმაც უნდა შეასრულონ ეკონომიკურ პროცესებში "ჩაშენებული სოციალური სტაბილიზატორის" ფუნქცია.

აღნიშნული საკითხისადმი დამოკიდებულება სახელმწიფოს მმართველობით ორგანოებსა და მოსახლეობის ფართო ფენებში კარდინალურად უნდა შეიცვალოს, რადგან საბაზრო ეკონომიკის პირობებში საზოგადოებას რისკების ეპოქაში უხდება ცხოვრება და სწორედ ამიტომ, საზოგადოებრივი ცხოვრების ადაპტაცია შეუძლებელია სოციალური დაცვის სისტემების სადაზღვევო პრინციპებზე გადაყვანის გარეშე. სახელმწიფომ დაზღვევა უნდა გამოიყენოს, როგორც მაკროეკონომიკური რეგულირების მოქმედი იარაღი.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სადაზღვევო სისტემის მეშვეობით დანაზოგების შექმნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა, რომელსაც ადამიანი იღებს თავისი ცხოვრების მანძილზე, რასაც აიძულებს მაღალი სოციალური რისკების არსებობის პირობებში საკუთარი მომავლის უზრუნველყოფაზე ფიქრი. თითქოს მარტივია: ბაზარმა უნდა დაარეგულიროს ყველა ეკონომიკური ურთიერთობა, მათ შორის, დაზღვევის სფეროში და, აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით, აუცილებელი არ არის ამ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევა, მაგრამ საბაზრო ურთიერთობის პროცესში ჩნდება ისეთი პრობლემები, რომელთა დარეგულირება სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. ადამიანებს ხშირად არ ძალუძთ, გამოიჩინონ წინდახედულობა იმ გადაწყვეტილებების მიღებისას, რომელიც ეხება პირადი სახსრე-

ბის მოხმარებასა და დაგროვებას. შრომის პროცესში მათ, სხვადასხვა სოციალური რისკების გამო (ავადმყოფობა, ინვალიდობა, უმუშევრობა, მოხუცებულობა და სხვ.) შესაძლოა, თავი ვერ მოუყარონ საკმარის სახსრებს. ამ შემთხვევაში სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაზე ორიენტირებულმა სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს ასეთი კონტინგენტის სოციალური უზრუნველყოფა.

ძალზე მნიშვნელოვანია, სოციალურ სფეროში გაგრძელდეს სახელმწიფოს აქტიური ინსტიტუციური მშენებლობის პროცესი, რაც გამოიხატება სოციალური სფეროს ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში. ყოველ ისტორიულ ეტაპზე საჭიროა, სახელმწიფომ სწორად გამოკვეთოს ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურა, ანუ ის დარგობრივი თანაფარდობა, რაც დაკავშირებულია სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, დასაქმების, ჯანდაცვისა და სხვა სოციალური ინსტიტუტების ჩამოყალიბებასთან.

მაკროეკონომიკურ რეგულირებას ხელი უნდა შეუწყოს კერძო სექტორში სახელმწიფოს უხეში ჩარევის შეზღუდვამ. კერძოდ, მინიმუმ, უნდა შემცირდეს ლიცენზიების, ნებართვების, სერტიფიკატებისა და სხვა ადმინისტრაციული ბარიერების რაოდენობა. დარჩენილი ლიცენზიების გაცემა უნდა ხდებოდეს სრული გამჭვირვალობის პირობებში, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევები. თუ თვალს გადავავლებთ ამ მიმართულებით სამინისტროების საქმიანობას, ცალსახად დავინახავთ, რომ დიდია მცდელობა, სხვადასხვა ფორმით (ძირითადად, ეს კონტროლის ფორმით შემოიფარგლება) ჩაერიონ ეკონომიკის მართვის პროცესში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, შეიძლება დავასკვნათ რომ, საქართველოში არსებული ეკონომიკური სფეროს ძველი სტრუქტურების რღვევისა და ახალი სისტემების შექმნის პირობებში, მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მაკროეკონომიკური რეგულირების პროცესი სრულიად არაადაპტირებული აღმოჩნდა ახალ ეკონომიკურ გარემოსთან და ვერ პასუხობს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ მოთხოვნებს. ამის გამო, სულ უფრო ძნელდება ისედაც მწირი პენსიებითა და დახმარებებით მოსახლეობის უზრუნველყოფა. ხელფასი, როგორც დაბეგვრის ობიექტი, კარგავს თავის სოციალურ და ფისკალურ ფუნქციას, მცირდება მაღალი შრომითი ანაზღაურებით

დასაქმების მოტივაცია და საწარმოო ტექნოლოგიების გაუმჯობესების პირადი ინტერესი.

გარდა ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მოსაზრებებისა, არის საკითხთა კიდევ მნიშვნელოვანი სპექტრი, რომლის მოგვარებაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა სოციალური უზრუნველყოფის მაკროეკონომიკური რეგულირების პროცესს. ეს არის სოციალური უზრუნველყოფის სფეროში არსებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური შეუსაბამობა, შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელთა დაახლოება, მოსახლეობის საშუალო ასაკის ზრდა, მოხუცებულთა მოვლის ტრადიციული, ოჯახური ფორმების მოშლა, მასობრივი უმუშევრობა და მიგრაცია. შემდგომ, მათი სერიოზული ანალიზისა და შესწავლის გარეშე, შეუძლებელია სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ქმედითი მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმის შემუშავება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჟ. “სოციალური ეკონომიკა“, №2, 1999.
2. ჟ. “სოციალური ეკონომიკა“, №1, 1999.
3. **სეჩაგოვი,** ეკონომიკური უსაფრთხოება: ეკონომიკის მდგომარეობა, საფონდო ბაზარი და საბანკო სისტემა. ჟ. „Вопросы экономики“, №6, 1996.
4. The Economics of Welfare, London, 1960.

Vekua David

MACROECONOMIC REGULATION OF SOCIAL WELFARE SYSTEM IN GEORGIA

SUMMARY

In conditions of global reforms currently underway in Georgia the issue of macroeconomic regulation of social welfare systems are of an extreme importance. That is determined by the fact that existing system of social welfare turned out to be completely maladapted to new economic environment and inadequate in terms of addressing demands of present market economy.

The article introduces the mechanisms of macroeconomic regulation in this sphere that are related to further strengthening of role and functions of state, forming insurance systems and mechanisms as well as to labor relations and new institutional arrangement and other.

Recommendations and proposals presented in the article relate to the fact that the issue of macroeconomic regulation of social welfare systems is being solved in parallel to currently implemented reforms in the country, due to which the importance of relevant scientific research increases even more.

მარინე ცუცქირიძე

ეკონომიკური განვითარების პროცესების მართვის საკითხისათვის

საქართველოში, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში, ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ამოცანა მისი სტაბილურობის შენარჩუნებაა დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რაც ეკონომიკური პროცესების მართვის გაუმჯობესებით უნდა იქნეს მიღწეული. დარგობრივ საბაზრო სისტემათა ეკონომიკური და სოციალური შედეგები და ეკონომიკური განვითარების ძირითად მიზანთან მათი შესაბამისობა წარმოების სტაბილურობაზე მიანიშნებს, იგი წარმოების პროცესებისათვის აუცილებელი რესურსებისა და საწარმოო ფაქტორთა დანახარჯების შემცირებასაც უკავშირდება. ამით ის მართვის სისტემის ძირი-

თად ფუნქციად და საბაზრო პროცესების ეფექტიანად წარმართვის საშუალებად გვევლინება. ეკონომიკური პროცესების მართვის სისტემის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დროს წარმოების განვითარების სტაბილურობის მნიშვნელობას ისიც განაპირობებს, რომ არასტაბილურობის შედეგად ირღვევა დარგობრივი, საბაზრო წონასწორობა, რაც უარყოფითად მოქმედებს ფასწარმოქმნის პროცესზე, შიდასისტემური საწარმოო და გარესაბაზრო კავშირები არაეფექტიანად წარიმართება და დანახარჯების ზრდას განაპირობებს. ამის შედეგად იგი იწვევს და აძლიერებს წარმოების საბოლოო შედეგების მერყეობას, ამცირებს წარმოების მომგებიანობას და კონკურენტუნარიანობას. არასტაბილურმა ეკონომიკურმა შედეგებმა შეიძლება პერიოდულად გამოიწვიოს როგორც საწარმოო, ასევე მართვის სისტემათა მთლიანობის დარღვევა, რაც უარყოფითად მოქმედებს რეფორმისა და საბაზრო გარდაქმნების შედეგიანობაზე.

მართვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლება მოითხოვს ეკონომიკური განვითარების სტაბილურობის მისაღწევად აუცილებელი მიმართულებების შემუშავებასა და მათი შესაბამისი მეთოდოლოგიური საფუძვლების ფორმირებას. რეფორმის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: 1. მაკროეკონომიკურ სტაბილურობას და მიკროეკონომიკურ სისტემათა ეფექტიანობის ამაღლებას; 2. დარგობრივ და საწარმოო სისტემათა კონკურენტუნარიანობის მიღწევას; 3. საბაზრო პროცესთა მართვის ეფექტიანი მეთოდების გამოყენებას. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნების მიღწევა სამამულო წარმოებათა ამოქმედებისა და ეროვნული ეკონომიკის სტაბილური ზრდის შედეგად შეიძლება.

პოსტკომუნისტური პრინციპებით ტრანსფორმირებული წარმოების მართვის სისტემა ეკონომიკური განვითარების პროცესების წარმართვისათვის აუცილებელი საფუძველია. მართვის მეთოდოლოგიური საფუძვლების ფორმირება ეკონომიკაში მიმდინარე შიდასისტემური გარდაქმნების შედეგიანობას უკავშირდება. ეკონომიკური პროცესების მართვის მიზანთა ფორმირება სახელმწიფოს თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკისა და მისი საბაზრო სტრატეგიის შესაბამისად უნდა განხორციელდეს.

გარდაქმნების პერიოდში ნაწილობრივად მიღწეულ დარგობრივ სისტემათა და წარმოების სტაბილური ზრდის ტენდენციის შენარჩუნება

წარმოების დონიდან მინიმალური გადახრების დაცვით შეიძლება. ამასთან დაკავშირებული ეკონომიკური პროცესების ეფექტიანად წარმართვა და საბაზრო ურთიერთობების განვითარება წარმოებისა და საბაზრო პროცესებს შორის სისტემური კავშირების დაცვისა და რეგულირების აუცილებლობას განაპირობებს. ეკონომიკური პროცესების საბაზრო რეგულირების მნიშვნელოვან ფუნქციას ფირმებსა და კომპანიებში, როგორც ცნობილია, კონკურენცია ასრულებს.

კონკურენცია საბაზრო პროცესებში მონაწილე დარგობრივ და საწარმოო სისტემათა შორის არსებულ კონკურენტულ უპირატესობათა გამოვლენას განაპირობებს. იგი ფირმათა კონკურენტუნარიანობის არსებობასა და მისი ამაღლების შესაძლებლობაზეც მიანიშნებს. პოსტკომუნისტური გარდაქმნების შედეგად ჩამოყალიბებული ეკონომიკური სისტემების კონკურენტუნარიანობა და ეფექტიანობა სოციალური განვითარებისა და წარმოების საბოლოო შედეგების სტაბილური ზრდის საფუძველია. იგი განაპირობებს დარგობრივ საბაზრო სისტემათა კონკურენტულ უპირატესობათა მისაღწევად საჭირო, წარმოების მართვის სისტემის სტრატეგიული მიზნების რეალიზაციის საშუალებათა მოქმედებაში მოყვანას, გლობალიზაციის ფაქტორების გააქტიურებას.

ეკონომიკური განვითარების პროცესთა მართვის სისტემის დარგობრივი ფუნქციური და შიდაწარმოებრივი სისტემის წარმომქმნელი ელემენტები საბაზრო კავშირების განვითარების პროცესში ფორმირდება. იგი მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი მოხმარების, საბაზრო პროდუქციის ზრდისა და მომსახურების არეთა გაფართოების საფუძველს წარმოადგენს. მართვის სისტემის გარდაქმნის პროცესი, ძირითადად, საწარმოთა ეფექტიანობის ზრდისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებით მიმდინარეობს. იგი უკავშირდება ფირმის კონკურეტული უპირატესობის მისაღწევად აუცილებელი მართვის სისტემის ელემენტების ჩამოყალიბებას. მას საფუძვლად უდევს ფირმის საბაზრო და საგარეო საბაზრო სტრატეგია და საგარეო საბაზრო ურთიერთობათა განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებები: 1. კონკურენციაში მონაწილე ფირმათა ოპტიმალური რაოდენობის შენარჩუნება; 2. პროდუქციისა და მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა; 3. პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნასა და საბაზრო მიწოდებათა შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა; 4. კონკურენტუნარიანი საქონლის ანალოგების რაოდენობათა შეზღუდვა საბაზრო მოთხოვნათა ცვლილების შესაბამისად; 5. საბაზრო ტე-

ვადობისა და სეგმენტის საზღვრების გადიდება; 6. ახალი ბაზრების მოძიება და მისი სეგმენტის გაფართოება.

როგორც კონკურენციაში მონაწილე, ასევე ურთიერთკონკურირებად ფირმათა რაოდენობა, ყოველი მოცემული საბაზრო სისტემისათვის შემოსაზღვრულია შიდასაწარმოო ფაქტორების სიდიდისა და მათი საბაზრო პოზიციათა მიხედვით. ის შეირჩევა კონკურენტუნარიანი პროდუქციის მწარმოებელთა სიმრავლიდან. იგი ფირმის კონკურენტული სტრატეგიის შესამუშავებლადაა აუცილებელი და საწარმოო და შიდასისტემურ ოპერაციათა წარმართვის საფუძველია. ეს უკანასკნელი, შესაძლებელია, ფირმათა ოპტიმალური საბაზრო დანახარჯების მინიმალურობის დაცვისა და დანახარჯების ლიდერობის საკითხს უკავშირდებოდეს.

ფირმის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პროცესში მართვის სისტემის ერთ-ერთ აქტიურ ელემენტს პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს. პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის ამაღლება ფირმის საბაზრო კონკურენტუპირატესობასა და ეროვნულ წარმოებათა კონკურენტუნარიანობაზე მიანიშნებს.

ეკონომიკურ განვითარებასა და მის სტაბილურობას განსაზღვრავს პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნისა და მიწოდებათა საბაზრო პროცესების სწორად წარმართვა. მასზე ზემოქმედებს ფასების სახელმწიფო პოლიტიკა, ინფლაციის ტემპების ცვლილება, მაკროეკონომიკური ზრდის ტემპები, შიდასაწარმოო ფაქტორების გაძლიერება, მოთხოვნის სიდიდისგან მიწოდებათა დაშორება და სხვა. ამ მიმართულებით შემუშავებული ფირმათა საბაზრო სტრატეგია, ძირითადად, დაკავშირებული უნდა იყოს პროდუქციასა და მომსახურებაზე საბაზრო მოთხოვნის ფიქსირებული სიდიდის შესაბამის მიწოდებათა მართვის როგორც შიდასაწარმოო ოპერაციების, ასევე საბაზრო პოზიციათა ურთიერთშესაბამისობის დაცვასთან. ამავე დროს, აღსანიშნავია ფასწარმოქმნის მექანიზმის გაუმჯობესება, რომელიც კონკურენციის პროცესის მართვაში მონაწილეობს. იგი მოთხოვნასა და მიწოდებათა შორის ოპტიმალური საბაზრო წონასწორობის მიღწევის საშუალებას იძლევა დროის ცალკეულ პერიოდში. მათი ოპტიმალური წონასწორობა ფირმის საბაზრო კონკურენტურიანობის ამაღლების რეალურ შესაძლებლობაზე მიანიშნებს.

კონკურენტუნარიანი პროდუქციისა და მომსახურებათა მიწოდების ზრდის დროს, საბაზრო პროცესების მართვა ახალი ბაზრების მოძიებას ან მოცემული ბაზრის სეგმენტის გაფართოების აუცილებლობას უკავ-

შირდება. იგი საბაზრო ურთიერთობათა მართვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს და რისკის ფაქტორის გააქტიურებას განაპირობებს. მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ფირმის საბაზრო ტევადობისა და ბაზრის სეგმენტის სიდიდეთა დადგენის საკითხი. საბაზრო პროცესების მართვა ფირმათა საბაზრო და კონკურენტულ სტრატეგიათა შემადგენელი ელემენტია. ამით შეიძლება განისაზღვროს მისი ძირითადი სასაქონლო სტრატეგია და მიწოდებათა მართვაში საბაზრო პოზიციების გამოყენების საზღვრები. ის დიდ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე ფირმების როგორც შიდასაწარმოო, ასევე საბაზრო ურთიერთობების ეფექტიანად წარმართვაში.

საბაზრო ურთიერთკავშირების ახალი ფორმების და არსებულის გაფართოება ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ტენდენციას წარმოადგენს. იგი საქართველოს ეკონომიკაში ფუნქციონირებადი საგარეო და შიდა საბაზრო პროცესებში კონკურირებადი დარგების, ფირმებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლების შედეგად შეიძლება განხორციელდეს.

ეკონომიკური განვითარება, მისი საწარმოო და საბაზრო პროცესების ეფექტიანად წარმართვა საქართველოში, ეროვნულ წარმოებათა და მისი ინფრასისტემის გაფართოების, მათი ზრდის ტემპების გადიდების, სოციალური დონის ამაღლების მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს და პოსტკომუნისტური გარდაქმნის წარმატებით განხორციელებას განაპირობებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **მენქიუ გ.** ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, "დიოგენე", 2000.

2. **პაპავა გ.** სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა. ტომი I, II. თბილისი, "სამშობლო", 1998.

3. **წერეთელი გ.** საქართველოს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განვითარების მოთხოვნები და პერსპექტივები. პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. II. თბილისი, "მეცნიერება", 2000.

4. **Кузин Б., Юрьев В., Шахдинаров Г.** Методы и модели управления фирмой , С-Пб, "Питер", 2001.

5. **Портер М.** Конкурентная стратегия (анализ отраслей и конкурентов). М., "Бизнес-Букс", 2005.

Tsutskiridze Marina

THE ISSUES OF MANAGEMENT OF ECONOMIC DEVELOPMENT PROCESS

SUMMARY

The article deals with the trend of management of economic development processes, the perfection of methodilogical principles.

The necessity of sectoral, market and systemic transformation for competitiveness and profitability of enterprises, the way to a chieve the efficiency of a firm management are based, the principles of functioning of production management system, its main methodolodical aspects are also determined for economic systems created in the process of postcommunist transformation.

მამუკა ხუსკივაძე

საქართველოს ტყის რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის ამოცანა და მისი შესაბამისი ეკონომიკურ-მათემატიკური

მოდელი

პოსტკომუნისტური საბაზრო ტრანსფორმაციის თანამედროვე ეტაპზე როგორც ქვეყნის, ასევე მისი ცალკეული რეგიონების სატყეო მეურნეობების განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტყის რესურსების ოპტიმიზაციის პრობლემურ საკითხებს. ეს განპირობებულია არა მხოლოდ წარმოების მასშტაბების გაფართოებით, არამედ საზოგადოების სოციალური მოთხოვნების ზრდითაც.

ტყის რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ პროცესების ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელირებას, რომლებიც მიმდინარეობენ რაღაც გარკვეულ ტერიტორიაზე და გააჩნიათ რეგიონული ხასიათი.

ტყის რესურსებზე მრავალმიზნობრივი მოთხოვნის პირობებში სატყეო მეურნეობის წინაშე დგება მნიშვნელოვანი ეკონომიკური ამოცანა – ტყის რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებისა და აღწარმოების დახმარებით, მინიმალური დანახარჯების პირობებში, სატყეო ფონდის პირობითი ერთეულიდან (1 ჰექტარი) მივიღოთ მაქსიმალური შემოსავალი.

ასეთი ამოცანა უმეტეს შემთხვევებში ისმის რეგიონულ დონეზე, იმდენად, რამდენადაც სწორედ ასეთ დონეზე იჩენს თავს არაეფექტიანი ტყეთსარგებლობის ნეგატიური შედეგები. გარდა ამისა, ბუნებათსარგებლობის ოპტიმიზაციის არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, მოდელირების სფეროში რეგიონულ დონეს ყოველთვის ენიჭება პრიორიტეტი.

რეგიონის ტყის რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის აგებისას მოდელირების ობიექტს წარმოადგენს ამავე რეგიონის ტყის ფართობი. ეს რეგიონი იყოფა გატყიანებულ და გაუტყიანებელ ფართობებად (ამ უკანასკნელიდან მოდელში ჩაირთვება ფართობის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც შესაძლებელია, დაიფაროს ტყის მასივებით).

ზემოთ აღნიშნული ტყის რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტის მიზნით გთავაზობთ ერთმიზნიან ოპტიმიზაციურ მოდელს.

ვიდრე ავაგებდეთ დასმული ამოცანის შინაარსის ადეკვატურად ამსახველ ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელს, შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნები:

$i\left(i=\overline{1,m}\right)$ არის ტყის სახეობათა აღმნიშვნელი ინდექსი;

$j\left(j=\overline{1,n}\right)$ იყოს ბუნებრივ-ეკონომიკური რეგიონის აღმნიშვნელი ინდექსი;

$t\left(t=\overline{1,T}\right)$ არის ასაკის აღმნიშვნელი ინდექსი;

$K_{ij}^{t},\overline{K}_{ij}^{t}$ იყოს j-ურ რეგიონში t ასაკის i-ური ჯიშის ერთ ჰექტარ ტყეზე კაპიტალური დაბანდებების ხვედრითი ნორმის აღმნიშვნელი კოეფიციენტები;

$M_{ij}^{t},\overline{M}_{ij}^{t}$ იყოს j-ურ რეგიონში t ასაკის i-ური ჯიშის ერთი ჰექტარი ტყის ავადმყოფმედეგობის წონითი კოეფიციენტები;

$V_{ij}^{t},\overline{V}_{ij}^{t}$ იყოს j-ურ რეგიონში t ასაკის i-ური ჯიშის ერთი ჰექტარი ტყის ხანძარმედეგობის წონითი კოეფიციენტები;

$Q_{ij}^{t},\overline{Q}_{ij}^{t}$ იყოს j-ურ რეგიონში t ასაკის i-ური ჯიშის ერთი ჰექტარი ტყის გაზმედეგობის წონითი კოეფიციენტები;

$\alpha_{ij}^{t},\overline{\alpha}_{ij}^{t}$ იყოს წონითი კოეფიციენტები, რომლებიც გვიჩვენებენ j-ურ რეგიონში t ასაკის i-ური ჯიშის ერთი ჰექტარი ტყის სანიტარულ-ჰიგიენურ როლს;

$P_{ij}^{t},\overline{P}_{ij}^{t}$ არის წონითი კოეფიციენტები, რომლებიც გვიჩვენებენ j-ურ რეგიონში t ასაკის i-ური ჯიშის ერთი ჰექტარი ტყის ნიადაგის გამაუმ-ჯობესებელ როლს;

$\beta_{ij}^{t},\overline{\beta}_{ij}^{t}$ წარმოადგენს წონით კოეფიციენტებს, რომლებიც გა-მოსახავენ j-ურ რეგიონში t ასაკის i-ური ჯიშის ერთი ჰექტარი ტყის ლანდშაფტურ-ესთეტიკურ როლს;

$\gamma_{ij}^{t},\overline{\gamma}_{ij}^{t}$ არის წონითი კოეფიციენტები, რომლებიც გამოსახავენ j-ურ რეგიონში t ასაკის i-ური ჯიშის ერთი ჰექტარი ტყის წყლის მარეგულირებელ როლს;

$b_{ij}^{t}, \overline{b}_{ij}^{t}$ წარმოადგენს j-ურ რეგიონში t ასაკის i-ური ჯიშის ერთი ჰექტარი ტყის მერქნის საშუალო წლიური ნამატის ამსახველ მაჩვენებელს;

$C_{ij}^{t}, \overline{C}_{ij}^{t}$ – მიმდინარე დანახარჯები j-ურ რეგიონში t ასაკის i-ური ჯიშის ერთ ჰექტარ ტყეზე;

S^{j} არის j-ურ რეგიონში ტყით დაფარული ფართობი;

$\tilde{S}^{j}$ არის j-ურ რეგიონში ტყით დაუფარავი ფართობი (რომლის გატყიანება შესაძლებელია);

S_{ij}^{t} – j-ურ რეგიონში t ასაკის i-ური ჯიშის მიერ დაფარული ფართობის ქვედა ზღვარი;

K არის რეგიონის სატყეო მეურნეობაში კაპიტალური დაბანდებების ამსახველი სრული მაჩვენებელი;

δ – დაავადებამედეგობის აუცილებელი მაჩვენებელი რეგიონის ტყეებისათვის;

N არის ხანძარმედეგობის აუცილებელი მაჩვენებელი რეგიონის ტყეებისათვის;

Q – გაზმედეგობის აუცილებელი მაჩვენებელი რეგიონის ტყეებისათვის;

B – მერქნის საშუალო წლიური ნამატის აუცილებელი მაჩვენებელი რეგიონის ტყეებისათვის;

α – ტყის სანიტარულ-ჰიგიენური როლის ამსახველი აუცილებელი მაჩვენებელი რეგიონის ტყეებისათვის;

P – ტყის ნიადაგების გამაუმჯობესებელი როლის ამსახველი აუცილებელი მაჩვენებელი რეგიონის ტყეებისათვის;

β – ტყის ლანდშაფტურ-ესთეტიკური როლის ამსახველი აუცილებელი მაჩვენებელი რეგიონის ტყეებისათვის;

γ არის ტყის წყლის მარეგულირებელი როლის ამსახველი აუცილებელი მაჩვენებელი რეგიონის ტყეებისათვის;

x_{ij}^{t} არის j-ურ რეგიონში ტყით დაფარულ ტერიტორიაზე t ასაკის მქონე i-ური ჯიშის მიერ დაკავებული ფართობი;

$\bar{x}_{ij}^{t}$ არის j-ურ რეგიონში ტყით დაუფარავ ტერიტორიაზე t ასაკის მქონე i-ური ჯიშის მიერ დაკავებული ფართობი;

მოცემული აღნიშვნების პირობებში მოდელს ექნება შემდეგი სახე:

ვიპოვოთ ისეთი $x_{ij}^{t}, \bar{x}_{ij}^{t}$ არაუარყოფითი უცნობები, რომლებიც აკმაყოფილებს პირობებს:

1. შეზღუდვა ტყით დაფარულ ფართობზე:

$$\sum_{i=1}^{m}\sum_{t=1}^{T} x_{ij}^{t} \le S^{j}, \quad j=\overline{1,n} \qquad (1)$$

2. შეზღუდვა ტყით დაუფარავ ფართობზე:

$$\sum_{i=1}^{m}\sum_{t=1}^{T} \bar{x}_{ij}^{t} \le \tilde{S}^{j}, \quad j=\overline{1,n} \qquad (2)$$

3. შეზღუდვა ტყით დაფარული ფართობის დასაშვებ ქვედა ზღვარზე:

$$x_{ij}^{t} \ge S_{ij}^{t}, \; i=\overline{1,m}, \quad j=\overline{1,n}, \; t=\overline{1,T} \qquad (3)$$

4. შეზღუდვა კაპიტალურ დაბანდებებზე:

$$\sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} K_{ij}^{t} \cdot x_{ij}^{t} + \sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} \bar{K}_{ij}^{t} \cdot \bar{x}_{ij}^{t} \le K \qquad (4)$$

5. შეზღუდვა ტყის დაავადებამედეგობის მაჩვენებელზე:

$$\sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} M_{ij}^{t} \cdot x_{ij}^{t} + \sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} \bar{M}_{ij}^{t} \cdot \bar{x}_{ij}^{t} \ge \delta \qquad (5)$$

6. შეზღუდვა ტყის ხანძარმედეგობის მაჩვენებელზე:

$$\sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} V_{ij}^{t} \cdot x_{ij}^{t} + \sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} \bar{V}_{ij}^{t} \cdot \bar{x}_{ij}^{t} \ge N \qquad (6)$$

7. შეზღუდვა ტყის გაზმედეგობის მაჩვენებელზე:

$$\sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} Q_{ij}^{t} \cdot x_{ij}^{t} + \sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} \bar{Q}_{ij}^{t} \cdot \bar{x}_{ij}^{t} \ge Q \qquad (7)$$

8. შეზღუდვა მერქნის საშუალო წლიურ ნამატზე:

$$\sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} b_{ij}^{t} \cdot x_{ij}^{t} + \sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} \overline{b}_{ij}^{t} \cdot \overline{x}_{ij}^{t} \geq B \qquad (8)$$

9. შეზღუდვა ტყის სანიტარულ-ჰიგიენური როლის მაჩვენებელზე:

$$\sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} \alpha_{ij}^{t} \cdot x_{ij}^{t} + \sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} \overline{\alpha}_{ij}^{t} \cdot \overline{x}_{ij}^{t} \geq \alpha \qquad (9)$$

10. შეზღუდვა ტყის ნიადაგის გამაუმჯობესებელ მაჩვენებელზე:

$$\sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} P_{ij}^{t} \cdot x_{ij}^{t} + \sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} \overline{P}_{ij}^{t} \cdot \overline{x}_{ij}^{t} \geq P \qquad (10)$$

11. შეზღუდვა ტყის ლანდშაფტურ-ესთეტიკური როლის ამსახველ მაჩვენებელზე:

$$\sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} \beta_{ij}^{t} \cdot x_{ij}^{t} + \sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} \overline{\beta}_{ij}^{t} \cdot \overline{x}_{ij}^{t} \geq \beta \qquad (11)$$

12. შეზღუდვა ტყის წყლის მარეგულირებელი როლის მაჩვენებელზე:

$$\sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} \gamma_{ij}^{t} \cdot x_{ij}^{t} + \sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} \overline{\gamma}_{ij}^{t} \cdot \overline{x}_{ij}^{t} \geq \gamma \qquad (12)$$

და რომელთათვისაც მიზნის ფუნქციაა მთლიანად ბუნებრივ-ეკონომიკური რეგიონის მიხედვით სატყეო მეურნეობის მიმდინარე დანახარჯები:

$$F(x) = \sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} C_{ij}^{t} \cdot x_{ij}^{t} + \sum_{i=1}^{m}\sum_{j=1}^{n}\sum_{t=1}^{T} \overline{C}_{ij}^{t} \cdot \overline{x}_{ij}^{t} \rightarrow \min \qquad (13)$$

ღებულობს ექსტრემალურ მნიშვნელობას.

აღნიშნულ მოდელში საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკური რეგიონების ტყეებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით და მისი ამოხსნით შესაძლებელია დადგინდეს შემდეგი მაჩვენებლები: რეგიონის ტყის მიწების ფართობებისა და სტრუქტურის მოსალოდნელი ცვლილება, ტყის მიწების ეკონომიკური შეფასება; განისაზღვროს საქართველოს სატყეო მეურნეობის განვითარების პროგრამა სხვადასხვა საოპტიმიზაციო პერიოდისათვის და სხვა.

(1)–(13) მოდელი, წარმოადგენს რა ბუნებრივ-ეკონომიკური რეგიონების ტყის რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტს, ამასთანავე არის აღნიშნული რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის მოდელთა სისტემის მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ანანიაშვილი ი., აჩელაშვილი კ., მესხია ი., პაპავა ვლ., სილაგაძე ა., წერეთელი გ.** მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები. თბილისი, „მეცნიერება", 2003.
2. **წერეთელი გ.** ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების მეთოდოლოგიური საფუძვლები და მათი პრაქტიკული რეალიზაციის მაგალითები. თბილისი, „მეცნიერება", 2000.
3. **Гирусов Э. В.** и др. Экология и экономика природопользования. М., "ЮНИТИ", 1998.
4. Математическое моделирование макроэкономических процессов. Под ред. Котова И. В. `МГУ", 1980.Экономико-математические методы и модели. Под ред. Кузнецова А. В. Минск, "БГЭУ", 2000.

Khuskivadze Mamuka

THE PROBLEM OF OPTIMIZATION OF FOREST RESOURCE USE AND ITS ADEQUATE ECONOMIC-MATHEMATICAL MODEL

SUMMARY

On current stage of postcommunist market transformation in the process of forest resource use and protection in Georgia the most actual has become the problem of

optimization of these resources aroused by production scale as well as by the rise of social demands. Accordingly it should be said that multipurposeful demand on forest resources rauses such an important economic problem before the bodies of forestry, as: to get maximum profit out of one ha of forest fund in the condition of minimum expenditure.

To solve the given economic problem the work offers onepurposeful optimizing economic-mathematical model. that might include factors reflecting main specific signs of forests of each natural-economic region of Georgia.

By means of economic-mathematical model offered by the work should be defined the program of forestry development of Georgia for various optimizing period.

ვლადიმერ ახალაია

საქართველო-გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება

საქართველოსა და გერმანიას შორის ეკონომიკური ურთიერთობა დიდი ხნის წინ არსებობდა, მაგრამ მხოლოდ XIX საუკუნიდან განვითარდა უფრო მეტად. სწორედ XIX საუკუნეში დაიწყო საქართველოში გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლება და გერმანული კაპიტალის მიერ მარგანეცის, ნავთობისა და ფერადი ლითონების მოპოვება და ექსპორტი, ასევე გერმანული ფირმის („სიმენსი“) მიერ ამიერკავკასიაში სატელეგრაფო ხაზების მშენებლობა.

საქართველო-გერმანიის ეკონომიკური ურთიერთობები XX საუკუნეში კიდევ უფრო გაფართოვდა და გაიზარდა. ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო გერმანიასთან ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი ეტაპი. გერმანიამ ერთ-ერთმა პირველმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და დაიწყო მასთან ეკონომიკური თანამშრომლობა. თავიდან ჰუმანიტარული დახმარება აღმოუჩინა, ხოლო შემდგომ წლებში სესხები გამოუყო და საგარეო ვაჭრობისათვის სათანადო პირობები შეუქმნა.

გერმანიის საქართველოთი დაინტერესებას ძირითადად განაპირობებს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსები, სავაჭრო, ინტეგრაციული და ტრანზიტული ინტერესები, აგრეთვე პოლიტიკური ინტერესებიც.

ბუნებრივია, გერმანიის ეკონომიკური ინტერესები ძირითადად საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობასთან არის დაკავშირებული. საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით მას შეუძლია დაამყაროს სავაჭრო და სხვა კავშირები ამიერკავკასიასა და შუა აზიის ქვეყნებთან. ამიტომ გერმანია დაინტერესებულია ევროპა-კავკასია-ცენტრალური აზიის სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებით. ამისთვის კი საჭიროა, საქართველო გახდეს დამოუკიდებელი, თავისუფალი და სტაბილური ქვეყანა. თუ საქართველო იქნება ჩამორჩენილი, არასტაბილური, დაშლილი, გერმანიას, რასაკვირველია, გაუჭირდება თავისი ინტერესების განხორციელება ამიერკავკასიასა და შუა აზიის ქვეყნებთან.

საქართველო-გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობა ძირითადად ვითარდება სავაჭრო, საფინანსო-საბანკო, ტექნიკურ და ტურისტულ სფეროებში, ასევე, გერმანია ეკონომიკურ თანამშრომლობას ეწევა საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამების ფარგლებშიც. ამ მიზნით საქართველოსა და გერმანიას შორის გაფორმებულია მრავალი ხელშეკრულება, რომელთა მეშვეობით რეგულირდება ეკონომიკური თანამშრომლობა. ამავე დროს, მიმდინარეობს მუშაობა ახალ ორმხრივ ხელშეკრულებათა გაფორმებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკონომიკური თანამშრომლობის სრულყოფასა და გაფართოებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და გერმანიას შორის საგარეო ვაჭრობა ყოველწლიურად იზრდება და ფართოვდება. 2007 წელს გერმანიასთან სავაჭრო ბრუნვამ 443,5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი – 56,2 მლნ., ხოლო იმპორტი – 387 მლნ. აშშ დოლარი. 2001-2007 წწ. საქონელბრუნვა თითქმის 4,1-ჯერ გაიზარდა. მაგრამ ექსპორტის ზრდა მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმპორტის ზრდას. 2007 წელს იმპორტმა 387,3 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო ექსპორტმა – 56,2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. სამწუხაროდ, საქართველოში შემოაქვთ ბევრი ისეთი პროდუქცია, რომელთა წარმოება ადგილზე შეიძლება, თანაც არანაკლები ხარისხით. საქართველოში გერმანიიდან შემოაქვთ: საყოფაცხოვრებო ტექნიკა, მანქანა-დანადგარები, ავტომანქანები, ქიმიური მრეწველობის პროდუქცია, ტანსაცმელი და სხვა. საქართველოდან გერმანიაში გააქვთ ფერადი ლითონები, მარგანეცი, მინერალური წყლები, ღვინო, კონიაკი, ჩაი, სუვენირები და სხვა. გერმანიაში საქართველოს ექსპორტს ძირითადად სანედლეულო მიმართულება აქვს. საქართველო-

ში ძალიან ცოტა იწარმოება ისეთი საქონელი, რომლითაც გერმანიის დაინტერესება შეიძლება.

საქართველოს ეკონომიკაში იზრდება გერმანული ინვესტიციები და კაპიტალდაბანდებები. გერმანია მსოფლიოში ინვესტიციების მსხვილი ექსპორტიორი ქვეყანაა. საზღვარგარეთ გერმანიის პირდაპირი ინვესტიციების რაოდენობა 500 მილიარდ დოლარს აღემატება. საქართველოში გერმანიის პირდაპირი ინვესტიციები ხმარდება სამრეწველო, სასოფლო, სატრანსპორტო და სხვა დანიშნულების საწარმოთა რეკონსტრუქცია-გაფართოებას. გერმანიის ფინანსების ბაზაზე განხორციელდა და ხორციელდება თბილისის თბოელექტროსადგურის რეაბილიტაცია, ენერგოგადამცემი ხაზების აღდგენა-რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში და თბილისის შემოგარენში, ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის (4 ჰესი) რეაბილიტაცია. გერმანული კაპიტალი მონაწილეობდა შავი ზღვის ნავსადგურების კეთილმოწყობაში, საბორნე გზის მოწყობაში, კოსმეტიკური ნაწარმის ფაბრიკის რეკონსტრუქციაში, კაფე-სასადილოების მოწყობაში, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის კეთილმოწყობაში, კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაში. აღსანიშნავია გერმანული ფირმა „მარტინ ბაუერის“ საქმიანობა საქართველოში ჩაის წარმოების აღდგენა-აღორძინებისათვის. ამ ფირმამ შეიძინა ჩაის ფაბრიკები, არენდით აიღო ჩაის პლანტაციები. ხოლო წარმოებული პროდუქცია გააქვს როგორც გერმანიაში, ისე სხვა ქვეყნებშიც. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეჩაიები „მარტინ ბაუერის“ ახალ ინვესტიციებსაც ითხოვენ, რათა ფაბრიკები აღიჭურვოს ახალი დანადგარებით და გაიზარდოს ჩაის წარმოება.

აღსანიშნავია, რომ ენერგეტიკა გერმანიის ფინანსური დახმარების პრიორიტეტადაა მიჩნეული. ენერგეტიკის სფეროში საქართველომ გერმანიისაგან ყველაზე მეტი ფინანსური დახმარება მიიღო. მიუხედავად ამისა, გერმანელი სპეციალისტების აზრით საქართველოს ელექტროენერგეტიკის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები დაბალია და ეს სექტორი მნიშვნელოვან რეკონსტრუქციას მოითხოვს.

გერმანულმა ბანკებმა საქართველოს კომერციულ ბანკებს გამოუყვეს გრძელვადიანი და დაბალპროცენტიანი სესხები, რაც მათ საშუალებას აძლევს, შეამცირონ საპროცენტო განაკვეთები და ხელი შეუწყონ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას. მცირე და საშუალო ბიზნესმა კი არსებითი როლი უნდა შეასრულოს საქართველოს

ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. მაგრამ ამისთვის საჭირო საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა.

ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გერმანიამ მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების მიზნით საქართველოში „მიკროსაფინანსო ბანკი“ გახსნა, რომელიც შემდეგ „პროკრედიტ ბანკს“ შეუერთდა. „პროკრედიტ ბანკმა“ კი ბოლო წლებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის 200 მლნ-ზე მეტი აშშ დოლარის დაბალპროცენტიანი სესხი გასცა.

საქართველოში მოქმედებს 200-ზე მეტი ერთობლივი საწარმო და ორგანიზაცია, სადაც გერმანული კაპიტალი მონაწილეობს. თავის მხრივ, ერთობლივი საწარმოების შექმნის გზით, საქართველოში ინერგება მენეჯმენტის დასავლური სისტემა, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გერმანიასთან მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას, რომელიც სხვადასხვა ფორმითა და მიმართულებებით ვითარდება. მათ შორის აღსანიშნავია საინჟინრო-საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურება, ერთობლივი სამეცნიერო-ტექნიკური და საძიებო-საპროექტო სამუშაოების ჩატარება, კანონმდებლობის შემუშავებაში დახმარება, სამედიცინო სექტორზე დახმარება, სასოფლო-სამეურნეო განათლების პროგრამა, ვალების მომსახურების მენეჯმენტის პროგრამა და სხვა.

გერმანიასთან ეკონომიკურ ურთიერთობათა გაფართოების ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება შეიძლება გახდეს ტურიზმი და საქართველოს კურორტები. გერმანიის მუშა-მომსახურეთა თითქმის ნახევარი შვებულებას საზღვარგარეთ ატარებს. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, შევთავაზოთ ჩვენს კურორტებში დასვენება-მკურნალობა და ტურისტული მოგზაურობები საქართველოში. ამისთვის კი საჭიროა მაღალი კლასის სანატორიუმების, სასტუმროების და მომსახურების ინფრასტრუქტურის შექმნა, ქვეყანაში წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აგრეთვე საქართველოს კურორტებისა და ტურისტული მარშრუტების პროპაგანდა და რეკლამა.

გერმანია საქართველოს ეხმარება თავისუფალი მეწარმეობის, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის შექმნაში, საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნისა და საბჭოთა იმპერიის გადმონაშთების

დაძლევაში. სხვა ქვეყნებთან სამართლიანი საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განვითარების თანამშრომლობა. კონცეფცია, მეთოდები, ინფორმაცია პარტნიორი ქვეყნებისათვის. თარგმანი გერმანულიდან. თბ., 2002.
2. **აბრალავა ა.** ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბ., 2005.
3. **ახალაია ვ., ახალაია ი.** გერმანია. თბ., 2004.
4. **ჯოლია გ.** საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეკონომიკურ-სამართებლივი რეგულირება, თბ., 2004.
5. **ბერუჩაშვილი თ.** და სხვები. საქართველო და ევროკავშირი, თბ., 2006.
6. **ცინცაძე გ.** საგარეო-ეკონომიკური კავშირების საფუძვლები, თბ., 2006.
7. **ფუტკარაძე რ.** საქართველო-გერმანიის თანამშრომლობა საბანკო სფეროში. ჟ. „სოციალური ეკონომიკა, №3, 2003.
8. Auswärtiges Amt - Tatsachen über Deutschland. Berlin, 2003.
9. www. statistic. ge

Akhalaia Vladimer

THE DEVELOPMENT OF ECONOMIC COOPERATION BETWEEN GEORGIA AND GERMANY

SUMMARY

The economic cooperation between Georgia and Germany began long ago. But it was widely developed only after the restoration of independence of Georgia.

Today the cooperation between Georgia and Germany basically is developed in the spheres of trade, financial-banking, technics and tourism. Foreign trade between Georgia and Germany is growing every year.In 2007 trade circulation was 443 million USD.Among them export was 56 million USD and import - 387 million USD. In Georgian economy German investments are growing which is spent on the reconstruction of electric stations and enterprises. Here must be mentioned German firm"Martin Bower" whose activity is in renewing and developing of tea. German banks gave Georgian banks long-term and lowpercent loan which is used for the development of small and middle business. The perspective spheres for economic cooperation with Germany are tourism and the resorts of Georgia.

ნუნუ ქისტაური
ცირა მიქატაძე

სამრეწველო ფირმის ეკონომიკის მართვაში დეტერმინირებული ფაქტორული ეკონომიკური ანალიზის მეთოდების გამოყენების ძირითადი პარამეტრები

საბაზრო ურთიერთობათა გარემო ფირმის ეკონომიკის მართვის სფეროში პრინციპულად ახალ მოთხოვნებს აყენებს. საჭიროა თვისებრივად ახალი მეთოდოლოგიური მიდგომებისა და მეთოდების შემუშავება ფირმის ეკონომიკის მართვის თეორიასა და პრაქტიკაში.

სამრეწველო ფირმა ფუნქციონირებს ალბათობითი ხდომილობებით შემოფარგლულ არეში და, ვინაიდან, ფირმის გარემოსთან ურთიერთობა საალბათოა, ამიტომ აქ გამოიყენება ანალიზის საალბათო მეთოდები.

საერთოდ, იმის მიხედვით, მოხდება თუ არა ესა თუ ის მოვლენა (პროცესი, რაობა) საალბათოა (ე.ი. მოხდენის მოსალოდნელობის მიხედვით მოვლენა საალბათოა). მაგრამ ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ემდ, პროფ. გ. ვ. პაპავას აზრს იმის შესახებ, რომ თვით ეს პროცესი (მოვლენა) თავისი აღნაგობით დეტერმინირებულია. მაგ., საწარმოო სისტემა, რომელიც ამზადებს ამა თუ იმ პროდუქციას, ტექნოლოგიურად დეტერმინირებულია. თუმცა საბაზრო კონიუნქტურამ, შესაძლოა, მოცემული სახეობის პროდუქციის ტექნოლოგიის ცვლილება გამოიწვიოს. ამიტომ საჭიროა მოცემული მოვლენის ჩამოყალიბების მართვა დეტერმინირებული და არა საალბათო ფაქტორებით.

ტექნოლოგიის უცვლელობისას, პროდუქციის გამოშვების მოცულობასა და მის საწარმოებლად გამოყენებულ ფაქტორებს შორის არსებობს გარკვეული თანაფარდობა. თუმცა საწარმოო ფუნქციები ტექნოლოგიების შესაბამისად თავისებურებებით ხასიათდებიან, მათ მაინც გააჩნიათ გამჭოლი თვისებები:

1. დროის ხანმოკლე პერიოდში წარმოების ზოგიერთი ფაქტორი უცვლელია, ზოგი ცვალებადი. ამიტომ არსებობს წარმოების მოცულობის გადიდების ზღვარი, რისი მიღწევაც შეიძლება რესურსების ერთი სახეობის დანახარჯთა გადიდებით, სხვა თანაბარ პირობებში (ე.ი. დანარჩენი რესურსების დანახარჯთა უცვლელობისას). ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს წარმოებაში მუშების ჩართვის ზღვარი. ე.ი. დამატებითი მუშების წარმოებაში ჩართვით მიიღწევა ისეთი წერტილი, რომლის შემდეგ ადგილი ექნება რეალური კაპიტალისა და შრომის შეუღლების უკუგების დაცემას. პროდუქციის გამოშვების ამგვარი ზრდით პროდუქციის ერთეულზე ხვედრი ხარჯების გადიდება აღწევს ისეთ ზღვარს, რომელიც გვაძლევს სიგნალს იმის შესახებ, რომ ცვლადი რესურსის გადიდებით აღარ უნდა ხდებოდეს პროდუქციის დამატებითი გამოშვება. ამ ზღვრამდე გამოშვებულ პროდუქციას უწოდებენ წარმოებრივ ზღვრულ პროდუქციას [2, გვ. 252].

2. დროის ხანგრძლივ პერიოდში წარმოების ყველა ფაქტორი იცვლება. ამ შემთხვევაში არსებობს წარმოების ფაქტორთა განსაზღვრული ურთიერთშენაცვლებადობა. ე.ი. აქ შესაძლებელია შრომისა და კაპიტალის რაოდენობათა ისეთი ურთიერთშენაცვლებადობა, რომ არ მოხდეს პროდუქციის მოცულობის შემცირება.

მაგრამ საბაზრო ურთიერთობათა გარემოში წარმოება დამოკიდებულია მომხმარებლის მოთხოვნაზე. აქ ფირმა საბაზრო კონიუნქტურაზეა ორიენტირებული. ამიტომ წარმოიქმნება მარკეტინგული ზღვრული პროდუქცია [2, გვ. 251], ე.ი. ისეთი დამატებითი პროდუქცია, რომლის შემდგომი ზრდა წარმოების ხარჯებისა და პროდუქციის ფასის გათანაბრებას იწვევს. ასეთ პირობებში (ე.ი. გარემოს მიერ რესურსების და პროდუქციის ამგვარი შეფასებისას) პროდუქციის გამოშვების შემდგომი ზრდა უაზროა მეწარმისათვის (ბიზნესმენის, ფირმისა თუ ქვეყნისათვის).

უნდა აღინიშნოს, რომ სამრეწველო ფირმის გარემომცველ არეში მომხდარი ცვლილებები ზეგავლენას ახდენს მის საქმიანობასა და ქცევებზე. გარემო ზეგავლენას ახდენს როგორც ფირმის საწარმოო-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბებაზე, ასევე საწარმოო-მარკეტიკლის მსვლელობაზე. საწარმოო-მარკეტიკლის ხერხემალს წარმოადგენს საწარმოო-ტექნიკური ბაზა, რომლის საწყისია ნედლეული და სხვა მატერიალურ-ენერგეტიკული რესურსები, ხოლო მისი ძირითადი ინგრედიენტებია: რეალური (ძირითადი) კაპიტალის და შრომის ერთეულების მთლიანობითი სისტემა.

გარემო უხილავი ხელით მართავს ფირმას და მის ქცევას არეგულირებს სიტუაციათა ცვლილებებით, ვინაიდან ფირმა საალბათო არეში ფუნქციონირებს, რაც იწვევს სიტუაციური მართვის აუცილებლობას. ეს კი მოითხოვს ალბათობითი მეთოდების გამოყენებას. ამიტომ სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღებისას გამოიყენება ანალიზის ალბათობითი მეთოდები.

წარმოება დროის მოცემული პერიოდით დაფიქსირებული მოვლენის (პროცესის, რაობის) სიდიდის ჩამოყალიბების პროცესის ამსახველია (მაგალითად, გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, მოგება). ამიტომ მისი გაანალიზება წარმოებს დეტერმინირებული ფაქტორული ეკონომიკური ანალიზის მეთოდებით. არსებობს დეტერმინირებული ფაქტორული ეკონომიკური ანალიზის მრავალი მეთოდი, რომელთაგან პერიოდანტული მეთოდით განხორციელებული ანალიზი არკვევს წარმოების საბოლოო შედეგების – გაყიდვათა მოცულობისა და ბიზნესმოგების ცვლილებაში ფაქტორ-თანამამრავლთა მონაწილეობას (წვლილს).

ფირმის ეკონომიკის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი ხორციელდება დეტერმინირებული ფაქტორული ეკონომიკური ანალიზის მეთოდებით. მათ შორის, პერიოდანტული მეთოდი უტყუარობითა და ორგანიზე-

ბულობის გაზომვის უპირატესობით გამოირჩევა. იგი უზრუნველყოფს ფირმის ეკონომიკის მართვას ანალიზურ-შემფასებელი სისტემების მეშვეობით [3].

სიტუაციური მართვა ორიენტირებულია, მოერგოს გარემომცველ არეში მომხდარ და მოსალოდნელ ცვლილებებს და განახორციელოს ისეთი ღონისძიებები, რომლის ხარჯები უზრუნველყოფს ფირმის საქმიანობის უკუგების ზრდას. ამავე დროს, საწარმოო სისტემა ორიენტირებულია მმართველობითი რაციონალიზმით (ე.ი. შიდასაწარმოო პროცესების რაციონალური წარმართვით) განახორციელოს სიტუაციური მართვით ნაკარნახევი დამატებითი დანახარჯების ისეთი ეკონომია, რომელიც გამოიწვევს გარედან მიღებული (ან მოსალოდნელი) უკუგების ზრდას შიდასაწარმოო ეკონომიით მიღებული უკუგებით. ე. ი. აქ ხორციელდება სიტუაციური მართვისა და მმართველობითი რაციონალიზმის იმგვარი შეუღლება, რომელიც მოგვცემს უკუგებათა უწყვეტ ზრდას.

ამრიგად, სამრეწველო ფირმის ეკონომიკის მართვაში არსებითი მნიშვნელობა აქვს საწარმოო სისტემის ტექნიკურ-ეკონომიკურ მახასიათებელთა მართვას გაზომვის დეტერმინირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით.

ყოველი მოცემული ტექნოლოგიისათვის შესაძლებელია მოინახოს საწარმოო ფაქტორებსა და გარემოს კარნახით დამატებით გამოსაშვები პროდუქციის მაქსიმალურ მოცულობას შორის იმგვარი შეუღლება, რომლის დროსაც იხარჯება ამ ფაქტორების საერთო დანახარჯთა მინიმუმი. ამგვარი შესაძლებლობა აღიწერება გარემოსთან საწარმოო სისტემის მარკეტინგული შეუღლების ფუნქციით. მაშინ ყოველი მოცემული ტექნოლოგიისათვის შესაძლებელია აიგოს გარემოსთან მარკეტინგული შეუღლება და ამით ჩამოყალიბდეს ფირმის მეურნეობრიობის სტრატეგიული ზონები. ამ ზონების მიხედვით განსხვავდება საწარმოო ფაქტორების საერთო დანახარჯების მინიმუმსა და პროდუქციის მაქსიმუმს შორის თანაფარდობა.

გრძელვადიან პერიოდში ყოველი ფირმის ფუნდამენტური პრობლემაა საწარმოო ფაქტორების იმგვარი შეთანაწყობის მიგნება (მონახვა), რომელიც უზრუნველყოფს წარმოების განსაზღვრულ (ზღვრულ) მოცულობას წარმოების მინიმალური დანახარჯებით.

იმისათვის, რომ ფირმის მიერ გამოშვებულმა პროდუქციამ არ გადააჭარბოს ზღვრულ მოცულობას, მისი წარმოება (ანუ დამატებითი მო-

ცულობით გამოშვება) უნდა მოხდეს ზღვრული პროდუქციის ფარგლებში.

ამის გამო ფირმის ეკონომიკაში წარმოების ფუნქციის მარკეტინგის ფუნქციასთან შეუღლებით წარმოების ფაქტორთა ისეთი შეუღლებაა მისაგნები, რომელიც პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების შემცირებით კიდევ უფრო გაადიდებს დამატებითი პროდუქციის გამოშვების მარკეტინგულ ზღვარს. ე.ი. განახორციელებს დამატებითი პროდუქციის მაქსიმიზაციას პროდუქციის მოცულობის გადიდების მიზანშეწონილობის გაზრდით.

ამგვარი მიდგომა საბაზრო გარემოში, სადაც კონკურენცია მძვინვარებს, აუცილებელია ფირმის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად. ე.ი. აქ ფირმის შემოსავლების ზრდა უნდა განხორციელდეს დამატებითი პროდუქციის მინიმალური დანახარჯებით გამოშვების გზით (მაშინ, როცა საქონლით გაუჯერებელი ბაზრის პირობებში ფირმის შემოსავლის ზრდის წყაროა ფასების ზრდა).

მაშასადამე, საბაზრო გარემოში სამრეწველო ფირმის საწარმოო სისტემის ძირითადი ამოცანაა ზღვრული (დამატებითი) პროდუქციის წარმოებისას დანახარჯების შემცირებაზე ორიენტაციის აღება. ამ ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია ანალიზურ-შემფასებელი სისტემების მექანიზმის დახმარებით.

ამრიგად, გარემოში შექმნილი სიტუაცია აიძულებს ფირმას, შეიმუშაოს საკუთარი პოზიცია (პოზიციის შემუშავება ხდება სიტუაციის შესაბამისად). ამ პოზიციაზე რეაგირებას ახდენს საწარმოო სისტემა და ეს რეაგირება უნდა განხორციელდეს ანალიზურ-შემფასებელი სისტემების მექანიზმით. ამ რეაგირების ანალიზიც უნდა განხორციელდეს დეტერმინირებული და არა ალბათური მეთოდებით, ვინაიდან ფირმის მიერ პოზიციის განსაზღვრის შემდეგ პროცესი უკვე დეტერმინირებულია.

სამრეწველო ფირმის საწარმოო სისტემა ახორციელებს დროის მოცემული პერიოდით დაფიქსირებული რაობის ჩამოყალიბებას. ამ რაობის ჩამოყალიბების პროცესი დეტერმინირებულია. ამიტომ ის უნდა გაანალიზდეს დეტერმინირებული ფაქტორული ეკონომიკური ანალიზის და არა ალბათობითი მეთოდებით.

ამ მეთოდებიდან პერიოდანტული მეთოდის მეშვეობით ხდება ფაქტორ-თანამამრავლთა (მულტიპლიკატორთა) მონაწილეობის განსაზღვრა

წარმოების საბოლოო შედეგების – პროდუქციის გაყიდვათა მოცულობისა და ბიზნესმოგების – ცვლილებაში.

მარკეტინგული კვლევა ხორციელდება ეკონომიკური ანალიზისათვის მათემატიკური სტატისტიკის ალბათობითი მეთოდების მეშვეობით. აქ მათემატიკური მოსალოდნელობის განსაზღვრისათვის იყენებენ ალბათობის კოეფიციენტთა განსაზღვრის მათემატიკურ ინსტრუმენტარიას.

სამრეწველო ფირმის საწარმოო სისტემის მარკეტმართვა ფირმის ეკონომიკის გასაანალიზებლად იყენებს დეტერმინირებული ფაქტორული ეკონომიკური ანალიზის მეთოდებს. ჩვენი შეხედულებით, ამ მეთოდებიდან სიზუსტის მაღალი კლასითა და ორგანიზებულობის გაზომვის უპირატესობით ხასიათდება პერიოდანტული მეთოდი. იგი ანალიზურ-შემფასებელი სისტემებით უზრუნველყოფს ფირმის ეკონომიკის წარმატებულ მართვას.

ფირმის მენეჯერმა უნდა განახორციელოს მმართველობითი რაციონალიზმის (ანუ ოპერაციული მართვის) და სიტუაციური მართვის (ანუ პოზიციური მართვის) შეუღლების ოპტიმიზაცია. პირველი მათგანი (ოპერაციული მართვა) უზრუნველყოფს ხარჯების შემცირებას პროდუქციის ერთეულზე, პოზიციური, ანუ სიტუაციური მართვა კი დამატებითი პროდუქციის მისაღებად ახორციელებს ხარჯთმატებას ისე, რომ მათი შეუღლება გვაძლევდეს ხარჯთუკუგების მაქსიმიზაციას.

მეურნეობრიობის სტრატეგიული ზონების მიხედვით მენეჯერი უნდა ახორციელებდეს პოზიციურ-ოპერაციული მართვის შეუღლებას იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს ხარჯთუკუგების ზრდა. ასეთი შეუღლება აუცილებელია ფირმის კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად.

ასეთი შეუღლება (მსზ-ების მიხედვით მმართველობითი რაციონალიზმისა და სიტუაციური მართვისა) შესაძლებლობას აძლევს მენეჯერს, გააანალიზოს, გააკონტროლოს და რეაგირება განახორციელოს პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის სრულ ციკლზე (ე.ი. წარმოება-მარკეტიკლზე), ეკონომიკური და ფინანსური შედეგების ფორმირების მთელ პროცესზე. ფირმის მენეჯერებმა აუცილებლად უნდა აწარმოონ გაზომვები. ეს აუცილებელია მწარმოებლურობის მართვისა და მისი ამაღლებისათვის. ასეთი სიზუსტე გაზომვებში გვევლინება მმართველობითი გადაწყვეტილებების საიმედო დასაყრდენად, ხოლო ფირმის ეკონომიკის შედეგიანობის გაზომვა, შეფასება და კონტროლი მენეჯმენტის გადამწყვეტი ელემენტია.

სამრეწველო საწარმოებში მმართველობა ძირითადად ეყრდნობა ინდექსურ ფაქტორულ ანალიზს და დეტერმინირებული ფაქტორული ეკონომიკური ანალიზის ე.წ. ჯაჭვური ჩასმის მეთოდს. ამ მეთოდებით განხორციელებული ანალიზი ვერ უზრუნველყოფს მენეჯერებს უტყუარი ინფორმაციით, რაც ვერ პასუხობს ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს.

თანამედროვე საბაზრო ურთიერთობათა ეპოქაში ინფორმაცია მართავს ყველაფერს. ამიტომ მარკეტ-მართვისათვის აუცილებელია სათანადო ინფორმაციის მიმწოდებელი უტყუარი ეკონომიკური ანალიზის მეთოდი.

დფეა-ს მეთოდებში თანამამრავლთა სისტემაში მათი განლაგების თანმიმდევრობას არ აქვს მნიშვნელობა. ე.ი. არაა დასაბუთებული თანამამრავლთა გადაადგილების თანმიმდევრობა. თუმცა ჯაჭვური ჩასმის მეთოდი ამ მიზნით აღმოცენდა. მაგრამ ამ თანამიმდევრობის ავტორები ფაქტორ-თანამამრავლთა გენეტიკურ თანმიმდევრობას ვერ ითვალისწინებენ.

გ. პაპავას მიერ მეცნიერული შემეცნების სისტემური მეთოდოლოგიით იქნა მიგნებული ამ პრობლემის გადაჭრის გზა, რის საფუძველზეც აიგო ანალიზურ-შემფასებელი სისტემები. ამ სისტემების საშუალებით ხდება მმართველობითი რაციონალიზმისა და სიტუაციური მართვის დაკავშირება. გარდა ამისა, ეს სისტემები შიდასაწარმოო პროცესების მაორგანიზებელი სტრატეგიისათვის ორიენტაციის მიმცემი მექანიზმის როლსაც კისრულობენ.

საყოველთაო კონკურენციის პირობებში დროის მოცემული პერიოდის რაციონალურად ათვისება აუცილებლობით მოითხოვს მარკეტინგულ მართვას.

სამრეწველო ფირმისათვის დროის პერიოდი ისეთი განსაკუთრებული ტიპის რესურსია, რომლის მსვლელობაში საჭიროა რაიმე საქმიანობის განხორციელება (პროდუქციის წარმოება, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება და ა.შ.). ბუნებრივია, რაც უფრო მეტი საქმე მოესწრება დროის მოცემულ პერიოდში, მით უფრო უკუგებიანი იქნება იგი.

ამიტომ დროის ამ პერიოდის სრულყოფილი, წარმატებული გამოყენება დამოკიდებულია საქმიანობის ორგანიზებულობაზე. დროის მოცემულ პერიოდში დაფიქსირებულ ხდომილობას, ეკონომიკურ რაობას

უწოდებენ პერიოდანტს (ე.ი. ეს ისაა, რაც მოხდა დროის მოცემულ პერიოდში. მაგ., პროდუქციის წარმოება-გასაღება, მოგება . . .).

მაშასადამე, სამრეწველო ფირმამ დროის მოცემულ პერიოდში საწარმოო და მიმოქცევის რესურსების უკუგებიანი შეუღლება უნდა განახორციელოს. ამით მიიღოს წარმოება-მარკეტიკლის მაღალი საბოლოო შედეგები.

პერიოდანტულ-გენეტიკური თვალთახედვით, სამრეწველო ფირმის სტატისტიკური მაჩვენებლები გვევლინება დროის მოცემული პერიოდით დაფიქსირებული ხდომილობის (რომელიც ყალიბდება საწარმოო პროცესის მსვლელობისა და რესურსების გამოყენებისას) რიცხობრივად გაზომილ ტექნიკურ-ეკონომიკურ მახასიათებლებად. დროის პერიოდი აქ წარმოადგენს განსაკუთრებული ბუნების მქონე ასათვისებელ რესურსს, ხოლო მაჩვენებელი კი – ესაა დროის იმავე პერიოდით დაფიქსირებული ამა თუ იმ საწარმოო რესურსის ათვისების მახასიათებელი (ე.ი. თუ რამდენად იქნა ათვისებული ეს რესურსი).

ასე, მაგალითად, თუ განვიხილავთ დროის ერთწლიან პერიოდში შრომას, როგორც დახარჯულ რესურსს, იგი აღირიცხება კაცსაათებში, კაცდღეებსა და ბოლოს მუშაკების საშუალო სიობრივი რიცხვით. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მარტო საზომი ერთეულებით, არამედ სხვადასხვა ფაქტორით გამოწვეული შრომის დანაკარგებითაც. თუმცა აქ დროის ერთსა და იმავე პერიოდზეა საუბარი, მიუხედავად იმისა, იგი შრომის წმინდა დანახარჯებს მოიცავს თუ შრომის დანაკარგებსაც. ეს ხდება იმიტომ, რომ შიდასაათობრივი მოცდენები შედის კაცსაათებში. ესაა შრომის ფარული დანაკარგები. მათი ცალკე აღრიცხვა არ ხდება და ამიტომ შედის შრომის დანახარჯებში. ასევე კაცდღეები მოიცავს ცვლისშიდა მოცდენებს, მუშების საშუალო სიობრივი რიცხვი მთელდღიური მოცდენების ჩათვლით აღირიცხება და ამდენად ავსებს დროის მოცემულ პერიოდს. ამის დასტურია ის გარემოება, რომ აღირიცხება არა ფაქტობრივად მომუშავეები, არამედ მათი სიობრივი რიცხოვნობა.

მაშასადამე, დროის პერიოდი მოიცავს არა მხოლოდ საწარმოო რესურსების დანახარჯებს, არამედ მათ დანაკარგებსაც. აქედან გამომდინარე, დროის მოცემული პერიოდი მით უფრო მაღალუკუგებიანი იქნება, რაც ნაკლები იქნება ეს დანაკარგები.

ასეთი ვითარებაა ყველა რესურსის მიმართ (იქნება ეს საწარმოო თუ მიმოქცევის). მათი ათვისება დაფიქსირებულია დროის პერიოდით. თუ როგორაა გამოყენებული დროის ეს პერიოდი, ამაზე პასუხს იძლევა სტატისტიკურ მაჩვენებელთა უკუგებითი შეუღლება დროის მოცემულ პერიოდში.

ამრიგად, პერიოდანტულ-გენეტიკური თვალსაზრისით, სტატისტიკური მაჩვენებლები – ესაა საწარმოო პროცესის მსვლელობის და საწარმოო რესურსების გამოყენება-უკუგების დროის მოცემული პერიოდით დაფიქსირებული რიცხობრივად გაზომილი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები [2, გვ. 277-278].

აქ ხდება სამრეწველო ფირმის ფუნქციონირების შედეგობრივ მაჩვენებელთა დანაწევრება ელემენტ-თანამამრავლებად. ამით წარმოიქმნება მულტიპლიკაციური სისტემა, რომელიც მოიცავს ყოველი ელემენტ-თანამამრავლის როგორც ლოკალურ, ასევე ორგანიზებულობის ეფექტსაც. მათი გაზომვა ცალ-ცალკე შესაძლოა დფეა-ს პერიოდანტული მეთოდით. აქ საწარმოო სისტემის ორგანიზებულობის ეფექტი ხდება მართვის უშუალო ობიექტი.

ამგვარი მიდგომა აუცილებელია საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, ასევე მარკეტ-მართვის ინსტრუმენტარიის სრულყოფის მიზნით. აქ მხედველობაშია მისაღები მენეჯერთა მართებული ორიენტაცია, რათა არსებული ვითარების ობიექტური შეფასების საფუძველზე მიიღონ სათანადო გადაწყვეტილებანი. აქ მთავარი როლი უნდა შეასრულოს სამრეწველო ფირმის ეკონომიკის საბოლოო შედეგების ეკონომიკური ანალიზის მეცნიერულად დასაბუთებულმა მეთოდმა.

გ. პაპავას შეხედულებით, რომელსაც ვიზიარებთ, დფეა-ს მეთოდი, გარდა ტრადიციულად არსებული ერთი პირობისა, რომლის მიხედვითაც წარმოების საბოლოო შედეგის ცვლილებაში (ზრდა-შემცირებაში) ყოველი ელემენტ-თანამამრავლის მონაწილეობის გაზომილ სიდიდეთა ჯამი ტოლი უნდა იყოს მათი თანამოქმედების საერთო საბოლოო შედეგის ცვლილებისა, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1. წარმოების საბოლოო შედეგის ცვლილებაში ყოველი ელემენტ-თანამამრავლის მონაწილეობა განხილული უნდა იქნეს, როგორც მთელის სტრუქტურული შემადგენელი ნაწილი (ანუ ინგრედიენტი). სახელდობრ, ნაწილების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს მთელს. მაგ., თუ წარმოების საერთო მოცულობის ნამატია 100 ერთეული, მაშინ იგი არ

შეიძლება მიღებულ იქნეს 120 და –20 ერთეულით, ვინაიდან 120 და 20 არ წარმოადგენს 100-ის შემადგენელ ნაწილებს. ე.ი. აუცილებელია მთელის რეალური სტრუქტურის შენარჩუნება, გათვლებით არ შეიძლება მთელის კონსტრუქციის დარღვევა და მის აღნაგობაში ნაწილის ადგილის უგულებელყოფა. ამრიგად, ნაწილები აუცილებლად მთელის შემადგენლობაში უნდა თავსდებოდეს.

2. მთელისა და ნაწილების ურთიერთობაში არსებული რეალური სტრუქტურის დაფიქსირება მოითხოვს ელემენტ-თანამამრავლთა მონაწილეობის თანმიმდევრობის მკაცრად განსაზღვრას, ე.ი. აუცილებელია წარმოების საბოლოო შედეგის ჩამოყალიბებაში ელემენტ-თანამამრავლთა ჭეშმარიტი გენეტიკური თანმიმდევრობის განსაზღვრა მეცნიერული შემეცნების სისტემური მეთოდოლოგიით.

მულტიპლიკაციური მოდელების დფეა-ს მეთოდების მეშვეობით განისაზღვრება ყოველი ფაქტორ-თანამამრავლის მონაწილეობა მათი თანამოქმედების საერთო საბოლოო შედეგის ცვლილებაში.

ამასთან, ეს მონაწილეობა განისაზღვრება აბსოლუტური სიდიდეებით (და არა შეფარდებითი). საბოლოო შედეგის ცვლილება პირდაპირ ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია ფაქტორ-თანამამრავლთა ცვლილებასთან. ამით ფიქსირდება ფაქტორული ეკონომიკური ანალიზის დეტერმინირებულობა.

სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია, რომ დფეა-ს მულტიპლიკაციურად აგებული მოდელების წინაშე შემდეგი პრობლემები დგას:

1. წარმოების საბოლოო შედეგების ბუნებრივი ფორმირების მულტიპლიკაციურ მოდელებში არაა გამოვლენილი ფაქტორ-თანამამრავლთა მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობა;

2. არაა გარკვეული, თუ საბოლოო შედეგის ფორმირების ეკონომიკური ბუნება რამდენად ბუნებრივადაა იმიტირებული ფაქტორ-თანამამრავლთა ჯაჭვურ სქემაში, სადაც ერთი ფაქტორ-თანამამრავლის მნიშვნელი მეორის მრიცხველს წარმოადგენს ანდა პირიქით.

3. აუცილებელია ყოველი ეკონომიკური მოვლენის ფორმირების მულტიპლიკაციური მოდელის ფაქტორ-თანამამრავლთა შემადგენლობის დაფიქსირება. აქ საბოლოო შედეგის გაზომვა ხდება სათანადო ეკონომიკური მაჩვენებლით (შრომის მწარმოებლურობა, თვითღირებულება, მოგება, საბრუნავი სახსრები, ბრუნვადობა და ა.შ.).

4. საჭიროა ფაქტორ-თანამამრავლთა ერთობლივი მოქმედების საბოლოო შედეგების ჩამოყალიბების სისტემათა მოდელირების მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომა (ე.ი. არაა შემუშავებული მეცნიერულად დასაბუთებული ისეთი მიდგომა, რომელიც ასახავს ფაქტორ-თანამამრავლთა ერთობლივი მოქმედების საბოლოო შედეგების ფორმირების სისტემათა მოდელირებას).

წარმოების საბოლოო შედეგის ფორმირების პროცესის გამოკვლევისას (განსხვავებით ფაქტორ-თანამამრავლთა თანამოქმედების საერთო შედეგის გამოკვლევისაგან) აუცილებელია ზემოაღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დფეა-ს არსებულ მეთოდოლოგიაში ანალიზის ამგვარი მეთოდების შემუშავებისას საკმარის პირობად თვლიან ფაქტორ-თანამამრავლთა გავლენების დამაფიქსირებელ შესაკრებთა ჯამის ტოლობას მათი თანამოქმედების საერთო შედეგის აბსოლუტურ ცვლილებასთან.

ამგვარი მიდგომა გამოსადეგია წმინდა მათემატიკური ხერხებისათვის. დფეა-ს მეთოდებში კი ამგვარი მიდგომის გამოყენება არასწორია, ვინაიდან იგი გამორიცხავს წარმოების საბოლოო შედეგების ფორმირებაში ყოველი ინგრედიენტის როლს და წონადობას.

ასეთი მეთოდებით განხორციელებული ანალიზის საფუძველზე შემუშავებულ ღონისძიებათა სისტემას შეცდომაში შეჰყავს მენეჯერები. ამგვარი მეთოდები წარმოების საბოლოო შედეგების ფორმირებაში ინგრედიენტთა მონაწილეობის არაადეკვატური სტრუქტურის განმსაზღვრელია.

მაშასადამე, აუცილებელია, ეკონომიკური ანალიზის მეთოდოლოგიაში რეალურ სინამდვილეში არსებული სტრუქტურისადმი გათვლილი სტრუქტურის ადეკვატურობის პრინციპის შემოღება და არასაკმარისად ჩაითვალოს მხოლოდ ფაქტობრივ ნამატსა და გათვლებით მიღებულ ნამატ ინგრედიენტთა ჯამს შორის ტოლობის პრინციპი.

პროფ. გ. პაპავას მიერ შემოთავაზებული მიდგომა დფეა-ს დეტერმინირების დონის ამაღლების შესაძლებლობას იძლევა. იგი გვიჩვენებს, რომ წარმოების საბოლოო შედეგის ყოველი მაჩვენებლის ფორმირების პროცესს გააჩნია გენეზისის ბუნებრივი პროცესით განპირობებული “ძვალკუნთოვანი” სისტემა. აქ აუცილებელია ეკონომიკური რაობის ფორმირებაში ბუნებრივად მიმდინარე პროცესების რეალური ასახვა. არ

უნდა იქნეს იგნორირებული ის ბუნებრივი თანმიმდევრობა, რომლითაც მონაწილეობენ ფაქტორ-თანამამრავლები ეკონომიკური მოვლენის (პროცესის) ჩამოყალიბების ბუნებრივ პროცესში.

ასევე ეკონომიკურ ლიტერატურაში გადაუჭრელია ე.წ. "დაუნაწილებელი ნაშთის" პრობლემა, რომელიც მოითხოვს მეცნიერულად დასაბუთებულ გადაწყვეტას.

ზემოაღნიშნულ პრობლემათა გადაჭრა შეუძლებელია ტრადიციული მიდგომებითა და მეთოდებით. აქ აუცილებელია წარმოების საბოლოო შედეგის მულტიპლიკაციური ჩამოყალიბების გენეზისის ბუნებრივი პროცესის განსაზღვრა და ამ საბოლოო შედეგის ცვლილებაში ფაქტორ-თანამამრავლთა რეალური წვლილის გათვლა დფეა-ს მეთოდებით. აქ მოითხოვება ფირმის ეკონომიკის მართვის მექანიზმის მეცნიერული გააზრება. ასეთ მიდგომად, ჩვენი შეხედულებით, გვევლინება პერიოდანტულ-გენეტიკური მიდგომა, რომელიც მოწოდებულია, განახორციელოს ფირმის ეკონომიკის მაღალორგანიზებული მართვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

ჩვენი შეხედულებით, აუცილებელია საქართველოს სამრეწველო საწარმოთა მართვის განხორციელება ანალიზურ-შემფასებელი სისტემების მექანიზმის მეშვეობით, რათა საბაზრო ეკონომიკის პირობებში გაუმართავი მეთოდით სარგებლობა მათთვის გამაკოტრებელი არ აღმოჩნდეს.

აღნიშნული მიდგომითა და სისტემებით განხორციელებული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ღონისძიებათა მეშვეობით ფირმის ფუნქციონირების წარმართვა მენეჯერს კონკურენტუნარიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას მისცემს როგორც ოპერაციული, ასევე პოზიციური მართვის სფეროში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბურდული ფრ.** ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის აქტუალური საკითხები. თბილისი, სს "პირველი სტამბა", 2003.
2. **პაპავა გ.** სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა. ორტომეული. I-II ტომი. თბილისი, "სამშობლო", 1998.

3. **პაპავა გ.** ეკონომიკური ანალიზის პერიოდანტული მეთოდი. თბილისი, 2001.

4. **ქისტაური ნ.** სამრეწველო ფირმის მართვის სრულყოფის აქტუალური საკითხები. თბილისი, "უნივერსალი", 2004.

5. **წერეთელი გ.** ეკონომიკის მათემატიკური მოდელირების მეთოდოლოგიური საფუძვლები და მათი რეალიზაციის პრაქტიკული მაგალითები. თბილისი, "მეცნიერება", 2000.

6. **Баканов М. И., Шеремет А. Д.** Теория экономического анализа. М., «Финансы и статистика», 1997.

7. **Долан Э., Линдсей Д.** Микроэкономика. Санкт-Петербург, «Литера плюс", 1996.

8. **Пол Хейне.** Экономический образ мышления (пер. с англ.). М., «Новости», 1991.

9. **Прокопов С. В.** Экономико-математическое моделирование промышленного производства. Киев, 2003.

10. **Савицкая Г. В.** Анализ хозяйственной деятельности предприятия. Минск, «Экоперспектива», 1998.

11. **Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р.** Экономика (пер. с англ.). М., «Дело», 1994.

Kistauri Nunu
Mikatadze Tsira

BASIC PARAMETRES OF USING THE METHODS OF DETERMINED FACTORAL ECONOMIC ANALYSIS IN THE MANAGEMENT OF INDUSTRIAL FIRM

SUMMARY

The sector of market relations requires the use of new methods and methodological approaches in the management of industrial firms.

Manager of industrial firm when receiving strategic managerial decisions uses the methods of stochastic analysis and in the managment of internal production processes – the methods of determined factoral economic analysis.

In the economy of a firm there are used many methods,among which periodantal method (the author of which is d.e.sc., prof. G. Papava) is characterized by exectifude and advantage to estimate the organization.

This method provides the management of the firm's economy with the help of analitical-estimating system (elaborated by prof. G. Papava). It is expedient to realize the management of the economy of a firm by such a method of determined factoral economic analysis which actually reflects current processes and shall be built on the basis of natural mechanism of their formation.

ზურაბ რევიშვილი

სასოფლო შინამეურნეობების ზომების სახელმწიფო რეგულირების საერთაშორისო გამოცდილება

სასოფლო მეურნეობების საშუალო ზომა მკვეთრადაა განსხვავებული დედამიწის კონტინენტებსა და ქვეყნებს შორის. იგი დამოკიდებულია ქვეყნების გეოგრაფიულ, განვითარების ისტორიულ და სხვა ფაქტორებზე. 90-იანი წლების პირველ ნახევარში, ავსტრალიაში სასოფლო მეურნეობის საშუალო ზომამ (მიწით სარგებლობის მაჩვენებელი) შეადგინა 3813, ახალ ზელანდიაში – 224, აშშ-ში 477, კანადაში 242 ჰა. ევროპაში ეს ზომები საშუალოდ უფრო ნაკლებია: ასე, მაგალითად, ბელგიაში (1997 წ.) იგი შეადგენდა 18, დანიაში 37, საფრანგეთში 35, გერმანიაში 20, ირლანდიაში 27, ნიდერლანდებში 17, ესპანეთში 18, შვეციაში 29, დიდ ბრიტანეთში 67 ჰა-ს; შედარებით უფრო მცირე ზომის საშუალო მეურნეობები იყო რიგ ქვეყნებში: მაგალითად, ავსტრიაში 12, ნორვეგიაში 11, შვეიცარიაში 10, ფინეთში 10, პორტუგალიაში 8, იტალიაში 6, საბერძნეთში 4, ევროკავშირის 12 ქვეყანაში საშუალოდ 16 ჰა, იაპონიაში 1,2 ჰა [1].

ქვეყნების უმეტესობაში შეიმჩნევა სასოფლო შინამეურნეობების საშუალო ზომის ზრდის ტენდენცია, თუმცა 70-იან, 80-იან და 90-იანი წლების პირველ ნახევარში მათი ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად განსხვავებული იყო. აღსანიშნავია, რომ რიგ ქვეყნებში (ავსტრია, საბერძნეთი, იტალია), აღნიშნულ პერიოდში არ მომხდარა მეურნეობის საშუალო ზომის მნიშვნელოვანი ცვლილება.

სასოფლო შინამეურნეობის საშუალო ზომები აზიისა და აფრიკის რიგ განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვნად მცირეა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. ასე, მაგალითად, 90-იან წლებში საშუალოდ ერთ მუშაკზე მიწის ფართობმა შეადგინა: ბანგლადეშში 0,42, ინდოეთში 0,84, ჩინეთში 1,08, ინდონეზიაში 0,94, ტაილანდში 1,21, ტაივანში 0,80, ეგვიპტეში 0,44 ჰა. ამავე დროს ერთ მუშაკზე საშუალოდ მოდიოდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი: ბანგლადეშში 1,07, ინდოეთში 1,27, ჩინეთში 0,27, ინდონეზიაში 0,40, ტაილანდში 0,57, ეგვიპტეში 1,37 სული. წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი კი – ბანგლადეშში 0,52, ინდოეთში 0,80, ჩინეთში 1,19, ინდოეზიაში 0,64, ტაილანდში 0,26, ეგვიპტეში 1,20 სული [2, გვ. 111, 113]. ბუნებრივია, შინამეურნეობის მცირე ზომაა მიზეზი მისი დაბალეფექტიანობისა და მთლიანად ქვეყნის სოფლის მეურნეობის განუვითარებლობისა.

მსოფლიო გამოცდილება ასევე გვიჩვენებს, რომ მცირე ზომის ფერმები, გარკვეულ პირობებში, შეიძლება გახდნენ საკმაოდ ეფექტიანი. ბერიმ და კლაინმა რიგი ქვეყნების მაგალითზე აჩვენეს, რომ მრავალ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა უფრო მაღალია მცირე ზომის მეურნეობებში, ვიდრე მსხვილ მეურნეობებში. პაკისტანის მცირე ზომის მეურნეობებში მოსავლიანობა 2,7-ჯერ აღემატებოდა მსხვილ მეურნეობებს; ხოლო მალაიზიაში, სადაც მცირე მეუნეობებს გააჩნდათ 0,7-1,0 ჰა, მოსავლიანობა 1,5-ჯერ აღემატებოდა შედარებით მსხვილი (5,7-11,3 ჰა) მეურნეობების მოსავლიანობას [3, გვ. 46, 84, 117]. ამ ავტორების დასკვნების მიმართ ჩნდება რიგი კითხვებისა, კერძოდ, თუ რომელი ფაქტორები განაპირობებდნენ მცირე ზომის მეურნეობების უფრო მაღალ ეფექტიანობას, მსხვილ მეურნეობებთან შედარებით; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათი კვლევა ცხადად აჩვენებს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც განხორციელდა მიწების გადანაწილება მსხვილი მეურნეობებიდან პატარა მეურნეობებზე, მნიშვნელოვნად მატულობს წარმოებული პროდუქციის ზრდის ტემპი.

ბინსვანგერისა და როზენცვეიგის კვლევამ [4] აჩვენა, რომ უპირველესი მიზეზი დიდი ფერმების დაბალი პროდუქტიულობისა გამოწვეულია იმით, რომ ისინი იყენებენ მეტწილად დაქირავებულ შრომას, ვიდრე ამას აკეთებენ მცირე ოჯახური შინამეურნეობანი და რომ, ოჯახური შრომა(მუშახელი) უფრო იაფია და უფრო ეფექტიანი, ვიდრე დაქირავებული მუშების შრომა. ოჯახის წევრები იღებენ წილს შინა-

მეურნეობის შემოსავალიდან და, რა თქმა უნდა, მეტად არიან მოტივირებულნი შრომისადმი, ვიდრე დაქირავებული მუშები. ოჯახურ მეურნეობებში არ ქირაობენ ზედამხედველებს და მათ არ აქვთ საზედამხედველო დანახარჯები; ამასთან თითოეული ოჯახის წევრი ინაწილებს რისკის წილს, რაც არ ხდება დაქირავებული შრომის შემთხვევაში.

ჰანუმანთა რაომ [5] აჩვენა, რომ ჩრდილოეთ ინდოეთში ტრაქტორების გამოყენების შედეგად, მცირე მეურნეობები გახდნენ უფრო პროდუქტიულნი, ვიდრე მსხვილი მეურნეობები. ამის შედეგად ინდოეთში გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების საიჯარო ბაზარი.

მთლიანად აგრარული სექტორის განვითარების ზოგად მსოფლიო ტენდენციას წარმოადგენს წარმოების ოპტიმალური კონცენტრაცია, რომელიც ეფუძნება თანამედროვე მაღალმექანიზებული სოფლის მეურნეობის მოთხოვნებს. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მეურნეობათა საშუალო ზომების გადიდების ტენდენცია და მამულების კონსოლიდაცია მიმდინარეობს როგორც საბაზრო ძალების ზემოქმედებით, ისე სახელმწიფო პოლიტიკის გავლენით. სასოფლო შინამეურნეობების სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის შემუშავებისას, ჩვენი აზრით, ყურადსაღებია რიგი ქვეყნების გამოცდილება მიწების განაწილების რეგულირებასთან დაკავშირებით.

ევროკავშირის ქვეყნებში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიდის მცირე მეურნეობების გამოსყიდვის და მათი უფრო მსხვილი მეურნეობებისთვის მიყიდვის, ასევე ფერმერთა პენსიაზე გასვლის დაჩქარების პროცესი, რათა მათ გაათავისუფლონ მიწა, რომელიც გადაეცემა სხვა მეურნეობებს გაფართოებისათვის. მოქმედი კანონმდებლობა ხელს უწყობს მეურნეობათა გამსხვილებას. აღსანიშნავია, რომ სასოფლო მეურნეობების გაფართოების მიზანს შეადგენს არა ლატიფუნდიების შექმნა, არამედ ფერმერული მეურნეობის კომერციალიზაცია, სასაქონლო წარმოების განვითარებისათვის ხელშეწყობა.

აგრარული რეფორმები ესპანეთში, სამხრეთ იტალიასა და გარკვეულწილად იაპონიაში, მიზნად ისახავდა მემამულური მიწათმფლობელობის, როგორც სოფლის მეურნეობაში მოძველებული ფეოდალური წყობის გადმონაშთის გაუქმებას. სწორედ ამის საწინაღმდეგოდაა მიმართული რიგი ქვეყნების კანონები მიწის მფლობელობის მაქსიმალური ზომების შესახებ. ყურადსაღებია, რომ დასავლური კანონმდებლობა უარყოფით დამოკიდებულებას ავლენს იურიდიულ პირებზე მიწის

გაყიდვასთან დაკავშირებით. უმრავლეს შემთხვევაში, განსაკუთრებით ევროპაში, მიწის ყიდვა შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ რიგ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განსაკუთრებით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლებას, შრომით გამოცდილებას, სოფლად ცხოვრებას, სოფლის მეურნეობის განხორციელებისათვის სათანადო კაპიტალის ფლობას. ამ კანონმდებლობის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მიწა უნდა იყოს მოქმედი მესაკუთრის ხელში, უპირატესად სასოფლო შინამეურნეობის სარგებლობაში.

მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის ფორმების დადგენა, მიწათსარგებლობის კონცენტრაციის გზების თავისებურების განსაზღვრა დამოკიდებულია ეროვნულ ტრადიციებსა და სამეურნეო მიზანშეწონილობაზე. უმრავლეს ქვეყნებში არ არის დაპირისპირება მიწაზე საკუთრებასა და იჯარას შორის. მიწათსარგებლობის ეფექტიანად განხორციელება შესაძლებელია ამა თუ იმ ფორმით და არ უნდა არსებობდეს ეკონომიკური თუ სამართლებრივი შეზღუდვა ან უპიტარესობის მინიჭება რომელიმეს მიმართ. თითოეულ ქვეყანაში ამ საკითხის გადაჭრა უნდა გამომდინარეობდეს ეროვნული პირობებიდან და მეურნეობრივი მიზანშეწონილობიდან.

მსოფლიო გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო რეგულირება წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს მიწათსარგებლობის სისტემის შექმნასა და მიწის ბაზრის ჩამოყალიბებაში. აღსანიშნავია, რომ ისტორიულად მიწის საკუთრების ცნება განიცდიდა ცვლილებას, მისი მასშტაბები იცვლებოდა განუსაზღვრელიდან განსაზღვრულამდე, იგი იძენდა მნიშვნელოვან სოციალურ პასუხისმგებლობას და მეტად იზიარებდა საერთო სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებს. ამის შედეგად წარმოიქმნა მიწის ბაზრის, ყიდვა-გაყიდვის, იჯარის, მიწის საკუთრების შთამომავლობით თუ სხვა ფორმებით გადაცემის სახელმწიფო რეგულირების განვითარებული სისტემა. სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვან სფეროს ასევე წარმოადგენს სოფლისმეურნეობრივი მიწის ფონდის შენარჩუნება.

დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში (იტალია, პორტუგალია და ესპანეთი) სასოფლო-სამეურნეო მიწის კანონმდებლობებში აქცენტი კეთდება ფერმერული მეურნეობის კუთვნილი (თუ სარგებლობაში არსებული) მიწის ქვედა ზღვრის განსაზღვრაზე, რათა სოფლის მოსახლეობის სიჭარბის გათვალისწინებით, თავიდან იქნეს აცილებული ნაკვეთების

გადაჭარბებული დაქუცმაცება და ფრაგმენტიზაცია. მათი კანონები განსაზღვრავს ცნებას, “მინიმალური არსებობის უნარიანი მეურნეობა” და კრძალავს ნებისმიერ გაყიდვას თუ საიჯარო გარიგებას, რომლითაც ირღვევა ეს მინიმალური ზომა. განსხვავებული ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების გამო, ასეთი მინიმალური ზომა დგინდება რეგიონულ დონეზე [1].

იაპონიაში მიწის კანონმდებლობა ეფუძნება ომის შემდგომ მიწის რეფორმას, რომელიც ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შეზღუდულობას და ქალაქების დიდ დაწოლას სასოფლო რაიონებზე. აქ სახელმწიფო ახორციელებს მკაცრ პოლიტიკას სასოფლო-სამეურნეო მიწების შენარჩუნების მიმართულებით. ნებისმიერი საკუთრებითი თუ საიჯარო ცვლილება მიწაზე მოითხოვს სამთავრობო თანხმობას და შემდეგი პირობების დაკმაყოფილებას: რომ მესაკუთრე თვითონ უნდა ამუშავებდეს მიწას, რომელიც მას ეკუთვნის ან იჯარით აქვს აღებული; გლეხი ან მისი ოჯახის წევრი მუდმივად უნდა იყოს დასაქმებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებით; საერთო ფართობი შეძენის ან იჯარით აღების შემდგომ არ უნდა იყოს 0,5 ჰა-ზე ნაკლები ან მეტი (2 ჰა ხოკაიდოზე), გამონაკლისია განსაკუთრებულად ინტენსიური ტიპის მეურნეობები; გლეხს უნდა ჰქონდეს სათანადო კვალიფიკაცია, ფინანსური და სხვა შესაძლებლობანი წარმოების ეფექტიანი განხორციელებისათვის მეურნეობის მთელ ფართობზე და იგი მუდმივად უნდა ცხოვრობდეს ამ მეურნეობაში [1].

ნორვეგიაში აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მცირე მეურნეობების შენარჩუნება და რიგი რეგიონების სოფლის მოსახლეობისაგან დაცლის პროცესის შეფერხება, განსაკუთრებით ეს ეხება სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის მძიმე პირობების მქონე რეგიონებს და ქვეყნის ჩრდილოეთის თუ ცენტრალურ სასოფლო ადგილებს. ირლანდიაში, გამომდინარე ისტორიული დაპირისპირებიდან ინგლისელ “ლენდ-ლორდებსა” და არენდატორ ირლანდიელებს შორის, მიწის იჯარა ეროვნული სულის საპირისპირო მოვლენადაა მიჩნეული. აგრარული პოლიტიკა აქ ორიენტირებულია მესაკუთრე ფერმერების ხელშეწყობაზე. იჯარის მიღების უფლებას ესაჭიროება მთავრობის განსაკუთრებული გადაწყვეტილება [1].

დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმეტესი ნაწილი მკაცრად აკონტროლებს მიწის ბაზარს. თუმცა არიან ქვეყნები მიწის ბაზრის ლიბე-

რალური რეჟიმით, უფრო გაადვილებული მიწის ყიდვა-გაყიდვითა და საიჯარო ურთიერთობებით, მაგრამ ამ ქვეყნებშიც არის გარკვეული შეზღუდვები, სოფლისმეურნეობრივი მიწების სხვა დანიშნულებით გამოყოფის, დაბეგვრის, საკუთრებაში გადაცემის მიმართულებით.

როგორც აღინიშნა, ფერმის სიდიდე არ ნიშნავს, რომ იგი ეფექტურად ფუნქციონირებს, განსაკუთრებით ეს ეხება ჭარბი სოფლის მოსახლეობის მქონე ქვეყნებს. სოფლის მეურნეობის განვითარება რიგ ქვეყნებში (იაპონია, ტაივანი და სხვ.) ეფუძნება "ფართოსაფუძვლიან" სტრატეგიას, რომლის მიზანია მთლიანად სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების გადიდება და ფერმების უმეტესობის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ფერმების, მაქსიმალურად მოცვა [2, გვ. 107-118].

აღნიშნულ ქვეყნებში ცდილობენ, შეამცირონ და აღმოფხვრან სიღარიბე სოფლის მოსახლეობაში. ამგვარი სტრატეგია ხელს უწყობს "უნიმოდელური", ერთსტრუქტურიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამკვიდრებას და გაძლიერებას, ეხმარება მცირე ზომის ფერმებს სამუშაო ძალის მაქსიმალურად ჩართვასა და მიწის რაციონალური გამოყენების გზით წარმოების ნაყოფიერების ზრდაში. აღნიშნული სტრატეგია ხელს უწყობს ადვილად გავრცელებადი სიახლეების, ისეთი, როგორიცაა მაღალპროდუქტიული თესლებისა და სასუქების რაციონალურად კომბინირების დამკვიდრებას და მარტივი წარმოების საშუალებებით უზრუნველყოფას. ამ ტექნოლოგიებს აქვთ ტენდენცია სწრაფი გავრცელებისა სხვადასხვა ზომის ფერმებს შორის. ამგვარად ეს სტრატეგია მიისწრაფის მოიცვას უმეტესი ნაწილი მცირე და საშუალო ფერმებისა, რომლებიც წარმოადგენენ მუდმივად მნიშვნელოვან უმრავლესობას. თუ ფერმების უმრავლესობას აქვს 1 ჰა ან ნაკლები მიწა, სიახლეები მისადაგებული უნდა იყოს სწორედ ამგვარი მცირე ზომის მეურნეობაზე. ეს არ ნიშნავს, რომ მან არ მოიცვას საშუალო ან მსხვილი ფერმა, მაგრამ უმთავრესი აქცენტი მაინც კეთდება მცირე ზომის ფერმაზე.

"ფართოსაფუძვლიანი" სტრატეგიის საპირისპიროდ, რიგი ქვეყნები ეწვიან "დუალისტურ"(ორმაგ, ორმხრივ) სტრატეგიას [2, გვ. 149-153]. ამ ქვეყნებს მიეკუთვნებიან მექსიკა, ბრაზილია, კოლუმბია და რიგი სხვა ლათინური ამერიკის ქვეყნებისა. დუალისტური სტრატეგია განაპირობებს "ბიმოდელურ", ორსაფეხურიან, ორდონიან სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას. იგი გულისხმობს მცირე რაოდენობის მსხვილი მიწათმფლობელების და დიდი რაოდენო-

ბის მცირე გლეხური მეურნეობების არსებობას. “დუალისტური” სტრატეგია აქცენტირებულია მსხვილი მიწათმფლობელობის ხელშეწყობაზე და სრულიად იგნორირებს, არ ითვალისწინებს მცირე გლეხური მეურნეობების პრობლემებსა და საჭიროებებს. ქვეყნები, რომლებიც ამგვარ სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიას ახორციელებენ, ვერ ახერხებენ ფართოდ გავრცელებული სიღარიბის დაძლევას სოფლად და მთლიანად სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას.

1970 წელს მექსიკაში მცირე ფერმებს, რომელთაც გააჩნდათ 5 ჰა-ზე ნაკლები, ფერმების 20%-ს შეადგენდნენ და ისინი მთლიანად ფლობდნენ მექსიკის სახნავი მიწების 5%-ს; 7%-ი ფერმებისა, რომელთაც გააჩნდათ 5-25 ჰა, ფლობდა სახნავი მიწების 11%-ს; ხოლო ფერმები, რომელთაც გააჩნდათ 25 ჰა-ზე მეტი, მთელი ფერმების 3%-ს შედგენდნენ, მაგრამ ფლობდნენ სახნავი მიწების 37%-ს [2, გვ. 334-337].

ტაივანის დიდი წარმატება სოფლად სიღატაკის შემცირებაში, შედეგია მის მიერ განხორციელებული “ფართოსაფუძვლიანი” სტრატეგიისა სოფლის მეურნეობაში, რომელიც მიმართული იყო მეტად მცირე ზომის (0,84 ჰა საშუალოდ ერთ მუშაკზე) ფერმებზე. ტაივანის სოფლის მეურნეობამ აჩვენა, რომ მცირე ფერმებში სიახლეების დანერგვით იქმნება მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვანი პოტენციური შესაძლებლობანი [2, გვ. 315-319].

ტაივანის აგრარული სტრატეგიის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი მიწების გადანაწილებამ XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მთავრობამ აიძულა მიწათმფლობელები, რომელთაც გააჩნდათ 3 ჰა-ზე მეტი, გაეყიდათ ეს ნამეტი მიწა. ამვე დროს მთავრობამ ფერმერებს ინფლაციისაგან დამცავი კომპენსაციები მისცა. ამ მიწის რეფორმამ ხელი შეუწყო საშუალო მოსავლიანობის გადიდებას და საფუძველი დაუდო “ფართოსაფუძვლიანი” აგრარული სტრატეგიის განხორციელებას [2, გვ. 320].

მცირე და საშუალო ზომის ფერმების განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას შეადგენს ფერმერული ასოციაციების და კოოპერატივების შექმნა და განვითარება.

საფრანგეთს აქვს მეტად საინტერესო გამოცდილება კოოპერატივებისა და ასოციაციების ხელშემწყობი პოლიტიკის განხორციელებაში. საკრედიტო თუ საგადასახადო შეღავათებით ასტიმულირებენ სხვადასხვა შინაარსისა და ფორმის კოოპერატივების საქმიანობას. ეს შეიძლება

იყოს მცირე, ნათესაური (მამა და შვილები) გაერთიანება ან მრავალრიცხოვან ფერმერთა გაერთიანება მეტად ძვირადღირებული ტექნიკური საშუალებების შესაძენად. ერთი ფერმერი ხშირად მონაწილეობს რამდენიმე კოოპერატიულ გაერთიანებაში.

კოოპერატიული პროცესის განვითარების შედეგად საფრანგეთში არის მრავალი სხვადასხვა დონის დარგობრივი (რძის, ხორცის, მარცვლეულის, ხილის, ბოსტნეულის და სხვა პროდუქტების) ფერმერული გაერთიანებანი, რომლებიც შეიქმნენ ერთობლივად ნედლეულის შეკრების, გადამუშავების, შენახვის, სასაქონლო წარმოებისა და რეალიზაციის მიზნით ან ერთობლივად წარმოების საშუალებების (თესლები, სასუქები, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სხვ.) შეძენისა თუ კოლექტიურად სარგებლობის მიზნით.

საქართველოში აგრარული პოლიტიკის განსაზღვრისას, სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების და გადანაწილების სტრატეგიის შემუშავებისას, მაქსიმალურად შემოქმედებითადაა გასააზრებელი წარმატებული აგრარული პოლიტიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება. მეურნეობათა ზომების სახელმწიფო რეგულირებისას გასათვალისწინებელია ამ ქვეყნებში აპრობირებული ეკონომიკური და სამართლებრივი პრინციპები და მეთოდები. ასევე აუცილებელია, განისაზღვროს ოპტიმალური, საშუალო სასოფლო შინამეურნეობების ზომები, უნდა დადგინდეს სასოფლო შინამეურნეობათა საკუთრებაში თუ სარგებლობაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწების მინიმალური და მაქსიმალური ზღვრები როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე ცალკეული რეგიონების მიხედვით. უნდა შეიქმნას სათანადო საკანონმდებლო ბაზა და გატარდეს სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ოპტიმალური მეურნეობების ზომების ჩამოყალიბებას, მცირე და საშუალო მეურნეობების ეფექტიანობის გადიდებას. ასევე, ხელი უნდა შეეწყოს მცირე და საშუალო შინამეურნეობების სხვადასხვაგვარი გაერთიანებების, გლეხური და ფერმერული კოოპერატივების, ასოციაციების შექმნას და ფუნქციონირებას.

საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს "ფართოსაფუძვლიანი" აგრარული პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო სასოფლო შინამეურნეობების ეფექტიანობის გადიდებას, მათი შემოსავლების ზრდასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://www.antax.ru/doc/articles/zarubejnii_opit.htm
2. **T. P. Tomich, P. K. Kilby, and B. F. Jonston**. Transforming Agrarian Economies: Opportunities Seized, Opportunities Missed. Ithaca, New York: Cornel Un-ty Press, 1995.
3. **Berry R. A., and W. R. Cline**. Agrarian Structure and Productivity in Developing Countries, Baltimore: J. Hopkins Un-ty Press, 1979.
4. **Biswanger H. P. and Rosenzweig M. R.,** eds. Contractual Arrangments, Employment and Wages in Rural Labor Markets in Asia. New Haven: Yale Un-ty Press, 1984.
5. **C. H. Hanumantha Rao**. ”Uncertainty, Entrepreneurship, and Sharecropping in India”, Journal of Political Economy (May-June), p. 578, 1971.
6. International Agricultural Development. Third edition, edited by C. K. Eicher and J. M. Staatz, Baltimore and London: The Jons Hopkins Un-ty Press, 1998.
7. **Z. Revishvili, H. W. Kinnukan.** Agricultural Problems in Georgia and Strategic Policy responses, The Role of Agriculture in Central and Eastern European Rural Development: Engine of Change or Social Buffer?, Edited by M.Petrick and P.Weingarten, IAMO, 2004.

Revishvili Zurab

INTERNATIONAL EXPERIENCE IN GOVERNMENTAL REGULATION OF FARM SIZES

SUMMARY

The article shows differences between countries in middle farm sizes, international tendencies of their development; analyzes experiences of countries in govern-

mental regulation in distribution of agricultural lands, farm sizes optimization, small and middle farms development.

ლილი გვენეტაძე

ღია ეკონომიკა და საფინანსო ურთიერთობა

დღევანდელ მსოფლიოში იზოლირებულად ცხოვრება ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ყოველმხრივ მიუღებელია. საერთაშორისო ვაჭრობის ზრდამ მსოფლიოს ქვეყნები სულ უფრო მეტად ურთიერთდამოკიდებული გახადა. საერთაშორისო სფეროში ეკონომიკური კავშირების გა-

ფართოებას თან ახლავს ანალოგიური პროცესები საფინანსო ურთიერთობის სფეროში. როგორც წესი, ფულად კაპიტალს გააჩნია მუდმივი თვითგაზრდის უნარი, რაც ეროვნული საზღვრებიდან მისი აუცილებელი გამოსვლის სტიმულს წარმოადგენს.

ბოლო ოთხ ათწლეულში საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობა განუხრელად იზრდება. აღნიშნულის გამო მსოფლიოს ქვეყნები ერთმანეთზე სულ უფრო მეტად დამოკიდებული გახდნენ. იზრდება მშპ-ში იმპორტისა და ექსპორტის ხვედრითი წონა. შესაბამისად, დღეს ნებისმიერ ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების იმპორტი წარმოებს. ამასთან, ეს ქვეყნები საქონლისა და მომსახურების ექსპორტიორებიც არიან.

ღია ეკონომიკაში, ისევე, როგორც დახურულ ეკონომიკაში, ფინანსური ბაზრები მჭიდროდაა დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების ბაზართან. ეს კავშირი რომ დავინახოთ, განვიხილოთ ეროვნულ ანგარიშთა ერთ-ერთი ძირითადი ცნობილი ტოლობა:

$$\mathbf{Y = C + G + I + NX} \qquad \mathbf{(1)}$$

სადაც: **Y** არის მთლიანი შიდა პროდუქტი ან მთლიანი ეროვნული პროდუქტი; **C** - მოხმარება; **G** - სახელმწიფო შესყიდვები; I - ინვესტიციები; ხოლო **NX** - წმინდა ექსპორტია.

დახურულ ეკონომიკაში, როგორც წესი, **NX** ნულის ტოლია, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტი შედგება: საქონლისა და მომსახურების მოხმარებაზე გაწეული ხარჯების, სახელმწიფო შესყიდვებისა და საინვესტიციო ხარჯებისაგან. თუკი დავუშვებთ, რომ დახურულ ეკონომიკაში ინვესტიციები და დანაზოგი ერთმანეთის ტოლია, ასეთ შემთხვევაში დანაზოგი **S = Y - C - G.** ხოლო ღია ეკონომიკაში **S = I + NX ,** აქედან მივიღებთ ტოლობას:

$$\mathbf{(I - S) + NX = 0} \qquad (2)$$

მიღებული გარდაქმნა ახასიათებს იმ კავშირს, რომელიც არსებობს კაპიტალის დაგროვების საერთაშორისო ნაკადსა და საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადს შორის.

მე-2 ტოლობის ყოველ წევრს საკუთარი სახელი ჰქვია. კერძოდ, **(I-S)** -ს ღია ეკონომიკაში უწოდებენ საგადამხდელო ბალანსის კაპიტალის მოძრაობის ანგარიშს, ხოლო **NX**-ს – საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ოპერაციების ანგარიშს.

როდესაც **(I-S)** დადებითია, ხოლო **NX** უარყოფითი, საქმე გვაქვს კაპიტალის მოძრაობის დადებით სალდოსთან და საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან. რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში, ქვეყანა მსოფლიო ფინანსური ბაზრიდან იღებს სესხს, ხოლო ამავე ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების იმპორტი აღემატება ექსპორტს. თუ ქვეყანაში **(I-S)** უარყოფითია და **NX** დადებითი, ქვეყანა ფინანსურ ბაზარზე გამოდის, როგორც კრედიტორი და საქონლის ექსპორტი აღემატება იმპორტს.

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშისა და მიმდინარე ანგარიშის ბალანსი გვიჩვენებს, რომ კაპიტალის დაგროვების დასაფინანსებლად ფულადი ფონდების საერთაშორისო ნაკადი და საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ნაკადი ერთი მედლის ორ მხარეს წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის დანაზოგი აღემატება ინვესტიციებს, მაშინ დანაზოგი, რომლის ინვესტირება არ მოხდა ქვეყნის შიგნით, სხვა ქვეყნის დასაკრედიტებლად გამოიყენება. კერძოდ, მეტ სესხს გასცემს ქვეყანა, რომლის ექსპორტი აღემატება იმპორტს. სხვა შემთხვევაში, თუ ერთ ქვეყანაში ინვესტიცია დანაზოგზე მეტია, ეს ნიშნავს რომ, ეს ქვეყანა სესხს იღებს მსოფლიო საფინანსო ბაზრიდან. ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების იმპორტი აღემატება საქონლისა და მომსახურების ექსპორტს, ხოლო წმინდა ექსპორტი უარყოფითი სიდიდეა.

1980 წლიდან კაპიტალის გლობალური ნაკადი, ყოველწლიურად, მსოფლიო მშპ-სთან ან ვაჭრობასთან შედარებით, თითქმის 6%-ით უფრო სწრაფად იზრდებოდა. ეს პროცესი განსაკუთრებით 1990 წლიდან დაჩქარდა (მიუხედავად 1997-2002 წწ. დროებითი ვარდნისა). აღნიშნული მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილში კაპიტალის მოძრაობის შემაფერხებელი ბარიერების მოხსნით არის განპირობებული. ამასთან, სხვადასხვა ქვეყნებში კაპიტალის სტრუქტურა განსხვავებული აღმოჩნდა. მრავალი განვითარებადი ქვეყანა პირდაპირი ინვესტიციების წმინდა იმპორტიორიც არის და, იმავდროულად, ფინანსური კაპიტალის წმინდა ექსპორტიორიც. მაშინ, როდესაც ბევრი განვითარებული ქვეყანა პირიქით, პირდა-

პირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტიორია და ახდენს ფინანსური კაპიტალის იმპორტს.

ამგვარად, როდესაც ქვეყანაში დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემოედინება, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანას, საკუთარი საფინანსო სექტორის მეშვეობით, შინამეურნეობის დანაზოგის ეფექტიანად გამოყენების უნარი არ გააჩნია. შესაბამისად, დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას სრულებითაც არ ასახავს. უბრალოდ, ღია ეკონომიკის პირობებში ასეთი ქვეყნებისთვის უფრო მოხერხებულია თავი აარიდოს საკუთარი არაეფექტიანი ფინანსური სექტორის გამოყენებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ, ღია ეკონომიკის პირობებში, ქვეყნებს შორის კაპიტალის ორმხრივი მოძრაობა საფინანსო სისტემისა და კორპორაციულ მართვაში არსებული თვისებრივი განსხვავების ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს. სხვა სიტყვებით, ფინანსური გლობალიზაცია, ქვეყანაში არაეფექტიანი ფინანსური სისტემისა და სუსტი კორპორაციული მმართველობის გვერდის ავლით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებისა და, იმავდროულად, ფულადი კაპიტალის გადინების განხორციელების საშუალებას იძლევა.

შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე ეტაპზე საქმე გვაქვს ფინანსურ გლობალიზაციასთან. აღნიშნული უშუალოდ დაკავშირებულია ღია ეკონომიკასთან და ფინანსურ ურთიერთობას საყოველთაო მნიშვნელობას ანიჭებს. არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, კაპიტლის ორმხრივი მოძრაობა ქვეყნებს შორის ფინანსური სისტემის განვითარების თვისებრივ მაჩვენებლებსა და კორპორაციულ მმართველობაში არსებული განსხვავების ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს. კერძოდ, გლობალიზაცია ფინანსურ სფეროში საშუალებას იძლევა, ქვეყანაში არაეფექტიანი საფინანსო სისტემისა და სუსტი კორპორაციული მმართველობის გვერდის ავლით, განხორციელდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და, იმავდროულად, მოხდეს ფინანსური კაპიტალის გადინება [6].

საქართველოში საქონლისა და მომსახურების იმპორტი აღემატება ექსპორტს. შესაბამისად, ქვეყანაში წმინდა ექსპორტი უარყოფითი სიდიდეა და, ამასთან, ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2005 წელს ქვეყანაში წმინდა ექსპორტმა 689 953 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, 2006 და 2007 წლებში შესაბამისად – 1 152 551 და 2 005 823 ათასი აშშ დოლარი. ამავე პერიოდში იზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც. ასე,

მაგალითად, 2005 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტმა შეადგინა 449 785 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2006 და 2007 წლებში, შესაბამისად, 1 059 761 და 1 750 242 ათას აშშ დოლარი. როგორც ვხედავთ, ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტსაც ზრდის ტენდენცია გააჩნია. ამგვარად, საქართველოში ფინანსური კაპიტალის ექსპორტის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების იმპორტის ზრდის ტენდენცია აღინიშნება, რაც ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერის ზრდას ცალსახად არ შეიძლება ასახავდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა გარკვეულწილად იმის შედეგია, რომ ქვეყანას საკუთარი საფინანსო სექტორის გავლით დანაზოგის ეფექტიანად გამოყენების უნარი არ გააჩნია. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში კორპორაციული მმართველობა სუსტად არის განვითარებული, შესაბამისად, ფინანსური კაპიტალის ექსპორტის ზრდის ტენდენცია აღინიშნება. როდესაც წმინდა ექსპორტი (NX) უარყოფითი სიდიდეა, კაპიტალის მოძრაობის დადებით სალდოსთან გვაქვს საქმე და ქვეყანა მსოფლიო ბაზრიდან იღებს სესხს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანას გააჩნია „ჭარბი ეფექტიანი (ფაქტობრივი) კაპიტალი“ ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას აქვს ან ფიზიკური კაპიტალისა და შრომის თანაფარდობის მაღალი კოეფიციენტი, ან საკუთრების უფლების დაცვის სუსტი ინსტიტუტი. აღსანიშნავია ისიც, რომ საკუთრების უფლების არასაკმარისი დაცვა ინვესტიციების შემოსავლიანობის შემცირებას განაპირობებს. აღნიშნული კი ხელს უშლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას და დანაზოგის გადინების სტიმულს წარმოადგენს.

ფინანსური კაპიტალის გლობალიზაციასთან დაკავშირებულ სარგებელსა და ხარჯებს ქვეყნის საფინანსო ინსტიტუტების განვითარების დონე განსაზღვრავს. ამასთან, რაც უფრო მეტადაა ქვეყანაში დაცული საკუთრების უფლება გლობალიზაციიდან ის მით უფრო მეტ სარგებელს იღებს.

საქართველოში, განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საფინანსო ინსტიტუტები და კორპორაციული მმართველობა სუსტადაა განვითარებული. სათანადოდ არ არის დაცული საკუთრების უფლება. შესაბამისად, ფინანსური გლობალიზაციის შედეგიც არაერთმნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, ქვეყანა კაპიტალის თავისუფალი გადაადგი-

ლებით გარკვეულ სარგებელს იღებს, ხოლო, მეორე მხრივ, მისი ფინანსური ინსტიტუტები და მეწარმეები მნიშვნელოვან შემოსავალს კარგავენ.

გამოყენებული ლიტერარურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი. თბილისი, №4, 2006.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი. თბილისი, №4, 2007.
3. საქართველოს ეროვნული ბანკი, მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი. თბილისი, №4, 2008.
4. **Н. Грегори Менкъю.** Макроэкономика, 1994.
5. Объединенный Венский институт. Вена, Австрия. Макроэкономические счета, анализ и прогнозирование. Институт МВФ, 2004.
6. **Экономический вестник**. Цзяндун Цзюй, Шан-Цзинь. Местные институты и финансовая глобализция. Апрель-июнь, 2007.

Gvenetadze Lily

OPEN ECONOMY AND FINANCIAL RELATIONSHIP

SUMMARY

This work explains the reasons of the creation of global capital flow and its acceleration in the conditions of open economy. Georgia, as the country with emerging market economy, constitutes the importer of the direct investments and at the same time exporter of the financial capital, while the countries with developed market economies are exporters of direct investments and importers of financial capital. The globalization of financial capital helps to improve the common welfare. Although those processes, in countries with developing market economies may also have negative risks in it, along with positive ones. This work assumes that in order to avoid the risks

accompanying financial globalization, it's important to: develop financial institutions; improve the effectiveness of corporate ruling and defend the right to the property.

ციალა ბენაშვილი

ეკონომიკური ტერმინოლოგიის თანამედროვე პრობლემები

დღევანდელი საქართველოს სინამდვილეში უაღრესად აქტუალურია სწორი, დასაბუთებული და გააზრებული ეკონომიკური ტერმინოლოგიის დადგენა. ამ საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ, რაც ქვეყანამ საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა გადაწყვიტა და ყოველდღიურ პრაქტიკაში შემოვიდა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია. ქართული და რუსულენოვანი ეკონომიკური ტერმინოლოგიის ურთიერთშესაბამისობის თვალსაზრისით, ქვეყანაში გარკვეული ტრადიციები არსებობდა, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო, არ არსებობდა ანალოგიური ურთიერთშესაბამისობა ინგლისურენოვან ეკონომიკურ ტერმინოლოგიასთან. არადა საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისას უმთავრესად ინგლისურენოვანი ტერმინოლოგია გამოიყენება. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქართველ ეკონომისტთა წინაშე დგას უაღრესად აქტუალური პრობლემა – ეკონომიკური ტერმინოლოგიის მოწესრიგების პრობლემა, რომლის გადაწყვეტა ძალიან საშური საქმეა და მის გადაწყვეტაში ყველა განათლებულმა ეკონომისტმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს.

პირველ რიგში განვიხილოთ ფასწარმოქმნის სფეროში გამოყენებული ტერმინები. პრაქტიკული გამოყენების დროს დიდ დაბნეულობას იწვევს ტერმინების: ფასი, საფასური, ღირებულება, ტარიფი, გადასახდელი, გადასახადი, მოსაკრებელი და სხვათა ერთმანეთში უნებლიე თუ განზრახ აღრევა და არამართებულად გამოყენება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ტერმინი მაშინ არის წარმატებული და გამოყენებადი, როცა იგი ზუსტად გამოხატავს ეკონომიკური (ფილოსოფიური, სამართლებრივი თუ სხვა) კატეგორიის შინაარსს. ისიც ცნობილია, რომ ფასის ეკონომიკური კატეგორიის საფუძველს ღირებულება წარმოადგენს და საბოლოო სახეს იგი მოთხოვნა-მიწოდების (ბაზრის კონიუნქტურის) და სხვა ფაქტორების ზეგავლენის

შედეგად იღებს. ნებისმიერი ფასის პრაქტიკული გაანგარიშებისთვის (კალკულაციისთვის) კი საჭიროა იმ დანახარჯების დათვლა, რომელიც კონკრეტული საქონლის თუ მომსახურებისათვის იქნა გაწეული. ასე რომ, ტერმინი „ფასი" ცნობილი და დამკვიდრებული ტერმინია ქართულ სინამდვილეში. მაშინ რადაა ამ ბოლო დროს შემოღებული „საფასური"? არის თუ არა იგი „ფასის" ტერმინის სინონიმი და თუ მისგან განსხვავებულია, რაში მდგომარეობს ეს განსხვავება?

ჩვენ ვიზიარებთ იმ ეკონომისტთა აზრს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ტერმინი „საფასური" არ შეესაბამება ფასის (ან რომელიმე სხვა) ეკონომიკური კატეგორიის შინაარსს და მისი დამოუკიდებელი ცნების სახით არსებობა მიზანშეუწონელია. უკიდურეს შემთხვევაში, მისი გამოყენება შეიძლება როგორც „ფასის" სინონიმი მხატვრულ ლიტერატურაში, მაგრამ ნორმატიულ დოკუმენტებში – დაუშვებელია.

ქართულ ეკონომიკურ პრაქტიკაში „ფასის" და „საფასურის" ტერმინების უადგილოდ გამოყენებამ თავისი უარყოფითი შედეგები უკვე მოიტანა. მაგალითად, „ინტელექტუალური საკუთრების შესახებ" არსებულ კანონმდებლობაში ერთმანეთშია არეული ფასის და მოსაკრებლის კატეგორიები და ორივე „საფასურის" ტერმინით არის გადმოცემული. იმავე შემთხვევებთან გვქონდა საქმე ტრანსპორტის შესახებ არსებულ კანონმდებლობაში, ვეტერინარიის, ფიტოსანიტარიის შესახებ არსებულ კანონმდებლობაში და სხვა. ამჯერად უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს ტერმინების განზრახ აღრევასთან. საქმე ისაა, რომ 90-იან წლებში საქართველოს ეკონომიკაში დაინერგა უაღრესად მახინჯი პრაქტიკა, როდესაც საჯარო სამსახურებს ნება დაერთოთ, განეხორციელებინათ ე.წ. „ფასიანი მომსახურება" და ამ გზით მიეღოთ შემოსავლები. ვინაიდან იმდროინდელი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მიხედვით, მოსაკრებელი მთლიანად მიიმართებოდა ბიუჯეტში, ამიტომ აღნიშნული სამსახურები დაინტერესებული იყვნენ, რომ ყოველგვარი ფულადი შემოსულობა გაეერთიანებინათ ერთ ბუნდოვან „საფასურის" ტერმინში და ეს თანხები დაეხარჯათ, როგორც საკუთარი სახსრები, რაც წლების განმავლობაში დიდი წარმატებით ხორციელდებოდა კიდეც.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მარეგულირებელი კომისიების მიერ ფართოდ გამოყენებული ტერმინი „რეგულირების საფასური",

რომელიც მათი შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს. ამ შემთხვევაშიც იგი აღრეულია არა მხოლოდ ფასის კატეგორიასთან, არამედ მოსაკრებლის კატეგორიასთანაც, ყველა თავისი უარყოფითი შედეგით.

მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობის მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ისინი იქმნებიან ბუნებრივი მონოპოლიების (სადაც კონკურენცია გარკვეულწილად შეზღუდულია) ეკონომიკური რეგულირებისათვის. მარეგულირებელი ორგანოები საქართველოში შეიქმნა 1997 წლიდან „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, „ნავთობისა და გაზის შესახებ” და „ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შესახებ” საქართველოს კანონების საფუძველზე, რომელსაც შემდგომ მოჰყვა საქართველოს კანონი „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” (2002). სამწუხაროა, რომ ყველა მათგანში ფიგურირებდა ბუნდოვანი ტერმინი „რეგულირების საფასური”, ხოლო ეკონომისტთა ერთი ჯგუფი, რომელიც თანამდებობრივი უფლებამოსილებებითაც იყო აღჭურვილი, თავგამოდებული ამტკიცებდა, რომ დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისიები „თვითონ ირჩენდნენ თავს” და ბიუჯეტიდან „ერთ თეთრსაც არ იღებდნენ”. საქმეში ჩაუხედავმა პირმა შეიძლება დაიჯეროს ეს, მაგრამ პროფესიონალისათვის ცხადია, რომ ე. წ. „რეგულირების საფასური”, „ლიცენზირების საფასური”, „ტარიფის დადგენის საფასური” და სხვა რეგულირებადი ერთეულებიდან მიღებული კანონით დადგენილი შემოსავლები სხვა არაფერია, თუ არა მოსაკრებელი. მოსაკრებელი ხომ აუცილებელი გადასახდელია ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათთვის კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების და/ან სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, აგრეთვე, სახელმწიფო ორგანოების მიერ გაწეული მომსახურებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვინაიდან, არსებული კანონმდებლობის მიხედვით, მოსაკრებელი მთლიანად მიიმართება ბიუჯეტში, ნათელია, რომ მარეგულირებელი კომისიებისთვის დაწესებული რეჟიმი ბიუჯეტიდან გარანტირებული დაფინანსება (თანაც უხვად დაფინანსება) უფრო არის, ვიდრე ბიუჯეტიდან დაფინანსების გამორიცხვა. დაფინანსების ამგვარი წესიც სწორედ მარეგულირებელი ორგანოების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად არის შემოღებული, რათა განხორციელდეს

მარეგულირებელი ორგანოების მთავარი ფუნქცია: ეკონომიკის მოცემული სფეროს დაცვა პოლიტიკური ხასიათის ზეგავლენისაგან.

ამგვარად, „რეგულირების საფასური", „ლიცენზირების საფასური", „ტარიფის დადგენის საფასური" და სხვა, თავისი ეკონომიკური არსით, არის მოსაკრებელი. ამ შემთხვევაში თავს იჩენს კიდევ ერთი პრობლემა: საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვრება კანონით. ფაქტობრივად კი, ქვეყნის ეკონომიკის სინამდვილეში არსებულ სხვადასხვა „საფასურებს" მრავალი წლის განმავლობაში განსაზღვრავდნენ (და ხარჯავდნენ კიდეც) ცალკეული უწყებები და ჩინოვნიკები, რაც არასწორი და კანონსაწინააღმდეგოა.

გარკვეულ უხერხულობას ქმნის ტერმინი „ტარიფის" სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებაც. ტარიფი არაბული წარმოშობის (tarif – განმარტება, განსაზღვრება) ფრანგულ და შემდგომ სხვა ენებში დამკვიდრებული სიტყვაა და რისამე დაბეგვრის ან ანაზღაურების განაკვეთების ცხრილს, კრებულს ნიშნავს. საბჭოთა პერიოდში იგი ფართოდ გამოიყენებოდა შრომის ეკონომიკაში („სატარიფო ბადე" „სატარიფო ცხრილები" და ა. შ.), საბაჟო საქმეში (საბაჟო ტარიფები) და ამას გარდა, ტარიფი ეწოდებოდა მომსახურების სფეროში გამოყენებულ ფასებს. დღეისათვის დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინ „ტარიფს" უმთავრესად იყენებენ საბაჟო გადასახადების განაკვეთების აღსანიშნავად. თუმცა, ქართულ სინამდვილეში, ჯერ არ არის დაძლეული საბჭოთა პერიოდის გავლენა და მომსახურების სფეროში გამოყენებულ ფასებს ისევ „ტარიფებს" უწოდებენ. ამიტომაც არის, რომ ინგლისურენოვან პარტნიორებთან ურთიერთობისას, როდესაც ლაპარაკია, ვთქვათ, „სატარიფო პოლიტიკაზე", ძნელია ზუსტად განსაზღვრო: ლაპარაკია საბაჟო ტარიფების პოლიტიკაზე თუ ფასების პოლიტიკაზე ქვეყანაში.

გარკვეულ დაბნეულობას იწვევს ქართულ ენაში დამკვიდრებული გამოთქმაც „ფულის გადახდა", რომელიც პიროვნების მიერ ფულის მიცემის ნებისმიერ შემთხვევაში გამოიყენება, იქნება ეს გადასახადები, ფასები, მოსაკრებლები თუ სხვა. ამასთან, სხვა ენებისაგან განსხვავებით (to pay taxes, платить налоги) „ფულის გადახდა" ერთგვარად ასოცირდება გადასახადთან, რაც კიდევ უფრო ართულებს ისეთი ტერმინების გამოყენებას, როგორიცაა: „გადახდა", „გადასახადი", „გადასახდელი", „გადამხდელი" და სხვა.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, „გადასახადი” არის სავალდებულო შენატანი ბიუჯეტებსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. ფასისგან განსხვავებით, გადასახადის საფუძველს არ წარმოადგენს ღირებულება, მასზე არ მოქმედებს ბაზრის კონიუნქტურა, არამედ გადასახადის სახეები დგინდება კანონით და კანონის საფუძველზევე განისაზღვრება მისი განაკვეთის სიდიდეც. გადასახადები ბიუჯეტის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს.

ფულადი სახსრების გარკვეული ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზდება ე.წ. „არასაგადასახადო შემოსავლების” მეშვეობით. არასაგადასახადო შემოსავლები, თავის მხრივ, რამდენიმე ჯგუფად იყოფა: 1. სახელმწიფო ქონებიდან მიღებული შემოსავლები, 2. მისაგებელი ხასიათის შემოსავლები და 3. საწარმოთა და ორგანიზაციათა განკარგულებაში დროებით არსებული სახსრები. ჩამოთვლილი ჯგუფებიდან ფასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია მე-2, მისაგებელი ხასიათის გადასახდელები, რომელსაც ყველაზე უფრო ხშირად აიგივებენ ფასთან. ეს გადასახდელები დაწესებულია სახელმწიფო ორგანოების საქმიანობისა და მომსახურებისათვის (ასეთი გადასახდელის ერთ-ერთი სახე, მოსაკრებელი, ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ). მას იხდიან როგორც იურიდიული, ისე კერძო პირები, რომლებიც მიმართავენ სახელმწიფო ორგანოებს განსაზღვრულ მოქმედებათა შესასრულებლად. კანონმდებლობით ზუსტად არის დადგენილი ის ორგანოები, რომელთაც უფლება აქვთ, ასეთი სახის გადასახდელი გადაახდევინონ. მაგალითად, სასამართლო ორგანოები მისაგებელი ხასიათის გადასახდელს, სახელმწიფო ბაჟს ახდევინებენ სასარჩელო განცხადებებზე, საკასაციო საჩივრების მიღებაზე; სანოტარო ორგანოები – სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის, მმაჩის ორგანოები – დოკუმენტების გაცემისათვის და სხვ.

ამრიგად, არასაგადასახადო შემოსავლების ერთ-ერთი სახე, მისაგებელი ხასიათის გადასახდელები იქნება ეს თუ რომელიმე მოსაკრებელი, სახელმწიფო ბაჟი თუ სხვა, წარმოადგენს გადასახდელს და არა ფასს. მათი ერთმანეთში აღრევა განზრახ იქნება ეს გაკეთებული თუ უნებლიედ, დაუშვებელია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ფასწარმოქმნასთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესის, დანახარჯთა კლასიფიკაციის დროს გამოყენებული

ტერმინები. ქართულ ენაში თუ დანახარჯთა ყველა სახის გამოსახატავად ერთი სიტყვა "დანახარჯი" არის გამოყენებული და მხოლოდ შემდეგ ხდება მისი ცალკეული სახეების კლასიფიკაცია, ინგლისურ ენაში კონკრეტული სახის ზოგიერთ დანახარჯზე სპეციალური სიტყვა გამოიყენება. მაგალითად, თუ ქართულში ვიყენებთ ტერმინს „თვითღირებულების დანახარჯები", ინგლისურში მას სპეციალური ტერმინით „cost" გამოხატავენ. მატერიალური და არამატერიალური რესურსების ხარჯვის პროცესებზე საუბრისას გამოიყენება ტერმინი „expenditure", საბუღალტრო ბალანსის შედგენისას კი იხმარება ტერმინი „expenses". სამწუხაროა, რომ ამგვარი ტერმინები არასათანადოდ გამოიყენება სპეციალური ეკონომიკური ლიტერატურის თარგმნის დროს. ხშირია შემთხვევები, როცა სხვადასხვა ავტორი ერთი და იმავე ტერმინს განსხვავებულად იყენებს.

სტატიის მიზანი არ არის ამგვარ დამახინჯებათა ცალკეული შემთხვევების შეკრება-გაანალიზება. ჩვენი მიზანია, სწავლული ეკონომისტების ყურადღება მივაქციოთ ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის დახვეწა-სრულყოფის საკითხს, რასაც წლების განმავლობაში დიდი რუდუნებით ახორციელებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ფუძემდებელი, აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. **საქართველოს კანონი** „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ", თბილისი, 1996.
3. **საქართველოს კანონი** „ვეტერინარიის შესახებ". თბილისი, 1995.
4. საქართველოს კანონი „ინტელექტუალური საკუთრების შესახებ". თბილისი, 1995.
5. **საქართველოს კანონი** „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ". თბილისი, 1997.
6. **საქართველოს კანონი** „ნავთობისა და გაზის შესახებ". თბილისი, 1999.

7. **საქართველოს კანონი** „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“. თბილისი, 1998.

8. **საქართველოს კანონი** „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“. თბილისი, 2003.

9. **საქართველოს კანონი** „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“. თბილისი, 2002.

10. **საქართველოს კანონი** „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“. თბილისი, 2002.

Benashvili Tsiala

CONTEMPORARY PROBLEMS OF GEORGIAN ECONOMIC TERMINOLOGY

SUMMARY

It was stated a strong adequacy between Georgian and Russian economic terminology. Many Georgian thinkers worked on this problem and Academician Paata Gugushvili was among them. For nowadays it is very important to state analogical adequacy between Georgian and English economic terminology.

The main task of the article is to pay attention of Georgian scholars to this problem. There is analyzed some terms in Georgian legislation and shown negative results of using incorrect terminology in various branches of economy.

ნატა დავლაშერიძე

ეკონომიკაში 2002 – 2003 წლების ნობელის პრემიის ლაურეატთა მეცნიერული შეხედულებები

2002 წელს ნობელის პრემიის ლაურეატები ეკონომიკის დარგში გახდნენ ამერიკელები – პრინსტონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორი დანიელ კანემანი და გეორგ მასონის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი ვერნონ სმიტი. მეცნიერები ცდილობდნენ აეხსნათ ადამიანის ქცევის სტრატეგია ამა თუ იმ ვითარებაში: მაგალითად, პანიკის შექმნის მიზეზები ფინანსურ ბაზრებზე ან ადამიანის არარაციონალური ქმედების (ქცევების) მოტივები.

ამ ფენომენის ასახსნელად ვერნონ სმიტმა გამოიყენა ეკონომიკისათვის არატრადიციული ექსპერიმენტული კვლევის მეთოდი, ხოლო დანიელ კანემანმა – ფსიქოლოგიური მიდგომა. კითხვაზე – „მოქმედებენ თუ არა ადამიანები ისე, როგორც ამას ეკონომისტები ვარაუდობენ”?, იმ დროის ნობელის პრემიის ლაურეატებმა უპასუხეს – „არა”.

პროფესორმა სმიტმა (75 წლის) პირველმა ჩაატარა ეკონომიკური ექსპერიმენტები. აქამდე ითვლებოდა, რომ ეკონომიკაში ექსპერიმენტირება შეუძლებელია, რამდენადაც ეს, შესაძლოა, ძალიან ძვირად დაუჯდეს იმ ქვეყნის ეკონომიკას, სადაც ეს ექსპერიმენტი ტარდება. თუმცა სმიტი არც აპირებდა ექსპერიმენტების ჩატარებას მაკროეკონომიკაში, იგი მხოლოდ ლაბორატორიულ გამოკვლევებს ატარებდა ადამიანთა ჯგუ-

ფებთან, სწავლობდა ჯგუფის ქცევებს მარტივ სიტუაციებში: აუქციონებზე ან მარტივ ბაზრებზე ვაჭრობას.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელსაც სმიტი იკვლევდა, შემდეგია: რატომ ხარჯავს მყიდველი მაღაზიებში სიარულისთვის უამრავ დროს, რათა შეიძინოს, მაგ., კალკულატორი 5 დოლარით იაფად, მაშინ, როცა მისთვის არ აქვს მნიშვნელობა პიჯაკს 120 დოლარად შეიძენს თუ 125-ად. აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივ, მყიდველთა უმრავლესობისთვის ეკონომიურობის თვალსაზრისით, არა აქვს მნიშვნელობა სად დაზოგავს 5 დოლარს – კალკულატორის თუ პიჯაკის შეძენის დროს.

სმიტის ნაშრომები საფუძვლად დაედო გაყიდვის სააუქციონო სისტემასა და სახელმწიფო საკუთრების პრივატიზებას აუქციონის დახმარებით. მეცნიერი ორი სახის აუქციონს განიხილავდა: ერთ შემთხვევაში პრეტენდენტები თავიანთ დაკვეთებს დახურული კონვერტებით აწვდიან და გამარჯვებული იხდის იმ ფასს, რაც თვითონ შესთავაზა. ეს უკანასკნელი აუქციონის უფრო დახვეწილი ფორმაა, ვიდრე ჩვეულებრივი, როდესაც მყიდველი უბრალოდ სთავაზობ ფასს და იმარჯვებს უმაღლესი ფასის შემთავაზებელი. აუქციონის მეორე ტიპი ითვალისწინებს, რომ გამარჯვებული იხდის არა მის მიერ შეთავაზებულ თანხას, არამედ იმ თანხას, რომელიც რიგით მეორე კონკურენტმა დაასახელა. პარადოქსულია, მაგრამ სმიტმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ, ლოგიკის კანონების საპირისპიროდ, გამყიდველი მეტ ფულს იღებს მეორე სახის აუქციონიდან, რამდენადაც, თითქმის ყველა მყიდველი ზრდის ფასს იმ იმედით, რომ მოიგებს და შესაბამისად ნაკლებ ფულს გადაიხდის. საბოლოოდ კი – გაცილებით მეტს იხდის...

ნობელის პრემიის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე პირველად, პრემია ეკონომიკაში (რომელიც ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოდ ითვლება ეკონომიკურ სამყაროში), მიენიჭა გამოკვლევებს ფსიქოლოგიის დარგში. პრემიის ლაურეატი გახდა ებრაული წარმოშობის ამერიკელი დანიელ კანემანი (Daniel Kahneman) (68 წლის). უფრო ზუსტად, დანიელ კანემანს (პრინსტონის უნივერსიტეტი) მიენიჭა პრემია კვლევისათვის: „ეკონომიკურ მეცნიერებაში ფსიქოლოგიური მიდგომების გამოყენება კერძოდ, ადამიანური ფაქტორების გამოკვლევის დროს და განუსაზღვრელობის პირობებში გადაწყვეტილებების მიღებისას". შვედეთის სამეფო აკადემიამ ხაზგასმით აღნიშნა მისი მიღწევები იმ საყოველთაოდ აღიარებული ვარაუდის უარყოფის გამო, რომლის თანახ-

მადაც, ეკონომიკაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი რაციონალურია.

კანემანის ნაშრომებმა შესაძლებელი გახადა ეკონომიკურ მეცნერებაში დამკვიდრებულიყო ფსიქოლოგთა გამოცდილება და ახლებურად გაშუქებულიყო ბაზარზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, კერძოდ, ინფორმაციის ნაკლებობის პირობებში.

დანიელ კანემანის ძირითადი ნაშრომები ეხება ადამიანის უნარს, შეაფასოს სიტუაცია და მიიღოს გადაწყვეტილებები განუსაზღვრელობის პირობებში. მაგ., კანემანმა დაამტკიცა, რომ ადამიანის რისკზე წასვლის ცდუნება დანაკარგების გარკვეული რაოდენობის შემდეგაც გრძელდება, დროთა განმავლობაში მხოლოდ იზრდება და აჩლუნგებს სინამდვილის შეგრძნებას. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანს, დამარცხების შემდეგ ახასიათებს რევანშისკენ სწრაფვა, არაფრად აგდებს წარუმატებლობას და, ხშირ შემთხვევაში, სულ უფრო ნაკლებად აბანდებს კაპიტალს მომგებიან გარიგებებში.

დანიელ კანემანმა გვიჩვენა, რომ ადამიანთა უმეტესობა მოქმედებს ლოგიკის საპირისპიროდ იმ შემთხვევაში, როდესაც არჩევანის განუსაზღვრელობას აწყდება. როგორც აღმოჩნდა, რისკის თანაბარ პირობებში ადამიანები, ჩვეულებრივ, ორჯერ მეტ ენერგიას ხარჯავენ, რათა თავიდან აიცილონ დიდი დანაკარგები, ვიდრე მოგება ნახონ. ამით აიხსნება ის, თუ რატომ არ აქვს ადამიანს მიდრეკილება, გაყიდოს აქციები ან რატომ უხდის ზედმეტს სადაზღვევო კომპანიებს მცირე რისკის თავიდან ასაცილებლად. ხშირად ადამიანები არაადეკვატურად აფასებენ იმას, რასაც ფლობენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მაღაზიაში ეს ნივთები უფრო იაფი და ხარისხიანია. სწორედ კანემანმა მოახერხა, რომ პირველად განეჭვრიტა ადამიანთა ამგვარი ქმედების „არარაციონალურობა".

კანემანის აზრით, წარმოდგენა homo economics-ზე, რომელიც რაციონალურად მოქმედებს, მოძველებულია. ადამიანი როდესაც იღებს გადაწყვეტილებას, როგორც წესი, ნაკლებად ფიქრობს წარუმატებელ ვარიანტებს, რის გამოც ხშირად მთლად მომგებიან გარიგებებში ვერ აბანდებს კაპიტალს. დიახ, ასეა. ამერიკელმა-ისრაელელმა მეცნიერმა სწორედ იმაში მიიღო ფული, რომ სწავლობდა ადამიანთა როლს ფულად საქმეებში. ოფიციალური ფორმულირება შემდეგნაირად ჟღერს: „ადამიანის ფსიქოლოგიური გამოკვლევების შედეგები ეკონომიკური

მეცნიერების გასამდიდრებლად". ბ-მა კანემანმა დაადგინა, რომ ეკონომიკური განუსაზღვრელობის სიტუაციებში ადამიანთა ქმედებები ხშირად ეწინააღმდეგება არა მხოლოდ სტანდარტულ ეკონომიკურ თეორიას, არამედ ალბათობის თეორიასაც. ამაზე შეკამათება რთულია. მართლაც, არაერთხელ ყოფილა ადამიანი სხვა ადამიანთა ისეთი არაორდინალური მოქმედების მომსწრე, რომელიც არა მარტო ეკონომიკურ, არამედ, საერთოდ, გონივრულ ახსნასაც კი არ ექვემდებარება.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანს, ერთი მხრივ, ახასიათებს რისკის ზედმეტად შეფასება, იგი ცდილობს, იყოს დაზღვეული, რაც იწვევს რისკის არასრულ ინვესტირებას და გადახარჯვას. ნობელის პრემიის ლაურეატი სწორედ ადამიანის ასეთი „არარაციონალური" ქცევით ხსნის და ირიონიულად განმარტავს, რომ „ადამიანები ჯერ კიდევ არსებობენ დედამიწაზე მაშინ, როდესაც სხვა ცივილიზაციები, რომელთაც უნარი ჰქონდათ, სწორად შეეფასებინათ რისკი, უკვე დიდი ხანია გადაშენდნენ".

ამ მეცნიერთა გამოკვლევების მნიშვნელობა იმაშიცაა, რომ მომავალში მათმა თეორიებმა შესაძლოა იმ ეკონომიკური მეცნიერების დებულებათა ძირფესვიანი გადახედვა გამოიწვიოს, რომელიც ხშირ შემთხვევაში ვერ ხსნის ჩვეულებრივი სამყაროს ჩვეულებრივ საგნებს.

ნობელის პრემია ეკონომიკის დარგში მიენიჭა რ. ენგლს (აშშ) „ცვლადი ცვალებადობის მქონე ეკონომიკური დროითი რიგის ანალიზის მეთოდებისათვის" და კ. გრეინჯერს (დიდი ბრიტანეთი) „ზოგადი ტენდენციების მქონე ეკონომიკური დროითი რიგის ანალიზის მეთოდებისათვის", ანუ იმ ეკონომიკური მოდელების აგებისათვის, რომლითაც შესაძლებელი გახდება მომავალის პროგნოზირება.

ნობელის პრემიის 2003 წლის ლაურეატებმა რ. ენგლმა [Engle] (ნიუ-იორკის უნივერსიტეტის შტერნის ბიზნესის მაგისტრატურის პროფესორი) და კ. გრეინჯერმა (უელსელი პროფესორი, ამჟამად პენსიონერი, მუშაობდა სან-დიეგოს უნივერსიტეტში) 80-იან წლებში დაამუშავეს ახალი სტატისტიკური მეთოდები, რომლებიც ეხებოდა დროითი რიგების ორ საკვანძო თვისებას: დროში ცვალებად ხმაურთა დისპერსიას (ვოლატილობით) და არასტაციონალობას.

შვედეთის სამეფო მეცნიერებათა აკადემიამ ორ მეცნიერს მიანიჭა პრემია ეკონომიკური სტატისტიკის, როგორც უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, რომელსაც ეფუძნება

პროგნოზები ეკონომიკურ მოდელებში. რ. ენგლმა და კ. გრეინჯერმა შეაგროვეს მონაცემები, რის საფუძველზეც შეძლეს, დაკვირვებოდნენ დროში ცვალებადობას, როგორიცაა სხვადასხვა ჰიპოთეზას შორის დამოკიდებულებათა განსაზღვრა. „საუბარია განვითარების ისეთ მაჩვენებლებზე, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, სამომხმარებლო და საბირჟო ფასები, საბანკო პროცენტები და ა.შ.“ – ნათქვამია ნობელის კომიტეტის განცხადებაში.

ნობელიის პრემიის მეორე ლაურეატმა პროფესორმა კ. გრეინჯერმა გვიჩვენა, რომ სტაციონარული დროითი რიგებისათვის გამოყენებულმა სტატისტიკურმა მეთოდებმა, შესაძლოა, არასწორი შედეგები მოგვცეს თუ მათ გამოვიყენებთ არასტაციონარულ დროით რიგებთან სამუშაოდ. მისი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა იმაში მდგომარეობს, რომ არასტაციონარული დროითი რიგების გარკვეულმა კომბინაციებმა, შესაძლოა, გამოავლინონ სტაციონარულობის თვისება, რაც სავსებით საკმარისია სტატისტიკურად სწორი შედეგების მისაღებად. გრეინჯერმა ამ მოვლენას თანაინტეგრაცია (კოინტეგრაცია) უწოდა. მან შეიმუშავა ისეთი მეთოდები, რომელიც შეუცვლელი აღმოჩნდა იმ სისტემაში, სადაც ხანმოკლე დინამიკაზე მოქმედებს ხანგრძლივი შემთხვევითი ტენდენციები და რომლებშიც ხანგრძლივი დინამიკა ფერხდება ეკონომიკური წონასწორობის თანაფარდობებით. ამის მაგალითად გამოდგება დამოკიდებულება კეთილდღეობასა და მოხმარებას, ვალუტის კურსსა და ფასების დონეებს და, აგრეთვე, პროცენტის გრძელვადიან და მოკლევადიან განაკვეთებს შორის.

„ჭეშმარიტი” მიზეზობრიობის დადგენის ყველაზე ცნობილი ტესტი – „გრეინჯერის კავშირის ტესტი” – ბოლო ათწლეულში იმ ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომის აუცილებელ ატრიბუტად იქცა, რომელიც შეისწავლის დროით რიგებს. იგი მოულოდნელად აღმოჩნდა თანამედროვეობის ყველაზე ცხარე კამათის შუაგულში. საქმე ისაა, რომ გრეინჯერის ტესტი ძირითად სტატისტიკურ არგუმენტად იქნა გამოყენებული გლობალური დათბობის ეფექტის არსებობის დასამტკიცებლად.

1996 წელს ჟურნ. „Nature“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში, ორმა ავტორმა – რობერტ კაუფმანმა და დევიდ სტერანმა აღმოაჩინა სტატისტიკური კავშირი დედამიწის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნახევარსფეროების ტემპერატურას შორის. გრეინჯერის ტესტმა შესაძლებელი გახადა ამ კავშირის მიზეზობრიობაში გადაყვანა. რატომ იყო ეს ასეთი მნიშვნე-

ლოვანი მეცნიერებისათვის? იმიტომ, რომ ცივილიზაციის ცენტრები ძირითადად დედამიწის ჩრდილოეთ ნაწილშია თავმოყრილი. ადამიანის საქმიანობა კი იწვევს არა მარტო დათბობის, არამედ აცივების ეფექტსაც. ავტორთა აზრით, ამას ლოკალური მნიშვნელობა აქვს და ხელს უშლის გლობალური დათბობის ეფექტის განსაზღვრას. სამხრეთ ნახევარსფეროში ეს ეფექტი შეიმჩნევა უფრო სუფთა სახით (ნათლად). სტატიის გამოსაქვეყნებლად დრო ძალიან ზუსტად იყო შერჩეული. გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ მიღებულ იქნა კიოტოს პროტოკოლი, რომელმაც სტატისტიკური დებატები პოლიტიკურში გადაზარდა. ახლა უკვე ბევრს ადარ ახსოვს, რომ მეცნიერული მტკიცებულების საფუძვლად სწორედ გრეინჯერის ტესტი იქცა. მაგრამ მეცნიერები კვლავ კამათობენ სათბურის ეფექტის ჩამოყალიბების მეცნიერულ ბაზაზე. ნობელის კომიტეტის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება ნიშნავს სამეცნიერო საზოგადოების მიერ თვით ტესტის სისწორის უშუალო აღიარებას, ხოლო არაპირდაპირი დანიშნულებით მისი გამოყენების შედეგად, შესაძლებელი გახდა „სათბურის ეფექტის" არსებობის დამტკიცება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. http://en.wikipedia.org/wiki/Nobel_Memorial_Prize_in_Economic_Sciences
2. http://danielkahneman.com/
3. http://pages.stern.nyu.edu/~rengle/

Davlasheridze Nata

SCIENTIFIC ANALYSIS OF THE WORKS OF NOBEL PRIZE WINNERS IN ECONOMY IN 2002-2003

S U M M A R Y

The article analyzes in detail the works of well – known scientists of the present, who became Nobel prize laureates in economic science for 2002-2003.

It is noted that in 2002 Nobel prize was first given to scientists amalgamating psychology and economy: Prof. of economy V. Smith (the USA) and Prof. of psychology who tried to explain the strategy of human behaviour in different situations (e.g. the reason of the rise of panic at financial markets or motive of irrational behaviour of many people).

In 2003 Swiss Royal Academy of sciences awarded with prize two scientists for elaboration of new statistical methods of constructing more developed economic models prognosing the future. These scientists were R. Engle (the USA).- for methods of analyzing economic time series with time-varying volatility (ARCH) , and C. Granger, for methods of analyzing economic time series with common trends.

The analyses of problems given in the article gives possibility to make conclusion about the contribution of Nobel laureats to the case of development of economy and economic science.

თეა ლაზარაშვილი

მედეა მელაშვილი

ფულად-საკრედიტო სისტემის მდგომარეობა და თავისებურებანი საქართველოში

საქართველოში, ისევე, როგორც ნებისმიერ ქვეყანაში, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამ პოლიტიკის მთავარი მიზანია, დაეხმაროს ეკონომიკას წარმოების საერთო დონის ამაღლებაში, რომელიც ხასიათდება სრული დასაქმებითა და ინფლაციის მინიმალური

დონით. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ფულის მიწოდების რეგულირებას გულისხმობს ეკონომიკური ზრდის, დასაქმებისა და ფასების დონის სტაბილიზაციის მიზნით. კერძოდ, დაქვეითების ფაზაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკა იწვევს ფულის მიწოდების გადიდებას დანახარჯების წასახალისებლად, ხოლო ინფლაციის დროს, პირიქით, ზღუდავს ფულის მიწოდებას დანახარჯების შესამცირებლად.

საქართველოში, სხვა ქვეყნების მსგავსად, ფულად-საკრედიტო კონტროლის სამი ძირითადი საშუალება არსებობს.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება მიზეზშედეგობრივი კავშირების საკმაოდ რთული ქსელის მეშვეობითაა შესაძლებელი: პოლიტიკური გადაწყვეტილებები ზემოქმედებს კომერციული ბანკების რეზერვებზე; რეზერვების ცვლილება ზემოქმედებას ახდენს ფულის მიწოდებაზე; ფულის მიწოდების ცვლილება თავისთავად იწვევს სარგებლის განაკვეთის შეცვლას; ამ უკანასკნელის ცვლილება კი ზემოქმედებს ინვესტიციებზე.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ოპტიმალურობა განისაზღვრება მისი მოქნილობითა და პოლიტიკური მიზანშეწონილობით.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა თავის ქმედებებში არ არის თავისუფალი და ის მრავალ შეზღუდვასა და გადაუჭრელ პრობლემებს აწყდება. მათგან შეიძლება გამოიყოს შემდეგი: 1. ის ჭარბი რეზერვები, რომელიც იაფი ფულის პოლიტიკის შედეგად იქმნება, სრულიად შესაძლებელია არ იქნეს გამოყენებული კომერციული ბანკების მიერ ფულის მიწოდების გაფართოებისათვის. 2. ფულის მიწოდების ცვლილება, რომელიც ფულად-საკრედიტო პოლიტიკითაა გამოწვეული, შეიძლება ნაწილობრივ კომპენსირდეს ფულის მიმოქცევის სიჩქარის ცვლილებით. 3. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ზემოქმედება შეიძლება შესუსტდეს ფულზე მოთხოვნის შემცირების შესაბამისად.

ცნობილია, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უფრო სწრაფად იცვლება ვიდრე ფისკალური პოლიტიკა. ფისკალური პოლიტიკის განხილვა-გამოყენება შეიძლება რამდენიმე ხნით გადაიდოს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მიერ, რასაც ვერ ვიტყვით ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე. ეროვნული ბანკი ყოველდღიურად ღებულობს გადაწყვეტილებებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის თაობაზე და ამით ზემოქმედებს ფულის მოთხოვნა-მიწოდებასა და სარგებლის განაკვეთებზე.

გასული საუკუნის 90-ანი წლების დასაწყისამდე საქართველოს ფაქტობრივად არ გააჩნდა საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა და არც პოლიტიკა. არაორდინალურ პირობებში მათი ჩამოყალიბება განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს, საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებებით საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საკრედიტო სისტემის შემადგენელი ყველა სტრუქტურა და მათ შორის სახელმწიფო ბანკიც, რომლის ბაზაზეც დაფუძნდა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

ამ პერიოდისათვის საბანკო კანონმდებლობა ბევრი ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა. უპირველეს ყოვლისა, მკაფიოდ არ იყო გამოხატული ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა, რაც მის საქმიანობაში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების არასასურველ ჩარევას ხელს ვერ უშლიდა. ცალსახად იყო ჩამოყალიბებული ცენტრალური ბანკის ძირითადი ფუნქციები. მას ერთდროულად ევალებოდა როგორც ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარება, ასევე ეკონომიკის შეწონასწორებული განვითარებისა და მეურნეობრიობის გააქტიურების სტიმულირება. ეს ცენტრალური ბანკისათვის მეტად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო ამოცანები იყო, რაც მის კომპეტენციის ფარგლებს სცილდებოდა. ყოველივე ეს ხელს უშლიდა ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელებას.

ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოში ჩამოყალიბდა სამიარუსიანი საბანკო სისტემა, რაც აფერხებდა მის განვითარებას. ლიბერალური მიდგომების ფონზე პრაქტიკულად უკონტროლოდ მრავლდებოდა საბანკო და სხვა საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც პრაქტიკულად ვერ ასრულებდნენ ელემენტარულ ფუნქციებს და საფრთხეს უქმნიდნენ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას. ამას თან დაერთო, ეროვნული ბანკის მიერ ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში, საკმაოდ ფართო ფულადი ექსპანსია, რაც, საბოლოოდ, ქვეყანაში ჰიპერინფლაციის გამომწვევი მიზეზი გახდა.

ქვეყნის კანონმდებლობით ეროვნულ ბანკს ეკრძალებოდა ბიუჯეტის დეფიციტის პირდაპირი დაფინანსება, მაგრამ საკრედიტო ექსპანსია,

რომელიც კომერციული ბანკების დაკრედიტებით ხორციელდებოდა, იმავე დამღუპველი შედეგით ხასიათდებოდა.

ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა შეზღუდული იყო იმითაც, რომ 1993 წლის პირველ აპრილამდე მას არ ჰქონდა ფულის ემისიის საშუალება. საქართველო, როგორც ვიცით, შედიოდა სამანეთო ზონაში, რაც ეროვნულ ბანკს დამოკიდებულს ხდიდა რუსეთის ხელისუფლებაზე, რომელიც ამ ფაქტს პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის იარაღად იყენებდა.

1993 წლის 3 აპრილიდან მიმოქცევაში შემოვიდა დროებითი ფულადი ერთეული კუპონი, რომელსაც სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღებამდე უნდა ეტვირთა გარდამავალი პერიოდის მთელი სიმძიმე. კუპონის შემოღების შემდეგ ქვეყანაში არსებულ ისედაც უმძიმეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას თან დაერთო გაუმართლებლად ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელმაც საფუძველი დაუდო კუპონის კატასტროფულ გაუფასურებას [1, გვ. 36].

ეროვნულ ბანკს შეზღუდვები ჰქონდა აგრეთვე დაწესებული სავალუტო ოპერაციების განხორციელებისას, რადგანაც პრაქტიკულად არ გააჩნდა სავალუტო რეზერვები. 1992 წლიდან, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური დახმარებით, დაიწყო მუშაობა საქართველოში თანამედროვე ფულად-საკრედიტო და საბანკო სისტემის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად.

დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის სტატუსი განსაზღვრულია ქვეყნის კონსტიტუციით. კონსტიტუციის 95-ე მუხლით, ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით, რომელიც 1995 წლის 23 ივნისს იქნა მიღებული.

ცენტრალური ბანკის ხელში თავმოყრილია მონეტარული და ფინანსური სექტორების მართვის ფუნქციები, რაც მის საქმიანობას კოორდინირებულობას, ოპერატიულობას და მოქნილობას მატებს.

მკაფიოდ განისაზღვრა ეროვნული ბანკის ფუნქციები, რაც მდგომარეობდა: ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის, ასევე, ფასების სტაბილურობის მიღწევასა და შენარჩუნებაში, საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების, აგრეთვე, საფინანსო-საკრედიტო სისტემის ლიკვიდურობის გადახდისუნარიანობისა და საბა-

ზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული მყარი ფუნქციონირების უზრუნ-ველყოფაში.

დღემდე ეროვნული ბანკი თავისუფალი იყო აღმასრულებელი ხე-ლისუფლების ნებისმიერი ჩარევისაგან მის საქმიანობაში. იგი ანგარიშ-ვალდებული იყო საკანონმდებლო ხელისუფლების – საქართველოს პარლამენტის წინაშე, რომელიც ყოველწლიურად ამტკიცებს "ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს", სა-დაც მოცემულია ეროვნული ბანკის საქმიანობის ზოგიერთი ძირითადი სამოქმედო რაოდენობრივი პარამეტრი და წლის განმავლობაში განსახ-ორციელებელი სტრატეგიული ღონისძიებები ფულად-საკრედიტო და საგადამხდელო სისტემის განვითარებისათვის.

ადეკვატური საკანონმდებლო ცვლილებებისა და საერთაშორისო დახმარების ფონზე 1995-1998 წლებში ეროვნულმა ბანკმა შეძლო ქვეყა-ნაში მონეტარული სტაბილურობის მიღწევა. მართვადი გაცვლითი კურ-სის ფარგლებში თანდათანობით იკლო ინფლაციის ტემპებმა და ინ-ფლაციურმა მოლოდინმა. ყოველივე ამან საფინანსო სისტემის განვითა-რებისათვის აუცილებელი გარემო შექმნა.

1998 წელს რუსეთის საფინანსო კრიზისმა საგადამხდელო ბალან-სის დეფიციტის ზრდით ლარის მკვეთრი დევალვაცია გამოიწვია და ეროვნული ბანკი, სავალუტო რეზერვების შემცირების გამო, იძულებუ-ლი იყო მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმზე გადასულიყო. სწორედ არჩეული მცოცავი დევალვაციის ტაქტიკამ მისცა საშუალება ეროვნულ ბანკს, გადაერჩინა საბანკო სისტემა და შეენარჩუნებინა ფასების სტა-ბილურობა.

შემდგომ ეტაპზე, ეროვნული ბანკი მეტ-ნაკლები წარმატებით ართმევს თავს მის წინაშე დასახულ ამოცანებს, რაც გამოიხატება მო-ნეტარულ და საბანკო სფეროში მიღწეული შედეგებით, რომლებიც აი-სახება საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების შეფასებებში.

ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანა ეროვნული ვალუტის მსყიდ-ველობითი უნარისა და ფასების სტაბილურობის მიღწევა-შენარჩუნებაა. ფასების სტაბილურობის უპირატესი მნიშვნელობა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ დაბალი და პროგნოზირებადი ინფლაცია გრძელვ-დიანი ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინაპირობაა. დღეისათვის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც ფასების სტაბილურობაზეა ორიენტირებული, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, მოსახლეო-

ბის შემოსავლების გაუფასურებისაგან დაცვას და მთლიანი შიდა პროდუქტის გრძელვადიანი ზრდის ამაღლებას ემსახურება [2, გვ. 253].

ქვეყანაში არსებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა საფრთხე შეუქმნა ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობას და მის ეფექტიან ფუნქციონირებას. როგორც ცნობილია, გაუქმდა ეროვნული ბანკის ზედამხედველობის დეპარტამენტი და იგი ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდა, როგორც საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში, იქნება ეს განვითარებული თუ განვითარებადი, ეროვნული ბანკი ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებს. მან უნდა უზრუნველყოს ფასების სტაბილურობა, ფინანსური სისტემის გამჭვირვალობა, შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები, იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი, უზრუნველყოს საგადასახადო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება და სხვ.

ჩვენი აზრით, ეროვნული ბანკის დასუსტებისა და მისი დამოუკიდებლობის შეზღუდვის შემდეგ, ძალიან ძნელი იქნება ისეთი ეფექტური სამსახურების ჩამოყალიბება, რომლებიც იგივე ფუნქციებს განახორციელებს, რასაც ეროვნული ბანკი ასრულებდა. ეს გამოიწვევს ინფლაციური პროცესების კიდევ უფრო მეტად გამძაფრებას და ქვეყანაში ანარქიული პროცესების დაწყებას (ამას ადასტურებს არაერთი ექსპერტიც ეკონომიკის დარგში).

ამიტომ ეფექტური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების და ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობა და არა მისი დასუსტება და ფუნქციების შეზღუდვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2007.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი.

2. **წლიური ანგარიში 2007.** საქართველს ეროვნული ბანკი. თბილისი.

Lazarashvili Tea
Melashvili Medea

CONDITION AND PECULIARITIES OF MONETARY AND CREDIT SYSTEM IN GEORGIA

SUMMARY

Monetary and credit policy is an indivisible part of national economic policy of country. The optimality of monetary and credit policy is defined by its flexibility and political expedience.

Before the beginning of 90-ies of last century Georgia really had neither monetary and credit system, nor policy. In extraordinary conditions their creation was the problem of special significance.

Current state of monetary and credit system to-day is characterized by definite peculiarities stipulated by environments, accompanying its development from the creation till to-day.

ანზორ კურატაშვილი

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი და მისი განსხვავება ტრადიციული საბაზრო სისტემისაგან

ტრადიციული საბაზრო ეკონომიკისაგან განსხვავებით, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკური სისტემის კვლევა თვისებრივად ახალ მიდგომას მოითხოვს, რაც განპირობებულია იმ პრინციპული მნიშვნელობის სიახლით, რომელიც დამახასიათებელია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისათვის.

საბაზრო ეკონომიკისა და მისი სოციალური ორიენტაციის პრობლემების კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე პირობებში, როდესაც მიმდინარეობს ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესი და ამ ურთიერთობების ეფექტიანი გამოყენების გზების ძიება.

ეკონომიკა, როგორც ცნობილია, ფაქტობრივად, ყველგან საბაზრო ეკონომიკას წარმოადგენს, რადგან რეალურად ეკონომიკა არ არსებობს საქონელწარმოების გარეშე, ხოლო საქონლური წარმოება წარმოუდგენელია ბაზრის გარეშე.

ანალოგიური აზრი გამოთქმულია ეკონომიკურ ენციკლოპედიაში, სადაც ვკითხულობთ: „საბაზრო ეკონომიკა – ისტორიული კატეგორიაა, რომელიც დამახასიათებელია იმ სოციალურ-ეკონომიკური სისტემებისათვის, სადაც არის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები. აღმოცენდა რა მრავალი საუკუნის წინათ, მან მიაღწია განვითარების მაღალ დონეს, გახდა ცივილიზებული და სოციალურად ორიენტირებული“ [8, გვ. 976].

გარდა ამისა, ანალოგიური აზრი დაფიქსირებულია თანამედროვე ეკონომიკური თეორიის მაკმილანის, მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ, ინგლისურ ლექსიკონში, რომელშიც ვკითხულობთ: „საბაზრო ეკონომიკა ჩვეულებრივ გულისხმობს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების სისტემას, ე.ი. ის არის „კაპიტალისტური“ ეკონომიკა ან „კერძო მეწარმეობის“ ეკონომიკა. მაგრამ საბაზრო ეკონომიკა შეიძლება

გარკვეულწილად ფუნქციონირებდეს საზოგადოებრივი საკუთრების დროსაც“ [5, გვ. 311].

ამასთან ერთად, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინში „საბაზრო ეკონომიკა“ იგულისხმება, ერთი მხრივ, ეკონომიკა, რომლის მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება და, მეორე მხრივ, ეკონომიკა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტთა სრული თავისუფლების არსებობა, საკუთრების ფორმათა პლურალიზმი, სამეწარმეო საქმიანობის სახეობათა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მრავალფეროვნება, რომლებსაც განვითარების თანაბარი შესაძლებლობები გააჩნიათ.

საბაზრო ეკონომიკა – ეს არის ეკონომიკა, რომლის მართვა ძირითადად ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების ძალთა გავლენით ხდება, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შეზღუდვის პირობებში. „საბაზრო ეკონომიკა, – რ. ნურეევის სიტყვებით რომ ვთქვათ, – ხასიათდება, როგორც სისტემა, რომელიც დაფუძნებულია კერძო საკუთრებაზე, არჩევანისა და კონკურენციის თავისუფლებაზე. იგი ემყარება პირად ინტერესებს, ზღუდავს მთავრობის როლს“ [2, გვ. 60]. აქ, ჩვენი აზრით, დასაზუსტებელია მხოლოდ ის, რომ, თუმცა, როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკა, ანუ ეკონომიკა, რომლის რეგულირებაში გადამწყვეტი როლი ბაზარს ეკუთვნის, ძირითადად დაფუძნებულია კერძო საკუთრებაზე, მაგრამ რეალურად ის ეფუძნება საკუთრების ფორმათა პლურალიზმს, ამ ფორმათა სამართლებრივი თანასწორუფლებიანობის პირობებში.

მაშასადამე, ტერმინში „საბაზრო ეკონომიკა“, ჩვენი აზრით, უნდა იგულისხმებოდეს, ერთი მხრივ, მაქსიმალურად შესაძლო მოგებაზე გამიზნული ეკონომიკა, მისი საბაზრო ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენებით, ხოლო, მეორე მხრივ, – ეკონომიკა, რომელშიც მთავარი როლი საბაზრო მექანიზმებს ენიჭება, რადგან საბაზრო ეკონომიკა არის ისეთი „ეკონომიკა, რომელშიც კითხვები რა, როგორ და ვისთვის ვაწარმოოთ, რომლებიც ეხება რესურსების განლაგებას, წყდება უმთავრესად ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების ძალთა ურთიერთქმედების მეშვეობით. ეკონომიკური ორგანიზაციის ასეთი ფორმის დროს, ფირმები, რომელთაც ამოძრავებთ სწრაფვა მაქსიმალური მოგებისადმი, ყიდულობენ წარმოებრივ რესურსებს და ყიდიან წარმოებულ პროდუქციას. საოჯახო მეურნეობები, ღებულობენ რა ფაქტორების

გაყიდვის შედეგად შემოსავალს, მიდიან ბაზარზე და წამოაყენებენ მოთხოვნას საბოლოო სიკეთეებზე. მიწოდების (ფირმის მხრიდან) და მოთხოვნის (საოჯახო მეურნეობების მხრიდან) ურთიერთქმედებას მივყავართ ფასისა და სიკეთეთა რეალიზაციის მოცულობის დადგენამდე“ [4, გვ. 793-794].

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკა – ეს არის მოგების მიღების მაქსიმიზაციაზე გამიზნული ეკონომიკა მასში საბაზრო მექანიზმების გადამწყვეტი მარეგულირებელი როლით.

ამასთან, საბაზრო ეკონომიკაში ფაქტობრივად იგულისხმება ბაზრის – საბაზრო ურთიერთობების – საყოველთაო ხასიათი, რაც დამახასიათებელია კაპიტალიზმისათვის, ე. ი. ტერმინში „საბაზრო ეკონომიკა“, თანამედროვე გაგებით, ფაქტობრივად იგულისხმება კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკა, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია აიხსნას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შინაარსი მაშინ, როდესაც ბაზარი – საბაზრო ურთიერთობები – და, შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ კაპიტალიზმისთვის არ არის დამახასიათებელი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შინაარსთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს აზრი იმის შესახებ, რომ „ეს კონცეფციები (საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფციები – ა. კ.) საკმაოდ ვიწროდ, გადასვლის რეალური ამოცანების შეუსაბამოდ, ორიენტაციას აძლევს რეფორმირების პრაქტიკას მოძრაობაზე სწორედ (და მხოლოდ) კაპიტალიზმისაკენ (რადგან საზოგადოება „სოციალიზმიდან“ მიდის)“ [1, გვ. 37].

აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ ცნობილი უცხოური ენციკლოპედიური ტიპის ეკონომიკურ ლექსიკონში კერძო მეწარმეობის ეკონომიკა, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა და კაპიტალიზმი ფაქტობრივად განხილულია, როგორც ერთი და იგივე ცნებები [3, გვ. 665], რაც, ჩვენი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ კერძო მეწარმეობა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა დამახასიათებელია კაპიტალიზმისათვის, თუმცა, ჯერ ერთი, კაპიტალიზმი მხოლოდ კერძო მეწარმეობა და საბაზრო ეკონომიკა არ არის და, მეორეც, კერძო მეწარმეობისა და საბაზრო ეკონომიკის არსებობა შესაძლებელია არა მხოლოდ კაპიტალიზმის დროს.

მაშასადამე, თუმცა საბაზრო ეკონომიკა ადრეც არსებობდა, მაგრამ თანამედროვე გაგებით, საბაზრო ეკონომიკაში, ჩვენი აზრით, იგუ-

ლისხმება ბაზრით რეგულირებადი ეკონომიკა, ე. ი. ეკონომიკა, რომელსაც ბაზარი არეგულირებს, განსხვავებით საბჭოური ტიპის ეკონომიკისაგან, როდესაც ეკონომიკის რეგულირება ხდებოდა ცენტრალიზებული გეგმითა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებით, ანუ იმ სისტემით, რომელსაც ლუდვიგ ერხარდმა იძულებით წარმართვადი მეურნეობა უწოდა [9, გვ. 5].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბაზრო ეკონომიკას იმ გაგებით, რაც ამ ტერმინში თანამედროვე გაგებით რეალურად იგულისხმება, ჩვენი აზრით, უნდა ეწოდებოდეს უპირატესად ბაზრით რეგულირებადი ეკონომიკა.

ამასთან ერთად, ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა განსხვავდება როგორც მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკისაგან, ისე თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისაგან, კიდევ იმით, რომ თუ „მბრძანებლურ ეკონომიკაში ყველა გადაწყვეტილებას წარმოებისა და მოხმარების შესახებ ღებულობს სახელმწიფო“ [6, გვ. 10], ხოლო „თავისუფალი ბაზრის ეკონომიკაში სახელმწიფო არანაირ როლს არ თამაშობს რესურსების განაწილებაში“ [6, გვ. 11], სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა გულისხმობს, ერთი მხრივ, საბაზრო ორგანიზაციის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენებასა და საბაზრო მექანიზმების გამოყენების მარეგულირებელ როლს და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს სამართლებრივი და ორგანიზაციული ჩარევის აუცილებლობას (მეწარმეთა შესაძლო თავისუფლების მაქსიმალური შენარჩუნებით) საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებისა და მისი სოციალური ორიენტაციისათვის.

ამრიგად, თუ საბაზრო ეკონომიკა არის „ეკონომიკა, რომელშიც არსებობს ეკონომიკურ ურთიერთობათა სუბიექტების სრული თავისუფლება, განვითარებულია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები, საკუთრების ყველა ფორმას და მეწარმეობის სახეებს აქვთ თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის, ხოლო სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში შეზღუდულია“ [7, გვ. 530], და, რაც მთავარია, თუ საბაზრო ეკონომიკა ეს არის ეკონომიკა, რომლის მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება აღნიშნული მრავალფეროვანი ფორმებისა და საშუალებების გამოყენებით, რაც საბაზრო ეკონომიკის არსის განმსაზღვრელ კრიტერიუმს წარმოადგენს, სოციალურად ორიენტირებული სა-

ბაზრო ეკონომიკა არის ეკონომიკა, რომლის არსი განისაზღვრება მისი, როგორც საბაზრო ეკონომიკის, მოგებისადმი სწრაფვის პარალელურად სოციალური პრობლემების გადაჭრაზე ორიენტაციით, უფრო ზუსტად კი – სოციალური ორიენტაციით, რადგან რეალურად ეკონომიკურად ეფექტიანი ეკონომიკის და, ამავე დროს, სოციალური ორიენტაციის მქონე ეკონომიკის პირობებში სოციალური პრობლემების არსებობის ალბათობა ძალიან დაბალია.

მაშასადამე, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსი მდგომარეობს ისეთი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ერთდროულად მოგების მიღებისადმი სწრაფვა და სოციალური ორიენტაცია.

კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა, საბაზრო ეკონომიკის მიზანია მაქსიმალურად მაღალი მოგების მიღება, რადგან „საზოგადოებრივი წარმოების ფუნქციონირება მეწარმეობის პირობებში ხორციელდება ადეკვატურ ფორმებში, რომლებიც შეესაბამება საბაზრო ეკონომიკას. როგორც ცნობილია, მეწარმეობა – ეს ინიციატივიანი საქმიანობაა, რომელიც მიმართულია კომერციული წარმატების (მოგების) მისაღწევად“ [7, გვ. 56-57].

რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას, ის აგრეთვე მოგების მისაღებად არის მიმართული, მაგრამ, განსხვავებით სოციალურად არაორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისაგან, საბაზრო ეკონომიკის სოციალურად ორიენტირებული მოდელი თავისი არსის განმსაზღვრელ კრიტერიუმად, მოგებისადმი სწრაფვასთან ერთად, სოციალურ ორიენტაციას და მის პრაქტიკულ რეალიზაციას შეიცავს.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის ზემოაღნიშნული განსაზღვრა, ანუ მისი არსის განსაზღვრის ჩვენეული კრიტერიუმი, გარკვეულწილად, მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სხვა ასეთი განსაზღვრა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს, თუმცა, ცხადია, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია თავისთავად ხალხის კეთილდღეობაზე ორიენტაციას გულისხმობს, რასაც ლუდვიგ ერხარდის სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრობლემისადმი მიძღვნილი ცნობილი წიგნის სახელწოდებაც – „კეთილდღეობა ყველასათვის“ [10] – ადასტურებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის განსაზღვრა, რომელიც დააფიქსირებდა ამ ტიპის ეკონომიკის მთავარ განმსაზღვრელ კრიტერიუმს, სამეცნიერო ლიტერატურაში, ფაქტობრივად, თითქმის არ გვხვდება, რადგან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაში იგულისხმება ჩვეულებრივი საბაზრო ეკონომიკა, რომელსაც სოციალური ორიენტაცია აქვს. თუმცა სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას, მისი სოციალური ორიენტაციიდან გამომდინარე, თვისებრივად განსხვავებული არსი და აქედან გამომდინარე სპეციფიკური ნიშნები გააჩნია.

კერძოდ, თუ საბაზრო ეკონომიკის არსის განსაზღვრისას ყურადღება ძირითადად გამახვილებულია საბაზრო ურთიერთობების ფუნქციონირების ფორმებსა და მეთოდებზე – საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნებასა და მათ თანასწორუფლებიანობაზე, ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტთა სრულ თავისუფლებაზე, ბაზრის მარეგულირებელ როლზე და ა. შ., სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის განსაზღვრისას, ჩვენი აზრით, ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამახვილდეს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანზე – მოგებაზე, და ამავე დროს, მის სოციალურ ორიენტაციაზე – ხალხის კეთილდღეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Курс переходной экономики:** Учебник для вузов (Под ред. акад. Л. И. Абалкина). М., ЗАО "Финстатинформ", 1997.
2. **Нуреев Р. М.** Курс микроэкономики. Учебник для вузов. – 2-е изд. изм. – М., Издательство НОРМА (Издательская группа НОРМА-ИНФРА-М), 2001.
3. **Пасс К., Лоуз Б., Девис Л.** Словарь по экономике. Пер. с англ. под ред. П. А. Ваткина. СПб., Экономическая школа, 1998.
4. **Самуэльсон Поль А., Нордхаус Вильям Д.** Экономика: Пер. с анг. – М., "БИНОМ", "Лаборатория Базовых Знаний", 1997.

5. **Словарь современной экономической теории Макмиллана**. – М., ИНФРА-М, 1997.

6. **Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р.** Экономика. Пер. с анг. со 2-го изд. – М., "Дело ЛТД", 1993.

7. **Экономическая теория** . Под ред. А. И. Добрынина, Л. С. Тарасевича: Учебник для вузов. 3-е издание. – СПб: Изд. СПбГУЭФ, Изд. "Питер Ком", 1999.

8. **Экономическая энциклопедия** . Науч.-ред. совет. изд-ва "Экономика"; Ин-т экон. РАН; Гл. ред. Л. Н. Абалкин. М., ОАО Издательство "Экономика", 1999.

9. **Эрхард Л.** Благосостояние для всех. – М., Начала - Пресс, 1991.

10. **Эрхард Л.** Благосостояние для всех: Репринт. Воспроизведение. Пер. с нем./Авт. предисл. Б. Б. Багаряцкий, В. Г. Гребенников. – М., Начала - Пресс, 1991.

Kuratashvili Anzor

THE ESSENCE OF SOCIALLY ORIENTED MARKET ECONOMY AND ITS DIFFERENCE FROM TRADITIONAL MARKET SYSTEM

SUMMARY

The scientific work discusses the essence of socially oriented market economy and its difference from traditional market system.

The author analyses and offers qualitatively new essence of socially oriented market economy and proves that simultaneous existence of economic aim of market economy and its social orientation is the essence of socially oriented market economy.

Hence, the essence of socially oriented market economy lies in the functioning of such market economy, which is caracterized by striving to get profit and social orientation at the same time.

So far as without getting profit the social orientation of market economy cannot be realized, as the author notes, the main goal of market relations and their profitability should always be the realization of interests of a person – the realization of interests of people, to which market functioning should be subjected.

ვახტანგ ბურდული
ლინა დათუნაშვილი

გლობალიზაციის პროცესის შესაძლებლობების გამოყენება საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

მსოფლიოში მუდმივად ვითარდება ტექნოლოგიები და ცოდნა, რომლებიც ამ ტექნოლოგიების ფორმირებას ახდენს, ასევე საფინანსო სისტემები და ბაზრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნოლოგიების განვითარებას, ფუნქციონირებასა და გავრცელებას. თუ დავუკვირდებით ეკონომიკის რეალური სექტორისა და მისი ფუნქციონირების საუზრუნ-ველყოფო ქვესისტემების ევოლუციას, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ განვითარებულ ქვეყნებში მათი ყველაზე ეფექტიანი განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, სადაც მეორე მსოფლიო ომის წლებში ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდებოდა, ომის შემდგომ პე-რიოდში, მარშალის გეგმის საფუძველზე, დახმარების გაწევა დაიწყო ევროპული ქვეყნების მეურნეობის აღდგენისა და მოდერნიზაციისათვის.

ოდნავ მოგვიანებით, აშშ-ის მხრიდან ამდაგვარი დახმარება დაიწყო იაპონიის ეკონომიკის აღდგენისათვის, შემდგომ კი, როდესაც კორეაში ომი დასრულდა, მან ეკონომიკურ-ტექნოლოგიური დახმარება გაუწია სამხრეთ კორეას. ერთდროულად, სწრაფად ვითარდებოდა წარმოება ტაივანზე და ქალაქ-სახელმწიფოებში – სინგაპურსა და ჰონკონგში. ამასთან, ეკონომიკური განვითარების პროცესების კოორდინაციისას, განვითარებული ქვეყნის მთავრობები იყენებდნენ კეინსიანურ თეორიას. იან ტინბერგენმა, რომელიც მოგვიანებით გახდა ნობელის პრემიის ლაურეატი, შეიმუშავა რვა ძირითადი მიზანი, რომელზე დაყრდნობითაც ქვეყნების მთავრობებს ეკონომიკის განვითარების რეგულირება უნდა მოეხდინათ [6]. რა თქმა უნდა, მიზნები სრულად არ მიიღწეოდა, მაგრამ ამ მიზნებზე ორიენტაციის გამო დაიწყო ტექნოლოგიების, მეცნიერებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სწრაფი განვითარება. წარმატებებმა ეკონომიკასა და საერთაშორისო ვაჭრობაში მთავრობებს განვითარების მთავარი მიზნების რაოდენობის შემცირების შესაძლებლობა მისცა, ე.ი. დანარჩენი მიზნები უფრო დაბალი რანგის მიზნების სტატუსში გადავიდა და მათი შესრულება ძირითადი მიზნების შესრულების ხარისხით იყო განპირობებული.

ამასთან, ისეთი მომენტი დადგა, როდესაც კაპიტალის საერთაშორისო გადადინების ზრდის ტემპებმა (განსაკუთრებით რეალურის) გაასწრო ქვეყნებს შორის საქონლით და მომსახურებით ვაჭრობის ზრდის ტემპებს. ი. იუდანოვის სიტყვებით, “მრავალი ანალიტიკოსი თვლის, რომ წარმოების ინტერნაციონალიზაციის ჩარჩოებში ძირითადი ფსონი გაკეთდა “სამუშაო დაზგის გაგრძელებაზე”, ე.ი. საწარმოო პროცესის ნაწილის გადატანაზე პროდუქციის გასაღების ადგილებზე” [5]. ამასთან, სამუშაო ძალის ემიგრაციის მაგივრად იმ ქვეყანაში, რომელიც აწარმოებს პროდუქციას, ხდება საჭირო ტექნოლოგიების და წარმოებული პროდუქციის გატანა როგორც შიდა ბაზრებზე სარეალიზაციოდ, ისე საექსპორტოდ (ამ პროცესმა განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ამჟამინდელ პერიოდში, რადგან საწარმოების ასეთი გადანაწილება ამცირებს ამ საფუძველზე განვითარებადი ტრანსეროვნული კორპორაციების ტრასფორმაციულ და ტრანსაქციულ დანახარჯებს). მაგრამ 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან კეინსიანური სისტემით რეგულირებად ეკონომიკებში შეფერხებები დაიწყო. ის შეიცვალა რეგულირების მონეტარული სისტემით, რომლის მიხედვით პირველ ხანებში რეგულირება შე-

მოიფარგლებოდა მხოლოდ ფულის მასის ზრდის ტემპების შესაბამისობაში მოყვანით მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპებთან. ასეთმა სისტემამ ასევე წარუმატებლობა მოიტანა (კერძოდ, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში), რის შემდეგაც იგი შეივსო საფინანსო-საკრედიტო სისტემების სერიოზული რეგულირებით, კონკრეტული ქვეყნების ეკონომიკური სისტემებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით, წარმოების (მათ შორის საფინანსო სექტორის) და ტექნოლოგიების განვითარებაზე შესაბამისი მექანიზმების ორიენტაციის პირობებში. თუმცა განვითარებულ ქვეყნებსა და მათ რეგიონებში საგადასახადო-საბიუჯეტო რეგულირებასაც შეუნარჩუნდა მნიშვნელოვანი როლი, მაგრამ ამ უკანასკნელმა პირველობა დაუთმო მონეტარულ (ფულად, საფინანსო-საკრედიტო და საფინანსო-საფონდო) რეგულირებას.

უფრო სწრაფად დაიწყო ქვეყნებს შორის კაპიტალის გადადინების ტემპების ზრდა. ამასთან, კაპიტალის გადადინება დაიწყო არა მარტო განვითარებულ ქვეყნებს შორის და განვითარებული ქვეყნებიდან ნაკლებად განვითარებულში, არამედ – მნიშვნელოვანი ნაკადების გადადინება ტექნოლოგიურად ნაკლებად განვითარებული, მაგრამ მდიდარი ქვეყნებიდან (ინდოეთი, საუდის არაბეთი და სხვა) ზოგიერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში. ამ ქვეყნების, მათ შორის აშშ-ის, რეალურ წარმოებაში, საბანკო სექტორსა და სახელმწიფო ობლიგაციებში უფრო ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მეწარმეების მხრიდან განთავსებული იყო მრავალმილიარდიანი ინვესტიციები.

ქვეყნებს შორის ტექნოლოგიების უფრო თავისუფალი გადაადგილების პირობებში გაჩნდა კიდევ არაერთი ახალი ინდუსტრიული ქვეყანა – მალაიზია, ფილიპინები, ტაილანდი, ბრაზილია და სხვ.

ამასთან, 80-იან წლებში კიდევ უფრო მკვეთრად გამოაშკარავდა სოციალისტური ქვეყნების წარუმატებლობა ეკონომიკაში (ზოგიერთი სტრატეგიული დარგის გარდა – კოსმონავტიკა, შეიარაღება, ენერგეტიკა და ა.შ., ზოგიერთ მათგანში სსრკ-მა გაასწრო კიდევაც დასავლეთის ქვეყნებს), სამომხმარებლო სექტორი კი საბოლოოდ დაიშალა (კორუფციის, კონკურენციის არარსებობის, არასაბაზრო საწარმოო ურთიერთობებისა და ა.შ. გამო), რამაც გამოიწვია ბლოკისა და კავშირის დაშლა.

პროდუქციის იმპორტმა ამ ქვეყნებში კიდევ უფრო გაამაგრა დასავლეთის პოზიცია, დააჩქარა საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის ტემპები, მოგვიანებით, თანდათანობით დაჩქარდა ამ ქვეყნებში თანამედროვე

საწარმოო ტექნოლოგიების გადატანა (განსაკუთრებით ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმების საფუძველზე მუდმივი საერთაშორისო სტრუქტურის – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის 1994 წ. შექმნის შემდეგ).

1990 წლიდან ტექნოლოგიების იმპორტის ზრდის ტემპები თითქმის მუდმივად ასწრებდა საქონლით საერთაშორისო ვაჭრობით ზრდის ტემპებს. დაიწყო მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ახალი ეტაპი, რომელმაც მიიღო სახელწოდება "გლობალიზაცია" და რომელიც მუდმივად განიცდის სრულყოფას ეკონომიკის ნეოლიბერალურ და ნეოინდუსტრიულ მოდელებზე ორიენტაციით [4]. საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის რეგულირებაში ძირითად საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ლიბერალური მიზანდასახულობები, მაგრამ მასშიც გათვალისწინებულია ადგილობრივი მწარმოებლების დაცვის მექანიზმები ექსპორტიორების მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევაში (მაგალითად, დემპინგური ფასების გამოყენების შემთხვევაში).

საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში უფრო მნიშვნელოვანი გახდა ტრანსეროვნული კორპორაციების საქმიანობა. სხვადასხვა ქვეყანაში თავისი საწარმოების განთავსებით ისინი აღწევენ უპირატესობებს სამუშაო ძალისა და ნედლეულის უფრო დაბალი ღირებულების, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს, პროდუქციის გასაღებისას სატრანსპორტო დანახარჯების შემცირების ხარჯზე. ტრანსფორმაციულ დანახარჯებთან ერთად მკვეთრად მცირდება ტრანსაქციული დანახარჯებიც. უმეტეს შემთხვევაში საწარმოო დანახარჯები ასევე მცირდება ტრანსეროვნული კორპორაციების შიდა საწარმოო მიწოდებების ბაჟებისაგან გათავისუფლების შედეგად, თუ ქვეყნებს შორის მიწოდებებს აქვს ადგილი.

გლობალიზაციის ეპოქაში დაჩქარებული ტემპებით ვითარდება ქვეყნებსშორისი ფრანჩაიზინგი, ლიცენზიებით საერთაშორისო ვაჭრობა, რაც იმპულსს აძლევს ადგილობრივი კაპიტალის განვითარებას, ქვეყნების გადასვლას ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალ სტადიაზე. ზოგიერთ მსხვილ კომპანიაში განვითარება დაიწყო აუტსორტინგის პროცესმა [2; 5], რომელიც ასევე უზრუნველყოფს ერთიანი საწარმოო დანახარჯების შემცირებას. ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოებს კი, რომლებიც უცხოურ ქვეყნებშია განლაგებული, შეუძლიათ

პროდუქციის წარმოებისა და მოდერნიზაციის სისტემებში ადგილობრივი საწარმოები და მეცნიერულ-ტექნიკური ორგანიზაციები ჩართონ.

გლობალიზაციის პროცესში ვითარდება სრულიად ახალი ტექნოლოგიები (მაგალითად, ნანოტექნოლოგიები), რომელთა განვითარებაზე უზარმაზარი სახსრები იხარჯება. არნახული გაქანება მიიღო სხვადასხვანაირი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ, რომელთა გამოყენება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ამცირებს საწარმოო დანახარჯებს. ყველა აღნიშნულ და სხვა ღონისძიებებს მოიცავს "ლიბერალური" გლობალიზაციის პროცესი, რომელიც თავისი მსვლელობისას სულ ახალ და ახალ ფორმებს იძენს, რომლებიც უზრუნველყოფს მსოფლიო ეკონომიკის წინსვლით განვითარებას კუთრი ენერგოდანახარჯების შემცირების პირობებში.

რა შეიძლება მისცეს გლობალიზაციის პროცესმა საქართველოს, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პოსტსაბჭოურ სტადიაზე იმყოფება და გააჩნია კარგი სატრანზიტო და რეკრეაციული შესაძლებლობები, კარგი საკადრო, ინჟინერული, მეცნიერული და მუშა ძალის პოტენციალი, მაგრამ, რომელიც სპეციალური ცოდნის ათვისებას საჭიროებს თანამედროვე საწარმოებში მუშაობისათვის? თუ გავითვალისწინებთ სამხრეთ კორეის, ბრაზილიის, მექსიკის და სხვა ქვეყნების მაგალითს, რომლებიც ინდუსტრიის წარმატებული განვითარების მეშვეობით თავიდან იცილებენ საერთაშორისო ვალებს (ასევე აშშ-ის დახმარებით ევროპის ქვეყნების და იაპონიის ომის შემდგომი განვითარების უფრო ადრინდელ მაგალითებს), შეიძლება ქვეყანაში გლობალიზაციის შესაძლებლობების გამოყენების შემდეგი გზების შეთავაზება.

საქართველო ტრანზიტული ქვეყანაა და, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს მსჯელობენ ტრანზიტის შესაძლებლობებზე, ჩვენ გვინდა დავუმატოთ კიდევ ერთი შტრიხი. ლაპარაკია "ინდუსტრიულ ტრანზიტზე", რომელიც გამოიყენება საქონლის მასშტაბური გადატვირთვის რაიონებში [5]. ჩვენ ვგულისხმობთ გადასატვირთი საქონლის ნაწილის ადგილზე უფრო ან ნაკლებად ღრმა დონით გადამუშავებას. შესაბამისი საწარმოები შეიძლება აშენდეს ქ. ფოთში, ასევე – რუსთავში, ახალციხეში, ბათუმში, საწარმოების საკუთრების წილში დაინტერესებული ქვეყნებიდან პარტნიორების მოწვევით [1].

რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ შესაძლებლობებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და მოსახლეობის დასაქმების დონის

მნიშვნელოვანი ზრდისათვის გვაძლევს მაღალტექნოლოგიური სამრეწველო ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოების მოზიდვა. ისინი:

– ჯერ ერთი, ადგილობრივ კადრებს აძლევენ ახალი ტექნოლოგიების ათვისებისა და სრულყოფის შესაძლებლობებს;

– მეორე, აუტსორტინგის პროცესში ადგილობრივ საწარმოებს წარმოებაში რთავენ საკომპლექტო დეტალებისა და ნაკეთობების დასამზადებლად;

– მესამე, ტექნოლოგიების, პროდუქციის სამომხმარებლო მახასიათებლების და ხარისხის სრულყოფის მიზნით, ინოვაციების ადგილობრივ შემმუშავებლებს წარმოებაში უჩენენ ადგილს;

– მეოთხე, მოსახლეობას შედარებით იაფ ფასებში მზა პროდუქციის შესყიდვის შესაძლებლობას აძლევენ;

– მეხუთე, ნაკეთობების ნაწილის ექსპორტი, ძირითადად ახლომდებარე ქვეყნებში (ასეთი საწარმოების საკმარისად ფართო მოზიდვის შემთხვევაში), მოგვცემს ქვეყნის ამჟამად ძალიან უარყოფითი საექსპორტო-საიმპორტო სალდოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესების შესაძლებლობას. ამის გარდა, სალდო გაუმჯობესდება იმპორტჩანაცვლების შედეგადაც.

საქართველო ამჟამადაც იყენებს ფრანჩაიზინგის შესაძლებლობებს, რომლის საფუძველზე, გლობალიზაციის პირობებში, ქვეყნებსშორისი ბევრი გარიგება ხორციელდება. ფრანჩაიზინგის გამოყენების არეალი ფარდოვდება სამრეწველო მანქანათმშენებლობის, წამლების და ა.შ. წარმოების ან აწყობისათვის, შესაბამის ფრანჩაიზორებთან ურთიერთობების დამყარებით. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვექნება არა ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოებთან, არამედ ადგილობრივი მეწარმეების – ფრანჩაიზების (აგენტები) საწარმოებთან, რომლებიც ამყარებენ ურთიერთობებს ფრანჩაიზორებთან (პრინციპალებთან) მათი ტექნოლოგიებისა და სავაჭრო ნიშნების გამოყენებით და წინასწარ შეთანხმებული თანხების ამ უკანასკნელთათვის გადახდით [3].

შემდეგ საქართველოს მეწარმეებს შეუძლიათ ლიცენზიების შეძენა ახალი ტექნოლოგიებით წარმოების აღჭურვისათვის, ან, უბრალოდ, ახალი ტექნოლოგიების შეძენა მათი თავისუფალი გავრცელების შემთხვევაში როგორც ტრადიციულ დარგებში წარმოების, ასევე მაღალტექნოლოგიური ნაკეთობების დასამზადებლად. გამოსაშვები პროდუქციის გა-

მოყენება შეიძლება როგორც იმპორტჩანაცვლების, ასევე ექსპორტისათვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დიდი გამოცდილება აქვს სამშენებლო მასალების წარმოებაში. იწარმოებოდა მანქანათმშენებლობის საკმაოდ რთული ნაკეთობები (მაგალითად, ჩარხები, ავტომანქანები, რადიოელექტრონული პროდუქცია და ა.შ.). გლობალიზაციის პროცესი შესაძლებლობას გვაძლევს, განვაახლოთ ხსენებული და სხვა ეკოლოგიურად სუფთა საწარმოები ახალ ტექნოლოგიურ დონეზე (თუ წარმოების ხასიათი განაპირობებს გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების გამოყოფას, მაშინ საჭიროა გამასუფთავებელი დანადგარების გამოყენება, რადგან ამ ნივთიერებების მოხვედრა გარემოში ზიანს მიაყენებს მოსახლეობას, სოფლის მეურნეობას, ტურიზმს. ეს დარგები კი შეიძლება ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან საექსპორტო დარგებად გადაიქცეს). შემდეგ, გლობალიზაცია, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საბაჟო ტარიფების შესახებ დირექტივების პირობებში, ზეწოლას მოახდენს მწარმოებლებზე იმ მიმართულებით, რომ ისინი გამოუშვებენ მაღალხარისხიან კონკურენტუნარიან პროდუქციას (საქართველოს გააჩნია ამის შესაძლებლობები), რომლის რეალიზაცია მოხდება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ. გლობალიზაცია ასევე ხელს უწყობს საზღვარგარეთის ქვეყნების პროდუქციის იმპორტს და შიდა ბაზარზე კონკურენციას. მაგრამ, მნიშვნელოვანი უარყოფითი საექსპორტო-საიმპორტო სალდოსა და შიდა იმპორტჩანაცვლებითი და ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების გაფართოების პირობებში, საჭიროა ყურადღება მიექცეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ინსტრუქციებს ადგილობრივი მწარმოებლების დაცვის შესახებ, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემთხვევაში ან სხვა ხერხების გამოყენებისას, რომლებიც სხვა გზით უშლიან ხელს ადგილობრივი წარმოების ფუნქციონირებას ან განვითარებას. ასევე, ამ მიზნით შეიძლება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისაგან შედარებით დამოუკიდებელი ბერკეტების შემოღება, რომელთა გამოყენება დაიცავს ადგილობრივ მეწარმეებს და რომლებიც დიდი ხანია გამოიყენება განვითარებულ ქვეყნებში.

როდესაც ვლაპარაკობთ გლობალიზაციაზე, საჭიროა ცალკეული რეგიონების შესაძლებლობების შეფასება ამა თუ იმ პროდუქციის მიხედვით, ასევე – ჩამორჩენილი რეგიონების განვითარების დასაჩქარებლად გლობალიზაციით განპირობებული შესაძლებლობის გამოყენების

გზების განსაზღვრა. რეგიონებში, ჯერ ერთი, რიგ შემთხვევებში უნდა განახლდეს პროდუქციის ტრადიციული სახეობების წარმოება ძირითადად ახალი ტექნოლოგიების ბაზაზე (მაგრამ, ასევე საჭიროა მცირერიცხოვანი, ხშირად ორიგინალური ძველი ტექნოლოგიების მხარდაჭერაც, მაგალითად, მეღვინეობაში). მეორე, ათვისებული უნდა იქნეს ახალი მაღალი ტექნოლოგიები, რის გარეშე ქვეყანას ტექნოლოგიების თვალსაზრისით, არ შეუძლია გავიდეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგში. ეს რომ შესაძლებელი და აუცილებელია, გვიჩვენებს ევროპის მცირე ქვეყნების და აზიის ზოგიერთი მცირე ქვეყნის მაგალითი.

მაშასადამე, გლობალიზაცია გვაძლევს: ჯერ ერთი, საქონლის, მომსახურების, ტექნოლოგიებისა და ცოდნის ექსპორტისა და იმპორტის ეფექტიანი განვითარების შესაძლებლობას; მეორე, ეკონომიკაში (ფინანსებში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და ა.შ.) მცირე დანახარჯებით ახალი მიღწევების ათვისების შესაძლებლობას ტექნოლოგიების შესყიდვისა და ასევე მაღალტექნოლოგიური ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოების მოზიდვის გზით (მათი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შექმნის შემთხვევაში); მესამე, ახალი ტექნოლოგიების, ნაკეთობებისა და პროდუქტების შემუშავების შესაძლებლობას, კერძოდ, ქვეყანაში განთავსებული მაღალტექნოლოგიური ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოებთან თანამშრომლობის გზით, ასევე ვენჩურული კაპიტალის ფინანსების მოზიდვით და ა.შ.

ზემოთ აღნიშნულის განხორციელება ხელს შეუწყობს სწრაფად გავზარდოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბურდული ვ.** საქართველოში რეგიონული სოციალური და ეკონომიკური "მიზიდულობის ცენტრების" განვითარების გზები. ჟ. საქართველოს ეკონომიკა, №11, 2006.

2. **Кондратьев В.** Макроэкономические проблемы конкуренто-способности России. МЭ и МО, №3, 2001.

3. **Ляско С.** Трансакционные издержки френчайзинговых и лицензионных контрактов. ВЭ, №9, 2002.

4. **Трунин С.** Структурный кризис и неолиберальная глобализация. Экономист, №3, 2006.

5. **Юданов Ю**. Европейские корпорации в условиях глобализации. МЭ и МО, №11, 2001.

6. **Tinbergen I.** On the theory of economic policy. Amsterdam, 1955.

Burduli Vakhtang
Datunashvili Lina

USING OF POSSIBILITIES OF GLOBALIZATION PROCESS IN THE DEVELOPMENT OF GEORGIA'S ECONOMY

SUMMARY

In the world during all last decades technologies, the knowledge forming them, the financial systems and markets, renovating institutional and organizations systems of enterprises providing that development are rapidly developing.

The help of USA rendered a great impact on the development of countries of market economy in the post-war period. The inter-countries trade and capital movement was gradually increasing. In the end the rate of growth of volume of the latter became more than the rate of growth of the inter-countries commodity circulation. In SEA, besides existing appeared some more "new industrial countries", to which added some countries of LA. After the socialist block disintegration import and export of the countries in that block increased, besides they acquired the possibility to assimilate to

new technologies. The new stage of the world economic development began, named - “globalization”.

The process of globalization in Georgia (as in the country, that is on the stage of transition from post soviet to market economy), that has a good transit and recreation possibilities, good labor force, engineer and scientific potential, can bring a great benefit to social and economic development. Special importance has the attraction of enterprises of high technology TNC in the country, which except guaranteeing employment on their enterprises will increase employment via cooperation with local enterprises; this will reduce factoring and transaction costs of both parties.

During transit of goods can be used mechanism of “industrial transit”, which is often used in the places of the mass transfer of goods. The domestic enterprise can make use of the possibility of franchise through the use of technologies and trade-mark of famous firms, besides they can purchase licenses and new technologies. These and other measures in the conditions of globalization can guaranty increase of production of export oriented and import substitute products in the country. This will considerably improve trade balance of country.

ვახტანგ ბურდული
ქეთევან ბურდული

გლობალიზაციის პირობებში საქართველოსა და მის რეგიონებში ეკონომიკის რეალურ და საფინანსო სექტორის ინსტიტუციურ და ტექნოლოგიურ განვითარებას შორის ურთიერთკავშირის დამყარების აუცილებლობა

რეალური წარმოების ინსტიტუციური ორგანიზაცია მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს: წარმოების ინსტიტუციური ორგანიზაციის სახელისუფლებო რეგულირებას და საბაზრო თვითრეგულირებას ქვეყანაში საერთოდ ან მის რეგიონებში (სხვადასხვა ტიპის საწარმოების, მათ შორის, კორპორაციების, განთავსების, სტიმულირების, მოქმედების და ა.შ. წესები); საწარმოებს შორის ურთიერთობების ორგანიზაციას; ინსტიტუციურ ურთიერთობებს კორპორაციების ტექნოლოგიური და ინსტიტუციური განვითარების, გამსხვილების, კონცენტრაციის, დივერსიფიკაციისა და დეკონცენტრაციის, აუტსორტინგის, დაწვრილერთეულებისა და ა.შ. დროს; შიდა კორპორაციულ ინსტიტუციურ ურთიერთობებს (მათ შორის არააფილირებულ აქციონერებთან). მსხვილი საწარმოების (კორპორაციების) ქვედანაყოფებს შორის ინსტიტუციური ურთიერთობები ასევე საფინანსო კონტრაქტებზე დაყრდნობით არის აგებული (ფასიან ქაღალდებზე ან სახელშეკრულებო ურთიერთობებზე).

ნებისმიერ ქვეყანაში და ნებისმიერ პერიოდში რეალური წარმოების ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ფორმები დაკავშირებულია და წარმოებისა და საწარმოო ურთიერთობების განვითარების დონიდან გამომდინარეობს. ამასთანავე, საწარმოების ინსტიტუციურ-ორგანიზაციული ფორმების მოწესრიგებაში (რომელიც მოწოდებულია ეროვნული ეკონომიკის მაღალი ეფექტიანობის მისაღწევად) დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საბაზრო თვითრეგულირების ძალებს, ასევე სახელმწიფოს მარეგულირებელ გავლენას, როგორც პირდაპირს, ასევე არაპირდაპირს. მთელი მე-XX საუკუნის განმავლობაში სახელმწიფოსა და საბაზრო კონკურენციით გამოწვეული მრავალი მარეგულირებელი ქმედება ცვლილებებს იწვევდა საწარმოების ინსტიტუციურ და სტრუქტურულ

ორგანიზაციაში და მათ შორის ინსტიტუციურ და სხვა საწარმოო ურთიერთობებში (საწარმოთა გაერთიანებების ტიპები, პროპორციები მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოებს შორის, საწარმოების ინსტიტუციური ორგანიზაცია, საწარმოო და ტექნოლოგიური კოოპერაციის ტიპები, რომლებიც ასევე ორგანიზებულნი არიან სახელშეკრულებო ურთიერთობების ან ფასიანი ქაღალდების გამოყენების საფუძველზე). ტექნოლოგიების განვითარებას წარმოებისა და საწარმოო ურთიერთობების ინსტიტუციური სტრუქტურირების სრულყოფა მოსდევს, რაც, თავის მხვრივ, კონკურენციის პირობებში, ხელს უწყობს ტექნოლოგიების განვითარების დაჩქარებას. აღწერილ პროცესებს ახალი ბიძგი მისცა წარმოების ინტერნაციონალიზაციის პროცესმა, რომელიც უკანასკნელ ორ ათწლეულში გლობალიზაციის პროცესში გადაიზარდა [19; 8].

ამჟამად, წარმოების ინსტიტუციური და სტრუქტურული ორგანიზაციის სრულყოფის სფეროში, ქვეყნის წინაშე რთული ამოცანა დგას: ერთი მხრივ, მაღალეფექტიანი, სოციალურად და ექსპორტზე ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნა თავისთავად განაპირობებს წარმოების ინსტიტუციური, ტექნოლოგიური და სტრუქტურული ორგანიზაციის სრულყოფის აუცილებლობას; მეორე მხრივ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მსოფლიოში და, განსაკუთრებით, განვითარებულ ქვეყნებში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი, რადგანაც წარმოების ინსტიტუციური და სტრუქტურული ორგანიზაციის თანამედროვე გარდაქმნა შეუძლებელია ამ ფონის გაუთვალისწინებლად.

განვითარებულ ქვეყნებში, ერთი მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ტექნოლოგიებისა და ცოდნის სწრაფი განვითარება, მეორე მხრივ, ბაზრების გლობალიზაცია, წარმოებასა და ვაჭრობაში მიმდინარე საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესები, საერთაშორისო დონეზე კონკურენციის გაძლიერება მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს რეალური წარმოების ინსტიტუციურ და სტრუქტურულ ორგანიზაციაში, საწარმოებს შორის ეკონომიკური და, მაშასადამე, ინსტიტუციური ურთიერთობების მექანიზმებში [1; 2; 3; 4; 15; 19].

ქვეყანაში რეალური წარმოების ინსტიტუციური ორგანიზაციის მოწყობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. საწარმოების ინსტიტუციური ორგანიზაცია, ბევრად დამოკიდებულია წარმოების იმ სექტორებზე, რომლებსაც ეკუთვნის საწარმოები. მაგრამ ყველაზე მეტად, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, წარმოების ინსტიტუციური მოწყობა

დაკავშირებულია ტექნოლოგიების განვითარების დონესთან. ჯერ კიდევ 1993 წ. ს. ხავინას ნაშრომში აღინიშნებოდა, რომ 70-იანი წლების დასაწყისიდან განვითარებულ ქვეყნებში იწყება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ახალი ეტაპი (რომელიც ამ ქვეყნებიდან თანდათანობით ვრცელდება მრავალ სხვა ქვეყანაზე), რომლისთვისაც დამახასიათებელია გადასვლა მეცნიერებატევად რთულ ტექნოლოგიებზე: საინფორმაციო და რესურსდამზოგ, ბიოტექნოლოგიებზე, რაც განაპირობებს, ერთი მხრივ, წარმოების დივერსიფიკაციის, მეორე მხრივ, შრომის და პროდუქციის ინდივიდუალიზაციის ტენდეციებს. ამ ძვრებთან განუყრელად არის დაკავშირებული წარმოების დეკონცენტრაცია, მცირე და საშუალო საწარმოების ხვედრითი წილის და როლის ამაღლება, ერთობლივი მუშა ძალის სტრუქტურული გარდაქმნა და მისი მოქნილობის გაძლიერება [17, გვ. 114]. ამ პროცესებს ბოლო ათწლეულში დაემატა ნანოტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, რაც ახლო მომავალში დიდი იმედების მომცემ დადებით ძვრებს მოიტანს წარმოებისა და საზოგადოების კეთილდღეობის მექანიზმის ინსტიტუციური სტრუქტურირების განვითარებაში.

ამ მოსაზრებას ადასტურებს უფრო მოგვიანებით მიღებული სტატისტიკური მონაცემები: საფინანსო ბაზრის მექანიზმი ხელს უწყობს სახსრების გადანაწილებას ყველაზე პერსპექტიული კომპანიის სასარგებლოდ, რაც სტრუქტურული ცვლილებების სტიმულირებას ახდენს. აშშ-ის ეკონომიკაში ჩადებული ინვესტიციების ყოველწლიური მოცულობის (დაახლოებით 450 მლრდ. დოლარი) 60% თავსდება კომპანიებში, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან. ოპერაციები საფონდო ბაზარზე რეალურ სექტორში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კატალიზატორი გახდა, რაც უზრუნველყოფს შრომის მწარმოებლურობის ზრდას. მოთხოვნით საფონდო ბაზარზე, უპირველეს ყოვლისა, სარგებლობენ იმ კომპანიების აქციები, რომლებიც დაკავშირებული არიან ინტერნეტ-ტექნოლოგიებთან, ამუშავებენ კომუნიკაციის საშუალებებს და საინფორმაციო სისტემების უზრუნველყოფის პროგრამებს, ასევე, ისეთი მიმართულებების კომპანიების, როგორიცაა ბიოტექნოლოგია, ფარმაცევტიკა, გენური ინჟინერია და ა.შ. [11, გვ. 35]. ბოლო პერიოდში, როგორც ითქვა, ამ კომპანიებს დაემატა კომპანიები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ნანოტექნოლოგიების შექმნა-წარმოებასა და მათ გამოყენებასთან.

მართლდება ასევე ის ვარაუდი, რომ ზოგიერთ სექტორში ან მიმართულებაში ადგილი აქვს წარმოების დეკონცენტრაციის პროცესს [12, გვ. 56, 57; 5, გვ. 90, 91; 18, გვ. 66], რაც გამოწვეულია დანახარჯების შემცირების ინტერესებით. საგრძნობლად კარგავს რეიტინგს ბევრი მრავალდარგობრივი და მრავალპროდუქტული კომპანია (კონგლომერატი) [12, გვ. 57], თუმცა ზოგიერთი მათგანი წარმატებასაც აღწევს [5, გვ. 88].

შეუძლებელია, ყველა დარგის და მათში შემავალი საწარმოების ინსტიტუციურ-ორგანიზაციული სტრუქტურა ერთნაირი იყოს. დივერსიფიკაციის პროცესი და მრავალდარგობრივი ჰოლდინგების და კონგლომერატების შექმნამ თავის პიკს 70-იანი წლების შუალედში მიაღწია. ითვლებოდა, რომ ეს პროცესები არსებით უპირატესობას იძლევა წარმოების მასშტაბზე ეკონომიით, მაღალდივერსიფიცირებულ კომპანიებში კაპიტალის გადადენით მცირეშემოსავლიანი წარმოებებიდან მაღალშემოსავლიანებში (მაგრამ, სინამდვილეში, ბევრ კომპანიაში პირიქით ხდებოდა) [12, გვ. 56].

მაღალი დანახარჯები პარტნიორებთან ურთიერთობისას ზღუდავენ (ზოგჯერ, კომპანია "მაკ-კინზის" მონაცემებით, ერთობლივი დანახარჯების 50%-მდე) კომპანიების ზრდის შესაძლებლობას, ამიტომ კომპანიები მიისწრაფვიან, გააკონტროლონ დამატებული ღირებულების მთელი ჯაჭვი. იქმნება ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად ორგანიზებული ჰოლდინგები და საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები [12, გვ. 56, 5, გვ. 87], მაგრამ ეს კომპანიები შეზღუდულნი არიან პარტნიორების შერჩევაში როგორც პროდუქციის, ასევე ფასების მიხედვით. ერთდროულად იზრდება ბაზარზე შესვლის ბარიერები. ეს ხდება წარუმატებელი დივერსიფიკაციის შემთხვევაში. ამიტომაც გახშირდა ზემოთ ხსენებული აუტსორტინგის პროცესი.

ამიტომაცაა, რომ ტრანსეროვნული კორპორაციები სხვა ქვეყნებში თავისი საწარმოების განთავსებისას დანახარჯების შემცირების მიზნით, საქმიან ხელშეკრულებებს აფორმებენ ადგილობრივ კომპანიებთან.

მაშასადამე, ბოლო პერიოდში დასავლეთში კორპორაციების გამსხვილებასთან, კონცენტრაციასა და დივერსიფიკაციასთან ერთად, დაიწყო უკუპროცესებიც, კორპორაციების დეკონცენტრაცია და კორპორაციის დარჩენილ ნაწილსა და გამოყოფილ საწარმოებს შორის სახელშეკრულებო სისტემების საფუძველზე დამოუკიდებელი ურთიერთობების დამყარება, რაც ხშირად ამცირებს არა მარტო ტრანსაქციულ,

არამედ ფაქტორულ (საწარმოო, ტრანსფორმაციულ) ხარჯებს ორივე მხარისათვის. კონცენტრაციასა და დივერსიფიკაციასთან ერთად დეკონცენტრაციის და დეცენტრალიზაციის პროცესი რომ მიმდინარეობს, ამას მრავალი ავტორი ადასტურებს [17, გვ. 114; 5, გვ. 90, 91; 12, გვ. 260; 18, გვ. 66]. კომპანიების შერწყმის ან კომპანიის ზოგიერთი ქვედანაყოფის გამოცალკევება დაკავშირებულია კონცენტრაციის ან დეკონცენტრაციის ეფექტიანობის შეფასებასთან, რომელსაც ბაზარი ახდენს.

არსებობს დივერსიფიკაციის განხორციელების სამი ძირითადი ტიპი და ორი ხერხი.

დივერსიფიკაციის ჰორიზონტალური ტიპის განხორციელებისას მიმდინარეობს ახალი ბაზრების მოპოვება გეოგრაფიულ ჭრილში, ე.ი. შეისყიდება კომპანიები, რომლებიც სხვა რეგიონებში მუშაობენ, ამასთან, ფართოვდება საქონლის ან მომსახურების ასორტიმენტი; ვერტიკალური დივერსიფიკაციის დროს ისეთი კომპანიების შთანთქმა ხდება, რომლებიც ავსებენ მოცემული კომპანიის ტექნოლოგიურ ჯაჭვს (ან მოცემული კომპანია აბანდებს ინვესტიციებს ასეთი საწარმოების შექმნაში); კონგლომერატის შექმნის დროს შეისყიდება კომპანიები, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ წინა ბიზნესთან [5, გვ. 87].

დივერსიფიკაციის განხორციელება კომპანიას ორი ხერხით შეუძლია: სხვა კომპანიის ყიდვის გზით (შერწყმა, შთანთქმა) ან დამოუკიდებლად წარმოების და გასაღების ორგანიზაციის გზით. ბაზარზე ორიენტირებულ სისტემაში დივერსიფიკაცია პირველი გზით წარმოებს იმ შემთხვევაში, თუ შთანთქმას (მეორე კომპანიის შესყიდვას) თან ახლავს დადებითი სინერგია, ანუ ერთი კორპორაციის მიერ დამატებული ღირებულების მიღება სხვა კორპორაციის შესყიდვისას: შთანთქმა სასურველ შედეგს მოიტანს, თუ ახალი კომპანიის ღირებულება მეტი იქნება, ვიდრე ორი კომპანიის ღირებულება შთანთქმამდე (ამას ასევე ჰქვია წესი “2+2=5”). სხვაობას ჰქვია წმინდა მოგება [5, გვ. 87]. შტანთქმის შემთხევაში დადებითი ან უარყოფითი სინერგია განისაზღვრება საფონდო ბაზრის შეფასებით (მენეჯერები, ჩვეულებრივ, ახორციელებენ სავარაუდო შთანთქმას სინერგიის წინასწარი გათვლით. სინერგიის ცნების ანალოგიურად არსებობს ანერგიის ანუ უარყოფითი სინერგიის (ან ეფექტის “2+2=3”) ცნება. ამ მოვლენას აქვს ადგილი, როდესაც კომპანიის ნაწილის ღირებულება გაყოფის შემდეგ უფრო მაღალია, ვიდრე იყო გაყოფამდე. კომპანიის საერთო ღირებულების, ე.ი. კომპანიის გაყო-

ფით რამდენიმე ნაწილად და საფონდო ბაზარზე მისი გაყიდვით შეიძ-ლება აქციონერთა შემოსავლების გაზრდა [5, გვ. 90, 91].

სხვა ხერხი, რომელსაც მიმართავენ, როდესაც უნდათ, რომ გან-საზღვრონ, ღირს თუ არა კომპანიების შერწყმა ან ღირს თუ არა კომ-პანიის დაწვრილერთეულება – ეს არის ჯ. ტობინის კოეფიციენტის – "**Q**"-ს გამოყენება. ამ კოეფიციენტის მეშვეობით ხდება კომპანიების მა-ტერიალური აქტივების ღირებულების (რომელიც აისახება მისი აქციე-ბის კურსში) შეფარდება ამ აქტივების შეცვლის ღირებულების შეფასე-ბასთან. თუ კოეფიციენტი აღემატება ერთს, ეს იმას ნიშნავს, რომ სააქ-ციო ბაზარი კომპანიების აქტივების დოლარს აფასებს დოლარზე (ფუ-ლის ნიშანზე) უფრო ძვირად. პირიქით, თუ კოეფიციენტი "**Q**" ერთიანზე დაბალია, მაშინ კომპანიის აქტივების შეფასება ხდება უფრო დაბალ ფასად, ვიდრე დოლარი დოლარზე [12, გვ. 56].

კომპანიების მომგებიანობის შეფასების მრავალი ხერხის გაჩენა, მენეჯერებს და მესაკუთრეებს იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ გან-საზღვრონ, თუ რა სტრატეგიას უნდა მიმართონ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში: განახორციელონ შთანთქმა, მოახდინონ კორპორაციის კონცენტრაცია ან დივერსიფიკაცია, თუ, პირიქით, მოახდინონ დეკონ-ცენტრაცია, კონგლომერატის დაშლა, გათავისუფლება არაპროფილური საწარმოებისაგან და ძალისხმევის კონცენტრაცია საქმიანობის ძირითად სახეებზე.

ეს ორივე პროცესი საქართველოსათვის სასარგებლოა მსხვილ საერთაშორისო კორპორაციებთან თანამშრომლობის დროს. პირველ შემთხვევაში (დივერსიფიკაცია) ტრანსეროვნულმა კომპანიამ შეიძლება საქართველოს რომელიმე რეგიონში საწარმო შეისყიდოს და მოახდინოს მისი მოდერნიზაცია, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვა, მეორე შემ-თხვევაში კი – გახსნას თავისი საწარმო, რომელიც სხვადასხვაგვარი ინსტიტუციური (საკუთრებრივი ან სახელშეკრულებო) ურთიერთობების საფუძველზე დაამყარებს საქმიან ურთიერთობებს სხვადასხვა საჭირო საწარმოსთან ან ხელს შეუწყობს ახლების გახსნას საქართველოში.

ნებისმიერი ტიპის ინსტიტუციურ-ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირების საფუძველში დევს ეფექტიანობის ამაღლების სხვადასხვა წყაროს რეალიზაციისა და, აქედან გამომდინარე, კომპანიების უმეტე-სობისათვის მოგების გაზრდის პროცესი. ამასთან, ასეთი რეალიზაციის

შესაძლებლობანი შეზღუდულია ზემოთ აღნიშნული გარემოებებით და ამიტომ განსხვავებულია სექტორების (ან დარგების) მიხედვით.

ცნობილია კომპანიების ეფექტიანობის ზრდის ოთხი ძირითადი წყარო, რომელიც უშუალოდ ახდენს გავლენას საწარმოს ინსტიტუციურ-ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებაზე. პირველ რიგში, ესაა ეკონომია წარმოების მასშტაბზე, რომელიც წარმოიშვება წარმოების კონცენტრაციის შედეგად და მრავალქარხნული კომპლექსების შექმნით ერთდარგობრივ კომპანიებში. მეორე, ეკონომია საქმიანობის სფეროს მასშტაბზე, ეკონომია წარმოებული პროდუქციის და გასაღების ბაზრების ნაირსახეობაზე. ამ სახის ეკონომიის მიღების მექანიზმია დივერსიფიკაცია მრავალპროდუქტული, მრავალდარგობრივი და მრავალეროვნული კომპანიების შექმნის შედეგად. ეფექტიანობის მესამე წყაროა ეკონომია ტრანსაქციულ დანახარჯებზე, რომელიც დაკავშირებულია გარიგებების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების განხორციელებასთან, და მეოთხე – კონკურენტული უპირატესობების მიღება სხვადასხვა დონის ბაზრებზე. ეფექტიანობის მესამე და მეოთხე წყაროს რეალიზაციის მექანიზმი და შედეგები იგივეა, რაც მეორესი. ეკონომიის მიღება წარმოების მასშტაბებზე სხვადასხვა ზომის საწარმოების ფორმირების ფაქტორს წარმოადგენს და, მაშასადამე, ზომის მიხედვით სტრუქტურის ფორმირების ფაქტორს, ეფექტიანობის დანარჩენი წყაროები – სხვადასხვა ტიპის კომპანიების და, მაშასადამე, ინსტიტუციურ-ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირების ფაქტორებს [16, გვ. 40].

თანამედროვე პირობებში აუცილებელია მოქნილი რეაქცია ბაზრის კონიუნქტურის ცვალებად მოთხოვნილებებზე და, ამასთან დაკავშირებით, მსხვილი მეცნიერულ-ტექნიკური, ინოვაციური ამოცანების რეალიზაცია, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს მარტო დარგთაშორისი კოოპერაციის, სამეურნეო სტრუქტურების დივერსიფიკაციის, კაპიტალის ეფექტიანი განაწილების, ტექნოლოგიების და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის ბაზაზე. განვითარებულ ქვეყნებში ასეთი დარგობრივი ამოცანები წყდება ფირმების, კონცერნების, კორპორაციების და სხვა ასოცირებული სტრუქტურების დონეზე, რომლებიც სწრაფ რეაგირებას ახდენენ ბაზრის კონიუნქტურასა და მომხმარებლის ინტერესებზე, ამასთან დაკავშირებით, შეუძლიათ სწრაფად განავითარონ ტექნოლოგია, ჩაატარონ წარმოების სტრუქტურის რაციონალიზაცია, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით განახორციელონ დივერსიფიკაციის და/ან

აუტსორტინგის პროცესები და განავითარონ საქმიანობის ახალი მიმართულებები კაპიტალის დარგთაშორისი გადანაწილების საფუძველზე.

ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში მსხვილი და ზემსხვილი საწარმოო კორპორაციები ორგანულად გადახლართულია მძლავრ და განშტოებულ საფინანსო ორგანიზაციებთან (უნივერსალურ, კომერციულ და ინვესტიციურ ბანკებთან, სადაზღვევო და ინვესტიციურ ინსტიტუტებთან), სატრანსპორტო, სავაჭრო და ინფორმაციულ სტრუქტურებთან. ასეთი წარმონაქმნები ქმნიან საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებს, რომელთა რიცხვში შედის მსოფლიოს ტრანსეროვნული კომპანიების უმეტესობა. საფინანსო-სამრეწველო კორპორაციები ყალიბდება ფართომასშტაბიანი მეცნიერული კვლევების და შემუშავებების, ურთულესი ტექნიკური და ტექნოლოგიური კომპლექსების, საწარმოო კოოპერაციის და კომბინირების შესაძლებლობების გამოყენების მიზნით საქმიანი კონიუნქტურის მკვეთრი მერყეობის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის ამოცანების გადაწყვეტის კონტექსტში [13, გვ. 17, 18]. საქართველოში, როგორც პატარა ქვეყანაში, რთულია საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების შექმნა (გამონაკლისია ზოგიერთი პოტენციურად პრიორიტეტული დარგი, რომელთა ბაზაზე შეიძლება შეიქმნას ასეთი ჯგუფები). ამიტომ, საჭიროა სხვა გადაწყვეტილებების მოძებნა, მაგალითად, თანამშრომლობა საერთაშორისო საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებთან ან სხვა ტრანსეროვნულ კორპორაციებთან ქვეყანაში მათი საწარმოების განლაგებით, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის კომპანიას შორის (სამრეწველო, ფინანსური, სატრანსპორტო და ა.შ.) მსგავსი საქმიანობის კოორდინაციის ფორმების მოძებნა მეურნეობის სხვადასხვა სექტორში უფრო მცირე მასშტაბების სიცოცხლისუნარიანი წარმონაქმნების შექმნის მიზნით.

ამჟამად საქართველოში, რეალური წარმოების ორგანიზაციისა და სრულყოფის სფეროში, დგას რიგი ამოცანა, რომელთა შორის ძალიან მნიშვნელოვანია მათი შექმნისა და განვითარების ინსტიტუციური ორგანიზაციის მექანიზმის ჩამოყალიბება.

შეუძლებელია ეფექტიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება მრეწველობასა და რეალური წარმოების სხვა სექტორებში მსხვილი საწარმოების ქსელის შექმნის გარეშე. საქართველოში ამჟამად არსებობს რამდენიმე მსხვილი კომპანია, რომელიც სრული დატვირთვით მუშაობს, მაგალითად, ქიმიურ მრეწველობაში საზოგადოება “აზოტი”, სამშენებლო მასალების წარმოებაში რუსთავის და კასპის ცემენტის ქარხნები და სხვა,

მაგრამ მათი რაოდენობა ამჟამად ძალიან მცირეა. ტექნოლოგიების ჩამორჩენილობის და სხვა მიზეზების გამო (დაიკარგა გასაღების ბაზრები, აღარ შემოდის საკომპლექტო დეტალები და სხვ.) გაჩერებულია მრავალი საწარმო, რომელიც უშვებდა ტექნოლოგიურად რთულ პროდუქციას (მაგალითად, ელექტრონული, ჩარხმშენებელი, ელმავალმშენებელი და სხვა საწარმოები). ასევე მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიების ბაზაზე არა მარტო მსხვილი, არამედ საშუალო და მცირე საწარმოების (ან ტექნოლოგიურად გადაბმული საწარმოთა ჯგუფების) ჩამოყალიბება, რომლებიც ამზადებენ პროდუქციას (ისევე, როგორც ზემოთ დასახელებულები) სამრეწველო გადამუშავების მაღალი სტადიით, რადგანაც ამ შემთხვევაში დიდი მოცულობით იქმნება დამატებული ღირებულება. საგადამხდელო ბალანსის სალდოს გაუმჯობესებისათვის ქვეყანაში საჭიროა ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების რიცხვის მნიშვნელოვანი გაზრდა, რომლებმაც უნდა გამოუშვან კონკურენტუნარიანი პროდუქცია მსოფლიო სტანდარტების მიხედვით.

ამჟამად საქართველოში, ფაქტობრივად, არ მუშაობს საწარმოთა და საწარმოთა გაერთიანებების ინსტიტუციურ-ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირების დაჩქარების საბაზრო მექანიზმი ფასიანი ქაღალდების ბაზრის არასაკმარისი დონით განვითარების გამო. ამიტომ საჭიროა საბაზრო ინფრასტრუქტურის, ანუ შესაბამისი ინსტიტუციური გარემოს ელემენტების განვითარება (მათ შორის, ბროკერთა და ბირჟის გარეშე შუამავალთა, რეგიონებში კი ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარებისა და სხვა ორგანიზაციების), საფინანსო კონტრაქტების დადების მექანიზმის, კონტრაქტების (აქციები, კომერციული ვალდებულებები, სხვა ფასიანი ქაღალდები საკუთრებაში მონაწილეობის შესახებ) ფლობის და განკარგვის წესების საკანონმდებლო რეგლამენტაცია, ფასიანი ქაღალდების და საინვესტიციო პროექტების საიმედო შეფასების უზრუნველყოფა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის (საბირჟო და არასაბირჟო) და, აგრეთვე, მეორადი ტიპის ფასიანი ქაღალდების (ე.ი. ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც უშვებენ ინვესტიციური ინსტიტუტები, ზოგიერთი ჰოლდინგი საწარმოთა აქციების პაკეტის შეძენის შემდეგ) ბაზრის ფორმირებას. უკანასკნელთან დაკავშირებით საჭიროა კანონმდებლობის შექმნა ინსტიტუციური ინვესტორების სხვადასხვა სახის შესახებ (ჰოლდინგების შექმნის და

ფუნქციონირების შესახებ უნდა არსებობდეს ცალკე კანონი), სადაც გათვალისწინებული იქნება სახსრების ფორმირების და შესაბამისი სახის მეორადი ტიპის ფასიანი ქაღალდების ემისიის რეგლამენტირება, შეზღუდვები ამ ინსტიტუტების შექმნაზე, უფლებები და შეზღუდვები სხვა საწარმოთა საკუთრებაში მონაწილეობაზე ინსტიტუტების სახეთა მიხედვით; უფლებები და შეზღუდვები ურთიერთმონაწილეობაზე; უფლებები და შეზღუდვები შესაბამისი პაკეტების სახეობების მიხედვით ერთი ემიტენტის და ემიტენტების ერთობლიობის ჭრილში; შეზღუდვები საქმიანობის სხვა სახეობების გაწევაზე (ამ მიმართულებით განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში სერიოზული ლიბერალიზაცია მოხდა, მათ შორის, საბანკო საქმიანობისათვის); უფლებები, პირობები, შეზღუდვები კორპორაციების შემადგენლობაში სხვადასხვა ტიპის საწარმოს შესვლის შესახებ კორპორაციის მიერ მათი აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენით; ცალკე კორპორაციის ან კორპორაციათა მიერ გარკვეული სახის საინვესტიციო ინსტიტუტების დაარსებით [7, გვ. 8; 9, გვ. 16; 10, გვ. 59, 60].

რაც შეეხება შეზღუდვებს საკუთრების ფლობაზე (ინსტიტუციურ სტრუქტურაზე) საწარმოთა გაერთიანებების (კორპორაციების, კონცერნების, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების) შიგნით (მათ შორის აქციების, რომელიც ურთიერთფლობაშია, სახელმწიფოს ხელშია ან ეკუთვნის ბანკებს), აქ უნდა ვიხელმძღვანელოთ ეფექტიანი მესაკუთრის შექმნის ამოცანის მოთხოვნით, მესაკუთრისა, რომელიც მიისწრაფვის და აქვს უნარი გაზარდოს წარმოების ეფექტიანობა მართვის რაციონალიზაციის, წარმოების მოდერნიზაციის, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების გაშლისა და შემოსავლების მნიშვნელოვანი წილის ინვესტირების საფუძველზე. ამიტომ, გასათვალისწინებელია არა ჯამური, არამედ აქციების მაქსიმალური პაკეტი, რომელიც შეიძლება ცალკეული საინვესტიციო ინსტიტუტის ხელში იყოს, ხოლო ბანკებისათვის მონაწილეობის ბარიერი მიზანშეწონილია, იყოს არანაკლებ 20–25%-ის ფარგლებში [6, გვ. 125; 7, გვ. 8], სხვანაირად მათ გაუჭირდებათ კონტროლის განხორციელება მათ მიერ მოზიდული კაპიტალის მიზნობრივ და ეფექტიან გამოყენებაზე. გარკვეული ზომით უნდა მოიხსნას შეზღუდვები საწარმოების ნებაყოფლობით გაერთიანებასა და იძულებით შთანთქმებზე (აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენით), საფინანსო-სამრეწველო ინტეგრაციის სხვადასხვა ფორმაზე; არ უნდა

იყოს მკაცრი შეზღუდვები აქციების გადამკვეთ ფლობაზე (ბაზარი თვითონ გადაწყვეტს თუ რამდენად საჭიროა კორპორატიზაციის ეს ფორმა), მაგრამ უნდა არსებობდეს შეზღუდვები ცალკეული საწარმოს მიერ სხვა მონაწილის აქციების საკონტროლო პაკეტის ფლობაზე, თუ ის საწარმოთა გაერთიანებაში (კონცერნი, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფი და ა.შ.) სათავო არ არის [7, გვ. 8; 10, გვ. 15, 16].

ადგილობრივი ძლიერი მესაკუთრეებისა და მენეჯერების ჯგუფებს შეუძლიათ მაღალი ტექნოლოგიებისა და შესაბამისი ლიცენზიების შესყიდვა განვითარებულ ქვეყნებში და მათ საფუძველზე მაღალტექნოლოგიური საწარმოების შექმნა (ნანოტექნოლოგიები, საკომუნიკაციო ქსელები, რადიოელექტრონიკა, ფარმაკოლოგია, ბიოტექნოლოგიები, გენური ინჟინერია და სხვ.), ასევე ზოგიერთ ტრადიციულ დარგში ძველი საწარმოების ამოქმედება (ელმავალმშენებლობის, ფერადი და შავი მეტალურგიის მასალების და კონსტრუქციების შემქმნელი ქარხნები) ან ახლების შექმნა. ყოველი კონკრეტული ახალი ქარხნის შექმნის ან ძველის მოდერნიზაციის საფუძველზე ამოქმედების წინ უნდა განხორციელდეს სერიოზული მარკეტინგული გამოკვლევები, თუ სად და რაოდენობით გაიყიდება პროდუქცია, გამოკვლევები სათანადო კონკურენტულ დონეზე პროდუქციის შექმნის შესაძლებლობების შესახებ და სხვა.

ახალი თანამედროვე საწარმოების შექმნისა და გამოსადეგი ძველი საწარმოების მოდერნიზაცია-ამოქმედებისათვის შეიძლება რამდენიმე ინსტიტუციური ხერხის გამოყენება. საწყისი კაპიტალის შექმნისათვის, იმ კაპიტალის გარდა, რომელსაც აბანდებენ ინიციატორ-დამფუძნებლები, დამატებითი ინვესტიციებისათვის საჭირო კაპიტალის მოზიდვა სხვა ინსტიტუციური ხერხებითაც შეიძლება.

ჯერ ერთი, შეიძლება სახელმწიფო დონეზე და რეგიონებში შესაბამისი სახელისუფლებო ფონდების შექმნა (სახსრების მოზიდვა ასეთ ფონდებში უნდა განხორციელდეს ანარიცხებით ბიუჯეტების საინვესტიციო ნაწილიდან და სახელმწიფოს ან რეგიონების არასაბიუჯეტო შემოსავლების ხარჯზე, ასევე დაინტერესებული კერძო პირების სახსრების მოზიდვით), რომელთა ბაზაზე შეიძლება საინვესტიციო ბანკების შექმნა, რომლებიც პროექტების შესაბამისი ექსპერტიზის შემდეგ განახორციელებენ პროექტების ნაწილობრივ დაფინანსებას შედავათიანი კრედიტების გაცემით.

მეორე, სახსრების მოზიდვისათვის შეიძლება მსოფლიოში არსებული ორივე ძირითადი საფინანსო სისტემის (ბაზარზე ორიენტირებულის და ბანკებზე ორიენტირებულის) ინსტიტუციურ-ინვესტიციური შესაძლებლობების გამოყენება, მით უმეტეს, ამჟამად მსოფლიოში მიმდინარეობს ამ სისტემების დაახლოება. იმისათვის, რომ კერძო უნივერსალური ბანკების ან ამისთვის შექმნილი მათი შვილობილი ორგანიზაციების მიერ საინვესტიციო მიზნებისათვის გრძელვადიანი დაკრედიტებით გაიცეს შედარებით დიდი მოცულობის სახსრები, სახელმწიფომ უნდა დააინტერესოს ბანკები გრძელვადიანი დაკრედიტების ოპერაციების განხორციელებაში. დაინტერესების ერთ-ერთი ხერხია უნივერსალური ბანკის ან თანამედროვე პერიოდში უფრო ხშირად მისი შვილობილი კომპანიის მონაწილეობა რეალური სექტორის კომპანიის საკუთრებაში, რისთვისაც, ბანკმა (ან მისმა შვილობილმა კომპანიამ) კრედიტით გაცემული თანხის ნაწილის სანაცვლოდ უნდა მიიღოს შესაბამისი სადამფუძნებლო აქციები (მიუხედავად იმისა, შენდება ახალი საწარმო, თუ არსებულის მოდერნიზაცია და ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვა ხდება). საწარმოს საქმიანობა მეტისმეტად რომ არ იყოს შეზღუდული საფინანსო დაწესებულების კონტროლით, ბანკის მონაწილეობა რეალური სექტორის საწარმოს საკუთრებაში მიზანშეწონილია, შეიზღუდოს გარკვეული ზღვრებით (მაგალითად, არაუმეტეს 20%-ით ერთ საწარმოში [6, გვ. 124, 125]).

ასევე საწყისი დაფინანსების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა (უფრო ბაზარზე ორიენტირებულ სისტემებში) აქციებისა და ობლიგაციების ემიტირება და განთავსება პირველად საფონდო ბაზარზე (ძირითადად ეს ხელმოწერის მეთოდით ხდება), რაშიც შეიძლება წვრილმა ინვესტორებმაც მიიღონ მონაწილეობა (უკანასკნელებმა, უფრო ხშირად, ინვესტიციური ინსტიტუტების მეშვეობით). აქციების ამ ნაწილმა, საწარმოს (კორპორაციის) ამოქმედების შემდეგ წარმატებული მუშაობისა და აქციებზე სათანადო დივიდენდების გაცემისას, შეიძლება იმატოს ფასში და იმოქმედოს კომპანიის ღირებულების ზრდაზე, რადგანაც ეს აქციები თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის სფეროში გადავა და, დივიდენდების გაზრდისა და კომპანიის წარმატებული მუშაობის შემთხვევაში, მათი ფასი მოიმატებს (რა თქმა უნდა, ანალოგიური ზომით მოიმატებს დანარჩენი აქციების ფასიც).

საფონდო ბირჟაც შეიძლება აქციების პირველადი განთავსებისათვის იქნეს გამოყენებული, მაგრამ ეს არაა ტიპური [14, გვ. 23].

ასეთი მექანიზმების მოქმედება საწარმოების შექმნისა და მოდერნიზაციისათვის თავისებურ ინსტიტუციურ გარემოს ჩამოაყალიბებს, სადაც ინვესტიციური დაფინანსება იწარმოებს რამდენიმე წყაროდან. კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობას შეაფასებს როგორც სახელმწიფო, ასევე საბანკო (საქმიანობის ანალიზით) და ბაზრის კონტროლი. უკანასკნელი – კომპანიების ფასიანი ქაღალდების საფონდო ბაზარზე კოტირებით, ხოლო მომხმარებელი მისი პროდუქციის შეძენის სიხშირით.

ასეთივე წესის გამოყენება შეიძლება არა მხოლოდ "მაღალტექნოლოგიური", არამედ ტრადიციული დარგების საწარმოებისათვისაც, რა თქმა უნდა, საჭიროა მათი აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ცოდნით (მშენებლობა, საყოფაცხოვრებო საგნების წარმოება და სხვა). ამ დარგებში, ჩვეულებრივ, სააქციო საზოგადოებების პროცენტი ნაკლებია, ვიდრე ზემოთ აღნიშნულ დარგებში. მიუხედავად ამისა, როგორც საფონდო, ასევე სამომხმარებლო ბაზარი აკონტროლებს საწარმოების რეალურ ფასს. ბანკის კონტროლი ამ შემთხვევაში შესაძლებელია, თუ ბანკმა გასცა სესხი, ხოლო მართვაში მონაწილეობის უფლება ბანკს აქვს იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში მონაწილეობს საწარმოს საკუთრებაში.

საწარმოს შექმნის ან გაჯანსაღების მეორე ხერხია მიზანშეწონილ დარგებში უცხოური კაპიტალის მოზიდვა, განსაკუთრებით რეალური კაპიტალის, სამრეწველო ტრანსეროვნული კორპორაციების საწარმოს სახით, რომლებსაც, როგორც ზემოთ ითქვა, შეუძლიათ სხვადასხვა სახელშეკრულებო ხერხის საფუძველზე დაამყარონ კოოპერაციული საქმიანი ურთიერთობები სხვადასხვა სახის ადგილობრივ საშუალო და მცირე საწარმოებთან.

მესამე ხერხია ფრანჩაიზინგის გავრცელება [8, გვ. 159, 161].

მნიშვნელოვანია რეალური სექტორის ახალი საწარმოების შექმნისა და არსებული საწარმოების მოდერნიზაციის (როდესაც ეს მიზანშეწონილია) წახალისება სახელმწიფოს, რეგიონების, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან. ამასთან, უნდა დაწესდეს კონტროლი იმაზე, რომ არ შეიქმნას ისეთი საწარმოები, რომლებიც აბინძურებენ გარემოს ან იმის გამო, რომ არ ხმარობენ შესაბამისი მავნე კომპონენტებისაგან

გარემოში გადინების საწინააღმდეგო დანადგარებს, რასაც ზოგიერთი საწარმო ერიდება შესაბამისი დანადგარების შეძენასა და ენერგიის ანაზღაურებაზე დამატებითი ხარჯების გაჩენის გამო, ან იმის გამო, რომ ზოგიერთ ტექნოლოგიურ პროცესში არ არსებობს გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებისათვის საჭირო დანადგარები. წახალისება უნდა ხორციელდებოდეს წინასწარი ანალიზის საფუძველზე: მაგალითად, რა ხასიათის საწარმოს შექმნა უფრო მიზანშეწონილია ამა თუ იმ რეგიონში (ბუნებრივი პირობების, ბუნებრივი რესურსების, მუშა ძალის და სპეციალისტების არსებობის და მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებების შესაძლებლობების და სხვა კომპონენტების გათვალისწინებით). მნიშვნელოვანია საწარმოს შექმნის წახალისების უფრო ქმედითი ზომების მიღება დეპრესიულ რეგიონებში ან იმ ქალაქებში, რომლებიც, სავარაუდოდ, საქართველოში სოციალურ-ინდუსტრიული და კულტურული მიზიდულობის ცენტრები უნდა გახდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ.** ეკონომიკური განვითარების ფაქტორები. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტ. 4. თბილისი, "მეცნიერება", 2004.
2. **ბურდული ვ.** სამრეწველო პოლიტიკა: ინსტიტუციური უზრუნველყოფა და ეკონომიკური მექანიზმი. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის "მაცნე". ეკონომიკის სერია, №1–2, 1996.
3. **ბურდული ვ.** წარმოების სტრუქტურული ორგანიზაციის ინსტიტუციური საფუძვლები. – კრ.: საერთაშორისო ბიზნესი (საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული). თბილისი, ტ. II, №1-2, 2003.
4. **წერეთელი გ., ბურდული ვ.** ინსტიტუციონალიზმის ძირითად პრინციპთა პოსტკომუნისტური ქვეყნების წარმოების სტრუქტურული ორგანიზაციის სფეროში გამოყენების აუცილებლობა. საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტეს სამეცნიერო შრომების კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტ. 4, თბილისი, "მეცნიერება", 2004.

5. **Баев И., Кожин С.** Диверсификация промышленных предприятий в США. – МЭиМО, №10, 2001.

6. Банковская система Израиля. – МЭиМО, №11, 1998.

7. **Батчиков С., Петров Ю.** Формирование финансово-промышленных групп и государство. – Росс. эк. журнал, №2, 1995.

8. **Бурдули В., Датунашвили Л.** Глобализация и использование ее возможностей в экономическом развитии Грузии. - "სოციალური ეკონომიკა", №5, 2007.

9. **Бурков С.** Задачи постчековой приватизации. Росс. эк. журнал, №10, 1994.

10. **Данилов Ю., Ситкин А., Шараева Л**. Российские инвестиционные компании. Росс. эк. журнал, №9, 1992.

11. **Доронин И.** Мировой финансовый рынок на пороге XX в. МЭиМО, №9, 2000.

12. **Кондратьев В.** Макроэкономические проблемы конкурентоспособности России. МЭиМО, №3, 2001.

13. **Куликов В., Латышева Г., Николаев А**. Образование финансово-промышленных групп (необходимость, цели и механизмы). – Росс. эк. журнал, №1, 1994.

14. **Мусатов В.** Фондовая биржа. Вопросы экономики, №7, 1991.

15. **Папава В., Беридзе Т.** Очерки политической экономии посткомунистического капитализма (опыт Грузии). М., "Дело и сервис", 2005.

16. **Трофимова И**. Закономерности построения отраслевых и организационных структур в экономике США и некоторые сопоставления с СССР. – ВЭ, №8, 1991.

17. **Хавина С.** Многообразие типов смешанной экономики за рубежом. – ВЭ, №1,1993.

18. **Юданов Ю**. Европейские корпорации в условиях глобализации. – МЭиМО, №11, 2001.

19. **Burduli V.** The Role of Globalization in Reviving the Economy of Countries in Transition (A Case Study of Georgia). – The Caucasus & Globalization. Journl of Social, Political and Economic Studies. Vol. 1 (3), 2007, CA&CC Press. SWEDEN.

Burduli Vakhtang
Burduli Ketevan

NECESSITY OF ESTABLISHMENT OF INTERCOMMUNICATION BETWEEN DEVELOPMENT OF INSTITUTIONAL AND TECHNOLOGICAL ORGANIZATION OF REAL AND FINANCIAL SECTORS OF ECONOMY IN GEORGIA AND ITS REGIONS IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION

SUMMARY

In the article the interdependence of development process of technologies and development of institutional structure of production (institutional structure and institutional interrelation between subjects of economy) is shown. This interdependence becomes stronger in the period of globalization of the economy owing to subsequent development of market competition both within the countries and the international scale: competition in the conditions of quick development of technologies forces businesses (both the financial sectors and the real sectors of economy) to improve their institutional structure and institutional interrelation with partners to increase their competitiveness by means of assistance on this basis to increase technological level of production and/or services.

In this connection the authors show the importance of improvement of institutional interaction of financial-credit and investment-stock sphere with real production for the purpose of their effective development in the conditions of globalization. In the article the ways of institutional structuring of this interaction in Georgia and its regions are contemplated and substantiated.

ვახტანგ ბურდული
ალფრედ კურატაშვილი

საფინანსო სექტორის ინსტიტუციური ორგანიზაციის განვითარება გლობალიზაციის პირობებში

ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირება შესაბამისი ინსტიტუციური გარემოს შექმნას მოითხოვს, მათ შორის, ინსტიტუციურ-ინვესტიციურის. ამაზე ყურადღებას ამახვილებს მრავალი მეცნიერ-ეკონომისტი. მაგალითად, აღინიშნება, რომ "იმ ცოდნამ ინსტიტუტების ევოლუციის შესახებ, რომელიც დაგროვილი იყო რეფორმების მსვლელობაში არა მარტო რუსეთში, არამედ არასრულყოფილი სახელმწიფო და საბაზრო ინსტიტუტების მქონე სხვა ქვეყნებში, უკანასკნელ ათწლეულებში მათ ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევის შესაძლებლობა მისცა. ლაპარაკია ისეთ ქვეყნებზე, როგორიცაა ჩილე, სამხრეთ კორეა, მექსიკა, ისრაელი, ბრაზილია. მაგრამ შეუძლებელია მათი წარმატებული განვითარების (რომელიც ხშირად არ ჯდება მაღალი ეკონომიკური თეორიის კანონებში) უბრალო კოპირება და გამეორება" [11, გვ. 27]. აქედან ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მოწინავე ქვეყნების ეკონომიკის ინსტიტუციური მოწყობის ევოლუციის შესწავლა [4; 17; 18; 19 და სხვა] და ამის საფუძველზე საქართველოსათვის ეკონომიკის საკუთარი მიდგომის შემუშავება [1; 2; 5 და სხვა].

ამჟამად მსოფლიოში ორი ძირითადი საფინანსო სისტემის (ბაზარზე ორიენტირებულის – აშშ, დიდი ბრიტანეთი და ბანკებზე ორიენტირებულის – კონტინენტური ევროპის ქვეყნების უმეტესობა) ინსტიტუციური სტრუქტურირების გარკვეული დაახლოება ხდება. ბაზარზე ორიენტირებულ სისტემებში ეს ძირითადად იმით გამოისახება, რომ აშშ-ში საფინანსო მოდერნიზაციის შესახებ კანონის მიღების შემდეგ (1999), უფრო სწორად, ბოლო თხუთმეტ წელიწადში ამერიკულმა ბანკებმა დე-ფაქტო დაიწყეს შეღწევა ფასიანი ქაღალდების კომპანიებისა და სადაზღვევო საზოგადოებების საქმიანობის სფეროში (გლას-სტიგალის კანონის ძირითადი დებულებების გაუქმების შემდეგ მათ ამისთვის სამართლებრივი საფუძვლები მიიღეს). 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო შერწყმების აქტიური პროცესი, რაც ნიშნავს ამერიკული ბანკების გარდაქმნას უნივერსალურ საფინანსო კომპლექსებად, რომლებიც აბსოლუტურად ყველა სახეობის საფინანსო ბაზარზე ახორციელებენ მომსახურებას [13, გვ. 39]. ბანკები ამას აღწევენ საფინანსო სისტემაში თავისი ადგილის გადასინჯვით, რესტრუქტურიზაციის გატარებით, თავისი საქმიანობის ინვესტიციური მიმართულების გაძლიერებით. ეს იმით იყო

გამოწვეული, რომ საფონდო ბაზრები რეალური სექტორის ძირითად სტრუქტურშემქმნელ ფაქტორად გადაიქცენ. ადრე საბანკო სექტორი საფინანსო სახსრების გადანაწილების მექანიზმის როლს მნიშვნელოვანწილად უთმობდა საფონდო ბაზარს. ამჟამად სწრაფად იზრდება აბსოლუტურ და შეფარდებით გამოსახულებაში კორპორაციული ფასიანი ქაღალდების სექტორი (მისი ზრდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ტრანსსაზღვრული ოპერაციები, რომელთა მოცულობა გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებით სწრაფად იზრდება). საფინანსო ბაზარზე ახალ კონკურენტულ პირობებში ბაზრის ის ინსტიტუტები იმარჯვებენ, რომლებსაც აქვთ უნარი, მოახდინონ მნიშვნელოვანი საფინანსო სახსრების ინვესტირება ახალ ტექნოლოგიებში და მათ ბაზაზე შექმნან ან განაახლონ ბაზრის ახალი ინსტრუმენტები, გააუმჯობესონ მომსახურების ხარისხი და შეამცირონ ტრანსეროვნული დანახარჯები [7, გვ. 34].

რაც შეეხება კონტინენტური ევროპის ქვეყნებს, აქ ორი ძირითადი საფინანსო სისტემის ინსტიტუციური სტრუქტურირების დაახლოება იმით გამოიხატება, რომ სულ უფრო ვრცელდება სააქციო კაპიტალიზმის ინგლისურ-ამერიკული მოდელი, სადაც კორპორაციების საფინანსო კვება საფონდო ბირჟების კაპიტალის ბაზრის ხარჯზე ხორციელდება (ე.ი. კორპორაციული აქციებისა და ობლიგაციების გაყიდვის ხარჯზე) [11, გვ. 70].

მიუხედავად ამისა, კონტინენტური მოდელიც არ თმობს პოზიციებს. მაგალითად, ესპანეთში, მიუხედავად ბირჟების ფართო ქსელისა, მსხვილი კორპორაციებისა და სააგენტოების უმეტესობა, რომლებიც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე თამაშობენ, მსხვილ კომერციულ საბანკო ჯგუფებს ეკუთვნიან, რომლებსაც ასევე აქციების დიდი ოდენობა აქვთ ძირითად სამრეწველო კორპორაციებში. ასეთი მჭიდრო კავშირი ბანკებს და მრეწველობას შორის ესპანეთში, საერთო აზრით, ესპანეთის პირველი ბანკის "ბანესტოს" 1994 წ. გაკოტრების ძირითადი ფაქტორი გახდა [14, გვ. 121]. ამერიკული მაღალტექნოლოგიური კომპანიების აქციების კურსის ვარდნის ფაქტები (რაც კანონზომიერია და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა) იმაზე მეტყველებს, რომ ევროპულ მოდელებსაც აქვს მრავალი დადებითი მხარე. გერმანიაში, მაგალითად, გრძელდება "რეინის კაპიტალიზმის" პრინციპების სიჭარბე, რომლის არსებობისას კორპორაციები ძირითადად

სტრატეგიული პარტნიორების ხარჯზე ფინანსდება (ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვების). იტალიაში დომინირებს ოლიგარქიული საფინანსო ჯგუფების რესურსები, საფრანგეთში მნიშვნელოვან კრედიტორად ზოგჯერ სახელმწიფო გამოდის. სკანდინავიის ქვეყნებში შენარჩუნებულია კორპორაციულ საქმიანობაში სახელმწიფოს უძლიერესი ზემოქმედება "საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ფარგლებში" [16, გვ. 70].

კონტინენტური ევროპის ყველა ამ მოდელის ინსტიტუციური აგებულებისათვის დამახასიათებელია ერთი ძირითადი თავისებურება – დაფინანსება ხორციელდება შუამავლების გარეშე, რესურსებს გამოყოფენ სტრატეგიული პარტნიორები. მაგრამ 90-იან წლებში უკვე საკმაოდ თვალნათლად გამოჩნდა, რომ ასეთ მექანიზმს არ შეუძლია უზრუნველყოს კაპიტალების საჭირო მოცულობით და თავისდროული მოდინება. ამიტომ თანდათანობით ჩნდება ახალი საფინანსო ინსტიტუტები, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანია კაპიტალების საფონდო ბაზრები. მართალია ევროპაში აქციონერთა საერთო რიცხვი ჯერჯერობით უმნიშვნელოა (დიდი ბრიტანეთის გარდა), თვლიან, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ახალი სააქციონერო მოდელის დანერგვა კორპორაციული გამჭვირვალობის მაღალ დონეს მოითხოვს, რაც არც ისე სრულად შეესაბამება ევროპული ბიზნესის ეროვნულ პრინციპებს [16, გვ.70].

საფონდო ბაზრის განვითარების მაღალი დონე კაპიტალის სწრაფი გადადინებისა და შრომის ბაზრების მოქნილობის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ თვლიან, რომ კონტინენტური ევროპის მოდელებსაც აქვთ ორი უსათუოდ გრძელვადიანი უპირატესობა: სამუშაო ძალის კვალიფიკაციის მაღალი დონე და "ტრადიციული სოციალური სახელმწიფოს" განვითარების მტკიცე მოდელი [16, გვ.70].

ამის მიუხედავად, ევროპაში, 1993 წ. ქვეყნებში ტრადიციულად საბანკო სისტემით საინვესტიციო სამსახურის შესახებ დირექტივის მიღებისას, უპირველეს ყოვლისა გერმანიაში, შესაძლებელი გახდა საფონდო ბაზარზე ფასიანი ქაღალდების კომპანიების მუშაობა. იმ ქვეყნებში კი, სადაც ბანკებისათვის აკრძალული იყო საფონდო ბირჟებზე მუშაობა (საფრანგეთი, ესპანეთი), ამჟამად მათ უკვე შეუძლიათ გახდნენ ბირჟების წევრები. იაპონიაშიც თანდათანობით უქმდება ბარიერები კომერციულ და ინვესტიციურ საბანკო საქმიანობას შორის [13, გვ. 39].

სხვადასხვა ეროვნული მოდელი სხვადასხვა გავლენას ახდენს მსოფლიოს ეკონომიკის ინტეგრაციის და გლობალიზაციის პროცესებზე. არაა შემთხვევითი, რომ უპირატესი პოზიციები პირდაპირი ინვესტიციების ევროპულ ექსპორტსა და იმპორტში ორ ქვეყანას უკავია, რომლებიც ყველაზე დიდი ზომით უჭერენ მხარს "აქციონერული კაპიტალიზმის" პრინციპებს: მსხვილ ქვეყნებს შორის გამოირჩევა დიდი ბრიტანეთი, მცირეთა შორის – ნიდერლანდები [16, გვ. 71].

ბოლო პერიოდში ბევრ ქვეყანაში გაჩნდა აზრი, რომ საფინანსო ბაზრის რეგულირებისა და ზედამხედველობისათვის საჭიროა ეგრეთ წოდებული მეგარეგულატორის შექმნა, ე.ი. ისეთი სახელმწიფო ორგანოს შექმნა, რომელიც ამ ფუნქციებს შეასრულებს. ერთიანი ორგანოს შექმნის გზით წავიდნენ დიდი ბრიტანეთი (აქ შექმნილია სუპერრეგულატორი – საფინანსო მომსახურების საბჭო, რომელიც ახორციელებს კონტროლს ბანკებზე, ფასიანი ქაღალდების კომპანიებზე, ბირჟებზე, საპორთფელო მმართველებსა და სადაზღვევო ორგანიზაციებზე), იაპონია, სამხრეთ კორეა (სადაც ასეთი რეგულირება 1997 წ. შეიქმნა კრიზისის შემდეგ), ისლანდია, გერმანია, ლუქსემბურგი, ავსტრია, უნგრეთი და საფრანგეთი. ამასთან, ეს გზაც საკამათოა. ასე, მაგალითად, აშშ-მა, რომელმაც რეგულირების რეფორმა უფრო გვიან ჩაატარა (კანონი საფინანსო მოდერნიზაციის შესახებ მიიღო 1999 წ. მეორე ნახევარში) არ მიჰყვა დიდი ბრიტანეთის მაგალითს, რადგან შეინარჩუნა საფინანსო ბაზრების მართვის რამდენიმე ორგანო. ამ კანონის მიხედვით, აშშ-ის საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ლიცენზირებასა და კონტროლში დაექვემდებარნენ ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიას (SEC) [9, გვ. 9; 13, გვ. 41].

რა თქმა უნდა, ეს ეხება მეგარეგულირების ორგანოების შექმნას მხოლოდ საფინანსო სექტორის საზედამხედველო-საკონტროლო ორგანიზაციების განხრით და არავითარი კავშირი არ აქვს ისეთ სახელისუფლებო ორგანოებთან, როგორიცაა ცენტრალური ბანკი, საგადასახადო სამსახური, მისი საკონტროლო ქვედანაყოფები და სხვა ამის მსგავსი სახელისუფლებო ორგანიზაციები.

ჩვენი აზრით, ასეთი საზედამხედველო ორგანოების გაერთიანება ერთიან ორგანოში მოადუნებს ზედამხედველობის ყურადღებას საფინანსო ბაზრის ცალკეული სექტორების მოქმედების მიმართ და ჯერჯე-

რობით მსგავსი ერთიანი ორგანოს შემოღება საქართველოში მიზანშეწონილი არაა.

ქვეყნებში საფინანსო ბაზრებით განვითარებული საბანკო საქმიანობის და აქციების ბაზრის სწრაფ განვითარებას შორის, როგორც გამოცდილება აჩვენებს, დროის განსხვავება (ლაგი) დაახლოებით 15 წელს შეადგენს. ქვეყნებში ეკონომიკის დაფინანსების ფორმირებადი ბაზრებით უფრო ეყრდნობიან საბანკო კრედიტს, ვიდრე ფასიანი ქაღალდების ბაზრებს, ე.ი. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისას საწარმოების გარე დაფინანსებას პირველ პერიოდში ძირითადად სავალო ხასიათი აქვს (ხორციელდება საბანკო კრედიტებით და საობლიგაციო ბაზრის მეშვეობით) და მხოლოდ შემდეგ ვითარდება წილობრივი დაფინანსება აქციების განთავსებით [9, გვ. 6; 13, გვ. 36]. მაგრამ ზოგიერთ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში წარმოების განვითარების სასესხო დაფინანსება შეკავებულია საბანკო გრძელვადიანი დაკრედიტების და საობლიგაციო ბაზრების არასაკმარისი ტევადობით. ამიტომ, მაგალითად, რუსეთში აქციების ბაზარი, რომელიც თავისი ბუნებით უფრო ცვალებადია (volatility), ქმნის საფინანსო ბაზრის მზარდ წილს, რაც იწვევს მთელი რუსეთის საფინანსო ბაზრის მაღალ ცვალებადობას და აისახება მაგალითად, ინვესტორების მაღალ დანაკარგებში [9, გვ. 6]. ამასთან, რუსეთის მოსახლეობის მხოლოდ 10–15 ათასი, ანუ 0,1 %-ზე ნაკლები საფონდო ბაზრის აქტიური მონაწილეა. შედარებისათვის: მოსახლეობის წილი, რომელიც ინვესტირებას ახდენს ფასიან ქაღალდებში, სამხრეთ კორეაში მოსახლეობის საერთო ოდენობის 8,3% შეადგენს, იაპონიაში – 26,6%, ავსტრალიაში – 36,5%, აშშ-ში მხოლოდ აქციებს ფლობს ოჯახების 48,2% (მსგავსი მონაცემები, რომლებიც სრულად არ ემთხვევა ერთმანეთს, სხვადასხვა პერიოდის მონაცემების და სხვა მიზეზების გამო, მოცემულია რიგ სტატიებში [12, გვ. 24; 9, გვ. 8]).

Standard & Poor`s-ის მონაცემებით, შიდა კრედიტი კერძო სექტორისათვის რუსეთში შეადგენს **მშპ**-ის მხოლოდ 18%, რაც შესადარებელია ყაზახეთის (17%), ბულგარეთის (20%) და ბალტიის ქვეყნების (23%) მონაცემებთან, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე პოლონეთში, უნგრეთსა და ბრაზილიაში (30-38%), ეგვიპტეში (73%), საფრანგეთში (85%), გფრ-ში (119%) [9, გვ. 6].

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, თანამედროვე საერთაშორისო და შიდა გარემოებების გათვალისწინებით,

საფინანსო სექტორის ინსტიტუციური განვითარება ეფექტიანი ეკონომიკის შექმნისათვის მიზანშეწონილია სხვა გზით წავიდეს (ეფექტიანი საფინანსო სექტორის შექმნისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს განვითარებული და ზოგიერთი სწრაფად განვითარებადი ქვეყნის გამოცდილება), რასაც კარნახობს რიგი გარემოება:

– პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საბანკო სექტორი ჯერჯერობით ვერ უზრუნველყოფს მრეწველობისა და სხვა სექტორების გრძელვადიანი დაკრედიტების მოთხოვნებს (ე.ი. საჭიროა სახელმწიფოს ძალისხმევა მისი გაძლიერებისათვის, გრძელვადიანი დაკრედიტებისათვის ისეთი შედავათიანი ინსტიტუციური სისტემის შექმნა, რომ არ დაზარალდეს ბანკების საქმიანობა და ა.შ.);

– ამჟამად აქციებზე დარიცხული პროცენტი მსოფლიოს ბაზრებზე გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე საბანკო ანაბრებზე დარიცხული. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების კლებადმა შემოსავლიანობამ, საბანკო დეპოზიტებზე პროცენტების დაბალმა დონემ გაზარდა კერძო პირების მოთხოვნა აქციებზე, როგორც ყველაზე შემოსავლიან ინსტრუმენტებზე [7, გვ. 34];

– 1999 წელს საბანკო კრედიტები მთელ მსოფლიოში სამრეწველო კორპორაციების და მთავრობების მიერ მოზიდული საფინანსო სახსრების მხოლოდ 25% შეადგენდა [7, გვ. 34], თუმცა ბანკების მიერ ინსტიტუციური რესტრუქტურიზაციის განხორციელებისას და თავისი საქმიანობის ინვესტიციური მიმართულების გაძლიერებისას, სავარაუდოა, რომ ეს წილი გაიზრდება (ამას ასევე ხელს უწყობს აშშ-ში 1999 წ. ახალი კანონის მიღება საფინანსო მოდერნიზაციის შესახებ);

– როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მრავალ შემთხვევაში, ახალი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში, ბანკებზე ორიენტირებულ საფინანსო მექანიზმს არ შეუძლია უზრუნველყოს საინვესტიციო მიზნებზე კაპიტალის საჭირო მოცულობით დროული მოდენა; ცხადია, აქ საჭიროა სახელმწიფო რეგულირებისა და საბაზრო თვითრეგულირების ინსტიტუტების ერთობლივი ძალისხმევა, ბანკების ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვა, ახალი ინსტრუმენტების შემოღება, მათი საქმიანობის მარეგულირებელი მექანიზმის განახლება, უნივერსალიზაციის გაძლიერება, საბანკო საქმიანობის ლიბერალიზაციასა და საზედამხედველო კონტროლის გამკაცრებას შორის გონივრული თანაფარდობის დადგენა, რათა გაძლიერდეს კერძო ბანკების მოქნილობა

საწარმოების გრძელვადიან დაფინანსებაში, რეალური წარმოების ეფექტიან სექტორებში კაპიტალის გადადინების (მიწოდების) დროულ უზრუნველყოფაში;

– ბანკებზე ორიენტირებული სისტემების თანამედროვე ინსტიტუციური აგებულება ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის ფართო ფენების (რომლებსაც აქვთ თავისუფალი სახსრები, მაგრამ იმ ოდენობით, რომ თვითონ ვერ მონაწილეობენ სააქციო გარიგებებში ან არ აქვთ იმის გამოცდილება, რომ თვითონ ისარგებლონ მსხვილი კორპორაციების სააქციო ბაზრით) უშუალო ჩართვას საფონდო, ანუ გრძელვადიანი ინვესტირების პროცესში, რასაც შეუძლია მასშტაბურად გაზარდოს გრძელვადიანი საინვესტიციო დაკრედიტების უზრუნველყოფისათვის სწრაფად მოდინებადი სახსრების მოცულობა, თუმცა მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს, რომელსაც აქვს თავისუფალი სახსრები, ურჩევნია მათი განთავსება ბანკებში დეპოზიტების სახით, რაც კონტინენტური ევროპის ქვეყნებისათვის ჯერჯერობით უფრო ტრადიციულია. ამის მიზეზია საფონდო გარიგებებში მონაწილეობიდან რისკის აცილების მექანიზმების სისუსტე, აქციების ბაზარზე მცირე სახსრებით შეღწევის ფაქტობრივად შეუძლებლობა და სხვა;

– აქციების ფლობით მიღებული პროცენტებით (რომელიც ჩამოყალიბებულ ინსტიტუციურ გარემოში უფრო მაღალია, ვიდრე სადეპოზიტო პროცენტი) მოსახლეობას უჩნდება დამატებითი სახსრები მზა პროდუქციის შესასყიდად და საინვესტიციო-საფონდო პროცესში მონაწილეობის დამატებითი შესაძლებლობა (ძირითადად საინვესტიციო ინსტიტუტების მეშვეობით), რაც აძლიერებს ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების დინამიზმს, ამას კი ეფექტიანი თანამედროვე ტექნოლოგიების უფრო სწრაფი შემოღება მოჰყვება;

– ბანკებზე ორიენტირებულ სისტემებსაც აქვთ თავისი უპირატესობანი, ესაა საბანკო კონტროლი ბანკების მიერ საინვესტიციო მიზნებზე გაცემულ სახსრებზე (თუმცა 1997–1998 წწ. საფინანსო კრიზისი აზიაში და 1998 წ. დეფოლტი რუსეთში იმაზე მეტყველებს, რომ ზოგჯერ ეს კონტროლი არ ამართლებს თავის დანიშნულებას), რომელსაც აძლიერებს ბანკების მონაწილეობა სამრეწველო და სხვა სექტორების კორპორაციებისა და საწარმოების საკუთრებაში. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში თვლიან, რომ ბანკების გადაჭარბებული მონაწილეობა სამრეწველო და სხვა სექტორების კორპორაციებსა და საწარმოებში ანე-

ლებს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას წარმოებაში (მაგალითად, ეს დამახასიათებელია თანამედროვე რუსეთისათვის) და აწესებენ შეზღუდვებს უნივერსალური ან ინვესტიციური ბანკების, ან მათი შვილობილი საწარმოების მონაწილეობისათვის სამრეწველო და სხვა სექტორების კორპორაციებსა და საწარმოებში;

– როგორც ზემოთ ითქვა, ამჟამად მიმდინარეობს ორი ძირითადი საფინანსო სისტემის დაახლოების პროცესი, სისტემები ერთიმეორისგან საუკეთესო ელემენტებს იღებენ. ამას მოჰყვა ამერიკული კომერციული ბანკების უფლებების გაფართოება (მათ შორის დაშვებული საქმიანობის მიმართულებების, პროცენტის უფრო თავისუფალი დადგენის და ა.შ. უფლება; ასეთი პროცესი ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაშიც განხორციელდა), რის შედეგადაც სწრაფად ვითარდება კომერციული ბანკების "უნივერსალიზაციის" პროცესი, კონტინენტურ ევროპაში კი თანდათანობით, მაგრამ უფრო ნელი ტემპებით, ვითარდება სააქციო ბაზრები, საინვესტიციო ინსტიტუტები. ეს გარემოებაც გასათვალისწინებელია საქართველოში საფინანსო სისტემის განვითარების პროექტირების პროცესში;

– საფინანსო (საბანკო და საფონდო) სისტემების თავისებურებებს, რა თქმა უნდა, განაპირობებს ეკონომიკის განვითარების დონე, მაგრამ საქართველოში ძველი ინფრასტრუქტურის ნარჩენების ბაზაზე, მისი კარდინალური განახლებით, რესტრუქტურიზაციით და ძლიერი ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენებით, ორიენტაციის აღება შეიძლება ძლიერი ინვესტიციურ-ინსტიტუციური პოტენციალის სწრაფ ჩამოყალიბებაზე, რომლის ძირითადი მიზანი იქნება მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, ექსპორტის სწრაფი ზრდა და სხვა.

ყოველ ქვეყანაში ძირითადი მიზანი (ინვესტიციურ-ინსტიტუციური გარემოს აგების თვალსაზრისით) რამდენიმეა, მაგრამ პრიორიტეტული ძირითადი მიზანი სხვადასხვაა. მაგალითად, ცენტრალურ ევროპაში ესაა სოციალური საბაზრო ეკონომიკის აგება და განვითარება, იაპონიაში – ექსპორტის მობილიზაცია (თუმცა სოციალურ განვითარებას იქაც დიდ ყურადღებას აქცევენ). ბევრი მომენტი, სხვა გარემოებებსა და თავისებურებებთან ერთად, დამოკიდებულია ქვეყნის ადგილმდებარეობაზე.

მეცნიერებაში არის მოსაზრება, რომ ცალკეული რეგიონები, დროის გარკვეულ პერიოდებში (როდესაც ამას ხელს უწყობს გარემოებები), მათ შორის, გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და გეოეკოლოგიური მდებარეობის გამო, ტექნოლოგიების და საერთოდ ეკონომიკის განვითარების გენერატორები ხდებიან [8, გვ. 27] ისე, რომ იზრდება მათი გავლენა სხვა ქვეყნებზე. ასეთ რეგიონებს უწოდებენ ნოვატორ-რეგიონებს ან ხალხების ურთიერთქმედების ცენტრებს [8, გვ. 27]. საქართველო, მთლიანობაში, მსოფლიოს მასშტაბებში მცირე რეგიონია, მაგრამ ჩვენ გვაქვს მცირე ქვეყნების მაგალითები, რომელთა გავლენა მსოფლიოში გაცილებით აჭარბებს მათ ზომებს, მაგალითად, შვეიცარია, ნიდერლანდები, შვედეთი და სხვა. საქართველოს, არსებული ვითარების გათვალისწინებით, ამჟამად აქვს შანსი, გახდეს ასეთი რეგიონი. ამიტომ ამ გარემოებამაც შეიძლება იმოქმედოს საფინანსო-საინვესტიციო ინსტიტუციური ვითარების და, საერთოდ, ქვეყნის კეთილდღეობის დაჩქარებულ განვითარებაზე.

მიუხედავად ძირითადი საფინანსო სისტემების დაახლოებისა, სხვადასხვა სისტემა განაპირობებს რეალური სექტორის ტექნოლოგიურ და, ამასთან, ინსტიტუციურ სტრუქტურაზე ზემოქმედების სხვადასხვა მექანიზმის არსებობას: ძირითადად საბაზრო, სადაც რესურსების, საერთოდ, და, კერძოდ, ძირითადი ფონდების, ახალი ინვესტიციების განაწილების პროცესი განისაზღვრება საბაზრო ფასებით (ძირითადი ფონდების ფასის კოტირება, როგორც ვიცით, ხდება საფონდო ბირჟაზე) და კონკურენციით (აშშ, დიდი ბრიტანეთი); დაფუძნებული სახელმწიფოს მიერ ინვესტიციების აქტიურ გენერირებაზე კაპიტალის ფასის რეგულირებით მსხვილი საბანკო სტრუქტურების, საკრედიტო პოლიტიკისა და ეროვნული მიზნების მიხედვით (იაპონია, საფრანგეთი, სამხრეთ კორეა); დაფუძნებული საფინანსო სისტემაში ინსტიტუციურ ურთიერთობებზე (ცენტრალური ევროპა, სკანდინავია) [10, გვ. 136].

ჯერ კიდევ ცხრა წლის წინ, ჩვენ (იგულისხმება გ. წერეთელი და ვ. ბურდული), მოსახლეობის სახსრების უკმარისობისა და სხვა გარემოებების გამო [3, გვ. 119-121], სუფთა "ბანკებზე ორიენტირებული" საფინანსო სისტემის მომხრეები ვიყავით. ამასთან, ბოლო წლებში, მსოფლიოს საფინანსო სექტორში სიტუაცია შეიცვალა, მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნის საფინანსო სისტემების გარკვეულ ფარგლებში დაახლოების პროცესი და ამჟამად უკეთესია "ბანკებზე ორიენტირებულ

სისტემაში", რომელიც საქართველოში ვითარდება, ასევე "ბაზარზე ორიენტირებული" სისტემის ელემენტების დამატება, კერძოდ, სააქციო ბაზრის ისეთი განვითარება, რომ მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს აქციების მცირე პაკეტების შეძენა, დივიდენდების მიღება და ინვესტიციური ინსტიტუტების, რეგიონული დეპოზიტარების, დილერების ან სხვა შუამავლების მეშვეობით სააქციო და კორპორაციული ობლიგაციებით გარიგებებში მონაწილეობა.

თანამედროვე ინვესტიციურ-ინსტიტუციური გარემოს შექმნის, რეალური წარმოების დაჩქარებული ინსტიტუციური სტრუქტურიზაციისა და ტექნოლოგიების განახლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა საფონდო ბაზრის გააქტიურება. საფონდო ბირჟის გააქტიურების გარდა ეს ნიშნავს საფონდო შუამავლების ქსელის განვითარებას, რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის დახმარებისათვის სადეპოზიტო და საინვესტიციო კომპანიების შექმნას, სადაც ბროკერის ან დილერის მეშვეობით შესაძლებელი იქნება მსხვილი კომპანიების აქციების შეძენაც. ასევე, რეგიონებში შეიძლება მცირე და საშუალო ბიზნესის სადაზღვევო კომპანიის დაწესება, მცირე და საშუალო ბიზნესის რეგიონული ბანკის შექმნა.

მაგალითად, სადეპოზიტო კომპანია განახორციელებს შემდეგ ფუნქციებს: ემიტენტების დავალებით ფასიანი ქაღალდების მფლობელების რეესტრების წარმოება; აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდების მფლობელების ანგარიშების გახსნა და წარმოება; კლიენტების ინტერესებში საჭირო ინფორმაციის გადაცემა სხვა დეპოზიტარებში, ასევე სხვა დეპოზიტარებიდან ინფორმაციის მიღება, რაც ფასიანი ქაღალდების რეგიონულ ბაზრებში შეღწევას უზრუნველყოფს და სხვა. მცირე და საშუალო ბიზნესის რეგიონული საინვესტიციო კომპანია წყვეტს შემდეგ ამოცანებს: ახორციელებს შუამავლის როლს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ასევე საშუამავლო ფუნქციებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის დროს კლიენტების ხარჯზე და მათი დავალებით; ეწევა საკონსულტაციო მომსახურებას ფასიანი ქაღალდების გამოშვების და მიმოქცევის საკითხებზე და ა.შ. [6, გვ. 155].

ჩვენი აზრით, ჯერ არაა მიზანშეწონილი საქართველოში ინსტიტუციური ინვესტორების (საპენსიო, სოციალურის და სხვა) ფართო ქსელის განვითარება, რადგანაც ეს იწვევს წარმოებაში დაბანდებათა გადაჭარბებულ დივერსიფიკაციას, საფინანსო-საშუამავლო ქსელის უსა-

ფუძვლო ზრდას. როგორც დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა, ინვესტიციური ინვესტორების ფართო ქსელის არსებობის პირობებში, იზრდება მოგების ის წილი, რაც მოდის მოხმარებაზე, და მცირდება რეალური ინვესტიციების წილი (თუმცა საქართველოში რეალური ინვესტიციების წილი მცირეა სხვა მიზეზების გამო), ფართოდ გავრცელდა მტრული შთანთქმები [15, გვ. 71], რაც აიძულებს მთავრობებს, დააწესონ ახალი შეზღუდვები ინსტიტუციური ინვესტორების საქმიანობაზე. ამიტომაცაა, რომ ბოლო ხანებში ინსტიტუციური ინვესტორების როლი იმ ქვეყნებში, სადაც ისინი მასობრივადაა გავრცელებული, შემცირდა. პორთფელის რადიკალური გადასინჯვის მათი შესაძლებლობანი შეზღუდულია დაბანდებების საიმედოობის როგორც საკანონმდებლო, ასევე შიდა მოთხოვნათა მიხედვით [7, გვ. 36].

როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა, მომგებიანობა აქციებიდან (განსაკუთრებით კომპანიებში ახალი ტექნოლოგიებით) ძალიან გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მათი ფასი ვარდება. ამიტომ საქართველოში, განვითარებულ საბანკო სისტემასთან ერთად, საჭიროა არსებობდეს შედარებით მოქნილი "ბაზარზე ორიენტირებული" სისტემის ელემენტები, კერძოდ, მიზანშეწონილია, საგრძნობლად გაიზარდოს საფონდო ბირჟაზე წარმოებული ოპერაციების მოცულობა (სადაც, სხვათა შორის, საფონდო ფასეულობების საფუძვლიანი კოტირება მოხდება), აქციების გავრცელებული ბაზარი, მაგრამ არა ისეთი, როგორც კონტინენტური ევროპის ქვეყნების უმეტესობაში და, განსაკუთრებით, რუსეთშია (უკანასკნელში, რეალური ინვესტიციების განხორციელებას სააქციო ბაზრის მეშვეობით ამჟამად უფრო დიდი მოცულობა აქვს, ვიდრე საბანკო კრედიტის მეშვეობით, მაგრამ, როგორც ითქვა, აქციები თავმოყრილია მოსახლეობის ძალიან ვიწრო წრეში), არამედ ისეთი, როგორიცაა ქვეყნებში ბაზარზე ორიენტირებული სისტემით. აქციების გავრცელება ფართო ფენებში მოსახლეობას საშუალებას მისცემს, უფრო მეტად დაინტერესდეს ქვეყნის სწრაფი და ეფექტიანი განვითარებით აქციების ბაზარში მონაწილეობის მეშვეობით.

ჩვენი აზრით, საქართველოში ამისათვის ისეთი ტიპის ინვესტიციური ინსტიტუტების შექმნაა მიზანშეწონილი, რომლებიც მოსახლეობაში ავრცელებენ თავიანთ აქციებს, მოზიდული სახსრებით კი, კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში, ყიდულობენ მსხვილი კორპორაციების აქციებსა და ობლიგაციებს და მაღალი კლასის სახელმწიფო ობლიგა-

ციებს. ეს მეტად სასარგებლოა როგორც მოსახლეობის იმ ფენებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ მნიშვნელოვანი თანხების დაბანდება (მაგალითად, ბროკერის მეშვეობით საფონდო ბირჟაზე ან დილერის მეშვეობით რეგიონულ საინვესტიციო კომპანიაში, ან დეპოზიტარში და უშუალოდ), ასევე საინვესტიციო მიზნებისათვის, რადგანაც მკვეთრად ზრდის საინვესტიციო მიზნებისათვის მოზიდულ სახსრებს საინვესტიციო პროცესში მოსახლეობის დიდი პროცენტის მონაწილეობის გამო (ამასთან, უნდა გაკონტროლდეს, რომ თანხების განსაზღვრული მნიშვნელოვანი წილი წარიმართოს რეალურ (პირველად) ინვესტიციებსა და კორპორაციულ ობლიგაციებში, მაგრამ, თუ საინვესტიციო კომპანიები მხოლოდ მეორად აქციებს შეისყიდიან, ამან შეიძლება აქციების ფასის დაცემა გამოიწვიოს).

მაშასადამე, ხსენებული ტიპის ინვესტიციური ინსტიტუტების შემოღებისას, ჯერ ერთი, საინვესტიციო მიზნებისათვის მოიზიდება დამატებითი სახსრები, რომლის უკმარისობას ამჟამად წარმოების რეალური სექტორის მრავალი დარგი განიცდის, განსაკუთრებით გადამამუშავებელი მრეწველობა; მეორე, მოსახლეობას გაცილებით ნაკლები რისკით (ვიდრე აქციების პირდაპირი შეძენით) გაუჩნდება ფულადი სახსრების განთავსების შესაძლებლობა რეალური წარმოების კორპორაციების ფასიან ქაღალდებში. ამასთან, ასეთი ინსტიტუტების საქმიანობის კონტროლისათვის უნდა დაწესდეს სათანადო ზედამხედველობა, რომ არ მოხდეს დარღვევები მოსახლეობაზე (აქციონერებზე) დივიდენდების გაცემისა და, ასევე, მსხვილი კომპანიების აქციების და ობლიგაციების და მაღალი კლასის სახელმწიფო ობლიგაციების საინვესტიციო კომპანიის მიერ დაშვებულ ფარგლებზე გადამეტებული შეძენა. “რანტიეების” ნამეტანი ფენის არსებობაც სახიფათოა, მაგრამ თანამედროვე პირობებში ნაკლებად, ვიდრე წინათ. ამასთანავე, საჭირო იქნება ასეთი კომპანიების ერთობლივი სადაზღვევო ფონდის შექმნა იმ დანიშნულებით, რომ, თუ რომელიმე კომპანია არასაკმაოდ გონივრული ოპერაციების წარმოების შედეგად ვერ მოახერხებს აქციონერებზე დივიდენდების გაცემას ან აქციების საფასურის დაბრუნებას, ამ სადაზღვევო ფონდიდან მოსახლეობას აუნაზღაურდება შესაბამისი ზარალი (სადაზღვევო ფონდი დაიბრუნებს სახსრებს “დამნაშავე” საინვესტიციო ფონდზე რეგრესიული პრეტენზიების წაყენებით). ასეთი კომპანიების მუშაობისათვის საჭირო,

ქვეყანაში არსებობდეს საფონდო საქმიანობის გამჭვირვალობის სათანადო დონე, დაახლოებით ისეთი, როგორიც აშშ-შია.

რა თქმა უნდა, მიუხედავად ამისა, ასეთ "შერეულ" სისტემაში ძირითადი როლი რეალური ინვესტიციების გენერირებაში მსხვილმა უნივერსალურმა ბანკებმა უნდა შეასრულონ. იმისათვის, რომ მათ გრძელვადიანი დაკრედიტების ოპერაციები გააფართოვონ, საჭიროა რეალური წარმოების დარგებში გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელების წახალისების მეთოდების შემოღება (თუ აბანდებენ, მაგალითად, პერსპექტიულ მაღალეფექტიან, საექსპორტო დანიშნულების და ა.შ. ტექნოლოგიებში). გრძელვადიანი ინვესტიციების წახალისება შეიძლება განხორციელდეს ამ ინვესტიციებზე მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირებით ან, თუ ბანკმა დიდი ოდენობით განახორციელა გრძელვადიანი ინვესტიციები, რომელთა მოცულობა გადასცილდა მისი აქტივების გარკვეულ ზღვარს, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავისი ობლიგაციები დაბალი პროცენტით განათავსოს სხვა ბანკებში, რომლებიც მეტწილად მოკლე და საშუალოვადიან ოპერაციებს ახორციელებენ. ამით მიიღწეოდა კომერციული ბანკების საქმიანობის ორიენტაციის შეცვლა, უმეტესად კომერციული ოპერაციების დაფინანსებიდან, ახალი მშენებლობის, ახალი ტექნოლოგიების მოზიდვის და ა.შ. ინვესტირებაზეც. მიზანშეწონილი იქნებოდა აგრეთვე, რომ დაწესდეს გრძელვადიანი საინვესტიციო რისკის დაზღვევის ერთობლივი ფონდი სახელმწიფო ბანკის მონაწილეობით, რომელიც დანიშნული იქნება საინვესტიციო რისკებზე გამოყოფილი სახსრების დასაცავად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ.** ეკონომიკური განვითარების ფაქტორები. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულში: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტ. 4, თბილისი, "მეცნიერება", 2004.

2. **ბურდული ვ.** წარმოების სტრუქტურული ორგანიზაციის ინსტიტუციური საფუძვლები. კრ.: საერთაშორისო ბიზნესი (საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული). თბილისი, ტ. II, №1-2, 2003.

3. **წერეთელი გ., ბურდული ვ.** საქართველოში საფინანსო სისტემის ჩამოყალიბების პრობლემები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის "მაცნე". ეკონომიკის სერია, ტ. 6, №4, 1998.

4. Банковская система Израиля. МЭиМО, №11, 1998.

5. **Берулава Г**. Институциональные основы рыночной экономики и роль государства. Известия АН Грузии. Серия экономическая, т.13, №1-2, 2005.

6. **Блинов А.** Региональные фонды и другие финансовые институты поддержки предпринимательства. Вопросы экономики (ВЭ), №11, 1994.

7. **Доронин И**. Мировой финансовый рынок на пороге XXI в. МЭиМО, №9, 2000.

8. **Егоров И.** Логика экономического процесса: социоэкономический синтез. МЭиМО, №4, 2004.

9. **Костиков И.** О направлениях развития Российского финансового рынка. МЭиМО, №3, 2004.

10. **Кузин Д.** Промышленная политика развитых стран: цели, инструменты, оценки. МЭиМО, №9, 1993.

11. **Кузьминов Я., Радаев В., Яковлев А., Ясин Е**. Институты: от заимствования к выращиванию. ВЭ, №5, 2005.

12. **Кулигин П. И.** Акционерные общества: основы учреждения и функционирования. Финансы, №9, 1992.

13. **Рубцов Б**. Мировые фондовые рынки. МэиМО, №8, 2001.

14. **Хмыз О.** Фондовый рынок стран-членов Европейского союза. МэиМО, №4, 1998.

15. **Хруцкий В.** Реферат Питера Друкера "Труд и управление в современном мире" и послесловие к нему. Росс. эк. журнал, №5, 1993.

16. **Юданов Ю.** Европейские корпорации в условиях глобализации. МЭиМО, №11, 2001.

17. **Eggersson T.** Economic Behavior and Institutions. Cambridge, 1995.

18. **North D.** Institutional Change and Economic Performance. Cambridge University Press, 1990.

19. **Williamson O.** The Evolving Science of Organization. Journal of Institutional and Theoretical Economics, vol. 149, No1, 1993.

Burduli Vakhtang
Kuratashvili Alfred

DEVELOPMENT OF INSTITUTIONAL ORGANIZATION OF FINANCIAL SECTOR IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION

SUMMARY

In the article the evolution of financial sector (financial-credit, investment-stock) of the economy in developed countries in the globalization period is analyzed. It is shown that coupled with development of technologies the competition conditions are necessary for institutional changes in both banking and investment-stock sectors of economy. The expedient institutional reorganization of financial establishment raises their competitiveness and positive influence upon development of technologies in both the financial and the real sectors of economy. The institutional changes are favoring the increase of competitiveness condition a gradual rapproachement of structure of both basic financial systems: market oriented (USA, Great Britain and other) and banking oriented (different version in the countries of Continental Europe).

On the basis of analysis and generalization of evolution process of financial systems of developed countries in period of globalization the authors offered and substantiated the ways of subsequent development of financial system (financial-credit and investment-stock) in Georgia, taking into account: necessity of changes in its institutional structure predetermined via the globalization process; necessity of development of source of investment via drawing in their generation, through appropriate institutional structures (universal and investment banks, investment institutes, funds), maximum number of participant.

რევაზ ჯავახიშვილი

საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ძირითადი ტენდენციები

თანამედროვე ეტაპზე, ეკონომიკური ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესების გაღრმავების პირობებში, სულ უფრო ინტენსიურად ვითარდება ქვეყნებს შორის სავაჭრო ეკონომიკური კავშირები. ამჟამად ძალზე დიდია ქვეყნებისა და კომპანიების სწრაფვა საგარეო ბაზარზე გასასვლელად, რაც განპირობებულია შიდა ბაზრის ტევადობის სიმცირით და, რაც მთავარია, საგარეო ბაზარზე საქონელბრუნვის სწრაფი ზრდის დიდი შესაძლებლობებით. საგარეო ბაზარზე საქონელბრუნვის

ზრდის ტემპი 37%-ით აღემატება საშინაო ბაზრის ანალოგიურ მაჩვენებელს [5, გვ. 9].

სადღეისოდ საგარეო ვაჭრობა სასიცოცხლოდ აუცილებელია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების, კერძოდ, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური აღორძინებისათვის. ჩვენს ქვეყანას საგარეო ვაჭრობის განვითარების დიდი ტრადიციები აქვს. გარდა იმისა, რომ ის წარმოადგენდა ევრაზიის სავაჭრო-სატრანზიტო დერეფანს, საქართველოს თვითონ ჰქონდა საკმაოდ მაღალგანვითარებული სავაჭრო კავშირები ახლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბევრ ქვეყანასთან. საბჭოურ პერიოდშიც საკავშირო სტრუქტურები წარმატებით იყენებდნენ ჩვენი ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს, 80-ზე მეტი დასახელების ქართული პროდუქცია გაჰქონდათ 50-ზე მეტ ქვეყანაში, სადაც იგი დიდი მოწონებით სარგებლობდა.

ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ თავის თავზე აიღო საგარეო ვაჭრობის ფუნქცია. საგადამხდელო ბალანსის გაწონასწორების მიზნით, 1992 წლის მარტში მიიღეს დადგენილება, რითაც ქვეყანაში ყველა რეგისტრირებულ პირს უფლება მიეცა, შეუზღუდავად განეხორციელებინა საგარეო-ეკონომიკური ფუნქციები. მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა სატარიფო და არასატარიფო რეგულირების მიმართულებითაც, რაც გამოიხატა ექსპორტის კოტირებისა და ლიცენზირების არსებული წესის შეზღუდვაში, ერთიანი საბაჟო ტარიფების დაწესებაში.

შემდგომ პერიოდშიც ხორციელდებოდა ღონისძიებები ქვეყნის საგარეო-სავაჭრო კავშირების გაფართოების მიმართულებით, მაგრამ ქვეყანაში ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის გამო, მან სასურველი შედეგები ვერ გამოიღო. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ქვეყნის ეკონომიკური გამოცოცხლების კვალდაკვალ, შეიმჩნეოდა საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ზრდა, რაზეც ნათლად მეტყველებს 1-ლი ცხრილის მონაცემები.

ცხრილი 1

საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები 1995–2007 წწ. [3, გვ. 273; 4]

წლები	ბრუნვა სულ	ექსპორტი		იმპორტი		სალდო + –	ექსპორტით იმპორტის გადაფარვის პროცენტი
		ბრუნვა	%	ბრუნვა	%		
1995	1000,7	289,5	28,9	711,2	71,1	-421,7	40,7
2000	1032,2	322,8	31,3	709,4	68,7	-386,6	45,5
2001	1070,9	317,6	29,7	753,2	70,3	-435,6	42,2
2002	1141,6	345,9	30,3	795,6	79,7	-449,7	43,4
2003	1602,6	461,4	28,4	1141,2	71,8	-679,8	40,4
2004	2494,8	647,0	21,6	1847,9	74,4	-1200,9	35,0
2005	3357,2	866,2	25,8	2490,9	74,2	-1624,7	34,8
2006	4674,0	993,0	21,2	3681,0	78,8	-2688,0	27,0
2007 იანვარ-ივნისი	2778,0	548,6	19,7	2229,4	80,3	-1738,8	24,6

მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვა ზრდის ტენდენციით ხასიათდება. თუმცა, უმეტესწილად იმპორტის ხარჯზე, რის გამოც 2000–2006 წწ. საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო 7-ჯერ გაიზარდა და 2,6 მლრდ. დოლარს გადააჭარბა. ეს ტენდენცია მიმდინარე წლის პირველ ნახევარშიც გრძელდებოდა, რის გამოც ექსპორტით იმპორტის გადაფარვის პროცენტი ამ პერიოდში 45,5-დან 24,6%-მდე შემცირდა. ამასთან, გამოიკვეთა ტენდენცია: სისტემატურად იზრდება ქვეყნების რაოდენობა, რომლებთანაც საქართველოს აქვს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. კერძოდ, მათმა რაოდენობამ 1995 წ. შეადგინა – 50, 2000 წელს – 79 და 2007 წლის პირველ ნახევარში კი – 96 [4].

მიუხედავად ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში არსებული არასახარბიელო მდგომარეობისა, ბოლო პერიოდში განხორციელებულ ღონისძიებებს შედეგად მოჰყვა საქართველოს საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაცია, მისი სავაჭრო საქმიანობის არეალის გაფართოება. თუ 1995 წ. ჩვენს ქვეყანას საგარეო-სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა მსოფლიოს მხოლოდ 68 ქვეყანასთან, 2000 წ. მათმა რაოდენობამ 114, ხოლო 2007

წელს კი 117 მიაღწია. მას შემდეგ, რაც საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა, მან მნიშვნელოვნად გააფართოვა დსთ-ს, შავი ზღვის აუზის, ევროკავშირის, ეუთოს წევრ და მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანასთან თავისი სავაჭრო საქმიანობა.

სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაფართოებასთან ერთად, მნიშვნელოვნად შეიცვალა მისი გეოგრაფია. 2006 წლამდე საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორი რუსეთი იყო, რომლის წილად 1985 წ. მოდიოდა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 16% (მ.შ. – ექსპორტის 17,8, იმპორტის 15,4). რუსეთის ბაზრებზე იყიდებოდა ჩვენი ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის დიდი ნაწილი. რუსეთიდან კი საქართველოში შემოდიოდა ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, ნავთობპროდუქტები, ხორბალი, შაქარი და სხვა სტრატეგიული დანიშნულების პროდუქტები.

2006 წლის გაზაფხულზე რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინოების, მინერალური წყლებისა და სხვა პროდუქტის რეალიზაციის აკრძალვის შემდეგ, შეიცვალა ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია, პირველ ადგილზე გადმოინაცვლა თურქეთმა, ხოლო მე-2 ადგილზე გადავიდა რუსეთი. ის, რომ საქართველოს სავაჭრო პარტნიორთა შორის მე-2 ადგილზეა რუსეთი (11,6%), უმეტესწილად განპირობებულია ამ ქვეყნიდან საქართველოში ექსპორტირებული პროდუქციის მაღალი მაჩვენებლით (13,4%). საქართველოდან რუსეთში საქონლის ექსპორტი კი მკვეთრი შემცირების ტენდენციით ხასიათდება. თუ 2005 წელს იგი შეადგენდა 17,8%-ს, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში იგი 4,3%-მდე დაეცა, ანუ დროის ამ მცირე მონაკვეთში 4-ჯერ და მეტად შემცირდა. ცხადია, ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე. აღნიშნული მიზეზებით 2006 წ. ქვეყნის ექსპორტი 100 მლნ., ხოლო 2007 წლის პირველ ნახევარში 30 მლნ. დოლარით შემცირდა.

სამაგიეროდ, ახალი ბაზრების მოძიების მიმართულებით საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, თავისი შედეგი გამოიღო და ქართული ექსპორტის დივერსიფიკაცია წარმატებით ხორციელდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ბაზრებზე. ამ მხრივ, თურქეთსა და აზერბაიჯანთან ერთად, სადაც იყიდება ქართული საექსპორტო პროდუქციის 27%, წინა პლანზე გამოვიდნენ აშშ (6,2%), ბულგარეთი (5,5%), გერმანია (3,9%), თურქმენეთი (3,9%), არაბთა გაერთიანებული ემირატები (2,3%) და სხვ. ქართული ექსპორტის 39% მოდის დსთ-ს, ხოლო თითქმის 20% – ევროკავშირის ქვეყნებზე.

ქვეყანაში იმპორტირებული საქონლის მიხედვით ძირითადი სავაჭრო პარტნიორებია: თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი და გერმანია, რომელთა წილად მოდის ქართულ ბაზარზე გაყიდული საქონლის 50%-ზე მეტი. ქართული ბაზრით საკმაოდ დაინტერესდნენ და იმპორტიორი ქვეყნების პირველ ათეულში შევიდნენ არაბთა გაერთიანებული ემირატები და ჩინეთი, რომელთა პროდუქცია წარმატებით იყიდება ქართულ ბაზარზე. საქართველოს იმპორტის დიდი ნაწილი მოდის დსთ-ს (37%) და ევროკავშირის ქვეყნებზე (30%).

მნიშვნელოვანი ცვლილებებითა და თავისებურებებით ხასიათდება საქართველოს საგარეო ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურა. ამჟამად ექსპორტირებული სასაქონლო ჯგუფებიდან აღსანიშნავია: ფეროშენადნობები, შავი ლითონის ჯართი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, მსუბუქი ავტომობილები (რეექსპორტი), აზოტოვანი სასუქები და ცემენტი, რომელთა წილად მოდის ქვეყნის საექსპორტო ბრუნვის თითქმის ნახევარი. ექსპორტში მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია აგრეთვე სპირტსა და სპირტიან სასმელებს, ოქროსა და ოქროს ნაწარმს, თხილსა და კაკალს, სპილენძის ჯართსა და სხვა. მათი წილი ექსპორტში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქვეყანას ამ მხრივ დიდი საექსპორტო პოტენციალი გააჩნია, რაც, სამწუხაროდ, სრულად არაა გამოყენებული.

რაც შეეხება საქართველოში იმპორტირებულ საქონელს, აქ გადამწყვეტი ადგილი უჭირავს ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს, ბუნებრივ აირსა და ნახშირწყალბადებს, სამკურნალო საშუალებებს, მსუბუქ და სატვირთო ავტომობილებს, ხორბალსა და შაქარს, საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებსა და გამომთვლელ მანქანებს, რკინისა და ფოლადის ნაწარმს, რომელთა წილად მოდის ქვეყნის იმპორტის დაახლოებით 40% [4].

მონაცემებით დასტურდება, რომ ბოლო პერიოდში ჩვენმა ქვეყანამ საგარეო ვაჭრობის გაფართოების კურსი აიღო დასავლეთის (პირველ რიგში ევროკავშირის) ქვეყნებზე. თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს დსთ-ს (მათ შორის რუსეთის) ბაზარზე უარის თქმას. საქართველომ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს საგარეო ვაჭრობის სწორი სამომავლო სტრატეგია, რათა მაქსიმალურად გამოიყენოს როგორც დსთ-ს, ისე ევროკავშირისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების შესაძლებლობები.

ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, ძალზე მნიშვნელოვანია ევროკავშირის ქვეყნებთან სავაჭრო კონტაქტების გააქტიურება, ევროპის ბაზარზე ქართული საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაცია და ევროპიდან ქართულ ბაზარზე მაღალკონკურენტუნარიანი საქონლის შემოტანა. ამ საქმით, პირველ რიგში, საქართველოა დაიტერესებული, ვინაიდან ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვა ქვეყნის მთლიანი საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 25 %-ს შეადგენს, პირიქით კი – ევროკავშირის ბრუნვაში საქართველოს წილი 0,07%-ზე ნაკლებია. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროკავშირის ბაზარი (განსაკუთრებით სასურსათო) საკმაოდ მკაცრი, მომთხოვნი და მაღალკონკურენტუნარიანი ბაზარია. აქ მოსახვედრად, სატარიფო ბარიერებთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასატარიფო ბარიერების გადალახვა, რაშიც იგულისხმება სტანდარტიზაციის, სერტიფიკაციისა და აკრედიტაციის სისტემების, აგრეთვე, ვეტერინარული და ფიტოსანიტარული, სურსათის უვნებლობის სტანდარტების დაცვა. მხოლოდ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინების შემდეგ შეიძლება რეალური გახდეს ევროკავშირის შიდა ბაზარზე ფართოდ შეღწევისა და დამკვიდრების პერსპექტივა.

ჩვენმა ქვეყანამ, საგარეო ბაზრის სივრცობრივ გაფართოებასთან ერთად, უნდა იზრუნოს სასაქონლო სტრუქტურის, ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობისა და საგარეო ვაჭრობის ბალანსის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. სადღეისოდ, საქართველოს საგარეო ბაზარზე გააქვს უფრო მეტად ნედლეული, სურსათი და ნახევარფაბრიკატები, რომლებზედაც ფასები შედარებით დაბალია. ქვეყნის იმპორტში კი ჭარბობს ენერგომატარებლები – ნავთობი, გაზი, ელექტროენერგია (რომლებზედაც მსოფლიო ფასები სისტემატურად იზრდება) და სხვა მაღალტექნოლოგიური, მეცნიერებატევადი და გაცილებით ძვირადღირებული მზა ნაწარმი. ცხადია, ეს ფაქტორიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობასა და საგარეო ვაჭრობის ბალანსის გაუარესებაზე.

გარდა ამისა, სადღეისოდ, საქართველოს ექსპორტი სულ რამდენიმე სახეობის პროდუქციაზეა ორიენტირებული. კერძოდ, ათი დასახელების უმსხვილეს სასაქონლო ჯგუფზე მოდის ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 50%, ევროკავშირის ქვეყნებთან ვაჭრობაში კი სამი სასაქონლო

ჯგუფის (ახალი ან გამხმარი კაკალი და თხილი; მინერალური წყლები; მინერალური და ქიმიური სასუქები) წილი შეადგენს 56%-ს [4].

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ძირითადი საექსპორტო საქონლის ზოგიერთ სახეობას სამომავლო პერსპექტივა არ გააჩნია. ეს, უწინარეს ყოვლისა, შეეხება ჯართს, რომელიც საქართველოს საექსპორტო საქონელთა ჩამონათვალში წლების განმავლობაში პირველ ადგილზე იყო და დღესაც მას ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია უკავია. ასეთ ექსპორტს შეიძლება "გაჭირვების" ექსპორტი ეწოდოს, როცა საწარმო თუ ქვეყანა მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად და ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ყიდის ინვენტარსა და მანქანა-დანადგარებს, ეს, რა თქმა უნდა, არაა ბიზნესის განვითარების სტრატეგიული მიმართულება. მომავალში, როცა ბიზნესი ნორმალურ რეჟიმში ჩადგება, ჯართის ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდება, როგორც ეს ბევრ ქვეყანაში განხორციელდა.

ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გადიდებისა და საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების მიზნით, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული აგროსამრეწველო სექტორის ფუნქციონირების მდიდარი ტრადიციები, უნიკალური სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და მათი გადამუშავების დიდი შესაძლებლობები. აქ, პირველ რიგში, ყურადღებას იმსახურებს მევენახეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მეხილეობა-მებოსტნეობის და, შესაბამისად, ამ პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობის აღორძინებისა და მსოფლიო ბაზრებზე მაღალკონკურენტუნარიანი საქონლით გასვლის დიდი პერსპექტივები. ამ საქმეში საჭიროა სახელმწიფოს აქტიური ჩარევა, სათანადო ეკონომიკური და ადმინისტრაციული ბერკეტების ამოქმედება. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქართული პროდუქციის ღირსების, მისი ეკოლოგიური სისუფთავის უზრუნველყოფასა და პროპაგანდას.

სრულყოფას მოითხოვს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა. ენერგო და მასალატევადი დარგების ნაცვლად, ქვეყანამ კურსი უნდა აიღოს მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი დარგების განვითარებაზე. სადღეისოდ, მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნაა კომპიუტერულ, კერძოდ, პროგრამულ მომსახურებაზე, მონაცემთა დამუშავებასა და მის ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, რისი განვითარების სათანადო პირობებიც არსებობს ჩვენს ქვეყანაში. საჭიროა სახელმწიფოს

მხრივ ქმედითი დახმარება, აღნიშნული დარგების სათანადო სუბსიდირება და მათი სწრაფი აღორძინება.

ეკონომიკური განვითარებისა და მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების გადიდების კვალობაზე, საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების მიზნით, ქვეყანაში უნდა დაჩქარდეს ყოფილი საბჭოთა ბაზრიდან ევროპის მაღალკონკურენტუნარიან ბაზრებზე რეორიენტაციის პროცესი. იგი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ აღორძინებას და სათანადო პირობებს შექმნის ევროკავშირში მისი გაწევრიანების პროცესის დასაჩქარებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები.** თბილისი, ოქტომბერი, 2006.
2. **საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2005.** სტატისტიკური კრებული. თბილისი, 2006.
3. **საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2006.** თბილისი, 2007.
4. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ანგარიშგებითი მასალები.
5. **Багиев А.** и др. Международный маркетинг. СПБ, 2001.
6. **Гриффин Р., Пастей М.** Международный бизнес. М., 2006.
7. **Устинов И.** Мировая торговля, статистический справочник. М., 2000.

Javakhishvili Revazi

MAIN TRENDS OF DEVELOPMENT OF GEORGIAN FOREING TRADE

SUMMARY

Commodity circulation of Georgian foreign trade is characterized by growing tendency, realized mainly owing to import increase. In this connection export exceeding over import in 2000-2006 decreased from 45,5% to 27% and negative trade balance increased 7 times. It is stipulated by the fact that raw materials, semi-finished products and foodstuffs dominate in the country, energy (the price of which is systematically growing) and high technological science-intensive and other expensive ready-made products dominate in import.

For the last period some serious changes have been realized in foreign trade geography of the country. If for a long time Russia had been the main trade partner of the country, after its unilateral announcement of trade embargo the export of Georgian production in Russia has been strictly decreased, because of which Russia moved to the second place and the first trade partner for Georgia has become Turkey. Together with Turkey and Azerbaijan where more than 27% of Georgian export production are sold, the country pursues a course for West markets. Nowadays almost 20% of Georgian export with the strengthen of economy and the growth of highly competitive production the process of reorientation of post soviet market to high competitive markets should be quickened. This would significantly promote the social-economic restoration of the country and the hastening of its memership.

ანზორ კურატაშვილი

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპული თავისებურებანი

საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკური მიზნისა და, ამავე დროს, მისი სოციალური ორიენტაციის ერთდროულად არსებობა, ჩვენი ღრმა რწმენით, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის სპეციფიკური და განმსაზღვრელი კრიტერიუმი – სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მთავარი განმსაზღვრელი არსია.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის ახსნისადმი ჩვენეული მეთოდოლოგიური მიდგომის სიახლეს და თვით სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის ახსნის განსხვავებას ამ პრობლემაზე არსებული ტრადიციული შეხედულებებისაგან ის ფაქტიც ადასტურებს, რომ, ლუდვიგ ერხარდის მიერ მოცემული განმარტების თანახმად, სოციალური საბაზრო ეკონომიკის სიღრმისეული აზრი „მდგომარეობს იმაში, რათა ბაზარზე შეერთდეს თავისუფლების პრინციპი სოციალურ დაბალანსებასთან და საზოგადოების წინაშე ყოველი ადამიანის ზნეობრივ პასუხისმგებლობასთან“ [9, გვ. 379].

ამრიგად, ლუდვიგ ერხარდის აღნიშნული განმარტება ცხადყოფს, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსში იგულისხმება ტრადიციული საბაზრო ეკონომიკის არსი და მისი სოციალური ორიენტაცია, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს შემდეგი:

„გერმანელმა თეორეტიკოსმა, – გერმანიის სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწემ ლუდვიგ ერხარდმა (1897–1977) შექმნა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო მეურნეობის საკუთარი თეორია, რაც განახორციელა პრაქტიკაში. ამ თეორიის ძირითადი დებულებებია: თავისუფალი ფასის, თავისუფალი კონკურენციის აუცილებლობა, მოთხოვნისა და მიწოდების სწორი თანაფარდობა, ეკონომიკის წონასწორობა. სახელმწიფო მოწოდებულია, უზრუნველყოს ეს პირობები საბაზრო მეურნეობაში და უზრუნველყოს სოციალური მიმართულება მათ განვითარებაში“ [8, გვ. 21].

ზემოაღნიშნული ციტატები ლუდვიგ ერხარდის სამეცნიერო შრომებიდან და ეკონომიკური თეორიის ცნობილი სახელმძღვანელოდან სოციალური საბაზრო ეკონომიკის თეორიის ავტორის შესახებ, რომელთა სისწორე, ცხადია, ეჭვს არ იწვევს, აგრეთვე, მოცემულ პრობლემაზე თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა ნათლად ადასტურებს, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩვეულებრივი – სოციალურად არაორიენტირებული – საბაზრო ეკონომიკისაგან მთავარი განმასხვავებელი არსის განსაზღვრა ფაქტობრივად არ არსებობს.

უფრო მეტიც, თვით საბაზრო ეკონომიკის არსის მრავალი განსაზღვრიდან თითქმის არ გვხვდება ისეთი, სადაც აქცენტი გაკეთებულია ამ ტიპის ეკონომიკის მიზანზე, როგორც მის მამოძრავებელ ძალაზე. ნაცვლად ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ადრეც აღინიშნა, მთავარი აქცენტი გადატანილია საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ფორმებსა და მეთოდებზე. ეს, თავისთავად, მეტად მნიშვნელოვანია და აუცილებლად გასათვალისწინებელი, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის მთავარი განმსაზღვრელი არსის მაჩვენებელი მაინც არ არის, რადგან, ჩვენი ღრმა რწმენით, საბაზრო ეკონომიკა – ეს არის, უპირველეს ყოვლისა, მოგებაზე გამიზნული ეკონომიკა, ხოლო თუ უფრო სრულ განმარტებას გავაკეთებთ, საბაზრო ეკონომიკა – ეს არის მოგებაზე გამიზნული და ბაზრით რეგულირებადი ეკონომიკა. თუმცა მთავარი და განმსაზღვრელი საბაზრო ეკონომიკაში მაინც მისი მოგებაზე გამიზნული ფუნქციონირებაა.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა კი არის მოგებაზე გამიზნული და, ამავე დროს, ხალხის კეთილდღეობაზე ორიენტირებული ეკონომიკა, რომელშიც ბაზრის მარეგულირებელი როლი მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ რომლის სოციალურ ორიენტაციას სახელმწიფო უზრუნველყოფს სათანადო ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების საშუალებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკის მოგებაზე გამიზნული ფუნქციონირება, მისი სოციალური ორიენტაციის გარეშეც კი, სულაც არ გამორიცხავს საბაზრო ეკონომიკის აღნიშნული ორიენტაციის შესაძლებლობას. პირიქით, მომგებიანი ეკონომიკის გარეშე შეუძლებელია სოციალური პრობლემების გადაჭრა, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია ავტომატურად არ ხდება, თუმცა მომგები-

ანი ეკონომიკა ხელს უწყობს ამ ორიენტაციის პრაქტიკულ რეალიზაციას. უფრო მეტიც, სწორედ მომგებიანი ეკონომიკა წარმოადგენს მისი სოციალური ორიენტაციის ეკონომიკურ საფუძველს.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ ლუდვიგ ერხარდის სამეცნიერო შრომებში გამოყენებულია ტერმინი სოციალური საბაზრო ეკონომიკა, რომელშიც იგულისხმება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ტერმინი „სოციალური საბაზრო ეკონომიკა“ შეიძლება არ ნიშნავდეს, უფრო ზუსტად კი, თავისთავად არ ნიშნავს სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას, რადგან „სოციალური“, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივს ნიშნავს და, თუმცა, ტერმინში „სოციალური“ ვიწრო გაგებით იგულისხმება სოციალური ორიენტაცია, მაგრამ მეტი სიზუსტისათვის, ჩვენი აზრით, სასურველია, სოციალური საბაზრო ეკონომიკის ნაცვლად ყველგან გამოყენებული იყოს ტერმინი სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა.

საბაზრო ეკონომიკასა და სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას შორის განსხვავების შესახებ მართებულად მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ „სახელმწიფო რეგულირების დონის მიხედვით განასხვავებდნენ საბაზრო, ლიბერალურ და სოციალურად ორიენტირებულ მოდელს (ეკონომიკის განვითარებაში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ჩარევით). ვარიანტების სიმრავლისა და სპეციფიკურობის მიუხედავად, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მთავარი პრინციპებია მრავალწყობიანობა, სახელმწიფოს აქტიური ჩარევა, მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების, როგორც ეკონომიკური ზრდის საფუძვლის გამოყენება“ [5, გვ. 832].

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ, თუმცა, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა ნამდვილად განსხვავდება ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ჩარევით, ანუ სახელმწიფოს მარეგულირებელი როლით, მაგრამ, ჩვენი აზრით, სახელმწიფოს მიერ საბაზრო ეკონომიკის რეგულირება თავისთავად არ ნიშნავს მის სოციალურ ორიენტაციას, რადგან სახელმწიფომ საბაზრო ეკონომიკა შეიძლება არეგულიროს ეკონომიკური მიზნიდან გამომდინარე და ნაკლებად გაითვალისწინოს მისი სოციალური ორიენტაციის აუცილებლობა.

ამიტომ, ზოგადად სახელმწიფოს მარეგულირებელ როლზე მსჯელობასთან ერთად, ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას კონკრეტულად სახელმწიფო რეგულირებას საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციისათვის, რადგან სახელმწიფო რეგულირება ზოგ შემთხვევაში შეიძლება საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას ეწინააღმდეგებოდეს კიდეც.

საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენი აზრით, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის დერეგულირება ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს, რადგან დერეგულირებასაც სახელმწიფო არეგულირებს.

ამასთან, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის დერეგულირებამ გარკვეულ კონკრეტულ პირობებში შეიძლება ხელი შეუწყოს საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებას და მისი სოციალური ორიენტაციის პრაქტიკულ რეალიზაციას.

რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკურ ნიშნებს, ჩვენი ღრმა რწმენით, მათი განსაზღვრა უნდა გამომდინარეობდეს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის განმსაზღვრელი სპეციფიკური ნიშნების არსი ისაა, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა არის ისეთი საბაზრო ეკონომიკური სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია, ერთი მხრივ, წმინდა ეკონომიკური მიმართულება, ანუ მაქსიმალური მოგების მიღებისაკენ სწრაფვა, ხოლო, მეორე მხრივ, სოციალური ორიენტაცია, ანუ ორიენტაცია ადამიანის – ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე.

რაც შეეხება პროფესორ რევაზ გოგოხიას საფუძვლიან მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა„... არის შერეული ეკონომიკური სისტემის ბირთვი, და არა დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი ეკონომიკური სისტემა“ [3, გვ. 110], ჩვენ მას უდავოდ ვეთანხმებით.

ამასთან ერთად, მიგვაჩნია, რომ, თუმცა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა ნამდვილად არ არის შერეული ეკონომიკისაგან იზოლირებული საბაზრო ეკონომიკური სისტემა, და რომ

საერთოდ „საბაზრო ეკონომიკა დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემა არ არის“ [2, გვ. 12], მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც შეიძლება მსჯელობა სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე, როგორც სპეციფიკურ საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე, რათა ამით გამოიკვეთოს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკური თავისებურებანი (სპეციფიკური ნიშნები), რომლებიც განსხვავდება როგორც საბაზრო ეკონომიკისაგან საერთოდ, ისე შერეული ეკონომიკური სისტემისაგან.

მით უმეტეს, რომ შერეული ეკონომიკა გულისხმობს სხვადასხვა საშუალებების – სხვადასხვა საკუთრების ფორმებისა და მართვის მეთოდების – გამოყენებას, ანუ შერეული ეკონომიკის არსებობის კრიტერიუმია საკუთრების სხვადასხვა ფორმების და მართვის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება, ხოლო სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის კრიტერიუმია საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ შერეული ეკონომიკა თავისთავად არ ნიშნავს მის სოციალურ ორიენტაციას.

შერეული ეკონომიკა წარმოადგენს „ეკონომიკური სივრცის სტრუქტურას, რომლის დროსაც კერძო სისტემა იმართება საბაზრო მეურნეობით, ხოლო საზოგადოებრივი ინსტიტუტები და მთავრობა, ეყრდნობიან რა საბაზრო მექანიზმებს, ზემოქმედებენ ეკონომიკაზე დირექტივებისა და საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით“ [5, გვ. 833], ანუ შერეული ეკონომიკის თეორია – ეს არის „კონცეფცია, რომლის თანახმად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა სახელმწიფოს სამეურნეო საქმიანობის მასშტაბების ზრდის შედეგად გადაიქცა კერძო მეწარმეობის სისტემიდან ე. წ. შერეული ეკონომიკის სისტემად, რომელიც შედგება კერძო და სახელმწიფოებრივი სექტორისაგან და რომლებიც ურთიერთავსებენ ერთმანეთს“ [1, გვ. 164].

პოლ ა. სამუელსონისა და ვილიამ დ. ნორდჰაუსის სიტყვებით რომ ვთქვათ, შერეული ეკონომიკა – ეს არის „ეკონომიკა ბაზრისა და მართვის მბრძანებლური ფორმის ელემენტებით“ [7, გვ. 50].

ამრიგად, შერეული ეკონომიკა თავისთავად არ არის მისი რომელიმე ორიენტაციის მაჩვენებელი, რადგან შერეული ეკონომიკა – ეს არის „ეკონომიკა, რომელშიც საქონლისა და მომსახურების ნაწილი იწარმოება სახელმწიფოს მიერ, ხოლო მეორე ნაწილი – კერძო მეწარმეების მიერ. შერეულ ეკონომიკას უჭირავს შუალედური მდგომარეობა

მბრძანებლურ ეკონომიკასა და მთლიანად კონკურენტულ ეკონომიკას შორის. რეალურ ცხოვრებაში ეროვნულ მეურნეობათა უმრავლესობა წარმოადგენს შერეულ ეკონომიკას“ [4, გვ. 414].

მაშასადამე, შერეული ეკონომიკა შეიძლება იყოს, ან არ იყოს სოციალურად ორიენტირებული, რაც დამოკიდებულია სახელმწიფოს კონკრეტულ პოლიტიკაზე და, შესაბამისად, სამართლებრივი ფაქტორის გამოყენებაზე.

ამიტომ, შერეული ეკონომიკა, როგორც უკვე აღინიშნა, თავისთავად არ ნიშნავს მის სოციალურ ორიენტაციას.

თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ პროფესორ რ. გოგოხიას სამართლიანი მტკიცებით, განვითარებული ქვეყნები შერეული ეკონომიკური სისტემის სამყაროს წარმოადგენენ [2, გვ. 9-24], და იმ ფაქტსაც თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ამ ქვეყნებში ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია, ანუ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ „განვითარებული ქვეყნების თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური სისტემის არსი შეიძლება განისაზღვროს, როგორც სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკური სისტემა“ [2, გვ. 9], მაშინ მივდივართ იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ შერეული ეკონომიკა, ფაქტობრივად, ნამდვილად წარმოადგენს სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, თეორიულად, ჩვენი აზრით, შერეული ეკონომიკა თავისთავად მაინც არ ნიშნავს სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას, რადგან სახელმწიფო ხელისუფლებამ შერეული ეკონომიკის ფუნქციონირება შეიძლება წარმართოს როგორც სოციალური, ისე ანტისოციალური მიმართულებით.

ყოველივე ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სრულიად კანონზომიერია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა განიხილებოდეს, როგორც საბაზრო ეკონომიკური სისტემა, რომელსაც თავისი სპეციფიკური ნიშნები გააჩნია.

რაც შეეხება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკურ ნიშნებს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ისინი გამომდინარეობს უშუალოდ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსიდან. თუმცა, ამავე დროს, ეს სპეციფიკური ნიშნები ერთობლიობაში გამოხატავს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო

ეკონომიკის არსს და მის განსხვავებას როგორც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისაგან, ისე ჩვეულებრივ რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკისაგან.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე აღინიშნოს, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკური ნიშნები, ამავე დროს, არის მისი ძირითადი ნიშნები, რადგან ეს ნიშნები ასახავს და გამოხატავს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითად მიმართულებებს.

ამასთან ერთად ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ნიშნები სხვაგვარად განიხილება, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკური და, ამავე დროს, ძირითადი ნიშნების ჩვენეული გაგება ამ ტიპის ეკონომიკის არსის ჩვენეული ახსნიდან გამომდინარეობს.

კერძოდ, „სოციალურად ორიენტირებული შერეული ეკონომიკის ძირითად ნიშნებს, – როგორც ეკონომიკური თეორიის კურსის ავტორები აღნიშნავენ, – წარმოადგენს სოციალური მდგრადობა და საზოგადოების მოქალაქეთა მდგომარეობის სტაბილურობა კეთილდღეობის ზრდასთან ერთად“ [6, გვ. 594].

მაშასადამე, თუმცა ზემოაღნიშნულ ციტატაში მოყვანილი სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ნიშნები ყურადღებას იმსახურებს, რადგან აქ აქცენტი გაკეთებულია საზოგადოების მოქალაქეთა კეთილდღეობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკვეთილი არ არის სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი განმასხვავებელი კრიტერიუმი, რომელიც გამოიხატება ხალხის ცხოვრების დონის მაღალ ხარისხში, აგრეთვე არ არის გამოკვეთილი სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკური (ძირითადი) ნიშნები, რომლებიც გამომდინარეობს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსის ჩვენეული გაგებიდან და რომელთა ეფექტიანი გამოყენების გარეშე თანამედროვე მსოფლიოში სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი წარმოუდგენელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონი.** რედაქტორი: ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი რ. მითაიშვილი. შემდგენლები: ეკ. მეცნ. დოქ-ტორი, პროფ. რ. მითაიშვილი, ეკ. მეცნ. კანდ. ე. კვიტაშვილი და ეკ. მეცნ. კანდ., დოც. ლ. გრიგოლია. თბილისი: მარკეტინგული მომსახუ-რების ცენტრი „ბიჯი“, 1991.

2. **გოგოხია რ.** შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გა-მომცემლობა, 2004.

3. **გოგოხია რ.** შერეული ეკონომიკური სისტემის საკითხისათვის მსოფლიო გლობალური ეკონომიკის ფორმირების პროცესში. საქართ-ველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. ტომი II. თბილი-სი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2001.

4. **Бизнес:** Оксфордский толковый словарь: Англо-русский: Свыше 4000 понятий. М., Издательство "Прогресс-Академия", Издательство РГТУ, 1995.

5. **Большой экономический словарь** /Под ред. А. Н. Азрилияна. – 3-е изд. стереотип. М., Институт новой экономики, 1998.

6. **Курс экономической теории.** Общие основы экономической теории, микроэкономика, макроэкономика, переходная экономика: Учебное пособие / Руководитель авторского коллектива и научный редактор профессор А. В. Сидо-рович. – М., МГУ им. М. В. Ломоносова, Издательство "ДИС", 1997.

7. **Самуэльсон Поль А., Нордхаус Вильям Д.** Экономика: Пер. с анг. – М., "Бином", "Лаборатория базовых знаний", 1997.

8. **Хорвард К., Журавлева Г., Эриашвили Н.** Экономическая теория: Учебник для вузов. – М., Банки и биржи, ЮНИТИ, 1997.

9. **Эрхард Л.** Полвека размышлений: Речи и статьи. – М., Руссико: Ор-дынка, 1993.

Kuratashvili Anzor

PRINCIPLE PECULIARITIES OF SOCIALLY ORIENTED MARKET ECONOMY

SUMMARY

The scientific work discusses principle peculiarities of socially oriented market economy.

According to the author's affirmation the determination of principal peculiarities i. e. specific characteristics of socially oriented market economy must be the result of the essence of socially oriented market economy exposed by the author himself.

The author analyses and offers qualitatively new essence of socially oriented market economy and proves that simultaneous existence of economic aim of market economy and its social orientation is the essence of socially oriented market economy.

Proceeding from the above said specific character of socially oriented market economy means that socially oriented market economy is such a system of market economy which is characterized by purely economic orientation on the one hand and social orientation on the other hand.

ალფრედ კურატაშვილი

ეკონომიკური სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები პოსტსაბჭოურ პერიოდში

ეკონომიკური სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებების შემუშავება საზოგადოებისა და სახელმწიფოს პროგრესული განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ამასთან, აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა პოსტსაბჭოურ პერიოდში ურთულესი პრობლემაა, რადგან ფსევდოსოციალიზმის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ნგრევის შედეგად აუცილებელი გახდა თვისებრივად ახალი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირება.

ეკონომიკური სისტემის განხილვისას, ცნობილი ამერიკელი მეცნიერები კ. მაკკონელი და ს. ბრიუ აღნიშნავენ, რომ არსებობდა წმინდა კაპიტალიზმი, რომლის ალტერნატივას წარმოადგენს მბრძანებლური ეკონომიკა, მისთვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი საკუთრება პრაქტიკულად ყველა მატერიალურ რესურსზე [4, გვ. 47]... „რეალურ სინამდვილეში, ამბობენ ისინი, ეკონომიკური სისტემები განლაგებულია

სადღაც წმინდა კაპიტალიზმისა და მბრძანებლური ეკონომიკის უკიდურესობებს შორის“ [4, გვ. 48].

ამრიგად, ცნობილი ამერიკელი მეცნიერები, და არა მარტო ისინი, ეკონომიკურ სისტემებს განასხვავებენ საკუთრების ფორმებით, მართვის მეთოდებით და ა. შ., ანუ ისინი ამ სისტემებს შორის ძირითად განსხვავებას ფაქტობრივად საშუალებებში ხედავენ, რაც მცდარი მიდგომაა, რადგან ეკონომიკური სისტემების განსხვავების მთავარ კრიტერიუმს უნდა წარმოადგენდეს არა საშუალებები, არამედ მიზანი, რომელსაც ეს სისტემები ემსახურება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებების შემუშავება უნდა განიხილებოდეს როგორც საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის განვითარების სტრატეგიული მიზნობრივი მიმართულების შემადგენელი ნაწილი, რომელიც კანონზომიერად უნდა წავიდეს ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების მშენებლობისაკენ, რასაც, განმსაზღვრელი ტენდენციის სახით, ადგილი აქვს თანამედროვე მსოფლიოში.

ამრიგად, მსოფლიო განვითარება ობიექტურად მიდის ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით.

ამასთან, ჩემი აზრით, არსებობს ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის სამი გზა, და, შესაბამისად, არსებობს ხალხის ინტერესების უზენაესობის პრაქტიკული რეალიზაციისა და დამკვიდრების სამი გზა [1, გვ. 182-192], რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს ეკონომიკური სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები.

ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის პირველი და, ამასთანავე, ყველაზე უფრო მოკლე გზა – ეს არის ადმინისტრაციული სოციალიზმის (როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ, და რომელშიც იგულისხმება სტალინური ტიპის სოციალიზმი), ევოლუციური თავისი ფორმით, მაგრამ რევოლუციური თავისი შინაარსით, განვითარების გზა ამ მიმართულებით.

ადმინისტრაციული სოციალიზმის სწორი გზით – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით განვითარების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ჩინეთი, რომელსაც, არცთუ იშვიათად, შეცდომით თვლიან პოსტკომუნისტურ კაპიტალის-

ტურ სახელმწიფოდ. თუმცა ჩინეთში, ჩემი აზრით, არავითარი კაპიტალიზმი და სოციოკაპიტალიზმიც კი არ არის.

ჩინეთის მოღვაწეობის ასეთი შეფასების მცდარობა ზოგიერთი მეცნიერისა და პოლიტიკოსის მხრიდან გამოწვეულია იმით, რომ ამ შეფასებათა ავტორები, რადგან თავს ანტიმარქსისტებად თვლიან, ფაქტობრივად, ცნობიერად ან ქვეცნობიერად, მარქსიზმის ტყვეობაში იმყოფებიან, რის შედეგადაც სახელმწიფოში კერძო საკუთრებისა და საბაზრო ურთიერთობების არსებობას კაპიტალიზმთან აიგივებენ.

კერძოდ ჩინეთში, კერძო საკუთრების და საბაზრო ურთიერთობების არსებობა ამ მეცნიერთა და პოლიტიკოსთათვის ამ სახელმწიფოს კაპიტალისტურობის კრიტერიუმს წარმოადგენს (?!).

სინამდვილეში კი, ჩვენი აზრით, საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემები მიზნის ფილოსოფიის და სოციალურ-ეკონომიკური კანონების თეორიის შესაბამისად, ერთმანეთისაგან განსხვავდება არა მათში საკუთრების ამა თუ იმ ფორმის არსებობით ან არარსებობით, არა საბაზრო ურთიერთობების არსებობით ან არარსებობით და ა. შ., ანუ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება არა საშუალებებით, არამედ ამ სისტემების შინაგანი მიზნობრივი მიმართულებით – მიზნით, რომელსაც ისინი ემსახურება.

მაშასადამე, კაპიტალისტურობის კრიტერიუმს წარმოადგენს არა კერძო საკუთრებისა და საბაზრო ურთიერთობების არსებობა, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების ეკონომიკური მიზნობრივი მიმართულება – ფულის, ბაზრის, კაპიტალის ბატონობა საზოგადოებასა და სახელმწიფოში, ისევე, როგორც ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობისა და ფუნქციონირების კრიტერიუმს წარმოადგენს არა კერძო საკუთრებისა და საბაზრო ურთიერთობების არარსებობა, არამედ ამ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების სოციალური მიზნობრივი მიმართულება – ხალხის ინტერესების უზენაესობა და მისი პრაქტიკული რეალიზაცია.

ამრიგად, სახელმწიფოს, რომელიც მიდის ადმინისტრაციული სოციალიზმიდან (მაგრამ, რომელიც არ გადავარდა კონტრრევოლუციური გზით უკან ველური, მძარცველური, კრიმინალური კაპიტალიზმისაკენ, ზოგიერთი ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოს მსგავსად, რომლებიც ამის შედეგად განვითარებული ქვეყნებიდან გადაიქცნენ განუვითარებელ ან განვითარებად ქვეყნებად, რომლებიც მრავალი ათეული

წლით ჩამორჩნენ განვითარების იმ დონესაც კი, რომელზეც ისინი ადრე იმყოფებოდნენ) ხალხის ინტერესების რეალიზაციის გზით, ამასთან, კერძო საკუთრების, საბაზრო ურთიერთობების და ა. შ. ეფექტიანი გამოყენებით, არანაირად არ შეიძლება ეწოდებოდეს კაპიტალისტური სახელმწიფო ან თუნდაც სოციოკაპიტალიზმი, რადგან ეს არის სოციალურად გამიზნული სახელმწიფო, რომელიც მიდის ადმინისტრაციული სოციალიზმიდან უშუალოდ ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით.

ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის მეორე და, ამასთანავე, ბევრად უფრო გრძელი, მაგრამ ბუნებრივი, ევოლუციური გზა – ეს არის გზა კლასიკური კაპიტალიზმიდან სოციოკაპიტალიზმისაკენ [2] და იქიდან ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ, რადგან სოციოკაპიტალიზმი წარმოადგენს შუალედურ რგოლს კაპიტალიზმიდან ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისაკენ მიმავალ გზაზე. ე. ი. სოციოკაპიტალიზმი – ეს არის ჯერ კიდევ კაპიტალიზმი, მაგრამ, ამასთან ერთად, ეს არის უკვე თვისებრივად ახალი კაპიტალიზმი, რომელიც წავიდა კაპიტალიზმიდან ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით.

სწორედ ამ გზით მიდიან მთელი მსოფლიოს თანამედროვე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებიც ამჟამად თავის განვითარებაში სოციოკაპიტალიზმის სტადიაზე იმყოფებიან.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ კიდევაც რომ არ არსებულიყო სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმი (რადგანაც მარქსისტული და ლენინური სოციალიზმი – როგორც კერძო საკუთრების, ისე საბაზრო ურთიერთობების ლიკვიდაციით, ფულის, შრომის პროდუქტების გაცვლის ლიკვიდაციით და ა. შ. – არასოდეს არსად არ არსებობდა და არც შეიძლებოდა ეარსება, რადგან ეს აშკარა უტოპიაა), კიდევაც რომ არ არსებულიყო მსოფლიო სოციალისტური სისტემა, კაპიტალიზმი მაინც განვითარდებოდა სოციოკაპიტალიზმის გზით და სოციოკაპიტალიზმიდან ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით, რადგან ეს, ჩემი აზრით, არის მსოფლიო განვითარების ბუნებრივი და კანონზომიერი პროცესი.

ამასთანავე, რომ არ არსებულიყო სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმი, კაპიტალისტური ქვეყნები, სოციოკაპიტალიზმის მშენებ-

ლობის გზით და იქიდან ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით, ბევრად უფრო ნელი ტემპებით განვითარდებოდა, რადგან სტალინურ ადმინისტრაციულ სოციალიზმს, მიუხედავად მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებისა, აშკარად ჰქონდა დადებითი გავლენა კაპიტალიზმის დაჩქარებულ განვითარებაზე სოციოკაპიტალიზმისაკენ და მისგან ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისაკენ, რადგან კაპიტალისტური ქვეყნები რომ არ წასულიყვნენ სოციალური ორიენტაციის გზით, მაშინ იქაც მოხდებოდა სოციალისტური რევოლუციები სათანადო შედეგებით კაპიტალისტებისთვის (?!).

რაც შეეხება მესამე გზას, ვფიქრობ, ეს არის ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისაკენ მოძრაობის მახინჯი გზა, რადგან ეს არ არის ადმინისტრაციული სოციალიზმის მოძრაობის გზა წინ, უშუალოდ ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ.

მესამე გზა – ეს არ არის აგრეთვე გზა კლასიკური კაპიტალიზმის მოძრაობისა წინ სოციოკაპიტალიზმისაკენ და იქიდან ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ.

სხვა ნორმალური გზა კი ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ არ არსებობს.

ამიტომ, მესამე გზა – ეს არის მახინჯი, სიღრმისეულად მცდარი გზა ადმინისტრაციული სოციალიზმის კონტრრევოლუციური მოძრაობისა უკან ველური, მძარცველური, კრიმინალური კაპიტალიზმისაკენ, რომელსაც თან სდევს ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ინტერესების კლასიკური კაპიტალიზმისათვისაც კი გაუგონარი შელახვა, რომელსაც თან სდევს ხალხის ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური გენოციდი და მისი დამონება.

მაგრამ ეს არის გზა, რომელსაც მისი მომხრეები რატომღაც უწოდებენ „მოძრაობას წინ“ (?!).

თუმცა ზოგიერთისთვის, კერძოდ კი მათთვის, ვინც ისარგებლა ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა სფეროს ნგრევის პროცესებით და გამდიდრდა ხალხის ძარცვის ხარჯზე – ეს ნამდვილად არის მოძრაობა წინ (?!). და ასეთი პირობები მათთვის სავსებით ხელსაყრელია, რადგან, როგორც ცნობილია: „მღვრიე წყალში თევზს კარგად იჭერენ“ (?!).

ამასთან, მესამე გზა – ეს არ არის უბრალოდ გზა ადმინისტრაციული სოციალიზმის მოძრაობისა უკან მხოლოდ ადრე ცნო-

ბილი ჩვეულებრივი ველური, მძარცველური, კრიმინალური კაპიტალიზმისაკენ, არამედ ეს არის მოძრაობა უკან ისეთი კაპიტალიზმისაკენ, რომელშიც გაჩნდა აგრეთვე ხალხის დამონების სრულიად ახალი ფორმები და მეთოდები, რომლებიც დაიბადა აღნიშნული კაპიტალიზმის პირობებში ფსევდოსოციალიზმის ნიადაგზე.

აღსანიშნავია, რომ ფსევდოსოციალიზმი (როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ) გაჩნდა სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმის შემდეგ. უფრო ზუსტად კი, სტალინური ადმინისტრაციული სოციალიზმი შემდგომში (ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ) გადაიზარდა ფსევდოსოციალიზმში სახელმწიფოში სათანადო დონის ლიდერის არარსებობის და სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის სათანადო დონის არარსებობის გამო.

აუცილებელია აგრეთვე გამახვილდეს ყურადღება იმაზე, რომ მესამე გზა – ეს არის ახალი გზა, რომელიც დაიბადა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში, როდესაც თითქოსდა ხალხის ინტერესებისათვის სოციალიზმის „პერესტროიკის“ (გარდაქმნის) ლოზუნგით და ე.წ. დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელების ლოზუნგით მოხდა კონტრრევოლუცია, რომლის შედეგად საბჭოთა კავშირის ყოფილმა რესპუბლიკებმა თუმცა კი მიიღეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რაც საერთოდ ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ აღმოჩნდნენ ველური, მძარცველური, კრიმინალური კაპიტალიზმის პირობებში.

ამრიგად, ადმინისტრაციული სოციალიზმის (რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლამდე დიდი ხნით ადრე გადაიქცა ფსევდოსოციალიზმად) ჭეშმარიტად ადამიანურ საზოგადოებად რევოლუციური გარდაქმნის ნაცვლად, რომლის მშენებლობის გზითაც შეიძლებოდა წასულიყვნენ საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკები – როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები, მოხდა კონტრრევოლუცია ხალხისათვის შესაბამისი ნეგატიური შედეგებით, რაც აშკარად სახეზეა (?!).

თუმცა საერთოდ კონტრრევოლუცია, ისევე, როგორც რევოლუცია, ჩემი ღრმა რწმენით, შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი მოვლენა იმის მიხედვით, თუ ვის ან რას ემსახურება ის და როგორ შედეგებამდე მივყავართ მას.

მაგრამ, თუ რევოლუცია არ ამართლებს ხალხის იმედებს, კონტრრევოლუციური გზით უკან დაბრუნების ნაცვლად ახალი რევოლუციური გზით წინსვლა ბევრად უფრო გამართლებულად მიგვაჩნია,

რადგანაც ყოველი ახალი მოძრაობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაში უნდა იყოს მოძრაობა წინ, და არა მოძრაობა უკან.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ მესამე გზა იწყება ადმინისტრაციული სოციალიზმის დაბრუნებით უკან ველური, მძარცველური, კრიმინალური კაპიტალიზმისაკენ, რაც არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს დადებით მოვლენად, – ეს, საბოლოო ჯამში, მაინც არის გზა (მაგრამ გრძელი შემოვლითი გზა), რომელსაც ლოგიკური აუცილებლობით უნდა მოჰყვეს ახალი რევოლუციური გარდაქმნები, რაც, თავის მხრივ, წაგვიყვანს ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისაკენ.

მაშასადამე, მესამე გზა – ეს არის ხელოვნურად გაგრძელებული და ხალხისათვის უმძიმესი გზა ადმინისტრაციული სოციალიზმიდან ყველაზე პროგრესული საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემისაკენ – ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ, რადგან მესამე გზა იწყება საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოძრაობით უკან, რომელსაც თან სდევს ხალხისათვის დიდი მატერიალური და მორალური დანაკარგები. მხოლოდ ამ სტადიიდან, ხალხის მრავალი წლის უმძიმესი ცხოვრების შემდეგ, დაიწყება ჯერ კიდევ იმ კაპიტალიზმის მშენებლობა, რომლიდან გაქცევითაც უშველა თავს თანამედროვე განვითარებულმა კაპიტალიზმმა.

კაპიტალიზმის განვითარების გარკვეული დონიდან კი დაიწყება სოციოკაპიტალიზმის მშენებლობა, რომელიც შორეულ მომავალში გადაიზრდება ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობაში.

თუმცა, სახელმწიფო ხელისუფლებაში სათანადო დონის ლიდერის, სათანადო ინტელექტუალური ბაზის, შემოქმედებითი აზროვნების და სათანადო ორგანიზატორული უნარის მქონე პატიოსანი ადამიანების არსებობის პირობებში, რომლებიც თავისი ქვეყნის პატრიოტები და ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლნი იქნებოდნენ, მესამე გზა ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ უკვე ზედმეტი იქნებოდა.

ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სოციალიზმს შეეძლო წასულიყო არა უკან, ნგრევისა და ხალხის ძარცვის გზით, არამედ შეეძლო ემოძრავა წინ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს რევოლუციური გარდაქმნების გზით, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობისაკენ, მართვის ნებისმიერი

ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით, რომლებიც იქნებოდა ადამიანის ინტერესების სამსახურში და რომლებიც გამორიცხავდა ანტისოციალურ, ანტიჰუმანურ, ანტიზნეობრივ მოვლენებს [1].

ამრიგად, ადმინისტრაციულ სოციალიზმს შეეძლო გამოეყენებინა მისთვის ოპტიმალური პირველი გზა მოძრაობისა წინ – უშუალოდ ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოსაკენ.

მიუხედავად ყოველივე ზემოადნიშნულისა, ეკონომიკური სისტემის სრულყოფა პოსტსაბჭოურ პერიოდში უნდა მოხდეს თვისებრივად ახალი მიმართულებით – უშუალოდ ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის გზით სათანადო პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმების შექმნის საფუძველზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ალფრედ კურატაშვილი**. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. პრინციპულად ახალი მეცნიერული მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჭეშმარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაქმნადი თეორია (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2003.

2. **Кураташвили Альфред А**. Новый методологический подход в исследовании проблем и преподавании общественных наук. Материалы научно-методической конференции: "Проблемы совершенствования исследований и преподавания в общественных науках" (15 марта 1990 г.). Тбилиси, "Мецниереба", 1990.

3. **Кураташвили Альфред А.** Философско-политэкономические миниатюры. Материалы Республиканской научной конференции: "Актуальные проблемы… теории" (15-16 мая 1980 г.). Тбилиси, "Мецниереба", с. 93, 1980.

4. **Макконнелл К. Р., Брю С. Л**. Экономикс: Принципы, проблемы и политика. В 2 т., Пер. с англ. 11-го изд. Т. 1 – М., Республика, 1992.

Kuratashvili Alfred

BASIC DIRECTIONS OF ECONOMIC SYSTEM PERFECTION IN THE POST-SOVIET PERIOD

SUMMARY

The scientific work considers the problems of economic system perfection and basic directions of solution of these problems.

Besides, elaboration of basic directions of economic system perfection is considered as a constituent part of strategic direction of development of political system.

The work considers the ways of building of the true human society elaborated by the author, which represent a reference point of solution of problems of economic system perfection.

The first and at the same time the shortest way of construction of the true human society and state – this is the way of evolutionary by its form, but revolutionary by its content development of the Administrative socialism (as I call it and in which the socialism of the Stalin type is implied) towards this direction.

The second and at the same time the longest, but natural, evolutionary way of construction of the true human society and state – is the way from the classical capitalism towards the sociocapitalizm and through it towards the true human society and state.

The third way – is the abnormal, profoundly erroneous way of the Administrative socialism's counter-revolutionary movement back to the wild, gangster, criminal capitalism that is accompanied by unprecedented even for the classical capitalism infringement of rights, freedoms and interests of a person and that is accompanied by the economic and moral-psychological genocide of people and their enslavement.

At the same time, despite the fact that the third way begins from the return of the Administrative socialism back to the wild, gangster, criminal capitalism that in no way can be considered as a positive phenomenon, – this, in the final analysis, is still the way (but a long roundabout way), which with the logical necessity should be followed by new revolutionary transformations that, on their part, will lead to the true human society.

ანზორ კურატაშვილი

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობები და ინსტიტუციონალიზმი

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამართლებრივი ფაქტორი, რადგან, სათანადო იურიდიული ბაზის შექმნისა და ეფექტიანი გამოყენების გარეშე, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მთავარი მიზნის – ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძველზე ხალხის ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის პრაქტიკული რეალიზაცია შეუძლებელია.

ამრიგად, სამართლებრივი ფაქტორის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება იმასთან დაკავშირებით, რომ, ჯერ ერთი, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში, ფაქტობრივად, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ფუნქციონირების თვისებრივად ახალი საბაზრო მექანიზმები იქმნება, რასაც წინ უნდა უსწრებდეს სათანადო სამართლებრივი საფუძვლების შექმნა და, მეორეც, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი ფაქტორის მიზანდასახული და ეფექტიანი გამოყენების მეშვეობით, რის გარეშეც თავისთავად საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია განუხორციელებადია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმების მეშვეობით საბაზრო ურთიერთობების მიზანდასახული გამოყენება ამ ურთიერთობების სოციალური ორიენტაციისა და საზოგადოების ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქ ის ფაქტი იმსახურებს, რომ საბაზრო ურთიერთობების ფორმირების მამოძრავებელ მიზანს წარმოადგენს მოგება – მაქსიმალური მოგების მიღება, რაც საბაზრო ეკონომიკის მკვეთრად გამოხატულ ეკონომიკურ ორიენტაციაზე მიუთითებს.

სწორედ ზემოაღნიშნულით არის განპირობებული სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკური მიმართულება. კერძოდ, მაგალითად, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად: „სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც

ხორციელდება მოგების მიზნით...“ [2, გვ. 3], რაც შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის შინაგან ბუნებას.

აქ ის გარემოებაც იმსახურებს ყურადღებას, რომ საბაზრო ეკონომიკის მომგებიანი ფუნქციონირების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია მისი სოციალური ორიენტაცია.

მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღებას ვამახვილებთ ობიექტურ წინააღმდეგობაზე საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის.

ამასთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე იმაზე, რომ მომგებიანი ეკონომიკა თავისთავად არ ნიშნავს მის სოციალურ ორიენტაციას, და რომ მხოლოდ სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების საშუალებით არის შესაძლებელი ამ წინააღმდეგობის და, საერთოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობების დაძლევა და ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება.

მაშასადამე, მსჯელობაა არა იმაზე, რომ მხოლოდ მომგებიანი საბაზრო ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი, საბოლოო ჯამში, მისი სოციალური ორიენტაცია, რაც, ამ შემთხვევაში, სოციალური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას გულისხმობს, არამედ მსჯელობაა იმაზე, რომ საბაზრო ეკონომიკის შინაგანი ეკონომიკური მიმართულება, მისი შინაგანი ეკონომიკური მიზანი არ შეიძლება არ იყოს წინააღმდეგობაში მის სოციალურ ორიენტაციასთან.

ცხადია, მომგებიანი ეკონომიკის გამოყენება შეიძლება სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, მაგრამ ეკონომიკის შინაგანი მიმართულება ეკონომიკური მიზნის რეალიზაციაზე და, შესაბამისად, მოგების გამოცხადება ეკონომიკის მამოძრავებელ მიზნად, აშკარად ეწინააღმდეგება საბაზრო ეკონომიკის რეალურ სოციალურ ორიენტაციას, რადგან საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური შედეგები ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის აუცილებელ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს და არა თვითმიზანს.

ამრიგად, რეალურად სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას სწორედ ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია უნდა წარმოადგენდეს, რაც სულაც არ ამცირებს საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკური შედეგების მნიშვნელობას, რომლებიც, რო-

გორც უკვე აღინიშნა, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის რეალიზაციაზე უნდა იყოს გამიზნული.

სამართლებრივი ფაქტორის, როგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევის საშუალების მნიშვნელობას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ძირითადი წინააღმდეგობის დაძლევაში.

კერძოდ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობის დაძლევა – წინააღმდეგობისა აღნიშნული საბაზრო ეკონომიკური სისტემის ეკონომიკურ მიზანსა და მის სოციალურ ორიენტაციას შორის – შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების საშუალებით.

ამასთან ერთად, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის სხვა წინააღმდეგობების დაძლევა, ანუ იმ წინააღმდეგობების, რომლებიც ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის ძირითადი წინააღმდეგობიდან გამომდინარეობს, შესაძლებელია აგრეთვე სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენებით, რადგან სამართლებრივი ფაქტორი წარმოადგენს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევის აუცილებელ საშუალებას.

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობებთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ, ერთი მხრივ, საბაზრო ურთიერთობების ეფექტიანი გამოყენების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მათი თავისუფალი ფუნქციონირება, მაგრამ, მეორე მხრივ, საბაზრო ურთიერთობების თავისუფალი ფუნქციონირება, ფაქტობრივად, თითქმის გამორიცხავს საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას და ამით წინააღმდეგობაში მოდის მის რეალურ სოციალურ ორიენტაციასთან.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია, ამ ეკონომიკური სისტემის თავისუფალ ფუნქციონირებასთან ერთად, მოითხოვს საბაზრო ურთიერთობების შესაბამის რეგულირებას, თუმცა გონივრული ადგილობრივი ინიციატივისა და შემოქმედების შეზღუდვის გარეშე, რადგან „სოციალურობას, – როგორც პროფესორი რ. გოგოხია აღნიშნავს, – ის (საბაზრო ეკონომიკა – ა. კ.) როგორც შერეული ეკონომიკური სისტემის ბირთვი, იძენს სახელმწიფოებრივი რეგულირების მეშვეობით“ [1, გვ. 12].

ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება და მისი სოციალური ორიენტაცია წარმოუდგენელია სამართლებრივი ფაქტორის ეფექტიანი გამოყენების გარეშე, კიდევ ერთხელ აშკარა ხდება სამართლებრივი ფაქტორის, როგორც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევის აუცილებელი საშუალების მნიშვნელობა.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და ერთდროულად მისი სოციალური ორიენტაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს თავისუფლად ფუნქციონირებადი საბაზრო ურთიერთობებისა და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ოპტიმალური შეხამება შესაბამისი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმებისა და, აგრეთვე, სათანადო ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით, რომელთა შორის სამართლებრივი ფაქტორი საბაზრო ეკონომიკის თავისუფალ ფუნქციონირებასა და სახელმწიფოს მარეგულირებელ როლს შორის არსებული წინააღმდეგობების დაძლევის აუცილებელი საშუალებაა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ანუ სამართლებრივი ფაქტორის სათანადო გამოყენების გარეშე, საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაცია შეუძლებელი იქნება.

ზემოაღნიშნული წინააღმდეგობა, საბაზრო ურთიერთობების თავისუფლად ფუნქციონირების აუცილებლობასა და საბაზრო ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით, მისი სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობას შორის დაკავშირებულია სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითად წინააღმდეგობასთან. იგი გამომდინარეობს წინააღმდეგობიდან, ერთი მხრივ, საბაზრო ეკონომიკის ეკონომიკურ მიზანსა, რაც გამოიხატება მოგების მიღებისადმი სწრაფვაში, და, მეორე მხრივ, საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას შორის, რაც გულისხმობს ეკონომიკის მიმართულებას ხალხის ინტერესების რეალიზაციისათვის და რაც განხორციელებადია მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის პირობებში.

ამასთან, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობანი ობიექტურ ხასიათს ატარებს, რადგან ისინი მოქმედებენ ცალკეული ადამიანების ნებისა და სურვილისაგან დამოუკიდებლად, თუმცა აღნიშნული ობიექტური წინააღმდეგობების დაძლევა შესაძ-

ლებელია თვით ადამიანის – სუბიექტის მიერ სახელმწიფო დონეზე მიღებული სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების გამოყენებით.

რაც შეეხება ინსტიტუციონალიზმის როლს და მნიშვნელობას სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობათა დაძლევაში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების გამოყენება შეუძლებელია ინსტიტუციური მიდგომის გათვალისწინების გარეშე.

ამრიგად, ზემოაღნიშნული ადასტურებს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო სისტემის წინააღმდეგობათა დაძლევაში ინსტიტუციური მიდგომის გათვალისწინების აუცილებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **გოგოხია რ.** შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.
2. **საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ, სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ.** გამოცემულია 2005 წლის 20 სექტემბრის მდგომარეობით. თბილისი, გამომცემლობა „RISE“, 2005.

Kuratashvili Anzor

CONTRADICTIONS OF SOCIALLY ORIENTED MARKET ECONOMY AND THE INSTITUTIONALISM

SUMMARY

The scientific work deals with legal factor – as a necessary means of overcoming the contradictions of socially oriented market economy.

Special attention is paid to institutional approach in overcoming the mentioned contradictions because the use of legal and organizational mechanism confirms the necessity of taking into consideration an institutional approach in overcoming these contradictions.

As for specific contradictions of socially oriented market economy as the author confirms, the motivation of formation and functioning of market relation is profit – to get maximum profit, which shows a pronounced economic orientation of market economy.

In addition it should be taken into consideration that profitable economy itself does not mean its social orientation and that only owing to efficient use of legal factor it might be possible to overcome the contradictios of socially oriented market economy.

ზურაბ ნოზაძე

გარემოს დაცვის ეკონომიკური სტიმულირების ფორმები საბაზრო ურთიერთობების პირობებში

გარემო ბუნების დაცვაზე ორიენტირებულ საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში სხვა სახის ინტერესებთან ერთად, ჩადებულია გარემოს დაცვის ნებისმიერი სახეობის სტიმული, ხოლო ასეთი ურთიერთობების საფუძველზე შექმნილი ბაზარი კი შეიცავს როგორც თვით, ასევე ხელოვნური რეგულირებისათვის საჭირო ყველა ელემენტს [3].

გარემოს დაცვის ეკონომიკური სტიმულირება მწარმოებლებზე ზემოქმედების რამდენიმე ძირითად მიმართულებას გულისხმობს. მათ შორის პირველია სამრეწველო საწარმოების, ფირმების და სხვა ორგანიზაციების სტიმულირება ატმოსფეროში გამონაბოლქვების, ჩამდინარე წყლებისა და მყარი ნარჩენებისაგან გარემოს დაბინძურების შემცირებისათვის. ამ მიზნებით შეიძლება გადასახდელების, გადასახადებისა და ჯარიმების გამოყენება დაბინძურების დადგენილი ნორმატივების გადაჭარბებისა და საწარმოთა მუშაობის ნორმალური რიტმის დარღვევისათვის (იგულისხმება ზალპური გაჭუჭყიანება). ამოღების თანმიმდევრობა და გადასახდელების სიდიდეები დაბინძურებისათვის დგინდება ადგილობრივ და სახელმწიფო დონეზე.

დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გარემოზე ტექნოლოგიური ზემოქმედების მკაცრი ადმინისტრაციული ნორმირება ხორციელდება სტანდარტების დარღვევისათვის თანმიმდევრული დაჯარიმებით, რაც სწრაფად ამოწურავს ეკოლოგიური სიტუაციების გაუმჯობესების შესაძლებლობებს რეგიონში და მივყავართ ეკონომიკურ სტაგნაციამდე. ბუნების დაცვის რეგულირების მსოფლიო პრაქტიკა

გვთავაზობს ამ პრობლემის გადაწყვეტის ორ წესს, რომლებიც არ გამორიცხავს ერთმანეთს.

პირველი – წამახალისებელი ღონისძიებების განხორციელება (დოტაციები, სუბსიდიები საწარმოებისათვის, რომლებიც აბინძურებენ გარემოს, პრემიები ჩამდინარე დაბინძურებული წყლების დამატებით შემცირებისათვის, აგრეთვე ბუნების დაცვის ინვესტიციებზე სასაურავო შედავათები, შედავათიანი კრედიტები ბუნების დაცვის ობიექტის აღჭურვილობისათვის და სხვ.). ეს ეკონომიკური რეგულატორები შეიძლება იმყოფებოდნენ ადგილობრივი, სახელმწიფო და ნაწილობრივ, მართვის ცენტრალური ორგანოების კომპეტენციაში და ავსებდნენ ერთმანეთს (სახელმწიფო და ადგილობრივი კრედიტები, გადასახდელების შედავათები და სხვ.) [2].

მეორე – საწარმოებისა და მართვის ტერიტორიული ორგანოების ურთიერთზემოქმედებების მექანიზმის შეთავსება საწარმოების ერთმანეთთან ურთიერთქმედების მექანიზმთან – „გაჭუჭყიანების კვოტების ბაზარი“[1]. ამ კვოტების შესყიდვისა და გაყიდვის განხორციელებას დაბინძურების სხვადასხვა წყაროებსა და სხვა საზოგადოებრივ სტრუქტურებს შორის (მაგალითად, ეკოლოგიურ ფონდთან ანდა ბანკთან) განსაზღვრული კორექტივები შეაქვს საწარმოებიდან გადასახადებისა და ჯარიმების ამოღების თანმიმდევრობაში. ამჟამად ბუნების დაცვისათვის ადგენენ დაბინძურების ლიმიტებს, მაგრამ თუ საწარმომ კანონიერ საფუძველზე შეისყიდა დაბინძურებაზე დამატებითი კვოტები, მაშინ, ცხადია, დაბინძურების ადრე დადგენილ ლიმიტზე გადაჭარბება მისი დაჯარიმების საზღვრებში აღარ შევა. საჭიროა აღინიშნოს, რომ „გაჭუჭყიანების უფლებებით ვაჭრობის“ სისტემა შეიძლება ეფექტურად იქნეს გამოყენებული ახალი საწარმოების განლაგებისათვის ნებართვების გასაცემად ანდა იმ მოქმედი საწარმოების გაფართოებისათვის, რომლებიც ეკოლოგიურად დაძაბული პირობების მქონე ტერიტორიებს ფლობენ. იმ შემთხვევაში, როცა ამ სისტემის გამოყენება შესაძლებელია, ახალი საწარმოების განსათავსებლად საკმარისია, რომ, პირველ რიგში, ცალკეული, უკვე მოქმედი საწარმოები ანდა რეგიონული ეკოლოგიური ფონდი უნდა იყოს გარკვეული მოცულობის ნარჩენების გაყიდვის უნარის მქონე, ისე, რომ არ გადააჭარბოს რაიონისათვის დადგენილ ლიმიტს და მეორეც, ახალ საწარმოს შეეძლოს, შეისყიდოს (გამოისყიდოს). სხვა სიტყვებით, გარიგება უნდა იყოს „ეკოლოგიურად მომგებიანი“

(დასაშვები ეკოლოგიური კრიტერიუმებით) რაიონისა და მისი ყველა მონაწილისათვის.

წახალისების მეთოდების განვითარება და თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების (და არა კონფრონტაციის) ურთიერთობათა დამყარება მწარმოებლებსა და რეგიონულ სტრუქტურებს შორის დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის, რომლის ბევრმა რეგიონმა აუცილებლად და ერთდროულად უნდა გადაწყვიტოს გარემოს გაუმჯობესებისა და ეკონომიკური აქტივობის მხარდაჭერის პრობლემები.

„ბინძურ“ პროდუქტებზე სპეციალიზებული გადასახდელის შემოტანამ ან „სუფთა“ პროდუქციისათვის საბითუმო (შესასყიდ) ფასებზე დანამატმა, ანდა ამ ზომების შეთავსებამ, შეიძლება საწარმოს ინიციატივა გამოაჩენინოს „ეკოლოგიური“ სახის ტექნიკის, ნაწარმის, მასალების, კვების პროდუქტების წარმოებაზე. ეს გარემოს დაცვის მიზნით მწარმოებლებზე ზემოქმედების მეორე მიმართულებაა.

„ეკოლოგიურად სუფთა“ წარმოების საშუალებების შეძენის ხელმისაწვდომობა (რომელთა რეალიზაციაც შედარებით მაღალი ფასებით ხდება) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე ამ პროდუქციის მომხმარებლების სუბსიდირებისა და აკრედიტაციის გზით.

მესამე მიმართულებაა სტიმულირება საწარმოო ტექნოლოგიების უსაფრთხოების ამაღლებისათვის, ეკოლოგიურად საშიში დაწესებულებებისა და საწარმოების გატანა ან მათი პროფილის შეცვლა, რომლებიც ამაღლებული რისკის რაიონებში მდებარეობს (მაღალი კონცენტრაციის წარმოება, მოსახლეობის ექსტრემალური ბუნებრივი პირობები და სხვ.). ამ მიზნით გამოიყენება რეგიონული ეკოლოგიური რისკის მართვის მეთოდები. მათ რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, რისკის წყაროების დაზღვევა, ავარიის რისკის შემცირების პრემირება კოლექტივის მუშაკების საავარიო სიტუაციების აღმოსაფხვრელად, აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, სპეციალური რეგიონული გადასახადებისა და ჯარიმების დადგენა ეკოლოგიურად საშიში მოქმედებისათვის ცალკეულ რეგიონებში. ეკონომიკური სტიმულირების სისტემის დამუშავებისას პრინციპული მნიშვნელობა აქვს საკითხებს, საწარმოთა მოგებიდან მითითებული ანარიცხების აკუმულაციის ფორმების, მეთოდებისა და მათი გამოყენების მიმართულების შესახებ. გარემოს დაცვითი ღო-

ნისძიებების მყარი დაფინანსებისათვის მიზანშეწონილია, ეს საშუალებანი გავანაწილოთ ბიუჯეტს გარეთა მიზნობრივ რეგიონულ (ადგილობრივ) და ცენტრალურ ფონდებში.

რეგიონული ეკოლოგიური ფონდი შეიძლება შეივსოს შემოსავლების კიდევ სხვა წყაროებიდანაც. მაგალითად, ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა ნებაყოფლობითი შენატანები, ადგილობრივი „ეკოლოგიური“ სესხის განთავსება მოსახლეობას შორის და ა. შ. ფინანსური ნაკადის ლოგიკურ სქემას სამეურნეო და ტერიტორიულ სუბიექტებს შორის გარემოს დაცვის საკითხებზე, შემდეგი სახე აქვს: საწარმო გადარიცხავს საფასურს დაბინძურებაზე, ეკოლოგიურ გადასახდელსა და ჯარიმას და რეგიონულ ეკოლოგიურ ფონდში სადაზღვევო შესატანს მართვის ადგილობრივი ორგანოების მიერ დადგენილი ოდენობით. ამ ფონდიდან, თავის მხრივ, კეთდება ანარიცხები ფიქსირებული სიდიდით ზემდგომ (სახელმწიფო, სამხარეო) ფონდში, აგრეთვე, თუკი მისი აუცილებლობაა, ხორციელდება ანგარიშსწორებანი მეზობელი ტერიტორიების ანალოგიურ ფონდებთან ლამინირების გადატანის მოტივით (ასეთი მოტივით ანგარიშსწორებანი შეიძლება განახორციელოს აგრეთვე ზემდგომმა ფონდებმაც). ანარიცხების სიდიდე დგინდება ორივე დონეზე ფონდებს შორის დიალოგის შედეგად, კონკრეტული ეკოლოგიური და ეკონომიკური სიტუაციების გათვალისწინებით, მსხვილი რეგიონთაშორისი ღონისძიებების ჩატარების დროს. ზემდგომმა ფონდმა შეიძლება მოითხოვოს დამატებითი რესურსები ქვემდებარე ფონდებისაგან მხოლოდ ნებაყოფლობით საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმებით.

რეგიონული ეკოლოგიური ფონდების საშუალებები შეიძლება გამოყენებული იყოს აუცილებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად სუბსიდიებისა და კრედიტების სახით იმ ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, რომლებიც ასრულებენ ბუნების დაცვის სამუშაოებს და ნერგავენ „ეკოლოგიურ“ ტექნიკასა და ტექნოლოგიას, დოტაციას აძლევენ მწარმოებლებსა და მომხმარებლებს „ეკოლოგიურად სუფთა“ პროდუქციის წარმოებაზე, პრემიას აძლევენ საწარმოებს, რომლებმაც თავის საქმიანობაში ბუნებისდაცვითი მაჩვენებლების გაუმჯობესებას მიაღწიეს. კომპენსაციის სახით გამოსასყიდი ეძლევათ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს, რომლებმაც ფაქტობრივი ზარალი მიიღეს გარემოს დაბინძურების გამო, ანდა მოღვაწეობდნენ კომპენსირების სფეროს განვითარებისათვის (საქმიანი მონაწილეობით, რეკრეცია, ჯანდაცვა და სხვ.).

რეგიონული ეკოლოგიური ფონდის არსებობა დამატებით შესაძლებლობებს ქმნის გარემო ბუნების ხარისხის რეგულირებისათვის „გაჭუჭყიანების უფლებებით ვაჭრობის სისტემის“ მეშვეობით.

რაც შეეხება რაიონებისა და ქალაქების სხვადასხვა ეკოლოგიურ ფონდებს, რომლის შექმნის იდეა ფრიად პოპულარულია მოსახლეობაში, აქ აზრი აქვს დასპეციალება მოხდეს იმ მოღვაწეობის მიხედვით, რომლებიც დაკავშირებულია ადგილობრივი მოსახლეობისათვის დაბინძურების ნეგატიური შედეგების კომპენსაციასთან (სანიტარულ-ჰიგიენური სიტუაციის გაუმჯობესება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და სხვ.). ეს ფონდები უნდა დაფუძნდეს შემოსავლების სხვა წყაროებზე (უმეტესწილად ნებაყოფლობითი შენატანები, შემოსავლები, სპეციალური საქველმოქმედო (კეთილშობილური) გადანარიცხები სამხარეო ეკოლოგიური ფონდებიდან, ჯარიმები ეკოლოგიური დარღვევებისათვის მოცემულ ტერიტორიაზე და სხვ.). მომავალში ეკოლოგიური ფონდები უნდა არსებობდეს ადგილობრივ ბიუჯეტზე დამატების სახით, მაგრამ უნდა ჰქონდეს შემოსავლების სხვა წყაროები (შენატანები სახელმწიფო ორგანიზაციებიდან და შემოწირულობანი კერძო პირებისაგან) და სხვა დანიშნულებანი, კერძოდ განსაკუთრებული „არაგეგმიური“ სამუშაოების ჩასატარებლად, სამეცნიერო გამოკვლევებისათვის და ა.შ.

სასურველია, აგრეთვე, შეიქმნას რეგიონული და ადგილობრივი „ეკოლოგიური“ ინსპექციები და სწრაფი რეაგირების სამსახურები გარემოს დაცვის მიზნით. გაფართოვდეს რეგიონული სამეცნიერო გამოკვლევები გარემოს დაცვის სფეროში, რომლებიც მიმართული იქნება გარემოს დაცვის ეკონომიკური სტიმულირების კიდევ უფრო განვითარებისა და გაღრმავებისაკენ თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მდგრადი განვითარების პრინციპების რეალიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Бобылев С. Н.** Экологизация экономического развития. Москва, 2003.

2. **Гирусов Д. В., Бобылев С. Н., Новоселов А. Л., Чепурных Н. В.** Экология и экономика природопользования. Москва, 2002.

3. **Москаленко А.П.** Экономика природопользования и охраны окружающей среды. Москва, 2003.
4. **Рябчиков А.К.** Экономика природопользования. Москва, 2002.

Nozadze Zurab

THE FORMS OF ECONOMIC STIMULATION OF ENVIRONMENTAL PROTECTION IN THE CONDITIONS OF MARKET RELATIONS

SUMMARY

The article deals with the peculiarities of regional mechanism of economic stimulation of environmental protection, the system of “pollutant trade”, “the market of pollutant quota”, the principles of formation and use of “ecological funds” in the conditions of market relations.

გიგა მაისურაძე

ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

საბჭოურ პერიოდში, საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარების დონით, საქართველოს მე-3 ადგილი ეკავა რუსეთისა და უკრაინის შემდეგ. გასული საუკუნის 80–90-იან წლებში ქვეყანა ყოველწლიურად 4 მლნ-ზე მეტ ტურისტს იღებდა, მაგრამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა თითქმის მთლიანად გაანადგურა და გააჩანაგა საკურორტო ზონაში არსებული კაპიტალი და ინფრასტრუქტურა. ჩვენი ქვეყნის ტურისტულ შესაძლებლობებს განსაზღვრავს როგორც მისი გეოგრაფიული მდებარეობა, ისე ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ამას ემატება ევრაზიის დერეფნისა და „აბრეშუმის გზის” სრულმასშტაბიანი ამოქმედების მნიშვნელოვანი ფაქტორი. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ტურიზმის გავრცელების ეკონომიკური არეალი მრავალფეროვანია. ტურიზმი ბიძგს აძლევს მასთან დაკავშირებულ ყველა საქმიანობას და ამით მთელ ეკონომიკას,

ამიტომ, ჩვენი აზრით, ტურიზმის ინდუსტრია უნდა გადაიქცეს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად. ტურიზმი დღეს განიხილება არა მხოლოდ, როგორც ერთ-ერთი მთავარი ეკონომიკური სექტორი, არამედ მას საკუთარი როლითა და ფუნქციით დიდი წვლილი შეაქვს გარემოს, ბიოლოგიურ მრავალფეროვნებათა, კულტურული მემკვიდრეობის, ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მშვიდობის შენარჩუნებაში.

დარგის მულტიპლიკატური ეფექტიდან გამომდინარე, პერსპექტიულ ამოცანად უნდა დაისახოს 1.0 – 1.5 მლნ. ტურისტის მიღება, რომლისგანაც შემოსავალმა შეიძლება 1.0 – 1.5 მლრდ. ლარს მიაღწიოს. ამ შემთხვევაში საქართველოს ბიუჯეტში მხოლოდ ტურიზმიდან შეიძლება შევიდეს 900 მლნ. – 1 მლრდ. ლარი. საერთაშორისო გამოცდილებით, უცხოეთიდან შემოსულ ყოველ 10 ტურისტზე მოდის ერთი სამუშაო ადგილი უშუალოდ ტურიზმის სფეროში. აქედან გამომდინარე, 1 მლნ. ტურისტის მიღების შემთხვევაში, დარგში დასაქმდება 100 ათასი ადამიანი. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ უშუალოდ ტურიზმში შექმნილი ერთი სამუშაო ადგილი ქმნის 2 ახალ სამუშაო ადგილს მის მონათესავე დარგებში, ე.ი. დამატებით ჩვენს ქვეყანაში შეიძლება დასაქმდეს 200 – 300 ათასი ადამიანი.

ტურიზმის პირდაპირი ეფექტი – ეს არის ტურისტების მოთხოვნილებიდან მიღებული შემოსავლები: განთავსება, კვება, სატრანსპორტო მომსახურება, სხვადასხვა კომუნიკაციები. გასული ორი წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელდა 650 მლნ. დოლარის მოცულობის ინვესტიციები, ძირითადად სასტუმროების მშენებლობასა და რეკონსტრუქცია-მოდერნიზებაში. სახელმწიფომ გამოყო 5 მლნ. ლარი, რომელიც შეღავათიანი კრედიტის სახით მოხმარდა მცირე და საშუალო საოჯახო სასტუმროების გაუმჯობესებას. ამ პროექტის ფარგლებში მიმდინარე წელს 450 ადამიანმა გაიარა პროფესიული ტრენინგი და ამათგან 350 უკვე დასაქმდა. საბერძნეთის მთავრობის მხარდაჭერით გაიხსნა ტურიზმის პროფესიული მომზადების ცენტრი „იკაროსი", რომელიც ყოველწლიურად გადაამზადებს 400 სპეციალისტს. პროფესიული დონის ამაღლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია წელს ქობულეთში ტურიზმის სკოლის გახსნა. ამერიკელ ექსპერტებთან ერთად დაწყებულია მუშაობა ტურიზმის განვითარების გეგმაზე, სადაც ჩამოყალიბდება დარგის სტრატეგია.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (მტო) მხარდაჭერით, 1999 წლიდან, ყოველ წელს თბილისში იმართება საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობა. მას მინიჭებული აქვს დიდი აბრეშუმის გზის საერთაშორისო გამოფენის სტატუსი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თბილისი გადაიქცა ცენტრად, სადაც მონაწილეობს პროექტში გაერთიანებული ყველა (24) ქვეყანა და ხდება მათი ტურისტული პოტენციალის რეკლამირება. გარდა ამისა, ტურიზმის დეპარტამენტი ყოველწლიურად დაახლოებით 20 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაში იღებს მონაწილეობას, მათ შორის ყველაზე მასშტაბურია – ITB – ბერლინში. ამ მხრივ საქართველო წარმოჩინდება არა მხოლოდ ევროპის რეგიონში, არამედ აშშ-ში, აზიის ქვეყნებსა და დსთ-ს სივრცეში.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჩატარებული კვლევის შედეგად, ე.წ. Duty Free ზონაში ორგანიზებული ტურისტები მეტწილად გერმანიიდან ჩამოდიან, მეორე ადგილზეა აშშ, მესამეზე – ისრაელი. ისინი საქართველოში ძირითადად 10-12 დღის ვადით ჩერდებიან. ქვეყანაში ყოფნის განმავლობაში ერთი ტურისტის საშუალო დანახარჯი 1160 აშშ დოლარს შეადგენს. მოთხოვნა უმეტესად კულტურულ-სათავგადასავლო აგრო- და ეკოტურიზმზეა, ხოლო ღვინის ბაზარზე დომინირებს ღვინის ტურიზმი. ტურისტების მთავარ მომწოდებლად კვლავ ევროპა რჩება, დააახლოებით 70–80%, ეს ტენდენცია კი გვაფიქრებინებს, რომ

ცხრილი 1

საქართველოში ტურიზმი განვითარების დინამიკა*

№	მაჩვენებლები	1995	2000	2005	2006	2007	პერსპექტივა 2010–2012
1	ქვეყანაში შემოსულ უცხოელ ტურისტთა რა-	85.4	387.3	542.4	654.3	711.0	1.500 – 2.000

* ცხრილი გაანგარიშებულია საქ. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე

	ბა (ათ.კაცი)						
2	ტურიზმიდან მიღებული საერთო შემოსავალი (მლნ. ლარი)	181.2	326.7	5015.0	609.5	704.4	1.200 – 1.500
3	ბიუჯეტში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი (მლნ.ლარი)	68.3	91.6	265.7	248.4	410.0	900 – 1.000
4	ტურიზმში დასაქმებულთა რ-ბა (ათ.კაცი)	9.7	16.6	29.2	48.3	102.0	200.0 – 300.0

უახლოეს წლებში ძირითად ნაკადს კვლავ ამ რეგიონიდან უნდა ველოდოთ. ჩვენი აზრით, ნამდვილი ტურისტი უპირველესად შემეცნებითაა დაინტერესებული და ამიტომ ამ დარგში მეცნიერულ-ინტელექტუალური რგოლის გაძლიერება მისი განვითარების ერთ-ერთი მთავარი ასპექტი უნდა გახდეს. ქვეყნის კულტურულმა მემკვიდრეობამ, რეკლამის ნაცვლად, შესაძლოა, ანტირეკლამაც გამოიწვიოს, თუ მარკეტოლოგთა ძალისხმევას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა – ეთნოგრაფიის, კომპლექსური მხარეთმცოდნეობის, სამუზეუმო საქმის სპეციალისტების ცოდნა და გამოცდილება არ შეემატა.

ქართულ ბაზარზე დღეს მოქმედ ტუროპერატორებს შორის გამოირჩევა „ჯორჯიან დისქოვარი" და „ლევონ ტრეველი". ისინი, ძირითადად, ორიენტირებულნი არიან კულტურულ, ექსტრემალურ, ზამთრისა და ღვინის ტურებზე. რადგან შემომყვანი ტურიზმის კლიენტი საზღვარგარეთაა, ინფორმაციაც უცხოური არხებით უნდა გავრცელდეს. ჩვენი აზრით, აქ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხარდაჭერა, რადგან კომპანიები საკუთარი სახსრებით BBC-ზე, CNN-სა და Euronews-ზე რეკლამას ვერ გაუშვებენ. ამ მიზნით, მიმდინარე წელს, სლოგანით „ევროპა დაიწყო ჩვენთან" – მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება ფართომასშტაბიანი სარეკლამო კამპანია. ტუროპერატორებისათვის მთავარი პრობლემა სასტუმროებია. იაფი ტურისტული კლასის დიდი სასტუმრო თბილისში დღესდღეობით არ არსებობს. ყველაზე დიდია „მარიოტები" და „შერატონი", რომლებიც, სიძვირის გამო, ბიზნეს-მოგზაურების

სტანდარტს უფრო აკმაყოფილებს, ვიდრე ტურისტულს. ასევე გადასაწყვეტი პრობლემაა მომსახურების დაბალი ხარისხი და მაღალი ფასები. საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობამ საგრძნობლად გაზარდა მოთხოვნა ბაკურიანზე. თუ გასულ სეზონზე ამ კურორტს 40.000 ვიზიტორი სტუმრობდა, წელს მათი რაოდენობის ზრდა მოსალოდნელია 30–40%-ით. უნდა აღინიშნოს შაორის პროექტი, რომელიც, უახლოეს მომავალში, ყველა სეზონზე გათვლილი საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი საკურორტო ზონა იქნება, ტურისტული მომსახურების ყველა ობიექტით. გამოიკვეთა, რომ შიდა ბაზარზე მოთხოვნა ძირითადად ბათუმქობულეთზე, ბაკურიან-გუდაურზე, ურეკსა და სურამზეა. მნიშვნელოვანია, რომ იმატა ტურისტულმა ნაკადმა სვანეთში – 5000 კაცი, გასულ წელთან შედარებით, მატებამ 1500 კაცი, 300–400% შეადგინა. ვიზიტორებს შორის იყვნენ როგორც ქართველები, ისე უცხოელებიც. ტურისტული ბიზნესის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის სტაბილურ მდგომარეობაზე. მიმდინარე წლის აგვისტოს მოვლენებმა, რა თქმა უნდა, იმოქმედა ტუროპერატორების მუშაობაზე, თუმცა მნიშვნელოვანი ზარალი არ მიუღიათ.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა დარგის დიდი პოტენციალი და, ასევე, პრობლემები, რომელთა გადაწყვეტისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. ტურიზმისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერება – ლიბერალური პოლიტიკის გატარება.
2. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
3. საერთაშორისო მენეჯმენტის გამოცდილების გაზიარება;
4. დარგის მაღალი მულტიპლიკატური ეფექტის გონივრული გამოყენება;
5. პერსპექტიული ბაზრების ათვისების მიზნით მარკეტინგული კვლევების გააქტიურება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **კორნაკი ს.** ტურიზმის მენეჯმენტი. ვარშავა, 1999.

2. „საქართველოში ტურიზმის განვითარების ეროვნული კონცეფ-ცია და სამოქმედო პროგრამა". საქართველოს ტურიზმისა და კურორ-ტების სახ. დეპარტამენტი. თბ., 2001.

3. **შუბლაძე ვ.** საქართველოში ტურიზმის განვითარების მაკროე-კონომიკური რეგულირების მექანიზმი. თბ., 2005.

4. **Быстров С. А., Воронцова М. Г.** Туризм, микроэкономика. М., 2007.

5. Tourism WTO 3 rd ed.

Giga Maisuradze

THE PROSPECTS OF TOURISM DEVELOPMENT IN GEORGIA

SUMMARY

The work deals with the peculiarities of tourism industry in Georgia, problems with future prospects, determining the routes of development as well as the links between economic and natural conditions existing in Georgia. Governments should try their best to favor and help tour-operators, the currency received from tourism should be one of the main sources of economic reinforcement of the country and replenishment of statute budget. Considerations about current situation of proper tourism policy and the ways to solve problems are given.

ლია თოთლაძე

სავალუტო რისკების მოდელირების საკითხისათვის

საგარეო-ეკონომიკურ სფეროსა და საბანკო სექტორში მოღვაწე სუბიექტების საქმიანობა დაკავშირებულია სავალუტო დანაკარგების საშიშროებასთან, რაც შეიძლება სავალუტო კურსის მერყეობით იყოს გამოწვეული. სავალუტო კურსის ვარიაცია და არაპროგნოზირებადობა პირდაპირ ასოცირდება სავალუტო რისკთან.

სავალუტო რისკი, თავისი შინაარსით, სავალუტო დანაკარგების საშიშროებას ქმნის, რომელიც ჩნდება სავალუტო კურსის არასასურველი ცვლილების შედეგად.

სავალუტო რისკები დამახასიათებელია აბსოლუტურად ყველა ვალუტისათვის, ვინაიდან პერიოდული მერყეობა, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, ნებისმიერი ქვეყნის ფულის ერთეულს ემუქრება (მათ განეკუთვნება, პირველ რიგში, ქვეყნის განვითარების განზოგადებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავს სავალუტო კურსის დინამიკას, ასევე, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ხასიათის ფაქტორები). განვითარებადი ქვეყნებისათვის რისკები უმთავრესად დაკავშირებულია ვალუტის დევალვაციასთან. ამიტომ წარმოიქმნება აუცილებლობა, შემუშავდეს სავალუტო რისკებისაგან დაცვის სპეციალური მექანიზმები. რისკების მართვა თანამედროვე ეტაპზე, მისი აქტუალობიდან გამომდინარე, წარმოადგენს დინამიკურად განვითარებადი პროფესიული მოღვაწეობის სფეროს. ამისათვის გამოიყენება კვლევის ისეთი თანამედროვე მეთოდი, როგორიცაა სავალუტო რისკების მოდელირება. მოდელირების მიზანი კი სავალუტო რისკების მართვის მექანიზმის შემუშავებაა.

თავად მოდელირების პროცესის განხილვა რამდენიმე ეტაპად შეიძლება. მოდელირების პროცესის I ეტაპს წარმოადგენს თავად სავალუტო რისკების გამოვლენა და ფორმალიზაცია. ამ ეტაპის შემდგომ შესაძლებელია ამ რისკების გაზომვა (შეფასება). სავალუტო რისკების მოდელირების მესამე ეტაპად შეიძლება წარმოვადგინოთ რისკების მართვისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც მოდელირების წინა ორი ეტაპის შედეგებს ემყარება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს რისკების კლასიფიცირების სხვადასხვაგვარი მიდგომა. მათი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ რისკების შემდეგი სახეები: სავალუტო კურსების ცვლილება, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, კრედიტებზე მოთხოვნის დაცემა, გადახდისუნარიანობის შემცირება, ბანკის რეპუტაციის გაუარესება, ნორმატიული ბაზის, გადასახადებისა და ტარიფების ცვლილება, ლიკვიდურობის დაცემა და ა.შ.

სავალუტო რისკი კი შეიძლება იყოს ოპერაციული, ტრანსლაციური და ეკონომიკური. ოპერაციული რისკი დაკავშირებულია სავაჭრო ოპერაციებთან და, ასევე, ფინანსურ ინვესტიციებთან. ტრანსლაციური

რისკი უკავშირდება უცხოეთში განხორციელებულ ინვესტიციებსა და უცხოურ სესხებს. ეკონომიკური რისკის არსებობა კი დაკავშირებულია სამომავლო საკონტრაქტო გარიგებებთან.

ყოველ კონკრეტულ რისკს, მისი შინაარსიდან გამომდინარე, გააჩნია რაოდენობრივი გამოხატულება. ანუ მათი შეფასება (გაზომვა) კონკრეტული მეთოდიკის მიხედვით ხორციელდება. სწორედ სავალუტო რისკების შეფასება წარმოადგენს სავალუტო რისკების მოდელირების მეორე ეტაპს. როგორც წესი, რისკებს ზომავენ ორი ძირითადი მეთოდით: პირველი მეთოდის თანახმად, განისაზღვრება მოვლენის ალბათობა, უფრო ზუსტად, მისი სიდიდის ალბათური განაწილება. ალბათური განაწილების მაჩვენებლად კი გამოიყენება მისი საშუალო მნიშვნელობა (მათემატიკური ლოდინი). რისკის შეფასების მეორე მეთოდის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ გამოვლინდეს დამოკიდებულება ცუდ მოვლენასა და მიზეზობრივ მოვლენას შორის და განისაზღვროს ამ დამოკიდებულების მაჩვენებლები. ეს დამოკიდებულება შესაძლებელია ასე ჩაიწეროს:

$$П_ц = k \times П_ə ,$$

სადაც $П_ц$ ცუდი მოვლენის დადგომაა, $П_ə$ – მიზეზობრივი მოვლენა, k – კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობის მიხედვითაც ფასდება რისკი.

გაანგარიშების მეთოდიკიდან გამომდინარე, პირველი მეთოდით გამოთვლილ მაჩვენებლებს (შეფასებას) შეიძლება ვუწოდოთ ალბათური, ხოლო მეორე მეთოდით გამოთვლილს კი – მასშტაბური. ეს ორი მეთოდი, შეიძლება ითქვას, რომ რისკების შეფასებისას სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთშემავსებელ მიდგომად გვევლინება. სასურველია, ყოველი მოვლენისთვის გვქონდეს როგორც ალბათური, ასევე მასშტაბური შეფასება.

დღეისათვის სავალუტო რისკების შეფასების ყველაზე პოპულარულ ინსტრუმენტს წარმოადგენს მეთოდოლოგიური კონცეფცია VaR (Value at Risk), რომელიც ემყარება რისკების განსაზღვრული რიცხვითი მნიშვნელობებით გამოხატვას ალბათური მახასიათებლებით, სავალუტო კურსის ცვლილების ალბათური განაწილების ნდობის შერჩეული ინტერვალის (95 ან 99%) მიხედვით.

ამ კონცეფციის საფუძველზე ექსპერტები შეიმუშავებენ რისკის შეფასების სხვადასხვა მოდელებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ, კონიუნქტურის ცვლილების შემთხვევაში (განსაკუთრებით კი კრიზისული სიტუაციების დროს) აღნიშნულ მოდელებში კორექტივების შეტანა ხდება საჭირო.

რისკების ფორმალიზაციისა და შეფასების შემდეგ უკვე შესაძლებელია საუბარი რისკების მართვაზე, ანუ რისკების მოდელირების მესამე ეტაპზე. იგი ითვალისწინებს რისკის შემცირებისაკენ მიმართული რიგი ღონისძიებების შემუშავებას. ფორმალურად რისკების მართვას ორი ძირითადი მიზანი აქვს:

1. რისკის არსებულ დონეზე შენარჩუნება;
2. რისკის მინიმიზაცია არსებულ პირობებში.

თავის მხრივ, სავალუტო რისკების მართვის მეთოდები სამ ძირითად მექანიზმს მოიცავს – ესენია ლიმიტირება, ჰეჯირება და დივერსიფიკაცია.

ჰეჯირება – ეს არის ინსტრუმენტთა ნაკრები, რომელიც გამოიყენება ვალუტის მერყეობით გამოწვეული დანაკარგების მინიმიზაციისათვის. ჰეჯირების ტექნიკა ითვალისწინებს ფორვარდული და ფიუჩერსული ოპერაციების, ასევე ოფციონის გამოყენებას. ჰეჯირება დაზღვევის საბაზრო ფორმაა. ეს ტერმინი, უმთავრესად, მოკლევადიანი ოპერაციების ანალიზის დროს გამოიყენება.

გრძელვადიანი ოპერაციების განხორციელების დროს კი გამოიყენება სავალუტო რისკების პირდაპირი დაზღვევა, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს: 1. რეზერვების სტრუქტურულ ბალანსირებას; 2. კონტრაქტებში იმ პირობის ჩადებას, რომელიც ითვალისწინებს გადახდის ვალუტის ბალანსირებას; 3. გადახდის ვადებით მანიპულირებას; 4. უცხოურ ვალუტაში არსებული თამასუქების დისკონტირებას; 5. კლიენტებთან ერთობლივი სადაზღვევო ფონდების შექმნას.

დაზღვევის კონკრეტული მეთოდის შერჩევა კი დამოკიდებულია ქვეყანაში მოქმედი ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკაზე, რისკების დაფარვის ვადასა და სავალუტო კურსისა და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების პერსპექტივაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სავალუტო რისკების დაზღვევის პრაქტიკა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში გავრცელდა. თავდაპირველად, ის, უმთავრესად, სავალუტო "შეთანხმებას" წარმოადგენდა. ეს

იყო კონტრაქტის შეთანხმებული პირობა, რომლის მიხედვითაც კონ-ტრაქტის ღირებულება გადახდის მომენტისათვის მასში ოქროს შემც-ველობის მიხედვით გადაიანგარიშებოდა.

დღეისათვის ფართოდ გამოიყენება სავალუტო რისკების დაზღვე-ვის თანამედროვე მეთოდები, რომელთაც, პირველ რიგში, განეკუთვნება სავალუტო ოფციონი. სავალუტო ოფციონი წარმოადგენს ოფციონის მყიდველსა და ვალუტის გამყიდველს შორის დადებულ გარიგებას, რო-მელიც მყიდველს აძლევს უფლებას, იყიდოს ან გაყიდოს განსაზღვრუ-ლი კურსით ვალუტის განსაზღვრული რაოდენობა დროის განსაზღვრუ-ლი პერიოდის განმავლობაში.

ფართოდ გამოიყენება, აგრეთვე, ფორვარდული სავალუტო გარი-გებები. იგი წარმოადგენს განსაზღვრული რაოდენობის ვალუტის ყიდ-ვის ან გაყიდვის ოპერაციას გარიგების დადებიდან განსაზღვრული ინ-ტერვალის შემდეგ, გარიგების მომენტში არსებული კურსით.

სავალუტო რისკის დაზღვევის ერთ-ერთი მიმართულებაა ასევე "სვოპ" ოპერაციები. იგი ერთდროულად წარმოადგენს ყიდვა-გაყიდვის გარიგებისა და კონტრგარიგების დადების ოპერაციას დროის გან-საზღვრულ პერიოდზე.

შერჩეული მეთოდის მიზანშეწონილობა და პრაქტიკული ღირებუ-ლება კი ნათელი გახდება აღნიშნული ღონისძიებების ფინანსური შე-დეგების მიხედვით.

სავალუტო რისკების მართვის სისტემების გამოყენება ბანკებს სა-შუალებას აძლევს, გაატარონ მეცნიერულად დასაბუთებული რეალური სავალუტო პოლიტიკა, ანუ შეიმუშაონ ღონისძიებები მაქსიმალური მო-გების მისაღებად, მის ხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Екушов А. И.** Моделирование рисков в коммерческом банке. – ж. «Бан-ковские технологии», №1, 1999.

2. **Основы валютно-финансовых и кредитных отношений**. Под. ред. Круглова. М., ИНФРА-М, 1998.

3. **Уотшем Т., Паррамоу К.** Количественные методы в финансах. М., ЮНИТИ, 1999.

Totladze Lia

THE ISSUE OF CURRENCY RISKS MODELING

SUMMARY

The article deals with some issues of currency risks modeling. To project the estimation and managment system of currency risks it is expedient to build currency risks model which might be represented in three stages. These are: currency risks classification, currency risks estimation (measurement) and currensy risks management.

The work focuses a great attention on methodological issues of currency risk measurement. There are also discussed the issues of currency risks insurance. The mentioned system of currency risks management, which is based on the results of modeling makes it possible to emplement real currency (monetary) policy oriented on maximum profit.

თამილა არნანია-კეპულაძე

სამუშაო ძალის ღირებულების განსაზღვრის მეთოდიკა და მისი გენდერული თავისებურებანი

ეკონომიკურ მეცნიერებაში ათწლეულების მანძილზე მიმდინარეობს კამათი იმის თაობაზე, თუ რას ყიდის მუშაკი ბაზარზე – შრომას თუ სამუშაო ძალას და, მაშასადამე, რომელ ბაზართან გვაქვს საქმე – სამუშაო ძალის ბაზართან თუ შრომის ბაზართან.

შრომის ბაზრის მეცნიერულ კვლევას ჯერ კიდევ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებმა ჩაუყარეს საფუძველი.

კ. მარქსი საქონლის სახით თავდაპირველად განიხილავდა შრომას [8, გვ. 32], ხოლო შემდგომ საბაზრო ურთიერთობათა ობიექტის როლში იკვლევდა სამუშაო ძალას [7, გვ. 204-212].

ა. მარშალი შრომისა და სამუშაო ძალის მატარებელს – მუშაკს – განიხილავს, როგორც წარმოების ადამიანურ ფაქტორს, რომელსაც „არც ყიდიან და არც ყიდულობენ“. მარშალი თვლის, რომ მუშა ყიდის „სპეციფიკურ ნივთს – *შრომას*“ [9, გვ. 275], მაგრამ, ამავე დროს, ის აცხადებს, რომ “მომუშავე ბაზარს მიაწოდებს...თავის სამუშაო ძალას” [9, გვ. 274].

პოლ სამუელსონი თვლის, რომ არ შეიძლება ადამიანის, როგორც უბრალო საქონლის განხილვა. მისი აზრით, ადამიანები გარკვეული ფასით “აქირავებენ თავის *მომსახურებას*” [12, გვ. 175] და „ბაზარზე ყიდიან თავის *შრომით მომსახურებას*” [12, გვ. 171].

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში სულ უფრო იშვიათად გვხვდება ტერმინი ”სამუშაო ძალის ბაზარი” და მეცნიერთა კვლევის ცენტრში, როგორც წესი, მოქცეულია შრომის ბაზარი. ამასთან, ეკონომისტები სხვადასხვანაირად განმარტავენ შრომის ბაზრის არსს. სპეციალისტთა ნაწილი შრომის ბაზრის განმარტებას უკავშირებს სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვას [6, გვ. 131; 11, გვ. 105-106; 14, გვ. 307], მეცნიერთა ნაწილი სამუშაო ძალის ბაზრის კვლევისას არ განასხვავებს სამუშაო ძალასა და შრომას და მათ გამოიყენებს, როგორც ტოლმნიშვნელოვან ცნებებს [4, გვ. 4; 5, გვ. 246-248; 15, გვ. 287; 16, გვ. 63, 73-80, 90, 298, 313, 315], ხოლო მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის

ობიექტად გამოდის არა სამუშაო ძალა, არამედ შრომითი მომსახურება [12, გვ. 175] ან თვით შრომა [13, გვ. 213-214; 10]. მოცემული სტატიის ფარგლებში ჩვენ არ შევეხებით სამუშაო ძალის ფასის საკითხს, ვინაიდან გამოვდივართ იმ მოსაზრებიდან, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნებისმიერი საქონლის ფასი ყალიბდება ბაზარზე მოცემული საქონლის მიწოდებისა და მასზე არსებული მოთხოვნის თანაფარდობის საფუძველზე. ჩვენი მიზანია – სამუშაო ძალის ღირებულების, როგორც მისი ფასის ობიექტური საფუძვლის, განსაზღვრა.

ნებისმიერი სახის საქონლისა და მომსახურების მწარმოებელი კარგად ერკვევა იმაში, თუ რა დანახარჯებს მოითხოვს მის მიერ წარმოებული პროდუქტი და სხვა თანაბარ პირობებში არ გაყიდის მას ფასში, რომელიც არ აანაზღაურებს გაწეულ დანახარჯებს და არ მოიტანს გარკვეულ მოგებას. რაც შეეხება სამუშაო ძალას, ჩვენს ეკონომიკურ ლიტერატურაში მისი ღირებულების არსებული გაანგარიშებები ძირითადად ეფუძნება სამუშაო ძალის კვლავწარმოების პოზიციას. შევეცდებით, ეს საკითხი სხვა კუთხით განვიხილოთ და განვსაზვროთ სამუშაო ძალის ღირებულება მასზე გაწეული დანახარჯების მიხედვით.

როგორც ცნობილია, სამუშაო ძალა არსებობს, როგორც ცოცხალი ადამიანის თვისება და განუყოფელია მისგან. ამის გამო სამუშაო ძალის ფორმირება და მასზე დანახარჯების გაწევა გაცილებით უფრო ადრე იწყება, ვიდრე ის ჩამოყალიბდება, როგორც წარმოების ფაქტორი და წარსდგება ბაზარზე საქონლის სახით. ამ პროცესიდან გამოსვლითაც არ მთავრდება დანახარჯების გაწევა სამუშაო ძალაზე, ვინაიდან ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა უფრო გრძელია, ვიდრე მისი შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობა. ამიტომ სამუშაო ძალის ღირებულების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ მისი მიმდინარე არსებობისათვის აუცილებელი დანახარჯები, არამედ სამუშაო ძალის, როგორც ადამიანის განუყოფელი ნაწილის, სრული დანახარჯები. სწორედ ამ მიდგომიდან გამომდინარე შევეცდებით, ფორმულის სახით გამოვსახოთ უშუალოდ თვით სამუშაო ძალის მინიმალური ღირებულება, გენდერული თავისებურებების გათვალისწინებით.

გენდერული კვლევის განვითარებისა და გაფართოების შედეგად ნათელი გახდა, რომ, ბიოლოგიური თვალსაზრისით, ქალთა და მამაკაცთა შორის უფრო მეტია მსგავსება, ვიდრე განსხვავება, ხოლო მეცნიერთა ნაწილი საერთოდ თვლის, რომ ერთადერთი მკვეთრი ბიოლო-

გიური განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის მდგომარეობს იმ როლში, რომელსაც ისინი შთამომავლობის აღწარმოების პროცესში ასრულებენ. რაც შეეხება ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა სიმაღლე, წონა, ფიზიკური ძალა და ა.შ., ისინი ნაკლებად არიან დაკავშირებული ბიოლოგიურ სქესთან და უფრო უკავშირდებიან ადამიანის რასას და ექვემდებარება საზოგადოებაში არსებულ შეხედულებას იმაზე, თუ რა სახის შრომითი საქმიანობაა მისაღები ქალებისა და მამაკაცებისათვის და, აქედან გამომდინარე, ვის უფრო ესაჭიროება მაღალკალორიული კვება. ამ შეხედულებებიდან გამომდინარე, ერთნაირი შრომითი ფუნქციების შესრულების შემთხვევაში, ქალებსა და მამაკაცებს კალორიების ერთნაირი რაოდენობის მიღება სჭირდებათ და, მაშასადამე, მათი საარსებო მინიმუმი იდენტური უნდა იყოს.

მოცემული ნაშრომის ფარგლებში დავეფუძნებით არსებულ პრაქტიკას და სამუშაო ძალის ღირებულების მასზე გაწეული დანახარჯების მიხედვით ფორმულას გამოვიყვანთ სქეს-ასაკობრივი კოეფიციენტების გამოყენებით.

დანახარჯების მიხედვით სამუშაო ძალის ღირებულების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი მომენტები:

- სამუშაო ძალა არსებობს, როგორც ცოცხალი ადამიანის შრომის უნარი და განუყოფელია მისი მატარებლის – ადამიანისგან;
- შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობა უფრო მოკლეა, ვიდრე ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა;
- ადამიანმა თავისი შრომითი საქმიანობის მანძილზე უნდა აანაზღაუროს არა მხოლოდ თავისი მიმდინარე ხარჯები, არამედ მის აღზრდაზე გაწეული დანახარჯები და უზრუნველყოს თავისი სიბერე პენსიის სახით;
- სამუშაო ძალის მინიმალური ღირებულება გაანგარიშებული იქნება შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის და შესაბამისი სქეს-ასაკობრივი კოეფიციენტების საფუძველზე;
- სამუშაო ძალის მინიმალური ღირებულება იქნება მოცემული ერთ თვეზე გაანგარიშებით და გადასახადების გათვალისწინების გარეშე;
- მინიმალური ღირებულების ფორმულა მოცემულია ცალკე მამაკაცებისთვის (ფორმულა (1.1)) და ცალკე ქალებისთვის (ფორმულა (1.2)).

ამ მიდგომიდან გამომდინარე, სამუშაო ძალის მინიმალური ღირებულება მასზე გაწეული დანახარჯების მიხედვით გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$W_m = \frac{A_m(t_c k_c + t_j k_j + t + t_{pm} k_{pm})}{t} \qquad (1.1)$$

$$W_f = \frac{A_m(t_c k_c + t_j k_j + t k_f + t_{pm} k_{pm})}{t} \qquad (1.2)$$

W_m არის მამაკაცთა სამუშაო ძალის მინიმალური ღირებულება ერთ თვეზე გაანგარიშებით;

W_f – ქალთა სამუშაო ძალის მინიმალური ღირებულება ერთ თვეზე გაანგარიშებით;

A_m ($t_c k_c + t_j k_j + t + t_{pm} k_{pm}$) და t_m ($t_c k_c + t_j k_j + t k_f + t_{pf} k_{pf}$) – ადამიანის (შესაბამისად მამაკაცთა და ქალთა) ცხოვრებისათვის აუცილებელი საარსებო მინიმუმი, რომელიც დიფერენცირებულია ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით და გამოანგარიშებულია შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის საფუძველზე სქეს-ასაკობრივი კოეფიციენტების გამოყენებით;

A_m – შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი;

t – აქტიური შრომითი საქმიანობის პერიოდის ხანგრძლივობა, რომლის მანძილზე მომუშავემ, როგორც მინიმუმი, უნდა დაფაროს მასზე მთელი სიცოცხლის მანძილზე გაწეული ხარჯები. ეს პერიოდი t=48 წელს;

$A_m t_c k_c$ – სკოლამდელი ასაკის ბავშვების (0-6 წლამდე) მინიმალური ყოველთვიური მოხმარების ღირებულება, რომლის შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმთან შეფარდების კოეფიციენტი k_c=0,6. ამ პერიოდის ხანგრძლივობა (t_c) განისაზღვრება 6 წლით;

$A_m t_j k_j$ – მოზრდილთა (6-16 წლამდე) მინიმალური ყოველთვიური მოხმარების ღირებულება, რომელიც გათანაბრებულია შრომისუნარიანი

ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმთან კოეფიციენტით k_j=1, ამ პერიოდის ხანგრძლივობა t_j=10 წელს;

$A_m t$ – შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის (16-64 წლამდე) საარსებო მინიმუმის* ღირებულება. ამ პერიოდის ხანგრძლივობა (t) შეადგენს 48 წელიწადს;

$A_m t k_f$ – შრომისუნარიანი ასაკის ქალების (16-64 წლის) საარსებო მინიმუმის ღირებულება, რომლის შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმთან შეფარდების კოეფიციენტი k_f=0,84. ამ პერიოდის ხანგრძლივობა t = 48 წელს;

$A_m t_{pm} k_{pm}$ – საპენსიო ასაკის მამაკაცთა საარსებო მინიმუმის ღირებულება, რომელიც შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმს შეეფარდება კოეფიციენტით – k_{pm}= 0,88 (ქალებისთვის ეს კოეფიციენტი უდრის k_{pf} = 0,76). მამაკაცებისთვის ამ პერიოდის ხანგრძლივობა t_{pm}= 3 წელიწადს, ხოლო ქალებისთვის – t_{pf} = 11 – წელიწადს**.

გამოვიანგარიშოთ სამუშაო ძალის საშუალო თვიური ღირებულება მის წარმოებაზე გაწეული ხარჯების მიხედვით საქართველოს დღევანდელი პირობების საფუძველზე. ვინაიდან შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი (A_m) განისაზღვრებოდა 135,6 ლარით***, გამოვიანგარიშოთ მინიმალური ღირებულება მამაკაცთა (W_m) და ქალთა (W_f) სამუშაო ძალისთვის:

$$W_m = \frac{135,6(6x\ 0,64+10x1+48x1+3x0,88}{48} = \frac{8716,37}{48} = 181,59 \text{ (ლარი)}$$

---

* რომელიც განსხვავებულია სხვადასხვა წლებისა და ქვეყნების მიხედვით.

** იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობა მამაკაცებში შეადგენს 68 წელს, ხოლო ქალებში 75 წელს.

*** საქართველოს შინამეურნეობები 2005-2006 წლებში. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბ., 2005.

$$W_t = \frac{135,6(6x\ 0,64+10x1+48x0,84+11x0,76}{48} = \frac{8777,71}{48} = 176,62 \text{ (ლარი)}$$

თუ გავითვალისწინებთ რომ, როგორც ეს მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენს 36,5 წელიწადს, მაშინ არაკვალიფიციური სამუშაო ძალის საშუალო თვიური ღირებულება საქართველოს დღევანდელი პირობებიდან და ოფიციალურად მიღებული საარსებო მინიმუმის მოცულობიდან გამომდინარე, მამაკაცებისათვის შეადგენს 238,8 ლარს, ხოლო ქალებისთვის – 231,27 ლარს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დღევანდელი პირობებისათვის ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, რაც, იმით არის განპირობებული, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი ფორმულა ეფუძნება შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულებას, რომელიც, თავის მხრივ, დაბალია და ითვალისწინებს მხოლოდ მომუშავის მიერ კალორიების გარკვეული რაოდენობის მიღებას, ეს კი საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდიკის სრულყოფას მოითხოვს.

ვინაიდან ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა აღემატება სამუშაო ძალის შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობას, მისი ღირებულება აღემატება სამუშაო ძალის ყოველთვიურ საარსებო მინიმუმს, ანუ სამუშაო ძალაზე გაწეულ მიმდინარე დანახარჯებს.

მოყვანილი ფორმულა ასახავს არაკვალიფიციური სამუშაო ძალის მინიმალურ ღირებულებას. ახლა შევიყვანოთ ამ ფორმულაში სამუშაო ძალის მომზადების ფაქტორი, ანუ გამოვიანგარიშოთ კვალიფიციური სამუშაო ძალის მინიმალური ყოველთვიური ღირებულება (W_k). კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადებას სჭირდება: გარკვეული ფულადი სახსრები (K), რაც ზრდის დანახარჯებს სამუშაო ძალაზე; – დრო (t_k), რაც ამცირებს შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობას.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია, გავაკეთოთ შეზღუდვა t_k პარამეტრის მოცულობაში, ვინაიდან, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში, მაღალი კვალიფიკაციის შენარჩუნება დაკავშირებულია ამ კვალიფიკაციის მუდმივ განახლებასა და ამაღლების პროცესთან. გარდა ამისა, ეს უკანასკნელი ხშირად შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გარეშე მიმდინარეობს. ამასთან, მოცემული ფორმულა გვაძლევს შე-

საძლებლობას, შესაბამისი პარამეტრების მანიპულირებით გამოვიანგარიშოთ ღირებულება სამუშაო ძალის ნებისმიერი კატეგორიისათვის. გარდა ამისა, საჭიროა, შევიტანოთ ისეთი კომპონენტი, როგორიცაა ადამიანების განსაკუთრებული ბუნებრივი ნიჭი, რომელიც არ არის უშუალოდ დაკავშირებული სამუშაო ძალაზე გაწეულ დანახარჯებთან (თუმცა ხშირ შემთხვევაში სპეციალური მომზადების გარეშე სრულად არ გამომჟღავნდებოდა და არ განვითარდებოდა), მაგრამ ობიექტურად აუმჯობესებს სამუშაო ძალის ხარისხს და, ე.ი. ზრდის მის ღირებულებას. ამასთან, განსაკუთრებული ნიჭის მქონე ადამიანები არსებობენ შეზღუდული რაოდენობით და, მაშასადამე, შეზღუდულია მათ საკუთრებაში არსებული რესურსის მიწოდება ბაზარზე. ამის გამო განსაკუთრებული ნიჭის მესაკუთრე ითვისებს ეკონომიკურ რენტას (R), ანუ გარკვეულ ნამეტს. ამ პარამეტრების შეტანის შემდეგ ფორმულა (1) მიიღებს შემდეგ სახეს:

$$W_k = \frac{A_m\,(t_c k_c + t_j k_j + t k_m + t_p k_p) + K}{t - t_k} + R \qquad (2)$$

მოცემული ფორმულა ასახავს ობიექტურ დამოკიდებულებას სამუშაო ძალის კვალიფიკაციასა და მის ღირებულებას შორის, განხილულს სამუშაო ძალაზე გაწეული დახარჯების გათვალისწინებით. ეს ფორმულა გვიჩვენებს, რომ სამუშაო ძალის შრომით ურთიერთობებში დაგვიანებული ჩაბმა, ისევე, როგორც პენსიაზე ნაადრევი გასვლა, ამცირებს შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობას და, მაშასადამე, სხვა თანაბარ პირობებში, ზრდის სამუშაო ძალის ღირებულებას. მაგრამ შემოთავაზებული ფორმულა წარმოადგენს მხოლოდ სამუშაო ძალის ღირებულების თეორიულ გაანგარიშებას და მიუთითებს მხოლოდ იმ უკიდურესად დაბალ ზღვარზე, რომლის გარეშე შეუძლებელია სამუშაო ძალის მატარებლის არსებობა.

როგორც ჯერ კიდევ ა. სმითი წერდა: ”ადამიანს ყოველთვის უნდა შეეძლოს თავისი შრომით არსებობა და მისი ხელფასი ყოველ შემთხვევაში საკმარისი უნდა იყოს მის სარჩენად. ეს კი არა, უმრავლეს შემთხვევაში იგი საკმარისზე მეტიც უნდა იყოს რამდენადმე; წინააღმ-

დეგ შემთხვევაში მისთვის შეუძლებელი იქნება ოჯახის შენახვა, და ამ მუშის შთამომავლობა ამოწყდება პირველი მოდგმის შემდეგ” [1, გვ. 79].

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ადამ სმითი**. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ტ. I. თარგმანი ინგლისურიდან. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
2. **არნანია-კეპულაძე თ.** ერთხელ კიდევ სამუშაო ძალის ბაზრის არსის შესახებ. ჟ. “ეკონომიკა”, №9-10, გვ. 31-38, 2004.
3. **არნანია-კეპულაძე თ.** სამუშაო ძალის ბაზრის ფუნქციონირების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები საქართველოში გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, თბილისი, “უნივერსალი”, გვ. 188, 2005.
4. **ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ**. სამუშაო ძალის ბაზარი და ხელფასის ორგანიზაციის მექანიზმი. თბილისი, გამომცემლობა ”ნიკე”, 1996.
5. **Долан Э., Линдсей Д.** Микроэкономика. Пер. с англ. В. Лукашевича и др. (под общей ред. Б. Лисовика и др.). Санкт- Петербург, АОЗТ «Литера плюс», 1994.
6. **Курс экономики.** Учебник. Под ред. Б.А. Райзберга. ИНФРА-М., 1997.
7. **Маркс. К.** Капитал. Т.1. М. Издательство политической литературы, 1983.
8. **Маркс К.** Манифест Коммунистической партии. М., Издательство политической литературы, 1981.
9. **Маршалл А.** Принципы экономической науки, т.2., М.
10. **Рофе А.И., Збышко Б.Г., Ишин В.В.** Рынок труда, занятость населения, экономика ресурсов для труда. Москва. «МИК». 1977.
11. Рынок. Бизнес. Коммерция. Толковый терминологический словарь. 3-е изд. М.,1997.
12. **Самуэльсон Пол.** Экономика. НПО «АЛГОН». «МАШИНОСТРОЕНИЕ». Т. 1,2. Москва, 1997.
13. **Современная экономика.** Учебник. Под редакцией О.Ю. Мамедова. Ростов-на-Дону. Изд. «Феникс». 1998.

14. **Современный экономический словарь**. 2-е изд. М., ИНФРА-М., 1998.

15. **Фишер С., Дорбуш Р., Шмалензи Р.** Экономика: Пер. с англ. 2-е изд. М., Дело, 1998.

16. **Шумпетер Й.** Теория экономического развития. Издательство Прогресс. М., 1982.

17. Research Proposal. Small Area Estimation for Kalheti Region of Georgia (Obtaining Poverty Incidence Estimates at the District Level). First Research-based Regional Training Cours. Febriery 16 to 27, 2004.

Arnania-Kepuladze Tamila

THE METHOD OF DEFINING LABOR COST AND GENDER FEATURE

SUMMARY

Producer of any goods and services is very well acknowledged with the costs incurred for its production and in case of all equivalent conditions will not sell the manufactured good for the price will not reimburse the costs incurred for its production. Methods of labor costs definition existing in our country are based on Marx position, which considers labor cost according to its self-production. We shall try to look at this case from another point of view.

All it is already known, labor is the inseparable part of the human being. So labor cost begins existing earlier then forming itself as production factor, coming to the market, entering in the process of goods and serves production and not ending with exiting this process as human being. Life span is longer then working span. So when defining the labor cost there should be considered not only existence cost flow but also

costs for its forming and paying pension. Formula for labor cost according to expenses, which are given in the article, was developed separately for male and female and was worked out considering abovementioned factors and based on man's working period and appropriate sex-age indices.

ნუნუ ქისტაური

მსხვილი ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში მსხვილი ბიზნესის განვითარების სტრატეგიის ძირითად პარამეტრებად მოგვევლინა ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომელთა ბაზაზე ყალიბდება გლობალური ეკონომიკა და ფეხს იკიდებს გლობალური ბიზნესი, ეს უკანასკნელი ძირს უთხრის კონკურენციას, იწვევს გლობალური მონოპოლიების გაბატონებას და მათ საქმიანობაზე სახელმწიფოს ზეგავლენის შესუსტებას.

აუცილებელია, სახელმწიფომ კორექტირება შეიტანოს ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიაში. მან ეს სტრატეგია მთლიანად უნდა შეცვალოს, რათა, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზით, უზრუნველყოს რეალური ეკონომიკური სექტორის აღორძინება, მყარი ეკონომიკური ზრდა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნით მოსახლეობის კეთილდღეობისა და მათი სოციალური დაცვის სისტემის ამაღლება.

ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებულ ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფოს როლი სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვაში დაბალ დონეზეა, საბაზროდ მოუმწიფებელი ეკონომიკა თვითდინებაზეა მიშვებული. ეს კი ვერ უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის ზრდის მაღალ ტემპს, საწარმოო ძალთა სათანადო დონეზე განვითარებას, მოსახლეობის სოციალურ დაცვას, მათი ცხოვრების დონის ამაღლებას და ა.შ.

აქ საჭიროა საბაზრო თვითრეგულირების ქმედუნარიანობის ამაღლება, რაც მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში. თუმცა, აუცილებელია, საბაზრო თვითრეგულირებისა და ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ოპტიმალური ბალანსის მიღწევა [11, გვ. 5].

მსხვილ საწარმოთა სახელმწიფო რეგულირების სფეროში, გარდა ზემოაღნიშნულისა, მნიშვნელოვანია ცოდნის ფაქტორი. ეს გულისხმობს მეცნიერების განვითარებას, სახელმწიფოს მიერ მეცნიერულად დასაბუთებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, წარმოების სფეროში უახლესი ეკონომიკური ტექნოლოგიებისა და მმართველობითი სიახლეების დანერგვისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას.

ჩვენი შეხედულებით, მსხვილ საწარმოებში მეცნიერების უახლესი მიღწევების გამოყენება ხელს შეუწყობს სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდას და საქართველოს სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას. ე.ი. სახელმწიფომ უნდა შექმნას საწარმოთა ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი გარემო. ეს კი მოითხოვს ჩვენი ქვეყნის განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას და მსხვილ საწარმოთა ფუნქციონირების მიკროეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებაში მეცნიერების როლის სათანადო გათვალისწინებას.

მსხვილი და წვრილი საწარმოები ეკონომიკურ გარემოსთან ურთიერთობაში ყალიბდებიან და თავიანთი ქცევებით ერთმანეთს უქმნიან ეკონომიკურ გარემოს. აქ ხდება მათი ინტერესების შესაბამისად გარემო ვითარებაზე სათანადო რეაგირება. ეს საწარმოები მოქმედებენ გარემოს მოთხოვნების შესაბამისად. მაგრამ ხშირად მსხვილ საწარმოებს შეუძლიათ მასშტაბური ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე. ამით შეიტანონ თავიანთთვის სასარგებლო შესწორებები. ამან კი შესაძლოა,

გამოიწვიოს როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ცვლილებები ამ გარემოში.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მსხვილ საწარმოთა ქცევების წარმართვა პოზიტიური მიმართულებით, ე.ი. მან უნდა მიაღწიოს ქვეყნის ეკონომიკის (მართვა-რეგულირების სათანადო არხის ჩამოყალიბებით) განვითარების ინსტიტუციურ ორგანიზებულობას. ამისათვის უნდა გამორიცხოს სოციალური განუკითხაობა, უნდა მიაღწიოს სოციალურ სამართლიანობას.

მსხვილმა ბიზნესმა უნდა იზრუნოს მეურნეობრიობის მარკეტინგული სტრატეგიული ზონების მიგნებაზე, სახელმწიფომ მსხვილი საწარმოები უნდა დააკვალიანოს მარკეტინგულ-მაცოცხლებელ გზაზე [7, გვ. 25].

სახელმწიფომ უნდა გამორიცხოს ინვესტიციების მოზიდვა კომპრადორიზმის გზით.

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პრივატიზაციით დაიკარგა მართვის სადავეები და ვერ განხორციელდა მსხვილი ბიზნესის საბაზრო არეალში დაკვალიანება. მან ვერ განახორციელა იმგვარი პრივატიზაცია, რომელიც სახელმწიფო საწარმოებს თანდათანობით გადაიყვანდა საბაზრო გარემოში ორიენტირებულ მმართველობაზე (ამის ნაცვლად ჩვენთან განხორციელდა ე.წ. „შოკური თერაპია", რისი უარყოფითი შედეგებიც ნათელია). ე.ი. სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ახალი ეკონომიკური პოლიტიკა. მან უნდა დანერგოს პოზიტიური საბაზრო აზროვნება და ქცევები.

სახელმწიფომ ნეგატიური გარემოს გამომრიცხავი საკანონმდებლო ბაზით და პოზიტიური გარემოს მასტიმულირებელი ღონისძიებებით უნდა დააკვალიანოს მსხვილ საწარმოთა პოზიტიური ქცევები. მან „ხილული ხელით" შექმნილი კანონმდებლობით უნდა შეუქმნას მსხვილ საწარმოებს ისეთი გარემო, რომელიც ნეგატიურ ქცევებს შეზღუდავს და პოზიტიური მიმართულებით დააკვალიანებს მათ მოქმედებასა და ქცევებს [7].

ისმის კითხვა: რატომ უნდა ჩაერიოს სახელმწიფო საერთოდ ბიზნესში? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გადავხედოთ საბაზრო ეკონომიკის განვითარების ისტორიას.

სხვადასხვა ქვეყანაში დროის განსხვავებულ პერიოდებში ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი და მასშტაბი განსხვავებულია.

XIX საუკუნის ბოლომდე აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სახელმწიფო ეკონომიკაში თითქმის არ ერეოდა. აქ მოქმედებდა თავისუფალი კონკურენციის პრინციპი. შემდგომ პერიოდში კი საჭირო გახდა ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს ჩარევა. ე.ი. დრომ მოითხოვა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება.

სახელდობრ, თავისუფალი კონკურენციის ბაზაზე XIX საუკუნის ბოლოს შეიქმნა მსხვილი კორპორაციები. ისინი შთანთქავდნენ წვრილ და საშუალო ფირმებს და უფრო გიგანტური ხდებოდნენ. ეს მონოპოლიები აკონტროლებდნენ მთელი დარგის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას, თავს ახვევდნენ ბაზარს მონოპოლიურ ფასებს. ამით ისინი ხელს უშლიდნენ თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას და ეკონომიკაში საბაზრო მექანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას.

გარდა ამისა, წარმოიქმნა სიმდიდრისა და სიღარიბის უკიდურესობანი, რაც მოითხოვდა ამ ეკონომიკური უთანასწორობის რაღაც თანაფარდობაში მოყვანას.

ყოველივე ზემოთქმულმა წარმოქმნა როგორც მეწარმეთა, ასევე მომხმარებელთა და საერთოდ ყველა ადამიანის ეკონომიკური ინტერესების დაცვის მოთხოვნილება, რამაც განაპირობა სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა.

როგორც ცნობილია, თავისუფალი კონკურენციის ეპოქაში ყველა ქვეყნის ეკონომიკას გააჩნია მოძრაობის ტრაექტორია – ეკონომიკური ციკლი. ეს უკანასკნელი მოიცავს შემდეგ სტადიებს: კრიზისი, გამოცოცხლება, აღმავლობა, დაცემა და დეპრესია. სახელმწიფოებრივი რეგულირება წარმოების დაცემის შემამსუბუქებელ საშუალებას წარმოადგენს.

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილმა მიზეზებმა მიიყვანა დღეისათვის საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობამდე.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას არავინ უარყოფდა, მაგრამ გადასაწყვეტი იყო ჩარევის ფორმები და ფარგლები.

სახელმწიფოს მიერ მსხვილი ბიზნესის მიკროგარემოში არსებულ ურთიერთობათა მოწესრიგებისა და რეგულირების მეტად მრავალფეროვანი ფორმები გამოიყენება. ეს ფორმები ახორციელებენ არა მხოლოდ ბიზნესის მოქმედების რეგლამენტირებას, არამედ მისი მხარდაჭერის აქტიური პოლიტიკის გატარებასაც. ეს უკანასკნელი გულისხმობს ისე-

თი ტრადიციული მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა: კონსულტაციები, ინფორმაციული უზრუნველყოფა, პირდაპირი მომსახურების ფორმები და დაკრედიტების სისტემა, კვალიფიციური კადრების მომზადება, საექსპორტო ოპერაციების განხორციელებაში ხელშეწყობა, სასესხო გარანტიების უზრუნველყოფა და ა.შ.

ბოლო პერიოდში მრავალი ქვეყანა არასაკმარისად მიიჩნევს ბიზნესის მხარდაჭერის ამ ტრადიციული ფორმების გამოყენებას და სახელმწიფოსაგან მოითხოვს უფრო ფართო მხარდაჭერას. უმეტესად უკმაყოფილებას გამოთქვამენ მკაცრი საგადასახადო სისტემისა და მაღალი საშემოსავლო გადასახადების გამო. ზოგიერთ ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის მოძველებული ეროვნული კანონმდებლობა, ასევე პოლიტიკური სიტუაცია და არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა.

ჩვენს ქვეყანაში კონკურენტული ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო საბაჟო ტარიფების განულებამ (2006 წლის პირველი სექტემბრიდან). რაც შეეხება საგადასახადო კოდექსს, იგი მრავალი განვითარებული ქვეყნის საგადასახადო კოდექსზე უფრო ლიბერალურია (საგადასახადო ტვირთების კუთხით), თუმცა მასში ცვლილებები მუდმივად ხორციელდება. მიუხედავად ამისა, ადმინისტრირების თვალსაზრისით მას ბევრი ხარვეზი გააჩნია.

მსხვილ საწარმოთა სახელმწიფოებრივი რეგულირება ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკაში. ეს თემა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს იმ ქვეყნებში, სადაც ამ ორ სფეროს შორის ურთიერთობა კანონმდებლობით ნაკლებადაა რეგულირებული. თუმცა, შესაძლებელია, მათ შორის ურთიერთობის მომაწესრიგებელი კანონები არსებობდეს. განსაკუთრებით ეს პროცესი რთული ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკაში ყოფნა წარმატებული ბიზნესის კეთების საუკეთესო საშუალებაა, ხოლო დაგროვილი ქონება კი გზაა პოლიტიკისაკენ.

სწორედ ამგვარი ურთიერთობაა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ამჟამად განიცდის ტრანსფორმაციას და კომუნისტური წყობის ნაცვლად საბაზრო ეკონომიკას აშენებს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ფულადი სახსრები საქართველოში სხვადასხვა მაფიოზურ დაჯგუფებას (ფაბრიკა-ქარხნებისა და მაღაზიების "ჩრდილოვანი ბიზნესის" მქონე პარტიულ, სახელმწიფო და

მმართველობითი ელიტის წარმომადგენლებს) გააჩნდა. ამიტომ პრივატიზაციამ ხელი შეუწყო უკანონობასა და კრიმინალიტეტს.

საერთოდ დემოკრატიის მთავარი საყრდენი ძლიერი საშუალო ფენაა, რაც ჩვენთან არ არსებობს.

ცივილიზებული ქვეყნების მთავრობები უზრუნველყოფენ ბიზნესის თანაბარ პირობებში არსებობას. ბუნებრივია, აქ არაა გამორიცხული ლობიზმის ინსტიტუტი, მაგრამ წარმატებული ბიზნესის წარმოება და საკუთრების გადანაწილება უშუალოდ არაა დაკავშირებული პოლიტიკური ხელისუფლების ფლობასთან. ჩვენს ქვეყანაში კი გავლენის სფეროების ფლობა და მსხვილი ბიზნესის წარმოება მხოლოდ პოლიტიკის აქტიური ჩარევითაა შესაძლებელი. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მსხვილი ბიზნესის (და არა მარტო) კეთება დამყარებული იყო ჩრდილოვან ეკონომიკაზე, სახელისუფლებო სახურავებზე, ყოვლისმომცველ კორუფციაზე, წილებზე. ვარდების რევოლუციის მიზანი სწორედ პოლიტიკასა და ბიზნესს შორის ამ მავნე ურთიერთობის მოსპობა, სახელისუფლებო კლანების ლიკვიდაცია და ყველა ბიზნესმენის თანაბარ პირობებში ჩაყენება (ე.ი. სრულიად ახალი თამაშის წესების დამკვიდრება) იყო.

ბიზნესის წარმომადგენლებს ახალმა საგადასახადო კოდექსმა საქმიანობა გაურთულა და მეწარმე აბსოლუტურად დაუცველი დარჩა. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო განაკვეთები შემცირდა, ბიზნესმენი ჩინოვნიკების ნებასურვილზე დამოკიდებული და უუფლებო გახდა. საგადასახადო კოდექსში მრავალი ნორმა ბუნდოვანია და გაურკვეველიც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბიზნესისათვის "შეწერილი" არაოფიციალური გადასახადები. ესაა სახელმწიფო რეკეტი და ბიზნესის დაუცველობა.

აუცილებელია არსებული სიტუაციის შეცვლა. ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის ცივილიზებული ურთიერთობის ჩამოყალიბება. მთავრობამ უნდა დაიცვას ადგილობრივი მეწარმე დემპინგური ფასებით შემოტანილი კონტრაბანდული საქონლისაგან.

ამრიგად, საქართველოში წარმატებული ბიზნესი მხოლოდ პოლიტიკის მეშვეობით არსებობს. ამიტომ ბიზნესმენები ეძებენ პოლიტიკურ "სახურავებს" ან თავად მიისწრაფიან პოლიტიკისაკენ.

1. მსხვილ საწარმოთა სახელმწიფოებრივი მართვა-რეგულირების მექანიზმი რთული სისტემაა, რომელიც მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- მსხვილ საწარმოთა ფუნქციონირების სამართლებრივი მართვა-რეგულირება (ესაა მსხვილი ბიზნესის საკანონმდებლო და ნორმატიული უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს მსხვილ საწარმოთათვის "ეკონომიკური თამაშის" წესების დადგენას, საკუთრების უფლების, მათი ფორმების, საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების, კონტრაქტების დადგენის პირობების და ა.შ განსაზღვრას);

- მსხვილ საწარმოთა ფუნქციონირების მარეგულირებელი დარგობრივი (ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო, ენერგეტიკის სამინისტრო, ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია) და არადარგობრივი (ეკონომიკის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, ეროვნული ბანკი, სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი) ორგანოები;

- სახელმწიფო მეწარმეობა და პრივატიზაცია-დეპრივატიზაცია (ეს, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური ინფრასტრუქტურის დარგებია, რომლებიც ბუნებრივ ან აუცილებელ მონოპოლიებად გვევლინება: სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, აგრეთვე თავდაცვა, ძვირფასი ლითონებისა და ქვების მოპოვება, ალკოჰოლური პროდუქციის მწარმოებელი საწარმოები და სხვ.);

- მსხვილი ბიზნესის განვითარებისათვის უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მიზანმიმართული რეგულირება (კომპრადორიზმის ელემენტების გამორიცხვით);

- მსხვილ საწარმოთა ფუნქციონირების სახელმწიფო რეგულირების ინდიკატორების სისტემა. ესაა იმ მაჩვენებელთა სიმრავლე, რომელთა ანალიზი მსხვილ ბიზნესში არსებული მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობას მოგვცემს;

- მსხვილი ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტები. ესენია: ადმინისტრაციული, სამართლებრივი და ეკონომიკური ხასიათის ინსტრუმენტები, მსხვილი ბიზნესის განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე;

- მსხვილი ბიზნესის რეგულირების ღონისძიებათა სისტემა. იგი მოიცავს მსხვილი ბიზნესის განვითარების მუშა სტრატეგიის შემუშავე-

ბას, რომელიც მოიცავს მიზანს და მისი განხორციელების ღონისძიებებს;

- მსხვილ საწარმოთა ფუნქციონირების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება;
- მსხვილი ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების კონტროლი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ.** ეკონომიკური გარემოს ენერგოეკოლოგიური ფაქტორი და ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების მაკროეკონომიკური მექანიზმი საქართველოში. თბილისი, "მეცნიერება", 2004.
2. **ბიჭიაშვილი ნ.** და სხვები. ბიზნესის ადმინისტრირება. თბილისი, 2005.
3. **ვებერი მ.** პოლიტიკა, როგორც მოწოდება და როგორც ხელობა. თბილისი, 1994.
4. **კაკულია ე.** მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი. ავტორეფერატი, თბილისი, 2006.
5. **კვარაცხელია დ.** გლობალიზაცია, სუვერენული სახელმწიფო, ეროვნული ეკონომიკა. თბილისი, 2004.
6. **მაცაბერიძე მ.** ბიზნესი და პოლიტიკა საქართველოში. თბილისი, 2006.
7. **პაპავა გ.** საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია საქართველოში. თბილისი, "სიახლე", 2003.
8. **პაპავა ვლ.** პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, შპს "პდპ", 2002.
9. **ყორღანაშვილი ლ.** საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები. თბილისი, "უნივერსალი", 2006.
10. **ძნელაძე დ., ძნელაძე ლ.** ბიზნესი: ორგანიზაცია და მართვა. თბილისი, 1999.
11. **ჭითანავა ნ.** გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, II ნაწილი. თბილისი, 1999.

Kistauri Nunu

STATE REGULATION OF LARGE BUSINESS

SUMMARY

The government should realise the elimination of negative behavior existed in large business. It should create the environment excluding such a tendency.

In addition the government should have labor strategy able to create a positive environment for large business.

„Labor strategy in country economy is a united system of the planned goals and the means of its achievement. It includes objectives regulations, purposes, principles, positions and mechanisms.“

Labor strategy worked out by government plays a role of orientator for large enterprises. Large business should be oriented on the ideal planned by government. Naturally such an ideal is the welfare of country population and the foundation of social justice.

Principle objects should be as follows: eradication of maphia business, corruption, compradorism and other negative phenomena, restructuring of large enterprises, the attainment of activity of bankrupcy mechanism, the competitivness of home production and competitivness etc.

Labor mechanisms are:

- creation of market image of thinking,
- general rise of skills of specialists and professionals;
- reform of tax system into regulatory mechanism of microeconomics and economics generally.
- improvement of banking and financial system,the achievement of national financial strength.

Thus, it is necessary to develop macroeconomics on the basis of large business. In its turn it regulates the creation of positive microclimate by government.

ნანა ქარუმიძე
თენგიზ ლორთქიფანიძე

მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციის შესახებ

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით ერთ-ერთ ძირითად გზად გვესახება მის დარგობრივ სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა, რომელიც არ ითხოვს დიდ კაპიტალურ დაბანდებებს და შედეგიც უმოკლეს დროში მიიღება. ამისათვის წინ უნდა წავწიოთ სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგები, თანაც ყველა ერთად არა, არამედ 4 ან 5. ეს ის დარგებია, რომლებიც სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარების საფუძველთა საფუძველია. უპირველეს ყოვლისა, ესაა მარცვლეული, მევენახეობა, შემდეგ, პურად წოდებული კარტოფილი, მეოთხე და მეხუთე, ადამიანის სასიცოცხლო პროცესებისათვის აუცილებელი – ბოსტნეული და მცენარეული ზეთი. შემდგომ ისახება პრესპექტივები მეცხოველეობის პროდუქტების (ხორცისა და ხორცის პროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების, კვერცხის) წარმოების დაჩქარებული ზრდისათვის. მეცხოველეობის პროდუქტებიდან, უპირველეს ყოვლისა, ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოებას უნდა მიენიჭოს უპირატესობანი. მეფრინველეობა მალმწიფადი დარგია და უმოკლეს დროში შეავსებს სასურსათო დეფიციტს.

მარცვლეულის წარმოების განვითარების დონე ნებისმიერი ქვეყნის სიმდიდრის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელი იყო და არის. მარცვლეულის მსოფლიო წაროებაში ბოლო ათწლეულში შეიმჩნევა კლების ტენდენცია და ბაზარზე მისი ფასის მატება.

სამედიცინო ლიტერატურაში სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის პრობლემა განიხილება როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ ასპექტში და ის მარცვლეულის წარმოების დონეს უკავშირდება. ამ მხრივ გამოიყოფა საერთაშორისო უზრუნველყოფის ორი ძირითადი მაჩვენებელი: მარცვლეულის მსოფლიო გარდამავალი მარაგები, რომელიც ახალი მოსავლის აღებამდე ინახება და მარცვლეულის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე. უსაფრთხოდ ითვლება მსოფლიოს სა-

მოცი დღის მოთხოვნილების შესაბამისი მარცვლის მარაგები, რაც მთელი მოთხოვნილების 17 %-ია. ცალკეული ქვეყნების მიხედვით, სასურსათო უსაფრთხოების კრიტერიუმად ითვლება მარცვლეულზე მთელი მოთხოვნილების 80%-ის (ჩვენთან ეს ციფრი -20 %-ია) საკუთარი წარმოების ხარჯზე დაკმაყოფილება. ამიტომაც საჭიროა, საკუთარი წარმოებით ავამაღლოთ მოსახლეობის დაკმაყოფილების დონე; ჩვენი შესწავლით ის შეიძლება 80 %-მდე მაინც ავიყვანოთ.

საქართველოს მოსახლეობის კვების პროდუქტზე ფიზიკური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად 1996 – 2004 წლებში საშუალოდ უნდა დახარჯულიყო 5.2 მილიარდი დოლარი. ამ თანხის 58 % დასჭირდებოდა ცხოველური წარმოების საკვების შეძენას, ხოლო 42 % – მცენარეულისას. ამავე პერიოდში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენდა 5.2 მილიარდ დოლარს, ანუ 6.76 მილიარდ ლარს, ე.ი. ამ წელს მოსახლეობას კვების ფიზიოლოგიური ნორმების დაცვით რომ ეკვება, ქვეყანას უნდა დაეხარჯა მთლიანი შიდა პროდუქტის 78 %. ფაქტობრივი მოხმარებით მან დახარჯა 1.05 მილიარდი დოლარი, ანუ კვების მეცნიერული ნორმით საჭირო მოცულობის 20 %-ზე ნაკლები.

სპეციალისტების გაანგარიშებით, საქართველოში სასურსათო მარცვლეულის საკმაო ოდენობის წარმოებაა შესაძლებელი. საქართველოს სოფლის მეურნეობის გაძღოლის არსებულ სისტემებში არც ერთი რაიონი არ არის სპეციალიზაციის სქემით მიჩნეული მარცვლეულის მიმართულების, რაც შეცდომაა, იგი უნდა გასწორდეს. არსებულ სქემაში უნდა შევიდეს შესწორებები და მარცვლეულის მიმართულების ერთ-ერთ რეგიონად გამოიყოს დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს რაიონები აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე – აბაშის, ხობისა და სხვა რაიონები. ადრინდელი სქემითაც ეს ასე იყო მიჩნეული. ამისათვის საჭიროა დამატებითი ფართობების გამონახვა და მოსავლიანობის ამაღლება. საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა და აქ ყოველი ჰექტარი სახნავი მიწის არათუ დანაკარგი, არამედ მოცდენაც კი საგანგაშო მდგომარეობად უნდა იყოს მიჩნეული, სახნავ მიწებს დღემდე უდიერად ვეპყრობოდით და შემაშფოთებელი შედეგებიც სახეზეა, არ გაგვაჩნია საკმარისი რაოდენობით მარცვლეული, კარტოფილი, ბოსტნეული და მეცხოველეობის პროდუქტები. ჩვენს ქვეყანასთან შედარებით, მაგალითად, ნიდერლანდებში, აგრეთვე, ისრაელში, იაპონიაში, ჩინეთსა და სხვა ქვეყნებში მიწით

უზრუნველყოფის დონე გაცილებით დაბალია, მაგრამ ნაყოფიერების მიხედვით ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია მსოფლიოში. მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებით მისი გამოსწორება თავისუფლად შეიძლება და ჩვენ ის უნდა ავითვისოთ.

სპეციალისტების გაანგარიშებით, მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის ნათესი ფართობების სტრუქტურა 2010 – 2015 წლებისათვის შეიძლება ასეთნაირად წარმოვიდგინოთ: სასურსათო ხორბალი და სიმინდი 250 ათას ჰექტარზე, საფურაჟე მარცვალი (სიმინდი, ქერი, შვრია) – 100 ათას ჰექტარზე. ამ ფართობებზე შესაძლებელია 1.2 მილიონი ტონა მარცვლეულის წარმოება თავთავიანი კულტურების მოსავლიანობის საშუალო 25 – 30 ცენტნერის და სამარცვლე სიმინდის 35 – 40 ცენტნერის პირობებში (საფურაჟე მარცვალი – 35 ცენტნერი). 2015 წლისთვის მარცვლეულის ფართობების გაზრდა შესაძლებელია 420 ათას ჰექტრამდე. ამასთან, მარცვლეულის წარმოება ამ წლებში შეიძლება გაიზარდოს შესაბამისად 1.6 – 1.8 მილიონ ტონამდე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დღევანდელი ფონდაღჭურვილობის პირობებშიც კი შესაძლებელია 2.3 მილიონი ეტალონური ჰექტარი მოიხნას წელიწადში, რადგან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში აღრიცხულია ყველა მოდიფიკაციის დაახლოებით 19150 ტრაქტორი. ანალოგიური მდგომარეობაა სატვირთო მანქანების, მარცვლეულის ასაღები კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მიმართ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მარცვლეულის საელევატორო მეურნეობის საერთო სიმძლავრეები 2 მილიონ ტონას აღემატება და დამატებითი სიმძლავრეების მშენებლობა ამ მიმართულებით, ამ ეტაპზე საჭირო არ იქნება. შემდგომში, მარცვლეული მეურნეობის განვითარების დასახული ამოცანის გადასაწყვეტად, ამავდროულად, აუცილებლად მიგვაჩნია, აღდგეს და გაფართოვდეს სარწყავი მიწების ფართობები.

ჩვენში საშემოდგომო ხორბალი მთავარი კულტურაა, რომელსაც მარცვლოვანებს შორის ყველაზე დიდი ფართობი უკავია. 1981 – 1985 წწ. ფართოდ ინერგებოდა საშემოდგომო თავთავიანი კულტურების მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგია. იგი კვლავაც უნდა განახლდეს ვაკე სამექანიზაციო ფართობების აღდგენისა და შენარჩუნების ბაზაზე (კახეთში – შირაქი, ალაზნის ველი, ქართლში – ტირიფონის ველი და სხვ.), ამასთან, უნდა აღვადგინოთ თესლბრუნვებიც.

აგრარული ბაზრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, ჩამოყალიბდეს ღვინის პროდუქტთა ქვეკომპლექსი. ამით განხორციელდება სოციალურად აუცილებელი და პრიორიტეტული დარგების ჯერ სტაბილიზაცია, შემდეგ კი მათი ზრდის პოტენციური შესაძლებლობების სრულად გამოყენება და აღმავლობა.

საკითხის შესწავლით ირკვევა, რომ 1985 წლამდე საქართველოში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ყურძნის წარმოება, მაგრამ ბოლო წლებში საქართველოს მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში შემცირდა ვენახის ფართობები და, შესაბამისად, ყურძნის წარმოება კლებადი ტენდენციით ხასიათდება. 2004 წელს, 1990 წელთან შედარებით, რესპუბლიკაში ვენახის ფართობები შემცირდა 39.8 %-ით, ხოლო ყურძნის წარმოება 3.8-ჯერ. აღნიშნულის შედეგად, საგრძნობლად შემცირდა ღვინის მრეწველობის სანედლეულო რესურსები და მისი გადამუშავების პროდუქციის წარმოება. 2004 წელს, 1990 წელთან შედარებით, საქართველოს ღვინის საწარმოებში ყურძნის ღვინის წარმოება შემცირებულია 16283 ათასი დკლ-დან 2661 ათას დკლ-მდე, ანუ 6-ჯერ, ხოლო შამპანურის წარმოება – 1451 ათასი დკლ-დან 177.8 ათას დკლ-მდე, ანუ 8.2-ჯერ [2].

ასევე ირკვევა, რომ მევენახეობა-მეღვინეობაში შექმნილ მდგომარეობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომელთაგან, ჩვენი აზრით, შეიძლება ორი ძირითადი მიზეზი გამოვყოთ, პირველ რიგში, საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაზე დამღუპველი გავლენა მოახდინა 1985 წელს მიღებულმა ცნობილმა დადგენილებამ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ და ამის ბაზაზე ბოლო წლებში მაღალი ტემპებით განვითარებულმა ინფლაციურმა პროცესებმა. და, მეორე, შრომის ორგანიზაციის მოშლამ, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მრეწველობისათვის ყურძნის ჩაბარებაზე.

საექსპორტო ღვინის პროდუქციის წარმოების დაბალი დონის ძირითადი მიზეზია ისიც, რომ საწარმოები, მცირე გამონაკლისის გარდა, არ არიან სათანადოდ უზრუნველყოფილნი საექსპორტო პროდუქციის გამოსაშვებად საჭირო ხარისხოვანი ბოთლებით, მისი საცობებით, ეტიკეტებით, შესაფუთი მასალებითა და ტარით, რომ საწარმოებში საექსპორტო პროდუქცია ჩამოისხმება მოძველებულ მანქანებსა და ტექნოლოგიურ ხაზებზე, რაც გავლენას ახდენს ღვინის პროდუქციის ხარისხზე. ჯეროვნად არ არის ორგანიზებული საექსპორტო პროდუქციი-

სათვის ცალკე ხარისხოვანი ყურძნის ჩაბარება და მისი ტექნოლოგიური დამუშავება. საწარმოთა მუშაკები მატერიალურად არ არიან დაინტერესებულნი საექსპორტო პროდუქციის გამოშვებისა და გადიდებისათვის.

საკითხის შესწავლით ირკვევა რომ, ყურძნის წარმოებასთან ერთად, მცირდება ყურძნის გადამუშავების სიმძლავრეებიც. მაგალითად, 1990 წელს შემცირდა 680 ათას ტონამდე, 1995 წელს – 500 ათას ტონამდე, 2003 წელს 450 ათას ტონამდე, ხოლო 2004 წელს – 427 ათას ტონამდე. წარმოდგენილი მონაცემები ნათლად ამტკიცებს, რომ მცირდება ღვინის, კონიაკის, შამპანურის და არაყის წარმოების საწარმოო სიმძლავრეები და მისი გამოყენება. ამის ძირითადი მიზეზია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოუყენებლობა და რეფორმის კურსის არასწორად წარმართვა, რაც საწარმოთა რეორგანიზაციისა და რესტრუქტურიზაციის კურსის არასწორად ჩატარების შედეგია.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ბოლო პერიოდში აქტიურად დაიწყო დარგის რეაბილიტაციის პროცესი და იგი შეუქცევადია. გამოჩნდნენ უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები. თანამედროვე ტექნოლოგიებით შენდება ახალი ვენახები დიდ მასივებზე. ათიოდე ფირმა აწარმოებს საექსპორტო ღვინის მაღალხარისხიან პროდუქციას და წარმატებით გადის ღვინის მსოფლიო ბაზარზე. 2003 წელს საქართველოდან საზღვარგარეთ გაგზავნილი ღვინის პროდუქციის მოცულობა 1988 წლის დონეს თუმცა მნიშვნელოვნად ჩამორჩა, სამაგიეროდ, 1995 წელთან შედარებით, ნატურალურ გამოსახულებაში 5.9-ჯერ გაიზარდა.

მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განსაკუთრებული როლისა და ადგილის გათვალისწინებით, საქართველოში 2020 წლისთვის ვენახის ფართობმა უნდა მიაღწიოს 90.0 ათას ჰექტარს, აქედან მოსავლიანი იქნება 80 – 81 ათასი ჰექტარი. ქვეყანაში ყოველწლიურად გარანტირებული იქნება 460 – 500 ათასი ტონა კონდიციური ყურძნის მიღება. აქედან, 320 – 350 ათასი ტონა დაექვემდებარება სამრეწველო გადამუშავებას, საიდანაც, შესაძლებელია, იწარმოოს 25-26 მლნ. დკლ. სხვადასხვა კატეგორიის მაღალხარისხოვანი ღვინო, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ქართული ღვინის ექსპორტს.

მარცვლეულსა და მევენახეობასთან ერთად, სულ უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს კარტოფილი, მით უფრო, რომ მისი მოყვანა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში შეიძლება და არ მოითხოვს მნიშვნელოვან დამატებით კაპიტალურ დაბანდებებს. მსოფლიოს ყველა

იმ ქვეყანაში, სადაც მარცვლეულის უკმარისობას განიცდიან, მას კარტოფილით ავსებენ.

საქართველო კარტოფილით თავის მოთხოვნილებას რომ ვერ აკმაყოფილებს, ეს მხოლოდ წარმოების გაძღოლის, მართვის უკიდურესად დაბალი დონის ბრალია. ქვეყანაში სასურსათო და სათესლე კარტოფილის პრობლემის გადასაჭრელად უკვე 2015 წლისათვის შეიძლება მისი წარმოების გაზრდა 500 – 550 ათას ტონამდე. სათანადო გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ სასურსათო კარტოფილისა და მისთვის საჭირო აუცილებელი სათესლე კარტოფილის მოსაყვანად საჭიროა სულ მცირე 30 – 35 ათასი ჰექტარი და 150 – 160 ცენტნერამდე მოსავლიანობის ამაღლება.

შაქრისა და მცენარეული ზეთის მოხმარებაში აგრარულ ბაზარზე შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, მომავალში პრიორიტეტულ კულტურათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს შაქრის ჭარხალი და მზესუმზირა, სამომავლოდ საჭირო იქნება მათი წარმოების გადიდებისათვის ეკონომიკურად დასაბუთებული ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება. ჩვენი საორიენტაციო გაანგარიშებით, პერსპექტივაში 2015 წელს საქართველოში შაქრის ჭარხალი შეიძლება დაითესოს 5500 ჰა-ზე, სადაც 400 ც მოსავლიანობის პირობებში, წარმოებული იქნება 220 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი.

რაც შეეხება მცენარეულ ზეთს, მასზე მოსახლეობის წლიური მოთხოვნილება 38–50 ათას ტონას შეადგენს. მოსახლეობა რომ საკუთარი წარმოების მცენარეული ზეთით დაკმაყოფილდეს, საჭიროა მზესუმზირის წლიური წარმოება საშუალოდ 140 ათას ტონამდე გაიზარდოს. აგროკლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მზესუმზირის გაადგილება შესაძლებელია მხოლოდ კახეთისა და ქართლის რიგ რაიონებში. ანალიზით დადგინდა, რომ უახლოეს მომავალში მზესუმზირის ნათესები უმტკივნეულოდ შეიძლება გაიზარდოს 15 ათას ჰექტრამდე, საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა – 20 პროცენტამდე, ხოლო მთლიანი შემოსავალი – 30 ათას ტონამდე.

ზეთის რესურსების გასადიდებლად, მზესუმზირის გარდა, გამოყენებული უნდა იყოს სოია, სიმინდი, რაფსი. მნიშვნელოვანი ადგილი სოიას უნდა დაეთმოს, როგორც საუკეთესო ცილოვან საკვებს პირუტყვებისა და კვების მრეწველობისათვის. უახლოეს მომავალში სოიის ნათესი ფართობები შეიძლება გაიზარდოს 10-15 ათას ჰექტრამდე, მისი

მოსავლიანობა – 20 ცენტნერამდე, მთელი წარმოება კი – 20-30 ათას ტონამდე. დეფიციტის დასაფარად ყოველწლიურად დაგვჭირდება 20-22 ათასი ტონა მცენარეული ზეთის შემოტანა. შემდგომ პერიოდში უნდა გადიდდეს სოიის, სიმინდის, რაფსის ნათესი ფართობები და ამით თანდათანობით შეიკვეცება დეფიციტის მოცულობა.

სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ჩამოყალიბდეს რესურსების მართვის შემდეგი მექანიზმი.

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, სასურსათო საქონლის წარმოებისა და ვაჭრობის სრულყოფის მიზნით, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო პროგრამებიდან გამომდინარე, განსაზღვროს საბაზრო და არასაბაზრო დანიშნულების რესურსები. საერთო რესურსებიდან ცალკე უნდა გამოიყოს საქონლის საექსპერტო ნომენკლატურა და მოცულობა, ასევე განსაზღვროს ვაჭრობისათვის საჭირო ასორტიმენტი, საქონლის ბარტერული გაცვლისათვის საჭირო რესურსები, სასაქონლო რეზერვები და ყოველივე ეს სათანადო სამინისტროებსა და უწყებამდე დაიყვანოს.

2. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, მთლიანი რესურსებიდან განსაზღვროს საბაზრო დანიშნულების რესურსები, რომელიც შემდგომ დაიყვანება სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაზე. ამასთან, ბაზრის ინტერესებიდან გამომდინარე, განისაზღვროს საქონლის გატანის შესაძლებლობა შემოზიდვა-გაზიდვის მოცულობის დაბალანსებით. აუცილებელია ჰორიზონტალური ეკონომიკური კავშირებით მომწოდებლებთან ხელშეკრულებების გაფორმება და საქონლის შემოტანის აღრიცხვის საფონდო მექანიზმის შექმა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წელიწდეული, საქართველოს მრეწველობა ციფრებში, 1913 – 2002, თბ., 2003.

2. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის წელიწდეული. მრეწველობა საქართველოში 2005. თბ., 2005.

3. **ლორთქიფანიძე თ., გელიაშვილი ზ.** საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის აღმავლობის და ღვინის საექსპორტო პოტენციალის გაფართოების ძირითადი ეკონომიკური ასპექტები. კრებულში: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტ. III, თბ., „მეცნიერება“, 2003.

4. **დიდებულიძე ა.** სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები. თბ., 1997.

5. **ლაჭყეპიანი თ., მენთეშაშვილი ი., ლორთქიფანიძე თ.** პურისა და პურპროდუქტებით ადამიანთა სასურსათო უზრუნველყოფის საკითხები. კრებულში: „აგრარული მეცნიერების პრობლემები“, ტ. XXIX, თბ., 2004.

6. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ოფიციალური მასალები საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწის ოდენობის შესახებ 2005 წლის 1 აპრილის მდგომარეობით.

7. **პაატა კოღუაშვილი.** საქართველოს სასურსათო უშიშროება. რეალობა და პროგნოზები. თბ., 2004.

8. **პაატა კოღუაშვილი.** აგრარული რეფორმა: შედეგები და პერსპექტივები. თბ., 1998.

Karumidze Nana
Lordkipanidze Tengiz

ON OPTIMIZATION OF AGRICULTURAL BRANCH STRUCTURE

SUMMARY

The proceedings focuses changes in branch structure of agriculture of the country as one of the ways directed to getting over the agrarian crisis.

For this aim the branches manufacturing the foodstuff should be pushed forward, however not together but four or five ones. These are the branches which represent the very foundation for other branches of agriculture. First of all these are

grains, viticulture, then the potato – referred as the second bread, fourth and fifth – vegetables and sunflower seed oil necessary for living processes of a human being.

At the same time the perspectives for production and accelerated growth of products from cattle are also set up.

The problematic issues of development of mentioned branches and the ways of their solution are reviewed in this proceedings.

From the point of view of optimization of agricultural branch structure are presented the tools of monitoring resources.

თამარ როსტიაშვილი
მაია სოსელია

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ზოგიერთი პრაქტიკული ასპექტი (ბიზნეს-კონსალტინგი და ბიზნეს-ინკუბატორები)

საქართველოს ბიზნესის ბაზარზე საკონსულტაციო მომსახურებაზე მზარდი მოთხოვნილება არსებობს. იქნება ეს მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსურ-საინვესტიციო, სამართლებრივი თუ სხვა საკითხები. ბიზნეს-კონსულტირებამ უნდა უზურნველყოს ცოდნისა და ჩვევების სათანადო კავშირი, რომელიც არსებობს საგანმანათლებლო ტრეინინგების ფარგლებში. დაეხმაროს მეწარმეებს, თავიდან აიცილონ შეცდომები და არასასურველი შემთხვევები.

საკონსულტაციო მომსახურების ბაზარზე შეიძლება გამოვყოთ ამ მომსახურების მსურველი მეწარმე-მომხმარებლების ოთხი ტიპი.

1. მეწარმე, რომელსაც ახალი დაწყებული აქვს ბიზნესი. მას აქვს საქმის სტრატეგიული ხედვის სურვილი, მაგრამ არ იცის ბიზნესის ელემენტარული საფუძვლებიც კი. ნათელია, ამ კატეგორიისათვის საჭიროა არა კონსულტაციები, არამედ, პირველ რიგში, ეკონომიკური განათლება.

2. მეწარმე, რომელიც ქმნის სამეწარმეო მოღვაწეობის საფუძვლებს ან ისწრაფვის მისი სრულყოფისადმი. მათთვის აუცილებელია ბიზნესის ყველა ძირითადი მიმართულების მიხედვით ინდივიდუალური კონსულტირება (ბიზნეს-კონსულტირება) შემდეგ საკითხებზე:

გადასახადების ოპტიმიზაცია; ბანკებთან მუშაობა და ოპერაციები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე; საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზება; მარკეტინგული გამოკვლევების ჩატარება და ა.შ.

3. ჩამოყალიბებული ბიზნესმენები, რომლებმაც უკვე შექმნეს საკუთარი ბიზნესის მყარი საფუძვლები, მაგრამ საჭიროებენ ინვესტიციებს განვითარებისათვის ან პარტნიორებს ერთობლივი პროექტის განხორციელებისათვის. ეს არიან მეწარმეები, რომლებსაც არ ყოფნით ინფორმაცია, საქმიანი კავშირები ბიზნეს-პრობლემების ეფექტიანად გადაწყვეტისათვის; მაგალითად, კონკრეტული ამოცანა შეიძლება შემდეგი სახით დაისვას: ბიზნეს-იდეის მოწონების შემდეგ, მეწარმეს სურს, მოძებნოს მისთვის დაინტერესებული პარტნიორი (მაგალითად, დასავლეთში), რათა ერთობლივად შეიმუშაონ ბიზნეს-პროექტი და უზრუნველყონ მისი განხორციელება;

4. მსხვილი მეწარმეები, რომელთა წრე და მოთხოვნები ყოველთვის არ არის წინასწარ განსაზღვრული. მათ შეიძლება შეუკვეთონ მსხვილი სინვესტიციო პროექტის შემუშავება, აღნიშნულ სფეროში შესაბამისი ინფორმაციის ანალიზით და რეკომენდაციებით. ზემოთ აღნიშნული კლასიფიკაცია საკმაოდ პირობითია.

სწრაფად ვითარდება *ბიზნეს-კონსალტინგის* პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ადგილებზე დამოუკიდებელი აუდიტორული და კონსალტინგური ფირმების პარტნიორული გაერთიანების შექმნას.

ბიზნეს-კონსალტინგის მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებები დაკავშირებულია საწარმოებისათვის კონსულტაციების გაწევასთან მოღვაწეობის ფართო სპექტრის მიხედვით: ბიზნესის სუბიექტების მოღვაწეობის ორგანიზაცია და მართვა; საკუთრების მართვა და გამოყენება; ანტიკრიზისული მართვა; მარკეტინგი; ბიზნეს-დაგეგმვა; ინვესტიციური პროექტირება; ინვესტიციური და ფინანსური მენეჯმენტი; საბუღალტრო აღრიცხვა და საფინანსო-სამეურნეო მოღვაწეობის ანალიზი; აუდიტი; გადასახადებით დაბეგვრა; საფონდო ბაზარი და ფასიანი ქაღალდები; საბანკო საქმე; საგარეო ვაჭრობა; ლიზინგი; საკუთრების შეფასება;

ბიზნეს-სამართალი; საინფორმაციო და სოციოფსიქოლოგიური მხარდაჭერა და ა.შ.

მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებების რეალიზაციისთვის ბიზნეს-კონსალტინგის პარტნიორული გაერთიანება ახდენს:

კონსალტინგური მომსახურების კოორდინირებას, მათ შორის კომპლექსური და რეგიონთაშორისი პროექტების შესრულებისას; კონსულტაციური მომსახურების მოთხოვნის კომპლექსური გამოკვლევის ორგანიზებას; შეიმუშავებს სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ უზრუნველყოფას, მათ შორის რეკომენდაციებს ბიზნეს-კონსალტინგის სფეროს სხავდასხვა საკონსულტაციო მხარდაჭერაზე; ახდენს გაერთიანების მონაწილეთა მოღვაწეობის საინფორმაციო უზრუნველყოფის ფორმირებას; ახორციელებს კონსულტანტ-ექსპერტების მომზადებას და სერტიფიცირებას. ახდენს გაერთიანების კონსულტანტ-ექსპერტების საინფორმაციო ბანკის ფორმირებას; ეხმარება გაერთიანების მონაწილეებს ყველაზე უფრო კვალიფიცირებული კონსულტანტ-ექსპერტების შერჩევაში კონკრეტული შეკვეთების შესასრულებლად; ხელს უწყობს გაერთიანების მონაწილეებს იმიჯის ფორმირებაში კონსალტინგური მომსახურების ბაზარზე; ახორციელებს სხვადასხვა სახის მხარდაჭერას, მათ შორის ფინანსურს, კონსალტინგური სამსახურების მიმართ (გაერთიანების მონაწილეების) საკონსულტაციო მომსახურების განვითარებასა და ახალი მიმართულებების მომსახურების ასათვისებლად.

პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, იგეგმება ფართომასშტაბიანი მარკეტინგული გამოკვლევების ჩატარება კონსალტინგური მომსახურების რეგიონულ ბაზარზე. გამოკველვების შედეგების მიხედვით განისაზღვრება სპეციალური სემინარების თემატიკა კონსულტანტებისათვის იმ პრობლემების მიხედვით, რომლებიც რეგიონში მაღალი მოთხოვნით სარგებლობს.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბიზნეს-ინკუბატორების ქსელის შექმნის პროექტს, რომელიც მოწოდებულია, უფრო ეფექტიანი მხარდაჭერა გაუწიოს მცირე მეწარმეებსა და თავად ფირმებს მოღვაწეობის საწყის ეტაპზე.

უცხო ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს ბიზნეს-ინკუბატორების ინტენსიური გავრცელების მიზანშეწონილობას. ისინი, ტექნოპარკებთან ერთად, მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ყველაზე ეფექტიან ფორმას წარმოადგენენ. ბიზნეს-ინკუბატორების მთავარი დანიშ-

ნულებაა მცირე საწარმოების და დამწყები მეწარმეებისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენა.

საკონკურსო წესით ბიზნეს-ინკუბატორში ერთიანდებიან სხვადასხვა პროფილის 10-20 მცირე ფირმა საკუთარი პროექტების რეალიზაციისათვის. მათ გააჩნიათ საერთო კომერციული ფართი, შერჩევა წარმოებს წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმების საფუძველზე.

ბიზნეს-ინკუბატორის შტაბი, ჩვეულებრივ, რამდენიმე ადამიანისაგან შედგება. მეწარმეებს სთავაზობენ მდივან-რეფერენტის მომსახურებას. შენობის ფართს ოფისისათვის, საოფისე ტექნიკას – ტელეფონს, ფაქსს, ქსეროქსს, კომპიუტერებს და სხვა. აგრეთვე ფინანსირების სხვადასხვა წყაროებისადმი ხელმისაწვდომობას. აღნიშნულის გარდა, ბიზნეს-ინკუბატორი მასში გაერთიანებულ ფირმებს კონსალტინგური მომსახურებით უზრუნველყოფს. მაგალითად, კონკრეტულ რეგიონში ეკონომიკური სიტუაციის შესახებ ინფორმაციით, რეკომენდაციებით სხვადასხვა ბიზნესებზე, დახმარებას უწევს კადრების მომზადებაში და ა.შ.

ბიზნეს-ინკუბატორი არსებობს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სახსრებით, მთავრობის სუბსიდიით, მეწარმეთა მიერ გადახდილი საიჯარო გადასახადებით, აგრეთვე, „ინკუბატორებიდან" გამოსული და წარმატებით ფუნქციონირებადი მცირე საწარმოების მოგების წილის (ან გაყიდვათა მოცულობის) ხარჯზე და სხვა.

თავიდან ბიზნეს-ინკუბატორების გაჩენა დაკავშირებული იყო ინოვაციურ მოღვაწეობასთან. შემდეგ პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მნიშვნელოვანი შედეგების მიღება საჭიროებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, რაც საშუალებას იძლევა, ეფექტიანად იქნეს გამოყენებული მცირე საწარმოთა პოტენციალი ადგილებზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების გადასაწყვეტად.

განვითარებულ ქვეყნებში ბიზნეს-ინკუბატორების წარმატებული საქმიანობა განპირობებულია იმით, რომ ამ სტრუქტურის ჩარჩოებში ხდება მცირე საწარმოთა ისეთი ფუნქციების კოოპერირება, რომელთა რეალიზაციაზე დამოკიდებულია საწარმოთა მყარი აღორძინება. როგორც წესი, ბიზნეს-ინკუბატორი ზემოჩამოთვლილი მომსახურებების გარდა, ერთიან საბუღალტრო აღრიცხვასაც ახორციელებს და წარმოადგენს მცირე საწარმოთა ინტერესებს სახელმწიფო სტრუქტურებში.

საგულისხმოა, რომ ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა შესაძლებელია სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, მათ შორის როგორც არაკომერციული არამომგებიანი ორგანიზაციის სახით. შემოსავლები ფორმირდება მათ მიერ გაწეული დანახარჯების შემდეგ (მომუშავე პერსონალის სახელფასო ანაზღაურება, იჯარა, კრედიტებზე გადასახადები და სხვა). ბიზნეს-ინკუბატორების დამფუძნებლად შეიძლება გამოვიდნენ: ადგილობრივი ადმინისტრაცია, დასაქმების სამსახურის რეგიონული განყოფილებები, ახალგაზრდული გაერთიანებები და ა.შ.

კონკურენციის საფუძვლებზე ბიზნეს-ინკუბატორში ერთიანდება 10-30 განსახვავებული პროფილის მცირე ფირმა საკუთარი პროექტების რეალიზაციის მიზნით. დასაწყისში ბიზნეს-ინკუბატორების განვითარება ძირითადად ინოვაციურ მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული, შემდგომი წლების გამოცდილება კი ადასტურებს ამ სტრუქტურებში დაბალი და საშუალო დონის ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობას. ეს საშუალებას იძლევა, წარმატებით იქნეს დაძლეული დასაქმების და მოსახლეობის შემოსავლების ამაღლების პრობლემა.

ყურადღებას იმსახურებს ბიზნეს-ინკუბატორის შექმნის ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საკითხები. როგორც პრაქტიკა ადასტურებს, ბიზნეს-ინკუბატორების პროექტების უმეტესობის საერთო ნაკლია კონცეფციასა და ბიზნეს-გეგმას შორის გამყოფი ზღვრის უქონლობა.

საქართველოს პერსპექტივაში ბიზნეს-ინკუბატორების განვითარება ორი სახით არის შესაძლებელი:

1. მსხვილ საწარმოთა ბაზაზე. ამ შემთხვევაში ძირითადი ძალისხმევა წარიმართება ტრადიციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რაც საშუალებას მისცემთ, საწყისი მინიმალური ინვესტიციების ხარჯზე უზრუნველყონ სწრაფი უკუგება, ხოლო შემდეგ კი მიაღწიონ მცირე საწარმოთა შემდგომი თაობების ინტენსიურ განვითარებას;

2. არსებული სასწავლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბაზაზე (სხვადასხვა დაქვემდებარების), სადაც ჰყავთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. ასეთ ბიზნეს-ინკუბატორებში რეალიზდება ინოვაციური მიმართულების პროექტები.

პერსპექტივაში, სავარაუდოდ, ბიზნეს-ინკუბატორების ქსელი შეიძლება მკვეთრად გაფართოვდეს და გავრცელდეს მთელ რიგ სფეროებში. კერძოდ, შეიძლება ისინი ჩამოყალიბდნენ პროფილური მიმართუ-

ლებებით – საყოფაცხოვრებო და საწარმოო მომსახურების სფეროში, მშენებლობაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ხელოსნობაში და ა.შ. მსხვილი საწარმოების ფარგლებში. წვრილი ბაზრების, სავაჭრო ქსელების, საიჯარო ბაზრების განვითარებაში და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ქადაგიშვილი ლ.** განვავითაროთ მცირე ბიზნესი ბიზნეს-ინკუბატორების მეშვეობით. ჟ. ეკონომიკა, №9-10, 2003.
2. **Карминский А. М., Оленев Н И., Примак А. Г., Фалько С. Г.** Контроллинг в бизнесе. Методологические и практические основы построения контроллинга в организациях. - М., Финансы и статистика, стр. 256, 1998.

Rostiashvili Tamar
Soselia Maia

SOME PRACTICAL ASPECTS OF SMALL AND MIDDLE BUSINESS SUPPORT

SUMMARY

At the business market of Georgia there is increasing demand for advisory services, covering management, marketing, financial-investment, legal and other issues. Business consultations should ensure proper relation of the knowledge and skills, ex-

isting within the scopes of educational trainings, to assist the entrepreneurs in avoiding undesirable cases;

Within the scopes of the business infrastructures the program of business consulting should be developed, implying creation of partnerships of the independent audit and consulting firms;

The state should formulate the norms of behavior of the entrepreneurs, acceptable for the democratic society. On his side, the professional entrepreneur should be sure in that his work is beneficial, not only for himself, but for the society and for the state.

მაია სეთური

მარკეტინგის მართვის ზოგიერთი ასპექტის შესახებ

მარკეტინგის მართვა მოიცავს მარკეტინგის ანალიზს, დაგეგმვას, გეგმების რეალიზაციას და კონტროლს. მარკეტინგის მართვას, ანუ მარკეტინგ-მენეჯმენტს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც პოტენციური გაცვლის ერთი მხარე მაინც შეიმუშავებს და იყენებს საშუალებებს

სხვა მხარეებისაგან სასურველი გამოძახილის მისაღწევად. მარკეტინგის მართვა გულისხმობს იდეების, პროდუქტის და მომსახურების ფასწარმოქმნის, წინ წაწევის და განაწილების დაგეგმვისა და რეალიზაციის პროცესს, რომელიც მიმართულია გაცვლის განხორციელებისაკენ როგორც ცალკეულ ინდივიდთა, ასევე ორგანიზაციების დასაკმაყოფილებლად, რაც შეუძლებელია განხორციელდეს დიდი ძალისხმევისა და სიახლეთა დანერგვის გარეშე.

აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მარკეტინგის მართვა დამყარებულია გაცვლის ცნებაზე; მარკეტინგის მართვა მიმართულია გაცვლის თვალსაზრისით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მიზნობრივ ბაზარზე, ეს არის პროცესი, რომელიც მოიცავს ანალიზს, დაგეგმვას, გეგმების რეალიზაციასა და კონტროლს. მარკეტინგული მართვა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ ბაზარზე. მაგალითად, თუ სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი კომპანიის ვიცე-პრეზიდენტს კადრების შერჩევის ხაზით – საქმე აქვს შრომის ბაზართან, ხოლო შესყიდვების ხაზით – ნედლეულის ბაზართან, ისინი ორივენი ვალდებულნი არიან, დასახონ ამოცანები და განსაზღვრონ სათანადო სტრატეგიები ბაზრებზე სასურველი შედეგების მისაღწევად. თუმცა არც კადრების შერჩევის და არც შესყიდვების სამსახური არ შეიძლება ჩაითვალოს ბაზრის აქტიურ სუბიექტად.

ის ფირმები, რომლებიც წარმატებულნი არიან მარკეტინგის მართვაში, ლიდერები არიან ეკონომიკაში. წინასწარ გააზრებული, კონკურენტუნარიანი მარკეტინგის მართვა საბაზრო ეკონომიკას, მთლიანობაში, უფრო ეფექტური მუშაობისაკენ უბიძგებს. მარკეტინგის ეფექტიანი მართვა ხელს უწყობს როგორც საწარმოს წარმატებას, ასევე მთელი საზოგადოების კეთილდღეობაზეც ახდენს გავლენას, რომელშიც ფუნქციონირებს მოცემული კომპანია. იმის უნარი, რომ განსაზღვრო როგორ შეიძლება მარკეტინგული მართვის სრულყოფა რომელიმე კომპანიაში, შემდეგ კი განახორციელო ეს იდეები, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ბოლო წლების განმავლობაში შეიცვალა შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმართო კონკურენცია ბაზარზე. ახლა ზოგადად თვლიან, რომ კონკურენცია საწარმოო ორიენტაციიდან გადადის მომხმარებელზე ორიენტაციაში. ასეთი გადასვლა კონკურენციის გაძლიერების შედეგია. ორიენტაცია მომხმარებელზე ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს მყიდველის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

მარკეტინგის კონცეფცია, რომელიც გულისხმობს, რომ კორპორაციის ძირითადი მიზანია ფირმისათვის მოგების მიღება მყიდველთა მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი საქონლის წარმოების გზით, მომხმარებელზე ორიენტაციის ბუნებრივი განვითარებაა. მოცემული კონცეფცია აშკარას ხდის იმ ფაქტს, რომ წარმოება, გაყიდვები, მომხმარებლები არსებობენ კონკურენტულ საბაზრო გარემოში, რომელიც სულ უფრო მკაცრი ხდება.

სტრატეგიული მარკეტინგის კონცეფცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც კორპორაციის კონკურენტებთან მყარი უპირატესობების ძიების მიზანმიმართული მოქმედებები მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილების გზით. ხშირ შემთხვევაში მყარი უპირატესობა აღმოცენდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფრო მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, რომელსაც მსგავსი სიმყარე არ გააჩნია.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვანია მუდმივი ფიქრი იმის შესახებ, უფრო ეფექტიანად და შედეგიანად როგორ დავაკმაყოფილოთ ბაზარზე მომხმარებელთა საჭიროებანი. კონკურენტებით გაჯერებულ ბაზარზე მარკეტინგულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესს უწოდებენ კონკურენტულ რაციონალურობას. სიტყვა "კონკურენტული" გულისხმობს, რომ ფირმა ბაზარზე მოქმედებს სხვა კომპანიებს შორის, რომლებიც იღებენ მსგავს გადაწყვეტილებებს; "რაციონალურია" – გულისხმობს, რომ ფირმა მიისწრაფის, იყოს თანმიმდევრული მომხმარებლებთან გაცვლის ორგანიზაციაში მუდმივად განვითარებად ბაზარზე.

ყველა გამოჩენილ მეწარმეს აქვს იმის უნარი, რომ შექმნას იდეები, მართოს ისინი, გამოიყენოს ბაზრის შესახებ ფაქტები. ერთ-ერთ უპირატესობად გვევლინება ის, რომ მეწარმის შეხედულებები, პირადი მიზნები ან გეგმები პირდაპირ კავშირშია საწარმოს ინტერესებთან და განსაზღვრავენ მის ტაქტიკას. მეწარმის პირადი დაინტერესება მთელ საწარმოს მომართავს მაღალი კონკურენტუნარიანობისაკენ. სხვა შემთხვევებში, როდესაც კომპანიას არ ხელმძღვანელობს მისი დამფუძნებელი და გამრჯე დირექტორი, მას თავისი საკუთარი ინტერესების განსაზღვრის უნარი არ აქვს ხოლმე. მაშინ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი და მართვა შეიძლება არასაიმედოდ წარიმართოს.

წარმატებული მეწარმეები ქმნიან საწარმოებს, რომლებიც მათ აძლევენ საშუალებას, განახორციელონ საქონლისა და მომსახურების მასობრივი წარმოება და გაყიდვა. მეწარმის შემოქმედებითი ნიჭი მის

ენერგიასთან, გამბედაობასთან შეხამებით და უნარით, რომ უხელმძღვანელოს სხვა ადამიანებს, მას აძლევს სტრატეგიის რეალიზაციის საშუალებას. მეწარმეებს საქმიანობის მრავალი ასპექტის დაგეგმვისა და კოორდინირების უნარი აქვთ.

კონკურენტული რაციონალურობის ზოგადი თეორიის წინაპირობაა სხვადასხვა ტიპის გამყიდველებისა და მყიდველების არსებობა. ერთ-ერთი მათგანია ნოვატორები, შემდეგ უმრავლესობა იქცევა "როგორც ყველა", გვხვდებიან კონსერვატორებიც. მოთხოვნასა და მიწოდებაში ცვლილებებზე მყიდველთა და გამყიდველთა რეაქციაში განსხვავებანი ქმნის შესაძლებლობებს, რომლებიც შეიძლება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს მიზანსწრაფულმა მენეჯერმა. თუმცა, თუ ყოველი გამყიდველი შეძლებდა ნოვატორის იმიტირებას, ამ უკანასკნელს საერთოდ არ ექნებოდა არანაირი უპირატესობა.

წარმატებულ მეწარმეთათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

– მათ ბაზრის კონიუნქტურის საოცარი გრძნობა აქვთ, რაც ეხმარებათ ახალი შესაძლებლობების გამოვლენაში იქ, სადაც სხვები მათ ვერ ხედავენ ან ახალ წინააღმდეგობად მიიჩნევენ;

– ისინი შეიმუშავებენ მარკეტინგის ახალ სტრატეგიებს, საკუთარ, მეტად განვითარებულ ინტუიციაზე დაყრდნობით ბრძოლაში იწვევენ ყოფით ფილოსოფიას და მოვლენების ჩვეულებრივ მსვლელობას;

– ისინი მიდიან რისკზე მაშინ, როდესაც სხვებს მიაჩნიათ, რომ ამის გაკეთება სისულელეა; თუმცა ყველაზე მეტად მათ ბაზარზე დამარცხების ეშინიათ;

– ისინი შეპყრობილნი არიან მეტოქეობის ჟინით, არიან ყურადღებიანი წვრილმანების მიმართ და მიისწრაფიან, თუნდაც უმნიშვნელო ზომით გაასწრონ კონკურენტს ხარისხით ან ხარჯების შემცირებით;

– ისინი წვდებიან ნებისმიერი მიწოდებული სტრატეგიის არსს, გატაცებით ახორციელებენ თავიანთ მმართველობით სტრატეგიებს. როდესაც სხვებს დავალებას აძლევენ, მუდმივად ადევნებენ თვალყურს მის შესრულებას;

– მათ შეუძლიათ სწრაფად შეცვალონ თავიანთი სტრატეგიები და ამას აკეთებენ, მანამდე, სანამ მათგან არის უკუგება;

– ისინი მკაფიოდ წარმოიდგენენ, როგორი იქნება მათი შემდგომი ნაბიჯი და ა.შ. ამრიგად, მეწარმეს წარმატებისათვის აუცილებლად ესაჭიროება მარკეტინგული მიდგომისა და ხედვის გამოყენება.

იმ ციკლის თითოეული ელემენტი, რომელიც წარმოდგენილია ნახ. 1-ზე, მონაწილეობს მიზეზშედეგობრივი კავშირის რთულ კომპლექსში, რამდენადაც ციკლურ პროცესს არ აქვს დასაწყისი და დასასრული. გამყიდველის მიწოდების ხასიათი და მისი მოცულობა ცვალებადია. დროის ნებისმიერ მომენტში ზოგიერთ გამყიდველს შეუძლია შეცვალოს თავიანთი საქონელი, მომსახურება ან ტექნოლოგიური პროცესი სხვებთან შედარებით უფრო სწრაფად. გამყარებულ ბაზრებზე მიმწოდებელთა ცვლა საკმაოდ ნელა მიმდინარეობს. ხოლო სწრაფადმზარდ ბაზრებზე (მაგ., კომპიუტერების ბაზარზე), სადაც დიდ როლს ასრულებს ტექნოლოგიური სიახლეები, მიწოდებათა ცვლილების სისწრაფე მეტად მნიშვნელოვანია.

ნახაზის ზედა ნახევარი აღწერს საბაზრო სიტუაციას მაკროდონეზე, ქვედა – მიკროდონეზე, კონკრეტული ფირმის დონეზე [1]. ლოგიკური დასკვნები გამოყოფილია ისრებით. თითოეული დებულება ბაზისია მომდევნოსათვის. მაგალითად, მიწოდებაში მუდმივი ცვლილებანი იწვევს მოთხოვნის ცვლილებას, რასაც, თავის მხრივ, მივყავართ მისი ხელახალი ორიენტაციისაკენ უფრო მომგებიანი საბაზრო სეგმენტების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. ეს წარმოქმნის მისწრაფებას სეგმენტის უფრო ხარისხიანი მომსახურების გზის მოსაძებნად. უკანასკნელი გულისხმობს კვლევის გაგრძელებას, რასაც მივყავართ უფრო ეფექტიანი და სწრაფი იმიტაციისაკენ. ეს წარმოქმნის მუდმივ ცვლილებებს მიწოდებაში. სხვა უმრავლესი თეორიებისაგან განსხვავებით, კონკურენტულ რაციონალურობას არ გააჩნია წინაპირობათა ამოსავალი ნაკრები, რომლებსაც ემყარება ყველა სხვა დებულებანი. ამის ნაცვლად, ყოველი დებულება წინაპირობაა შემდგომი დებულებისათვის. კონკურენტული რაციონალურობა წარმოადგენს საქონლის ფორმების, განაწილების არხების და ქცევის საბაზრო ტიპების ინოვაცია-იმიტაციის უსასრულო ციკლების დინამიკურ თეორიას, რომელიც მუდმივად მიმართულია ეფექტიანობის და შედეგიანობის ამაღლებაზე.



ნახ. 1. კონკურენტული რაციონალურობის თეორია

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მარკეტინგის მართვის განხორციელებაში მონაწილეობდნენ ანალიტიკოსები, საქონლის წარმოების და რეალიზაციის მენეჯერები, გაყიდვების

მენეჯერები, გასაღების განყოფილების, რეკლამისა და წინ წაწევის მენეჯერები, სავაჭრო მარკის მმართველები და ა. შ. თითოეულ მათგანს კომპანიაში გააჩნია მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანები და პასუხისმგებლობა. მათი თანამდებობრივი ვალდებულებები მოიცავს მართვას სპეციალური მარკეტინგული რესურსებით, როგორიცაა მარკეტინგული კვლევები, რეკლამა და სხვა. ხოლო მარკეტინგის ვიცე-პრეზიდენტი, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მენეჯერები, მენეჯერი ბაზრის მიმართულებით, მართავენ პროგრამებს. მათი ძირითადი სამუშაოა ანალიზი, დაგეგმვა და პროგრამების რეალიზაცია. ხშირად აღნიშნავენ, რომ მარკეტინგის მენეჯერთა ძირითადი სამუშაო კომპანიის პროდუქციაზე მოთხოვნის სტიმულირებაა, თუმცა ეს მეტისმეტად შეზღუდული შეხედულებაა. რეალურად, მარკეტინგის მმართველი ასრულებს მარკეტინგული ღონისძიებების ძალზე ფართო სპექტრს. მარკეტინგის მართვა მიმართულია მოთხოვნის დონეზე, სტრუქტურასა და დროებით საზღვრებზე ზემოქმედებისათვის ისეთი ამოცანების შესასრულებლად, ორგანიზაციამ დასახულ მიზანს რომ მიაღწიოს.

მარკეტინგი იმართება მარკეტინგული კვლევების, გეგმების შედგენის, გეგმების რეალიზაციისა და კონტროლის ჩატარებით. ბაზრის აქტიურმა სუბიექტებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილებანი მიზნობრივი ბაზრების, წარმოების განვითარების, მარკის პოზიციონირების, განაწილების არხების, საფასო პოლიტიკის, საქონლის ბაზარზე წინ წაწევის და კომუნიკაციის შესახებ. როგორ განისაზღვრება კომპანიის საბაზრო ორიენტაცია? როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს ორგანიზაციის, მომხმარებლების, საზოგადოების ინტერესები? არცთუ იშვიათად, ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტებს. მარკეტინგის მართვის საფუძველი სოციალურად საპასუხისმგებლო საქმიანობის კარგად გააზრებული ფილოსოფია უნდა იყოს. ორგანიზაციებს შეუძლიათ, ხუთი კონცეფციიდან მარკეტინგის მართვას საფუძვლად დაუდონ რომელიმე მიდგომა. ეს გადაწყვეტილება კი მათი ძირითადი ფილოსოფიის განმსაზღვრელი ხდება.

მარკეტინგის კონცეფციის ძირითადი დებულებანი ჩამოყალიბდა 1950-იანი წლების შუა პერიოდში. თანამედროვე ეკონომიკურ სისტემებში კი გამყიდველებს თითოეული კლიენტისათვის უხდებათ ბრძოლა. როცა კომპანია Sony-მ fleieris Walkman წარმოება დაიწყო, იგი შეკვეთებით აავსეს. ეს იყო მარკეტინგული ძალისხმევით "სწორი" პროდუქტის შექმნის შედეგი. დღეისათვის კომპანიებს ახალი შესაძლებლობები

გაუჩნდათ, რომელთაც შეუძლიათ შეცვალონ მათი მიდგომა მარკეტინგული საქმიანობისადმი. მარკეტოლოგები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ საჭიროებას, ყოვლისმომცველ და კარგად გამართულ მიდგომაზე, რომელიც არ იქნება შემოსაზღვრული მარკეტინგული კონცეფციის მხოლოდ ტრადიციული პრინციპებით. ერთიანი (ქოლისტიკური) მარკეტინგის კონცეფცია დამყარებულია მარკეტინგული პროგრამების, პროცესების და ღონისძიებების დაგეგმვაზე, შემუშავებასა და დანერგვაზე მათი ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით [2]. იგი აღიარებს, რომ მარკეტინგულ საქმეში მნიშვნელოვანია ყველაფერი და ხშირად აუცილებელია გაფართოებული, ინტეგრირებული მიდგომა. ერთიანი მარკეტინგი ისეთი მიდგომაა, რომელშიც ცდილობენ აღიარონ და დაბალანსონ მარკეტინგული საქმიანობის განსხვავებული კომპეტენციები და სირთულეები. ერთიანი (ქოლისტიკური) მარკეტინგი ოთხ კომპონენტს მოიცავს: ურთიერთობათა მარკეტინგი, ინტეგრირებული მარკეტინგი, შიდა მარკეტინგი და სოციალურად საპასუხისმგებლო მარკეტინგი.

როდესაც კომპანიის ყველა განყოფილების სამუშაო მიმართულია კლიენტის ინტერესების სამსახურზე, ყალიბდება ინტეგრირებული მარკეტინგის სისტემა. შამწუხაროდ, შეიძლება ყველა თანამშრომელს სამწუხაროდ არ ჰქონდეს სტიმულები, კლიენტისთვის სამუშაოდ.

ინტეგრირებული მარკეტინგი ორდონიანი სისტემაა. მისი პირველი დონე სხვადასხვა მარკეტინგული ფუნქციებია: რეკლამა, მარკეტინგული გამოკვლევა, გასაღება, პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციის მართვა და ა.შ. ეს ფუნქციები უნდა იყოს ურთიერთგადაჯაჭვული, მათი შესრულება კოორდინირებული. ძალზე ხშირად, გასაღების განყოფილება წარმოების მენეჯერებს ადანაშაულებს მეტად მაღალი ფასებისათვის ან, ხშირად, რეკლამისა და სავაჭრო მარკის მმართველებს არ შეუძლიათ შეათანხმონ სარეკლამო კამპანიის ჩატარების პრინციპები. მარკეტინგული ფუნქციების კოორდინაცია უნდა განხორციელდეს კლიენტის გათვალისწინებით.

ინტეგრირებული მარკეტინგის მეორე დონეა კომპანიის ყველა განყოფილების ურთიერთშეთანხმებული მუშაობა. მარკეტინგი ეფექტიანია, როდესაც კომპანიის თითოეული მუშაკი შეიტანს პირად წვლილს კლიენტთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

კომპანია Xerox-მა შეადგინა თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლებიც თავის თავში მოიცავენ განმარტებებს, თუ როგორ ზემოქმედებს კონკრეტული მუშაკი მომხმარებელზე. Xerox-ის წარმოების მენეჯერები დარწმუნებულნი არიან, რომ მომხმარებელთა მიერ საწარმოების ნახვა ხელს შეუწყობს გასაღების ზრდას, რადგან სუფთა და მოწესრიგებული საამქროების დანახვა მომხმარებელს ნდობას უნერგავს პროდუქციის ხარისხის მიმართაც. კომპანიის წარმატებისათვის აუცილებელია ყველა განყოფილების გუნდური მუშაობა.

ყველა განყოფილების გუნდური მუშაობის ხელშეწყობისათვის კომპანია ერთნაირად დიდ ყურადღებას უთმობს შიგა და გარე მარკეტინგს. გარე მარკეტინგი – ეს არის მარკეტინგი, მიმართული იმ პირებზე, რომლებიც არ მუშაობენ კომპანიაში. შიდა მარკეტინგის ამოცანაა მუშაკთა დაქირავება, სწავლება და კომპანიის თანამშრომელთა სტიმულირება მომხმარებელთა მაღალ დონეზე მომსახურებისათვის. შიდა მარკეტინგი წინ უნდა უსწრებდეს გარე მარკეტინგს, რადგან აზრი არ აქვს, მომხმარებელს შევპირდეთ მომსახურების მაღალ დონეს, თუ თავად კომპანიის თანამშრომლები არ არიან მზად მის უზრუნველსაყოფად.

მარკეტინგზე ორიენტაციისაკენ პროცესში კომპანიებმა უნდა გადალახონ ორგანიზაციული წინააღმდეგობა. კომპანიის ზოგიერთი განყოფილება (ჩვეულებრივ, საწარმოო, საფინანსო, კვლევითი) ეჭვის თვალით უყურებს მარკეტინგის ხელახალ ორგანიზაციას. ისინი თვლიან, რომ მარკეტინგის ფუნქციის გაძლიერება ორგანიზაციაში მათი გავლენის დაქვეითებას გამოიწვევს.

თავდაპირველად, მარკეტინგი აღიქმებოდა, როგორც რამდენიმე ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ფუნქციიდან ერთი ფუნქცია.



ა) მარკეტინგი, როგორც ერთი ფუნქცია რამდენიმე ფუნქციას შორის

პრობლემებმა გასაღების სფეროში მიგვიყვანა იმასთან, რომ მარკეტოლოგებს უნდა დაემტკიცებინათ თავიანთი სამუშაოს მთელი მნიშვნელობა.



ბ) მარკეტინგი, როგორც მნიშვნელოვანი ფუნქცია სხვა ფუნქციებს შორის

რამდენიმე ენთუზიასტი მარკეტოლოგი უფრო მეტად აფასებს მარკეტინგს და ამტკიცებს, რომ მარკეტინგი კომპანიაში ძირითადი ფუნქციაა. ისინი მიიჩნევენ, რომ რადგანაც მომხმარებლების გარეშე არ არსებობს თავად კომპანია, ამიტომ მარკეტინგი უნდა იყოს მისი საქმიანობის ცენტრში. ყველა დანარჩენი სამსახურები მოწოდებულნი არიან, უზრუნველყონ იგი.





გ) მარკეტინგი, როგორც ძირითადი ფუნქცია

მსგავს შეხედულებებს არ ეთანხმებიან, არამედ ეწინააღმდეგებიან კიდეც, კომპანიების დანარჩენი მენეჯერები. ამიტომ, ზოგიერთი მარკეტოლოგი განსხვავებული სახით წარმოადგენს მარკეტინგის მნიშვნელობას კომპანიაში. ისინი ცენტრალურ და ძირითად მნიშვნელობას ანიჭებენ მომხმარებელს.



დ) მომხმარებელი ასრულებს კონტროლის ფუნქციას

ამ შემთხვევაში ძირითადი ყურადღება ექცევა ორიენტაციას მომხმარებელზე. როცა კომპანიის ყველა ფუნქცია, ურთიერთქმედებაში, მიმართულია მომხმარებელთა მომსახურებასა და დაკმაყოფილებაზე.

ზოგიერთი მარკეტოლოგის შეხედულებით, მომხმარებელთა საჭიროებანი შეიძლება იყოს გაცნობიერებული და ეფექტიანად დაკმაყოფილებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მარკეტინგის განყოფილებას კომპანიაში ცენტრალური როლი განეკუთვნება. ამ შემთხვევაში მომხმარებელი კონტროლის ფუნქციას ასრულებს მარკეტინგის ინტეგრირებული ფუნქციიდან.



ე) მომხმარებელი ასრულებს კონტროლის ფუნქციას მარკეტინგის ინტეგრირებული ფუნქციიდან

მარკეტინგის სასარგებლოდ მრავალი არგუმენტის არსებობის მიუხედავად, ორგანიზაციების ბევრი ხელმძღვანელის დარწმუნება ვერ ხერხდება. ორგანიზაციულად წინააღმდეგობა ყველაზე ძლიერია იმ

სფეროებში, რომლებშიც კომპანიები პირველად ეჯახებიან მარკეტინგის აუცილებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Питер Р. Диксон**. Управление маркетингом, перевод с англ., М, ЗАО «Издательство БИНОМ», 1998.
2. **Ф. Котлер, К. Л. Келлер.** Маркетинг - менеджмент, экспресс-курс, 3-е издание, перевод с англ., изд. «ПИТЕР», 2008.

Seturi Maia

SOME ASPECTS OF MARKETING MANAGEMENT

SUMMARY

Under conditions of transition to the market economy it is important to define the role and the position of marketing in the firms. A marketing orientation means trying to carry out the marketing concept. The marketing management process is the process of planning marketing activities, directing the implementation of the plans and controlling these plans. Planning, implementation and control are basic jobs of all managers. The control job provides the feedback that leads managers to modify their marketing strategies. A marketing strategy sets a target market and marketing mix. There are some opinions about the importance of marketing in the firms. The role and the position of marketing in the firms grow**.**

ნატო კაკაშვილი

ლიზინგის განვითარება საქართველოში

საქართველოში სალიზინგო ურთიერთობების განვითარება დაიწყო 1997 წლიდან. სალიზინგო ურთიერთობების საკანონმდებლო რეგულირების შემოღებამდე გარკვეული სალიზინგო ოპერაციები ხორციელდებოდა. მაგალითად, 1997 წლის 8 აპრილს იაპონიისა და საქართველოს მთავრობებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის თანახმად, იაპონიის მხარემ გამოგვიყო უსასყიდლო დახმარება. გრანტის მოცულობა შეადგენდა 4 მილიონ დოლ. მომდევნო წლებში სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობისათვის ასევე ჩინეთმა და საბერძნეთმა გამოგვიყო გრანტი.

საქართველოში სალიზინგო საქმიანობას არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-580 მუხლები და საქართველოს კანონი – "სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ", რომელიც მიღებულ იქნა 2002 წელს.

ამ კანონის თანახმად, ლიზინგი არის ლიზინგის საგნის გამცემის მიერ, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ლიზინგის საგნის მესაკუთრისაგან ან მწარმოებლისაგან ლიზინგის საგნის შეძენა (ან მისი დამზადება) ლიზინგის საგნის მიმღებისათვის დროებით ფასიან სარ-

გებლობაში გადაცემის მიზნით, მისი გამოსყიდვის უფლებით ან ვალდებულებით. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია, ლიზინგის მიმღებს გადასცეს სარგებლობაში განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით. ლიზინგის მიმღები ვალდებულია, გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით

საქართველოში, დღესდღეობით, ფინანსური ლიზინგის ფორმებიდან გავრცელებულია შემდეგი:

- პირდაპირი ლიზინგი – გამცემი თვითონ არის ლიზინგის საგნის მესაკუთრე ან მწარმოებელი;
- კომპენსაციური ლიზინგი – მიმღები ლიზინგის საზღაურს იხდის პროდუქციით;
- სერვისული ლიზინგი (სველი ლიზინგი) – ფორმა, როდესაც ლიზინგის ხელშეკრულება ითვალისწინებს გამცემის ან მის მიერ მოწვეული პირის მიერ ლიზინგის საგნის მართვას, დაზღვევას, საგარანტიო მომსახურებას, რემონტს და ა.შ;
- სუფთა ლიზინგი – ლიზინგის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს გამცემის მიერ ლიზინგის საგნის რაიმე საგნით მომსახურებას.

ლიზინგის თავისებური ნაირსახეობაა ე.წ. ქველიზინგი. ქველიზინგის ხელშეკრულება ლიზინგის ფორმის ხელშეკრულებაა, რომლის საფუძველზედაც მიმღები ლიზინგის საგანს გადასცემს მესამე პირს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მსოფლიოში მიღებულია, აგრეთვე, ლიზინგის სხვა ფორმებიც, როგორიცაა ლიზინგი დაბრუნებით და წილობრივი ლიზინგი.

მიუხედავად იმისა, რომ ლიზინგის ბიზნესი ახლახან დამკვიდრდა ქართულ ბაზარზე, იგი საკმაოდ დინამიკურად ვითარდება. თუ 2003 წლის ბოლოსათვის მთლიანი სალიზინგო გარიგებების მოცულობა 200 000 აშშ დოლარს არ აღემატებოდა, 2004 წლის მონაცემებით, ამ ციკლმა 3 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ "საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის" ფარგლებში ჩატარებული კვლევის თანახმად, ფიქსირებული აქტივების შეძენაზე ჯამური მოთხოვნა საქართველოში 2004 წლის განმავლობაში 383 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა. ლიზინგის პოტენციური ბაზარი 2004 წლისათვის იყო 22-24 მლნ. აშშ დოლარი, მაშინ, როდესაც ამ მოცულობის მხოლოდ 10% იყო ათვისებული.

საქართველოში დღესდღეობით მოქმედებს 3 მსხვილი სალიზინგო კომპანია: “თიბისი ლიზინგი”, “საქართველოს სალიზინგო კომპანია” და “სტანდარტ ლიზინგი”. ამჟამად “თიბისი ლიზინგს” უკავია საქართველოს სალიზინგო ბაზრის 70%, “საქართველოს სალიზინგო კომპანიას” – 29%, ხოლო “სტანდარტ ლიზინგს” – 1%.



“თიბისი ლიზინგი” დაფუძნდა 2003 წლის 24 სექტემბერს სს “თიბისი ბანკის” მიერ. კომპანიამ აქტიური ოპერაციების განხორციელება დაიწყო 2004 წლის იანვრიდან. სს „თიბისი ლიზინგი” სთავაზობს თანამშრომლობას სხვადასხვა ტიპის ძირითადი საშუალებების მომწოდებლებს მათ მიერ იმპორტირებული მოწყობილობების ლიზინგით გაცემის ფინანსირებაში. ამ უკანასკნელთან ურთიერთობა საშუალებას მისცემს მომწოდებლებს, გააფართოონ კლიენტურის ბაზა – მათი მოწყობილობები ხელმისაწვდომი გახდება იმ კომპანიებისათვის, რომელთაც მთლიანი ღირებულების 20-30%-ზე მეტი თანხა არ გააჩნიათ ან არ უნდათ საკუთარი საბრუნავი სახსრების შემცირება. კომპანია მუშაობას წარმართავს პრინციპულად ახალი სალიზინგო პროექტების დასანერგად, რომელიც შესაძლებლობას მისცემს კლიენტებს, შეამცირონ ყოველთვიური გადასახდელები: ლიზინგის ვადის განმავლობაში კლიენტი გადაიხდის მხოლოდ საგნის ღირებულების ნაწილს და პერიოდის ბოლოს საშუალება ექნება, დააბრუნოს მოძველებული ლიზინგის საგანი

და სარგებლობაში მიიღოს ახალი. 2004 წლის სექტემბერში "თიბისი ლიზინგმა" ხელშეკრულება გააფორმა "ADVANTAGE"-თან, ამ პროგრამის კლიენტი კომპანიების ფინანსირებაში თანამშრომლობის თაობაზე. "ADVANTAGE" წარმოადგენს USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროექტს, რომლის მიზანია ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა.

„თიბისი ლიზინგის" მომსახურებით სარგებლობს მრავალი კომპანია.

2006 წლის მონაცემებით, "თიბისი ლიზინგის" ჯამური სალიზინგო პორტფელი 8 მლნ. დოლარს აღემატება და დაფინანსებულია 90-ზე მეტი პროექტი.

"თიბისი ლიზინგის" კომპანიის აქტიურობას მოწმობს ის ფაქტი, რომ იგი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მათი უშუალო დახმარებით უკავია საქართველოში დომინანტი პოზიცია.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) მიიღო გადაწყვეტილება სალიზინგო კომპანია „თიბისი ლიზინგის" აქციათა 10%-ს შესყიდვის თაობაზე. ეს EBRD-ის პირველი ინვესტიციაა საქართველოს სალიზინგო სექტორში. EBRD-მა სს „თიბისი ლიზინგს" 3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი გამოუყო. აღნიშნული ინვესტიცია ხელს შეუწყობს არა მარტო „თიბისი ლიზინგის" წარმატებულ მოღვაწეობას და კომპანიის ეფექტურობის ზრდას, არამედ იგი მნიშვნელოვნად დაეხმარება ახლადწარმოქმნილი ქართული სალიზინგო ბაზრის განვითარებას. EBRD-ის სესხი 5 წლიანია, რაც უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს „თიბისი ლიზინგს", განახორციელოს სალიზინგო პროექტები კერძო, მცირე და საშუალო ზომის ქართულ კომპანიებთან.

საწარმოებს შორის ლიზინგზე მოთხოვნა „თიბისი ლიზინგის" პორტფელში ასეა გადანაწილებული: კლიენტების 15% – წვრილი საწარმოებია, 55% – საშუალო ზომის, 30% კი – მსხვილი კომპანიები.

„საქართველოს სალიზინგო კომპანია" დაარსდა 2001 წელს, ხოლო 2002 წელს დაიდო პირველი სალიზინგო ხელშეკრულება. დაფინანსებულია 50 პროექტი და ჯამური პორტფელი შეადგენს 10 მლნ. დოლარს. "საქართველოს სალიზინგო კომპანიამ" მომსახურება გაუწია კომპანია "რეზონს", რომელიც პოლიგრაფიულ პროდუქციაზე მუშაობს. ამ უკა-

ნასკნელმა ლიზინგით შეიძინა გერმანული დანადგარი, რომელმაც გაუზარდა კომპანიას დამკვეთებიც და კაპიტალბრუნვაც.

საზღვარგარეთის კერძო ინვესტიციების კორპორაციამ (OPIC) ერთი მილიონი დოლარის ოდენობის სესხი გამოუყო საქართველოს სალიზინგო კომპანია GLC-ს, რომელიც ნაწილობრივ ორი ამერიკელის საკუთრებაა, თბილისში მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის განკუთვნილი სალიზინგო პორტფელის გასაფართოებლად.

გარდა ამ კომპანიისა, არსებობს სალიზინგო კომპანია "სტანდარტ ლიზინგი," რომელიც ჯერ არ ფუნქციონირებს. მის პროექტში შედის სოფლის მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღება ლიზინგის მეშვეობით.

დღეს საქართველოში მოქმედი სალიზინგო კომპანიები აფინანსებენ ისეთ დარგებს, როგორიცაა: მშენებლობა, ჯანდაცვა, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, ვაჭრობისა და წარმოების, ტურიზმის, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ბეჭდვისა და პოლიგრაფიის სფეროები.

ლიზინგის ერთ-ერთი სახეა მიკროლიზინგი. მიკროლიზინგი მცირე საწარმოების დაფინანსების მნიშვნელოვანი მექანიზმია მთელ მსოფლიოში, რადგანაც ლიზინგის შინაარსიდან გამომდინარე, კარგად ესადაგება მიკროსაფინანსო ინდუსტრიას. განვითარებადი ქვეყნების მრავალი საფინანსო ინსტიტუტი კლიენტებს სთავაზობს ახალ მიკროსალიზინგო ოპერაციებსაც, რომელიც წარმოადგენს მოქნილ მექანიზმს მცირე მასშტაბის მანქანა-დანადგარების შესაძენად. ლიზინგის გამოყენებით მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს შეუძლიათ მეწარმეებს გაცილებით გრძელვადიანი დაფინანსება შესთავაზონ და გაზარდონ მათი კრედიტუნარიანობა. იქიდან გამომდინარე, რომ ლიზინგი დაფუძნებულია საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობაზე და არა აქტივების ან კაპიტალის ბაზის არსებობაზე, მეწარმეებს ეძლევათ საშუალება, მცირე ფინანსური რესურსით დაიწყონ ოპერირება და ეტაპობრივად გაზარდონ წარმოების მასშტაბები. მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს, შესაბამისად, შეუძლიათ ფულადი სახსრების მოძრაობის სწორი დაგეგმვით შეამცირონ თავიანთი საოპერაციო და პროცედურული დანახარჯები სალიზინგო პერიოდის განმავლობაში. რისკებთან მიმართებაში მიკროლიზინგი მიკროსესხთან შედარებით ნაკლებად რისკიანია, რადგანაც ლიზინგით შეძენილ დანადგარზე საკუთრება მეწარმეს გადაეცემა მხოლოდ ლიზინგის პერიოდის დამთავრების შემდეგ.

მცირე კომპანიებს ტრადიციულად აქვთ ინვესტიციების მოზიდვის პრობლემა ნებისმიერ ქვეყანაში, რაც ადიარებული ფაქტია მთელ მსოფლიოში. დიდი კომპანია უფრო ადვილად მოიზიდავს დაფინანსებას მის ხელთ არსებული გირაოს წყალობით. ამ პრობლემის გამო ქართული დამწყები კომპანია ძალიან ჰგავს უცხოურს. მაგრამ, საქართველოსა და განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებს შორის განსხვავება ისაა, რომ განვითარებულ სამყაროში დაფინანსების მოძიება გაცილებით მარტივია მათი მრავალფეროვნების გამო.

უცხოურმა კომპანიებმა შეიძლება დაფინანსება დამწყებ კომპანიებზე ორიენტირებული საინვესტიციო ჯგუფებისაგანაც მოიზიდონ, ასევე დიდია მათი საინფორმაციო ბაზა და ინვესტორებთან თუ სხვა საფინანსო მექანიზმების წყაროებთან მათი ურთიერთობა, სხვადასხვა ტექნიკური თუ ადამიანური რესურსების გამო, გაცილებით გამარტივებულია. საქართველოში დაფინანსების წყაროების რიცხვი მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ასეთ პირობებში ბაზარზე დაფინანსების მოზიდვა გაცილებით უფრო ძვირია და დიდ დროს მოითხოვს. ამ შემთხვევაში ლიზინგის, როგორც დაფინანსების ალტერნატიული წყაროს, გამოჩენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიზინგი არის ფულად სახსრებზე დაფუძნებული სესხების მექანიზმი, განსხვავებით აქტივებზე დაფუძნებული სესხებისა, რომელიც, თავისი შინაარსით, ნაკლებად რისკიანია და ამის გამო მისი მოზიდვა უფრო იაფია კომპანიებისათვის. იგი განსაკუთრებით ეფექტიანია კერძო სექტორის წინაშე არსებული ისეთი ბარიერების წინააღმდეგ, როგორებიცაა გირაოს მოთხოვნა, მაღალი საპროცენტო განაკვეთი და საშუალოვადიანი დაფინანსების მოზიდვა. აქედან გამომდინარე, ქვეყნები, სადაც ლიზინგი კარგად არის განვითარებული, ხასიათდებიან სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოთი. ასეთ ქვეყნებში ლიზინგი არის დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმი, რისი მეშვეობითაც ისეთი ბიზნესის დაფინანსება ხდება, რომლებიც ტრადიციული მიკროსაფინანსო მიდგომისთვის მიუწვდომელი იყო.

საქართველოში რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სტრატეგიულად ამუშავებს სალიზინგო მომსახურების დანერგვის პრინციპებს. ამ ორგანიზაციათა რიცხვს მიეკუთვნება ფონდი "კონსტანტაც", რომელიც ძალზე დაინტერესებულია წვრილი და მცირე მეწარმეებისათვის მიკროსალიზინგო მომსახურების შეთავაზებით.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის მონაცემებით, საქართველოში პოტენციური სალიზინგო ბაზარი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია და 20 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ამ შეფასებას საქართველოს მთავრობაც იზიარებს და, თავის მხრივ, სალიზინგო შესყიდვებისათვის შედავათიან საგადასახადო პირობებს სთავაზობს.

სალიზინგო სამსახურების განვითარებას საქართველოში შემდეგი ფაქტორები მოწმობს:

1. სახელმწიფოს მოკლევადიან სახაზინო ვალდებულებათა ბაზარზე შემოსავლების თანდათანობითი კლების ტენდენცია;
2. ბანკების მიერ სალიზინგო ოპერაციების მიხედვით უფრო იაფი კრედიტების მიღების შესაძლებლობა დასავლეთის ბანკებში;
3. არსებული საწარმოო საშუალებების მორალური და ფიზიკური სიძველე, რაც ლიზინგის ფართოდ განვითარების საშუალებას იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაზეთი "ბანკები და ფინანსები", №136, თბ., 2006.
2. ბიულეტენი "ლიზინგი", №2, თბ., 2004.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997.
4. საქართველოს კანონი – "სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ", თბ., 2002.
5. www.internet.ge
6. www.afba.ge
7. www.economics.ge
8. www.parliament.ge

Kakashvili Nato

DEVELOPMENT OF LEASING IN GEORGIA

SUMMARY

Leasing service market is one of the most dynamic markets. The greatest part of industrial capital investment is carried out based on a leasing. The widest utilization of leasing took place in the field of producing the quickly developing technologies and calculating technique, automobile means and electronic equipment.

Potential leasing market in Georgia is most important for a little and middle size enterprises with international finansial corporation data and amounts to 20 million USD. The estimation is shared by goverment of Georgia too and offers preferential tax terms for leasing purchases.

Leasing preferences are as follows: a) additional provision of real and personal estate is not requested. Subject of a leasing in the meaning of provision isself. b) **Consultations.** Experts help to a client in the organization of purchase process: within the relation with supplier, transport and insurance company, in customs structures. c) **Simple procedures**. Procedure of making an agreement of financial leasing is simple and it is not connected with financial charges.

Leasing service has a great future in Georgia. This is certifited by four basic factors:

1. Low level of the planned inflation;
2. Tendency of gradual reduction of incomes on the short-term treasure obligatory market of the country;
3. Possibility of receiving cheaper credits in Western banks in accordance with leasing operations by banks;
4. Moral and physical antiquity of current industrial means, which gives us possibility to develop the leasing widely.

ნინო მიქიაშვილი
ეკატერინე მეყანწიშვილი

ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოების ურთიერთკავშირის შესახებ

ეროვნული უსაფრთხოების დაცვა ქვეყნის დამოუკიდებლობის უპირველესი გარანტიაა. ეროვნული უსაფრთხოება რამდენიმე მდგენელისგან შედგება. ესენია: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სოციალური, ეკოლოგიური, რელიგიური, ტერიტორიული, ეთნიკური და ა. შ. უსაფრთხოება. მათ შორის, შეიძლება ითქვას, საკვანძო ადგილი ეკონომიკურ უსაფრთხოებას უჭირავს. იგი უნისონში უნდა მოვიდეს სხვა სახის უსაფრთხოებასთან და საერთო მიზნის, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურებოდეს. ამ შემთხვევაში ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და, გარკვეულწილად, უსაფრთხოების ერთი მიმართულება სხვა მიმართულებებს ავსებს და პირიქით.

უსაფრთხოების ამა თუ იმ მდგენელის განხილვა შეუძლებელია მისი ეკონომიკური ასპექტის გაუთვალისწინებლად. ეკონომიკამ ქმედუნარიანობა უნდა გამოავლინოს იმისდა მიუხედავად, რა სახისა და ზომისაა შიდა თუ გარე საფრთხეები. ასე მაგალითად, სამხედრო უსაფრთხოების მიღწევა და შენარჩუნება სუსტი და არაეფექტიანი ეკონომიკის პირობებში ვერ მოხერხდება, მის განხორციელებას ეკონომიკური მხარდაჭერა ყოველთვის სჭირდება.

თანდათან მეტ სიმწვავეს იძენს ქვეყნის ტრადიციების დაცვა, რადგან პირდაპირ თუ ირიბად ამ სფეროშიც ექსპანსია ხორციელდება. სწორედ ამიტომ, თანამედროვე პირობებში აქტუალურია ქვეყნის უსაფრთხოების მიღწევა, შენარჩუნება და დაცვა.

ტერმინი „ეროვნული (ნაციონალური) უსაფრთხოება“ ჩამოყალიბდა აშშ-ში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, იქვე შემუშავდა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. აღნიშნული კონცეფცია საფუძლად დაედო სახელმწიფო უსაფრთხოების დოქტრინას. **ეროვნული უსაფრთხოება** გულისხმობს ძირითად ამოცანათა ერთობლიობას, რომლებზეც ორიენტირებული უნდა იყოს ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება.

ეკონომიკური, ისევე, როგორც სხვა სახის უსაფრთხოება, განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება.

ქვეყნის **ეკონომიკური უსაფრთხოება** ნიშნავ ეკონომიკის სტაბილური და მდგრადი განვითარების უზრუნველმყოფი პირობების შექმნას სხვადასხვა სახის საშიშროების თავიდან აცილების (ან უკიდურეს

შემთხვევაში, მათი მოქმედების უარყოფითი შედეგების მინიმალური დანაკარგებით ლიკვიდაციის) მიზნით. ამჟამად ეკონომიკური უსაფრთხოება ზოგადეროვნული ხასიათის ღონისძიებების კომპლექსია, რომელიც ქვეყნის მდგრად განვითარებასა და ეკონომიკის სრულყოფას ისახავს მიზნად.

სახელმწიფო მექანიზმის საშუალებით ისეთი ინსტრუმენტები უნდა შემუშავდეს და ამოქმედდეს, რომელთა გამოყენებითაც ეკონომიკური უსაფრთხოების მაღალი დონე მიიღწევა. აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით რთულია იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც რეალური დამოუკიდებლობაც მოსაპოვებელი აქვთ და ეკონომიკურ პოლიტიკასაც აყალიბებენ.

ეკონომიკის მდგრადი განვითარება, ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდა ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანებია და შესაბამისად, მის შინაარსსაც განსაზღვრავს. რაც შეეხება ეკონომიკურ უსაფრთხოებას, იგი, მართალია, ზემოაღნიშნული ამოცანების ხელშემწყობი პირობაა, მაგრამ მას გააჩნია თავისი კონკრეტულად გამოხატული მიმართულებები, რომელთა შორის მთავარია ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვა და ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ფაქტორებთან დამოკიდებულების ხარისხის მინიმუმამდე დაყვანა. თავის მხრივ, ეროვნული ეკონომიკური ინტერესები „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების" შემადგენელი ნაწილია და მიმართულია საკუთარი ეკონომიკური პოტენციალის პრიორიტეტული გამოყენებისაკენ. სქემატურად ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან ეკონომიკური ინტერესების კავშირურთიერთობები შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

სქემა



ე.ი. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს ეკონომიკური უსაფრთხოება, რის შემდეგაც დაკონკრეტდეს ზოგადად ეკონომიკური და საგარეო ეკონომიკური ინტერესები, მათი შეჯერებით კი შემუშავდეს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა.

საქართველოში, მიუხედავად ეკონომიკის სფეროში გარკვეული წარმატებებისა, მდგომარეობა მაინც საკმაოზე მეტად მძიმეა: მაღალია უმუშევრობის დონე, დაბალია მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის შემოსავლების სიდიდე, პროდუქციის ბევრი სახეობის წარმოების დონე კრიტიკულამდეა დაცემული, მძიმე მდგომარეობაა არამატერიალური წარმოების დარგებშიც და ა.შ.

წარსულის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ინერცია ჯერ კიდევ არაა შეჩერებული და როცა მას ახალი უარყოფითი მუხტის მქონე პროცესები ემატება, მდგომარეობა კრიტიკულ ზღვრამდე შეიძლება მივიდეს, თუ მისული არაა. განზოგადებული ნეგატიური პროცესების ხანგრძლივ პერიოდში დაუძლეველობამ წარმოქმნა ისეთი მუქარისებური ფაქტორები, როგორებიცაა: ქვეყნის საწარმოო პოტენციალის მოძველება; რეალური სექტორის სტაგნაცია-განუვითარებლობა; საბიუჯეტო კრიზისის გაღრმავება; დაბალი ინოვაციური და ინვესტიციური აქტივობა; პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა; მოსახლეობის სიღარიბის მაღალი დონე და ცხოვრების დაბალი ხარისხი და სხვ.

ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგია აუცილებლად შესაქმნელია, თანაც ისე რომ მის შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქართველ ეკონომისტთა იმ ნაწილმა, რომელსაც ეროვნული ინტერესები გათავისებული და გააზრებული აქვს. ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სფეროებში ეროვნული ინტერესების დაცვა აღარ უნდა იყოს ირონიის და დაცინვის საგანი გარკვეული სტუქტურებისა და პირების მხრიდან და ამ საკითხს მთელი სერიოზულობით უნდა მიუდგეს როგორც სახელმწიფო აპარატი, ასევე საზოგადოების ყველა ფენა. პოლიტიკოსებმა, ეკონომისტებმა, დემოგრაფებმა და სხვა დარგის მეცნიერებმა ქვეყნის მოსახლეობისთვის მისაღები და გასაგები კონცეფცია უნდა შეიმუშაონ, რომლის განხორციელებაზე პასუხიმგებლობა და კონტროლი დაზუსტებული და დაკონკრეტებული იქნება.

ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის აქტუალობა გამოწვეულია მასშტაბური საფრთხეებით, რომლებიც საქართველოს ეკონომიკას ემუქრებოდა, ემუქრება და, სავარაუდოდ, მომავალშიც კარგა ხანს დაემუქრება. განსაკუთრებით აღსანიშნავია პერმანენტული ეკონომიკური კრიზისი, გრძელვადიანი შედეგებისა და პერსპექტივების გაუთვალისწინებლობა, საბაზრო სისტემის შესაბამისი ეფექტიანი ინფრასტრუქტურის ჩამოუყალიბებლობა და ა.შ.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში უკვე საკმაოდაა დაგროვილი პოზიტიური გამოცდილება ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის საქმეში, რაც საქართველომ გონივრულად და ოპერატიულად უნდა გამოიყენოს.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის დროს საკვანძო მომენტების გათავლისწინებაა აუცილებელი. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ:

- სამამულო წარმოების პროდუქციის კონკურენტურიანობის ამაღლება როგორც შიდა, ასევე საგარეო ბაზარზე;
- შიდა ბაზრის დაცვაზე ორიენტირებული საგადასახადო, საბაჟო და დოტაციური პოლიტიკის ჩამოყალიბება და გატარება;
- მობილური საფინანსო-საკრედიტო სისტემის შექმნა;
- საგარეო ვალის შემცირება და ქვეყნის დამოუკიდებელი მოქმედების არეალის გაზრდისკენ სწრაფვა;
- ეფექტიანი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება;

♦ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება როგორც სავაჭრო-ეკონომიკურ, ასევე სხვა სფეროებში და ამით ქვეყნის პრესტიჟის დაცვის უზრუნველყოფა და ა.შ.

მდგომარეობის გაუარესება რიგმა სიძნელეებმა გამოიწვია. რამდენიმე მათგანს მოკლედ შევეხებით. ესენია:

♦ საგარეო ვალი – გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან პერმანენტულად იზრდება საგარეო ვალი. თავად ვალის აღება დიდად სასურველი არაა, მით უმეტეს მაშინ, როცა უცხოეთიდან აღებული ვალები უმეტესად არადანიშნულებისამებრ გაიხარჯა. თუ მდგომარეობა ახლა, თითქმის ოცი წლისთავზე მაინც არ შეიცვალა, ეს პრობლემა თანდათან მეტ სიმწვავეს შეიძენს. კორუფცია როგორც ვალების აღების, ასევე მისი გახარჯვის პროცესშიც იჩენს თავს და ქვეყნის ეკონომიკაზე დამანგრეველი ზემოქმედება აქვს.

♦ წარმოების თვითორგანიზების დაბალი დონე – ამ მიზეზით გამოაშკარავდება უარყოფითი სინერგიის შედეგები და მისი გამომწვევი მიზეზები. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკა თითქმის არაა ორგანიზებულად მიმართული კეთილსინდისიერი მწარმოებლური შრომის გააქტიურებისაკენ. წარმოების გარე პროცესები ისე არეგულირებენ აღნიშნულ სფეროს (კანონის დარღვევითაც კი), რომ ძირითადი მიზანი პიროვნული (ინდივიდუალური) სიმდიდრის მოხვეჭა ხდება. წარმოებისადმი ასეთი მიდგომა მოსახლეობის საშუალო და ღარიბი ფენების გაღატაკებას იწვევს, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას მძიმე დარტყმას აყენებს;

♦ მეცნიერებისა და განათლების სფეროს ეკონომიკასთან რაციონალური დაკავშირება – ქვეყანაში საკმარისზე მეტი პირობაა იმისათვის, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები კეთილსინდისიერი მშრომელი ადამიანის საკეთილდღეოდ წარიმართოს, მოხდეს **შემოქმედებითი** შრომის პრესტიჟის ამაღლება. თუმცა სწორედ ეს პრესტიჟია დაკნინებული. საჭიროა მეცნიერებისა და განათლების წინა პლანზე წამოწევა. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძველი სწორედ მეცნიერებისა და განათლების სფეროში მიღწეული წარმატებების ურთიერთქმედებებმა უნდა შექმნას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში მაღალი მეცნიერული პოტენციალი ნადგურდება, საერთო ინტერესები კერძო ინტერესებს ეწირება. კერძო ინტერესები სამართლიანობის

საზღვრებს დაცილებულია და ესაა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ მოსახლეობის ფართო ფენა სიღარიბის მორევშია და ქვეყანაში კეთილსინდისიერად დასაქმებული მოსახლეობის საშუალო ფენა კი არ იზრდება, მცირდება; კიდევ უფრო მწვავდება მდიდრებისა და ღარიბების პრობლემა;

♦ უცხოური გამოცდილების გაზიარება – თანამედროვე პირობებში არ შეიძლება ფორმალურად მივუდგეთ უცხოური გამოცდილების ჩვენს რეალობაში გადმოტანას. ჯერ საჭიროა საკუთარი გამოცდილების წარმართვა და ისე ორგანიზება, რომ შესაძლებელი გახდეს ადგილობრივი სპეციფიკური პირობების შეფასება და მისი საჭიროებისამებრ გათვალისწინება. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება ეფექტიანი უცხოეთის გამოცდილების გათვალისწინება, რომელიც გლობალური ეფექტის დონეზე უნდა განიხილებოდეს და არა ვიწრო საზღვრებში ჩაიხშოს. წინააღმდეგ შემთხვევაში „ჩრდილოვანი“ ეკონომიკა გაძლიერდება;

♦ კაპიტალის გონიერი მართვა – უცხოეთიდან ვალების აღება და რაციონალური გამოყენება, ასევე საზოგადოების ინტერესების მიხედვით საწარმოთა ამოქმედება და მათ მოგებაზე ორიენტირება;

♦ შიდა ბაზარი – სამამულო ბაზრის დაცვა და უსაფრთხო პროდუქციის წარმოებისთვის ხელშეწყობა. შეიძლება პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი არ იყოს, მაგრამ სატარიფო პოლიტიკით ისეთი გარემო შეექმნას, რომ შიდა ბაზარზე კონკურენტუნარიანი გახდეს და ამით წარმოებისა და შემოსავლების დონის ზრდა მოხდეს.

სიძნელეებისა და სირთულეების დაძლევაში, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს **სამეცნიერო საზოგადოების ჩამოყალიბებას** თავისი დამახასიათებელი აღწარმოებით. იგი, როგორც მთლიანობითი სისტემა, მუდმივ ცვლილებაშია, რამდენადაც გადის განვითარების განსხვავებულ ეტაპებს. ძირითადად ამ მისიას მოსახლეობის საშუალო ფენა, უპირატესად კი სამეცნიერო ინტელიგენცია იღებს თავზე, რადგან იგი ქვეყნის სიძლიერითა და წინსვლითაა დაინტერესებული. ამდენად, იგია **ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტი.** სწორედ ამ ფენამ უნდა მოახდინოს რეალური საბაზრო სისტემისა და საზოგადოებისათვის მისაღები ეკონომიკური წონასწორობის ჩამოყალიბება.

საშუალო ფენის გაძლიერებით სახელმწიფო უზრუნველყოფს ეკონომიკური უსაფრთხოების ამაღლებასა და დაცვას, რაც საქართველოს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნად ქცევას შეუწყობს ხელს. იმედია, ახლო მომავალში ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს აღნიშნულ და სხვა სახის სირთულეებს და მსოფლიო თანამეგობრობას ღირსეულ პარტნიორად მოევლინება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **პაპავა ვ.** ნეკროეკონომიკა. მაკრომიკროეკონომიკა, №10, გვ. 10-13, 2000.

2. **Волконский В. А.** О природе кондратьевских „длинных волн”. Экономика и математические методы, т. 28, Вып.6, с. 304-315, 1992.

3. **Гутман Г. В., Лаыгин Ю. Н., Прилепский А. И.** Экономическая безопасность региона: Теория и практика. Москва, Наука, 1996.

4. **Данилов Данилъиан В. И.** Новые опасности экономического романтизма. Новый мир, Май, с. 184-198, 1990.

5. **Корнай Я.** Тенденция постсоциалистического развития (Общий обзор). Вопросы экономики, № 1, 1996.

6. **Архипов А., Городецкий А., Михайлов Б.** Экономическая безопасность: оценки, проблемы, способы обеспечения. Вопросы экономики, №12, 1994.

7. **Timer H.** Scannig the future of the Soviet union and Central Eorope 1990-2015. Project LINK Tall Meeting. September 23-27. Academy of Scieces of the USSR, Moscow, 1991.

Mikiashvili Nino

Mekantsishvili Ekaterine

SOME ASPECTS OF RELATIONSHIP BETWEEN NATIONAL

AND ECONOMICAL SAFETY

SUMMARY

Process of implementation of free market economy in Georgia give rise to chain of problems of economical safety. The authers gave review of country's economical development in last decade and its some negative consequences. Special stress is made on such economical condition, when balance (equilibrium) between demand and supply is achieved in the existance of following factors: decrease of productive potential, deepening of budget crisis, low level of innovation and investition activity, low product competitiveness, high level of population poverty and low level of living. Clearly, balance achieved on such background is formal and unstable.

Negative consequences, which can arise in the presence of nonstable economical balance and are able to create problems to country's economical safety, are discussed in the artical.

ლია დვალიშვილი

უმუშევართა დაზღვევის პრობლემები საბაზრო ეკონომიკის პირობებში

დაზღვევა თავისი წარმოშობით საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთ-ერთი უძველესი კატეგორიაა. იგი პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის პერიოდში ჩაისახა, კლასიკური ფორმა კი საბაზრო ურთიერთობების დროს მიიღო.

საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება შეუძლებელია სადაზღვევო ბაზრის გარეშე. საბაზრო ეკონომიკა, რომელიც უპირატესად პირად ინიციატივას, კერძო ინტერესს, კერძო კაპიტალის გამოყენებას ეფუძნება, უამრავ წინასწარ გაუთვლელ რისკთან არის დაკავშირებული, რომელიც, ძირითადად, საბაზრო ეკონომიკის ალბათური ბუნებიდან გამომდინარეობს. მაგ., კერძო სტრუქტურებში ხშირად ადგილი აქვს წარმოების დროებით უმოქმედობას, არაპროგნოზირებად გაჩერებას სხვადასხვა გასათვალისწინებელი მიზეზების გამო და სხვ.

დაზღვევა განპირობებულია საზიანო მოვლენის დადგომით და იგი ფასდება მისი (საზიანო მოვლენის) დადგომის ალბათობით. რაც უფრო დიდია საზიანო შემთხვევის დადგომის ალბათობა, მით უფრო მეტია ამ მოვლენასთან დაკავშირებული რისკის ხარისხი, რომელსაც აფასებს რისკის დისპერსია.

დაზღვევის არსი მდგომარეობს ცალკეული სუბიექტის სამეურნეო ერთეულის მიერ მიღებული ზარალის სხვა მრავალ სუბიექტზე გადანაწილებით მავნე შემთხვევითობის გავლენის გაუვნებელყოფაში.

დაზღვევის ეკონომიკა გვევლინება კაპიტალის შემკრებ და ინვესტიციების განმახორციელებელ ბერკეტად. გარდა რისკის გაუვნებელყოფისა, სადაზღვევო კომპანია ქვეყნის ეკონომიკას ეხმარება ბრუნვიდან

კაპიტალის საჭიროებისამებრ დიდი ნაწილის ამოღებასა და კაპიტალის ლიკვიდური აქტივების დაბანდებაში.

სადაზღვევო საქმის გაძლიერებისადმი ინტერესი საგრძნობლად მაღალია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ამით დაინტერესებულნი არიან მეწარმეები, რომლებიც ეძებენ კომერციული ინტერესების ახალ სფეროებს, რადგან ისინი დაზღვევაში ხედავენ ზარალის ანაზღაურების ეფექტიან მექანიზმს და მტკიცე შემოსავლის გარანტიას. დაზღვევით, მოსახლეობასთან ერთად, დაინტერესებულია სახელმწიფო, რადგან სამეურნეო საქმიანობის რისკის ანაზღაურება შესაძლებელი ხდება დამატებითი სახელმწიფო სახსრების გაღების გარეშე.

დაზღვევაში გავრცელებული ზოგადი პრინციპების მიუხედავად, სხვადასხვა ქვეყანაში დაზღვევის სხვადასხვა სისტემა მოქმედებს.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან, ქვეყნის სადაზღვევო სისტემამ არსებითი ხასიათის ტრანსფორმაცია განიცადა. პარლამენტმა მიიღო სახელმწიფო კანონი „დაზღვევის შესახებ", რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სადაზღვევო საქმიანობის რეფორმას. შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის საქართველოში საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა შესაბამისი სადაზღვევო სისტემის ფორმირების პროცესი მიმდინარეობს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აქტიურად ვითარდება დაზღვევის სხვადასხვა სახე. თუმცა, საქართველოში ეს პროცესი დაგვიანდა და ჯერ კიდევ სუსტია, მოსახლეობისა და საწარმოების მწირი ფინანსური რესურსების გამო. სადაზღვევო მომსახურების ასორტიმენტი ჯერ-ჯერობით ძალიან დაბალია. იგი 14 სახეობას არ აღემატება, მაშინ, როდესაც აშშ-ში დაახლოებით 3 ათასი დაზღვევის სახეობა მოქმედებს, ევროპაში 400-500, ხოლო რუსეთში 60-ზე მეტი [9].

უმუშევართა დაზღვევა არსებობს საბაზრო ეკონომიკის მქონე თითქმის ყველა ქვეყანაში. თუმცა მათი სახეები ერთმანეთისაგან განსხვავდება. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ ევროპული მოდელი, რომელიც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, შემოსავლისა და სამუშაო პირობების დაცვას იმისათვის, ვინც დასაქმებულია და, მეორე მხრივ, უმუშევართა ფართო და ზრდადი ფენისათვის საკმაო შემოსავლით უზრუნველყოფას უმუშევრობის დაზღვევის ძვირადღირებული სისტემის მეშვეობით.

დაზღვევა უმუშევრობაზე ითვალისწინებს, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, უმუშევრების მიერ ხელფასის ნაწილობრივ მიღებას. მაგ., უმუშევრობის შემთხვევაში, ტიპური ამერიკელი მუშა 26 კვირის განმავლობაში ღებულობს თავისი ბოლო ხელფასის 50%-ს. ასეთ სიტუაციაში უმუშევრები უფრო პრეტენზიული და აუჩქარებელნი არიან ახალი სამუშაოს არჩევის დროს, გაურბიან დაბალ შრომის ანაზღაურებას და არაპრესტიჟულ საქმიანობას. ეს მდგომარეობა აქვეითებს სამუშაო ძალის დაქირავების ტემპს და ერთდროულად ადიდებს უმუშევრობის ბუნებრივ დონეს. მეორე მხრივ, უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემის არსებობა მეწარმეებს საშუალებას აძლევს, შედარებით იოლად გადაწყვიტონ მუშების გათავისუფლება. ეს გარემოება კი სამუშაოდან გათავისუფლების ტემპის ზრდას იწვევს.

საბაზრო ეკონომიკა შემოსავლის განუსაზღვრელობის მნიშვნელოვანი წყაროა, თუმცა ეს სისტემა ამცირებს ამ განუსაზღვრელობის „დანახარჯებს". უფრო სპეციფიკურად, უმუშევრობის დაზღვევა „დაჯავშნულ" ხელფასს ზრდის, ასევე ხელფასის იმ დონეს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც უმუშევარი მუშები სამუშაოს მიღებას დათანხმდებიან [10, გვ. 78]. მაღალი „დაჯავშნული" ხელფასის გამო მუშები, როგორც წესი, უარს ამბობენ დაბალანაზღაურებიან ხელფასებზე, რაც, თავის მხრივ, ძებნის პროცესს ახანგრძლივებს. როგორც შედეგი, უმუშევრობის დაზღვევამ უნდა გაზარდოს უმუშევრობის ხანგრძლივობა და ასევე ხელფასი.

თითქმის ორი ათწლეულის აქტიური კვლევის შემდეგ დადგინდა კავშირი უმუშევრობის დაზღვევის სისტემას, უმუშევრობასა და ხელფასის დონეს შორის. ამერიკასა და ევროპაში უმუშევრობის შემწეობები აშკარად ზრდის უმუშევრობის ხანგრძლივობას დაუსაქმებლების მხრიდან სამუშაოს მიღების დაბალი ალბათობის გამო. აშკარაა, უმუშევრობა 1990-იანი წლების დასაწყისში მეტად მგრძნობიარე იყო დაზღვევის სისტემის მიმართ, ვიდრე 1980-იან წლებში, უფრო მეტიც, უმუშევრობა ახალგაზრდა და დაბალკვალიფიციურ მუშებში უფრო მკაფიოდ ჩანს, უმუშევრობის შემწეობის ცვლილებების შესაბამისად. აშშ-ში დასაქმება იზრდებოდა, როდესაც უმუშევართა შემწეობები მცირდებოდა, ასევე შემწეობების მატება ზრდიდა იმ ხელფასის დონეს, რომლებზეც უმუშევრები თანხმდებოდნენ.

სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში ადამიანი სოციალურად დაუცველი რჩება. „დასაქმების კანონის" თანახმად, სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, რეგისტრირებულ უმუშევარზე გასცეს შემწეობა, რომლის ხანგრძლივობა და ოდენობა განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით.

სახელმწიფო სოციალური დაცვის ღონისძიებები მიმართულია საზოგადოების განსაკუთრებით დაუცველი ფენის მხარდაჭერისაკენ. სოციალური დაცვის მანდატი ითვალისწინებს მაღალი რისკჯგუფების ეტაპობრივ მოცვას და მათ უზრუნველყოფას შესაბამისი დახმარების პაკეტით.

სოციალური დაზღვევის, დასაქმებისა და ჯანდაცვის სახელმწიფო ფონდებში შენატანები, როგორც ანარიცხები, უშუალოდ სწორედ შრომის ანაზღაურებასთან არის დაკავშირებული.

უმუშევართა სოციალური დაცვის მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა არ უნდა წაახალისოს უმუშევრობა. ცნობილია, რომ რაც უფრო დიდია შემწეობის მოცულობა, მით უფრო ხანგრძლივად მიმდინარეობს სამუშაო ადგილების ძებნა. ზოგიერთი შეფასების თანახმად, ამერიკელები, რომლებსაც მიღებული აქვთ შემწეობა უმუშევრობისათვის, ყოველ წელს ორი კვირით უფრო ნაკლებს მუშაობენ იმათთან შედარებით, რომლებსაც ამგვარი შემწეობა არ მიუღიათ.

საქართველოში გარდამავალ პერიოდში წარმოიქმნა სიტუაცია, რომლის დროსაც პროფესიებზე, რომლებიც საქართველოსთვის ტრადიციულად მაღალ პრესტიჟულად ითვლებოდა (ექიმი, მასწავლებელი, ინჟინერი და ა.შ.), შრომით ბაზარზე პრაქტიკულად მოთხოვნა არ არსებობს. შესაბამისად, როდესაც ამ პროფესიის ადამიანები კარგავენ სამუშაოს, მათ უჭირთ როგორც დასაქმება, ასევე ადაპტირება ახალ სოციალურ გარემოში, როგორც 2003-2004 წლების შრომის ბაზრის ანალიზი გვიჩვენებს, ძირითადად ვაკანსიები იყო მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროს მუშაკებზე, ასევე, სამშენებლო და ტურიზმის ინფრასტრუქტურისათვის საჭირო პროფესიებზე [7, გვ. 155]. აქედან გამომდინარე, არსებული სიტუაცია მოითხოვს შრომითი რესურსების დროულ ადაპტირებას და შედარებით მოკლე პერიოდში მათ გადამზადებას დასაქმების თვალსაზრისით პერსპექტიულ სფეროებში.

ქვეყანაში არსებული სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები რიგ რეგიონებში რეაბილიტიაციას საჭიროებს. მათი განვითარება გამოიწვევს ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს აღნიშ-

ნულ რეგიონებში ინვესტიციების მოზიდვას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ამასთანავე, ინფრასტრუქტურის განვითარება-რეაბილიტაციის დროს, დასაქმდებიან რეგისტრირებული უმუშევრები, რომლებსაც დროებით მაინც გაუჩნდებათ არსებობის სფერო. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს, პირველ რიგში, სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარება-რეაბილიტაციას.

ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამების რეალიზაციაზე პასუხისმგებელია სამთავრობო დაწესებულება – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

გარდამავალი პერიოდის თავისებურებებიდან გამომდინარე, დაზღვევის მეშვეობით სახელმწიფო უფრო აქტიურად უნდა არეგულირებდეს სოციალურ პრობლემებს. საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებამ, საწარმოთა პრივატიზაციამ და დეცენტრალიზაციამ რისკფაქტორი კიდევ უფრო გაზარდა. ყოველივე ეს ხდება იმ დროს, როდესაც მოსახლეობის სოციალური დაცვის მექანიზმი იმდენად სუსტია, რომ იგი არსებით გავლენას ვერ ახდენს სოციალური წონასწორობის დამყარებაზე. ცხადია, დაზღვევის როლი და მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმის გამო, რომ, საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, მკვეთრად მატულობს რისკები, ცივილიზებულ ქვეყნებში არც ერთი პროექტი არ იწყებს ამოქმედებას სადაზღვევო პოლისების გარეშე, ხოლო დაზღვევის სექტორის მიერ დაგროვილი პრემიების მოცულობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საფინანსო სისტემაში.

ჩვენში ეკონომიკური რეფორმების წარმარტებაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იქნება, თუ ვერ შევძლებთ ქვეყანაში სოციალური სტაბილურობისა და საზოგადოების მშვიდობიანი არსებობის შენარჩუნებას.

სახელმწიფომ სოციალური დაცვის (უმუშევართა შემწეობა, ხელფასის გარანტირებული მინიმუმი და ა.შ.) ფორმებისა და ოდენობის, აგრეთვე, მისი განაწილების საშუალებათა განსაზღვრისას დიდი წინდახედულობა უნდა გამოიჩინოს. საქმე ისაა, რომ სოციალური პოლიტიკა რეალურ ეფექტს მხოლოდ მაშინ იძლევა, როცა იგი დამყარებულია ეკონომიკის რეალურ შესაძლებლობებზე, გამორიცხავს ინფლაციის დაჩქარებას და ინსტიტუციური უმუშევრობის ამაღლებას. როგორც არ უნდა შეიცვალოს მდგომარეობა, ხელფასმა წამყვანი ადგილი უნდა შეინარჩუნოს შრომის სტიმულირების სისტემაში.

სახელმწიფო სოციალური დახმარება უნდა წარიმართოს შერჩევით, უმუშევართა კატეგორიების გათვალისწინებით. მაგ., თუ სახელმწიფომ გადაწყვიტა, შეინახოს ნებაყოფლობითი უმუშევარი, ეს არ უნდა მოხდეს უმუშევრებისათვის შემწეობის თანხებიდან, ამისათვის დახმარების სხვა სახსრები უნდა გამოინახოს. იგივე შეიძლება ითქვას მოკლევადიანი ფრიქციული უმუშევრობის შესახებაც. სახელმწიფომ მთელი ყურადღება უნდა გადაიტანოს იძულებით უმუშევართა სოციალურ დაცვაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბრალავა ა., სამსონია ნ., ტუღუში მ.** საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები. თბ., 1995.
2. **ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ.** პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001.
3. **ვეკუა დ.** პერსონიფიცირებული აღრიცხვის აუცილებლობა საქართველოს სოციალური დაზღვევის სისტემაში. ჟ. "მაკრო მიკროეკონომიკა", №1, 1999.
4. **კახნიაშვილი ჯ.** მაკროეკონომიკა. თბ., 1996.
5. **სარჩიმელია რ.** რისკის ელემენტები. თბ., 2003.
6. საქართველოს კანონი „დასაქმების შესახებ", თბ., 2001 წლის 28 სექტემბერი.

7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2005 წლის 2 მარტის ბრძანება №62-ნ „უმუშევართა სოციალური დაცვის, დასაქმების ხელშეწყობისა და ჯანმრთელობის დაცვის 2005 წლის სახელმწიფო პროგრამების შესრულების ორგანიზაციის შესახებ”.

8. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის 2003 წლის 18 აგვისტოს ბრძანება №1 გდ-100-ო, უმუშევრების სოციალური დაცვისა და დასაქმების 2003 წლის სახელმწიფო პროგრამების შესრულების ორგანიზაციის შესახებ.

9. **ფაჩულია რ.** დაზღვევა: პრობლემები და მოსაზრებები. თბ., 1998.

10. Syndey D. the labor market and ec. Adjustment. The world bank Reseach, v. 4, №2 july. 1990.

Dvalishvili Lia

UNEMPOLOYMENT INSURANCE PROBLEMS IN MARKET ECONOMY

SUMMARY

Insurance is one of the important sectors of modern economy.

There is no man as a biological creature, not being threatened by a danger of various kinds causing damage.

To be defeneded from this the man should have some additional savings. Owing to these savings the man fights not against a danger but against its results.

The introduction of market relations, the privatization of productions and the decentralization have more increased a risk factor. All these is occurring in the period

when a social defence mechanism of population is so weak that it does not essentially influence the strengthening of social equilibrium.

Unemployment insurance exist in almost all countries with market economy. Unemployment insurance results in the growth of assure wages, such a level of wages when the unemploees would agree to get jobs.

Social defence mandate intends to consolidate gradually high risk-groups and accordingly to provide them with aid package.

State social aid should be rendered by selection taking into account the categories of the unemployed.

თენგიზ ქავთარაძე

თბილაბრომრეწვი თუ თბილაბროკორპორაცია? თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის შესახებ

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დღის წესრიგში აყენებს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების აუცილებლობას. გაბატონებული თეორიული კონცეფცია სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვან საწარმოთა რაციონალობის შესახებ თანდათან შეიცვალა ახლით, განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის შესაფერისი თეორიით. იგი ასახავს მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონ-

ცენტრაციის გაღრმავებისა და სამეურნეობათაშორისო და აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებათა ინტეგრაციის პროცესს.

აგროსამრეწველო ინტეგრაციამ ფართო გასაქანი პოვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანა დასასრულს მიუახლოვდა. ამ უკანასკნელის შედეგია სოფლის მეურნეობის დარგის შერწყმა გადამამუშავებელ მრეწველობასთან. მაგალითად, აშშ-ში ინტეგრირებული ფირმები აწარმოებს ქვეყნის სოფლის მეურნების მთლიანი პროდუქციის 70%. მეფრინველეობაში ასეთი ინტეგრირებული წარმოების ხვედრითი წილი აშშ-ში შეადგენს 93%, ნიდერლანდებში შესაბამისად – 90%, ხოლო გფრ-ში – 65% [6].

საქართველოში აგროსამრეწველო ინტეგრაციის გარკვეული გამოცდილება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მომდინარეობს. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა რესპუბლიკური გაერთიანებები მევენახეობა-მედვინეობის დარგში – „სამტრესტი", მეჩაიეობაში – „საქართველოს ჩაი", მეციტრუსეობაში – "ლიმონ-მანდარინის ტრესტი", – ხოლო ეთერზეთების წარმოების დარგში – "საქცხიმეთერზეთი". ყველა მათგანს გააჩნდა პირველადი რგოლის აგროსამრეწველო საწარმოები – მეურნეობა – ქარხნები და მეურნეობა-ფაბრიკები, სადაც კარგად იყო შეხამებული გადამამუშავებელ მრეწველობას და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას შორის ინტეგრაცია. ამის შედეგად აგროსამრეწველო კომპლექსის პროდუქციის წარმოება საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 9.4 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე საშუალოდ კავშირში [4]. სამაგიეროდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მხრივ, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, ჩვენ ჩამოვრჩებოდით საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს 23%-ით, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს დაახლოებით 2-ჯერ, ხოლო უნგრეთის რესპუბლიკას, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების მხრივ ევროპის განვითარებული ქვეყნების დონეზეა – 3.7-ჯერ [5].

თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის „მინდორი-მაღაზიის" პრინციპით ბოსტნეულით, ხილით, კარტოფილით და ბაღჩეულით შეუფერხებელი მომარაგების, წარმოების, დამზადების, შენახვისა და რეალიზაციის, სამეურნეო ხელმძღვანელობისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით, 1975 წლის 4 თებერვალს ჩამოყალიბდა საქარ-

თველოს აგროსამრეწველო სავაჭრო გაერთიანება „თბილაგრომრეწვი". მასში თავდაპირველად გაერთიანდა 52 საბჭოთა მეურნება, 3 საკონსერვო ქარხანა, 141 ხილ-ბოსტნეულის მაღაზია, ერთი ავტობაზა, ერთი ხილ-ბოსტნეულის შესანახი ბაზა, ერთი თივის ფქვილის წარმოების ქარხანა (მეურნებასთან არსებული). ერთი ხელოვნური დაწვიმებისა და სპეცდანიშნულების ტექნიკის ექსპლუატაციის სამეურნეობათაშორისო საწარმო და ერთი საწარმო-სახელოსნო. თითოეული ეს საწარმო იურიდიულ პირს წარმოადგენდა. 1976 წლის აპრილიდან რესპუბლიკური აგროსამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების მასშტაბი და სამეურნეო საქმიანობის სფერო მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მას შეუერთდა გორის, ქუთაისის და აფხაზეთის „ხილბოსტანვაჭრობის" გაერთიანებები [1].

აგროსამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებას აფინანსებდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო. აგროსამრეწველო სავაჭრო გაერთიანება პასუხისმგებელი იყო მთელი სამეურნეო კომპლექსის მდგომარეობასა და მის განვითარებაზე, წარმოების, გადამუშავების და ვაჭრობის გეგმების შესრულებაზე, წარმოების ტექნიკური ბაზის განვითარებაზე, პროდუქციის ხარისხზე, კაპიტალური დაბანდებებისათვის გამოყოფილი სახსრების მიზნობრივ და ეფექტურ გამოყენებაზე, მშენებარე ობიექტების ექსპლუატაციაში დროულად გადაცემაზე და ა.შ.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ „მინდორ-მაღაზიის" პრინციპით მუშაობის შედეგად აგროსამრეწველო სავაჭრო გაერთიანებაში ბოსტნეულის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი 1977 წლისათვის, 1975 წელთან შედარებით, გაიზარდა 76,7%-ით, კარტოფილიდან – 97,3%-ით, ბაღჩეულიდან – 29,9%-ით და ხილიდან – 7,5%-ით.

ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებაში აგროსამრეწველო გაერთიანების მიერ ეკონომიკურ მაჩვენებელთა გაუმჯობესება მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული მეურნეობათა სპეციალიზაციის გაღრმავებასთან. მონაცემები გვიჩვენებს, რომ 1975 წელთან შედარებით, 1977 წლისათვის გაერთიანების საქონლურ პროდუქციაში ბოსტნეულის ხვედრითი წონა 10 %-დან 33,5-მდე, ხოლო კარტოფილისა – 9,7-დან 20,5 %-მდე გაიზარდა.

აგროსამრეწველო სავაჭრო გაერთიანებების ფუნქციონირების დადებით მხარესთან ერთად უნდა აღინიშნოს ის პრობლემები, რომელთა დაძლევა იმ პერიოდში ვერ მოხერხდა:

1. ის ტექნოლოგია, რაც გაერთიანების შექმნამდე არსებობდა ხილ-ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებაში, გაერთიანების ჩამოყალიბებით არსებითად არ შეიცვალა, რის გამოც დაბალი დარჩა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

2. აგროსამრეწველო სავაჭრო გაერთიანებაში ვერ განხორციელდა ინტეგრაცია მთელი შინაარსით, რადგან სამრეწველო გადამუშავების რგოლი გაერთიანებაში ერთობ სუსტი აღმოჩნდა. ფაქტობრივად, გაერთიანების ერთი საკონსერვო ქარხანა და მისი ფილიალები ამუშავებდნენ მხოლოდ აუცილებელ პროდუქციას, ხოლო დანარჩენი პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებას კვლავინდებურად აწარმოებდა კვების მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო გაერთიანება „საქკონსერვმრეწვი".

3. სავაჭრო ქსელის მაღალხარისხოვანი პროდუქციის დროულად უზრუნველყოფის მიზნით, აგროსამრეწველო სავაჭრო გაერთიანებას არ გააჩნდა სათანადო ოდენობის ავტოტრანსპორტი. 1978 წლისათვის მთლიანად სავაჭრო ქსელს ემსახურებოდა 425 ავტომანქანა, საიდანაც მხოლოდ 29 იყო რეფრეჯერატორი და 32 ფურგონი და პიკაპი. მინდვრიდან სავაჭრო ქსელში პროდუქციის გადაზიდვას ემსახურებოდა 325 სატვირთო ავტომანქანა. ასეთი ტრანსპორტით გადაზიდვის შედეგად გზაში პროდუქციის სასაქონლო თვისებები მნიშვნელოვნად უარესდებოდა. საჭირო იყო სატრანსპორტო საწარმოთა იზოთერმული მანქანებით დაკომპლექტება.

აგრარულ სამრეწველო სავაჭრო გაერთიანებაში არ იყო მოგვარებული სადისპეტჩერო სამსახური, რის გამოც ცენტრალური სამმართველო აპარატის მხრივ სუსტი იყო ოპერატიული ხელმძღვანელობა.

სოფლად ეკონომიკური რეფორმის განხორციელების პროცესში, მარკეტინგული საქმიანობის თვალსაზრისით, წარმოებით ურთიერთობათა შემდგომი სრულყოფის არაერთი ვარიანტი გაჩნდა.

ამ თვალსაზრისით საინტერესო სამუშაოები ხორციელდება დსთ-ს ქვეყნებში, რომელთა გამოცდილების განზოგადება სასურველი იქნებოდა საბაზრო აგრარული სტრუქტურების ფორმირების დროს. მაგალითად, აგროკორპორაცია „პარნასის" საქმიანობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა გადამამუშავებელი მრეწველობის ათზე მეტმა საწარმომ და ორმა აგროკოოპერატივმა, რომლებიც სანქტპეტერბურგისა და მისი ოლქის ტერიტორიაზე ეწევიან სამეურნეო საქმიანობას [2].

ძირითადად რით განსხვავდება ეს ფორმები აგროსამრეწველო გაერთიანებისაგან? როგორც ცნობილია, ბოლო დრომდე აგროსამრეწ-ველო საწარმოთა ინტეგრაცია ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო საწარ-მოთა ბაზაზე და ადმინისტრაციული რაიონის დონეზე, გაფართოების მიზანი ფასწარმოქმნის სფეროში მეტი თავისუფლებისა და ეკონომიკუ-რი უფლების მიღება იყო. ეს მოითხოვდა დამატებითი მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყოფას; აგროსამრეწველო გაერთიანებათა ჩამოყალიბების პროცესში ხშირად ირღვეოდა ნებაყოფლობითობაც. სანქტპეტერბურგელებმა ინტეგრაციაში აგროკორპორაციის შემდეგი პრინციპები შემოგვთავაზეს: სრული ნებაყოფლობითობა, პირველ რიგში, გადამამუშავებელი საწარმოების ინტეგრირება, ტერიტორიული შეუ-ზღუდველობა, სააქციო კაპიტალის ფართოდ გამოყენება, მონაწილის ეკონომიკური და იურიდიული დამოუკიდებლობა, ურთიერთდახმარებები, გაერთიანებებს შორის ჯანსაღი კონკურენცია. აგროსამრეწველო გაერ-თიანებებისაგან განსხვავებით, საფინანსი-საანგარიშსწორებო ცენტრის ნაცვლად აგროკორპორაციაში ფუნქციონირებს სახელმწიფო კომერცი-ული ბანკი, იგი მეტი ოპერატიულობით, დამოუკიდებლად აწარმოებს საბანკო ოპერაციებს, საფინანსო აღრიცხვის შესახებ ინფორმაციის შე-კრებას და დამუშავებას; სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვას, ფასიანი ქაღალდების გამოშვებას, საწარმოთა და კერძო პირთა დაკრედიტების საქმეებში სხვადასხვა მომსახურებას.

სათანადო მასალების შესწავლით იმ დასკვნამდე მივედით, რომ მსხვილი ქალაქების – თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის სურსა-თით მომარაგებისა და გამოკვების მიზნით, დროულად უნდა შეიქმნას აგროკორპორაცია „თბილისი". მისი მიზანი იქნება თბილისისა და რუს-თავის ბაზრების მრავალფეროვანი საკუთარი და შესყიდული სურსათით მომარაგება, აგრეთვე, იმ მომსახურების გაწევა, რომლებზეც მომხმარე-ბელთა დიდი მოთხოვნაა.

აგროკორპორაციის დამფუძნებლების – სასოფლო-სამეურნეო, სა-მრეწველო, საბანკო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და ორგანი-ზაციების მჭიდრო თანამშრომლობა საშუალებას იძლევა, სწრაფად გა-ფართოვდეს სურსათის წარმოება აგრარულ სექტორში დამატებითი ინ-ვესტირების გზით. კორპორაციის ის მონაწილენი კი, რომელთაც პრო-დუქცია არ აინტერესებთ, მოგების შესაბამის ნაწილს მიიღებენ.

აგროკორპორაციის საპროექტო სიმძლავრეების ათვისებისას, როგორც ჩატარებული გაანგარიშებები გვიჩვენებს, ყოველ დაბანდებულ ლარზე დამფუძნებლები არანაკლებ 20 თეთრს მიიღებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ დაბანდებული სახსრები 5-6 წლის განმავლობაში ანაზღაურდება. ამასთან, დამფუძნებელი საწარმოები გარანტირებულად მიიღებენ სურსათს.

კორპორაციების ფუნქციონირების მექანიზმის შესწავლით დავრწმუნდით, რომ დღევანდელ პირობებში ამგვარი თანამშრომლობის განსახორციელებლად რამდენადმე სხვაგვარი მიდგომაა საჭირო. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკის გამო, თბილაგროკორპორაციის მოღვაწეობის მარეგლამენტირებული ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისას უცხოური ანალოგების ზუსტი ასლის გადმოღება არ გამოგვადგება. ეს იმასთან არის დაკავშირებული, რომ უცხოეთში აგროკორპორაციები, ჩვეულებრივ, მხოლოდ განსაზღვრული პროექტის განხორციელებისათვის იქმნება საჭირო ვადით.

ჩვენში აგროკორპორაციები, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიქმნას ხანგრძლივი ვადით სურსათის წარმოებისა და შესყიდვის მიზნით.

თბილაგროკორპორაციაში შემავალი საწარმოები და ორგანიზაციები თავიანთ მოღვაწეობისას იხელმძღვანელებენ მათთვის დამტკიცებული დებულებებით აგროკორპორაციის შესახებ.

კოოპერაციის მონაწილე საწარმოების ურთიერთობანი აგროკორპორაციაში ხელშეკრულებებით დარეგულირდება.

თბილაგროკორპორაციის შექმნის პირველ ეტაპზე დამფუძნებლების მიერ შეიძლება ხელმოწერილი იყოს ოქმი მათი მიზნების შესახებ. ამავე ეტაპზე, წესდების გარდა, დამუშავდება მოქმედებისა და საწესდებო ფონდის ჩამოყალიბების პროგრამა, აგროკორპორაციის ორგანიზაციული სტრუქტურა, ერთობლივი საწარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, დამფუძნებლებს შორის თანამშრობლობის ხელშეკრულება.

მეორე ეტაპზე აგროკორპორაცია დაამუშავებს დებულებას, რომელშიც წესდებასთან შედარებით, უფრო ფართოდ აისახება მათი მოღვაწეობის მარეგულირებელი ძირითადი საკითხები. ამავდროულად დამუშავდება საშტატო განრიგი, სამუშაო აპარატის შესანახად აუცილებელი თანხების ხარჯთაღრიცხვა, დებულება სტრუქტურული ქვედანაყოფების შესახებ, თანამდებობრივი ინსტრუქციები ხელმძღვანელებისა

და სპეციალისტებისათვის, შრომის შინაგანაწესი, დებულება შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების შესახებ და სხვ. დოკუმენტაცია [6].

აგროკორპორაციის კაპიტალი უნდა შედგებოდეს დამფუძნებლების ფულადი და მატერიალური შენატანების, პროდუქციის მომსახურების რეალიზაციისა და სხვა მოღვაწეობის შედეგად მიღებული შემოსავლით, აგრეთვე სხვა წყაროებით, რომლებიც კანონმდებლობით არ არის აკრძალული, აგროკორპორაციის საწარმოო სიმძლავრეები, დამფუძნებელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება საექსლუატაციოდ გადაეცეს დამფუძნებლებს იჯარის პირობებით.

აგროკორპორაციაში უნდა ხდებოდეს ფასიანი ქაღალდების აქციათა გამოშვება. აქციათა გამოშვების არსებული წესი აშკარად ზღუდავს და ავიწროებს სააქციო მექანიზმის შესაძლებლობებს. მაგალითად, შრომითი კოლექტივის აქციების პროცენტი გადაიხდება შრომის ანაზღაურების ფონდიდან. ამგვარი მიდგომით, უპირველეს ყოვლისა, ისინი ზარალდებიან, ვისაც აქციები არ შეუძენია, ანდა უმნიშვნელო თანხით იყიდეს. რადგან აქციათა მფლობელის სასარგებლოდ გადანაწილდება ხელფასის ნაწილი, ამით არა მხოლოდ სოციალური სამართლიანობა ირღვევა, არამედ მუშათა დაინტერესებაც იკლებს. საბოლოო ჯამში ზარალდება ის საწარმო, რომელიც დამატებით ფულად სახსრებს არ იღებს.

ჩვენი აზრით, აქციების პროცენტი უნდა აღირიცხებოდეს მოგებიდან, ამავე დროს, ინფლაციური პროცესების შენელების მიზნით, დანაზოგი 6-7 პროცენტით უნდა შემოიფარგლოს, სააქციო კანონმდებლობის ჩამოყალიბების კვალობაზე, მხოლოდ შრომითი კოლექტივების წევრების მიერ აქციათა შეძენის უფლების შეზღუდვაც შეიძლება გაუქმდეს და დივიდენდების რაოდენობაც.

აგროკორპორაციის მართვის უმაღლესი ორგანოა დამფუძნებელთა საბჭო. იგი უნდა შედგებოდეს დამფუძნებელთა დაწესებულებების ხელმძღვანელებისგან ან მათი რწმუნებული წარმომადგენლებისაგან. დამფუძნებელთა საბჭოს სხდომაზე მის წევრებისაგან ირჩევენ თავმჯდომარეს. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, უფრო მიზანშეწონილია, დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩეს საბაზო საწარმოს ხელმძღვანელი. იგი კოორდინაციას გაუწევს და მიმართულებებს მისცემს აგროკორპორაციის დირექციის მუშაობას. გადაწყვეტილებებს

მიიღებს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ შედის საბჭოსა და მისი დირექციის კომპეტენციაში.

დამფუძნებელთა საბჭო დაამუშავებს და მიიღებს აგროკორპორაციის შესახებ წესდებასა და დებულებას, ჩამოაყალიბებს სამუშაო ორგანოებს (დირექციას, სარევიზიო კომისიას და სხვ.), მიიღებს აგროკორპორაციის შემადგენლობაში წევრებს და რიცხავს მათ, იხილავს და ამტკიცებს გეგმებს, პროგრამებს და ანგარიშებს აგროკორპორაციისა და მისი ერთობლივი საწარმოების საქმიანობის შესახებ, შრომის შინაგანაწესს, სარეალიზაციო პროდუქციის ფასების დონეს, ქმნის ერთობლივ საწარმოებს, მათ შორის უცხოეთის ფირმების მონაწილეობითაც; ანაწილებს შემოსავალს დამფუძნებელ დაწესებულებებს შორის, საზღვრავს აგროკორპორაციის ფონდებში ანარიცხების ნორმატივებს, წყვეტს საკითხებს მიღებული ზარალის დაფარვისა და აგროკორპორაციის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ, ისმენს სარევიზიო კომისიის ანგარიშებსა და მოხსენებებს, იხილავს სხვა საკითხებს, რომლებიც საბჭოზე იქნება შემოტანილი დირექციის ან დამფუძნებელთა საბჭოს წევრების მიერ.

აგროკორპორაციის დირექცია უნდა წარმოადგენდეს დამფუძნებელთა საბჭოს აღმასრულებელ განმკარგულებელ ორგანოს. იგი უხელმძღვანელებს საწარმოო ქვედანაყოფების მუშაობას და მთლიანად აგებს პასუხს მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულებაზე. იგი ასევე წარმოადგენს აგროკორპორაციას სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებთან ურთიერთობისას.

აგროკორპორაციის ძირითადი მიზანია თბილისისა და რუსთავის ბაზრების კიდევ უფრო უხვი მომარაგება მრავალფეროვანი საკუთარი და შესყიდული სასურსათო თუ არასასურსათო საქონლით, აგრეთვე იმ მომსახურების გაწევა, რომლებზედაც მომხმარებელთა ფართო მოთხოვნაა.

აგროკორპორაცია „თბილისის” ამოცანებია: წარმოების გაფართოება, სარეალიზაციო პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება; პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა ნედლეულის ფართოდ და კომპლექსურად გამოყენების საქმეში, აგრეთვე სასურსათო საქონლის შენახვაში, შეფუთვასა და რეალიზაციაში; წარმოების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება; საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციების წარმოება, ერთობლივ საწარმოთა შექმნა.

ამის მისაღწევად აგროკორპორაციამ უნდა განახორციელოს საწარმოთა სიმძლავრეების მოდერნიზაციის ერთიანი ტექნიკური პოლიტიკა; უნდა შექმნას საკუთარი სავაჭრო ქსელი, მათ შორის საფირმო ვაჭრობის ცენტრები; უნდა განახორციელოს ერთობლივი სოციალურ-კულტურული საბინაო და კაპიტალური მშენებლობა.

აგროკორპორაციის სისტემა უფრო ოპტიმალურად და რაციონალურად ასე წარმოგვიდგენია: უქმდება მართვის უშუალი ორგანოების საჭიროება. უზრუნველყოფილია მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის პირდაპირი კავშირი, უფრო დინამიკური ხდება წარმოების სტრუქტურა, სამეურნეო მიმოქცევაში მოხვდება პასიური, ადრე გამოუყენებელი ფულადი სახსრები. მონოპოლიზმის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, თითოეულ პროდუქტს აწარმოებდეს არანაკლებ 2-3 გაერთიანება, რომლებიც ერთ ბაზარზე იმოქმედებენ.

თბილაგროკორპორაციის შექმნის ინიციატორად, პირველ რიგში, უნდა გამოვიდნენ საგარეუბნო ზონის ფერმერული მეურნეობების, მეფრინველეობის ფაბრიკების, მეღორეობის კომპლექსების, აგროსამრეწველო გაერთიანებების, ასოციაციების ხელმძღვანელები, რომელთაც აქვთ რეზერვები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გასაზრდელად, მაგრამ არ გააჩნიათ სათანადო ფულადი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. აგროკორპორაცია შეიძლება გახდეს სასურსათო წარმოების უსწრაფესად გაზრდის არა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი მიმართულება, არამედ წამგებიანი და დაბალი რენტაბელობის მქონე მეურნეობების ეკონომიკის გამოსწორების ერთ-ერთი ფაქტორიც.

აგროკორპორაციაში თანაბარი ეკონომიკური პირობების შექმნის მიზნით, ყველა სახელმწიფო საწარმო უნდა გადავიდეს სამეურნეო საქმიანობის საიჯარო ან კოოპერაციულ პრინციპებზე. საიჯარო ხელშეკრულება უნდა დაიდოს ადგილობრივი საკრებულოების გამგეობებთან, როგორც სახალხო საკუთრების სრულუფლებიან მფლობელთან, საიჯარო გადასახადი ასეთ შემთხვევაში გადაერიცხება ადგილობრივ ხელისუფლებას, ხოლო ყველა სახელმწიფო გადასახადი – სახელმწიფო ბიუჯეტს. ამგვარი მიდგომით განმტკიცდება ადგილობრივი ხელისუფლების, როგორც ტერიტორიული და საერთო-სახალხო საკუთრების მფლობელის როლი, პრაქტიკიდან გამოირიცხება საგეგმო ამოცანათა ზევიდან დავალება.

აგროკორპორაციაში კვლავ გადაუჭრელი რჩება იჯარულ საწარმოთა საკუთრების საკითხი. მაგალითად, ვისი იქნება ძირითადი ფონდების ის ნაწილი, რომელიც შრომითმა კოლექტივმა შექმნა საიჯარო ხელშეკრულებით მუშაობის პერიოდში? ეს საკითხი ჯერჯერობით კოლექტივის სასარგებლოდ არ არის გადაწყვეტილი. უფრო მეტიც, სახელმწიფო საკუთრების შესახებ დებულებებში მთელი რიგი ისეთი დეტალებია, რომლებიც ახსნას საჭიროებს. მაგალითად, საკუთრებაში არის კოლექტივის საკუთრების ნაწილი, რადგან ახალი ღირებულება არა მხოლოდ ფონდებით იქმნება, არამედ მშრომელთა ცოცხალი შრომითაც. აქედან გამომდინარე, სუფთა ფორმით სახელმწიფო საკუთრება, როგორც ასეთი, არ არსებობს. საკუთრება ყოველთვის არის ჯგუფური ან სახელმწიფო – კოლექტიური.

ვიზიარებთ იმ სპეციალისტთა შეხედულებას, ვისაც სამართლიანად ეჩვენება მოხმარების საგნების მწარმოებელი საწარმოების შრომითი კოლექტივების ხელში საკუთრების გადაცემის შესახებ საკითხის დაყენება, თანაფლობის კოლექტიურ ფორმებზე გადასვლის ერთ-ერთ გარანტად გვესახება შრომითი კოლექტივის ან საწარმოთა ჯგუფის მიერ საკუთრების სახელმწიფო ნაწილის გამოსყიდვა. ამგვარი მიდგომით საკუთრების საკითხი დასრულებულ სახეს მიიღებდა და გასაგები გახდებოდა.

რაც შეეხება დაბეგვრას, აგროკორპორაციაში მიზანშეწონილი იქნება მაღალრენტაბელურ პროდუქციაზე ფასდაკლების, აგრეთვე საწარმოო ფონდების, შრომითი რესურსების, მოგებიდან ბიუჯეტში გადასახადის მაგივრად შემოვიღოთ შედავათიანი ფიქსირებული გადასახადი. შემოთავაზებული სისტემა უფრო მეტად დააინტერესებს საწარმოებს, რომ დანახარჯები შეამცირონ.

ფასწარმოქმნის სფეროში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაისინჯოს ხორცის საბითუმო ფასები ნედლეულის გამოსავლისა და ხარისხის შესაბამისად. ახლანდელ სიტუაციაში საბითუმო ფასების სხვადასხვა დონეები ხორცის კატეგორიის მიხედვით, შრომითი კოლექტივის ძალისხმევის გაუთვალისწინებლად, უარყოფითად მოქმედებს სამეურნეო საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე.

ამრიგად, მსხვილი ქალაქების – თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის სურსათით გამოკვების მიზნით, რამდენიმე წლის წინ გაუქმებული თბილაგრომრეწვის ნაცვლად სასწრაფოდ უნდა შეიქმნას თბი-

ლაგროკორპორაცია. ჩვენი აზრით, მისი ფუნქციონირება უფრო მწყობრია და მოქნილია, კარგად შეესაბამება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში აგრობიზნესის ფუნქციონირების მექანიზმს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ალიკოშვილი ო., მაღალაშვილი დ.** აგრარული სამრეწველო-სავაჭრო ინტეგრაცია ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებაში. "საბჭოთა საქართველო", თბ., გვ. 17, 1980.
2. იბადება აგროკორპორაცია (რუსულ ენაზე). გაზ. "Вестник агропрома", №25, 1989.
3. **მოსიძე ც., ქავთარაძე თ.** თბილაგრომრეწვი თუ თბილისაგროკორპორაცია, გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", №123 (925), 13 ივლისი, 1994.
4. სტატისტიკური კრებულები: "СССР в цифрах в 1988 г", გვ. 205, 1988.
5. სტატისტიკური კრებულები: „Сельское хозяйство СССР". М., გვ. 46, 1988.
6. ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოფლის მეურნეობის გარდაქმნა – საინფორმაციო მიმოხილვა, მოსკოვი, 1979.
7. **Подсунко Н.** Агроконсорциум. გაზ. „Земпя и люди", №38, 1981.

Kavtaradze Tengiz

TBILAGROINDUSTRY OR TBILAGROCORPORATION TBILISI AND RUSTAVI POPULATION PROVIDING WITH FOOD

SUMMARY

In the process of economic reform in the country with regard for marketing activity there appeared some variants of further improvement of relations of production.

From this point of new interesting works are carried out in the countries of CIS the socialization of experience of which will be desirable when forming market agrarian structures.

Agrocorporation system might be represented more optimally and rationally as follows: the necessity of direct managing bodies is annulled, direct interrelation between producer and consumer is guaranteed, production structure becomes more dynamic passive previously not used financial resources will be put in to circulation, it is expedient that each product be manufactured by 2-3 corporations to avoid monopolism. the initiators of creation of Tbilagrocorporation should be the manager of farms, agroindustrial corporation, and associations, who have resources to increase agricultural production, but have not enough monetary and material resources. The farms managed by them will eventually become production bases for agrocorporation.

მამუკა ხუსკივაძე
თეონა ჩაჩუა

ეკონომიკური ზრდის შეფასებისა და რეგულირების ეკონომიკურ-ეკოლოგიური მექანიზმი საქართველოში

პოსტკომუნისტური ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური ზრდის პროცესთა ეკონომიკურ-ეკოლოგიური შეფასებისა და რეგულირების პრობლემური საკითხების გადაწყვეტას. ასეთი საკითხების გადაწყვეტის სრულყოფილების ხარისხი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული აღნიშნულ პროცესთა ეკონომიკურ-ეკოლოგიური შეფასებისა და რეგულირების მეთოდიკური საკითხების სწორად შესწავლასა და მათ პრაქტიკულ რეალიზაციაზე. ამ მიმართულებით ცენტრალური საკითხს წარმოადგენს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ეკონომიკური ზრდის პროცესთა ეკონომიკურ-ეკოლოგიური შეფასებისა და რეგულირების მექანიზმის შემუშავება და მისი პრაქტიკული აპრობაცია. სპეციალურ ლიტერატურაში ასეთი მექანიზმის შემუშავების და პრაქტიკული განხორციელების საკითხი ძალიან არასრულყოფილად არის განხილული. უფრო ზუსტად, ლიტერატურაში გვხვდება მისი მხოლოდ ზოგიერთი ინსტრუმენტი, ყოველგვარი სისტემატიზაციის გარეშე. მათი გაანალიზება ცხადყოფს, რომ ეკონომიკური ზრდის

პროცესთა ეკონომიკურ-ეკოლოგიური შეფასებისა და რეგულირების მექანიზმი, უპირველეს ყოვლისა, მისი სირთულის გამო, ამჟამად მეცნიერულ დონეზე შეუსწავლელი და შეუმუშავებელია არა მხოლოდ პოსტკომუნისტური, არამედ ნებისმიერი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნისათვის. აქედან გამომდინარე, ამ სტატიაში მიზნად დავისახეთ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის პროცესთა ეკონომიკურ-ეკოლოგიური შეფასებისა და რეგულირების მექანიზმის ჩვენეული ვარიანტის შემუშავება. ხსენებული მექანიზმის (რომელიც შედგება ძირითადი ნაწილის, ანუ 10 ბლოკისაგან) სტრუქტურა სქემატურად გამოსახულია ქვემოთ მოცემულ სქემაზე.

იმისათვის, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, კერძოდ პოსტკომუნისტურში, ეკონომიკური ზრდის პროცესთა ეკონომიკურ-ეკოლოგიური შეფასება და რეგულირება სწორად განხორციელდეს, აუცილებელია, პირველ რიგში, ამ პროცესების შეფასება მოხდეს წარსულ და აწმყო პერიოდებში; გამოვლინდეს ამ პროცესების ზოგადი კანონზომიერებები და ტენდენციები; მათ საფუძველზე შესრულდეს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის (მშპ-ის) პროგნოზული გაანგარიშებები; ჩამოყალიბდეს ეკონომიკური ზრდის პროცესთა შეფასებისა და რეგულირების ამოცანა ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით; შემუშავდეს ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ღონისძიებათა სისტემა ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით და მოხდეს მისი პრაქტიკული რეალიზაცია.

პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის პროცესთა შეფასებისა და რეგულირების ეკონომიკურ-ეკოლოგიური მექანიზმი.

სქემა 1





ცხადია, შემუშავებულ მექანიზმში შემავალი შესასრულებელი სამუშაოების ჩატარება პირველ რიგში მოითხოვს ეკონომიკური ზრდის საანალიზო და საპროგნოზო პერიოდების დადგენას. ამიტომ, ასეთი პერიოდების დასადგენად საჭირო სამუშაოების განხორციელება გათვალიწინებული გვაქვს მექანიზმის I ბლოკში, რაც თვალსაჩინოდ ჩანს ზემოთ მოყვანილი სქემიდან.

მექანიზმის I ბლოკში საანალიზო პერიოდი, ჩვენი აზრით, უნდა დაიყოს ორ ძირითად ნაწილად: წარსულ და მიმდინარე საანალიზო პერიოდად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რადგან საანალიზო პერიოდი

ეკუთვნის პოსტკომუნისტურ არეალში მყოფ ქვეყნებს, ჩვენს შემთხვევაში ის უნდა იწყებოდეს 1991 წლიდან, რადგან პოსტკომუნისტური ქვეყნების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბება, როგორც ცნობილია, სწორედ ამ წლიდან დაიწყო. აქედან გამომდინარე, ჩვენს განსახილველ მექანიზმში წარსული საანალიზო პერიოდი უნდა მოიცავდეს დროით პერიოდს 1991 წლიდან საბაზისო წლამდე.

საბაზისო წლად კი აღებული უნდა იქნეს ის წელი, რომელსაც მკვლევარი ან ნაშრომში შემუშავებული მექანიზმის პრაქტიკულად განმახორციელებელი იყენებს შესწავლის დროს. მაგალითად, ჩვენ შემოთავაზებული მექანიზმი პრაქტიკულად რომ დავნერგეთ ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში, წარსულ საანალიზო პერიოდად ავიღეთ დრო, რომელიც მოიცავს 1995–2008 წლებს, ვინაიდან 1991–1994 წლებში, საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ქაოსის გამო, სტატისტიკური აღრიცხვიანობა არ არსებობდა (ან თუ არსებობდა, საკმაოდ არაზუსტი და არასრულყოფილი იყო). იგი იყოფა წარსულ საანალიზო პერიოდად 1995–2008 წლამდე და აწმყო საანალიზო პერიოდად. იგულისხმება პერიოდი 2008 წლის დასაწყისიდან წლის ბოლომდე.

პროგნოზული მოსალოდნელი შედეგების მისაღებად საპროგნოზო პერიოდი შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა მიდგომით. თუ გვინდა, რომ პროგნოზული სურათი ძალიან ახლოს იყოს რეალურ მოსალოდნელ შედეგებთან, მაშინ, ცხადია, უნდა ავირჩიოთ ე.წ. მოკლევადიანი საპროგნოზო ვარიანტი და განვიხილოთ ერთი ან სამწლიანი პერიოდი. ხოლო თუ ასეთი სიზუსტით მიახლოება არ არის აუცილებელი, მაშინ უნდა გამოვიყენოთ საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი მიდგომა და შესაბამისად განვიხილოთ ხუთწლიანი ან ათ-თხუთმეტწლიანი პერიოდი.

ბუნებრივია, რაც უფრო დიდია შერჩეული საპროგნოზო პერიოდი, მით უფრო რთულია მოსალოდნელი პროგნოზის ზუსტი ვარიანტის შემუშავება და მით უფრო რთულია მისთვის საჭირო კვლევის ინსტრუმენტის, ანუ პროგნოზირების მეთოდის შერჩევა. ეს უკანასკნელი შესამჩნევად მარტივდება საპროგნოზო პერიოდის შემცირებასთან ერთად. კონკრეტულ და პრაქტიკულ საქმიანობაში პროგნოზების განსაზღვრის დროს გამოვიყენეთ საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზული მიდგომები: მათგან ერთი გამიზნული იყო 1–5 წლამდე, ხოლო მეორე კი 5–10 წლამდე დროით პერიოდებზე.

ეკონომიკური ზრდის პროცესთა ეკონომიკურ-ეკოლოგიური შეფასებისა და რეგულირების მექანიზმის მეორე განყოფილებად, როგორც ეს ნათლად ჩანს 1 სქემიდან, წარმოდგენილი გვაქვს II ბლოკი. მასში სრულდება შემდეგი სახის სამუშაოები: ა) საანალიზო პერიოდში შესასწავლ ქვეყანაში, კერძოდ პოსკომუნისტურ საქართველოში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების (მშპ-ს) განსაზღვრა; ბ) ეკონომიკური ზრდის ამსახველი მაჩვენებლების (მშპ-ს) ცვლილებების ძირითადი ტენდენციების გამოვლენა.

შემუშავებული მექანიზმის III ბლოკში პოსტკომუნისტურ ქვეყანაში გარემოს დაცვით მაჩვენებელთა ანალიზი კეთდება საანგარიშო პერიოდში.

მექანიზმის შემდეგ განყოფილებაში, ანუ IV ბლოკში, ეკონომიკური ზრდის პროცესთა პროგნოზული შეფასებისათვის საჭირო ინსტრუმენტი შეირჩევა. კერძოდ კი, ეკონომიკური ზრდის პროცესთა პროგნოზული სურათის მისაღებად საჭირო ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდი განისაზღვრება. ამ დროს ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ისეთი ტიპის სამუშაოები განხორციელდეს, რომლებიც ემსახურება ტრენდის სახეობის განსაზღვრას და მის გაანგარიშებას მათემატიკური სტატიტიკის სპეციალური მეთოდის გამოყენებით.

ამ მექანიზმის V ბლოკში განისაზღვრება ტრენდი გარემოსდაცვითი პროცესების ამსახველი მაჩვენებლებისათვის, კერძოდ, ეკოლოგიური ზარალისათვის.

ზემოთ აღნიშნული მექანიზმის შემდეგ ნაწილს წარმოადგენს მისი VI ბლოკი. ეს მექანიზმის ისეთი ნაწილია, რომელშიც უნდა შესრულდეს ეკონომიკური ზრდის ამსახველ პროგნოზულ მაჩვენებელთა (მშპ) განსაზღვრასთან დაკავშირებული სამუშაოები.

მექანიზმის VII ბლოკში ხდება გარემოსდაცვით პროცესთა ამსახველ მაჩვენებელთა, კერძოდ, ეკოლოგიური ზარალის პროგნოზირება. შემოთავაზებული მექანიზმის VIII ბლოკში უნდა დაისვას პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის პროცესთა შეფასებისა და რეგულირების კომპლექსური ამოცანა ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით.

ყოველივე ამის შემდეგ გვეცოდინება რა ეკონომიკური ზრდის პროგნოზული შეფასების სურათი, უნდა შემუშავდეს ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემა ეკოლო-

გიური ფაქტორების გათვალისწინებით. ასეთი სისტემის შემუშავებასთან დაკავშირებული სპეციალური სამუშაოების შესრულებას ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მექანიზმში სათანადო ადგილი უჭირავს. ეს სამუშაოები ხორციელდება მექანიზმის IX ბლოკში.

დასასრულ, აღნიშნული მექანიზმი შედგება კიდევ X ბლოკისაგან, რომელშიც, შემუშავებული ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, უნდა განხორციელდეს ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემის პრაქტიკულ რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოები.

განსახილველი მექანიზმის ყველა ბლოკს გააჩნია მათი შესაბამისი ლოგიკურ-აზრობრივი, მეთოდურ-მეთოდოლოგიური და მათემატიკური უზრუნველყოფა. ამ მექანიზმის ბლოკებს შორის არსებობს სათანადო კავშირები. კერძოდ, მათ ახასიათებთ ლოგიკური ურთიერთკავშირი და დროში შესრულების თანმიმდევრულობა.

ეს კავშირები კარგად არის გამოხატული 1 სქემაზე. ისინი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ, რომ ისე ვერ დაიწყება ყოველ მომდევნო ბლოკში შესასრულებელი სამუშაოები, თუ არ დამთავრდა მის წინმსწრებ ბლოკებში ჩასატარებელ სამუშაოთა ერთობლიობა.

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ ჩვენ მიერ შემოთავაზებული მექანიზმის შესახებ, ცხადია, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს საკვლევი პრობლემის საანალიზო და საპროგნოზო პერიოდები, შემდეგ უნდა განისაზღვროს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი და გამოვლინდეს არსებითი ცვლილებები და ტენდენციები. შემდგომ ეტაპზე უკვე საჭიროა არსებული პრობლემისათვის საჭირო ტრენდის განსაზღვრა და მათემატიკური გაანგარიშებები. ამის შემდეგ ეტაპზე საჭიროა პროგნოზულ მაჩვენებელთა ანალიზი და ამის საფუძველზე დასმული პრობლემის გადასაჭრელად საჭირო ღონისძიებების შემუშავება და საბოლოო ეტაპზე ამ შემუშავებული ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზაციის შემოთავაზება.

ეკონომიკური ზრდის პროცესთა ეკონომიკურ-ეკოლოგიური შეფასებისა და რეგულირების ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მექანიზმში ყურადღებას იმსახურებს მათემატიკური უზრუნველყოფის საკითხი. II და III ბლოკის მათემატიკური უზრუნველყოფის საკითხი, ჩვენი აზრით, ტრივიალურია და მასზე არ შევჩერდებით.

მექანიზმის III, IV, V, VI, VII და VIII ბლოკების მათემატიკური აპარატით უზრუნველყოფის მიზნით, გამოყენებული გვაქვს ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების ისეთი მეთოდები, რომლებიც პრაქტიკულად აპრობირებულია და სასურველ შედეგებს იძლევა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების პროგნოზირებისას [1,3]. ერთ-ერთ ასეთ მეთოდად ჩვენ მიერ შემოთავაზებული და პრაქტიკულად გამოყენებულია დინამიკური მწკრივის ტრენდული შესწავლის და ექსტრაპოლაციის მეთოდი.

ვთვლით რა, რომ მათემატიკური უზრუნველყოფა შემოთავაზებული მექანიზმის IX და X ბლოკებს ნაკლებად სჭირდება, ამიტომ მათ სათანადო ადგილი არ ეთმობა.

ყოველივე ზემოაღნიშნული პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ქმნის ეკონომიკური ზრდის პროცესთა შეფასებისა და რეგულირების მექანიზმს ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით. ეს ისეთი მექანიზმია, რომლის გამოყენება, ჩვენი აზრით, ნებისმიერ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში შეიძლება. მისი პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს აღნიშნულ ქვეყნებში ეკოლოგიურად დაბალანსებული ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Математико-статистические методы исследования взаимосвязей в экономике. М., "Статистика" (пер. с немецкого), 1977.
2. **Раяцкас Р. Л., Больсис О. А.** Анализ экономического роста и оценка долгосрочных прогнозов. В., 1979.
3. Экономико-математические методы и модели. Минск, "МГЭУ" (под редакцией Кузнецова А.В.), 2000.

Khuskivadze Mamuka
Chachua Teona

ECONOMIC-ECOLOGICAL MECHANIZM OF ECONOMIC GROWTH ESTIMATION AND REGULATION IN GEORGIA

SUMMARY

On current stage of market transformation of postcommunist countries (including Georgia) a great consideration is given to the solution of problematic issues of economic-ecological estimation and regulation of economic growth processes. Perfection quality of solution of such issues greatly depends on a correct study of methodological issues of economic-ecological estimation and regulation of the processes mentioned above and their practical realization. In this direction it is important to elaborate economic-ecological mechanism of estimation and regulation of economic growth in postcommunist countries (including Georgia) and its practical approbation.

In the world practice of economic-ecological estimation and regulation of economic growth definite experience has been accumulated. Though it should not be said that in postcommunist countries, namely in Georgia the problem of economic-ecological estimation and regulation of economic growth has been solved.

Just to the study of these issues is dedicated this article, where is elaborated economic-ecological mechanism of estimation and regulation of past, current and expected economic growth in Georgia, the practical realization of which will favour the stimulation of ecologically balanced economic growth.

ა ვ ტ ო რ ე ბ ი

1. აბესაძე რამაზ – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ემდ, პროფესორი

2.	**არევაძე ნანული**	– სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
3.	**არნანია-კეკულაძე თამილა**	– ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ემკ
4.	**აჩელაშვილი კლიმენტი**	– ემდ, თსუ ასოცირებული პროფესორი
5.	**ახალაია ვლადიმერ**	– ემდ, პროფესორი
6.	**ბენაშვილი ციალა**	– ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
7.	**ბერულავა გიორგი**	– სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი
8.	**ბიბილაშვილი ნანა**	– სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
9.	**ბურდული ვახტანგ**	– სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ
10.	**ბურდული ქეთევან**	– მაგისტრი
11.	**გვენეტაძე ლილი**	– თსუ ასოცირებული პროფესორი, ემკ
12.	**დავლაშერიძე ნატა**	– სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
13.	**დათუნაშვილი ლინა**	– სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ, დოცენტი
14.	**დვალიშვილი ლია**	– მაგისტრი
15.	**ვეკუა დავით**	– ემკ, თეუსუ პროფესორი
16.	**თოთლაძე ლია**	– სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
17.	**კაკაშვილი ნატო**	– თსუ აკადემიური დოქტორი
18.	**კაკულია ეთერ**	– სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
19.	**კაკულია ნაზირა**	– სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი,

ემკ

20. **კურატაშვილი ალფრედ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი
21. **კურატაშვილი ანზორ** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
22. **კვარაცხელია მურმან** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ, პროფესორი
23. **ლაზარაშვილი თეა** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
24. **ლორთქიფანიძე თენგიზ** – მაგისტრი
25. **მაისურაძე გიგა** – ემდ
26. **მელაშვილი მედეა** – მეცნიერი თანამშრომელი
27. **მეყანწიშვილი ეკატერინე** – თსუ ასისტენტ-პროფესორი
28. **მიქატაძე ცირა** – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
29. **მიქიაშვილი ნინო** – თსუ ასოცირებული პროფესორი, ემკ
30. **ნათელაური იზა** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
31. **ნოზაძე ზურაბ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლი
32. **პაპავა ვლადიმერ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ემდ, პროფესორი
33. **პაპავა გიორგი** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი კონსულტანტი, ემდ, პროფესორი
34. **რევიშვილი ზურაბი** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
35. **როსტიაშვილი თამარ** – დოქტორანტი
36. **სარჩიმელია როლანდ** – სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამ-

		შრომელი, ემდ, პროფესორი
37.	სეთური მაია	– თსუ ასოცირებული პროფესორი
38.	სოსელია მაია	– დოქტორანტი
39.	ქავთარაძე თენგიზ	– სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამ-შრომელი, ემკ
40.	ქარუმიძე ნანა	– დოქტორანტი
41.	ქისტაური ნუნუ	– სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
42.	შენგელია თემურ	– თსუ კათედრის გამგე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, ემდ, პროფესორი
43.	ჩაჩუა თეონა	– ბაკალავრი
44.	ჩხეიძე თინათინ	– სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სმმდ, პროფესორი
45.	ცუცქირიძე მარინე	– სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ
46.	ხუსკივაძე მამუკა	– სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ემკ
47.	ჯავახიშვილი რევაზ	– სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ემკ

AUTHORS

1.	**ABESADZE RAMAZ**	**– Director of P. Gugushvili Institute of Economics, Doctor of Economics, professor**
2.	**ACHELASHVILI KLIMENTI**	**– Doctor of Economics, associated professor of TSU**
3.	**AKHALAIA VLADIMER**	**– Doctor of Economics, professor**
4.	**AREVADZE NANULI**	**– Candidate of Economics, senior scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics**
5.	**ARNANIA-KEPULADZE TAMILA**	**– Candidate of Economics, associated professor of A. Tsereteli SU**
6.	**BENASHVILI TSIALA**	**– Academic Doctor of Economics**
7.	**BERULAVA GIORGI**	**– Doctor of Economics, professor, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics**
8.	**BIBILASHVILI NANA**	**– Candidate of Economics, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics**
9.	**BURDULI VAKHTANG**	**– Doctor of Economics, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics**
10.	**BURDULI KETEVAN**	**– Master**
11.	**CHACHUA TEONA**	**– Bachelor**
12.	**CHKHEIDZE TINANIN**	**– Doctor of Agriculture, professor, Chairman of Scientific Council of P. Gugushvili Institute of Economics**
13.	**DATUNASHVILI LINA**	**– Candidate of Economics, Docent, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics**
14.	**DAVLASHERIDZE NATA**	**– Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics**
15.	**DVALISHVILI LIA**	**– Master**
16.	**GVENETADZE LILI**	**– Candidate of Economics, associated professor of TSU**

17.	**JAVAKHISHVILI REVAZ**	**– Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics**
18.	**KAKASHVILI NATO**	**– Academic Doctor of Economics of TSU**
19.	**KAKULIA ETER**	**– Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics**
20.	**KAKULIA NAZIRA**	**– Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics**
21.	**KARUMIDZE NANA**	**– Pretendent**
22.	**KAVTARADZE TENGIZ**	**– Candidate of Economics, senior scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics**
23.	**KURATASHVILI ALFRED**	**– Doctor of Economics, professor, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics**
24.	**KURATASHVILI ANZOR**	**– Academic Doctor of Economics**
25.	**KVARATSKHELIA MURMAN**	**– Doctor of Economics, senior scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics**
26.	**KISTAURI NUNU**	**– Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics**
27.	**KHUSKIVADZE MAMUKA**	**– Candidate of Economics, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics**
28.	**LAZARASHVILI TEA**	**– Candidate of Economics, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics**
29.	**LORDKIPANIDZE TENGIZ**	**– Master**
30.	**MAISURADZE GIGA**	**– Doctor of Economics**
31.	**MEKANTSISHVILI EKATERINE**	**– Assistant professor of TSU**
32.	**MELASHVILI MEDEA**	**– Scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics**

33.	**MIKATADZE TSIRA**	**– Academic Doctor of Economics**
34.	**MIKIASHVILI NINO**	**– Candidate of Economics, Associated Professor of TSU**
35.	**NATELAURI IZA**	**– Candidate of Economics, Chief of dept. of P. Gugushvili Institute of Economics**
36.	**NOZADZE ZURAB**	**– Scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics**
37.	**PAPAVA GIORGI**	**– Doctor of Economics, professor, scientific-consultant of P. Gugushvili Institute of Economics**
38.	**PAPAVA VLADIMER**	**– Doctor of Economics, professor, Main scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics, Corresponding member of National Academy of Georgia**
39.	**REVISHVILI ZURAB**	**– Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics**
40.	**ROSTIASHVILI TAMAR**	**– Pretendent**
41.	**SARCHIMELIA ROLAND**	**– Doctor of Economics, professor, senior scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics**
42.	**SETURI MAIA**	**– Associated Professor of TSU**
43.	**SHENGELIA TEMUR**	**– Doctor of Economics, professor, Chief of the Board of TSU, Member of the Council of National Bank of Georgia**
44.	**SOSELIA MAIA**	**– Pretendent**
45.	**TOTLADZE LIA**	**– Candidate of Economics, senior scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics**
46.	**TSUTSKIRIDZE MARINE**	**– Candidate of Economics, scientific worker of P. Gugushvili Institute of Economics**
47.	**VEKUA DADID**	**– Candidate of Economics**

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 5

რამაზ აბესაძე
მდგრადი ეკონომიკური განვითარება – XXI საუკუნის გლობალური გამოწვევა 7

ვლადიმერ პაპავა
"ჰაბი"-ს ცნება და მისი გამოყენება ცენტრალური კავკასიის ქვეყნებისათვის 19

Георгий Папава
РОЛЬ ГЕНЕТИЧЕСКИХ МУЛЬТИОПЕРАТОРОВ В ФОРМИРОВАНИИ ЭКОНОМИК НА ПРИМЕРЕ ПРОМЫШЛЕННОЙ ФИРМЫ 28

რამაზ აბესაძე, ვახტანგ ბურდული
ინოვაციური განვითარების გზები გლობალიზაციის პირობებში 36

ალფრედ კურატაშვილი
საბაზრო ურთიერთობების სრულყოფის თეორიული საფუძვლები პოსტსაბჭოურ პერიოდში 52

თემურ შენგელია
კონვერგენტული სინთეზი და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში 63

Берулава Георгий
ЭКОНОМЕТРИЧЕСКАЯ ОЦЕНКА ВЛИЯНИЯ ВНУТРЕННИХ И ВНЕШНИХ ФАКТОРОВ НА КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТЬ ФИРМЫ В СТРАНАХ ПЕРЕХОДНОЙ ЭКОНОМИКОЙ 71

ლინა დათუნაშვილი
აბრარული სფეროს განვითარების რეგიონული თავისე-

ბურებები საქართველოში 86

ვახტანგ ბურდული
საქართველოს რეგიონებში საერთო დანიშნულების მეწარმეობის განვითარების ტერიტორიული რეგულირების და საბაზრო კოორდინაციის მექანიზმის სრულყოფის გზები 97

რევაზ ჯავახიშვილი
ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი პრობლემები ცენტრალურ კავკასიაში 105

მურმან კვარაცხელია
ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების საკითხისათვის გლობალიზაციის პირობებში 112

კლიმენტი აჩელაშვილი
ეკონომიკურ ზრდაში რეგიონების წვლილის განსაზღვრის მეთოდური სქემა 121

რამაზ აბესაძე, ეთერ კაკულია
საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოთა ფუნქციონირების მიკროგარემოს გაუმჯობესების ღონისძიებათა სისტემა 130

რამაზ აბესაძე, ეთერ კაკულია
მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო რეგულირების თავისებურებები და არსებული მდგომარეობა საქართველოში 135

თენგიზ ქავთარაძე
მიწის პრივატიზაცია და მიწის ბაზრის განვითარება საქართველოში 143

ნანული არევაძე
საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ძირითადი მიმართულებები და ტენდენციები 153

ნანა ბიბილაშვილი
დასაქმების ძირითადი პრინციპები ეკონომიკის კეინსიანურ თეორიაში 158

თეა ლაზარაშვილი
ინფლაციური ტარგეტირება 164

თინათინ ჩხეიძე, მამუკა ხუსკივაძე
გარემოს დაცვის ეკონომიკური მექანიზმის საკითხისათვის 170
იზა ნათელაური
საქართველოში რევერსულ-პარადოქსული მიკროეკონომიკური გარემოს მიზეზშედეგობრივი კავშირი უმუშევრობას, ფასების ზრდასა და სავალუტო კურსის ცვლილების ტენდენციასთან 175

როლანდ სარჩიმელია
პროდუქციის წარმოების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი რესურსების დეფიციტისა და რისკის გათვალისწინებით 180
ნაზირა კაკულია
ინსტიტუციური პრობლემები და ნეკროეკონომიკა 188
დავით ვეკუა
სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მაკროეკონომიკური რეგულირება საქართველოში 196
მარინე ცუცქირიძე
ეკონომიკური განვითარების პროცესების მართვის საკითხისათვის 203
მამუკა ხუსკივაძე
საქართველოს ტყის რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციის ამოცანა და მისი შესაბამისი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი 208
ვლადიმერ ახალაია
საქართველო-გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება 214
ნუნუ ქისტაური, ცირა მიქატაძე
სამრეწველო ფირმის ეკონომიკის მართვაში დეტერმინირებული ფაქტორული ეკონომიკური ანალიზის მეთოდების გამოყენების ძირითადი პარამეტრები 219
ზურაბ რევიშვილი
სასოფლო შინამეურნეობების ზომების სახელმწიფო რეგულირების საერთაშორისო გამოცდილება 231
ლილი გვენეტაძე

ᲓᲘᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ 240
ციალა ბენაშვილი
ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ 245
ნატა დავლაშერიძე
ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲨᲘ 2002 – 2003 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ 252
თეა ლაზარაშვილი, მედეა მელაშვილი
ᲤᲣᲚᲐᲓ-ᲡᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 258

ანზორ კურატაშვილი
ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲐᲖᲠᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲐᲠᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲐᲖᲠᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ 264
ვახტანგ ბურდული, ლინა დათუნაშვილი
ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ 271
ვახტანგ ბურდული, ქეთევან ბურდული
ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ 280
ვახტანგ ბურდული, ალფრედ კურატაშვილი
ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ 295
რევაზ ჯავახიშვილი
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲝ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ 309
ანზორ კურატაშვილი
ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲐᲖᲠᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲐᲜᲘ 317
ალფრედ კურატაშვილი
ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲞᲝᲡᲢᲡᲐᲑᲭᲝᲣᲠ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ 325
ანზორ კურატაშვილი

სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის
წინააღმდეგობები და ინსტიტუციონალიზმი 333
ზურაბ ნოზაძე
გარემოს დაცვის ეკონომიკური სტიმულირების ფორმები
საბაზრო ურთიერთობების პირობებში 338
გიგა მაისურაძე
ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში 343
ლია თოთლაძე
სავალუტო რისკების მოდელირების საკითხისათვის 348
თამილა არნანია-კეპულაძე
სამუშაო ძალის ღირებულების განსაზღვრის მეთოდიკა
და მისი გენდერული თავისებურებანი 353
ნუნუ ქისტაური
მსხვილი ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება 362
ნანა ქარუმიძე, თენგიზ ლორთქიფანიძე
მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციის
შესახებ 370
თამარ როსტიაშვილი, მაია სოსელია
მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ზოგიერთი
პრაქტიკული ასპექტი (ბიზნეს-კონსალტინგი და ბიზნეს-
ინკუბატორები) 378
მაია სეთური
მარკეტინგის მართვის ზოგიერთი ასპექტის შესახებ 384
ნატო კაკაშვილი
ლიზინგის განვითარება საქართველოში 396
ნინო მიქიაშვილი, ეკატერინე მეყანწიშვილი
ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოების ურთიერთ-
კავშირის შესახებ 403
ლია დვალიშვილი
უმუშევართა დაზღვევის პრობლემები საბაზრო ეკონო-
მიკის პირობებში 411
თენგიზ ქავთარაძე
თბილაბრომრეწვი თუ თბილაბროკორპორაცია?
თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის სასურსათო
უზრუნველყოფის შესახებ 418

მამუკა ხუსკივაძე, თეონა ჩაჩუა
ეკონომიკური ზრდის შეფასებისა და რეგულირების ეკონომიკურ-ეკოლოგიური მექანიზმი საქართველოში **428**

ავტორები **435**
სარჩევი **441**

CONTENTS

INDTRODUCTION **5**
Abesadze Ramaz
SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT GLOBAL CHALLENGE OF XXI CENTERY **7**
Papava Vladimer
THE CONCEPT "HUB" AND ITS APPLICATION TO THE CENTRAL CAUCASUS **19**
Papava Giorgi
THE ROLE OF GENETIC MULTIOPERATORS IN THE FORMATION OF ECONOMICS ON THE EXAMPLE OF INDUSTRIAL FIRM **28**
Abesadze Ramaz, Burduli Vakhtang
THE WAYS OF INNOVATIVE DEVELOPMENT IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION **36**
Kuratashvili Alfred
THEORETICAL PRINCIPLES OF PERFECTION OF MARKET

RELATIONS IN POST-SOVIET PERIOD **52**
Shengelia Temur
CONVERGENT SYNTHESIS AND THE POSSIBILITIES OF BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA **63**
Berulava Giorgi
THE ECONOMETRIC ANALYSIS OF THE IMPACT OF INTERNAL AND EXTERNAL FACTORS ON FIRM'S COMPETITIVENESS IN POST-SOVIET COUNTRIES **71**
Datunashvili Lina
REGIONAL PECULIARITIES OF AGRARIAN SPHERE DEVELOPMENT IN GEORGIA **86**
Burduli Vakhtang
THE WAYS OF IMPROVEMENT OF TERRITORIAL REGULATION AND MARKET CO-ORDINATION MECHANISM OF BUSYNESS UNDERTAKINGS OF GENERAL CHARACTER IN GEORGIA'S REGIONS **97**

Javakhishvili Revaz
THE MAJOR PROPBLEMS OF ECONOMIC INTEGRATION IN CENTRAL CAUCASUS **105**
Kvaratskhelia Murman
FOR THE QUESTION OF THE SECURITY OF NATIONAL ECONOMY IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION **112**
Achelashvili Klimenti
THE METHODIC SCHEME OF DETERMINING OF THE REGIONS' CONTRIBUTION IN THE ECONOMIC GROWTH **121**
Abesadze Ramaz, Kakulia Eter
THE SYSTEM OF MEASURES TO IMPROVE MICROENVIRONMENT OF SMALL AND MIDDLE ENTERPRISES FUNCTIONING IN GEORGIA **130**
Abesadze Ramaz, Kakulia Eter
PECULIARITIES OF STATE REGULATION OF SMALL AND MIDDLE BUSINESS AND CURRENT SITUATION IN GEORGIA **135**
Kavtaradze Tengiz
LAND PRIVATIZATION AND LAND MARKET DEVELOPMENT IN GEORGIA **143**

Arevadze Nanuli
MAIN TRENDS AND TENDENCIES OF FOREIGN-ECONOMIC REALETION OF GEORGIA **153**
Bibilashvili Nana
MAIN PRINCIPLES OF EMPLOYMENT IN KEINESIAN THEORY OF ECONOMY **158**
Lazarashvili Tea
INFLATION TARGETING **164**
Chkheidze Tinatin, Khuskivadze Mamuka
ON THE ISSUE OF ECONOMIC MECHANISM OF ENVIRONMENT PROTECTION **170**
Iza Natelauri
CAUSE-RESULT CONNECTION WITH UNEMPLOYMENT, PRICE SURGE AND VOLATILE CURRENCY RATES TENDENCIES OF REVERSIBLE-PARADOXAL MICROECONOMIC ENVIRONMENT IN GEORGIA **175**

Sarchimelia Roland
ECONOMIC - MATHEMATICAL MODEL OF PRODUCTION WITH REGARD RESOURCE DEFICIT AND RISK **180**
Kakulia Nazira
NECROECONOMICS AND PROBLEMS OF INSTITUTIONAlISM **188**
Vekua David
MACROECONOMIC REGULATION OF SOCIAL WELFARE SYSTEM IN GEORGIA **196**
Tsutskiridze Marina
THE ISSUES OF MANAGEMENT OF ECONOMIC DEVELOPMENT PROCESS **203**
Khuskivadze Mamuka
THE PROBLEM OF OPTIMIZATION OF FOREST RESOURCE USE AND ITS ADEQUATE ECONOMIC-MATHEMATICAL MODEL **208**
Akhalaia Vladimer

THE DEVELOPMENT OF ECONOMIC COOPERATION BETWEEN GEORGIA AND GERMANY **214**
Kistauri Nunu, Mikatadze Tsira
BASIC PARAMETRES OF USING METHODS OF DETERMINED FACTORAL ECONOMIC ANALYSIS IN THE MANAGEMENT OF INDUSTRIAL FIRM **219**
Revishvili Zurab
INTERNATIONAL EXPERIENCE IN GOVERNMENTAL REGULATION OF FARM SIZES **231**
Gvenetadze Lily
OPEN ECONOMY AND FINANCIAL RELATIONSHIP **240**
Benashvili Tsiala
CONTEMPORARY PROBLEMS OF GEORGIAN ECONOMIC TERMINOLOGY **245**
Davlasheridze Nata
SCIENTIFIC VIEW-POINTS OF NOBEL PRIZE WINNERS IN ECONOMICS IN 2002-2003 **252**
Lazarashvili Tea, Melashvili Medea
CONDITION AND PECULIARITIES OF MONETARY AND CREDIT SYSTEM IN GEORGIA **258**
Kuratashvili Anzor
THE ESSENCE OF SOCIALLY ORIENTED MARKET ECONOMY AND ITS DIFFERENCE FROM TRADITIONAL MARKET SYSTEM **264**
Burduli Vakhtang, Datunashvili Lina
USING OF POSSIBILITIES GLOBALIZATION PROCESS IN THE DEVELOPMENT OF GEORGIA'S ECONOMY **271**
Burduli Vakhtang, Burduli Ketevan
NECESSITY OF ESTABLISHMENT OF INTERCOMMUNICATION BETWEEN DEVELOPMENT OF INSTITUTIONAL AND TECHNOLOGICAL ORGANIZATION OF REAL AND FINANCIAL SECTORS OF ECONOMY IN GEORGIA AND ITS REGIONS IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION **280**
Burduli Vakhtang, Kuratashvili Alfred
DEVELOPMENT OF INSTITUTIONAL ORGANIZATION OF

FINANCIAL SECTOR IN THE CONDITIONS OF GLOBALIZATION **295**
Javakhishvili Revazi
MAIN TRENDS OF DEVELOPMENT OF GEORGIAN FOREING TRADE **309**
Kuratashvili Anzor
PRINCIPLE PECULIARITIES OF SOCIALLY ORIENTED MARKET ECONOM **317**
Kuratashvili Alfred
BASIC DIRECTIONS OF ECONOMIC SYSTEM PERFECTION IN THE POST-SOVIET PERIOD **325**
Kuratashvili Anzor
CONTRADICTIONS OF SOCIALLY ORIENTED MARKET ECONOMY AND THE INSTITUTIONALISM **333**
Nozadze Zurab
THE FORMS OF ECONOMIC STIMULATION OF ENVIRONMENTAL PROTECTION IN THE CONDITIONS OF MARKET RELATIONS **338**
Giga Maisuradze
THE PROSPECTS OF TOURISM DEVELOPMENT IN GEORGIA **343**

Totladze Lia
THE ISSUE OF CURRENCY RISKS MODELING **348**
Arnania-Kepuladze Tamila
THE METHOD OF DEFINING LABOR COST AND GENDER FEATURE **353**
Kistauri Nunu
STATE REGULATION OF LARGE BUSINESS **362**
Karumidze Nana, Lordkipanidze Tengiz
ON OPTIMIZATION OF AGRICULTURAL BRANCH STRUCTURE **370**
Rostiashvili Tamar, Soselia Maia
SOME PRACTICAL ASPECTS OF SMALL AND MIDDLE BUSINESS SUPPORT **378**

Seturi Maia
SOME ASPECTS OF MARKETING MANAGEMENT **384**
Nato Kakashvili
DEVELOPMENT OF LEASING IN GEORGIA **396**
Mikiashvili Nino, Mekantsishvili Ekaterine
SOME ASPECTS OF RELATIONSHIP BETWEEN NATIONAL AND ECONOMICAL SAFETY **403**
Dvalishvili Lia
UNEMPOLOYMENT INSURANCE PROBLEMS IN MARKET ECONOMY **411**
Kavtaradze Tengiz
TBILAGROINDUSTRY OR TBILAGROCORPORATION TBILISI AND RUSTAVI POPULATION PROVIDING WITH FOOD **418**
Khuskivadze Mamuka, Chachua Teona
ECONOMIC-ECOLOGICAL MECHANIZM OF ECONOMIC GROWTH ESTIMATION AND REGULATION IN GEORGIA **428**

AUTHORS **435**

CONTENTS **441**

დაიბეჭდა სსიპ – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

გამომცემლობის რედაქტორი

სესილი ხანჯალაძე

გადაეცა წარმოებას – 2.11.2008.

ქაღალდის ზომა –

პირობითი ნაბეჭდი თაბახი –

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი –

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი, გ. ქიქოძის № 14

93 22 60, 99 68 53, 99 74 09

ელ-ფოსტა: economisti1@ rambler.ru

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში დაარსდა საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი **“ეკონომისტი”** (მთავარი რედაქტორი ემდ, პროფ. რ. აბესაძე).

რედაქციის სურვილია, ჟურნალი **“ეკონომისტი”** ეკონომიკურ პრობლემათა განსჯისა და მეცნიერ-ეკონომისტთა ნაყოფი-

ერი თანამშრომლობის ადგილი გახდეს. მასში მეცნიერ-ეკონომისტები ერთმანეთს გაუზიარებენ მოსაზრებებს, გადმოსცემენ და დაიცავენ თავიანთ შეხედულებებსა და პოზიციებს.

ჟურნალში ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდება სტატიები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ეკონომიკის სფეროში არსებული თეორიული და პრაქტიკული პრობლემების კვლევების შედეგების შესახებ. პერიოდულად დაიბეჭდება რეცენზიები, ეკონომიკური მიმოხილვები და სხვადასხვა სამეცნიერო-ორგანიზაციული ღონისძიებების ქრონიკები.

ავტორთათვის ჟურნალში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.

2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.

3. სტატიის მოცულობა, რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა იყოს გონივრულ შესაბამისობაში მათთვის დამახასიათებელ მასშტაბებთან. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, 4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ერთ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური TIMES NEW ROMAN).

4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.

5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთმოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

* * *

დაარსდა **"პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა"**

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა – ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე – გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება;

გამოიცემა:

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები;
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებულები, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები);
- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები.
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები.

* * *

დაარსდა **“პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სასწავლო ცენტრი”**

სასწავლო ცენტრის მიზანია, სწავლების უახლესი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით, სპეციალისტთა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება შემდეგ სპეციალობებში:

საბანკო საქმე (მოლარე, ოპერატორი, საკრედიტო ექსპერტი, ფინანსური ანალიზი, საერთაშორისო და ლოკალური გადარიცხვები, საბანკო პროდუქტები, საოპერაციო მოქმედებები და ა.შ.); საბუღალტრო აღრიცხვა და პრაქტიკული ბუღალტერია; კომპიუტერული ბუღალტერია (ორისი, სუპერფინი, ინფო); თანაედროვე მენეჯმენტის საფუძვლები; ადამიანური რესურსების მენეჯმენტი; ტურისტული ფირმისა და სასტუმროს მენეჯმენტი; ფინანსური მენეჯმენტი; პიარმენეჯმენტი; ოფისმენეჯმენტი; პრაქტიკული მენეჯერული უნარ-ჩვევები (საქმიანი ეტიკეტი, პრეზენტაციის წარმართვა, დროის მენეჯმენტი და სხვა); პრეზენტაციისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები; საგადასახადო საქმე; როგორ დავიწყოთ ბიზნესი (ბიზნესის მართვა, ბიზნესის წარმოების ხელოვნება); მარკეტინგი; საბაჟო საქმე; სადაზღვევო საქმე; გამოყენებითი ეკონომიკა; უცხო ენა; კომპიუტერული პროგრამები.